



საქართველოს  
ხალხური

Handwritten notes in purple ink: "9(9)" and "ქ.ბ.ს."

# საქართველოს გაბთნუბთბის უბბბბბბ ბასბბბბ

16228

1. შეცბრბმბმ სბუკუნის მეორე ნბხევბრში სბმბზრო დბ სბგუბერნბო არხბეგბბბდბნ ამო-  
ლებული,
2. მბმსსრე დბ თვბთ მნბხველ პბრთბ ნბბმბბბბ,
3. ხბლბში ნბპბეწბ სბბუბბბბბბბბბბბბბბბ

ზბპბრბბ ბბბბბბბბბბ დბ სხებბბბ მბერ

4 ბბბბ.



სბპბრბბბბბბ სბგბმბმცვემბბ კობბერბბბბბბ "მწბგნობბ" ბბ-ს გბმბცვემბ  
მბრ. ხუხუნბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბ

პატივცემულ მკითხველთა საპუბლიკაციო



მკითხველთა

**პატივცემულ მკითხველთა საპუბლიკაციო.**

„საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები“—დანაწილებული გვაქვს იქვე ტომათ.

თვითნებულ ტომში გამოყოფილია ცალკე განყოფილებათ: ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი და აჭარა.

სპეციალური განყოფილებები აქვს მიკუთვნილი: ა) ქმებით ვაჭრობას და ბ) საერთო მნიშვნელობის ამბებს.

რედაქცია ცდლობს ისტორიული ცნობები არ გადაამახინგოს და შეუნარჩუნოს მათ დედანის მართლწერა და კილო...

...თუ ვინიც ამ მხრივ იმედები სავსებით არ გაგვიმართლდეს, რედაქცია სთხოვს პატივცემულ მკითხველთ ნუ დაგვემდურებიან.

რ ე დ ა ქ ც ი ა .





## შესავლის გახიარ

დღემდე ბატონყმობის მასალების შესახებ პრესის აზრი არ მოგვისმენია.

ჯერ-ჯერობით ეს უდროულიც იქნებოდა.

დღეის შემდეგ, საზოგადოების ფართე მასას, სრული საშუალება ეძლევა შეაფასოს ეს შრომა.

ზედმეტია ლაპარაკი, რომ ამ შრომას ნაკლი არ მოეპოვებოდეს.

ყოველ შემთხვევაში, ერთი ფრიად სიმპატიური შედეგი მაინც მოიტანა მან, ეს არის ფარდის ახდა იმ ველურ ეპოქის სინამდვილესთვის, რომელსაც ჩვენში ბატონყმობა ერქვა.

ამ სფეროში ჩვენ თითქმის არაფერი არ გავგაჩნდა და ამ შრომით ეს ნაკლი ოდნავ მაინც შეივსება; მე ვფიქრობ, ეს იქნება ის უდიდესი ჯილდო, რომელსაც ავტორი მოელის თავის ათეულ წლების ნამოღვაწარიდან.

მე ერთხელ კიდევ ვბედავ მიემართო პატივცემულ მკითხველთა გულწრფელის თხოვნით: გულდასმით გაეცნონ ამ მასალებს, გულწრფელად გადააფასონ ის და მით მკაცრი პასუხი გასცენ იმ კუდაბზიკა „ინტელიგენტებს“, რომლებიც დღემდე ურცხვად ბუტბუტებენ, რომ ეს ჭორებია, რომ სინამდვილეში ასეთ ურთიერთობას ადგილი არ ჰქონია და რომ ჭართველი მუშა და გლეხი თავის ბატონების წინაშე ყელამდე დავალებულია „პატრონყმობით“-ით.

მირ. ხუბუნაიშვილი.

## რედაკციისაგან

აქედან ჩვენ ვათავსებთ ჩვენი საყვარელის ბელადის და საზოგადო მოღვაწის ფ. მახარაძის მიერ 1903 წელს დაწერილს და 1904 წელში გამოცემულს შრომას: „დანიელ კონჭაძე და მისი დრო“.

ამ შრომამ თავის დროზე გამოიწვია უშვერი სიტყვები და დამსახურებული კიცხვა პატივცემულ ავტორის მიმართ.

რამდენათაც გზა აბნეული და უსუსური იყო ამ ვიგინდარა ხალხის გაწიწმამტებული ლანძღვა-გინება, იმდენათ ძლიერი და რკინისებური იმ კლასის ლოლიკა, რომლის წარმომადგენელი გახლდათ, არის და იქნება „დანიელ კონჭაძის და მისი დრო“-ს ავტორი.

დღეს ჩვენ განსაკუთრებულის სიბარულით და სიყვარულით ვბეჭდავთ ამ შრომას.

---

წანიელ ჭინკაჲე  
და  
მისი ღრუ.

---

ფილიპე მახარაბისა.

---

ქუთაისი.  
სტამბა ი. კილაძისა და ი. ხელაძის.  
1904

---

Дозволено цензурою, г. Тифлисъ 15 марта 1904 г.

---

არიან ისეთი ბედნიერი ხალხნი, რომელთა მთელი ცხოვრება, ე. ი. სულიერი და ნივთიერი კულტურა, ანუ მთელი წარსული ცხოვრების ნამოქმედარი და ნაანდერძევი და მომავლის იმედი საცესებით და აშკარათ გამოიხატება გენიოს-პირთა სახელოვნო ნაწარმოებებში: ლიტერატურის, მხატვრობის, ქანდაკების თუ მუსიკის. როცა თქვენ აკვირდებით და სწავლობთ ასეთ ნაწარმოებთ, თქვენ ნათლათ ხედავთ, რომ რაც ხალხს მთელი საუკუნოების განმავლობაში ღირს-სახსოვარი შეუქმნია და შეუძენია, რაც მის გონებას უმუშავია და ნაყოფი გამოუღია,—ყოველსავე ამას თითქო აქ, ამ სახელოვნო ნაწარმოებში, მოეყაროს თავი და ეპოვნოს თავის გამომეტყველება. ასეთ გენიოსთა რიგებს ეკუთვნიან, მაგ., ინგლისელების შექსპირი და ბაირონი, გერმანელების გიოტე, შილლერი და ბეტჰოვენი, იტალიელების დანტე, რაფაელი და მიქელ-ანჯელო. მაგრამ ხალხის სულის კვთება და მისი მიწრაფება—ნაყოფი მთელი მისი წარსული ცხოვრებისა და იმავე დროს მისი მომავალი განვითარების თავდები—კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება იმ ბრწყინვალე ისტორიულ ხანებში, რომლებიც შეადგენენ ერთი მხრით დასკვნას მთელი წარსული ცხოვრებისას და მეორე მხრით განახლებული ცხოვრების დასაწყისს. ასეთ ბრწყინვალე დროს ჩვენ ვხედავთ ხალხის სულიერ ძალას, მისი მოქმედების ნიჭს და უნარს, თუ როგორ ნაყოფიერათ უმუშავია მის ტვინს წარსულში და თუ რის შემძლებელია იგი მომავალში. ასეთი ბრწყინვალე მიმენტები ხშირი მოვლენა არაა თვით ბედნიერ ხალხთა ისტორიაშიაც, და ამიტომ ისინი მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის. იმათი საფუძვლიანათ გამოკვლევა და შესწავლა აუცილებლათ თხოვლობს ხალხის მთელი წარსული ცხოვრების შესწავლას. უამისოთ სრულებით გაუგებარი ხდება, მაგ., ისეთი დიდი ისტორიული მოვლენა, როგორც არის საფრანგეთის დიდი რევოლუცია.

მაგრამ ყოველივე ის, რაც ჩვენ ზევით ვთქვით, მხოლოდ ბედნიერ ხალხთა ხვედრია. ამათ გარდა არიან ისეთი ხალხნი, თითქო ისტორიის მიერ დასჯილნი და გაუბედურებულნი, რომლებსაც არ ყოლიათ გენიოსი—მწერლები თუ ხელოვნების წარმომადგენელნი და რომლებსაც თავის ისტორიულ ცხოვრებაში არ გამოუვლიათ არც



ერთი ბრწყინვალე ხანა, როცა ხალხი ამოძრავებულ იყოს რუმელიდან მალალი იდეის სახელით და მისი მოგონება ღირს-სახსოვანად დარჩეს შთამომავლობისათვის. თქმა არ უნდა, რომ ასეთი ხალხის ცხოვრება მეტათ საბრალოა; მის წარსულ ცხოვრებას არ აცინებენ და აბრწყინებენ არც ერთი შეხანიშნავი პირი, რომლის ნაწარმოები ამოღებდეს გრძობა-გონებას და აღვიძებდეს ინტერესს წინსვლისადმი. შესაძლებელია, ასეთ ხალხს მრავალი განსაცდელი გამოეაროს, ბევრი სისხლი დაეღვაროს თავის ისტორიულ ცხოვრებაში თავის ვინაობის დასაცველათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისტორია მას არ იხსენიებს, ვინაიდან მის ცხოვრებაში არ მომხდარა ისეთი რამ, რაც მას ამის ღირსათ ხდიდეს. ვინც ჩვენ ისტორიას გაეცნობა, იგი დარწმუნდება, რომ ასეთი ყოფილა ჩვენი ხალხის ცხოვრება წარსულში. აქ თქვენ ხედავთ ხალხის უზომო ჰაბანწყვეტას, შეუწყვეტელ ომებს და სისხლის ღვრას, მაგრამ ვერც ერთ ისტორიულ ფაქტს, რომელშიაც იხატებოდეს ხალხის სულის კვეთება და მისი მისწრაფებანი. მეორე მხრით, ჩვენ აქ ვერ ვხედავთ ისეთ პირებს, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებით გვიხატავდნენ ხალხის ნამდვილ ცხოვრებას ან ასაზრდოებდნენ მას რაიმე მალალი იდეით. იმ ხალხის ისტორიის შესწავლა, რომლის წარსული მოკლებულია ასეთ ცხოველ-მყოფელ ელემენტებს, რაღაც უაზრო ხდება და თვით მისი ისტორია უფერულია. ამ შემთხვევაში ისტორიკოსმა არ იცის, რას მოკიდოს ხელი, საიდან დაიწყოს, სად ეძიოს თავის თვალთახედვის ისარი, ვინაიდან სადაც გადაშლით ასეთ ხალხის ისტორიას, ყოველგან ერთი და იგივე გზედებათ: ყოველგან ომი, სისხლის ღვრა, ღალატი; იცვლებიან მხოლოდ სახელები და წელთა აღრიცხვა. ჩვენ ხშირათ გვესმის საყვედური რომ ქართულ ისტორიას ჯერ არა ყავს გამოჩენილი ისტორიკოსიო, მაგრამ ასეთი საყვედური რამდენათაც მართალია, იმდენათ იგი უსაფუძვლოა. და მართლაც, კარგიც რომ გველოდნენ, რას იზამდნენ ჩვენში გიზო, ლუი-ბლანი, ტიერი, ბოკლი, ნიბური და სხ. რომელი მოძრაობა, ან რომელი ისტორიული ცვლილება უნდა გაეხადათ იმათ თავიანთ გამოკვლევათა საგნათ, რაზე უნდა მიეპყრათ თავიანთი ყურადღება? აბა დაასახელოთ ისეთი ღრმა ცვლილება ჩვენ ისტორიაში, რომელსაც ხაზი გაველოს ძველსა და ახალს ცხოვრებაში და რომლის მოთავე თვით ხალხი ყოფილიყოს; ან ის დიდებული პირები, რომლებს ნაწარმოებნი ხალხის გონების დაუშორებელ და ცხოველ-მყოფელ წყაროთ გამხდარიყოს და რომლებს ვაგლენით რამოდენიმეთ



მიინც ზემსუბუქებულეიყოს მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა ბევრი ჩვენი წარსული ცხოვრების სიტყვით მადიდებელი ვაქებატონს, რომელსაც ამ ისტორიის არაფერი არ გაეგება, უძველესათ დაგვძრახავს ასეთი აზრის გამოთქმისთვის ჩვენი წარსული ცხოვრების შესახებ: როგორ თუ ჩვენმა წარსულმა ცხოვრებამ არ იცის ბრწყინვალე ხანა, როგორ თუ ჩვენ არ გვყოლია დიდებული პირებიო?—დაგვეკითხებიან ჩვენ ვაოცებით.—განა დიდებული პირები არ არიან ვახტანგ გორგასლანი, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ფრეკლე მეორე და სხ. განა ბრწყინვალე ხანათ არ ჩაითვლება ჩვენ ისტორიაში თამარ მეფის დრო? თქვენ ამაოთ დაეკითხებით ასეთი ბრმა თაყვანისცემით და უმეცრებით ვატაცებულ ვაქებატონთ: რით ისახელეს თავი ამ პირებმა? ნუ თუ ამისთვის საკმარისია მხოლოდ აუარებელი სისხლის ღვრა, შეუწყვეტელი ომები, აღძვირთა ქლეტი? გარდა ამისა კი ჩვენ ვერაფერს ვხედავთ ვერც თამარ მეფის დროს და ვერც ზევით ჩამოთვლილ პირთა მოღვაწეობაში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სხვებთან შედარებით, იმათ დროს უფრო მეტი ხალხი გაივლიტა და უფრო მეტი სისხლი დაიღვარა, მართალია, ჩვენ ძველ მწერლობაში არის ერთათ-ერთი გამოჩენილი პირი—შოთა რუსთაველი თავისი „ვეფხვის-ტყაოსნით“; მაგრამ რუსთაველი არ გადმოგვცემს თავის ნაწარმოებში ხალხის სულის-კვეთებას და მის მისწრაფებათ; „ვეფხვის-ტყაოსანში“ თქვენ ვერ ხედავთ ჩვენი ხალხის ცხოვრებას; ის ზღაპრული პოემაა აღმოსავლეთის კილოზე, სადაც გაღმერთებულია ქალ-ვაჟის სიყვარული, მონური წეს-წყობილება და მონური ცხოვრება. ანაირი შინაარსის პოემამ შეიძლება მოიპოვოს მრავალი მკითხველი, რომელიც უსაქმოთ და უდარდელათ ატარებს დროს და სხვისი ნაოფლარით ცხოვრობს, მაგრამ იგი არასოდეს არ შეიძლება გახდეს რომელიმე ნაყოფიერი მოძრაობის ან გავლენის სათავეთ. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი აზრი ზოგიერთ ვაქებატონს არ მოეწონება და მის გამომთქმელს სასტიკათ ვაკიცხავენ, მაგრამ სულ ერთია, ამით სინამდვილე როდი შეიცვლება.

ასე იყო თუ ისე, ხალხი მიინც ცხოვრობდა, რისთვისაც საჭირო იყო განსაზღვრული ნივთიერი პირობები, რომლებს ნიადაგზე აღმოცენდა და განვითარდა განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობა—სახელმწიფო და იურიდიული წესწყობილება, გონებრივი და სარწმუნოებრივი მხარეები. თუმცე ქართველ ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება თავის წარსულში არც ერთხელ არ შერყეულა ისე



დრმათ და მძლავრათ, რომ მით ერთბაშათ და ძირეულათ შეცვლილიყოს მისი საზოგადოებრივი წესწყობილება, როგორც ეს ხდებოდა განვითარებულ და დაწინაურებულ ხალხთა ისტორიაში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ხალხის ცხოვრება ნელ-ნელა მაინც იცვლებოდა, მის გულში მაინც ხდებოდა ერთნაირი ევოლიუცია. რომ დიდხანს არ მოგვიხდეს ამ საინტერესო საგანზე გაჩერება, ვიტყვით აქ, რომ მთელი ეს ცვლილება უმთავრესათ ბატონ-ყმურ წესწყობილების შექმნაში და ზრდა-განვითარებაში მდგომარეობდა. ერთი მხრით თავისუფალი მაწის მუშა—გლეხი თან-და-თან ხდება ბატონის ყურ-მოპრილ ყმათ, მონათ და მეორე მხრით მთელი მიწა-ადგილი, რომლითაც წინეთ ყველა სარგებლობდა, თან-და-თან გადადის ფეოდალური თავადა-ზნაურობის და ეკლესიის ხელში. ეს პროცესი გრძელდება მრავალ საუკუნოების განმავლობაში: იგი იწყება ჩვენში თითქმის VII—VIII საუკუნოებში ქრისტეს შემდეგ; მაგრამ უფრო მკაფიოთ ბატონ ყმობის ზრდამ ჩვენ ვამჩნევთ მეთე საუკუნიდან. უკიდურეს საფეხურს ბატონ-ყმობა აღწევს ჩვენში მეთვრამეტე საუკუნეში, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში იგი ღებულობს ყველაზე უფრო საძაგელ და აღმაშფოთებელ სახეს, ალბათ იმიტომ, რომ იმის დღეები უკვე დათვლილი იყო. მთელი ჩვენი წარსული ცხოვრება მოუნდა ამ ბატონ-ყმური წესწყობილების შექმნას და გაძლიერებას. შესანიშნავი აქ მხოლოთ ის გარემოებაა, რომ ეს პროცესი გაგრძელდა დიდხანს. ბატონ-ყმური ხანა გამოიარა თითქმის ევროპის ყველა დაწინაურებულმა ხალხმა, მაგრამ არსად ამ წესწყობილებას არ უცოცხლოა ისე ხანგრძლივით, როგორც ჩვენში. ვინ იცის, კიდევ როდემდის იცოცხლებდა ჩვენში ბატონ-ყმობა, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს ჩვენი ხალხის პოლიტიკური მდგომარეობა ძირეულათ არ შეცვლილიყო. ბატონ-ყმობის განვითარება და იმავე დროს მისი გაქარწყლება ყოველგან დააჩქარა ვაჭრობისა და მრეწველობის აღორძინებამ და ევრეთ წოდებული მესამე წოდების შექმნამ და განვითარებამ. სამწუხაროთ, ჩვენში ვერ განვითარდა ვაჭრობა-მრეწველობა, და, მაშასადამე, ვერც მესამე წოდება. მართალია, უფძველეს დროში, ისტორია გადმოგვცემს, რომ ძველ კოლხიდელებს საკმარისათ განვითარებული აღებ-მიცემობითი დამოკიდებულება ჰქონდათ უცხო ქვეყნებთან და ერებთან, როგორც, მაგ. ფინიკიელებთან, ეგვიპტელებთან და ინდოეთთან, მაგრამ შემდეგ ხანებში ეს საქმე თან-და თან სუსტდება და თითქმის სრულებით ქრე-



ბა. აქედან ადვილათ აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი ხალხის წინა-სულმა ცხოვრებამ არ იცის არავითარი პოლიტიკური გინდ წმინდა გონებრივი ხასიათის მოძრაობა, ასე რომ ქართველი ხალხის მთელი შინაური ცხოვრება წარსულში მხოლოდ ბატონ-ყმური წესწყობილების გარშემო ტრიალებს, ყოველივეს მისი დალი ასვია, ყოველივერი იმით არის გააღენთილი და შეკუთვილი. სამწუხაროთ, ბატონ-ყმობის ისტორია ჩვენში ჯერ არ დაწერილა, და ვინ იცის როდის დაიწერება. გარდა პრაქტიკული მნიშვნელობისა, ასეთი ისტორია მეტათ საინტერესოა მეცნიერულათაც. ამ წიგნაკში ჩვენ გვსურს გავაცნოთ მკითხველს ერთი მწერალი, რომელმაც ჩვენში პირველათ ამოიღო ხმა ბატონ-ყმური წესწყობილების წინააღმდეგ, რომელმაც პირველათ დაგმო იგი და საზოგადოებას გადაუშალა მისი შემადრწუნებელი და აუტანელი მზარეები. ამ მწერალის სახელი დანიელ ჰონჭაძეა. მისი ერთად-ერთი მოთხრობა— „სურ მის ციხე“—ერთ და იმავე დროს აშკარა პროტესტიც არის ამ საზარელი და ადამიანის ღირსების შემარცხვენელი წესწყობილების წინააღმდეგ და მისი ზოგიერთ მზარეების ცოცხალი და ნამდვილი სურათიც, თუ როგორი იყო და რას წარმოადგენდა იგი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. დანიელ ჰონჭაძის მოთხრობა შესანიშნავია არა მარტო, როგორც სახელოვნო ნაწარმოები არამედ კიდევ უფრო, როგორც ისტორიული დოკუმენტი. მისი გარჩევა და დაწვრილებით განხილვა გადაგვიშლის რამოდენიმეთ იმ სურათის ერთ კუთხეს, რომელსაც ბატონ-ყმობა ეწოდება და რომელიც ჯერ ჩვენთვის სქელი ბურუსით არის გარემოცული. მაგრამ სანამ ამას შეუდგებოდეთ, ვეცდებით მკითხველს გავაცნოთ თვით ამ მოთხრობის ავტორის ცხოვრება; ამას მით უფრო სიამოვნებით ვასრულებთ, რომ დღემდის ჩვენ მწერლობაში ამ შესანიშნავი პირის შესახებ თითქმის არაფერი ცნობა არ მოიპოვება\*).

\* დ. ჰონჭაძის და მისი „სურამის ციხის“ შესახებ ქართულ მწერლობაში გარდა ჰერდი ბექსის (ფედედონიძის) ინტ. ფურცელისა) და გ. თუმანიშვილის წერილისა, დღემდის თითქმის არავითარი ცნობა არ არსებობს. პირველი ავტორის წერილი დაბეჭდილია ჟურნალ „ცისკარში“ 1863 წ.; ამ წერილში გარჩეული და დაფასებულია „სურამის ციხე“, როგორც მოთხრობა. ბ-ნ ე. თუმანიშვილის წერილი (გაზ. „დროება“ 1875 წ., №№ 117—119), სხვათა შორის, მოყვანილია ზოგიერთი ცნობა დ. ჰონჭაძის ცხოვრების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროთ, სრულებით სიმართლეს მოკლებულია, როგორც ჩვენ ამას თავის დროზე დავინახავთ. ამ ცნობების თანახმით შედგენილია ბ-ნ ა. ხაბაიშვილის წერილი დ. ჰონჭაძის შესახებ რუსულ ჟურნალ „Русская мысль“-ში (1902 წ., № 8).

## დანიელ ჰონძაძის ცხოვრება

(1830—1860 წწ.)

დანიელ ჰონძაძე დაიბადა 1830 წელს<sup>1)</sup> სოფ. ყვავილში, რომელიც დუშეთის მაზრაშია (თფილისის გუბ.<sup>2)</sup>). ჩამომავლობით დანიელი გლეხი იყო, და თუმცა იგი სასულიერო წოდებაში ირიცხებოდა, მაგრამ მას მაინც გლეხათ შიანდა თავი, რაც დაამტკიცა მით, რომ 1856 წელს 31 იანვარს უწმიდესი სინოდის დადგენილებით თავისივე თხოვნით იგი გამოირიცხულ იქნა სასულიერო წოდებისაგან. მეორე მხრით

<sup>1)</sup> ერთი თვითიალური საბუთი, რომელიც დანიელის სამსახურის აღწერას შეიცავს, გვუბნება, რომ ვითომც 1839 წელს დანიელი, როცა იგი სასწავლებელში შეიყვანეს, უფილიყოს 14 წლის. თუ ამ წყაროს დაუჯერებთ, მაშინ გამოვა, რომ დანიელი უნდა დაბადებულიყო 1825 წელს; მაგრამ რადგანაც ამას ეწინააღმდეგება ყველა დანარჩენი წყაროები, ამიტომ ჩვენ ამაზე არ ვეყარებით. შემდეგ ჩვენ გავიგებთ, თუ საიდან წარმოადგა ეს წინააღმდეგობა.

<sup>2)</sup> დანიელ ჰონძაძის ცხოვრების შესახებ ცნობები ჩვენ შეგვირბთ უმეტეს ნაწილათ მის ნათესავთა და ნაცნობთა შორის 1897—98 წლებში თფილისში. აქ გამსაკუთრებული ყურადღების ღირსია ერთი მხრით დან. ჰონძაძის დის, ქან გვატრიანეს, და მეორეს მხრით დანიელის მახლობელი მეგობრის, ბან იოსებ ინდუ-შვილის, ნაამბობი. ორივე ეს პირები ცნობებს გამოკითხვის დროს ღრმა მოზუცხულები იყვნენ, მაგრამ დანიელის მსოფნ ისე ცოცხლათ და ნათლათ ჰქონდათ თავის მუხსიერებაში დაცული, რომ ასე გეგონებოდათ, ყოველივე ეს თითქო გუშინდელი ამბავია, მიუხედავათ იმისა, რომ დანიელის სიყვიდლის შემდეგ თითქმის 30 წელიწადი იყო გასული. გარდა ამისა ზოგიერთი საინტერესო ცნობები თფილისის სემინარიის და საპრთველოს სინოდალური კანტორის არხივიდან გვაქვს ამოღებული. დასასრულ, მადლოზის ღირსია აგრეთვე ბან ზ. ჰიქინაძე, რომელმაც ამ მიზნისთვის გვათხოვა თავისი ორი ხელ-ნაწერი: ერთი პატონაცობის შესახებ და მეორეც თვით დ. ჰონძაძე. საპრთოთ ვთვლით აქვე აღვნიშნათ იმ გარემოება, რომ, სამწუხაროთ, ჩვენ ვერ ჩავიგდებთ ხელში ვერც ერთი ხელნაწერი, რომელიც დანიელის ხელით ყოფილიყო დაწერილი. თქმა არ უნდა, რომ ეს დიდი დანაკლისია მისი ბოჯრაფიის სასუებით შესადგენათ. დანიელის ერთათ-ერთმა შვილმა გიორგიმ, რომელსაც ჩვენ ამის შესახებ მიემართეთ, შეგვატყობინა, რომ მამისგან არავითარი ხელნაწერი არ დარჩენილა, გარდა თვით დანიელის სურათისა, რომელიც დაუბატავს დანიელის სიცოცხლეშივე სემინარიის მხატვრობის მასწავლებელს, ფორტუნატოვს. ეს სურათი მან მაშინვე გამოუგზავნა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ვადისადებათ.



უადგილო არ იქმნება შევნიშნოთ აქვე, რომ დაბალი სამღვდელმცოდნეობა, რომელსაც დ. ჭონქაძე დაბადებით ეკუთვნოდა, თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით ბევრით არაფრით განირჩეოდა გლეხკაცობისაგან, რომელიც იმ დროს ბატონ-ყმობის მძიმე უღლის ქვეშ იზნიქებოდა; ეს უღელი დაბალ სამღვდელმცოდნეობასაც აწვა თავზე და ასე თუ ისე ჩაგრაგვდა მას. ცნობილია, რომ საქართველოში თავადებს თავის ყმებათ ყავდათ სასულიერო პირები, და თუმც 1808 წელს რუსეთის მთავრობამ ეს უკანასკნელნი გაანთავისუფლა ყმობიდან, მაგრამ ბატონ-ყმური დამოკიდებულება სასულიერო პირებსა და თავად-აზნაურობას შორის ფაქტიურათ დაკულ იქნა თვით ბატონ-ყმობის გაუქმებამდის. გარდა ამისა სასულიერო წოდება თავის თავათ წარმოადგენდა თავისებურ კიბეს, რომლის მაღალი საფეხურები, ე. ი. ეპისკოპოსობა, მიტროპოლიტობა და კათალიკოზობა, — ეჭირათ განსაკუთრებით გამოჩენილ გვარების პირთ<sup>1)</sup>, და დაბალი წოდების პირნი იქ ძლიერ იშვიათად შესკუპდებოდნენ. ამ ნაირათ დ. ჭონქაძე თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით და ცხოვრების პირობებით მჭიდროთ შეკავშირებული იყო გლეხ-კაცობასთან. ამ გარემოებაზე ჩვენ განგებ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება, რადგანაც ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დანიელის ცხოვრებაში.

დ. ჭონქაძის მამას ერქვა გიორგი; მაზე ჩვენ ვიცით მხოლოდ შემდეგ: სწავლა მიუღია ნათლის-მცემლის მონასტერში, რის შემდეგ გაუმწესებიათ მღვდლათ. გასული საუკუნის ოცდამეათე და მეორმოცე წლებში იგი მსახურებდა მისიონერათ ოსეთის სასულიერო კომისიაში. ამ სამსახურში მან გამოიჩინა შესანიშნავი მხნეობა და ბოლოს თავიც გადააყლა. საზოგადოთ წარსული საუკუნის 30—40 წლები დიდი მოუსვენრობის და შფოთის დრო იყო მთიულეთში. ეს ნახევრათ ველური ხალხნი, მაჰმადის წარწმუნოებით გაჟღენთილნი, უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის მორჩილებას. სხვათა შორის, ქრისტიანობის გავრცელება მიაჩნდათ მათ ასეთი დამორჩილების ერთ იარაღათ. მამა გიორგი შეიქნა იმათი ფანატიკოსობის

<sup>1)</sup> 1798 წელს ნიჭოზის კათედრა თავისუფალი იყო, ამისთვის იშუამდგომლებ, რომ ეს ეპარქია მისცემოდა დიონისს, თავად ციციშვილთა ნაყმევს. მაგრამ ამაზე გიორგი XIII უარი სთქვა მხოლოდ იმიტომ, რომ ეპისკოპოსათ საქაროა «გვართ განთქმული კაცოა». იხ. პ. იოსელიანი: «გიორგი მეფის ცხოვრება», გვ. 198. ავტორი იქვე დასძენს: „საზოგადოთ მეფენი არა ადვილათ უბოძებდენ გლეხთა და აზნაურთაგანსა კათედრას“.

მსხვერპლი: 1845 წელს, სოფ. გიყარში (ოსეთშია), გზაზე მასჩაგენის  
დაესხა ფანატიკოსთა ბრბო და სიცოცხლეს გამოასალმა.

შვიდ წლამდის დანიელი „ცხოვრობდა თავის სამშობლო სოფელში—ყვავილში, დედასთან. დანიელის დედა, მელანია, მეტათკეთილი ადამიანი ყოფილა: მას ჩაუნერგავს თავის ერთათ-ერთი ვაჟისათვის—დანიელისთვის ბევრი ისეთი თვისებები, რომლებმაც შემდეგ კეთილი ნაყოფი გამოიღეს. დანიელს პატარაობიდანვე ეტყობოდა შესანიშნავი დაკვირვების ნიჭი და მკვირცხლი გონება. 1837—38 წლამდის დანიელი იზრდებოდა განსაკუთრებით თავისი დედის გავლენის და მზრუნველობის ქვეშ. ამ ხანებში მამა გიორგის თავის ოჯახი გადაუყვანია ვლადიკავკავში, სადაც იგი იმ დროს მსახურობდა. ამით, რასაკვირველია, სრულიად ნორჩი ბავშვი მოშორებია არა მარტო თავის სამშობლო სოფელს და ტოლ-ამბანაგებს, არამედ ყოველსავე იმას რაც შეადგენდა მისი მონათესავე ხალხის მწუხარებას, თუ სიხარულს, ზნე-ჩვეულებას თუ ხასიათს. ამ გარემოებას თავისი კვალი უნდა დაემჩნია ბავშვის აღზრდა-განვითარებაზე. ცხოვრებაში კაცს იმდენი მოულოდნელი და უნებლიეთი ნაბიჯის გადადგმა უხდება, რომ ძნელია იმის გადაჭრით თქმა: ეს სასარგებლო იყო და ეს უსარგებლოო. ამიტომ ჩვენც არაფერს ვამბობთ: სასარგებლო იყო თუ არა დანიელისთვის სამშობლო ქვეყანასთან დაშორება.

ვლადიკავკავში გადასახლების შემდეგ არაგასულა ნახევარი წელიწადი, რომ პატარა დანიელმა იმდენათ შეითვისა ოსური ენა, რომ ჩქარა დაიწყო მათე ლაპარა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მის მამასთან, როგორც მისიონერთან, ხშირი მისვლა-მოსვლა და დამოკიდებულება ჰქონდათ ოსებს. აქვე შევნიშნავთ, რომ შემდეგ დანიელმა ისე შეითვისა ოსური ენა, რომ ეს უკანასკნელი ვახდა თითქმის მის მეორე სამშობლო ენათ. მაშინდელი დროის მიხედვით, როცა 15—20 წლის ყმაწვილ კაცს აწყებინებდენ სწავლას, დანიელს შედარებით ძლიერ ჩქარა დაებადა სკოლაში შესვლის სურვილი. ქართული წერა-კითხვა მან კიდევ თავის სამშობლო სოფელში ისწავლა დედისაგან. სკოლაში შეყვანას კი მშობლები აგვიანებდენ, რადგანაც რვა-ცხრა წლის ბავშს სასწავლებელში იმ დროს არ ლებულობდენ. როგორც იქნა 1839 წელს დანიელი შევიდა ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებელში, როცა იგი მხოლოთ ცხრა წლის იყო. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ წლოვანებას არ დაებრკოლებია, მშობლებმა იგი 14

საქართველოს  
ისტორიის  
მუზეუმი

წლის გამოცემა 1). პატარა დანაელები ისე დაეწაფა სწავლის  
გორკი დიდიხანის მოწყურებული კაცი დაეწაფება ხოლმე ცუდ წესს.  
ამიტომ არა თუ მშობლები, თვით მასწავლებლებიც იძულებული იყ-  
ვნენ დაეშალათ მისთვის მეტი-მეტი მეცადინეობა. ბუნებით ნიჭიერი  
და სწავლის მეტათ მოწყურებული, დ. ჭონჭაძე საუკეთესო და სამა-  
გალითო მოწაფე იყო მთელ სასწავლებელში. ვლადიკავკაის სასუ-  
ლიერო სასწავლებელში მან სწავლა შეასრულა 1845 წელს და იმავე  
წელს გადმოვიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში  
სწავლის დროს დანაელის ცხოვრებაში შესანიშნავი არაფერი მომხ-  
დარა; იგი ითვლებოდა არა მარტო ნიჭიერ და სამაგალითო შეგირ-  
დათ, არამედ კიდევ უფრო საუკეთესო აზნაუცადაც. უნდა ვიფიქ-  
როთ აგრეთვე, რომ დანაელს სემინარიაში ყოფნის დროს თვითგან-  
ვითარებისთვისაც უნდა მოეკიდოს ხელი, რაც იმ დროს ახალი ბილი  
იყო მოსწავლეთათვის. იმავე დროს იგი უფრო ახლო ეცნობა მაშინ-  
დელ ჩვენ ცხოვრებას, რომელსაც იგი დაშორებული იყო მთელი რვა  
წლის განმავლობაში და რამოდენიმეთ ქართულ მწერლობასაც. მხო-  
ლოთ ამით აიხსნები ის ღრმა ინტერესი და ხალისი, რომლითაც შემ-  
დეგ, სწავლის დამთავრების შემდეგ, დ. ჭონჭაძე უკვირდებოდა ჩვენი  
საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებათ და ჭირ-ვაჩაშს და  
იმავე დროს კდილობდა მშრომელი ხალხის—გლეხ-კაცობის მონური  
მდგომარეობიდან დახსნისათვის.

1841

1851 წელს 11 სექტემბერს, სემინარიაში სწავლის შესრულე-  
ბისთავეან, ადგილობრივი სასულიერო მთავრობის განკარგულებით,  
დ. ჭონჭაძე დაინიშნა ოსური ენის მასწავლებლათ სტაფროპოლის  
სემინარიაში, სადაც იგი დარჩა სამ წელიწად ნახევარს, ე. ი. 1855  
წლის 5 აპრილამდის, როცა იგი ხელახლა გადმოიყვანეს იმავე საგ-  
ნის მასწავლებლათ თბილისის სემინარიაში. თფილისში გადმოიყვანა  
დანაელისათვის უფველათ ძლიერ სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩი-  
თვალოს მთელ მის ცხოვრებაში. ნათესავეებსა და ნაცნობებს გარდა  
აქ მის სხვა საქმე იზიდავდა, სხვა სამსახური იწყვედა. ეს იყო მოღ-  
ვაწრობა საზოგადოებრივ ასპარეზზე, რაც მას დიდიხანია სწავლდა  
და რაც ბევრათ უფრო შესაძლებელი იყო თფილისში, სადაც იმ ხა-  
ნებში ნელ-ნელა ცხოვრება იღვიძებდა. მაგრამ პირველათ აქ მას

1) აქედან იხსნება ის ვარაუზება რომ ერთ-ერთ ოფიციალური საბუთის  
კალაღში დანიჭილი 1839 წელს 14 წლისათ არის გამოყვანილი.



გადმოსვლისათნავე დიდი უბედურება შეემთხვა. არ გაძლიერდა მისი გადარჩევის შანსები, რომ დანიელს მოუხვედა საყვარელი მეუღლე, რომელიც მან სტავროპოლში შეირთო და რომელიც გარდაიცვალა ძუძუთიდან განთავისუფლების შემდეგ, დაუტოვა რა თავის ქმარს ერთად ერთი ვაჟი—გიორგი. მართალია, ცოლის დაკარგვამ სამუდამოთ მოუშაბა დანიელს სიცოცხლე, მაგრამ სასოწარკვეთილებას იგი არ მისცემია: იგი შეუდრეველათ მიდიოდა ერთხელ არჩეული გზით.

უწინარეს ყოვლისა დანიელის საზრუნავ საჯანს შეადგენდა მასი ნითოური მდამოპარეობის გაუმჯობესება. სემ-ნარიაში სამსახურისთვის იგი ღებულობდა წელიწადში სულ 200 მანეთს; ეს მას ვერ დაეკმაყოფილებდა. ამიტომ იძულებული შეიქნა გარდა ამისა კიდევ სხვა სამსახური ეშოე ა. აქ მას უშველა ოსური ენის ცოდნამ. სასულიერო შთაფრობას იმ დროს ძლიერ ესაქიროებოდა ოსური ენის მცოდნე. და დ. კონკაძე ამ შრომით ყველაზე უფრო გამოსადეგი იყო, დანიელს ჩაება მისთვის ადგილი სინოდალურ კანტორაში, ჯერ კერძოთ და 1859 წლიდან კა შერიცხულ იქნა შტატში, როგორც სტოლის უფროსი. აქ ჩუათ სწყალობდა მას სინოდალური კანტორის პროკურორი ტიურინი, რომელმაც მიანდო დანიელს. სხვათა შორის, სიკლესიო წიგნების თარგმნა ოსურ ენაზე. ტიურინის წინადადებით დ. კონკაძე გადათარგმნა ოსურ ენაზე რამდენიმე საეკლესიო წიგნი. სხვათა შორის, კოხთხევეანი, რისთვისაც მან მიიღო ჯილდოთ 350 მანეთი. ტიურინ სვე წინადადებით დანიელმა დიწყო რუსულ-ოსური ენის ლექსიკონას შედგენა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, თუ რა ბედი ეწვია ამ შრომას. ამ ნაიზათ, ნევიერათ დ. კონკაძე შედარებით უზრუნველყოფილი წეა, მაგრამ ამას შემდეგ მას ბევრი აღარ ეცოცხლა. გამუდმებულმა და მძიმე შრომამ ლექსა პურის მოპრებისათვის, ცალკე სემინარიაში, ცალკე სინოდალურ კანტორაში და იპავე დროს სიკლესიო წიგნების თარგმნამ ოსურ ენაზე, გაფაციცებით მეცაიხებამ თვითგანეთარებისათვის, და მთელი დამეუზის თენებად „სურამის ცაბის“ წერის დროს, რადგანაც სხვა დრო მას არ ჰქონდა, სულებით გასტეხეს და მოპალეს ახალგაზდა დანიელი, რომელიც ისინი იყო გამოვიდა საზგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე. დ კონკაძე გადარცვალა 1860 წელს 16 ივნისს ქრეჩისაგ. ნ, რომლის უტყუარი ნიშნები მას ერთი წლის წინეთ დაეცა. სიკვდილის წინ მთელი ექვსი თვის განმავლობაში ლოგინიდან

აღარ ამდგარა. საკვირველია, რომ როცა დანიელი იწეა და სიკვდილს ებრძოდა, ამ დროს მას თფლისში მოკვლას პირდებოდა მაშინდელი თავად აზნაურობის ერთი ნაწილი, რომელმაც, როგორც სარკეში ისე დაინახა თავის თავი „სურამის ციხეში“<sup>1)</sup>.

ძნელი სათქმელია, თუ რით დაბოლოვდებოდა დ. ჭონქაძის წინააღმდეგ აღწეოთება, რომ უღმობელ სენს იგი სამუდამოთ არ წაერთნია ქართველი ხალხისა და ნურლობისათვის. მაგრამ დ. ჭონქაძემ რომ დიდი უკმაყოფილება და დრტვინვა გამოიწვია „სურამის ციხის“ დაბეჭდვით მაშინდელი საზოგადოების გაუღენიან ნაწილში, ეს სხვათა შორის, იქიდანაც მტკიცდება, რომ ჟურნ. „ი. ი. კრის“ რედაქტორს, ი. კერესელიძეს, რომელიც დანიელს დიღს პატრეს ცემდა, მისი გარდაცვალების ამბავი ერთი სიტყვითაც არ მოუხსენებია თავის ჟურნალში, რომელიც. ნუ დაიფიწებთ, ერთად ერთი დრო-გამოშვებითი გამოცემა იყო მაშინ ჩვენში. ასეთი გაუგებობა, ჩე ნი აზრით, მხოლოდ მით უნდა აიხსნას, რომ ი. კერესელიძე ამჯობინა სრული სიჩუმე იმ კაცის გარდაცვალების შესახებ, რომელსაც იგი დიდათ აუხებდა და ღრია პატრეს სცემდა, ვინე იგი ცუდათ შოესხენებია, ენაიდან, წინააღმდეგ შენთხვევაში დ. ჭონქაძის მტრები მთელ თავიანთ შურისძიებას თვბთ მასზე გადაიტანდენ. კერესელიძისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ „სურამის ციხის“ დაბეჭდვის გამო დიდი საყვიდური მიიღო, და ზოგიერთებმა ჟურნალის გამოწერაზედაც უარი განაცხადეს, რაც თავის თავად იგულისხმებდა, დ დი დასჯა იყო. აი უმთავრესი ფაქტები „სურამის ციხის“ აეცტორის ცხოვრების შესახებ<sup>2)</sup>, რომლებიც ჩვენ შეგვირბთ. აშკარაა,

<sup>1)</sup> ი. ი. მის შესახებ წეროლი ქრელი ბექასი (უფედონიში ანტონ ფურცელი-ბისა) ჟურ. „სტკა-ში“, 1863 წ.

<sup>2)</sup> დანიელ ჭონქაძე ზარბია თფლისში, ვერის სახელაოზე, თავის ცოლის გვრდით. ეს თრივე საფლავი შემოღობილია რენის მტკრით, დანიელი საფლავს მალდოდან იდვენ საქმარისად სქლი თუჯის დიკარი შემდეგი ზედწერებით „Мѣсто погребен Даниѣла Георгиевича Чонхадзе. Родился въ 1830 году, скончался 16 Юня 1860 года“. მისი ცოლის საფლავს იდვენ უბრალო ვის ფიტარი აშნაოივე წარწერით. დანიელის სიკედილს შემდეგ რაც კი რამ ში დაინენია, ში ნათვაებუ და მკვობრებს ყოველივე გაუყოლით დასაფლავების და მგელის გაკეთების ბარჯის დასაფაოათ. აღბათ ამით აიხსნეა ის გარემება, რომ დანიელის სიკედილის შემდეგ ათავთარი ბელნაწერ არ დარჩენილი, ენაოდან ჩვენთვის წარბოდანენილია, რომ „სურამის ციხე“ აეცტორს სიკედილის შემდეგ არ დიტოვებ ნის რაიმე ბელნაწერი, თუ დაუშთავრებელი არა, დაწყებული შანს.



რომ ეს ცხოვრება გარეგანი გამომხატულებით, ფაქტებშია დასაბუთებული. ფოლა მდიდარი, და ეს გარემოება არა თუ წარდილავს თვით დ. კონქაძის ცხოვრებას, მის სულიერ და ზნეობრივ სახეს, არამედ ის დიდ გასაქირაში აყენებს მის ბიოგრაფსაც, რომელსაც ამის გამო არ შეუძლია გადაუშვალოს მკითხველს მისი ცხოვრების მთელი სურათი, ჩაახდოს იგი მის სულის მოძრაობაში, გააცნოს სავესებით მისი განზრახვანი, იდეები და მისწრაფებანი. სამწუხაროთ ეს ასეა, და ამის მიზეზი კი თვით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებაა, რომელიც საზოგადოთ ყოველთვის მეტათ ვიწრო ფარგლებში ყოფილა მომწყვდეული და ამიტომ იგი, ე. ი. ცხოვრება, ადამიანის პირად მოქმედებასაც მეტად ვიწრო სარბიელს ანიჭებდა. ჩვენში ყოველთვის შეზღუდული ყოფილა პიროვნების თავისუფალი მოქმედება, მისი ნიქის სრული გაშლა, მის მისწრაფებათა და იდეათა საფესებით და დაუბრკოლებლათ გამოვლენება. დ. კონქაძის შესახებ ეს მით უფრო ითქმის, ვინაიდან იგი გარდაიცვალა ისე, რომ მის ლიტერატურულ ნიქს გაფურჩქნა არც კი დასცლია. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იმ მწერლს, რომლის პირველი ლიტერატურული ნაწარმოები „სურამის ციხეა“, მომავალში ბევრი რამის შექმნა შეეძლო. და მართლაც, ივ. კერესელიძის ვადმოცემით, როცა ცენზორს „სურამის ციხის“ დაბეჭდვაზე ნება დაურთავს, დ. კონქაძეს მაშინვე განუზრახავს მეორე მოთხრობის დაწერა, სათაურით „ვისი ბრალია“, რომელშიაც ავტორი ბევრათ უფრო ფართოთ და ვრცლად უნდა შეხებოდა იმავე საგანს, რომელიც შეადგენს მისი პირველი მოთხრობის უმთავრეს შინაარსს, ე. ი. ბატონ-ყმურ ურთიერთობას. მაგრამ რამდენათაც ჩვენ ვიცით, დანიელი ისი გამოეხალმა სიცოცხლეს, რომ ამ მოთხრობის დაწყებაც ვეღარ მოასწრო.

დ. კონქაძის მოვლენება ქართულ მწერლობაში პირველი შეხედვით გასაკვირალია. მისი მონაწილეობა ქართულ მწერლობაში მიემსგავსება ისეთ ფარსკვლავთა გამოჩენას ცის სივრცეში, რომელგზიცი ვაანათებენ თუ არა, ისევე საბუღამოთ ქრებიან. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ დ. კონქაძემ თავისი „სურამის ციხით“ დატოვა ქართულ მწერლობაში გაუქრობელი სხივი, სანამ ქართული მწერლობის ხსენება არ მოისპობა. მაგრამ დ. კონქაძე შესანიშნავია არა მარტო იმით, რომ მან დასწერა „სურამის ციხე“, არამედ კიდევ უფრო თავის პიროვნებით, თავისი ჩამომავლობით და პირადი ღირსებით. იგი შესანიშნავია არა მარტო იმით, რომ მან პირვე-



ლათ აღძრა ჩვენში ლაპარაკი ძირითად საკირ-ბოროტო საკვების  
არამედ მით, რომ იგი გამოვიდა ისეთი წრიდან, საიდანაც მაქამდის  
ჩვენში საზოგადო მოღვაწენი არ გამოდიოდნენ, ვინაიდან ამ წრეში  
მით ნიადაგი არ ჰქონდათ. დ. ჭონქაძის გამოსვლა საზოგადო მო-  
ღვაწეობის ასპარეზზე მოასწავებდა იმას, რომ ასეთი ნიადაგი უკვე  
მზადდებოდა ჩვენშიაც. ამ ახალი ხანის, ამ ახალ-წყების მოღვაწეთა  
წინამორბედთა შეიქნა დ. ჭონქაძე, ე. ი. ის, ვინც ნამდვილი ხალხის  
შვილი იყო, ხალხის გულიდან გამოსული. როცა თქვენ აკვირდებით  
და სწავლობთ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას ამ 50 წლის წინკთ,  
განსაკუთრებით ჩვენ მაშინდელ მწერლობას, თქვენ შენიშნავთ, რომ  
დ. ჭონქაძე ჩვენ მწერლობაში დგას სრულიად განმარტოებული.  
მაშინდელ ჩვენ მწერლობასთან მას საერთო არაფერი არ აქვს. იგი  
არა გავს მათ არც ჩამომავლობით, არც ზნე-ჩვეულებით და უმთავ-  
რესათ არც თავის ნაწარმოების შინაარსით და მიმართულებით. ჩა-  
მომავლობით იგი ეკუთვნის დაბალ წოდებას, ე. ი. გლეხ-კაცობას,  
რომელსაც ბატონ-ყმობის ულელი აწვა კისერზე. მაშინდელი ჩვენი  
მწერლები უმეტეს ნაწილათ თავად-აზნაურები იყვნენ, და თუ ზო-  
გიერთ შემთხვევაში ისინი სხვა წოდებიდან იყვნენ გამოსული, მაინც  
მაღალ საზოგადოებაში ტრიალებდნენ. დ. ჭონქაძე კი ყველა ამები-  
საგან შორს იდგა და ერთხელაც არ უფიქრია ამ მაღალ საზოგა-  
დოებასთან დაახლოვება. იგი მხოლოდ ერთად ერთი ფიქრით, ერ-  
თად-ერთი აზრით იყო აღქურვილი, — დამონებული და დაჩაგრული  
ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობით. აქ მას არ ეტყობა რყევა,  
ორპირობა, ორაზროვნება; მისი განზრახვა, მისი წადილი და მის-  
წრადება აშკარაა; იგი ესარჩლება შეურაცხყოფილს და შევიწროე-  
ბულ ხალხს. ამ შემთხვევაში მეტათ საგულისხმიეროა ის გარემოება,  
რომ შეურაცხყოფილი და მიწასთან გასწორებული ხალხის გამოსარ-  
ჩლება პირველათ იქისრა თვით ამავე ხალხის ნამდვილმა შვილმა,  
რომელიც თვით ამ შეურაცხყოფილი და ტანჯული ხალხიდან იყო  
გამოსული. ეს გამოსარჩლება არ ყოფილა გამოწვეული არც საქველ-  
მოქმედო მიზნით და არც თავის მოსაწონებლათ, რაც ცარიელ სი-  
ტყვების გარდა არაფერში არ იხატებოდა, როგორც იყო გლეხების  
გამოსარჩლება ზოგიერთ თავად-აზნაურ მწერალთა მზრით. არა, დ.  
ჭონქაძის გამოსარჩლება ყველა ამ თვალთმაქცობას და ფარისევლო-  
ბას სრულიათ მოკლებული იყო, იგი იყო თვით გატირებული და  
ტანჯული ხალხის გულიდან ამონახეთქი ხმა, ამიტომ იგი ხმა რო-



გორც ლახვარი ისე მოხვდა ყველას, ვისაც ტანჯვაში და წყალობაში  
ბრალი ედვა.

მაგრამ ამისთვის არ კმაროდა მარტო ცხოვრების ცოდნა და  
დაზარალები ხალხისადმი თანაგრძნობა; ამისთვის საჭირო იყო ნათე-  
ლი გონება და ფიზიკური შეხედულება, ე. ი. საჭირო იყო კაცი, რომ-  
ლის გონება არ უნდა ყოფილიყო შებოქვნილი ბატონ-ყმური შეხედუ-  
ლებით და თავად-აზნაურულ იდეებში. ასეთი კაცი გამოდგა დ.  
ქონჭაძე, რომელსაც პატარაობიდანვე ჩაბეჭდილი ჰქონდა გულში იმ  
დროს არსებული ბატონ-ყმური წესწყობილების შემადრწუნებელი მზა-  
რეები. რაც დრო გადიოდა და დ. ქონჭაძის განათლება და თვით-  
განვითარება წინ მიდიოდა, ბატონ-ყმობის აუტანლობა მისთვის სულ  
უფრო და უ რთ აშკარა ხდებოდა. ბატონ-ყმობა შეიქნა იმ დროს  
ისეთი მძიმე უღელი ხალხისთვის, რომ მისი არსებობის გაგძელება  
ხალხს პირდაპირ განადგურებას უქადდა. როცა კაცს რაიმე სიმძიმე-  
აწევს თავზე, იმ დროს იგი მხოლოდ ამ სიმძიმის თავიდან მოშორე-  
ბაზე ფიქრობს, მისი ფიქრი და გონება მხოლოდ ამ ერთი აზრით  
არის აღჭურვილი, -- და თუ როგორ იქნება მომავალში მისი მდგო-  
მარეობა, ეს გარემოება მას იმ დროს სრულებით არ აწუხებს. ასე  
იყო ამ შემთხვევაშიაც: დ. ქონჭაძე ფიქრობდა როგორმე მხოლოდ  
ამ ბატონ-ყმობის მოსპობაზე, სხვა რამეზე ფიქრი იმ დროს არ შეი-  
ძლებოდა. დიდი გაჭირვება ან უბედურება ავიწყებამს კაცს პატარა  
გაჭირვებას ან უბედურებას. „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენი  
ბედნიერება არ შეიძლება“. -- ეუბნებოდა დურმიშხანი თავის სატ-  
რფოს და იმის პირით აქ ლაპარაკობს თვით ავტორი. ეს ისეთი  
დრო იყო, როცა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მოქმედება კი არა ფიქ-  
რიც აკრძალული იყო და დანაშაულად ითვლებოდა. ჩვენში ეს მიზნ-  
წარმოუდგენელი იყო. სხვანაირ პირობებში იყო საქმე თვით რუ-  
სეთში. იქ ამ საზარელი წესწყობილების წინააღმდეგ დიდი ხნიდან  
იბრძოდნენ, როგორც დაფარულად, ისე აშკარად, როგორც მწერლო-  
ბის საშვებებით, ისე სიტყვიერათაც. გასული საუკუნის მეორეოთხე  
წლების სახელოვან მოღვაწეთა გუნდმა, რომელსაც აშვენებდნენ:  
გერცინი, ბელინსკი, სტანკევიჩი, გრანოვსკი, ტურგენიევი და შემდეგ  
ფურნალ „სოვრემენიკ“-ის გამოჩენილი თანამშრომლები: ჩერნიშე-  
სკი და დობროლიუბოვი, თავის უპირველეს მიზნად ბატონ-ყმობის  
მოსპობა დასახეს; ეს იყო მათი მოღვაწეობის პროგრამის პირველი  
მუხლი. დ. ქონჭაძე ეცნობა იმათ ნაწერებს ჯერ კიდევ სემინარიაში

სწავლის დროს; შემდეგ როცა დანიელი სტავროპოლიდან გადმოსწავლ  
ნეს და იგი თბილისში დასახლდა, მან შეადგინა ახალგაზრდათა წრე,  
რომელიც იკრიბებოდა დანიურულ დროს. ამ კრების დროს ეს ახალ-  
გაზრდები რუსეთის გამოჩენილ მწერლების შესანიშნავ ნაწერებს კით-  
ხულობდნ და იმათი გარჩევის და კრიტიკის დროს არკვევდნ და  
მსჯელობდნ თანამედროვე საჰირ-ბოროტო კითხვებზე, განსაკუთრე-  
ბით ბატონ-ყმობაზე. ჩვენ არ ვიცით ვისგან შედგებოდა ეს წრე,  
ვიცით მხოლოთ, რომ დანიელს გარდა მაშინდელ ჩვენ მოღვაწეთა-  
გან მხოლოთ ლ. არდაზიანი ღებულობდა იმაში მონაწილეობას. ბ-მა  
იოს. ინდუაშვილმა, რომელმაც ჩვენ დ. ჭონჭაძის ცხოვრება გვიამბო  
და რომელიც ზევით მოხსენებულ წრეში ღებულობდა მონაწილეო-  
ბას, თავის საუბარი ასე დაამთავრა: „ჰ! ბევრი ბრწყინვალე იმედე-  
ბი და განზრახვა გვექონდა“-ო. ამ სიტყვებით იგი თითქო იმას ამ-  
ბობდა, რომ ყოველივე ეს მხოლოთ ამოება იყო და დანიელის სიკ-  
ვდილთან ერთად გაჭრა, ვითა სიზმარი ღამისაო. მაგრამ არა, უმ-  
ნიშენლოთ და უკვალოთ არაფერი არ ჩაივლის; ადამიანის ყოველ-  
გვარ მოქმედებას, მის სულის კვებებას და თავგანწირვას ყოველ-  
თვის თავისი საზღვარი აქვს, თავის შედეგი მოსდევს. თუმცა იმ  
წრის არსებობა, რომელზედაც ჩვენ ზევით გვეჭონდა ღაპარაკი, დიდ-  
ხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ უნაყოფოთ იმას მაინც არ ჩაუვლია:  
ღანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სურამის ციხის“ შექმნაზე  
იმას საკმარისათ დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დ. ჭონჭაძის მნიშენელობა მართო  
„სურამის ციხით“ არ განიზომება. პირადათ მას ისეთი მრავალი  
ღირსება ჰქონდა, რომ მისი ცხოვრება უნაყოფოთ არასოდეს არ  
ჩაივლიდა. სამწუხარო ის არის, რომ საზოგადო მოქმედებისათვის იმ  
დროს ჩვენში არ იყო ნიადაგი მომზადებული. ჩვენ ვიცით, მაგ, რომ  
ყოველ ზაფხულს, როცა დანიელს სამსახური ნებას აძლევდა, იგი  
დადიოდა თავის სამშობლო სოფელში, მიქონდა იქ სხვადასხვა წიგ-  
ნები, რომლებსაც უკითხავდა გლეხ-კაცებს და ამით სურდა გაეღვი-  
ძებია მათში წერა-კითხვის შესწავლის სურვილი. მაგრამ ვინ არ  
იცის, რომ იმ დროს გლეხ-კაცობისთვის წერა-კითხვის ცოდნა, კი-  
დეც რომ შესაძლებელი ყოფილიყო, უსარგებლო იყო, ვინაიდან  
იმისთვის მას არც მოცალეობა ჰქონდა და არც გამოსადეგი წიგნები  
მოიპოვებოდა.

## დ. ჰონტაძის დრო.

დ. ჰონტაძის ღვაწლს და მისი „სურამის ციხის“ მნიშვნელობას ჩვენ სავსებით ვერ დავაფასებთ, თუ პირველად ჩვენ არ გავიცანით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება გასული საუკუნის პირველ ნახევარში. ამიტომ ჩვენ განვიხილავთ აქ რიგ-რიგადად შემდეგ კითხვებს: რა ყოფაში იყო იმ დროს ბატონ-ყმურის ურთიერთობა, რას წარმოადგენდა მშინდელი ჩვენი საზოგადოება და ლიტერატურა.

### I. ბატონ-ყმობა.

ჩვენ აქ არ გამოვდგებით იმის გამოძიებას, თუ ძველ დროში, როგორი ბატონ-ყმური ურთიერთობა არსებობდა საქართველოში, ან თუ როგორ გაიზარდა და განვითარდა იგი ჩვენში. აქ ვებებით ჩვენ მხოლოდ იმას, თუ როგორი იყო და რას წარმოადგენდა ბატონ-ყმობა დ. ჰონტაძის დროს, ე. ი. მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ვიდრე მის გაუქმებამდე მთავრობის მიერ. რუსეთის მთავრობას დახვდა ჩვენში უკვე დიდი ხნიდან წარმოშობილი და განვითარებული დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის—ბატონ-ყმური ურთიერთობა. რუსეთის მთავრობა, პირველ წლებში მაინც, არავითარ ცვლილებების მოხდენას არ ფიქრობდა ამ ურთიერთობაში. 1801 წლის 12 სექტემბრის ცნობილ მანიფესტში ნათქვამი იყო, სხვათა შორის, შემდეგი: „ყოველი კაცი დარჩება თავის მდგომარეობის უპირატესობაში და თავის საკუთრებაში შეუხებლათ“<sup>1)</sup>. იმავე მანიფესტის ძალით სისხლის სამართლის საქმეები საქართველოში უნდა გაერჩიათ თანახმად რუსეთის კანონებისა. ხოლო სამოქალაქო საქმეები კი—თანახმად ვახტანგ VI კანონებისა. ან ნაირად ბატონ-ყმური ურთიერთობა დარჩა ისევე უწინდელ თავის ძალაში. რაში გამოიხატებოდა ეს ურთიერთობა ქართველ მეფეების კანონებით? როგორი ვახანდა იგი ცხოვრებამ მე-XVIII საუკუნის ბოლოს?

<sup>1)</sup> „Каждый пребудеть при преимуществяхъ состоянiя своего и при собственности своей неприкосновенно“.

ვახტანგ VI-ის „ღებულება“ პასუხს გვაძლევს პირველ კითხვაზე. აქ ნაჩვენებია გარკვევით, თუ რა უფლება ჰქონდა მემატონეს თავის ყმაზე, და ან თუ როგორ ფასობდა გლეხის სისხლი თავადის ან აზნაურის სისხლთან შედარებით. მართალია ვახტანგის „ღებულებაში“ მრავალ წინააღმდეგობას შეხვდებით. ასე, რომ იქ ერთი მუხლი ხშირად აუქმებს მეორე მუხლის ძალას. მაგ., ხსენებულ „ღებულების“ მე-258 ამბობს, სხვათა შორის, რომ თუმცა ბატონის უფლებას ყმაზე არავითარი საზღვარი არა აქვს, მაგრამ ბატონს არ შეუძლია ყმა სიცოცხლეს გამოასალმოს; მაშინ, როცა ამავე „ღებულების“ მე-95, პირიქით, გვეუბნება: „ბატონმა რომ მართლაც მოკლას ან დაამახინჯოს თავისი ყმა, ამ უკანასკნელს ან მის მემკვიდრეს არავითარი უფლება არა აქვს ბატონს ამისთვის რაიმე საზღაური მოსთხოვოს“. აქ საჭირო არ არის იმის განმარტება, თუ საიდან წარმოდგა ვახტანგ VI კანონმდებლობაში ასეთი წინააღმდეგობა<sup>1)</sup>. თავის თავად იგულისხმება, რომ ასეთი წინააღმდეგობა სრულებით ხელს არ უშლიდა მემატონეებს მოეხმარათ თავისი უფლება გლეხებზე ისე, როგორც მათ სურდათ: ასრულების დროს ისინი, ე. ი. მემატონეები, ხელმძღვანელობდნენ „ღებულების“ იმ მუხლით, რომელიც მათ სასარგებლოდ ამბობდა. აქ საჭიროა ვიცოდეთ, რომ გლეხი არა მარტო ნივთიერად იყო დამოკიდებული მემატონეზე, ე. ი. თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით და ცოლშვილით, მემატონე იმავე დროს იყო ყოველგვარი დავა-საჩივრის გამრჩეველი, მსჯავრის დამდები და თავისი განაჩენის ამსრულებელიც; მხოლოდ სიკვდილით დასჯის ნება არ ქონდა მემატონეს კანონით, მაგრამ სავაგიეროთ ცხოვრებამ და ჩვეულებამ მას ეს უფლებაც სავსებით მიანიჭა. მაგრამ ჯერ მხოლოდ ის განვიხილოთ, თუ თვით კანონის ძალით სადავლის მიდიოდა ბატონის უფლება ყმაზე.

§ 162 ძალით ბატონს შეეძლო ყმის შეტენა და გაცემა, ჩვეულებრივი ყრდვა გაყიდვით თუ ბოძება-ჩუქებით. §§ 358 და 260 ით ბატონს შეეძლო თავისუფლად ესარგებლნა თავის ყმის როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონებით. ეს უფლება გამოთქმულაა მთელი თავისი ძლიერებით ვახტანგის „ღებულებაში“ ამახიარად: „ყვის ყველა ბატონისა არისო“ (§ 258). დაურთეთ ამას § 95, რომლის ძა-

<sup>1)</sup> ვიხილეთ ეს კითხვა ვინტერესება, იმას შეუძლია მიმართოს ამისთვის ბ. ალ. საბანაშვილის წიგნი: „ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის.“ თფილისი, 1960 წ.



ლით ბატონი განთავისუფლებული იყო ყოველი პასუხის  
 როცა მას შემოაკედებოდა ან დაამახინჯებდა თავის ყმას. თუმც  
 § 201 ვახტანგას „დებულებას“ ამბობდა, რომ „ნურა-კაცი თავის  
 ყმას ნუ შეაწუხებსო“, მაგრამ ამას რა ძალა უნდა ჰქონოდა, როცა  
 თვით კანონმდებელმა მისცა სრული საბუთი მებატონეთ, თავისი შე-  
 ხედულებით და სურვილისამებრ ეხელმძღვანელოთ „დებულების“  
 სხვადასხვა მუხლით, როცა რა მოუხდებოდა. თავის წინასიტყვაობა-  
 ში კანონმდებელი ასე მიმართავს მსაჯულთა: „მსაჯულნო, 1) განიხი-  
 ლენით და განსაჯენით კანონები ესე და რომელინც დაგიჯდეთ და  
 საუკეთესოდ პოვოთ, იმით იხელმძღვანელეთო“. მსაჯულებმა—მე-  
 ბატონეებმა ასეთი რჩევა დიხვიეს ხელზე, და როდის რა გამოად-  
 გებოდათ და როდის რაში ხედვიდენ თავის პირად სარგებლობას,  
 იმით ხელმძღვანელიბდენ „სამართლის ქანის“ დროს, და სრულებით  
 არ ზრუნავდენ და არ სწუხდენ იმისთვის თუ რაზე ფიქრობდა თვით  
 კანონმდებელი, როცა მათ ასეთ დაროგებას აძლევდა. აქედან ჩვენ  
 აშკარად ვხედავთ, თუ რა შეუზღუდველ უფლებას და ძალას ანიჭებ-  
 და ჩვენი კანონმდებლობა მებატონეებს ყმებზე. მაგრამ ამ მხრით  
 ცხოვრებამ ბევრად გადააჭარბა კანონმდებლობას: ცხოვრებაში ეს  
 უფლება კიდევ უფრო გაფართოვდა, რის გამო იგი ძლიერ სასტიკი  
 და უღმობელი შეიქნა ყმებისათვის. ერთი სიტყვით მებატონეებს მიე-  
 ნიჭათ ბევრი ისეთი უფლებები, რომლებსაც მათ კანონები არ აძ-  
 ლევდენ. „ცხოვრებამ—ამბობს ალ. ხახ:ნაშვილი 2)—ჰუმანურსა და  
 ბრწყინვალე მხარეს ვახტანგის სამართლისას პირი უბრუნა, თავდაუ-  
 ქერცლმა თვითნებობამ შემუსრა კაცობრიული შეხედულება(3) ყმის  
 შესახებ, გაავრცელა უკანონო დამოკიდებულება ბატონთა და ყმათა  
 შორის და შავი დღე დააყენა... „ცხოვრებამ და პრაქტიკამ დიდა  
 ძალა მისცა ბატონს ყმაზე, იგი გაამეფა ყმის პიროვნებაზე, ჭონებასა  
 და შრომაზე... ვახტანგის კანონით, ბატონს არ შეეძლო ის, რაც  
 მიანიჭა შემდეგ ჩვეულებამო“ 3)... აღნიშნავს რა ყველა იმ ცვლილებას,  
 რომელიც ცხოვრებამ მოახდინა ბატონ-ყმორ ცხოვრებაში, პატივცემ-  
 ული ავტორი დაასკვნის: „საკმარისათ ჩანს, როგორ ვაბრუნდდა, აღ-

1) ნუ დავიწყებთ, რომ ეს მსაჯულნი იმავე დროს მებატონეები იყვნენ.

2) იხ. ზევით დასახელებული მისი წიგნი, გვ. 82—83.

3) მაგ., 1, კანონით ბატონს ეძლეოდა ყმის დაშინების ანუ დატუქვის უფ-  
 ლება; ჩვეულებამ მისცა მას ჯობით ცემის ნება, რაც ზოგჯერ სიკვდილით თავდა-  
 ბოდა ხოლმე. 2, ვახტანგმა დააწესა ზომა, დიდო საზღვარი ყმის სამსახურისა ბა-

მოიფხვრა კეთილი მზავე ეხტანგის კანონმდებლობისა. ზემოთხსენებულმა კვალი იმის ცხოვრებაში ჯერ ბეუტავდა, მერე გაქრა და სხვა-სხვაობა და, მოეჭკა ბატონის განუკითხველ ტირანიაში\*.

ასეთ მდგომარეობაში იყო საქმე მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, ე. ი. იმ დროს, როცა საქართველოში რუსეთის მთავრობა დაწესდა, როგორც ზევით ვამბობდით, ამით ბატონ-ყმურ ურთიერთობაში არავითარი ძირითადი ცვლილება არ მომხდარა: რუსეთის მთავრობამ ყმები დასტოვა წინანდელ მდგომარეობაში, ისეუ იმ „განუკითხველ ტირანიაში“, მით უმეტეს, რომ თვით რუსეთშიაც ასეთი იყო მათი მდომარეობა, თუ კიდევ უარესი არა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით ყმების მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესი ხდებოდა, იმათი შევიწროება და ტანჯვა თანდათან იზრდებოდა. ამ გარემოებას ხელს უწყობდა მრავალი მიზეზი. დავასახელოთ რამდენიმე იმათგანი.

1) საქართველოს რუსეთთან შეერთებით, ქართველ თავად-აზნაურობას სულ ერთიანათ წაერთვა ის ძირითადი უფლება, რომლის ძალით იგი, როგორც ფეოდალური წოდება, ქართველ მეფეებისა და მთავრების დროს მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებში, ქვეყნის მართვა-გამგეობაში; იმის მაგივრათ დაწესდა მოხელეების— „ჩინოვნიკების“ ბიუროკრატია. გარდა ამისა წინეთ თავად აზნაურობა ჩვენში, როგორც ყოველგან ფეოდალური წეს-წყობილების დროს, საერთოთ სამხედრო წოდებას წარმოადგენდა; რუსეთის მთავრობის დაწესებით, ამასაც არსებითათ ბოლო მოეღო. მართალია, მრავალი ქართველი თავად-აზნაურთაგანი მიდიოდა რუსის ჯარში, მაგრამ უმრავლესობისთვის აქ კარი დახუჭული იყო. ეს აიხსნება მით, რომ წინეთ ჩვენი მხედრობა სულ სხვა იყო, ვინემ რუსეთთან შეერთების შემდეგ. რუსეთის მხედრობაში სამსახურისთვის საჭირო იყო

ტონის წინაშე; ცხოვრებამ კი ისე გაუქირა საქმე უმას, რომ იგი თავის ბატონისაგან გაბზობდა, შეღავათს და შევლას სხვაგან ეძებდა. 3, წინეთ ყმის ყიდვა-გაყიდვა ყმით ვაჭრობა, თუ სულ აკრძალული არ იყო, რამდენიმეთ შეზღუდული კი იყო მაინც; ცხოვრებაში კი ყმა პირდაპირ აღებ-მომცემობის საგანი შეიქნა. 4, ბატონს არ შეეძლო ავტომატა ყმისთვის ერთი ბატონიდან მეორესთან გადასვლა; ცხოვრებამ ყმს ამის ნება მოუხპო. 5, კანონი უკრძალავდა ბატონებს ობლების ძალით წაგვანას სახლში მოსამსახურეებათ; მაგრამ ჩვეულებამ მათ ამის უფლებაც მაინცა, და არა თუ მოსამსახურეებათ მიყავდით მათი ყმის ობლები, არამედ თავის ყმის ცოლზე და ქალზე ძალის მპარობდენ დედაკაცური ნაძუსის ასახდელით და სხ. და სხ. იხ. ალ. ხაზანაშვილის დასახელებული წიგნი, გვ. 83—88.



ისეთი რამეები, რაც ქართველ თავად-აზნაურობას აკლდედ-  
 კუთრებით, სამხედრო დისციპლინა ანუ წეს-რიგის და თავდარიგის  
 დაცვა სამსახურის დროს. ამნაირათ ქართველი თავად-აზნაურობის  
 უმეტესი ნაწილი ერთბაშით მოწყდა ძველ ზნე ჩვეულებას და ერთ-  
 გვარ საქმიანობას: წინეთ უმეტეს ნაწილათ მთელ თავის დროს იგი  
 ან ომში ატარებდა და ან მეფესთან სამსახურში. ახლა კი იგი ყო-  
 ველსავე ამას დაშორდა. ერთათ ერთი მისი საზრუნავი საგანი შეიქნა  
 თავისი თავის და თავის ოჯახის შენახვა და რჩენა; ამიტომ იგი  
 ძალა-უნებურათ მიბმული დარჩა თავის ყმებთან, რომლებსაც იგი  
 მთელი თავის სიმძიმით დააწვა ზედ კისერზე. თუ წინეთ შევიწროვ-  
 ბული იყვნენ ყმები მებატონეთა სამსახურით და ბევრათ, ახლა  
 ყოველივე ეს ერთი-ორათ და ერთი-სამათ უნდა გადიდებულიყო,  
 ვინაიდან სხვა საქმე მათ აღარაფერი იტაკებდა.

2) მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე იწყება ჩვენი ნატურა-  
 ლური მეურნეობის დარღვევის და გაქრობის ნელი პროცესი. ამ  
 დროიდან დაწყებული ჩვენი ქვეყანა სულ უფრო და უფრო ეცნობა  
 ევროპიდან თუ სხვა ქვეყნიდან შემოტანილ საქონლის გემოს; ამას-  
 თანავე ჩნდებიან ახალი მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილე-  
 ბა შეუძლებელი იყო შინ გაკეთებული ნაწარმოებით. მაშასადამე,  
 ფულის საჭიროება თანდათან და სულ უფრო და უფრო საგრძნო-  
 ბელი ხდებოდა. ამჟამად, რომ ყოველივე ეს უწინარეს ყოვლისა უნდა  
 დასტყობოდა იმავე თავად-აზნაურობას, რომელსაც საზოგადოებაში  
 პირველი ალაგი ექარა. მართალია, მას მოაკლდა ძველი დიდება,  
 მაგრამ სამაგიეროთ მას მიეცა უფრო მეტი დრო განცხრომისა და  
 ფუფუნებისათვის. საჭირო იყო ამისათვის საშვალეება, ე. ი. ნივთიერი  
 შეძლება, დრო და მოკალეობა თავსაყრელათ ჰქონდათ, მოთხოვნილე-  
 ბის გაფართოებას და გადიდებას, რა თქმა უნდა, შეძლების გადი-  
 დება ფეხდაფეხ მისდევდა. თავად-აზნაურობის შეძლებას, მის ერთათ  
 ერთ ავლადიდებას შეადგენდნენ ყმები და მამული, ე. ი. მიწა-ადგი-  
 ლი, რომელსაც ეს ყმები ამუშავებდნენ. ეს იყო ერთათ-ერთი წყარო,  
 საიდანაც თავად-აზნაურობას (ჯამაგირს სახელმწიფო სამსახურისა-  
 თვის ჩვენ არ ვღებულობთ მხედველობაში, ვინაიდან ამას შიორე  
 მნიშვნელობა ჰქონდა) მოსდიოდა: ჰური, ღვინო, ხორცი, ტან-ფეხ-  
 საცმელი და სხ. თუ მივიღებთ მხედველობაში ქართველ თავად-  
 აზნაურობის სიმრავლეს ხალხის რიცხვთან და ქვეყნის ტერიტორიას-  
 თან შედარებით, თითოეულ თავადის ან აზნაურის შემოსავალი ვერ



იქნებოდა დიდი სხვა ქვეყნების მებატონეების შემოსავალთან შედარებით; და რაც დრო გადიოდა თავად-აზნაურობის გამრავლების გამო, ამ მცირე შემოსავალსაც უნდა ეკლო. იმავე დროს კი, როგორც ჩვენ დავინახეთ, თავადის და აზნაურის მოთხოვნილება, სხვადასხვა პირობების მეოხებით, დაკლებების მაგიერ კიდევ უფრო იზრდებოდა და მატულობდა. მეტი ღონე არ იყო: თავად-აზნაურობას საიდანაც უნდა ყოფილიყო, უნდა ეშოვნა საშვალეა თავის გაფართოებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მის ჰქონდა ამისთვის მხოლოდ ერთი-ერთი წყარო: ეს იყო სხვადასხვა გვარი გადასახადი და ბეგარა, რომელსაც იხდიდა გლეხ-კაცობა მებატონეთა სასარგებლოთ. მებატონეები შეუდგენ ამ გადასახადის და ბეგარის მომატებას; ცთილობდნენ გამოეწოვათ გლეხ-კაცობიდან რაც შეიძლება მეტი ზრომა, მეტი სისხლი; სადაც ნება-ყოფლობით ვერას გადადიოდნენ, იქ ძალას ხმარობდნენ, რის შედეგი იყო გლეხ-კაცის ოჯახის სრული განადგურება. თუ წინეთ მებატონეები რამდენიმეთ უფრო თხილდებოდნენ თავიანთ ყმების ოჯახს, ერთდებოდნენ იმათ სახლ-კარის აკლებას და განადგურებას, და პირიქით ცდილობდნენ, რომ ისინი ღონიერი და შეძლებული ყოფილიყვნენ, ვინაიდან ყმების შეძლება და ღონიერობა იმათ მებატონეთა შეძლებას და სიმდიდრეს მოასწავებდა, ახლა ყმების ბედ-იღბალი აღარავის აფიქრებდა: ასე გვევლინებოდათ თითქო მებატონეში ერთბაშათ გაქრა ყოველგვარი ფიქრი მომავალზე. მათ აწუხებდა მხოლოდ დღევანდელი გასატირი, დღევანდელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება; მის შემდეგ ჭეპაზედაც ნულა-ყოფილა; იმას ათას წილათ ერჩია დღევანდელი კვირები ხვალინდელ ქათამს, და აი, კიდევაც მიყო ხელი გლეხ-კაცის ოჯახის დაწიოკებას და აკლებას, თითქო ეს ოჯახი მას მომავალში აღარ დასჭირდებოდა. ამის შედეგი ის იყო, რომ ხალხში ჩამოვარდა უკმაყოფილება და ატყდა დაუსრულებელი დავა-საჩივარი: ხალხს ეგონა, რომ ახალ დაარსებულ რუსეთის მთავრობა მას გამოეწაარღებოდა და დაიფარავდა მებატონეებისაგან<sup>1)</sup>. მაგრამ რუსეთის მთავრობის მთავარ საზრუნავ სავანს სულ

<sup>1)</sup> ერთი თვითყალღა დოკუმენტ, სხვათა შორის, მიწმობს, რომ ებრაელი ხალხი, რომელსაც ჩაგრავდნ თავადები, როცა მან გაიტანა რუსეთის მფარველობაზე, ვულწრფელ ხმაირულს უცბადებდა ახალ მთავრობასო. იხ. A. A. Kas. Apr. Koz., T. II გვ. 466.



სხვა რამე შეადგენდა: ეს იყო ერთი მხრით გამაჯრება ანუ მფრთხილველობა ერთებულ ქვეყანაში და მეორე მხრით კავკასიის დნ რჩევი ნაწილის დაპყრობა და შემოერთება. და მიუხედავით ამას, თუ მაინც რუსეთის მთავრობამ ჩვენებურ მებატონეებსა და ყქებს შორის ატეხილ დავა-საჩივრებს ყურადღება მიაქცია და მოინდომა, რამდენიმეთ მაინც, იმათი ურთიერთ დამოკიდებულების გაწესრიგება, ეს მხოლოთ იმას უნდა მიეწეროს, რომ სსენებული ურთიერთობა მეტათ გამწვანებული შეიქნა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ჩვენ ვიცით ორი მაგალითი ასეთი გაწესრიგების ცდისა მთავრობის მხრით; ორივე ცდამ სრულიად უნაყოფოთ ჩაი.რა გლ.ხეზისათვის, ვინაიდან ბატონ-ყმფირი წესწყოზილების არსებობა სრულეზით ამოთ ყოფდა რაიმე წესრიგის დამყარებას ბატონ ყმფირ ურთიერთობაში: წესრიგი: შემოღება ორ მოწინააღმდევე მხარეთა შორის მხოლოთ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ორივე მხარეს ერთნაირა და თანასწორი უფლება და შეძლება აქვს დაიცვათ ეს წესრიგი. ამიტომ სრულეზით ამო იყო რაიმე წესრიგის შემ-ღება იქ, სადა ე-რ-თ მხარეზე იდგა ყოველგვარ უფლებით აღჭურვილი და შეიარაღ ბული თავად-აზნაურობა და მეორეზე კი ყოველგვარ უფლებას მოკლებული და პირუტყვათ მიჩნეული გლეხ-კაცობა, რომელიც სულიან-ხორცა-ნათ თავად-აზნაურობაზე იყო დამოკიდებული.

პირველათ საქართველოს უმაღლეს მთავრობს 1826 წ. დაება-და აზრი საქართველოს მებატონეებსა და ყქებს შორის ურთიერთ დამოკიდე ულებათა ცნობაში მოყვანისა. ცნობების შეკრების შემ-დეგ, 1826 წელს, საერო საკრებულომ ის აზრი გამოთქვა, „რომ საქართველოში არ არსებობს განსაზღვრული გადასახადი და ბეგარა, იმათი აღების წესრიგი სხვა-და სხვაა და დამოკიდებულია მებატონეთა თვითნებობაზეო<sup>1)</sup>. თუ ერთი მხრით გლ ხ.კაცობა ურ ოლდა თავად-აზნაურობას გადასახადის და ბეგარის მომ ტეას და უზო ო შევიწ-ოებას, რაც ძველათ არ ყოფილიყო, მეორე მხრით არც თავად-აზნაურობა იყო ამ დროს ჩუმათ: პირიქით იგი ქრავ ლ თეფეების კანონებით და ჩვეულებებით ამტკიცებდა თავის ბოთ უნილუცია საფუძვლიანობას და სიმართლეს. ყველაზე უფო შესანიშნავია ამ მხოთ თეღავის თავად-აზნაურობის მოხ ენება, წარდაცილი იპავე 1826 წელს საქართველოს უმაღლესი მთავრობს საერთო კრების-

<sup>1)</sup> იხ. Кн. Мах. Тумановъ. О крепостномъ правѣ въ Грузіи, гл. 18.



დმია). ამ მოხსენებაში ჩამოთვლილია ყოველკაცი სამსახურითა და მელთა შესრულებათა სპირო იყო ყმების (ხრით მებატონეთა) სასარგებლოთ; დასახელებულია აგრეთვე ყოველკაცი გადასახადი და ბეგარა, რომლებსაც ყმები იხდიდნენ თავის მებატონეთა სასარგებლოთ; შემდეგ ნაჩვენებია, თანხმით კანონებისა და ჩვეულებისა, თუ რა უფლება აქვს ბატონს თავის ყმაზე. სულ მოხსენებში 38 მუხლია, რომლებიდან აშკარათ ჩანს, რომ თელავის თავად აზნაურობა ძლიერ ცდილია არ დაევიწყებია არც ერთი სამსახური, ბეგარა თუ გადასახადი, რაც კი ვალათ აწვა გლეხ კაცობის თავად-აზნაურობის სასარგებლოთ. და მართლაც აქ არაფერი არ უნდა იყოს დაეწყებული, მაგრამ ასე არ შეიქონებდა თელავის თავად-აზნაურობა; იგი შეშინებულია: ვი თუ რამე დამაევიწყდა და შევძევ ამაზე უარი მიიბრუნებდა; ამიტომ იგი თავის მოხსენებაში დასძენს, რომ იმას შეუძლებლათ მიაჩნაა გიხსენოს ყველა ის სამსახური, რომელიც გლეხკაცობა მოვალეა შეუსრულოს მასო<sup>1)</sup> (ე. ი. თვად-აზნაურობას); ყოველ შემთხვევაში, ბატონის უფლება და ვადაც კმაზე „შეუზღუდველია“, აცხადებს თელავის თავად-აზნაურობა თავის მოხსენებაში, და მით გვეჩვენება სრულ სიმართლეს, თუ ვინაა (წარეკი არის ეს სიმართლე. ყოველივე ეს გვიმტკაცებს, რომ ამ ხანებში ბატონს თავისი ყმა მთელი მისი სარწო საბადებელით და კოლმეილით სრულ თავის საკუთრებათ მიჩნად; იგი ბატონობდა მის სულსა და ხორცს; ყმა მის თვალში უბრალო სახმაოი ნივთი იყო და მეტი არაფერი.

ამნიირათ მთავრობის ეს პირველი ცდა დაბოლოვდა მით, რომ მან სწო ბატონის შეუზღუდველი უფლება ყმაზე, რომ ბეგარას და გადასახადს, რომელსაც იადის გლეხი ბატონის სასარგებლოთ, არავითარი საზღვარი, არავითარი ზომა არ აქვს და დამოკიდებულია ბატონის თვითნებობაზე და სხ. მაგრამ ეს ვერ მოსპობდა გლეხის დრტიუნას და უკმაყოფილებას. საქმის განხილვიდან ჩანს, რომ გლეხები ხშირათ უარს ანიბობდნენ რომელმე ბატონის გადახდაზე ან სამსახურის შესრულებაზე; მებატონეები ამ შემთხვევაში მთავრობას თხოვდნენ, რომ მას ძალა ეხმარა უფრო გლეხების მოსარგებლოთ.

1) იხ. Акты Кав. Ар. Кнж., т. VI, ч. I, гл. 82-84 შემოკლებით მოყვანილია აგრეთვე ილია ბატონის წიგნი: „Податное обложение госуд. крестьян Закав. Края, Тифлиси 1887 г. гл. 9-11.

ამიტომ შეტაკება ხდებოდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე; მდკუპრეფუ...  
გაკვირდა, საჭმე იქამდის გამწვავდა, რომ ამ საერთო უკმაყოფილებას  
და დრტვინვის ხმამ პეტრობურგამდისაც მიიღწია. ამის გამო პეტერ-  
ბურგიდან მეორმოცე წლებში იგზავნება სახელმწიფო საბჭოს წევრი  
ბარონი განი, რომელსაც ადგილობრივ უნდა შეესწავლა ბატონებსა  
და ყმებს შორის ატეხილი შუთი და აყლ-მაყალი. ბარონ განის ვა-  
მოძიებამ ის შედეგი იქონია, რომ 1842 წელს იმ მიზნით, რომ ბო-  
ლო მოედოს იმ დაბრკოლებათ, რომლებიც მთაერობას ხდებოდა  
ურთიერთ საჩივრების გარჩევის დროს გლეხების მებატონეებზე და  
მებატონეთა გლეხებზე, მინისტრებმა: სახელმწიფო ქონებათა, ფი-  
ნანსების და საშინაო საქმეების, საქაროთ სცნეს ერთხელ და სამუ-  
დამოთ განსაზღვრული ყოფილიყო ყოველგვარი ბეგარა თუ გადასა-  
ხადი, რ-მელიც გლეხები ვალდებული იყვნენ ეხადათ მებატონეთა  
სასარგებლოთ<sup>1)</sup>. ეს კეთილი განზრახვაც მხოლოთ ქალაღზე დარჩა,  
სანამ მებატონეთა შეუზღუდველი უფლება ყმებზე არ აიღაგმა თვით  
ბატონ-ყმობის გადაეარდნით 1864—ნ წლებში.

3) აქ უნდა დავასახელოთ ჩვენ კიდევ ერთი გარემოება, რო-  
მელიც თავის თავით მცირე მნიშვნელოვანია, მაგრამ რომელმაც,  
მიუხედავათ ამისა, დიდათ აენო გლეხების ინტერესებს, ვინაიღგან  
ხელს უწყობდა იმათ დაჩაგვრას. ჩვენ ვამბობთ იმ დროის მოხელე-  
ებზე, ე. ი. პოლიციის და სასამართლოს „ჩინოვნიკებზე“. ჯერ დღე-  
ვანდელი „ჩინოვნიკები“ რა არიან და მაშინდელი ხომ რაღა იქნე-  
ბოდნ. მთაერობა იმ დროებაში „ჩინოვნიკებათ“ ნიშნავდა უმეტეს  
შემთხვევაში ქართველ თავად-აზნაურობას, უფრო იშვიათათ კი—  
რუსებს. მაშინდელ მოხელეთა განათლება სწორათ უბრალო წერა-კი-  
თხვის ცოდნის იქით არ მიდიოდა. რომ ქართველი თავად-აზნაური  
მოხელეს როლში სწორი და მიუდგომელი მოსამართლე არ გამო-  
დგებოდა გლეხ-კაცობისათვის, ეს თავის თავით აშკარა უნდა იყოს;  
მაგრამ მეორე მხრით, არც რუსი—მოხელე იქნებოდა ასეთი, ვინაი-  
ღგან სწორი და პირუთენელი მართლმსაჯულებისათვის საჭიროა  
უწინარეს ყოვლისა განათლებული გონება, და ეს კი მაშინ ყველა  
მოხელეს აკლდა, რუსი იყო იგი, თუ ქართველი. მაშინდელ მოსამა-  
რთლეთა სასწორი იქით გადაიხრებოდა, საიდანაც ისინი რაიმე ნი-  
ვთიერ სარგებლობას მოელოდნ. მაშინდელი მექრთამეობა აშლაქ

<sup>1)</sup> ი. Е. М. Тунановъ, 1 с. 43. 18.

საარაკოთ არის გადაქცეული. როცა მებატონე თითონ არსადაც არაფერი  
სამართლეს, იმას მაინც ყოველთვის შეეძლო, რომ სამართლის სას-  
წორი მისკენ გადახრილიყო, ვინაიდან ამისთვის საკმარისი იყო მხო-  
ლოთ მოხელეს დაქრთამვა, მოყიდვა. ამ უკანასკნელის ხელში კი სა-  
მართალი მხოლოდ „აბრუნდ-გაბრუნდის“ თამაშობა იყო (გ. ერის-  
თავი, — „დავა“) და მეტი არაფერი. საითაც გაეიტყვი იქით წაეიტყ-  
ციო, — შეეძლო ეთქვა მაშინდელ გლეხ-კაცობას თავის თავზე: მის-  
თვის ყოველგან დახშული იყო კარი, არსად არავითარი შეღება.

ამნაირათ, როგორც კანონმდებლობა, ისე მაშინდელი ცხოვრე-  
ბის პირობები შევილიდნენ გლეხ-კაცის სრულიად განადგურებას. არ  
იყო არც ერთი გარემოება, რომელიც ამას წინ გადაღობებოდა და  
იგი შეეჩერებია. მებატონეებიც არ იხევედნენ არაფრის წინაშე: იმათ-  
თვის არ იყო არც შიშო და არც სირცხვილი. გლეხის ოჯახის განა-  
დგურება, ყმების დაყიდვა, დედა-კაცებისათვის ძ-ლადობით ნაბუსის  
ახდა, „პირველი ღამე“, ურჩი ყმების სასტიკათ დასჯა და იმათი მო-  
ძრავი ქონების მითვისება, — იმათთვის სანაქებო, საგმირო საქმე იყო.  
ეს ის დრო იყო, როცა მებატონეები აღარ ზოგვიდნენ ყმებს; როცა  
უპარალო დანაშაულისთვის ადამიანს სასტიკათ სტანჯავდნენ, აბანენ  
ურემში, ავდებენ თონეში, აუბატიურებენ დედა-კაცებს; ეს ის დროა,  
როცა ყმას არც თავის ქალის გათხოვება შეუძლია და არც ცოლის  
მოყვანა ბატონის ნება-დაურთველათ და ამის შემდეგაც „პირველი  
ღამე“ ბატონის არის. ეს ის დროა, როცა ყმები მთელი თავისი  
უძრავ-მოძრავი ქონებით, სახლ-კარით და მიწა ადგილით, თავისი  
მამულ-დედულით და ცოლშვილით, ხდებიან აღებ მიცემობის საგნათ.  
მართალია ყმების გაყიდვა წინედაც იყო გავრცელებული ჩვენში. მა-  
გრამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ეს სამარცხვინო ხე-  
ლობა თანდათან უფრო განვითარდა. ყიდდნენ როგორც საზღვარგა-  
რეთ (ოსმალეთში და სპარსეთში), ისე შინ. ყიდდნენ, როგორც ოჯა-  
ხის ცალკე წევრებს, ისე მთელ ოჯახებს. ყიდდნენ, როგორც მთელი  
ოჯახობით, ისე ცალ-ცალკე მის წევრებს: შვილებს ცალკე ყიდდნენ  
და მშობლებს ცალკე, ძმას ერთ ადგილას ყიდდნენ და დას მეორე  
ადგილას. მებატონეებს არ მიაჩნდათ ყმებში მშობლიური სიყვარული  
ან ნათესავეური გრძნობა; იმათ ვერ წარმოედგინათ, რომ ყმებიც ადამ-  
იანები იყვენ და შეეძლოთ სიყვარული, რომ ამათაც ჰქონდათ  
გრძნობა. მებატონეები არ ემაყოფილდებოდნენ ხარკის და სხვა-  
დასხვა გვარი სამსახურის შესრულებას ყმების მხრით; ისინი ღაბაჯდნენ



და შეურაცხყოფას აყენებდნენ იმათ პიროვნებას. ამას უნდა დაემატებინათ ის, რომ ასეთი ადამიანის ღირსების დამამკირებელი და შემარცხველი მდგომარეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთნაირად არ იყო გავრცელებული: იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში ეს უკიდურეს ხარისხამდე იყო მისული.

შეიძლება წინანდელ დროში ასეთი დამკირება და შერცხვენა ადამიანის ღირსებისა, ასეთი ფეხქვეშ გათელვა მისი პიროვნებისა შეუმჩნეველათ ჩაივლიდა და საზოგადოებაში არ დაბადებდა უკმაყოფილებას და არ აიღვლეებდა მას; მაგრამ იმ დროზე, რომელზედაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, ე. ი. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარზე, ეს უკვე აღარ ითქმოდა. ის პირობები, რომლებმაც წელი მოსტეხეს თავად-აზნაურობას, როგორც ფეოდალურ წოდებას და რომლებმაც გაუფართოვეს და განუფითარეს მას შოთხოვნილებები, ასე იყო თუ ისე, მოქმედებდნენ გლეხ-კაცობაზედაც, რომელშიაც ნელ-ნელა ილვიძებდა ადამიანური გრძნობა, თავისი პიროვნების ღირსების შეგნება. ეს იყო ის პირობები, რომლებიც ძირს უთხრიდნენ დაპოქსებულ და დახავსებულ ნატურალურ წარმოებას და რომლებიც იმავე დროს ამზადებდნენ იმ გვარ ნიადაგს, სადაც შეუძლებელი იქნებოდა ბატონ-ყმური წესწყობილების არსებობა. ამას ახდენდა არა ჰუმანიური და კაცთ მოყვარული იდეების გავრცელება, რომლებსთვისაც ჩვენში ყოველთვის დაბნული იყო კარები, არამედ უცხოეთიდან შემოტანილი სახმარი ნივთები ე. ი. უცხოეთის საქონელი. რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველოში თანდათან მატულობს უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის რაოდენობა; ვაჭრობა-აღებმიცემობა თანდათან იზრდება; ამასთანავე საზოგადოებაში აქა-იქ ჩნდება და თანდათან ძლიერდება ფულის შექმნის, გამდიდრების სურვილი. მაგრამ ვაჭრობა-აღებმიცემა ძირეულათ ეწინააღმდეგება ბატონ-ყმურ წესწყობილებას. ვაჭრობისათვის საჭიროა პიროვნების თავისუფლება და ქონების, საკუთრების სრული ხელ-შეუხებლობა. ბატონ-ყმობა კი არა სცნობს არც ერთსა და არც მეორეს. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ თუკ ბატონ-ყმობის დროის ყმები არ იყვნენ თავისუფალი და ხელ-შეუხებელი, მაგრამ სამაგიეროთ მებატონეები იყვნენ თავისუფალი და დამოუკიდებელიო. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა: ჯერ ერთი ისა, რომ მებატონეები მართლაც რომ თავისუფალი ყოფილიყვნენ, ეს ვაჭრობას არაფერს არგებდა, ვინაიდან თავად-აზნაურობისათვის ეს თავის მოჭრაა, სამარცხვინო ხელობაა. მეორეც ისა,



რომ ბატონ-ყმობის და საზოგადოთ ყოველგვარი მონურა წესწყობილება  
ლობის დროს თავისუფალი არაფერ არ არის, თვით უპირველესი და  
უდიდესი მებატონეცკი მოკლებულია იმას, რასაც თავისუფლება  
ეწოდება. ნურაფერ იფიქრებს, რომ იქ, სადაც ხალხის უმრავლესობა  
დაძინებულია და მაშინ თავისუფლების გრძნობა დახშული, ხალხის  
უმცირესობისათვის არსებობდეს ეს თავისუფლება. არა, იქ, სადაც  
საზოგადოების ერთი ნაწილი მოკლებულია თავისუფლებას, იგი თავი-  
სუფლება არც მეორე ნაწილისათვის არსებობს; იქ ყველა მონაა, ყვე-  
ლას იქ აღრჩობს ერთი და იგივე საზოგადოებრივი წესწყობი-  
ლება.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ალემბიციემობის აღორძინებას  
და განვითარებას ჩვენში წინ ელოებოდა ისეთი დაუძლეველი ძალა,  
როგორც ბატონ-ყმობა იყო, ეს ალემ-ბიციემობა მაინც უნდა განვი-  
თარებულყო; მისი ზრდის შეჩერება შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან  
უცხო ქვეყნებიდან საქონლის შემოტანა თანდათან მატულობდა; და  
მასთან ერთად, მაშასადამე, საზოგადოებაშიაც იზრდებოდა სურვილი  
ფულის შექმნისა, გამდიდრებისა, რაკი ასეთი სურვილი დაიბადა სა-  
ზოგადოებაში, იმის აღმოფხვრა შეუძლებელი იყო; პირიქით, იმას  
უნდა თანდათან გაეყვალა ცხოვრებაში კალაპოტი, რომ მისი ზრდა  
და განვითარება არ დაბრკოლებულიყო. ამნაირათ ბატონ-ყმურ ურ-  
თიერთობის გვერდით წარმოიშვა და გაიზარდა სრულიად ახალი  
ცხოველ-ყოფელი ძალა, რომელსაც ბატონყმობა უნდა-დაემხო და  
მის ადგილას თითონ გაბატონებულიყო. მაგრამ ეს არ მოხდებოდა  
უბრძოლველათ; პირიქით, საჭირო იყო ბრძოლა სასტიკო, შეურიგე-  
ბელი. რასაკვირველია, მებატონეთა და ყმებს შორის ბრძოლა წინე-  
თაც არსებობდა, ვინაიდან კლასობრივი ბრძოლა ისე ძველია, რო-  
გორც თვით კაცობრიობის ისტორია; იგი არსებობს მას შემდეგ, რაც  
ადამიანთა შორის უფროს-უმცროსობა გაჩნდა და ერთი ადამიანის  
შრომას თუ შრომის ნაყოფს მეორე დაეპატრონა, მაგრამ ეს ბრძოლა  
უმეტეს შემთხვევაში დაფარული, გამოუცხადებელია; იგი მხოლოდ  
ხანდახან ხდება აშკარა, თვალსაჩინო. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყ-  
ისამდე ქართველმა მებატონეებმა თითქმის არ იცოდნენ, თუ რა იყო  
ყმის წინააღმდეგობა; იმათ არ ენახათ, თუ რა შეუძლია გაუბედურე-  
ბულ და დამცირებულ ადამიანს, როცა იგი თავის შეწყუბებას და დამ-  
ცირებას გრძნობს და იმავე დროს აქედან თავის დახწევას ლამობს.  
მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნემ ანახვა მათ ეს მწარე გამოცდილება!



მართალია არც გლეხებს უჯდებოდათ ეს იაფათ: უზომო ზოგჯერ სიკვდილით დასჯა, სამშობლოდან გადახვეწა,— ამ წინააღმდეგობის და ამ ბრძოლის შედეგი. მაგრამ მათ არაფერი არ ახვეინებდა უკან. რამდენათაც ჩვენ ვუახლოვდებით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისს, მებატონეთა და ყმებს შორის განწყობილება სულ უფრო და უფრო მწვევდება და მათ შორის ბრძოლა სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება. თუ მებატონეთა მხრით გახშირდა ყმების შევიწროება, მათი ოჯახის განადგურება და გაცივება, იმათი ადამიანური ღირსების შელახვა, დედაკაცების გაუპატიურება და ნამკისის ახდა და სხ. და სხ.,—ამ დროს არც გლეხები იყვნენ გულზე ხელ-დაკრეფილები, არც ისინი შესცქეროდნენ ამას გულგრილათ. ჩვენ ვხედავთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეორე ნახევარში წლებში გახშირდა მებატონეთა ამოწყვეტა მთელი ოჯახობით; სადაც ამას ვერ ახერხებდნენ, იქ მხოლოდ საქმით უწყვედნენ მებატონეთ წინააღმდეგობას, და შემდეგ გარბოდნენ სხვაგან თავის შესაფარებლათ. ასეთი გადახვეწა უფრო ხშირი იყო იმერეთიდან: იმერეთის გლეხ-კაცობა თავს აფარებდა იმერეთში, ან სულ ტოვებდა თავის სამშობლოს სახლ-კარს და იხიზნებოდა ოსმალეთში, სადაც ისინი ხდებოდნენ მაჰმადიანებათ. თვით საქართველოშიაც ხშირი იყო სარწმუნოების გამოცვლა იმ მიზნით, რომ მებატონეთ ვერ ეცნოთ თავის ყმები („ოსმან-ალის“ დედა „სურამის ციხეში“). მებატონეთა წინააღმდეგ მოძრაობა კანტი-კუნტათ ხდებოდა, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს; მას ჯერ არ ეტყობოდა გაერთიანების ნიშნები. მიუხედავად ამისა, იგი მაინც საშიში და თავზარდამცემი იყო მებატონეთათვის, ვინაიდან ხალხის გულწრფელი თანაგრძნობა ამ მოძრაობისკენ იყო (გაიხსენეთ, მაგ., არსენას ამბავი); მებატონეებს უკვე დაკარგული ჰქონდათ ნდობა და პატივისცემა ხალხის თვალში. თუ ყმები ამათ მორჩილებდნენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინოდათ და თავიანთ თავს ჯერ კიდევ უძღურათ თვლიდნენ. მაგრამ განკითხვის დღე, ადრე იქნებოდა, თუ გვიან. უნდა უმკველათ დამდგარიყო. რომ ეს განკითხვის დღე შორს აღარ იყო, ამას აურაცხელი ფაქტები მოწმობდნენ. მაგრამ ჩვენი ხალხის ისტორია ერთხელ კიდევ გადაცდა თავის ბუნებრივ გზას: ჩვენი ყმების ბედი გადაწყდა შორს ჩვენგან და იმათ დაუხმარებლათ. კარგი იყო ეს თუ





ცუდი, აქ ამაზე არ ვლაპარაკობთ. ნურც იმაზე დავიწყებდეთ, თუ რა უნდა მომხდარიყო, თუ რომ ბატონ-ყმობის გაუქმება მაღლიდან არ მოვლინებოდა ჩვენ ხალხს.

## II საზოგადოება.

რას წარმოადგენდა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი საზოგადოება?

ამ კითხვაზე პასუხის მიცემა ადვილი არ არის. როცა რომელიმე საზოგადოებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ განსაკუთრებით ხალხის ის ნაწილი გვყავს მხედველობაში, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს და საზოგადოებრივ განვითარებას თავის დასს ასვენს. პროგრესიულ როლს თამაშობს ესა თუ ის საზოგადოება, თუ რეგრესიულს, ეს სულ სხვა კითხვაა. როცა, მაგ., ჩვენ ვახსიანობთ ძველი საბერძნეთის, გინდ რომის საზოგადოებას, ჩვენ არ ვეხებით მაშინდელ მონებს, არ ვიღებთ მხედველობაში იმათ ზნე-ჩვეულებათ; ჩვენ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვყავს მაშინდელი თავისუფალი მოქალაქენი, რომლებიც თავის ქვეყნის საქმეებს განაგებდნენ. თავის თავათ იგულისხმება, რომ ეს „თავისუფალი“ მოქალაქენი სრულებით არ წარმოადგენენ ერთგვარ მასას, ერთი სულით და ერთი ფიქრით გამსჭვალულს; პირიქით, ისინი დაყოფილია რამოდენიმე ჯგუფათ, რომელთაგან თითოეულს თავისი საკუთარი სურვილები და განზრახვანი ამოძრავებენ.

ვისგან შესდგებოდა ჩვენში საზოგადოება ამ ნახევარი საუკუნის წინეთ? რა იყო ამ საზოგადოების განზრახვა და მისწრაფება? რაში გამოიხატებოდა მისი ხასიათი და ზნე-ჩვეულება? რა და რა ჯგუფებისგან შესდგებოდა მაშინდელი ჩვენი საზოგადოება?—ამ კითხვები, რომლებზედაც ჩვენ აქ პასუხი უნდა მივცეთ. როცა ქართველ საზოგადოებაზე ვლაპარაკობთ, სიტყვა „საზოგადოების“ მნიშვნელობა ჩვენ უნდა შევავიწროვოთ და არ მივცეთ მას ის ფართო მნიშვნელობა, რომელიც იგულისხმება, როცა უფრო განათლებულ და დაწინაურებულ ქვეყნის საზოგადოებაზე გვაქვს ლაპარაკი.

ქართველი საზოგადოება ამ ნახევარი საუკუნის წინეთ თითქმის მარტო თავად აზნაურობისაგან შესდგებოდა. გლეხკაცობაზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ, ვინაიდან იგი ყოველგვარ უფლებას მოკლეთ



ბული იყო და ამიტომ მას არ შეეძლო საზოგადოებაში მონაწილეობის მიღება. მართალია, უმისოთ არ შეიძლებოდა საზოგადოების არსებობა, მაგრამ იგი ცხოვრობდა ისეთ პირობებში, რომ მას თავის გულიდან არ შეეძლო რაიმე საზოგადოებრივი ძალის წარმოშობა, მოქმედი ჯგუფის წამოყენება საზოგადო სარბიელზე. მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში ჩვენ გლუბ-კაკობაში ჩნდებიან ასეთი ჯგუფის, ასეთი ძალის წარმოშობის ნიშნები. რაც შეეხება სხვა საზოგადოებრივ ელემენტებს: ვაჭართა და მრეწველთა კლასებს და პროლეტარიატს, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში იმათი ქა- ჯანებაც არ იმის; მხოლოდ ვაჭრები და ჩარჩები ჩნდებიან აქა-იქ, მაგრამ, როგორც საზოგადოებრივ ძალა, იმათი მნიშვნელობა ჯერ კიდევ მცირე იყო იმ ხანებში. ამნაირათ დაგვჩა მხოლოდ თავად- აზნაურობა, ეს ძველი საქართველოს „დღება“ და „სახელი“, რო- გორც მას ზოგიერთები უწოდებენ ხოლმე. მაგრამ ჩვენ არ შევებე- ბით აქ თავად-აზნაურობის წარსულ ისტორიას, თუ რაში გამოიბი- ტებოდა ძველ დროში მისი მოღვაწეობა; ან თუ რამდენათ ნაყოფი- ერი და სასარგებლო იყო ეს მოღვაწეობა ქვეყნისა და ხალხისათვის. თავის თავათ იგულისხმება, რომ ჩვენ არ ვეკუთვნით ჩვენი თავად- აზნაურობის „ღვაწლთა“ აღტაცებით მადიდებელთა გუნდს; ცნობი- ლია, რომ ეს გაზ. „ივერიის“ პუბლიცისტების სპეციალურ საგანს შეადგენს და არაერთი სურვილი არა გვაქვს იმათ რიცხვში გავე- რიოთ. ჩვენ აქ ვეცდებით დავახსიათოთ ქართველი თავად-აზნაუ- რობა ისე, როგორც მას მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ვხედავთ, არც მეტი არც ნაკლები.

როგორც ხევით შევნიშნეთ, ბურთი და მოედანი იმ ხანებში, რომლებზედაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, საზოგადო ასპარეზზე სამო- ქმედოთ, როგორც იყო კიდევ, ისევ მხოლოდ თავად-აზნაურობას ჰქონდა დათმობილი. იგი იყო ერთთ-ერთი წოდება, რომელსაც მი- ნიჭებული ჰქონდა მრავალი უფლებები და უპირატესობანი, რომლე- ბიც მას ცხოვრების სათავეში აყენებდენ. მას სავსებით ეპყრა ხელში ხალხის უმრავლესობის—გლუბკაკობის მთელი ბედ-იღბალი. მას ჰქო- ნდა მინიჭებული საერთო მოქმედების, ანუ წოდებრივი თვითმართვე- ლობის უფლება, თუ ამისთვის ნიჭი და უნარი ექნებოდა. გარდა ამისა თავად-აზნაურობას დროც და საშუალებაც ნებას აძლევდა სუ- ლიერ ინტერესებისათვის, ე. ი. სწავლა-განათლებისათვისაც, ებრაუნა. თუმცა ასეთი იყო თავად-აზნაურობის მდგომარეობა მეცხრამეტე საუ-



კუნის პირველ ნახევარში, თუმც იგი საქმარისათ შიქარაობისათ  
 იყო, რომ ცხოვრებას უკან არ ჩამორჩენოდა, მაგრამ ვისაც მწალი  
 ჰქონდა ხედვად და ყური სმენად ყველა ხედავდა, რომ ეს წოდება  
 თავდაყირა დამდგარიყო და შეუჭრებლათ მიეჭრებოდა დაქვეითე-  
 ბისა და გადაგვარებისაკენ.

თუმც, როგორც ზევით ვამბობდით, რუსეთთან შეერთებით ქა-  
 რთველ თავად-აზნაურობის უფლება ყმებზე ოღნავათაც არ შეზღუ-  
 დულა, პირიქით, ეს უფლება რამოდენიმეთ კიდევაც გაფართოვდა,  
 მაგრამ დღიდან მისი არსებობისა ეს შეერთება იყო პირველი სილა,  
 რომელიც მას ოდესმე მოხვედროდა. ამ ისტორიული ფაქტის შემ-  
 დგ ქართველმა თავად-აზნაურობამ სამუდამოთ დაკარგა პოლიტი-  
 კური მნიშვნელობა სახელმწიფოში, იგი, როგორც ფეოდალური წოდე-  
 ბა, რომელიც ქართველ მეფეებს მთელ საუკუნოების განმავლობაში  
 ვერ მოეთურგნა და ვერ დაემორჩილებია, სამუდამოთ დაეცა. ქარ-  
 თველი თავად-აზნაურობა ჩქარა მიხედა ამის და მაშინვე მიყო ხელი  
 თავის შეცდომის გასწორებას, ვინაიდან თვით ეს შეერთება მისი  
 საქმე იყო, იგი ამზადებდა და უწყობდა მას ხელს,—მაგრამ ეს გვიან-  
 ღა იყო. რუსეთის მთავრობასთან ბრძოლა ქართველ მეფეებთან კინ-  
 კლაობას როდი გავდა. ქართველი თავად-აზნაურობა ამაშიაც იძუ-  
 ლებული შეიქნა ჩქარა დარწმუნებულყო: რუსეთის მთავრობამ თი-  
 თქმის ერთი დაკვრით შეაგნებინა მას თავისი უძლეულება. ამნაირათ  
 „ძველი დიდება“ ქართველ თავად-აზნაურობას ხელიდან გაუქრა,  
 „ვითა სიზმარი ღამისა“.

ამ გარემოებამ სხვადასხვა ნაირათ იმოქმედა თავად-აზნაურო-  
 ბის სხვადასხვა ელემენტებზე. ერთი ნაწილი სავსებით დამორჩილდა თავ-  
 ვის ახალ ბედს და დაუახლოვდა რუსეთის მთავრობას, რომელმაც  
 იგი უზვათ დააჯილდოვა: ჯამაგირით, ხარისხით და ორდენებით.  
 მისთვის ყველა დაწესებულებაში ღია იყო კარი. მაგრამ განსაკუთრე-  
 ბით ეტანებოდა ქართველი თავად-აზნაურობა სამხედრო სამსახურს,  
 რომელიც მისთვის სასახელო და თავმოსაწონი იყო, და მართლაც  
 ქართველმა თავად-აზნაურობამ ჩქარა ისახელა თავი რუსეთის მხედ-  
 რობაში; ერთ დროს მისი სახელი იქ ჰქუხდა და ჰქუდა. წარსულის  
 მოგონებას იგი თითქო ამით იკლავდა. მაგრამ ეს მხოლოთ უმცირე-  
 სობას ხედა წილათ. თავად-აზნაურობის დიდი უმრავლესობა კი სულ  
 სხვა გზას დაადგა: მან სრულებით დაივიწყა თავის წარსული „დი-  
 დება“ და მიყო ხელი სრულიად უღარდელ და უსაქმო ცხოვრებას;

ქართველობა მას ფეხზე ეკიდა. გარდა სმა-ქამისა, ჩაცმადანაწარმოებისა და მზიარულათ დროს გატარებისა, მისთვის აღარაფერი აღარ არსებობდა. ყველა ამანების დასაკმაყოფილებლათ კი მას მიჩემებული ყავდა ყმები, რომლებიც მას პირში ლუქმას არ უღებდენ, თორემ სხვას ყველაფერს უკეთებდენ. ყოველგვარ მაღალ და კეთილშობილურ მისწრაფებათ მოკლებულს მხოლოთ სამი სივანი აინტერესებდა: სმა-ქამი, ჩაცმა-დაბურვა და მზიარულათ დროს გატარება; ოლონდ კი ეს მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებია და სხვა მას არაფერი არ აწუხებდა. ამის იქით მისი მოთხოვნილება არ მიდიოდა, მაგრამ ამისთვის კი იგი არაფერს ზოგადა, არაფერს არ დაგითმობდათ: მისთვის არაფრათ არ ღირდა უბრალო რამესთვის ყმის გაყვლეფა და დარბევა, მისი დატანჯვა და სიკვდილში ჩაყენება, ყმის ცოლის და ქალის შეურაცხყოფა და ძალათ გაუპატიურება. იგი იმდენათ აფასებდა ყმას და მის ოჯახს, რომ მას მეძებარ ძალღზე ცვლის. როცა თავის ყმის შემოსავალი მას აღარ ყოფნის, იგი ჯერ ავირაფებს და შემდეგ ყიდის თავის ყმებს და მათ ოჯახს!). ამ ხნიდანვე იწყება თავად-აზნაურობის მამულ-დედულის გაფლანგვა, რაც დღემდისაც არ დასრულებულა. შეუძლებელია, რომ ასეთ ცხოვრებას გაპირუტყვება და გახეცება არ გამოეწვია და გამოიწვია კიდეც. უამისოთ ძნელი წარმოსადგენია ის საზარელი და შემადრწუნებელი ამბები, რომლების მოწამე იყო მეტრამეტე საუკუნის პირველი ნახევაი, განსაკუთრებით მეორმოცე და მეორმოცდაათე წლები. მხოლოთ მხეცებს და არა აღამიანებს შეეძლოთ ყმების ხეზე გაკრა, მილურსმვა, მოხუცებულ მაშაკაცების და დედაკაცების კეერში შებმა და ხარებოივით წინ გარეკვა, ქალწულ ქალების ძალადობით ნამუსის ახდა და სხ. ამგვარები, რომლებითაც ისახელეს თავი მაშინდელმა მებატონეებმა.

ასეთი იყო თავად-აზნაურობის ძველი თაობა, რომელსაც ახალი დროის სწავლა-განათლების შუქი სრულებით არ მოხვედროდა. მაგრამ ამ ხანებში თავად-აზნაურობაში გაჩნდა ახალი დგმა, რომელსაც ახალი დროის სწავლა-განათლება ჰქონდა მიღებული; რიცხვით იგი მკირე იყო, მაგრამ, მოუხედავათ ამისა, იგი სამ ჯგუფათ შეიძლება გაყყოთ. პირველ ჯგუფს შეადგენდენ ისინი, რომლებიც ძველ თაობის

1) მეორმოცე და მეორმოცდაათე წლების თფიციალური გახეთები („Закавказский Вестникъ და „Кавказъ“) ვახებულთა ასეთი შინაარსის განცხადებებით; ამა და ამ ბატონის ვალში იყიდება მისივე ყმები ოჯახით და უბრალო-მობრავი კონებით, რომელიც დაფასებულია ამდენათ და ამდენათ.

მსგავსათ ლზინის და ქეივის მოტრფილენი იყვენ, მხოლოთ-იქ გან  
სხვაეებით, რომ ამათ ლზინს და დროს გატარებას უფრო ევროპიუ-  
ლი გემო ჰქონდა და ამიტომ უფრო ძვირათაუ უჯდებოდათ. ყმების  
და მიმულის დაგირაეება და ვაყიდვა ამათში უფრო ხშირი მოვლენა  
იყო, ვინაიდან მათი ევროპიულ გემოზე ცხოვრება უფრო მეტ ხარჯს  
ითხოვდა. უმთავრეს შემთხვევაში ესენი მსახურებდენ სხვადასხვა ად-  
მინისტრიატიულ და სამოქალაქო დაწესებულებებში. თავად ალ. ჰავ-  
ჭავაძის პოეზია იყო იმათ შორის ყველაზე უფრო პატივცემული.  
თქმა არ უნდა, რომ ესენი ყველა ბატონ-ყმური ურთიერთობის ერთ-  
გული მომზრენი იყვენ და, შესაძლებელია მხოლოთ, არ თანაფერძ-  
ნობდენ ისეთ მებატონეთ, რომლებიც ნამეტან სასტიკათ და მხეცუ-  
რათ ეტკეოდენ თავიანთ ყმებს. სულ წინააღმდეგს ვხედავთ მეორე  
ჯგუფში, რომელიც რიცხვით სულ მცირე უნდა ყოფილიყო. ამათ-  
თვის ლზინი და ქეიფი არ ყოფილა ცხოვრების მიზანი, მათ სულ  
სხვა აფიქრებდათ, მათ მართოდენ სევდა და მწუხარება აწვათ გულ-  
ზე და მათი მისწრაფებაც სულ სხვაგვარი იყო. ბატონ-ყმური ურთი-  
ერთობა იმათ სრულებით არ აფიქრებთ, თითქო იგი არც კი არსე-  
ბობს იმათ გარშემო, თითქო იმის მეოხებით შეწუხებული და შე-  
ზარებული არ იყოს მთელი ქვეყანა. მაშ, რა აწუხებდათ იმათ, რა  
იყო იმათი მკმუნვარების და სევდის მიზეზი? იმათი აზრით ეს იყო  
საქართველოს წარსული დიდება და ამ დიდების სამუდამოთ დაკარ-  
გვა. შესანიშნავი და იმავე დროს ერთად ერთი წარმომადგენელი ამ  
მცირე ჯგუფისა იყო პოეტი ნიკ. ბარათაშვილი, რომლის თითქმის  
ყველა ლექსებში ჩაქსოვილ-ჩატანებულია ღრმა სევდა და მწუხარება.  
ბარათაშვილი ღრმად წუხს აწმყო და მომავალ საქართველოს ბედზე,  
განუთრჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა. მას არა სწამს, ანუ უფ-  
რო მართლად რომ ვსთქვათ, მას აზინებს სამშობლოს მომავალი ბე-  
დი და ეს გარემოება მას ღრმა მწუხარებას გვრის. მიუხედავად თა-  
ვისი ღრმა პესიმიტიური მიმართულებისა, იგი თანამედროვეთ ურ-  
ჩევს ქვეყნის საქმეებისთვის ზრუნვას: „არც კაცი ვარგა რომ ცოცხა-  
ლი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზ-  
რუნეოს“,—ამბობს იგი ერთ თავის ლექსში („ფიქრი მტკვრის პი-  
რას“). ჩვენ ნუ შევალთ იმის გამოძიებაში, მართალი იყო თუ არა  
ნ. ბარათაშვილი, როცა წარსული „დიდების“ დაკარგვა მას ასე უკ-  
ლავდა გულს; აშკარაა მხოლოდ ის, რომ იგი ერთად-ერთი პირია,  
რომელშიაც ეს გრძნობა ყოველგვარ ანგარებას მოკლებული იყო. კი-

დეე გავიმეორებთ, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები ძლიერ აცხადებენ იყო, და შეიძლება ბარათაშვილს გარდა არც კი იყო ვინმე. იგი იდგა სრულებით განმარტოვებით; მისი პასუხის გამცემი, მისი შინაგარეობის გამგები არავინ იყო. ტყველა კი არ შესჩვიის იგი თავის „სულის ობლობას“!

მაშინდელი ახალი თაობის ამ ორ ჯგუფ შუა დგას მესამე ჯგუფი, რომელიც არც აქეთ არის და არც იქით, რომელიც, როგორც ამბობენ რუსები: მიწის მოშორებია, მაგრამ ზეცამდის ვერ ამიღლებულა. ამ ჯგუფის არსებობას ჩვენ პირველად ვგებულობთ დ. ჭონჭაძის „სურამის ციხიდან“. აქ მას გამოყვანილი ყავს ვინმე ლ. დ., რომელსაც „ქნიაზ-ლიბერალის“ სახელით ნათლავს. „ქნიაზ-ლიბერალობა“ მეტად საინტერესო მოვლენაა; სამწუხაროდ, ცოტათ თუ ბევრათ სისრულით იმათ დახასიათებას ლიტერატურის საშუალებით ჩვენ დღემდისაც ვერ ველირსეთ. როგორც „სურამის ციხე“ მოწმობს, „ქნიაზ-ლიბერალები“ ყოფილან დ. ჭონჭაძის დროსაც, არიან ისინი, რა თქმა უნდა, დღესაც. დ. ჭონჭაძეს, რომელმაც პირველად და ჟუანასკნელად შეგებო „ქნიაზ-ლიბერალებს“, გარდა სახელწოდებისა იმათ შესახებ არა ვადმოუცია-რა ჩვენთვის. ამიტომ ძნელია იმის გამოცნობა, თუ რის თქმა უნდოდა ავტორს ამ სახელწოდებით. უნდა ვიფიქროთ, ეს „ქნიაზ-ლიბერალები“ დ. ჭონჭაძის დროსაც ისეთები უნდა ყოფილიყვნენ, როგორც არიან ისინი დღეს, ე. ი. სიტყვით „ლიბერალები“ და საქმით-კი ნამდვილი „ქნიაზები“. „სურამის ციხის“ ავტორი შესანიშნავად მიხვდა იმათი გულის თვისებას და კიდევაც შესაფერი სახელწოდება გამოიხატა. ექვი არ არის, რომ ახალგაზრდობას, რომელსაც ცოტაოდენი განათლება მიელო, არაფრად მოეწონებოდა, როცა მებატონეები მეტის-მეტ უდიერად და სასტიკად ექცეოდნენ თავის ყმებს, და შესაძლებელია, რომ ზოგიერთი იმათგანი თანაუგრძობდა ყმების განთავისუფლებას. მაგრამ თუ როგორი მოსარჩლენი იყვენ „ქნიაზ-ლიბერალები“ საქმით ყმების განთავისუფლებისა, ამის შესახებ ისტორია სდუმს. დ. ჭონჭაძისვე მეოხებით ვიცით, რომ იმათ ძლიერ უყვარდათ თურმე „მაღალი ფრაზები“. ეს ისეთი დამაბასათებელი ნიშანია, რომ „ქნიაზ-ლიბერალებში“ ჩვენ პირველი შეხედულობითვე ეცნობილობთ ევრედ წოდებულ მესამოცე წლების მოღვაწეებს. განა ვინ იყვნენ ესენი თუ არ „ქნიაზ-ლიბერალები“, რომლებსაც ყოველთვის პირზე ეკერათ „მაღალი ფრაზები“, ჰუმანიური იდეები, ხალხის კეთილდღეობისათვის თავის განწირვა

და სხვა ამგვარები და საქმით კი სულ სხვა რამეს ემსახურებოდნენ. სხვისი რა მოგახსენოთ, ჩვენ-კი როცა „კნიაზ-ლიბერალს“ ვახსენებთ, მაშინვე ძველი „კნიაზ-ლიბერალი“ და იმავე დროს მესამოცე წლების მოღვაწეთა მებაირალე, თ-ღი ილია ჭავჭავაძე მოგვეგონდება ხოლმე. ასე იყო თუ ისე, დ. ჭონჭაძის დროინდელი „კნიაზ-ლიბერალები“, შემდეგში მარტოოდენ „ლიბერალებათ“ გარდაქმნილნი, საკმარისად არიან ცნობილნი ჩვენ მწერლობასა და საზოგადოებაში, მაგრამ, რადგანაც ამათი მოღვაწეობა შემდეგ ხანას ეკუთვნის, ამიტომ აქ იმათ ჩვენ თავს ვანებებთ.

დავუბრუნდეთ ისევ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარს. ჩვენ დავინახავთ რამდენიმეთ მაინც, თუ როგორ ცხოვრობდნენ ან თუ რას შეტრფოდნენ მაშინდელი თავად-აზნაურობის სხვადასხვა ჯგუფები. მაგრამ ეს დახასიათება არ იქნება სრული, თუ აქ არ დავასახელებთ კიდევ რამდენიმე გარემოებას.

ჩვენ ვიცით, რომ რაც დრო გადიოდა, თავად-აზნაურობას მოთხოვნილება ერთი ორათ ემატებოდა, ნივთიერი საშვალება კი, პირიქით კლებულობდა; ამიტომ თავად-აზნაურობა იძულებული შეიქნა დაეგირავებია და დაეყიდა თავის ყმები. მაგრამ მოხდებოდა ხოლმე, რომ რომელიმე მებატონე ყიდდა და აგირავებდა არა თავის საკუთარ ყმებს, არამედ სხვისას. ეს, რასაკვირველია, აყალ-მაყალს და შულლს იწვევდა თვით თავად-აზნაურობაში, მით უმეტეს, რომ ასეთი დავის გადაწყვეტა ზშირათ ძალმომრეობით ხდებოდა ხოლმე, ვინემ სასამართლოს წესით. ვისაც ყმებს გაუყიდვიდნენ მის დაუკითხავათ, ის თითონ ეძებდა დაკარგულ ყმებს და, იპოვნიდა თუ არა, თავის კაცებით გაქაჩვიდა ყმას და უკან იბრუნებდა. ზოგიერთ თავად-აზნაურთაგანს, განსაკუთრებით იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში, სხვისი ყმების მოტაცება და გაყიდვა ხელობათ გადაეკცა, და ამის შემდეგ თქვენ ადვილათ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რანაირი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო იმ ხანებში. ასეთ პირობებში ზშირი მოვლენა იყო, რომ ერთსა და იმავე ყმას რამდენიმე ბატონი ყავდა, და მაშინ უნდა გენახათ ამ ბედკრული ადამიანის ვაება: ერთს რომ შეუსრულებდა თავის სამსახურს და ბეგარას, ახლა მეორე

1) რასაკვირველია, მესამოცე წლების მოღვაწეებზე საერთოდ, en bloc, ამის თქმა არ შეიძლება: უოველ ვებს გარეშვთ, რომ იმათშიც კრია თითო-ორთღა ნამდვილი გულწრფელი მოღვაწეი, რომლებიც ხოლომდის ხალხს ემსახურებოდნენ, როგორც მაგ. გ. წერეთელი; მაგრამ საერთოდ ასეთების რიცხვი მეტათ მცირეა.

მოადგებოდა კარზე, შემდეგ მესამე და ასე ამგვარათ. ეს იყო და სრულბელი დავა-საჩივრების დრო თვით თავად-აზნაურობაში, რაც მას იაფათ არ დასჯდომია. მაშინდელი სასამართლოები გავსებული იყო ასეთი საქმეებით. აი რას ამბობს ამის შესახებ, სხვათა შორის, ერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ბატონ-ყმობის უკანასკნელ წლებს ეკუთვნის და რომელიც შეიცავს ორას-ორმოც ქართველ მებატონეთა 21 აზრს გლეხების შესახებ<sup>1)</sup>. „ვალები ჩვენ—ნათქვამია აქ,—ერთობ მეტათ ბევრი გვაქვს. ამის მიზეზი სადავო საქმეების წარმოებაა<sup>2)</sup>. ჩვენში არ არის ერთი გვარიც-კი, რომელსაც ორჯერ მაინც არ დაემტკიცებოს თავის უფლება გლეხებზე და მამულზე“.

აი რას წარმოადგენდა ქართველი თავად-აზნაურობა ამ ნახევარი საუკუნის წინეთ; მისი ზნეობრივი და გონებრივი დაქვეითება აშკარაა (ლუარსაბ თათქარიძე იმ დროს იშვიათი მოვლენა არ იყო). ნივთიერათაც იგი სულ უკან და უკან მიდიოდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. უსაქმო და უდარდელ ცხოვრებამ იგი სრულიად გაფუჭსავატდა და მან ყოველგვარი შრომის უნარი დაკარგა. იმას ვერ წარმოედგინა, რომ იგი შეიძლება უკმოთ ცხოვრებას, მისი წარმოდგენით, ყმები თვით ღმერთმა გააჩინა ბატონებისათვის; ყმების დანიშნულება ბატონების სასაბურთია და ყმებიც მხოლოდ იმათთვის ცხოვრობენო.

ასეთ საზოგადოებაში ელვასავით გაისმა, რომ მებატონეებს ყმები უნდა ჩამოერთვას, ბატონ-ყმობა უნდა გაუქმდეს და ყმები უნდა განათავისუფლდნენ! რა თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო მისთვის ასეთი ამბავი! პირველათ ეს მას არ ჯეროდა, მაგრამ როცა მოახლოვდა ბატონ-ყმობის გაუქმების წამი და მებატონეებიც ძალაუვნებურათ იძულებული შეიქნენ ამაში დარწმუნებულიყვნენ, მაშინ იგინმა მორთეს ყვირილი: გვიშველეთ, ვილუბებით! გლეხების განთავისუფლების შემდეგ ჩვენ ყველანი მშვიერ-მწყურვალნი უნდა დავიხლოეთო!—აი როგორ შეხვდა ბატონ-ყმობის მოსპობას ჩვენი თავად-

<sup>1)</sup> Сводъ 21 мнѣнїя двухъ сотъ сорока грузинскихъ помѣщиковъ по крестьянскому вопросу. Составлено въ Апрель 1863 года. ხელთაწერი ინახება წერა-კითხვის საზოგადოების წინათხაცაში.

<sup>2)</sup> ს.ინტერესია, რომ თავის დავალიანების მიზეზით მხოლოდ სადავო საქმეების წარმოებას თვლის და არა თავის უსაქმოთ, უდარდელათ ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ ღბინა და დროს გატარებაში იატყუოდა.





აზნაურობა. მაგრამ უმჯობესია მოვიყვანოთ აქ მისი აზრი ამის შესახებ სიტყვა-სიტყვით. „ყმების განთავისუფლების შემდეგ<sup>1)</sup>— ვკითხულობთ ჩვენ ზევით დასახელებულ დოკუმენტებში,— მთელი ჩვენი მეურნეობა იმ წამსვე გაქრება; ჩვენ შევიქნებით ქუჩის მაწანწალა, რომელიც მოწყალეობას თხოულობს; დავრჩებით უმოსამსახუროთ, უმუშა-ხელოთ, უმწყვესოთ და უძაძოთო“... აქ თქვენ ხედავთ მუქთა-კამია კაცის სამდურავს, რომელიც სხვისი ხელით დაიწვია კამას და ახლა, როცა ეს სხვისი ხელი მას გამოაცალეს, აღარ იცის როგორ ჩაიდვას პირში ლუკმა! შეიძლება თქვენ იფიქროთ, რომ კიდევ კარგი: ბოლოს მაინც გაუგია, თუ რა სამსახურს უწყვედენ მას, თუ რა იყვენ მისთვის ყმები; შეიძლება გამოთხოვების დროს მადლობის გადახდა მაინც სწადდოდო,— ფიქრებს ვინმე. მაგრამ ეს სრულიად ტყუილი ფიქრია: „ჩვენ იმათ (ყმებს) მიწებს ვერ მივცემთ, ჩვენ სრულ გზით არ გვინდა, რომ ისინი ჩვენი მადლიერი იყვენო. ვინ ჩვენ და ვინ ისინიო: ისინი მხოლოდ შავი მუწაობისთვის არიან დაბადებულიო“<sup>2)</sup>.

ამნაირათ საზოგადოების ბანის მიმკემი და მისი მბრძანებელი იყვენ ისინი, ვინც თავიდან ფეხამდე გაჟღენთილი იყო ბატონ-ყმური შეხედულებით და ვისაც პირადი სიამოვნებისა და მზიარულათ დროს გატარების გარდა ყოველივე ფეხზე ეკიდა. არა თუ ნ. ბარათაშვილი, არამედ „ქნაზ-ლიბერალებიც“— კი მხოლოდ წვეთი იყვენ ზღვაში. თუ რა ზომამდის გამჯდარი ჰქონდა მაშინდელ საზოგადოებას ძვალსა და რბილში ბატონ-ყმური შეხედულება, ამას სხვათა შორის, გვიმტკიცებს შემდეგი ფაქტი, რომელიც ივ. კერესელიძისაგან არის ნაამბობი<sup>3)</sup>.

მოგეხსენებათ, რომ თ-დი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი კარგათ ცნობილი პირია ჩვენ საზოგადოებასა და მწერლობაში: იგი ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას ეურნალ „ცისკარში“ მეორ-მოცდა-ათე წლებში და გარდა ამისა, მას აქვს დაწერილი რამდენიმე დრამატული ნაწარმოები. ეს გვანი, როგორც კერესელიძე გად-მოგვცემს, მეტად კეთილი ადამიანი ყოფილა კერძო ცხოვრებაში,

1) იხ. Сводъ 21 мѣсяцъ 240 грузинскихъ помѣщиковъ по крестьянскому вопросу.

2) იხ. Сводъ 21 мѣсяцъ 240 груз. пом. Мѣсяцъ кн. Д. II.

3) ეს ფაქტი ჩვენ ამოღებული გვაქვს ბ. ზ. ზიკინაძის დაუბეჭდავი ზეღონიწყ-რიდან, ამ სათაურით: „ბატონ-ყმობა საქართველოში“.



გლეხების მოწყალე და შემბრალე, ყველა შეწუხებულის შეფარველი და ამავე დროს საქართველოს დიდი მოყვარული. თუმცა ასეთი იყო ეს გვამი, მაგრამ, როგორც მებატონე, ყმა მისთვის მხოლოდ ყმა იყო, ე. ი. ყოველგვარ უფლებას მოკლებული და მეტი არაფერი, — ე. ი. მისთვისაც ყმა უბრალო სახმარი ნივთი იყო, რომელსაც პირადი სარგებლობისათვის ისე მოიხმარდა, როგორც მას სურდა. ამას შემდეგი ამბავი ამტკიცებს: ერთხელ ალ. ორბელიანს ერთი ქართლელი თავადისაგან, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ყმების გამყიდავი, ერთი გლეხის ოჯახი უყიდა 150 მან. ეს ოჯახი შესდგებოდა ქმრის, ცოლის და ორი შვილის — ქალ-ვაჟისაგან. ესენი თავადმა თფილისში ჩამოიყვანა და დროებით დაკავებული ყავდა თავის სახლში; მერე განიძრახა მოგებით იმათი გაყიდვა. გლეხებმა, რა თქმა უნდა, ტირილი შექნეს და თავადს ევედრებოდნენ: „ბატონო, ცალ-ცალკე ნუ დაგვყიდით, გვიმსახურეთ თქვენ მონათ, ნუ დაგვაპნევთ“.

თავადი ალექსანდრე ივ. კერესელიძის ნათლია ყოფილიყო, რომელიც იმ დროს თურმე გიმნაზიაში სწავლობდა. გაუგია რა ეს ამბავი კერესელიძეს, წასულა და თავადისთვის უთხოვინია, რომ მას ეს გლეხები არ გაეყიდნა ცალ-ცალკე, არამედ თავის ყმებით დაეტოვებინა, და თუ მაინცა და მაინც გაყიდდა, მაშინ ერთათ მაინც გაეყიდნა. ეს სხვებსაც უთხოვინია შემბრალე თავადისათვის, მაგრამ საკმე სულ სხეანაირათ დატრილდებულა. ქმარი კახეთში გაუყიდა, ცოლი სომხეთში, ბიჭი ერევნელ სომხისთვის და ქალი კი შინ დაუტოვებია მოსამსახურეთ და როცა თავის ქალი გუნ. ქობულაოვისათვის მიუტყია ცოლათ, ეს გოგო მას მზითევეში გაუყოლებია. სწორეთ დრო იყო ასეთი, თორემ უამისოთ ძნელია ამის ახსნა. მაგრამ თუ ამას ჩადიოდა მაშინდელი საუკეთესო „მამულიშვილი“, კაცი რომელიც გლეხების შემბრალე და მოწყალე იყო, რომელიც საქართველოს „ბედნიერებისათვის“ ზრუნავდა, და თუ არ ზრუნავდა, ფიქრობდა მაინც ამაზე, როგორი უნდა ყოფილიყო თავიანთ ყმებისათვის არა თუ საატიკი, არამედ ჩვეულებრივი, საშუალო ტიპის მებატონე, რომელიც მარტოოდენ თავის სიამონებზე ფიქრობდა? აშკარაა, რომ ასეთი საზოგადოება ბატონ-ყმობის წინააღმდეგ არათუ საჯაროთ ლაპარაკს, არამედ ფიქრსაც კი არავის აპატიებდა, და მართლაც ყველას ხმა გაკმედილი ჰქონდა. მხოლოთ დ. ჰონჭამეშ დაარღვია ეს სიჩუმე, რისთვისაც მას მტკვარში გადაგდებას უპირებდნენ.

საზოგადოება ცხოვრობდა დაბნულ და მოწამულ ჰაერში; აქ

ყველაფერს პოქის და ოპის სუნი ჰქონდა: გრძობასაც, აზრსაც და მწერლობასაც. ამის შედეგი იყო აზროვნების და გონების დაჩლუნგება და დამახინჯება. ამასვე მოყვა ზნე ჩვეულებათა დაწვრილმანება და გადაგვარება. მალალ საზოგადოებას ეთაკილებოდა ქართულ ენაზე ლაპარაკი<sup>1)</sup>, და ვინც ლაპარაკობდა, ნახევარზე მეტს უცხო სიტყვებს ურევდა. ჩაცმა-დახურვა აღარც ქართული იყო და აღარც უცხო; ყველაფერში უაზრო და უღაზათო ნიბაძვა იხატებოდა. ცოლებს ირთავდნენ და ქალებს ათხოვებდნენ ანგარიშის გულისთვის: ან გამდიდრებისთვის და ან სახელის შექმნისათვის. დავალიანებული და გაკორტებული თავად-აზნაურობა, რომელსაც ჩარჩ-სოვდაგრების თვალში სრულებით გატეხილი ჰქონდა სახელი და პატივისცემა დაკარგული, სიამოვნებით აძლევდა თავის გვარს, ამ ძველთა დროთა დიდების აზრდისს, რომელიმე ჩარჩ-სოვდაგრის მახინჯ და გონჯ ქალს, რომელიც, ვინ იცის, რა სიღარიბის და სიბინძურის სიღრმიდან ამოცურებულყო ზევით. ყოველივე ეს საკმარისათ დასურათებულთა მაშინდელი მწერლების ნაწერებში, როგორც არიან თ-დი გ. ერისთავი, ნ. ანტონოვი და ლ. არდაზიანი. ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ ვისაც რაიმე ცხოველი ნაპერწყალი კიდევ უღვიოდა გულში, იგი ამ მოწამლულ ჰაერში სულს ველარ ითქვამდა, ჰაერი აღარ ყოფიდა და აქედან მოშორებას ლამობდა თავის სევდა-ნალღელის გასაქარვებლათ: „გასწი, მერანო, შენს ქენებას არ აქვს სამზღვარი და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი“,—ასე მიმართავდა პოეტი (ნ. ბარათაშვილი) თავის თავს თავისი თანამემამულეებზე გულგატეხილი და უკმაყოფილო.

მაგრამ ამ საზოგადოებას მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულში უკვე დათვლილი ჰქონდა დღეები; იგი ამ დროს უკვე მომაკვდავი იყო. მის გვერდით კი ახალი საზოგადოება ისახებოდა და ფერს და ხორცს ისხამდა. რამდენათაც პირველს სული ელეოდა და იბრწუნებოდა, იმდენათ მეორე იზრდებოდა და ძალას იძენდა. მართალია, ახალი საზოგადოება ჯერ მხოლოთ ნასახათ იყო, მისი ძალა და გამავლობა ჯერ სულ მცირე იყო, მაგრამ მისი მოვლინება უტყუარი და აშკარა იყო. ახალი საზოგადოების საფუძველი იყრებოდა საჭინაღის გაცვლა-გამოცვლის, ე. ი. აღებ-მიცემობის ნიადაგზე. ეს იყო ჩარჩის, მეფაზის და ვაქრის კაპიტალი. ყვაილენობით არც ამის გზა ყოფილა მოფენილი; იგიც წვითა და დავით

<sup>1)</sup> ეს ახლაც ასეა.



იკვალავდა გზას და სიმწრით და ვასაკირით იზრდებოდა. ლ. არდაზიანის „მეჯღანუაშვილში“ ვხედავთ ამ საზოგადოების წიშნებს და წინამორბედს. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მეორეოცდაათე წლების მიწურულში ამ ახალ საზოგადოებას ჯერ კიდევ სრულებით გამოკვეთილი სახე არა აქვს მიღებული, ჯერ კიდევ არაეინ იცის, თუ რა გამოგვა მისვან, რა სახეს მიიღებს იგი, ან როგორი იქნება, როცა მომწიფდება. მაგ., ზევით დასახელებული ალ. ორბელიანი, რომელიც ასე იყო თუ ისე განსხვავებას ამჩნევდა ძველ დროსა და ახალს შორის და რომელიც ამბობდა, რომ დღეს (ე. ი. მის დროს) „თოფის და ხმალის“ მაგიერ სწავლა-განათლება და ვაჭრობაა საქიროო<sup>1)</sup>, სრულებით ვერ ხედავდა და ვერ წარმოედგინა, თუ რა ძირითადი და შეურიგებელი წინააღმდეგობა არსებობდა ძველ ბატონყმურ და ახალ ბურჟუაზიულ დროს შორის, რომელსაც გარდა ფულისა არაფერი არ გააჩნდა: არც წოდება და არც ხარისხი და რომელიც სიკვდილს უქადდა ძველ პატრიარქალურ და ბატონყმურ წესწყობილებას.

ამით ვათავებთ ჩვენ საუბარს მაშინდელ საზოგადოებაზე და გადავდივართ მწერლობაზე.

### III მ წ ე რ ლ ო ბ ა .

როგორიც ერი, ისეთი პერი,—როგორიც საზოგადოება იყო, ისეთი უნდა ყოფილიყო მწერლობაც,—ეს საზოგადოებრივი ცხოვრების ღვიძლი შვილი. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მწერლობა ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით ჩვენში სრულებით არ არსებობდა. ჯერ კიდევ დღესაც ბევრს საეკვეთთ მიაჩნია ჩვენი ლიტერატურის არსებობა, თორემ ამ ნახევარი საუკუნის წინეთ რაღა უნდა ყოფილიყო<sup>2)</sup>.

<sup>1)</sup> იმ. „ცისკარი“ 1859 წლის, № X, წერილი: „ჩვენი საქართველოს საზოგადოება“.

<sup>2)</sup> ნ. ნიკოლაძე 1876 წელს წერდა: „ამ ხუთი, ექვსი წლის წინეთ, იცით რა დრო და რა აზნდი იყო ჩვენივეს? ქართული ენა ვის ახსოვდა, ქართულ მწერლობას ვინ აქცევდა ყურადღებას. ქართული გაზეთი ვის რათ მიაჩნდა? გაზეთზე ხელს აწერდენ თხოვნისა და ზევწინს გამოთხოვით, თითქმის მოწყალებას იძლეოდენ. ქართული მწერალი ზოგს ტუტუტუთ მიაჩნდა და ზოგს გოყთ: საქმე გამოლევია ჯღანინთა—ამბობდენ ყოველგან... მის სიტყვის სრულიად არაფეთიარი გაელენა არ სქონდა საზოგადოებაში“. იმ. ნ. ყორღანის „ქართული პრესა“ გვ. 19—20. თუ ეს ასე იყო შესაბამედათე წლებში, რაღა უნდა ყოფილიყო წინეთ?



მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი ისეთი ხანაა ჩვენში, <sup>საქართველოს</sup> ძველი ცხოვრების საფუძველი ძირიანათ შეირყა: საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობა გადაცდა თავის ჩვეულებრივ გზა-კვალს და იმავე დროს ახალი გზის აჩენა და გაკვალვა ერთბაშით შეუძლებელი შეიქნა. უფრო მაღალ კულტურულ საზოგადოებაში, ვინემ ჩვენი საზოგადოება იყო იმ დროს, ასეთი ცვლილება გამოიწვევდა სასტიკ შეტაკებას და ბრძოლას ძველსა და ახალს შორის; მაგრამ ჩვენი ცხოვრება იმ დროს მეტათ სადა და მარტივი იყო, ამიტომ იგი დიდ წინააღმდეგობას ვერ უწყევდა ახალ პირობებს, რომლებიც მას ხელს აღებინებდნენ ძველებურ ცხოვრებაზე. მეორე მხრით თვით ახალი პირობები როდი იყო ისე ძლიერი და ნაკეთათ გამოხატული, რომ მათი მაშინვე აღებეჭდათ თავისი გავლენა ჩვენ დახავსებულ ცხოვრებაზე და იგი ერთბაშით შეეცვალათ. ამიტომ ჩვენში დადგა რაღაც არეულობის ხანა, რომელშიც კარგა ხანს გასტანა. ასეთივე გავლენა უნდა განეცადა ჩვენ მწერლობაშიც. მწერლობა ჩვენშია, როგორც ყველგან, დიდი ხნიდან არსებობდა. მაგრამ იგი უფრო ძალათი გამომწერავილი მცენარე იყო, ვინემ ჩვენი ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული. ამიტომ იგი დაბადებიდანვე მკვდარი იყო; ხალხის ცხოვრების გარეშე იდგა და მასთან არაერთი დამოკიდებულება არ ჰქონდა. მას ჰქონდა განსაზღვრული წრე საგნებისა, რომელსაც იგი ვერ გადასცდებოდა: ღვთის-მეტყველება, ღვთის-შახურობა, განყენებული ფილოსოფია და ზნეობა და წმინდანების ცხოვრება, — ამითელი მისი შინაარსი, რომლის გარეშე იგი ტრიალებდა. ცხადია, რომ ყოველივე ამის ცოდნა ხალხისათვის საქარო არ იყო, და რომც საქარო ყოფილიყო, ეს მისთვის სრულიად მიუწოდმელი იყო. როგორც თვით მწერლობის შინაარსი იყო წინდაწინვე განსაზღვრული, ისე განსაზღვრული იყო მისი მწერლების და მკითხველების წრეც, — ესენი თითქმის ყველანი სასულიერო პირები იყვნენ<sup>1)</sup>. როგორც ხედავთ ძველი მწერლობა არ იყო ცხოვრების მიერ შექმნილი და არც მისი მასაზრდოებელი; იმათი გზა სულ სხვადასხვა იყო; იმათ საერთო სრუ-

1) თავის თავათ იტყობისებება, რომ ჩვენ ძველ მწერლობაში, როგორც სხვაგან, საერო პირებიც გამოყრდნობდნენ ზოლზე ზოგჯერ, მაგრამ ისინი მწერლობას როდი შეადგენდნენ: პირიქით, ისინი მწერლობის გარეშე იბადებოდნენ და საზრდოვდებოდნენ. როცა ძველ მწერლობაზე ელაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში ყველაფერი ერთს იმ პირთა გუნდო, რომლების ხელშია იყო ძველი მწერლობა და მათი მხედველობით მას მასაზრდოებდნენ.



ლებით არაფერი ჰქონდათ. თითქმის ენაც კი სხვადასხვა ენის ამტკიცებს ძველი წიგნური საეკლესიო ენის და ხალხის ცოცხლად მჩქეფარე ენის შედარება. ძველი მწიგნობრობის ენა, ეს ძნელი გამოსათქმელი შესართავებით და დაბოლოვებებით დატვირთული და ძნელად გასაგები ენაა, მაშინ, როცა ხალხური ენა ცოცხალი, მარტივი, მსუბუქი და ადვილი გასაგებია. ეს არ მოხდებოდა, რომ ძველი მწერლობა ხალხთან დაახლოებული ყოფილიყო. ხალხს ჰქონდა თავისი საკუთარი წყარო, რომელიც შეადგენდა მის გონებრივ საზრდოს და რომელსაც იგი მიმართავდა როგორც გასაჭირის, ისე დაღუბნის დროს,—ეს იყო ხალხური პოეზია, სხვადასხვა გადაწყვემანი და ზეპირ თქმულებანი. ყოველივე ეს გადადიოდა ერთი შთამომავლობიდან მეორეზე. მართლაც, სასულიერო წოდება მთელი თავისი ძალღონით სასტიკათ სდევნიდა ხალხურ პოეზიას და ზეპირგადმოცემათ, მაგრამ იგი აქ უძლური იყო; ამის აღმოფხვრა მან ვერ შეძლო, თუმც ამის გამო დიდად დაბრკოლდა ხალხური პოეზია. მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენ საგანს.

მწერლობა ერთი უდიდესი იარაღია საზოგადოებაში რაიმე აზრის, შეხედულების ანუ იდეის გასავრცელებლათ; იგი ენის საუცხოვეო დამატებაა. სადაც ჩვენი ლაპარაკის ხმა არ წყდება, იქ იმის როლს მწერლობა ასრულებს. ამით ფართოვდება ადამიანის გავლენის ასპარეზი. ადამიანის სიტყვა შეზღუდულია დროისა და სივრცის გამო, გამოთქმული სიტყვა მოქმედებს მხოლოდ იმაზე, ვისაც იგი ესმის, ვის წინაშე იგი ითქმება და მხოლოდ მაშინ, როცა იმის ხმა ისმის. დაწერილმა სიტყვამ კი, პირიქით, არ იცის არავითარი საზღვარი; იმის განეორება შეიძლება ყოველგან და ყოველთვის დაუწერილი სიტყვა ანუ აზრი ადვილად იკარგება და ჰქრება, დაწერილს კი, მეტადრე თუ იგი ნაყოფიერი და სასარგებლოა, ვერაფრით ვერ აღმოფხვრით და ვერ გააქრობთ, ვინაიდან მისი წაქრება შეიძლება ყოველგან და ყოველთვის. ყოველივე ეს დიდი ხნიდან, თითქმის მწერლობის გაჩენიდანვე. კარგათ შიგნის საშლედულოებამ და იმათ, ვინც ხალხის ბედს განაგებდენ; ამიტომ ისინი პირველათვე დაეპატრონენ ამ ძლიერ იარაღს და მრავალი საოკუნოების განმავლობაში ცდილობდენ იგი ხელიდან არ გაეშვთ, ვინაიდან ეს იმათთვის დიდად სასარგებლო იყო. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ წარმოშობა ისეთი პირობები, რომელთა მეოხებით მწერლობა ხალხის ხელში გადავიდა, ე. ი. ხალხმა იგი თანდათან გაიხადა თავის

განვითარების და წარმატების იარაღათ. ასე მოხდა დასავლეთ-აღმოსავლეთ რუბაში.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როგორც მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, ისე მწერლობაც, ერთბაშად მოწყდა ძველ პირობებს; როგორც ერთი, ისე მეორე სულ სხვა გარემოებაში მოეშვევდა. მართალია, ძველი მწერლობა ისევე განაგრძობდა თავის არსებობას, მაგრამ იმას სასიცოცხლო პირი აღარ უჩანდა. როგორც ახალი ცხოვრების პირობები სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენდნენ, ისე ახალი მწერლობის დაბადებაც სულ სხვა საფუძველზე მოხდა. ახალი, ე. ი. თანამედროვე მწერლობა ჩვენში სრულებით ძველი მწერლობის გაგრძელება არ არის, — პირიქით, თანამედროვე მწერლობა პირდაპირ უარყოფაა ძველის, ვინაიდან ამ უკანასკნელის საკანი და დანიშნულება სულ სხვა იყო. თანამედროვე მწერლობის დანიშნულება ხალხის სიბნელიდან გამოყენება, მასში სინათლის მოყენება. მაგრამ ის ხალხი, რომელშიაც თანამედროვე მწერლობა თავის გავლენას ავრცელებს, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მიერ არის წარმომოხილველი; წერა-კითხვის ცოდნა და თავისი თავის შეგნება მისი არსებობისათვის აუცილებელ პირობას შეადგენს. თვით თანამედროვე მწერლობის წარმომოხილველი და აღორძინება პირობები შედეგია თანამედროვე მშრომელი ხალხის ზრდა-განვითარების; უპასოთ თანამედროვე პრესას და ლიტერატურას სულ სხვა ელფერი და ხასიათი ექნებოდა. მაგრამ რადგანაც ჩვენში ახალმა ცხოვრებამ დიდხანს ვერ გაიკვალა გზა, ამიტომ თანამედროვე პრესის და ლიტერატურის აღორძინებაც დაგვიანდა.

თანამედროვე მწერლობის ფაქტორებათ სამი უმთავრესი პირობაა საქმრო: ხალხში წერა-კითხვის ცოდნის საჭიროება, სუამბა და ფუნდამენტალიზმი. არც ერთი ამ პირობათაგანი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობდა, ვინაიდან ამისთვის ჯერ კიდევ არ იყო ნიადაგი მომზადებული. მართალია, როგორც წინეთ, ისე ამ ხანებშიც ჩვენში აქა იქ იყვნენ მწერლები, ანუ უფრო მართლათ რომ ვთქვათ მოლექსეები, მაგრამ ისინი იდგნენ ცხოვრების განაპირას, ხალხს კი ვერაშს ვერ უახლოვდებოდნენ და ვერც არას უზიარებდნენ მას, ვინ იდგან ხალხსა და მწერლებს შუა არ იყო შეპაერთებული ხაზი, ე. ი. არ იყო ფუნდამენტალიზმი, პრესა. ანკი საიდან უნდა ყოველიყო პრესა, როცა საზოგადოებაში სრულყოფილი არ იყო ამას მოთხოვნა. კარგიც რომ



გამოსულიყო იმ დროს ჩვენში ვინმე, რომელსაც გაზეთის ან ჟურნალის გამოცემა ეკისრა, ასეთი გამოცემა უდღეური იქნებოდა; მას არ ეყოლებოდა არც მკითხველი, არც თანამგარანობი და იგი ჩაკვდებოდა ისე, რომ ვერაფერს კვალს ვერ დატოვებდა. ეს მართლაც ასე მოხდა. ჩვენ ვიცით, რომ ქართული გაზეთის გამოცემა უცდიათ პირველათ მეცხრამეტე საუკუნის მეოცე წლებში. ამ ცდის შესახებ ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ 1821 წელს ქართულ ენაზე გამოდიოდა გაზეთი, სახელწოდებით „ქართული გაზეთი“<sup>1)</sup>. ვინ იყო ამის რედაქტორი, ვისი თაოსნობით გამოდიოდა იგი, როდის დაიწყეს მისი გამოცემა ან როდის შეწყვიტეს იგი, — ამის შესახებ არაფერია ცნობა არ მოიპოვება. რომ სრულებით შემთხვევით ერთი ნომერი ამ გაზეთისა (№ 36) ჩვენ არ ჩავგარდნოდა ხელში, ამ საინტერესო ცდის შესახებ თითქმის არაფერი არ გვეცოდინებოდა, ე. ი. მისი არსებობაც-კი არ იქნებოდა ჩვენთვის ცნობილი. ვასაკვირალია, როგორ ჩაქრა ისე ასეთი საქმე, რომ მან არაფერია კვალი არ დატოვა თავის შემდეგ, ასე წარმოიდგინეთ, რომ უბრალო ხსოვნაც-კი აღარ არსებობს მის შესახებ. ეს მით უფრო ვასაკვირალია, რომ „ქართული გაზეთის“ გამოცემა, იმ დროის კვალობაზე, საქმარისათ დიდ ხანს უნდა ვაგრძელებულიყოს, ვინაიდან №-36 ნომერი, რომელიც გაზ. «დროების» რედაქციის ჩავარდნია ხელში, უკანასკნელი არ უნდა იყოს; იმავე დროს ხსენებული გაზეთი, როგორც შინაარსის, ისე ენის მხრით, არ უნდა ყოფილიყო ინტერესს მოკლებული, როგორც ეს სჩანს ამ ერთად-ერთი ნომრიდან, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ<sup>2)</sup>. უფრო მეტი ვიცით მეორე გაზეთის გამოცემის შესახებ, რომელიც გამოდიოდა 1832 წელს სოლ. დოდაშვილის რედაქტორობით და სახელათ ერქვა «ტფილისის უწყებანი». ეს გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა; გარდა ამისა დოდაშვილი ბეჭდავდა აგრეთვე თვეში ორჯერ ჟურნალს, რომელსაც ერქვა «საღატეკატურონი ნაწილი».

<sup>1)</sup> ი. ვახ. „დროება“, 1875 წ., № 57, სადაც გადმოგვძლია „ქართული გაზეთის“ ერთი ნომრიდან (№ 36) ზოგიერთი აღვლილება.

<sup>2)</sup> მოგვეყვას აქ, როგორც შინაარსის, ისე ენის ნიშნით შემდეგი ამონაწერი „ქართული გაზეთიდან“ (36, 1821 წ. სექტემბრის 16 დღეს): უცხო კვეფნის ამბავი: გერმანიიდან ვენით 23 ივნისს, ვალაჩიიდან მოვიდა სარწმუნო ამბავი, რომ ჯარი ლატვიისთა 2000 კაცი, გაგზავნილი კნ. იუსილანტისაგან, სრულებით დამარცხებულია და გაბნეულია“. როგორც ზედათ ეს ენა სამღეთ-წერლის ენა არ არის, იგი უფრო უახლოვდება დღევანდელ „ივერიის“ ენას.





ამათი გამოცემა შეწყდა დოდაშვილის დატუსალებით და გაგზავნით, რადგანაც მას მონაწილეობის მიღება დაბრალდა თქმულებაში, რომელიც განზრახული იყო რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ქ. თფილისში მაშინდელ თავად-აზნაურთა ერთი ნაწილის მიერ. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დოდაშვილს ასეთი ბედი არ სწევოდა, „ტფილისის უწყებათა“ გამოცემა ცოტა ხნის შემდეგ თავის თავათ შეწყდებოდა, რადგანაც გაზეთის მკითხველი მაშინ ჩვენში არ იყო, როგორც არ იყო ათი წლის წინეთ, როცა «ქართული გაზეთი» გამოდიოდა, ქართველი მკითხველის მოვლინებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა; უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ბატონ-ყმურის მონაობის თავიდან მოშორება. სანამ ეს არ მოხდებოდა. ვერც გაზეთი მოიკიდებდა ფეხს და ვერც სწავლა-განათლება. მაშინდელ პირობებში-კი ჩვენში გაზეთის გამოცემა კარგავდა ყოველგვარ მნიშვნელობას, კარგიც რომ შესაძლებელი ყოფილიყო თვით გამოცემა. თუ რამდენათ უდროვო იყო იმ დროს ჩვენში გაზეთის გამოცემა, იქედან სჩანს, რომ მხოლოდ 35 წლის შემდეგ, ე. ი. 1866 წელს, როცა უკვე ბატონ-ყმობა გაუქმებული იყო, შესაძლებელი შეიქნა, თუმც ესეც დიდი ვაი-ვაგლახით და გაჭირვებით ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემა («დროება»).

ჩვენში ბევრს გონია, რომ ქართული ეურნალ-გაზეთობის, პრესის მამამთავარი ვითომც თავადი გ. ერისთავი იყო <sup>1)</sup>, რომელმაც ბ. ი. მეუნარგიას სიტყვით, „პირველათ დააარსა ქართული ეურნალი <sup>2)</sup>. მაგრამ აქ ერთნაირი შეცდომაა: ჯერ ერთი ისა, რომ დრო-გამოშვებითი გამოცემა ქართულ ენაზე, გაზეთის სახით, უკვე 1821 წელს არსებობდა, ე. ი. 31 წლის წინეთ, ვინემ გ. ერისთავის „ციცკრის“ პირველი ნომერი გამოვიდა; მეორეც ისა, რომ თუმც გ. ერისთავის „ციცკრის“ გარეგნობით ჩვეულებრივი ეურნალის სახე ჰქონდა, მაგრამ ნამდვილათ-კი ის დროგამოშვებითი გამოცემა სრულებით არ ყოფილა. გ. ერისთავი მთელა ორი წლის განმავლობაში (1852—1853 წ. წ.) ყოველ თვეში ბეჭდავდა თავის „ეურნალს“; ამნაირათ მან დაბეჭდა სულ ოცდაათი ნომერი ეურნალი „ციცკრისა“. სამწუხაროთ არც

<sup>1)</sup> ასეთი შეხედულება სამუდამოთ უარყო ნ. ჯორდანიამ, რომელიც ქართული პრესის დააწყისათ თელის გ. წერეთლის მიერ გაზ. „დროების“ დაარსებას.

<sup>2)</sup> იხ. გ. ერისთავის თხზულება. მეორე გამ. 1884 წ. წინასიტყვაობა. გვ. XVII—XVIII.



ერთ ნომერში არ დაბეჭდილა ისეთი რამ, რასაც „ცისკარისთვის“ დრო-გამოშვებითი გამოცემის ხასიათი მიეცეს, ამ ოცდაათზე წიგნში თქვენ ვერსად ვერ შეხვდებით ვერაფერთარ ცნობას, უბრალო ამბავსაც-კი, თანამედროვე ცხოვრებიდან. ეს თავისებური რედაქტორი თავის ჟურნალში ბეჭდავდა მხოლოდ თავის და თავის ნაცნობების ლექსებს და დამახინჯებული „ენით“ ათარგმნ მოთხრობებს. ზოგიერთ ლექსების ავტორები უკვე დიდი ხნიდან მკედრები იყვენ, მაგ. დ. გურამიშვილი, ალ. ჰავკეაძე და ნ. ბარათაშვილი. გ. ერისთავის „ცისკარში“, ერთხელაც არ დაბეჭდილა არც შინაური ცხოვრების მიმოხილვა და არც უცხოეთის ამბავი. ამ მხრით „ქართული გაზეთი“ და „ტფილისის უწყებანი“ ბევრით მაღლა იდგენ 1852—3 წლების „ცისკარზე“, მაშინ როცა შერამოცდა-ათე წლებში დრო გამოშვებითი გამოცემის წარმოება უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო, ვინემ ოცი ოცდა-ათი წლის წინეთ. შედარებით ამ ხანებში ჟურნალს უფრო მეტი თანამშრომელი და მკითხველი უნდა ყოლოდა, ვინემ წინეთ. გ. ერისთავის გამოცემა-კი ყველას ხალისს უკარგავდა. თქმა არ უნდა, რომ გურამიშვილის და ნ. ბარათაშვილის ლექსები თავის თავათ კარგი იყვენ, მაგრამ ჟურნალისთვის მარტო ეს როდი კმაროდა. გ. ერისთავის „ცისკარი“ მარტოდენ ლექსების და მოთხრობების კრებული იყო. ის იყო ერთი პატარა წრის თავშესაქცევი საკითხავი წიგნი 1); ამ წრის წევრები იმავე დროს მწერლებიც იყვენ და თავის გასართობათ „ცისკარსაც“ კითხულობდენ. ამ წრეს გარდა პოეზიისა ისიც არა ნაკლებათ აინტერესებდა, თუ „როგორ კეთდება ბატი ძმრით“ ან „მურაბა და ეელე“ (№.№ 3 და 4 1852 წ.) და იმავე დროს კი არც „ცისკრის“ რედაქტორს, გ. ერისთავს, და არც ერთ მის თანამშრომელს არც ერთხელ არ გახსენებიათ თანამედროვე ცხოვრებაზე საუბარი ჩამოგდოთ; თითქო ისინი ზეცაზე ყოფილიყვენ და არა ცოდვილ მიწაზე. ერთი სიტყვით, გ. ერისთავი, როგორც ჟურნალისტი და პუბლიცისტი, სრულებით მოუხმადებელი და უნაყოფო გამოდგა.

1853 წლის დამლევს გ. ერისთავმა შესწყვიტა „ცისკრის“ გამოცემა, რომელიც 1857 წელს ისევ განაახლა ივ. კერესელიძემ. ეს

1) ბ. ი. მუხარჯიას სიტყვით, ამ ხანებში ჩვენში, ბევრი ოჯახი იყო, რომელიც „პაჩრების და ამბების დრო-დროზე მიმტან მომტანი ჟურნალი შეეკნათ დღის დღადებათ“, იბ. ბ. ს. გვ. XVIII. სამწუბაროთ სწორეთ ეს „პაჩრები და ამბები“ აკლდა გ. ერისთავის „ჟურნალს“.

უკანასკნელი, როგორც მწერალი ბევრათ დაბლა იდგა გ. ერისთავზე. მაგრამ, როგორც რედაქტორი, მან ბევრათ უფრო მეტს წაწია და უნარი გამოიჩინა, ვინემ გ. ერისთავმა. რა თქმა უნდა, ჟურნალს ჯერ კიდევ ბევრი აკლდა, როგორც დრო-გამოწვევებით გამოცემას, მაგრამ წარსულთან შედარებით მას რამდენიმეთ სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყუა. მართალია, ჟურნალში არც ახლა ვხედავთ შინაური ცხოვრების და უცხოეთის მიმოხილვას, მაგრამ ისიც კიდევ კარგი იყო, რომ იქ თანამედროვე საზოგადოების შესახებ ლაპარაკი დაიწყეს, მისი ზოგიერთი ნაკლულევიანება, თუმცა არა უმთავრესი და არსებითი, გამოამტკიცეს, თუმც ესეც დიდი შიშით და მოკრძალებით. „ცისკრის“ რედაქციის გარშემო ამ დროს თავს იყრის მის თანამშრომელთა წრე, რომლებიდანაც დავასახელებთ აქ შემდეგთ: თავად ალექსანდრე და ვახტანგ ჯამბ.-ორბელიანებს, მიხ. თუმანიშვილს (მოლაყბეს ფსევდონიმით), ლ. არდაზიანს, ბერძენოვს, ბაქარ ქართლელს (დიმ. ყიფიანს), დიმ. ბაქრაძეს, ალ. სავანელს და სხვ. არც ერთ იმათგანს ერთმანეთ შორის საერთო არა ჰქონიათ-რა, გარდა იმისა, რომ ერთ და იმავე ჟურნალში ლეზულობდნენ მონაწილეობას; და მაშინდელ „ცისკარს“ ხომ, როგორც შემდეგშიაც, არავითარი მიმართულება არ ჰქონებია შემუშავებული თავის სახელმძღვანელოთ. „ცისკრის“ რედაქტორი, ივ. კერესელიძე, პირდაპირ აცხადებდა, „რომ ნურავინ ნუ დაგვემდურება, უკეთუ დაიბეჭდება ვისმეზე წინააღმდეგი სტატია; როგორც ადრე ვთქვი, „ყოველსავე ხტახასა ვებედავ, თუნდაც შეც თითონ შემეხებოდესო“<sup>1)</sup>. თუ ეს სხვადასხვა შეხედულების და აზრის ხალხი ერთათ თავსდებოდა და გამოსაჩენათ არ იბრძოდნენ, ამას ის გარემოება შეეწიდა, რომ ჩვენი ცხოვრების ძირითად საჭირობოროტო კითხვებზე არ წერდნენ და ზოგს შემთხვევაში არც შეეძლოთ წერა, კარგიც რომ მოენდომებიათ. ქართულ ენაზე ჟურნალის არსებობა და ქართული მწერლობის წარმატება ყველა იმათგანს სურდა, დანარჩენი-კი მაშინ საჭირო არ იყო. მართლაც იმ დროს მხოლოდ ერთათ-ერთი საგანი იყო, რომლის შესახებ მსჯელობას შეეძლო მშვიდობიანობის დარღვევა და „ცისკრის“ თანამშრომელთა შორის უთანხმოების გამოწვევა; ეს იყო ბატონ-ყმობა. ჩვენ ვიცით, როგორ გამწვავებული იყო იმ ხანებში ბატონ-ყმური ურთიერთობა; მაგრამ მაშინდელი მწერლები თითქმის სრულებით გაურბოდნენ ამის

<sup>1)</sup> იხ. „ცისკარი“ 1857 წ., № 6, რედაქტორის შენიშვნა.



შესახებ საუბარს. აქ ჩვენ აშკარათ ვხედავთ მაშინდელ სუფრულადგომის ბის გავლენას მწერლობის მუშაობაზე; ეს უკანასკნელი პირდაპირ მებატონეთა გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეული. ვარდა ამისა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მაშინდელი მწერლები თითქმის ყველანი მებატონეები იყვნენ, და რა ვასაკვირალაია, რომ ამ მთავარ საჭირ-ბოროტო საკითხის შესახებ კრინტსაც არ ძვრიდნენ.

უწინარეს ყოვლისა „ცისკარი“ გვაცნობს ჩვენ, თუ როგორ უყურებდა ქართულ ჟურნალს და ქართულ მწერლობას მაშინდელი ჩვენი ეგრეთ წოდებული დარბაისელი, ე. ი. შილალი საზოგადოება, ვინაიდან დაბალ საზოგადოებაში ჯერ ქართულ მწერლობას გზა არ ჰქონდა გაკვალული. საინტერესოა ამ მხრით ალ. ორბელიანის და განსაკუთრებით მოლაყბეს (ფსევდონიმი თ-დ მიხ. თუმანიშვილისა) წერილები. 1858 წ. „ცისკარის“ მეშვიდე ნომერში დაბეჭდილია, სხვათა შორის, თ-დ ალ. ჯამ.-ორბელიანის წერილი სათაურით: „ზე და ის“, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ იმ დროს ბევრი დარბაისელი ქართველი წინააღმდეგი იყო, როგორც ქართული ჟურნალის გამოცემისა, ისე თვით ქართული ენის. შემდეგ, 1859 წელს, იმავე „ცისკარში“ ვკითხულობთ (№ 2, გამოსაზრდება თერთმეტი მებუფისა): „ზოგიერთნი არ მიუდგნენ თავიანთ „ცისკარს“ და ითაკილეს თავიანთი მამა-პაპის ენა... სადაც ბოძანება გადით, უბრძანებენ, სადაც არა, ეხვეწებიანო“... მოლაყბეს სიტყვით „ცისკარს“ უმეტეს ნაწილათ კითხულობენ ბუხები... კაბინეტში შეტანა როგორ იქნება, ქართულ ენაზე არის დაბეჭდილი. სხვათა ენაზე რომ იყოს, აი ეს სხვა არის; ჩვენს ენას ახლა არავინ ხმარობს, წამხდარი ენა არისო“ („ცისკარი“ 1857 წ. № 11, გვ. 35). მოლაყბეს ძლიერ აწუხებდა ის გარემოება, რომ ქართული დარბაისელი საზოგადოება ასე აგდებულათ ექცეოდა ქართულ ენას და ქართულ მწერლობას, და ამიტომაც ერთ თავის წერილში მან სასტიკათ დაგმო და გაკიცხა ასეთი საქციელი. „მსურს სიცოცხლე—სწერს იგი ერთ თავის წერილში—მხოლოთ ამისთვის, რომ ვნახო ქართველნი, იმ გონების მექონენი, რომელთაც ესმოდეთ ღირსება თავიანთის მამულისა“... მხოლოთ „თქვენ—მიმართავს იგი საზოგადოებას—თქვენ დარბაისელნო ქართველნო! ნუ ინებებთ გაუშვით ქართული ენა უფურადღებოთო“ (იხ. „ცისკარი“ 1858 წ. № 3). ქართველ დარბაისელ საზოგადოების მხრით ქართული ენის და მწერლობის აგდება, რომ უფრო აკრძნობიოს მკითხველს, ბ. მოლაყბეს ამ საზოგადოების გვერდით გამოყავს სრულიად უბრალო ადამიანი, სა-

ზოგადობის უკანასკნელ საფეხურზე მდგომი ხაბაზი, და დადებითი და მწარე ირონიით სავსე სიტყვებით მოგვითხრობს, რომ „ის ერთის დღეის კარებზე ხაბაზი, უბრალო ხაბაზი! უძვეეს მუხლზე „ცისკარი“, კითხულობს „სალაყბო ფურცელს“ მაღალი ხმით, თანახმა უხდება ყველაფერში მოლაყბეს, ხედავთ ხაბაზები რას ჩადიან! მე კიდევ იქა ვარ ხ:ბაზთან, ხაბაზთან, ხაბაზთან!“ (იქვე). ეს დაპირდაპირება საუცხოოვით ახასიათებს არა პარტო მაშინდელ მაღალ საზოგადოებას; ეს მართალია დღესაც. არავეისთვის დაფარული არ არის, რომ ჩვენ მაღალ საზოგადოებაში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ როგორც ქართული ენა, ისე ქართული მწერლობა თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას და ხმარებიდანაც გამოდის. მოლაყბეს მხრით კი ასეთი დაპირდაპირება ნამდვილი მხილება იყო, და დარბაისელები ქართველები ამას არ შეარჩენდნენ. ეს მართლაც ასე მოხდა. უნდა შევნიშნოთ, რომ მოლაყბე „ცისკრის“ თანამშრომლებში ერთად ერთი გონება-მახეილი და იდეური თანამშრომელი იყო. იმისი სიტყვები პირდაპირ გულს ხედებოდნენ. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგიც მეტათ ფრთხილი არ ყოფილიყო. მაგ., ჩვენ ვიცით, რომ იგი ყმების განთავისუფლების მომხრე იყო, მაგრამ ამის შესახებ მან ერთხელაც ვერ გახედა ხმის ამოღება თავის „სალაყბო ფურცელში“; ვერ გახედა მაშინაც-კი, როცა ამისთვის მას მარჯვე შემთხვევა მიეცა. 1858 წლის „ცისკრის“ დეკემბრის ნომერში გაზ. „კავკაზიდან“ მოყვანილი შემოკლებით იმპერატორ ალექსანდრე მეორის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა 1858 წელს მ აგვისტოს მოსკოვის კეთილშობილთა წინაშე და რომელშიაც სხვათა შორის იგი ამბობდა: „გახსოვთ თქვენ, როდესაც მე, ორის წლის წინეთ ამისა, თვით ამოთახში, გეტყობდით მას, რომ ადრე იქნება თუ გვიან, უნდა შევუდგეთ ცვლილებასა ბატონ-ყმობის უფლებათა, და უმჯობესი არის დაწყება თავით, ვიდრე ბოლოდან (сверху, нежели снизу)“. ყველასათვის აშკარა იყო, რომ იმპერატორი ამბობდა ბატონყმობის გაუქმებაზე, რაზედაც ლაპარაკობდა მაშინ რუსეთის მთელი მოწინავე საზოგადოება და მწერლობა. მაგრამ ჩვენში კი იმ ხანებში ბატონ-ყმობის გაუქმებაზე კრინტის დაძვრაც-კი არ შეიძლებოდა. ამიტომ ვერც მოლაყბე ბედავს საგანს ნამდვილი საბელი უწოდოს. აი რას ამბობს იგი იმპერატორის სიტყვის შესახებ: „ამის წაკითხვაზე ყოველი ჩემი გონება, სული, გული და თითოეული ასო გარდაიქცა გრძნობათ... ჩვენი მეფე შესდგომია იმისთანა საზოგადო კეთილ აზრს, რომელზე-



დაც კვირობს მთელი ევროპა“ („ციცქარია“, 1858 წ., № 12). იმის მაგივრად, რომ იმპერატორის სიტყვების მნიშვნელობა აეხსნა და განემარტა ბ. მოლაყბეს, მან ამ სიტყვების მნიშვნელობა და აზრი კიდევ უფრო გაუგებარი და ბუნდოვანი გახადა. მართლაც ევროპისათვის რა იყო გასაკვირალი იმაში, რომ რუსეთში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ბატონ-ყმური წესწყობილების გაუქმება უნდოდათ? პირიქით, ევროპა უფრო იმაზე კვირობდა, რომ ამ სახელწოდებაში აქამდის არსებობდა ბატონ-ყმური მონობა. მაგრამ სულ სხვა იყო ჩვენი საზოგადოება და მწერლობა იმ დროს: იქ ბატონ-ყმობის გაუქმებაზე ლაპარაკი აშკარათ არ შეიძლებოდა, ამას მაშინდელი საზოგადოება არაფერს აპატიებდა. მაგრამ სიფრთხილემ მაინც არ უშველა ბ. მოლაყბეს: „ციცქარის“ რედაქტორი ჩქარა აიძულეს, რომ მოლაყბეს თავი დაენებებინა „ციცქარის“ თანამშრომლობისათვის. ჩვენ არ ვიცით, თუ სახელდობ რისთვის აღებდეს მოლაყბეს ხელი „ციცქარის“ თანამშრომლობაზე. შემდეგი წლის დასაწყისში ჩვენ ეტყობილობთ მხოლოდ, რომ რედაქტორი უკან უბრუნებს ბ. მოლაყბეს მის „სალაყბო ფურცლებს“ და ამასთანავე მწუხარებით შენიშნავს, რომ ბ. მოლაყბე „ერთათ ერთი გრძნობის მიქონე მწერალი იყო, მაგრამ, საუბედუროთ, როგორც უცებ გამოჩნდა, ისე უცებ გაქრა“. ამის მიზეზი ის იყო, რომ, როგორც მოგვითხრობს ივ. კერესელიძე, „აქა-იქ გვესმოდა მღურვა, თუმც უმეტესობას მოსწონდაო“. ამის შემდეგ ზოგიერთებს რედაქტორისათვის უთხოვიათ „სალაყბო ფურცლის“ ცალკე გამოცემა, მაგრამ რედაქტორს ამაზედაც ხელი აუღია, ვინაიდან „ოთხი-კოთხივ აღგვიდგენო“. ანაირათ „ციცქარის“ რედაქტორი იძულებული შეიქნა აყოლოდა საზოგადოების ფეხის ხმას, მისი მაჩანჩა-ლა გამზდარიყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ბ. მოლაყბემ ისევ დაიწყო „ციცქარში“ წერა, მაგრამ მერმინდელ მის წერილებს უკვე აღარ ეტყობათ წინანდელი ხალისი და სიცხოველე.

თუმც ამ დროს ბატონ-ყმობის ძაგება და მის გაუქმებაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო, მაგრამ მეორე მხრით არც იმის ქება შეიძლებოდა, რაც გარშემო ხდებოდა; თუმც საჯაროთ ვერავინ ბედავდა ბატონ-ყმობის დაგმობას, მაგრამ იმავე დროს ბატონ-ყმობის მომხრეთაც საჯაროთ ეთაკილებოდათ იმაზე ლაპარაკი, რასაც მაშინდელი მე-ბატონეები ჩადიოდენ. თუმც ზოგიერთებს არ მოსწონდათ ის გამწვავებული ურთიერთობა, რომელიც არსებობდა მაშინ ბატონსა და ყმის შორის, მაგრამ მიუხედავათ ამისა, იმათ თვალში, ბატონ-ყმობა იდეა-



ლური დაწესებულება იყო, რომელიც როგორც ბატონს, ისე ყმას სასურველ კეთილდღეობას ანიჭებდა. თუ თანამედროვე პირობები არ ამტკიცებდნენ ასეთ შეზღუდულებას ბატონ-ყმობაზე, სამაგიეროთ იმის დამტკიცება შეიძლებოდა წარსულის მოგონებით. და ასე მოიქცა ერთი მაშინდელი მწერალი, თავადი ალ. ჯამბ. ორბელიანი. 1858 წელს „ცისკრის“ მეთერთმეტე ნომერში დაბეჭდილია მისი წერილი, სათაურით: „ძველი დროის ბატონ-ყმობა საქართველოში“.

თ-დ ალ. ორბელიანის წერილი მრავალი ზნაით არის საინტერესო. როგორც ზევით შევნიშნეთ, ავტორი ებება მხოლოდ ძველ დროს, მის დროზე კი იგი კრინტსაც არა ძრავს. იგი ცდილობს გააცნოს მკითხველს, თუ როგორი დამოკიდებულება იყო ძველათ საქართველოში ბატონსა და ყმას შორის, და თუ რა ყოფა პქონდათ მაშინდელ ყმებს. ავტორის სიტყვით „საქართველოში მებატონეთ ყმობა მონებათ არ ითქმის. მართალია, სიტყვა ყმობა იყო, მაგრამ საქმე მონებას არ აცხადებს.. უწინდელ დროში გარეშე კაცი იმას ეძებდა: მებატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნოვო, ამისათვის, რომ მებატონე თავის ყმას შვილსაფით ყურს უგდებდა და შვილის მხგავხათ გული ხტკივოდა ყმისათვისო“ (გვ. 815—116)<sup>1)</sup>. სამწუხაროთ ავტორი სრულებით არაფერს გვეუბნება, თუ რაში გამოიხატებოდა ეს „მამაშვილური“ დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის, რაც შემდეგ ხელზე დაიხვიეს თავად-აზნაურობიდან განოსულმა პუბლიცისტებმა და მწერლებმა. ჩვენ ვიცით, რომ პირველ ხანებში, როცა ბატონ-ყმური ურთიერთობა კიდევ არ იყო განვითარებული, ყმების მდგომარეობა არ იყო შევიწროებული ისე, როგორც შემდეგში. მაგრამ ავტორი არ ამბობს, თუ რომელი დრო აქვს მას აქ მხედველობაში. ჩვენ ვიცით, მაგ., რომ მერვიდმეტე და მეთორამეტე საუკუნეებში მებატონეები უკვე ყდიიან თავის ყმებს; ტანჯვა-წვალებაზე ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ. ახლა ვიკითხოთ: რომელი მამა გაყიდდა თავის შვილს, ან რომელი მამა შეუბამდა თავის შვილს კვერში? ყოველივე ეს რაღაც გაუგებარია ჩვენთვის, მაგრამ მოუსმინოთ ავტორს ბოლომდის.

„მებატონეები—განაგრძობს ავტორი—თავს არასოდეს არ ზოგავდნენ ყმებისათვის... ობლებს ნებატონე კაცებს დაუყენებდა და იმათ პატრონობით ზრდიდა, თუ არა სახლში გამოიყვანდა მოსამსახურედ

<sup>1)</sup> ხაზს ჩვენ ვუსვამთ.



და შეილსავეთ ზრდიდა, თუმცაღა მოსამსახურეთო“. აქ უფლები ყველა სიტყვაში წინააღმდეგობაა: მებატონე ისე ზრუნავდა ობლები-სათვის, რომ იმათ კაცებს უყენებდა და იმავე დროს ეს ობლები მას შინ მიყავდა მოსამსახურებათ. აქედან ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო იმ ძველ დროშია-კი, რომელ-ზედაც ავტორი მოგვითხრობს. თუ ობლების სახლში მოსამსახურე-ბათ წაყვანა შეიძლებოდა იმათ დაუკითხავათ და იმათ უნებურათ, იმათი დაყიდვა კიდევ უფრო ადვილი იქნებოდა. და აი ამას უწოდებს ჩვენი ავტორი მამაშვილობას! მართალია, ალ. ორბელიანის სიტყვით, ძველ დროშია ცხვენენ „მებატონეებში სასტიკი კაცები ანუ უწყალონი“, მაგრამ იმათი რაცხვი ძლიერ მცირე იყო. მეფე ვახტანგის სიტყვებს: „სულის გარდა მებატონისა არის ყმაო“, თავადი ორბელიანი ასე ხსნის: „შვილიც ხომ მამის არის და ამგვარათ ყმაც ბატონის არისო, თორემ ბრძენი ვახტანგი ასე უწყალო კანონს როგორ დასდებდაო“. მაგრამ ავტორი იმას კი არ აქცევს ყურადღებას, რომ ცხოვრებამ და ჩვეულებამ მეფე ვახტანგის კანონსაც ბევრათ გადააქარბა, და მებატონეებმა მოიპოვეს ყმებზე ისეთი უფლებები, რომ-ლებსაც მათ კანონმდებლობა სრულებით არ აძლევდა. გარდა ამისა ავტორის აზრით, ბატონ-ყმობას ძველ დროში მეგობრული კავშირის ხასიათი ჰქონდა: მისი აზრით ბატონი და მისი ყმა,—ეს ორი მეგობარი იყვენ, არც მეტი, არც ნაკლები. „მებატონე რომ თავზე ადგა გლებს—მოგვითხრობს ჩვენი ავტორი—მუშაობის დროს და იმათ სიმღერაში ჩაერეოდა; ესეც არა წაქეზებისთვის მუშაობაზე, არამედ უთაქილობისათვისო“. ერთი სიტყვით, მისი აზრით, „ყმას მებატონესთან სრული თავისუფლება ჰქონია, მეგობრული მახლობლობა“. ბოლოს ავტორი დაასკვნის, რომ „უწინდელ დროში ყოველი მებატონე იმას ცდილობდა, თავისი გლებ-კაცი გაკეთებული ჰყოლოდაო“.

თ-დ ალ. ორბელიანის წერილი დიდათ საგულისხშიეროა. თუმც ამ წერილში თანამედროვე ვითარება ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები, მაგრამ მკითხველი მის წაკითხვის შემდეგ ადვილათ მიხვდება, რა სწადდა ავტორს, როცა იგი ძველი დროის ბატონ-ყმობაზე სწერდა. თავის თავათ ბატონ-ყმური წესწყობილება მას საუკეთესოთ მი-აჩნდა, მხოლოთ მას აწუხებდა ის გარემოება, რომ მისი დროის მებატონეები მეტის-მეტ შეუბრალებლათ და სასტიკათ ექცეოდენ თავის ყმებს. ვილას ახსოვდა ის „მამაშვილობა“ და „მეგობრული მახლობლობა“, რომელზედაც ალ. ორბელიანი მოგვითხრობს. ან ვილა





წუხდა იმის გამო, რომ „თავისი გლებ-კაცი გაკეთებული კაცი“ ავტორი კარგა ხედავდა, რომ ცხვრებსა და მგლებს შორის უფრო შესაძლებელი იყო მეგობრობა და მამაშვილური დმოკიდებულება, ვინემ მებატონეთა და ყმებს შორის. მაგრამ ამას მანც წინ უდგას იდილიური განწყობილება ბატონსა და ყმას შორის, რომელიც მისი წარმოდგენით ძველ დროში არსებობდა. ხედავს რა იავის გარშემო საერთო აობრების და მწუხარების სურათს, ავტორი ივინებს ძველი დროის ვითარებას, რომელიც მხოლოდ მის ოცნებაში არსებობდა და ამოიხვრით კეთხულობს: „სად არის ძველი კეთილი განწყობილება, სად არის ძველი დროის სიმდიდრე? ჰეი, ჰეი, სოფელო! ეს არის წესი შენი?“

საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ის კაცი, რომელიც ასე წუხდა ყმების მდგომარეობაზე, თითონ, როცა მისი პირადი სარგებლობა მოითხოვდა, ისე ექცეოდა მათ, როგორც უბრალო ივინს, ვაჭრობდა კიდევაც ყმებით, ე. ი. ყიდულობდა და ყიდდა მოგებით. ერთი სიტყვით, ალ. ორბელიანის, და არა მარტო იმის, წადილი იყო ბატონებსა და ყმებს შორის მამაშვილური განწყობილება ჩამოვარდნილიყო და იმავე დროს ბატონ-ყმური ურთიერთობაც უკლებლათ დარჩენილიყო. მაგრამ ეს მხოლოდ ფუქი ოცნება იყო და მეტი არაფერი, თორემ ვისაც თვალი დაბრმავებული არ ჰქონდა, ყველა კარგათ ხედავდა, თუ რა თვალუწვდენელი უფსკრული არსებობდა მაშინ ბატონსა და ყმას შორის, რომ მათში შესაძლებელი ყოფილიყოს არა თუ მამაშვილური და მეგობრული განწყობილება, არამედ რაიმე მორიგებაც-კი. ამაზე ფიქრი ნიშნავდა ისტორიის ჩარხის უკულმა შეტრიალებას და საზოგადოებრივი ცხოვრების რამდენიმე საუკუნით უკან დახვევას. ჩვენთვის სრულებით გასაკვირალი არ არის, რომ ბატონ-ყმური შეხედულებით გაყენთილი ავტორი ბატონ-ყმობის დაცვის დროს საშინელ წინააღმდეგობას უნდა დასჯახებოდა და დაეჯახა კიდევაც. მეორე ასეთ წინააღმდეგობას დაეჯახა იგი, როცა მან მოინდომა ერთი მხრით ბატონ-ყმობის და მეორე მხრით ვაჭრობა-აღებმციემობის და მრეწველობის შერიგება და ამ აზრათ ვაჭრებას იგი ბრწყინვალე ქართველ თავად-აზნაურობას ურჩევს, რომ მან თავი ანებოს „უწესო ცხოვრებას“ და მიბამოს „საკვირველს საქართველოს სომეხებს“, ე. ი. ხელი მიყოს „ვაჭრობას და შემატებას“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტორის სიტყვით, თავად-აზნაურობა „ისე გაღარიბდება, რომ ღარიბ გლებ-კაცზე უფრო მო-

მეტებით, თუ ვაჭრობისათვის არას იფიქრებსო<sup>1)</sup>. ამნაირსა...  
ალ. ორბელიანიმა თითქმის ამ ნახევარი საუკუნის წინეთ გამოაცხადა,  
რომ თოფმა და პაღლა უკვე დაკარგეს თავის მნიშვნელობა და დღეს  
„აუცილებლათ სჭიროა სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების  
გამრავლება და ვაჭრობაო<sup>2)</sup>. აეტორი სრულებით ვერ გრძობდა,  
რომ ვაჭრობა-მეწველობის აღორძინება და სწავლა-განათლების გა-  
ვრცელება საზღვამოთ ბოლოს მოუღებდა ბატონ-ყობას; ყოველთვე  
ეს ძირეულათ უარპყოფდა ძველი დროის პატრიარქალურ იდილიურ  
ურთიერთობა ბატონსა და ყმას შორის, რომელსაც ჩვენა აეტორი  
ასე შენატრიღ, და იმავე დროს ნიშნავდა თვით წოდებრივ უპირა-  
ტესობათა მისკობას, რასაც მისი გონება ვერასოდეს ვერ შეური-  
გდებოდა. ასე იყო თუ ისე ის კი აშკარაა, რომ ბევრათ აღრე, სა-  
ნამ გაზ. „იერია“ დაიწყებდა ქადაგებას იმის თაობაზე, რომ თო-  
ფის და ხმელს აღვილი ჩვენ დროში ფულმა დაიკ რაო, ეს უკვე ქარ-  
თველ თავად-აზნაურობას ალ. ორბელიანიმა ამცნო.

ასეთია მაშინდელი დროის საუკეთესო და თითქმის ერთათ-ერ-  
თი პუბლიცისტი, ვინაიღვან ხსენებული აეტორი ასე იყო თუ ისე  
შაინც ეხებოდა მაშინდელ ჩვენი ცხოვრების ზოგ მხარეებს. რაც შე-  
ეხება კრიტიკას, ის ჯერ კიდევ არ იყო, მისი არსებობა ჯერ უა-  
დგილოთ და უდროვოთ მიაჩნდათ. ამ აზრის იყო, სხვათა შორის,  
ერთი მაშინდელი საუკეთესო მწერალი, ლ. არდაზიანი<sup>3)</sup>, რომლის შე-  
ხედულება გართულ ენაზე ჩვენ სჭირათ ვთელით აქ მოვიყვანოთ.  
ლ. არდაზიანი პასუხს აძლევს ბერძენოვს, რომელიც გაზ. „კავკასში“

1) იხ. „ცისკარი“ 1859 წ. № 10; წერილი ალ. ორბელიანისა: „ჩვენი სა-  
ქართველოს საზოადოება“.

2) ხსენებულ წერილში თადი ალ. ორბელიანი მოგვითბროს თ-დ ივ. ზავ-  
რატონ-მუზრაქის გამფადრვის ამბავს, რომელმაც „15 წლის განმავლობაში თა-  
ვის მამულის შემოსავალი თორცი თუქანი საბათს თუქანზე მეტათ გადაცია. ეს  
მოთმოქმედა მან შეფენით, მომპორნობით და ჯაბაგირათ. აეტო-ის სიტყვით, სხე-  
ნებულს ეგვას „იმა ცხოვრების პირველ საგნათ კახელი კილად უფრო შემატება“,  
და მის თე ლში „ერია“ ლის ღრმა გონიერს კაცათ თემის თ. ივ. ზავრატონ-  
მუზრაქის! ამისთვის ქართველ თავად-აზნაურთ ურჩევს მს მიბძინ.

3) ამავე აზრის იყო მაში ა. ავანელიც, რომელიც ამბობდა: „ჩვენი ფერ-  
ნალი (ე. ი. „ცისკარი“) არს სკავსად ჩულის ემაწილისა, რომელიც ცდი-  
ლ-ბს ფეხის იღვასა და რომელსაც პირველი ფეხის გადაღება არ დაეწუნება.  
ეს ნაღის სტატეები მსგავსათ იმისა არ უნდა იყვე დაქუნებულო“ („ცისკარი“,  
1857 წ. № 3).



კრიტიკულად არჩეულა „ცისკრის“ ნომრებს. როგორც ეტყობა, ბერძენოვი სასტიკათ მოჭკევიდა „ცისკრის“ თანამშრომლებს. ბ. ლ. არდაზიანი ამბზე უპასუხებს, რომ ეს არის „კრიტიკა სსტიკი, უადგილო, უდროო“. ამნაირათ კრიტიკა ჯერ კიდევ ადრეა „ცისკრისთვის“. ჩვენ, ქართველებს,—გვეუბნება იგი—მამებსაგან არა შეგვისწავლია—რა, სხვას არა უსწავლებია—რა ჩვენთვის. წიგნები არ გეჭონია, რომ გვესწავლა რამ. საიდგან უნდა ვიცოდეთ წიგნის წერა, მაგრამ ხედავთ, როგორ ხალხი განსწავლდა თავის თავადო<sup>1)</sup> და მართლაც, საიდან უნდა ესწავლათ იმ იანებში ჩვენში წერა-კითხვა, საიდან უნდა შეეძინათ ცოდნა? წიგნება არ იყო, მამებმა თავისთვის არა იცოდენ რა და შეოღებს რას ასწავლიდენ. მაგრამ მიუხედავათ ამისა „ხალხი მაინც განსწავლდა თავის თავად“. საიდან, როდის მოხდა ეს „განსწავლა“? ეს გამოიწვია იგივე ცხოვრებამ. ანუ უფრო მართლათ რომ ესთქვათ, ცხოვრების პირობების ცვლილებამ. პატივცემულ ავტორს კი გონია, რომ ეს „თავის თავათ“ მოხდა; მაგრამ მისი მზოით ისიც საკმარისი იყო, რომ მან ეს ახალი მოვლენა შეუნიშნავით არ გაუშვა; სირცხვილიც იქნებოდა, რომ „მეჯღნაშვილის“ ავტორს ეს გამოპაროდა. სამაგიეროთ შემდეგი მისი მსჯელობა მეტათ საფუძვლიანი და გონიერია.

ბერძენოვსა შენიშნა, სხვათა შორის, მოლექსეთა სიმრავლე: „12 წიგნში 57 ლექსია და 15 სტატიია“. ლ. არდაზიანი ხსნის ამ გარემოებას; და უნდა შევნიშნოთ, რომ მისი განმარტება ამ შემთხვევაში ძლიერ სამართლიანია. „მართლაც რა არის ეს დაუთელელი ჯარი უნიკო მოლექსებისაო?“—კითხვობს ჩვენი ავტორი;—„რათ არის იშვიათი ჩვენში პროზაიკული მწერალიო?“—ქართული პოეზია—გვეუბნება იგი—უფრო განვითარებულა, მინამ პროზა... ლექსებს სწეოენ მსუბუქათ, მარტივათ, ცხოვლათ, ყოველი სიტყვა ხტის, თამაშობას; პროზა ჩვენი არის მძიმე, მოუფრკველი, ბნელი, სიცოცხლეს მოკლებული, ცვი, მაშინ, როცა ქართული ენა მერბევი და საამოაო“. შემდეგ ავტორი ადარ ბს სამღვთოწერილს და საერო ენის ფორმას. მისი აზრით, „უოპა სამღვთო წერილის ენისა არ არის ძირეული ფორმა ქართული ენისა. საქლეთო წერილი გადმოითარგმნა სიტყვა სიტყვით ბერძნული ენიდან; ამიტომ შემოგვეპარა ამ ნაირი ელო. ფორმა საერო სრულებათ არ მიემსგავსება საქლეთო

1) იხ. „ცისკრი“, 1859 წ. № 9.



წერილს. საერო წით ლაპარაკობდა ხალხი, სწერდენ მოღვემეები... როდესაც შეიმოსა ჩვენში ყოველი საერო სწავლა, მაშინ შეგვჩა მხოლოთ მიმალლი მონასტრებში სამღვთო სწავლოა... „მხოლოთ მოღვემეები არ მოწვევტილან ხალხს, და ეს არის მიზეზი პოეზიის გამშვენიერებისა. გამშვენიერებული პროზაც შესაძლებელია მხოლოა საერო ენზე“, — ე. ი. იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობს ხალხი. ეს ძლიერ ნაყოფიერი აზრი იყო, რომლის გავრცელება და შეგნება ძლიერ დაეხმარებოდა ქართული მწერლობის განვითარების საქმეს.

დაახლოებით ასეთივე აზრი წარმოსთქვა ცოტა ხნით ამის წინეთ მეორე მაშინდელმა მწერალმა პლ. იოსელიანმა გ. ერისთავის ნაწერების შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ გ. ერისთავმა პირველათ იხმარა თავის კომედიებში ხალხური ენა, ე. ი. ისე, როგორც თვით ხალხი ლაპარაკობდა. მანამდის კი ყველა გაუბოდა ხალხურ ენას, იმის ხმარება სათაკილოთ მიაჩნდათ. გ. ერისთავმა კი აშკარათ უღალატა ასეთ ჩვეულებას და მწერლობის კარი გაუღო ხალხურ ენას, მდამიურ კილოს, რომელიც ცხოველ-მყოფელ და დაუშრეტელ წყაროთ გადაიქცეოდა ახლო მომავალში. ამიტომ ქართულ მწერლობის ახალი ბანის დასაწყისათ სამართლიანათ ითვლება თ-დ გ. ერისთავის კომედიები. ხალხური ენის ხმარებით მან ღრმა ცვლილება მოახდინა ქართულ მწერლობაში, რაც მაშინვე იქნა შენიშნული. როცა მისი კომედია „გაყრა“ ცალკე წიგნათ გამოვიდა, იმას დართული ჰქონდა პლ. იოსელიანის წინასიტყვაობა, რომელშიაც ავტორი, სხვათა შორის, აი რას ამბობდა: „მწერლობა ძველთა, გარდა რუსთველისა და მცირეთა სხვათა, არ იყო ჩვეულებითისა და საუბრისა ენითა, რომელთაც არის და უნდა იყოს ჰემმარტი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირველისა ქართულს ენაზედ კომედიისა, თ-დმან გ. დ. ერისთავმან, დაბადა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვის... მაქვს იმედი რომ ესრეთისა ჩემგან ახლისა გვარისა მწერლობისა კტებას არავინ მიიღებს პირმოთნეობით თქმულათ და თითოეული კეთილგანმზრახი ქართველი სიხარულით და სიამოვნებით წაიკითხავს ამ კომედიას და სხვანიც ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითს მისს(“...?) მაგრამ ამ მაგალითის შედგომა ადვილი არ იყო; უმრავლესობას და იმათ შორის თვით მაშინდელ მწერ-

1) იხ. „ციცქარი“, 1857 წ. № 9.

ლებსაც, მაგ. თ-დ აღ. ორბელიანს<sup>1)</sup>), სრულებით არ ესმოდა, თუ რა ხილი იყო ან რაში მდგომარეობდა „ახალი კილონს“ შემოტანა ქართულ მწერლობაში. მეორე მხრით, ცხადია, რომ დიდი ხნიდან განმტკიცებული ჩვეულების ერთბაშით დატოვება და ახლის შეთვისება სრულებით არ იყო ისე ადვილი, რომ გ. ერისთავის მაგალითს და პლ. იოსელიანის მოწოდებას მაშინვე გაეკრა. თვით პლ. იოსელიანის მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ძველ კილოზე წერა ისე ჰქონდათ გამჯდარი ძვალსა და რბილში მაშინდელ მწერლებს, რომ იჭიდან განთ ვისუფლება მეტათ ძნელი საქმე იყო. ზევით მოყვანილი ამონაწერი იოსელიანის წინასიტყვაობიდან ნათლათ ამტკიცებს ამას.

საზოგადოთ მაშინდელი ქართული პროზა ძველ საეკლესიო კილოზე იწერებოდა, რომელიც დღით განსხვავდებოდა იმ ცოცხალი ენისაგან, რომელზედაც ხალხი ლაპარაკობდა. საეკლესიო ენას ჰქონდა თავის დანიშნულება,—ეს იყო საეკლესიო მწერლობა, ე. ი. საღვთო წერილი, ღვთის-მეტყველება და სხვა ამგვარი, მაგრამ თანამედროვე რომანების წერა ამ კილოზე სრულებით შეუფერებელი იყო და მხოლოდ სიცილის გამოწვევა შეეძლო<sup>2)</sup>. მაგრამ კიდევ უფრო სსსაცილო ის იყო, რომ ძველ საეკლესიო კლოს რუსული ენის გავლენა დაეტყო შესაძნევათ არა თუ უცხო სიტყვების ხმარებით, არამედ თვით ფრაზების შედგენაშიაც<sup>3)</sup>. ერთი სიტყვით ეს ენა აღარც ძველი იყო და აღარც ახალი, აღარც საეკლესიო კილო და აღარც სხვა რამე; ეს იყო გადამახინჯებული, წამხდარი ენა, რომლის განდევნა ლიტერატურიდან შეიძლებოდა მხოლოდ ხალხური ენის საშუალებით. მაგრამ ეტყობა, რომ უცხო ენის გავლენამ, რომ-

<sup>1)</sup> იქვე.

<sup>2)</sup> მაგალითისთვის მომაყეს აქ რამდენ-მე ნიმუში მაშინდელი „ციცქარის“ პროზიდან: „არა მიმხედველი წინაჩეთა ამათ სიფრთხილეთა და არც დახტურის, რომელიც მკორე გამ გ ნუშორკბლოვ გვერდით უჯდა ბელლინის; სწულუბა მიხი გგზნ ბოდა თა დ თან, მაშინ ესკულამან დიდკაჟურად მოჟიდა სიგარას“ („ციცქარი“, 1859 წ., № 3). „ყოველივე ესე და სხვანი ამგვარი ბუნების მშვენაჯგუბანი, ვერღარა მძღუ იქნებან განდენან ის მწუხარება, რომელიც, როგორათაც შავი დრობელი, ვგრთ ზრქლით და ბნელით გარემოეუევის კაცისა სულსა“... („ბანიხდეკ“, ბ-ნ ი. ბერიძისა; „ციცქარი“ 1859 წ., № 7).

<sup>3)</sup> მაგ.: „ამპარტავენად მკირავეი თაჟისა, გამოსულმან კაბრიოლეტიდან მარდმან მ.ნ. უფალმან მისკა „ეოზებოი“ მახურსა“ („ციცქარი“ 1859 წ., № 9). „უფელმა მალიელ დაჰკიდა ცხერიი და განაღო პირი“ (იქ. გვ. 32).

ლის გამო უცხო სიტყვებს ხმარობდნენ იქაც-კი, სადაც ეს სრულებით  
საჭირო არ იყო, გამოიწვია სრულიად წინააღმდეგი უკიდურესობა,  
ე. ი. მოინდომეს უცხო სიტყვების განდევნა იქიდან, სადაც იმათი  
ხმარება აუცილებელი იყო. მაგ., ალ. ორბელიანი სიტყვა „ტურნა-  
ლის“ მაგიერ ურჩევს შემოღებას „სიტყვიერების ტომარისას“ („ცის-  
კარი“, 1857 წ., № 9), ხოლო იმერელი თავადი, ირ. ლორთქიფანი-  
ძე, ამავე სიტყვის ნაცვლათ გვირჩევს შემოვიღოთ „ოქმი, სიგელი,  
ანუ მატიანი“, ნაცვლათ „სალიტერატუროსი“—„მეტყველება“\*.)  
მაგრამ არც ენის და არც ლიტერატურის განვითარება არ ხდება  
ხოლომე მარტოოდენ გარეშე ძალთა ზეგავლენის მეოხებით; გარეშე  
ძალებს შეუძლია მხოლოდ ამ განვითარების დაბრკოლება, რამოდენ-  
ინიმე ხნით შეჩერება, მაგრამ სრულიად შებოჭვა არასოდეს. აქ მოქ-  
მედებენ თავისი საკუთარი კანონები; ამიტომაც ჩვენი მწერლობა  
აცდა ყველა იმ უკიდურესობათ, რომლებსაც ძალდატანებით ახვევ-  
დნენ მას თავზე ზოგიერთი მწერლები.

ამნაირათ ურნალი „ცისკარი“, ი. კერესელიძის რედაქტორო-  
ბის დროს, რომელიც ასე იყო თუ ისე ეხებოდა ზოგიერთ თანამედ-  
როვე საზოგადოებრივ თუ ლიტერატურულ კითხვებს, კრინტსაც არა  
სძრავს იმის შესახებ, თუ რა ყოფაში იყო იმ ხანებში ჩვენში ბატონ-  
ყაზრჩი ურთიერთობა, თუ რა იბეჭდებოდა ან რას ამბობდა ამის შე-  
სახებ მაშინდელი რუსეთის მოწინავე ურნალ-გაზეთობა თუ მწერ-  
ლობა, ან თუ რას უპირებდა მას მთავრობა. ეს ისეთი დიდი ნაკ-  
ლია, რომ მას ვერ გამოიყიდის მრავალი ღირსებაც-კი, რომლებიც,  
რასაკვირველია, არასოდეს არ ჰქონებია ხსენებულ ორგანოს.

ჩვენ ზევით განვიხილეთ, რასაკვირველია, მოკლეთ ურნალ-გა-  
ზეთობის საქმე ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე  
მეორმოცდაათე წლების გასვლამდე. ამ განხილვამ ჩვენ დაგვარწმუნა,  
რომ ამ ხნის განმავლობაში თუმც რამდენიმეჯერ სცადეს ჩვენში  
დრო-გამოშვებითი გამოცემათა დაბრუნება, ე. ი. ურნალ-გაზეთობის  
შექმნა, მაგრამ ამ საქმემ ჩვენში იმ დროს ფეხი კიდევ ვერ მოიკიდა;  
რამდენიმე გამოცემა ჩაქრა ჩაქრა თითქმის სრულებით უკვალოთ და  
უნაყოფოთ; ერთი იმათგანი, სახელდომ „ცისკარი“, თუმც რამდენ-

\* იგივე პირი გვირჩევდა ხმარებას ნაცვლათ „რედაქტორისა“—მეტყვე-  
ლანუ აღმზებდელი, ნაცვლათ „პოეზიისა“—მოშაირობა, ანუ მოღვესეობა, ნაცვლათ  
„პროზისა“—წართქმა ანუ წარმოთქმითი წერა (იხ. „ცისკარი“. 1857 წ., № 7).



ნიმე წლის განმავლობაში შეუწყვეტლათ გამოდიოდა, მაგრამ მათი ცხოვრების მაჯა ძლიერ სუსტათ ცემდა, ანუ უფრო მართლათ რომ ვთქვათ, ცხოვრებასთან იგი დიდი მანძილით იყო დაშორებული. რასაკვირველია, ეს სისუსტე, ეს დაშორება მარტო რედაქციის და მისი თანამშრომლების ბრალი არ ყოფილა; ამის ბრალი უფრო საზოგადოებას ედებოდა, რომელშიაც ძლიერ სუსტათ იყო განვითარებული ყოველგვარი გონებრივი ინტერესი. 1860 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში ჩვენ ვკითხულობთ: „მთელ კახეთში, იმერეთში, გურიას, სამეგრელოს და აფხაზეთს გამოვიდა 118 კაცი, რომ შარშან „ცისკარზე“ ხელი მოწერილი ჰქონდათ, და წლებულსაც მოაწერეს თუ არა, ეს არავინ იცისო!“ მაშასადამე, ამ ორმოც თუ ორმოცდაათი წლის წინეთ ერთათ ერთი ქართულ დრო გამოშვებით გამოცემას იწერდა მხოლოთ 118 კაცი! იმას ნულარ კითხულობთ, თუ რა ზომებს ხმარობდა რედაქცია ამ 118 ხელის მოწერის საშოვნელათ, თუ რა ვაი-ვაგლახით აწერიებდა მათ თავის გამოცემას!

თუ პუბლიცისტიკურ მწერლობას თავს დავანებებთ და ყურადღებას მივაქცევთ მაშინდელ პოეტებს და ბელეტრისტებს, აი რას შევიმჩნევთ. ვერ ვიტყვით, რომ პოეტების და ბელეტრისტების რიცხვი მაშინ ჩვენში შედარებით მცირე ყოფილიყოს, განსაკუთრებით პოეტების. სამწუხაროთ, ნიჭიერი იმათში ძლიერ ცოტა იყო, განსაკუთრებით ბელეტრისტებში. მაგრამ არც ერთ იმათგანს ბატონ-ყმობის შესახებ ხმა არ ამოუღია; ეს საკითხი მათთვის არ არსებობს. თ დი ალ. ქავჭავაძე, საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი ხანების გამომზატველი, ღვინოს და ქალებს უგალობს; თ-დი გრ. ორბელიანი ბუნების აღწერაში პოებს სიამოვნებას; თ-დი ვახტანგ ორბელიანი-კა—საქართველოს წარსულის მოგონებაში, რომელიც ამ მოგონების დროს ცხარე ცრემლებს ღვრის. ამათ ლექსების კითხვის დროს თქვენ ერთბელაც არ მოგივათ იმის ფიქრი, რომ იმათ გარშემო რაიმე მწუხარებას ჰქონოდეს ალაგი. იმათში იყო მხოლოთ ერთათ-ერთი მაიალი ნაკის პატრონი მგოსანი, რომელმაც მართლა სამწუხაროთ ააღლერა თავისი ქნარი, — ეს იყო ნიკ. ბარათაშვილი. მისი პოეზია თავიდან ბოლომდე გაჯღენტილია ღრმა სევდით და მწუხარებით, მაგრამ ამასაც სულ სხვა საფუძველი ჰქონდა: ეს იყო ღრმა მწუხარება „სულით დაობლებული“ ადამიანისა, რომელიც თავის „მხედრს ვერ პოვებდა და მით კაეშანს ველარ იშორებდა“, რომელსაც მთელი „ჩვენი ცხოვრება ფუჭეთ და მხოლოთ ამოიებათ“

მიაჩნდა. ასეთი შავი ფიქრებით დანალღვიანებული პოეტის მიერ თავს თავის „მერანს“ და მას თხოვს, რომ პან იგი „მოაშოროს მის-სა მამულს, გადაატაროს წყალს, კლდეებს და ღრეებს და ნიავს მის-ცეს ფიქრი მისი შავად მლელვარი“... პოეტს აღარ ანუგეშებს აღარც მამული და აღარც სწორნი და მეგობარნი, აღარც მშობლები და აღარც „სატროფო, ტკაილ-მოღბარი“. ამ ღრმა მწუხარებას მარტო სამშობლოს მწარე ხვედრი არ ასულდგმულებდა: მისი სევდა უფრო წუთისოფლის ამაოებიდან მომდინარეობდა, ე. ი. პესნიმასტიური შეხედულებიდან ადამიანის ხვედრზე. განვითარება ხელს უშლიდა ბარათაშვილს საზოგადოებრივი ცხოვრების პარობებს ჩაკვირებოდა. ამიტომ იგი ვერ ხედავდა ადამიანს მის კერძო, წოდებრივ ანუ კლასობრივ პირობებში; ვერ ხედავდა დაზარალებულ და მზაკრეულ, მისთვის ყველა წოდების, ყველა მდგომარეობის ადამიანი სულ ერთი იყო; ყველას ერთნაირი ბედი, ერთნაირი ხვედრი ჰქონდა <sup>1)</sup> ამიტომაც პოეტი ვლარ დაუკვრდა თანამედროვე ცხოვრებას, ვერ შეიგნო ამ ცხოვრების ჭირ ვარამი, ვერ გაიგო მაშინდელი ყუბების მწარე ბედი. მაგრამ რაც უნდა იყოს, ნ. ბარათაშვილის პოეზია იყო სპეტაკი; იგი ბრწყინავდა და დღესაც ბრწყინავს მთელ ზეენ მწერლობაში, როგორც უდიდესი მნათობი ცის სივრცეში. ამჟამათ ბარათაშვილის პოეზიამაც გვერდი ათარა მაშინდელ ძირითად საჭირობოროტო კითხვას—ბატონ ყმურ ურთიერთობას, და ერთი სიკყვი-თაც არ გვმცნო, თუ რა შეხედულების იყო ამ საგანზე ქართული პოეზიის ერთი საუკეთესო წაზმ-მადგენელი.

ასევე მოიქცა თ დი გ ერისთავი, პოეტი, ქართული დრამის მამამთავარი და ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი. მაშინ, როცა ნ. ბარათაშვილის პოეზია შორს მიიყურებოდა, ად მიანის გულსა და სულს ღრმად წვედებოდა და იმავე დროს კი თანამედროვე ცხოვრების საჭირობოროტო საგნებს ოდნავაც ყურადღებ-ს არ აქცევდა, გ-ერთი-თავი-კი, პირიქით, თავს ლექსებსა და კ-შეჯიებში თავს დას-ტრიალებდა თანამედროვე ცხოვრებას; მაგრამ იგი ამ ცხოვრების

<sup>1)</sup> ერთ ლექსში („ფიქრი მტკვრის პირას“) პ-ეტი ამბობს:  
 „თუ იმონ მ ფენიკ უძლველნ, რომელთ იმადღეს  
 ამო სოფლავ არღა არის სხვა რამ დიდება,  
 შეთოფენ და დრტვიწვენ, და იტყვიან „როდის იქნება  
 ის სამეფოც ლეწი იყოს“, და აღიჭვინან  
 იმაგ მიწის-ფის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან“...





ზედაპირს ვერ ვასცილდა, ძირითად კითხვებს ვერ მისწვდა და კმაყოფილდა მხოლოდ წერილმან ნაკლულეევანებათა მხილებით და გაკიცხვით. ქართველი თავად-აზნაურობის გალარობება და გაფუქსაგატება, მისი დავალიანება და მამულის და ყმების დაყიდვა, ცრუმორწმუნოება, ჯვრისწერა ქონების და ხარისხის მიხედვით და არა გრძობის, მოხელეთა გაიძუერაობა, სომეხ ვაჭრების ყაირათი ფულის შეძენაში და მათი გასაოცარი სიძუნწე; ძველ ჩვეულებებზე ხელის აღება და ახლებისადმი მიამუნური მიზაძეა, რუსული სიტყვების ხმა-რება წამდაუწუმ, ენის დამახინჯება, — აი რასაც კიცხავს და ჯმობს თავის ნაწერებშია გ. ერისთავი. ყოველსავე ამას იგი პოულობს თავად-აზნაურობაში და ჩარჩ ვაჭრებში, იგი მუდამ თავად-აზნაურობის წრეში ტრიალებს. მეფახშე ან ჩარჩ-ვაჭარი და მოსამსახურე გლეხი საჭიროა მისთვის მხოლოდ თავად-აზნაურობის დასახსიათებლათ, მისი გარეგანი მორთულობისათვის. იგი ერთხელაც არ შეხებია გლეხ-კაცობის მდგომარეობას, არასოდეს არ მოუწადინებია ბატონ-ყმური ურთიერთობის დახსიათება. საკვირველია, როგორ გამოეპარა გ. ერისთავს, როცა იგი მის თანადროების სურათს გვიხატავდა, მთელი ის წოდება, რომელიც იმ დროს მარტო-მარტო ეწეოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ჭაპანს, რომელიც თავისი შრომით და ოფლით ყველას კვებდა და ასაზრდოებდა<sup>1)</sup>. ეს გარემოება ჩადილს ფენს გ. ერისთავს მოღვაწეობას. მისი დღემილი გლეხ-კაცობის მდგომარეობის შესახებ არ დარღვეულა მაშინაც-კი, როცა, როგორც გადმოგვცემს თ-დი აკაკი წერეთელი, „ბატონ-ყმობის გაყრაზე მოსწრაფებულმა ხმებმა სადღესასწაულოთ გამოიხმეს ახალგაზრდობა და მოწინავე პ.არები“<sup>2)</sup>. გ. ერისთავი მაინც ვაჩუმებული იყო და არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ამ საერთო სიხარულში. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? რათ გაუბოდა გ. ერისთავი სისტემატიურათ ბატონ-ყმობაზე ლაპარაკს? თ-დ აკ. წერეთელის აზრით,

<sup>1)</sup> მიუხედავთ ამისა, არ ვიცი თ რა საბუთის ძალით, თ-დი აკაკი წერეთელი აი რას გვეუბნება თ-დ გ. ერისთავის ნაწერების შესახებ: „არ დაუგდია, რომ ხიცილით არ მოეხსენებოთ არც ერთი მარე, არც ერთი წოდება ?) ჩვენი ქვეყნისა მისი სხეა-და-სხეა იმ დროის მოვლინებებით: გვიხატავს თავად-აზნაურობის ვითარებას, გლეხების მდგომარეობასო“ (იხ. თბულებანი გ. ერისთავისა, გამ. 1884 წ., წინასიტყვ., გვ. IX). აშკარაა, რომ ეს მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი.

<sup>2)</sup> იბ. I. ო. გვ. X.

ამის მიზეზი ის იყო, რომ პოეტს უნდოდა ენახა ბატონ-ყმობის გა-  
ყრა ისე, რომ „შემდეგისთვის საჭირპოროტო და საჩხიკინო აღარა  
დარჩენილიყო რა, და რადგანაც წინა-ნიშნები სულ სხვას უქადდნენ,  
ის თავისებური სიცილით, ნალვლიანათ ამბობდა: ეს ფონი კარგია,  
მაგრამ ერთ ადგილას კი არჩობსო“<sup>1)</sup>. ჩვენის აზრით კი ამის მიზეზი  
სულ სხვა გარემოება იყო და არა ის, რასაც ზევით დასახელებული  
პირი გადმოგვცემს და რაც მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია. ჯერ  
ერთი ეს ვიკითხოთ; სად იყო გ. ერისთავი, სანამ ეს „წინანიშნები“  
გამოჩნდებოდნენ, ეს „წინანიშნები“ ხომ მხოლოდ სულ უკანასკნელი  
წლების საქმეა, როცა ბატონ-ყმობის გაუქმება უკვე გათავებული  
საქმე იყო? და მერე რა მხრით, ან რით არ მოსწონდა მას ბატონ-  
ყმობის გაუქმება? რაში ხედავდა იგი ცუდ ნიშნებს? ყველა ამის შე-  
სახებ არაფერს არ გვეუბნება არც თ. გ. ერისთავი და არც მისი  
დამცველი თ. აკ. წერეთელი. მაგრამ შეიძლება მას სრულებით არ  
მოსწონდა გლეხ-კაცობის განთავისუფლება, შეიძლება მისი გული  
უფრო ბატონ-ყმობისაკენ იყო? რაც უფრო ვფიქრობთ ამაზე, იმდენ-  
ნათ უფრო ვრწმუნდებით მის სიმართლეში. ნუ დაივიწყებთ, რომ  
გ. ერისთავი მებატონე იყო. მოიგონეთ, რომ „როცა ბატონ-ყმობის  
გაყრას მოსწრაფებულმა ხმებმა სადღესასწაულოთ გამოიწვიეს“ ყვე-  
ლა, ვისაც-კი საზოგადო კეთილდღეობისადმი გული უძგერდა, გ.  
ერისთავი სრულებით განზე იდგა და ხმას ერ იღებდა. ესეც ერთ-  
ნაირი პოლიტიკა იყო მისი მხრით.

გ. ერისთავს როგორც დრამატურგს თავისივე სიციცხლეში  
ყავდა რამდენიმე მიმდევარი; იმათში პირველი ადგილი ზ. ანტონო-  
ნოვს უჭირავს; მას ეკუთვნის რამდენიმე ნიჭიერათ დაწერილი კო-  
მედია. ანტონოვის კომედიები მოგვაგონებენ მის მასწავლებლის—გ.  
ერისთავის პიესებს: როგორც ეს უკანასკნელნიც, ისე ანტონოვის  
კომედიებიც მარტო თავად-აზნაურობის და ვაჭრების ცხოვრებას  
ეხებიან. რაც შეეხება მაშინდელ მოთხოობის მწერლებს, როგორიც  
არიან მაგ., გრ. რჩეულოვი და ი. ბერიძე, იმათ შესახებ აქ ლაპარაკი  
სრულებით მეტად მიგვიჩნია, ვინაიდან იმათ ნაწერებს დღეს  
ჩვენთვის სრულებით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აქ საჭი-  
როა შევჩერდეთ რამდენიმეთ ლ. არდაზიანის შესანიშნავ რომანზე:  
„სოლომონ ისაკიან მეჯღანთაშვილი“.

<sup>1)</sup> იბ. ქ. ც. გვ. XI.

ლ. არდაზიანი ხსენებულ რომანში ჯერ კიდევ მეორე მხარე ათე წლებში აღნიშნავს ამ ტიპიურ მოვლენას ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელმაც მხოლოდ იმ ხანებში იჩინა თავი. მაგრამ გარდა ამისა, ლ. არდაზიანის რომანი შესანიშნავი სახელოვნო ნაწარმოებია, საესე სიცოცხლით და შეენიერებით. მეჯღანუაშვილის მოვლინება უკვე ახალ დროს მოასწავებს, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობის გაჩენას გვამცნევს. ეს ურთიერთობა მკყიდრდებოდა და ფებს იკიდებდა ძველი ურთიერთობის—ფეოდალიზმის და ნატურალური წარმოების ნანგრევებზე. ავტორი ცოცხლათ და ნათლად წარმოგვიდგენს იმ პირს (მეჯღანუაშვილს), უკანასკნელ მეჯღანეს შვილს, რომელიც დაიბადა და აღიზარდა უკიდურეს სიღარიბესა და ვაჭივრებაში, გამოუთქმელ სიმწარესა და დამცირებაში, რომელმაც სძლია ათასგვარი გასაჭირი და დაბრკოლება და რის ვაი-ვაგლახით ცხოვრების ბსკერიდან სულ მაღლა ამოკურა ისე, რომ მის წინაშე ქედს იხრიან წარსულთა დროთა დიდებულნი და წარჩინებულნი. უკიდურესი სიღატაკიდან და დამცირებული მდგომარეობიდან საზოგადოების ცხოვრების უმაღლეს საფეხურზე შესკუპება მოახერხა ფულმა. ის სულ სხვა საქმეა, რომ პირველ ხანებში ერთბაშით ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადამხტარი მეჯღანუაშვილი უხერხულათ გრძნობს თავის თავს მისთვის შეუჩვეველ პირობებში, სიმდიდრის დ ფუფუნების სამფლობელოში, თითქო ის აქ შემთხვევით სტუმარი იყოს; მაგრამ ვაეა დრო, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილები გამრავლდებიან და თანდათან შეეჩვევიან თავის როლს.

ანაირად ჩვენ განვიხილეთ მოკლედ, რამდენათაც არსებული მასალა და ადგილი ნებას გვაძლევდა, ერთი მხრით ჩვენი საზოგადოება და მწერლობა და მეორე მხრით მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობა გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ანუ უფრო მართლად რომ ვსთქვათ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან 1860 წლამდის. ჩვენი აზრით, ეს წელიწადი ანუ 1859 წლის ბოლო, შეიძლება ჩაითვალოს ახალი დროის სათავედ თუ არა, ისეთ დროთ მაინც, რომლის შემდეგ აშკარად და საჯაროდ იწყება ჩვენში ლაპარაკი ბატონყმობის წინააღმდეგ. როგორც დავინახეთ ამ დრომდის ჩვენში სრულებით არავის ამოუღია ხმა საჯაროდ ამ საზარელი წესწყობილების შესახებ. თუ ვინმე იყო ისეთი, ვისაც ეს წესწყობილება სძაგდა, იგი იძულებული იყო თავის აზრი და სურვილი თავისივე გულში მოეკლა. რა იყო ასეთი სიღატაკის, ასეთი გონებრივი სი-

ბერავის და გაუბედაობის მიზეზი? გონებრივი განუფითარებლობა იყო ამის მიზეზი, თუ ის გარეობა, რომ თიოქვის ყველა მაშინდელი ჩენი მოღვაწენი და მწერლები წარჩინებულ წოდებას, გაბატონებულ კლას ეკუთვნოდნენ? ჩვენის აზრით, ორივე გარემოება, მაგრამ უფრო-კი უკანასკნელი. ლიბერალობა კარგია, როცა იგი სიტყვის მეტს არა-ფერს თხოულობს თქვენგან. მაგრამ როცა ნივთიერ ინტერესების და-თმობაა საჭირო, ეს სულ სხვა საქმეა. შეიძლება თქვენ სამართლიანად მიგანდეთ ეს დათმობა, შეიძლება სიტყვით თქვენ კიდევაც გამოხდეთ თავისავე მოქმედებას, მაგრამ როცა თვით დათმობაზე მი-დგება საქმე, როცა თითონ თქვენ უარი უნდა სთქვათ იმაზე, რითაც საუკუნოების განმავლობაში უსარგებლია თქვენ წინაპრებს და რაც იმავე დროს თვით თქვენივე კეთილდღეობის საფუძველს შეადგენს, მაშინ თქვენ ლიბერალობას უქვევლად დასძლევს პირადი სარგებლო-ბის გრძნობა და სამართლიანი მოთხოვნების წინაშე უკან დაი-ხვეთ. ასე სჩვევია ყოველგან და ყოველთვის მოკლე ფეხებიან ლიბერალობას და ასე იყო მაშინაც.

1859 წელს, ჟურნალ „ციცკრის“ უკანასკნელ ნომერში დაიბეჭ-და დანიელ ჰონკაძის „სურამის ციხის“ პირველი ნახევარი (მეორე ნახევარი დაბეჭდილია 1860 წ. პირველ-ნომერში), რომელშიაც პირ-ველად იქმნა საჯაროდ დაგმობილი ბატონ-ყმობა. ამის შემდეგ სი-ჩუმის დაცვა შეუძლებელი შეიქნა. დაგუბებულმა აზრმა ამოხეთქა, დაიწყეს ლაპარაკი. ზოგი ბატონ-ყმობას იცავდა, ზოგი მისი წინააღ-მდევი იყო<sup>1)</sup>. მაგრამ მწერლობაში ჯერ კიდევ ხმას არავენ იღებდა, თუმც ეგრედ წოდებული მესამოცე წლების მოღვაწენი იმ დროს უკ-ვე გამოსული იყვნენ სამოქმედო ასპარეზზე. მაგ., თ-დი ილია ჭავჭავაძე, მესამოცე წლების მოღვაწეთა მებაირალეთ მიჩნეული, 1857 წლიდან ჟურნალ „ციცკრის“ თანამშრომელი იყო<sup>2)</sup>. მეორე მხრით, მესამოცე წლების დასაწყისში უკვე ისეთი ხანა დადგა მთელ რუსე-თის სახელმწიფოში, როცა ყოველგან ბატონ-ყმობის გადავარდნაზე ლაპარაკობდნენ, როცა რუსეთის მოწინავე მწერლობა ღირსეულად და გაბედვით უპერდა მხარს ამ ერთადერთ ღირსშესანიშნავ მო-ძრაობას მთელ მის წარსულ ცხოვრებაში. ამავე დროს მთავრობა

1) იხ. ამის შესახებ ბ-ნ კერელი ბეჟას (ან. ფურცელაძის) წერილი „სურამის ციხე“ („ციცკარი“, № 1, 1863 წელს).

2) იხ. „ციცკარი“ 1857 წ., № 6.

ადგენდა ახალ დებულებას ბატონ-ყმური დამოკიდებულებიდან მოსულ გლეხკაცობისათვის. 1861 წელს 19 ოქტომბერს მთავრობამ გამოაცხადა, რომ ამიერიდან რუსეთში ბატონ-ყმური დამოკიდებულება უნდა შეწყვეტილიყო. პირველად ეს შეეხო შიდა გუბერნიების გლეხ-კაცობას; ცოტა ხანში ჩვენ გლეხ-კაცობასაც გაანთავისუფლებდნენ. ამ დროს ბატონ-ყმობაზე წერა თავისუფლად შეიძლებოდა, მთავრობა ამას აღარავის უკრძალავდა. მაგრამ კონჭაძის შემდეგ, რამდენიმე წელიწადი გავიდა, რომ ბატონ-ყმობის შესახებ ხმა არავის ამოიღია. მხოლოდ სამის წლის შემდეგ, ე. ი. 1863 წელს, ანტ. ფურცელაძემ მოათავსა იმავე „ცისკარში“ დ. კონჭაძის „სურამის ციხის“ გარჩევა, სადაც მოთხრობის ავტორთან ერთად დაგმო ბატონ-ყმური ურთიერთობა. ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის“ და „გლახის ნაამბობის“ დასაწყისი, „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი 1863 წელს, აქ მხედველობაში მისილები არ არის, ვინაიდან იქ არსებითად ბატონ-ყმური ურთიერთობა უარყოფლი როდია; იქ მხოლოდ გაკიცხულია ზოგიერთი უკიდურესი მხარეები ამ წესწყობილებისა. თუ რაიმე უკმაყოფილებაა ამ თხზულებებში გატარებული ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ავტორს არ მოსწონს ერთი მხრით ზოგიერთ მებატონეთა გაფუქსავატება და იმათი სრული ზნეობრივი და გონებრივი გადაშენება („კაცია ადამიანი“) და მეორე მხრით ზოგიერთების მეტად უდიერი და სასტიკი მოქცევა თავის ყმებთან („გლახის ნაამბობი“ და „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“). თუ რ ეს უკიდურესობანი, ბატონ-ყმობა, შეიძლება საუკეთესო წესწყობილებაც უფილიყო, რასაკვირველია, ავტორის შეხედულებით. რომ მართლა ასე ესმოდა ილია ჭავჭავაძეს ბატონ-ყმობა, ამას ამტკიცებს მისივე ცნობილი პუბლიცისტური წერილი: „ცხოვრება და კანონი“, ხანგამოშვებით დაბეჭდილი „ივერიაში“ 1877—1881 წლებში. აი, სხვათა შორის რას წერს ჩვენი ავტორი ხსენებულ წერილში: ...ჩვენს ძველ ცხოვრებაში დახდახდა დაუოფა ერობისა არ არსებობდა იმ ხრით, რომ ერთ წოდებას რაიმე წარმომადგენლობა ჰქონოდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და მეორეს არა და ერთს ამით ეჩაგრა მეორე<sup>1)</sup>... „ჩვენში—განაგრძობს ავტორი—თავად-აზნაურობას დღევანდლამდე

1) ხაზს ჩვენ ვუსვამთ, ეს ადგილი ჩვენ ამოღებული გვაქვს ნოვ ეორდინიას წერილიდან „ქართული პრესა“, გვ. 32—33.



თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალეხად იხსენიებოდა და გლეხი კი არაო... „მართალია—ვეამცნებს შემდეგ ავტორი—აქა-იქ ჩვენშიაც არის წოდებითა შორის განხეთქილებათ, მაგრამ ამის მიზეზი იგივეა, რაც თვითველ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნაშუხის ქუდი ახდაო“... რა უყო ავტორმა ქართველ მიფეთა კანონმდებლობა, რომელიც სრულებით შეუზღუდველ უცლებას ანიჭებდა მეტატონეთ თავის მებზე და რომლის მეობებით ერთი წოდების კაცი მეორე წოდების კაცს ჩაგრავედა? რა უყო ავტორმა ჩვენი წარსული ისტორია, რომელიც ერთ წოდების მიერ მეორე წოდების დაჩაგვრას იყო აგებული და არის დღესაც, თუმც სხვა საფუძვლით? ერთი ვიკითხოთ, საით უკუაგდო ავტორმა ცხოვრების სინამდვილე? თავად-აზნაურობის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი „მოკითხვის წიგნში ბრწყინვალედ იხსენიებოდა და გლეხი კი არაო“,—ამის თქმა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც წარსულ ცხოვრებას სრულებით არ იცნობს, ანდა განზრახ ამახინჯებს იმას მკითხველის თვალში. ანაირად იმ პირს, რომელიც წარსულ ცხოვრებაში წოდებითა შორის ვერავითარ განხეთქილებას და წინააღმდეგობას ვერ ხედავდა, ვინაიდან, მისი აზრით, იქ ერთი წოდების კაცი სრულებით არ ჩაგრავედა მეორე წოდების კაცს, ასეთ პირს, ვიმეორებთ, ბატონ-ყმობის წინააღმდეგ არსებითად არაფერი არ უნდა ჰქონოდა. ასეთი პირი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ მზრით იმეორებდა, თუმც სხვა სიტყვებით, თ-დ ზღ. ორბელიანის აზრს, რომელიც, როგორც ვიცით, ამტკიცებდა, რომ ძველად საქართველოში ბატონსა და ყმას შორის მხოლოდ მამაშვილური და სამეგობრო დამოკიდებულება არსებობდაო. აქ ერთი საკვირველი გარემოებაა, რომლის ახსნა ჩვენ გვეძნელება: როგორ მოხდა, რომ ის მწერალი, რომელიც უარს ჰყოფდა ჩვენ წარსულში ერთი წოდების მიერ მეორე წოდების დაჩაგვრას, იმავე დროს ბატონყმობის გაუქმების შესახებ მოტანებულ ხმას „ხალხის ბორკილის მტკრევის სანატრელ ხმას“ უწოდებდა? თუ ბატონყმობის გაუქმება „ხალხთა ბორკილის მტკრევა“ იყო, მაშ ჩვენი გლეხკაცობა წარსულში რომელიმე წოდების მიერ შეზღუდული და შეპორკილი ყოფილა ისე, რომ იგი სრულებით მოკლებული უნდა ყოფილიყო ყოველგვარ პირად თავისუფლებას? თუ ეს ასე იყო, რის უარის ყოფა არავის არ შეუძლია, უთუოდ უნდა ყოფილიყო როგორც მჩაგვრელთა, ისე დაჩაგრულთა წოდება. ჩვენ არ ვიცით, თუ რო-

გორ ურიგდებოდენ ერთმანეთს ახალგაზრდა პოეტი ჭავჭავაძე და დავაგაკეციბულ და დინჯ ჰუმბლიცისტს ჭავჭავაძეს. ვიცით მხოლოდ, რომ ცნობილი ლექსი: „მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტკრევისა“ დაწერილია 1860 წელს და დაიბეჭდა კი მხოლოდ 1871 წ., როცა მას არაერთიანი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა<sup>1)</sup>. ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაშიაც მეტისმეტი დინჯი და თავდაპირველი მწერალი ყოფილა, თორემ გულმა როგორ მოუთმინა, რომ 1860 წელს დაწერილი ლექსი მხოლოდ 1871 წელს გამოაქვეყნა, როცა ბატონ ყმობა დიდი ხანია გადაფარდნილი იყო? აი ვინ იყო ილ. ჭავჭავაძე და როგორი იყო მისი შეხედულება ბატონ-ყმურ ურთიერთობაზე.

ჩვენ საზოგადოებასა და მწერლობაში კი ხსენებული პირის შესახებ სულ სხვა აზრი არსებობს. საზოგადოთ გონიათ, რომ როგორც ილია ჭავჭავაძე, ისე იმ ახალგაზრდობის გუნდი, რომელსაც მესამოცე წლების მოღვაწეებს უწოდებენ, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე ჰქუბდენ და ჰქუქდენ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. უფრო გასაკვირალი აქ კიდევ ის ვარემოებაა, რომ ყველა ეს მოღვაწენი თავად-აზნაურები, განთქმული ოჯახის შვილები იყვენ და აი თურმე პირველათ ვის „ამოუღია ხმა დაჩაგრულ გლეხ-კაცობის სასარგებლოთ, ვინ ცდილობდა აღედგინა ფებქვეშ გათელილი სახელი ადამიანისა“; აი თურმე „ვინ მიიტანა იერიში თავად-აზნაურობის და მის უფლება-უპირატესობის წინააღმდეგ“<sup>2)</sup>. საიდან ან როგორ გავრცელდა მესამოცე წლების მოღვაწეებზე ასეთი აზრი? როდის იყო, რომ „თავად-აზნაურებს და განთქმული ოჯახის შვილებს ოდესმე ჩვენში ბრძოლა აეტებოს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ? ჩვენ განვიხი-

<sup>1)</sup> ამიტომაც ჩვენ ეს ლექსი არ მოგვიხსენებია ზევით, როცა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მიმართულ ლიტერატურაზე ვლაპარაკობდით, ვინაიდან ლექსის დაწერა და სტოლის უჯრაში შენახვა სულ სხვაა და მისი გამოქვეყნება კიდევ სულ სხვა.

<sup>2)</sup> ასე მსჯელობს ბ. შაიაშვილი (იხ. „ივერია“ 1889 წ., № 223, წერილი „ძველი და ახალი თოხა“). ჩანს, რომ აეტრის არაერთიანი სურვალი არ ჰქონებია ის საგანი ვაეცნო, რომელზედაც ასე თამამათ წერს. მაუხედავთ ამისა, ასეთი შეხედულება აღეზღისაც გამეფებულია ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში. მაგ., იმავე ვახ „ივერიაში“ ამახ წინეთ დაიბეჭდა ბ. ი. ნაძის წერილი, რომელშიაც ილია ჭავჭავაძეზე აი რა არის ნათქვამი: „აღტაცებულათ მივხალმა ის ბატონ-ყმობის მოხპობის, იცაედა გლეხთა უფლებას მამულის პატრონთა და თავად-აზნაურობის წინაშე“ (იხ. „ივერია“ 1908 წ., № 192).

ლეთ ამ ხზრით მესამოცე წლების მწერლობა და არაფერო მსგავსი იქ ჩვენ არ დაგვინახავს. მესამოცე წლების დასაწყისში, ე. ი. იმ დროს, როცა ეს საქირო იყო, ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ მესამოცე წლების მოღვაწენი ან სიტყვით ან საქმით ამხედრებული ყოფილიყენ ბატონ უმობის წინააღმდეგ. მხოლოთ post factum, როცა ბატონ უმობა კანონით გაუქმდა და ესეც პირველ ხანებში, ისანი ლიბერალობდენ და ვითომც დაჩაგრულ გლეხკაცობას ესარჩლებოდენ. მაგრამ რაც ხანი გადიოდა, იმათ ლიბერალობასაც თანდათან საფანელი აკლდებოდა და ბოლოს ძველი ლიბერალები ნამდვილ კონსერვატორებათ გარდაიქცენ.

1860 წელს 16 ივნისს კ. თბილისში გარდაიცვალა კლექისავან დ. კ-ნქ ძე. იგი არ არის შერიცხული მესამოცე წლების ცნობილ მოღვაწეთა გუნდში და მართლაც დ. კონქაძე არ ეკუთვნის ამ გუნდს არც სულით და არც ხორციით; ჯერ ერთი ის, რომ შთამომავლობით იგი იყო გლეხი და მეორეც ისა, რომ იგი იყო ერთათ ერთი პირი, რომელმაც ჩვენში პირველათ ამოიღო ხმა დაჩაგრულ გლეხკაცობის სასარგებლოთ და სასტიკი და შეურიგებელი ომი გამოუცხადა ბატონ-უმურ ჯრთიერთობას; და ეს იმ დროს, როცა არათუ ჩვენში, თვით რუსეთშიაც კი ბატონ-უმური წესწყობილება ისევ თავის ძალაში იყო და მის წინააღმდეგ ხმის ამოღება მეტათ საშიში



## სურამის ციხე

ჩვენში რომ ვისმეს კითხოთ: რომელა წიგნია ხალხში უფრო გავრცელებულიო? — უცველია პასუხს მიიღებთ, რომ „ვეფხვის-ტყაოსანიო“. მარჯალია, რომლისამე წიგნის გავრცელება მის შინაგან ღირსებას სრულებით არ ამტკიცებს, მაკრა! ამ გარემოებას მარც დიდი მნიშვნელ-ბა აქვს. ერთ დროს მართლაც „ვეფხვის-ტყაოსანი“ დოდათ გავრცელებული იყო ჩვენში და თუ მივიღებთ მხედველობა-ში მის ხშირ გამოცემას ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განპი-ლობაში, ეს პოემა დღესაც საკმარისათ გავრცელებული უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ მაინც იმ აზრისა ვართ, რომ დღევანდელი მშრომელი ხალხი, ე. ი. რომელსაც დაბალი ხალხი ეწოდება თანამედროვე ენა-ზე, „ვეფხვის-ტყაოსანს“ ნაკლებათ ეტანება, და რაც დრო მიდის, მისი ინტერესი კიდევ უფრო კლებულობა. „ვეფხვის-ტყაოსანს“ უფრო ეტანება და გასაეილი აქვს საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც დაჩვეულია უსაქმობას და რომელსაც მოსწონს აღმოსავლეთის რაინდული ცხოვრება. თუ ოდესმე ხსენებული პოემა, როგორც ზღა-პრული მოთხრობა, იპყრობდა ხალხის ყურადღებას, დღეს ეს სრულებით აღარ ითქმს. შოთა რუსთაველის მეტაო მდიდარი ფ. ნტაზია, გამონიუ-ლი ლექსი, სიტყვების და ანდაზების დაუშრეტელი წყარო, — ეს გარე-განი ღირსებანი დიდხანს ხიბლავდენ მკითხველის თუ მსმენლის ვრც-ნობას და გონებას. დღევანდელი ცხოვრების პირობები კი სულ სხვანაირია: ცხოვრება რთულდება და ხალხში ისეთი მოთხოვნილე-ბები ჩნდებიან, რომლებიც წინეო სრულებით არ არსებობდენ, ა. ს. თანავე ძველი წარმოდგენანი და შხედულებანი საშუდამოთ ქრებიან. დღეს მკითხველი წიგნში იძ ბს აზრს, მიმართულებას და პ. ს. უხს ათასგვარ „დაწყველილ“ კითხვებზე, რომლებსაც მ. ს. წინ უყენებს ყოველ-დღიური ჭკან წყვეტა. აშკარაა, რომ „ვეფხვის-ტყაოსანი“ მას დღეს ვეღარ უშველის, იქ გამოხ ტული და დასკოთებული გმირები დღევ ნდელი მკითხველისთვის სრულბ თ გაუგებარი და უსარგებლოა; მას ე აკიროება თან. მ. დროვე ცხოვრების ახსნა და განმარტება, თანამედროვე ცხოვრების დახატვა, ჩვენი დროის გმირე-



ბის გაცნობა. მხოლოდ ის წიგნი, ის ლიტერატურული მნიშვნელობის  
მიიპყრობს დღეს ხალხის ყურადღებას, რომელიც დააკმაყოფილებს  
ასეთ მოთხოვნილებათ.

სამწუხაროთ ჩვენდა ზუნდა აღვივროთ, რომ ჩვენი მწერლობა  
მეტათ ღარიბია ასეთ წიგნებით. მაგრამ არც ის ითქმის, რომ სრულ-  
ლებით არ მოგვეპოვებოდეს რა. დ. ჰონქაძის „სურამის ციხით“ იწყე-  
ბა ჩვენში თანამედროვე სახალხო წიგნების ხანა. ეს ერთად ერთი  
მოთხოვნილებაა, რომელმაც პირველათ გაიკვალა გზა ჩვენ ხალხში და  
პირველ გაცნობისათანავე მოიპოვა მის გულში მზურვალე თანაგრძ-  
ნობა და მკვიდრი საბუღარი. დღეს ჩვენში იშვიათათ ზუნდა მოიპოვე-  
ბოდეს ისეთი მკითხველი, რომელსაც წაკითხული თუ არა გაგონი-  
ლი მაინც არ ჰქონდეს „სურამის ციხის“ შინაარსი. პირველ ხანებში  
„სურამის ციხის“ გავრცელებას ხალხში მრავალი დაბრკოლება ელო-  
ბებოდა წინ, და ზუთაფრესათ ის, რომ „ციხეში“ დაბეჭდვის შემ-  
დეგ ის კიდევ დიდხანს არ გამოუციათ ცალკე წიგნათ. მხოლოდ  
15 წლის შემდეგ ე. ი. 1874 წელს ელირსა „სურამის ციხეს“ პირ-  
ველათ ცალკე წიგნათ გამოცემა<sup>1)</sup>. ამის შემდეგ იწყება მისი გავრ-  
ცელება ხალხში<sup>2)</sup>. ვერ ვიტყვით, რომ „სურამის ციხის“ გავრცელებ-  
ბა აიხსნებოდეს მისი გარეგანი ღირსებით; როგორც სახალხო ნა-  
წარმოებს, მას ბევრი ნაკლულეგანებაც აქვს. მაგრამ მიუხედავათ  
ამისა, თანამედროვე ქართულ მწერლობაში არ მოიპოვება მეორე  
მოთხოვნილება, რომელიც „სურამის ციხესავით“ იყოს გავრცელებული  
ხალხში. ამის ზუთაფრესი მიზეზი ის არის, რომ ხალხმა „სურამის  
ციხეში“ დაინახა თავისი თავი როგორც სარკეში, თავისი მწარე  
ხვედრი და თავგადასავალი, თუმცა წარსულში, მაგრამ ბევრს ეს  
თავისი თვალით უნახავს და თავის თავზე გამოუცდია; და განა  
დღეს კი მას არ ადგას გასაქირი? დღეს კი იგი თავისუფლათ გრძ-  
ნობს თავის თავს? განა ბატონ-ყმური უღელი სხვანაირ ტვირთათ  
არ შეიცვალა მისთვის? ერთი სიტყვით იგი დღესაც დაჩაგრულია და  
რადგანაც „სურამის ციხე“ თავიდან ბოლომდე გატყუნილია მაღა-  
ლი კაცობრიული თანაგრძნობით დაჩაგრულ ადამიანისადმი, ამიტომ  
რა გასაკვირველია, რომ იგი ხალხმა თავისიანათ მიიღო.

დაწერილებით „სურამის ციხის“, შინაარსი ჩვენ არ მოგვყავს,

1) ეს პირველი გამოცემა გულთინის ი. ბაქრაძეს და ვ. ხულოძეს.  
2) დღემდის „სურამის ციხე“ ხელ ზუთჯერ არის გამოცემული.

რადგანაც წინდაწინვე წარმოდგენილი გვაქვს, რომ ჩვენი შეთხვევა პირადათ იცნობს ამ მოთხრობას.

ავტორი მოთხრობის დასაწყისშივე მკითხველის ოცნებას აპყრობს საშუალ საუკუნოებს, როცა საქართველო ჯერ კიდევ დამოუკიდებლათ ცხოვრობს თავისი მეფეებით, მთავრებით, ვეზირებით, ძლიერი ფეოდალებით. მას ჩვენ გადავყვებით იმ სიბნელით და საიდუმლოებით მოცულ დროს, როცა ხალხში უმეცრება და ცრუმორწმუნოებაა გამეფებული და როცა ყველაფერს ზესთაბუნებრივ ძალას და გავლენას აწერენ. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ გარეგანი მორთულობაა, დეკორაცია განზრახ გამოგონილი ავტორის მიერ იმ მიზნით, რომ მოთხრობის დედა-ასრი ძლიერ აშკარათ არ ძგერებოდა თვალში მაშინდელ საზოგადოებას. თვით მოთხრობის შინაარსი ავტორს აღებული აქვს მის თანამედროვე ცხოვრებიდან; ეს არის მაშინდელი ბატონ ყმური ურთიერთობის გამოხატვა. ავტორს სურს დაინახოს მკითხველს ერთი მხრით ყოველგვარ უფლებას მოკლებული ადამიანის—ყმის მდგომარეობა მებატონეს ხელში და მეორე მხრით ის, თუ რა ხარისხამდე ახწევს ადამიანის მიერ ადამიანის დანაგვრა. ამ თანამედროვე და ცოცხალ შინაარსს დ. ჭონქაძე განგებ ახვევს ძველი ლეგენდარული გადმოცემის ბურუსში, რათა თანამედროვე მებატონეთათვის დავთარი დაეზნია. და მართლაც პირველი შეხედვით ყველას ეგონებოდა, რომ აქ საშუალ საუკუნოებზეა ლაპარაკი. მაგრამ მოთხრობაში აწერილი ამბები მეტათ აშკარათ და თვალსაჩინოთ ღალადებენ, რომ ასეთი თავისი თავის მოტყუილება დიდხანს ვაგრძელებულიყო. ეს მართლაც ასე მოხდა, როგორც გადმოგვცემს ან. ფურცელაძე<sup>1)</sup>, მაშინდელი მებატონეები „ჯერ დიდხანს ვერ მოვიდნენ ცნობასა და ბოლოს, როდესაც მოიპოვეს გრძობა... „სწორეთ ჩვენა ვართო“—თქვეს ყველამ ერთი ხმით, მაგრამ საქვეყნოთ კი არ სტყდებოდნო“. იმნაირათ დ. ჭონქაძე თავის „სურამის ცრხით“ თითქო ეუბნებოდა თანამედროვე საზოგადოებას: *de te fabula narratur*—არაკი შენზეა ნათქვამიო.

როგორც ზევით ვამბობდით, „სურამის ციხის“ შინაარსი ავტორის თანამედროვე ცხოვრებიდან არის აღებული. მაგრამ ეს ცოცხალი შინაარსი ავტორს ჩაუსვამს ძველ ჩარჩოში. თუმც ამ შემთხვევაში დ. ჭონქაძემ შესანიშნავი ნიჭი გამოიჩინა, მაგრამ ამ ძველი და

<sup>1)</sup> იხ. „ცახკარი“ 1863 წ. № 1, „სურამის ციხე“.

ახლის დაკავშირებამ დიდათ აენო მოთხოვნას, როგორც სახელგანთ  
ნაწარმოებს. ავტორის თავი და თავი მიზანი თანამედროვე ბატონ-  
ყმური ურთიერთობის გამოხატვაა, მაგრამ იმავე დროს იგი იძულებ-  
ულია ისეთი ამბავი მოგვითხროს, რომელსაც არავითარი კავშირი  
არა აქვს მოთხოვნის მთავარ საგანთან. ამნაირათ «სურამის ციხეში»  
თითქო ორი სხვადასხვა მოთხოვნაა: ერთი მხრით ხალხური გადმო-  
ცემა სურამის ციხის გაკეთების შესახებ, რომელთანაც შეკავშირებულ-  
ია ამბავი დურმიშხანსა და გულისვარდზე, და მეორე მხრით ოსმან-  
ალა თავისი თავგადასავალით. მაგრამ იმავე დროს დურმიშხანის მო-  
ქმედება სულ ტყუილათ არის გადა ჯანილი საშუალო საუკუნოებში  
მთელი მისი ცხოვრების ამბავი თვით ავტორისვე დროს ეკუთვნის.

პირველათ ჩვენ განვიხილოთ, თუ რაზე ავაო დ. ჭონქაძემ თავ-  
ის მოთხოვნის დედა აზრი. ეს არის სურამის ციხის გკ თების  
ამბავი. აქ მან ისა-გებლა ხალხური გადმოცემით. ერთხელ საქართ-  
ველოს მტრების შემოსევა მოეწი; იმ-თ მოსაგერებლათ და ქვეყნის  
დასაცავათ საქაროა სურამის ციხის გაკეთება, რ-საც კიდევაც შეუ-  
დგენ. მაგრამ ციხის კედლების ამოყვანა არა საშუალებით არ ხერ-  
ხდება: ამოიყვანენ თუ არა, მაშინვე ინგრევა. საქართველოს ბედი  
ზეწეზე ჰკიდია, და არც იციან რას მიმართონ. ყველანი, დიდი თუ  
პატარა, ანაზე ფიქრობენ. ამ დროს ვიღამაც წამოიძახა: «მოდე ერ-  
თი მკითხვეს ვაკი ხეივანთა». ვეზირმა მოიწონა ეს აზრი და გადა-  
სწყვიტეს ეკითხვინებიათ «ავლაბრელ ვარდუასთვის». გზავნიან კაცს  
მასთან, მაგრამ ვარდუა მიიხმობს თვით ვეზირს და უჩეცს მას, რომ  
ციხის გაკეთებისათვის სიჭიროა კედელში ცოცხალი ვეის ჩატანება,  
«დედის ერთა ვეის, დურმიშხანის ვეის — ზურაბისათ». ხელახლა  
შეუდგებიან ციხის კეთებას, დაიჭურენ ზურაბს და კედელში ცოც-  
ხლათ დაატანებენ. ასეა ეს ამბავი მოთხოვნილი «სურამის ციხეში».  
აქვე უნდა დავუთოთ, რომ ავლაბრელი მკითხვეი ვარდუა ანუ გუ-  
ლისვარდა დურმიშხანის საცოლო იყო; დურმიშხანმა იგი შემდეგ  
სხვაზე გასცვალა და გულისვარდიც ასე საშინ-ათ იძიებს მანე ზურს.

სამწუხაროთ, ჩვენ არ ვიცით, რა სახით არსებობდა ხალხში ეს  
გადმოცემა; ანერც არ შეგვიძლია დავაფასოთ, თუ როგორ ესარ-  
გებლა დ. ჭონქაძემ ამ ხალხური ლეგენდით: შეუცვლილათ, თუ მოა-  
ხდინა მაში რაიმე ცვლილება. საინტერესოა, რომ თითქმის ამგვარივე  
ლეგენდა არსებობს ვალახურ ენაზე; მაგრამ ამ ორ ლეგენდას შო-  
რის დიდი განსხვავებაც არის. მოგვეავს აქ სულ შენიკლებით მისი

შინაარსი. დასაწყისი ორივეგან ერთნაირია: იქაც ციხეს <sup>საქონელს</sup> მაგრამ კედლების ამოყვანა ვერ მოუხერხებიათ. ხალხი დიდ სასოწარ-<sup>სალოცო</sup> რკვეთილებაშია. ამ დროს საიდგანაც გაჩნდება უცხო ჭვენიდან მოსული ღრმა მოხუცი, რომელიც ამბობს, რომ ციხის ასაშენებლათ საჭიროა კედელში დატანებული იქნას ცოცხალი ვაგი. ნხოლოდ არა ძალდატანებით, არამედ თავის სურვილით, ვაგმა თვითონ უნდა მოისურვოს თავისი თავის მსხვერპლათ შეწირვა სამშობლოს საკეთილდღეოთო. მეფე ახდენს ხალხის ყრილობას, რომელსაც უცხადებს მოხუცის რჩევას. ხალხში ჩამოვარდება საშინელი მღუმარება. ამ დროს ხალხიდან გამოდის ახალგაზდა ყმაწვილი, დედისერთა ვაგი და აცხადებს სურვილს, რომ იგი ცოცხალი დაატანონ კედელში, ოღონდ კი ამით სამშობლოს ეშველოს. როცა ამ გულად და სამშობლოსათვის თავდადებულ გმირს ცოცხლათ მარხავდენ კედელში და უქანასენელათ უნდა დააყარონ მას თავზე კირი, ამ დროს ხელახლა გამოჩნდება იგივე მოხუცი და ამბობს: კმარა! ამოიყვანეთ ვაგი კედლიდან! მისი დატანება საჭირო აღარ არის: იმ ხალხს, რომელსაც შეუძლია ასეთი გულადი და სამშობლოს ერთგული შეიღების აღზრდა, ნტერი ვერაფერს დააკლებსო!

ასეთია ვალახური ლეგენდა; ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენათ მალა დგას ის იმ გადმოცემაზე, რომელიც დ. ჭონჭაძის მოთხრობაშია. ამ გარემოებას აორკეცებს გარდა ამისა ის გარემოებაც, რომ დ. ჭონჭაძის მოთხრობას თავიდან ბოლომდე ახალი დროის დალი ატყვია: თუ ძველათ ხალხის თვალში კედელში ცოცხალ ადამიანის დატანებას კიდევ რაიმე საუფქველი ჰქონდა, — იმ დროს, რომელსაც ნამდვილათ ეკუთვნის მოთხრობა, ეს შეუძლებელი იყო. ამნაირათ დ. ჭონჭაძემ თავის მოთხრობაში ძალდატანებით გადმოიტანა ძველი თქმულება და მასთან ერთათ ძველი წარმოდგენანი და შეხედულებანი ახალ დროში. თუმც, როგორც ზევით შევნიშნეთ, ამ გარემოებათ ძლიერ აწნო დ. ჭონჭაძის მოთხრობას, როგორც სახელოვნო ნაწარმოებს, მაგრამ ავტორი იმულებული იყო ამ საშუალებისთვის მიემართა, რომ მის მოთხრობას დღის სინათლე ღირსებოდა.

როგორც ვამბობდით, უმთავრესი დედა-აზრი, რომლის გარშემო ტრიალებს დ. ჭონჭაძის მოთხრობის შინაარსი, არის ურთიერთ დამოკიდებულების გამოხატვა ბატონსა და ყმას შორის მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. აქ ერთი მხრით თქვენ ხედავთ მებატონეს აულაგმავ თვითნებობას და მის შეუზღუდველ უფლებას თა-



ვის ყმაზე და მეორეს შორით—ყმის, რომელსაც ჩამორთმევდა აქვეს ყოველგვარი ადამიანური უფლება და რომელიც ბატონის მონაა. ავტორი გასაოცარი სინამდვილით და ხელოვნურათ გვიხატავს ამ ნიადაგზე აღმოცენებულ ურთიერთობას და აქედან წარმომდგარ განხეთქილებას და შეტაკებას. თქვენ აქ ხედავთ ყმების სრულ დამონებას და იმათ ოჯახის მოშლას; ხედავთ, როგორ სტაცებენ დედას ერთადერთ შვილს და საჩუქრათ აძლევენ ან ყიდიან მას სხვა ადგილას, რომლის ნახვას დედა ვერასოდეს ვეღარ ელირსება; უყურებთ ადამიანის პიროვნების უკიდურეს ხარისხამდე დამციროებას და მისი ღირსების ფეხქვეშ გათელვას, დედაკაცების ძალათ გაუპატიურებას; ხედავთ უზომო და აუტანელი სასჯელის მიყენებას და სასჯელში სჯლის დაღვევას და რა ვიცი კიდევ რას. ავტორს თანდათან შეეყვარათ ამ საზარელ ატმოსფეროში. პირველათ იგი მოგვითხრობს ღურმიშხანის ამბავს: იგი იყო წერეთლიანთ ვოგოს ერთათ-ერთი შვილი. „ღურმიშხანის დედა იყო ისე უბედური, რომ მოეწონა თერამეტი წლის წერეთლის ვაჟს და იმის შემდეგ განდა ღურმიშხანი“. ერთხელ წინანდელ მის ბატონს მუხრან-ბატონი ეწვია სტუმრათ. რაღაც უბედურებაზე მუხრან-ბატონმა მოიწონა დურმიშხანი. ეს იყო და ეს: ამით გადაწყდა მისი ბედი. მეორე დღეს იგი შემოუსვენს ცხენზე მუხრან-ბატონის ბიქს და გააყოლეს მას. რა თავზარდამცემი იყო ღურმიშხანის დედისათვის შვილის წართმევა, ეს სჩანს იქიდან, რომ მან ვერ გაუძლო შვილის ასე დაკარგვას და ერთი წლის შემდეგ ამ ამბისა დაღია სული. მაგრამ ეს მხოლოდ შესავალია იმ ამბების, რომლებიც ავტორმა შემდეგ უნდა მოგვითხროს და რომლებიც ოსმანალას თავ-გადასავალს შეადგენენ.

ოსმან ალის მამა იყო ქართლელი გლეხი, ბატონის ყმა, მიუხედავად ამისა, იგი იყო შეძლებული და სოფელში თავ-კაცათ ითვლებოდა. მაგრამ რაღაც ფათურაკმა იგი იმსხვერპლა და ამის შემდეგ მისი სახლი „გადაბრუნდა გულღმა“. როგორც მოგვითხრობს ოსმანალა, „ბატონმა ჯერ წაგვართო ვენახი, მერე თითონ ხარკამეჩი და უკანასკნელათ უბრძანა დედაჩემს, რომ გადასულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწაილი დედაჩემი უნდა გენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! რა გვირათ არ ეხვეწებოდა ბატონს, რომ დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი... ჩემი შვილები აქედან ღურო გემსახურებიან, რასაც მოვიყვანთ სულ შენ მოგაბრძნებთ, ჩვენ ნაცარს აფუშრუქავთ და იმას ვჭამთ, ოღონც ნუ მოგვიშლი ოჯახს...“ („სუ-



რამის ციხე“ გვ. 36—37). მაგრამ ბატონს ეს არ ეყურებოდა. მთელი დღეს ისინი ჩასვეს ურემში და გადაიყვანეს ბატონთან. დედა პურის მცხობლათ გახადეს და ოსმან ალა, რომელსაც მაშინ ნოდარ ერქვა, თავისი დით პირის მოხამსახურებათ. ასე გავიდა ხუთი წელიწადი. ერთხელ ნოდარის ბატონს ესტუმრა ერთი კახელი მღვდელი, რომელმაც მუშტრის თვალით დაუწყო ყურება ნოდარს. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ბატონს ამ მღვდელზე გაეყიდა ნოდარი და მისი და. ამის ვაგონებაზე აკანკალებული დედა „დაემსო მიწაზე და დაუწყო ზვეწნა ბატონს ისე, როგორც შეუძლიან შეხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოთ ართმევენ შეილსა. ბატონმა კი უბრძანა ბიჭებს, რომ გაეგდოთ ის კარში“ (იქვე). დედა ვერ შეურიგდა შეილების დაკარგვის აზრს და დააპირა ბატონის სახლიდან გაქცევა შეილებითურთ. მან კიდევაც მოიყვანა თავის განზრახვა სისრულეში: იგი გაექცა ბატონს და დაიწყო ცხოვრება საშინელ გაქიერებასა და შიშში თფლისში. მან მაშინვე გამოიტყვალა და შეილებსაც გამოუტყვალა სახელები და დაირქო სომხობა. რის ვიი-ვაგლ. ხით აქ გაატარეს დედამ და შეილმა (და მიათხოვეს ერთ სომეხს) ხუთი წელიწადი, რის განმავლობაში ისინი არ ზიარებულან, რადგანაც სომხის საყდარში არ უნდოდათ და ქართველთ ეკლესიაში კი ეშინოდათ გამოჩენის. ერთხელ ნოდარის დედამ მოინდომა ზიარება; შეილს უთხოვია, რომ მღვდლისთვის არ გაეცხადებია თავის ჩამომავლობა. დედამაც მისცა პირობა, მაგრამ სინიდიისათვის ვილარ გაეძლო და ყველაფერი ეთქო მღვდლისათვის აღსარებაში. „იმავე დღეს ვილაც კაცები დაგვესხენ თავზე, შეგვიკრეს ხელები და გავგოვდეს წინ... ბატონთან რომ მოვიყვანეს, იმან შემდგომ სხვათა და სხვათა სასტიკთა საჯგლოთა, უბრძანა ბიჭებს, რომ შევებით გუთანში ისე, როგორც აბმენ ხარებს, ხარის უღელი დაგვადგეს კისერზე. მაგრამ ეს სასჯელი ბატონმა პოვა სუბუქათ, იმიტომ რომ გუთანში ხარები დადიოდენ ძლიერ ნელა და ვერ დავიღალეზოდით და ამისათვის მეორე დღეს შეგვ ბა კვერში, კვერზე დედა თითონ და გვერეკებოდა. ცოტაც რომ დაიმდგარევიავით ამოსუნთქვისათვის, მაშინვე გველოდა სახრე... დედა ჩემმა თითქმის ათჯერ შემოჭრბინა კალოს ისე, რომ ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდან. მთერთმეტეთ რომ უნდა დაგვეწყო შემოვლა, დედა ჩემი უტიკრათ წაიქცა და მოკედა. სიწყალს დედა ჩემს არც კი დააცალეს მშვიდათ მომკვდარიყო. ბატონს ვგონა, რომ ბატონებდა იმას და იმიტომ სახრით დაუწყო ცემა... სახრის ქვეშ ამოუვიდა სული...“ (42—44).

შემდეგ ამისა გავიდა რამდენიმე წელიწადი და ბატონი ბატონი რიგდა ნოდარს, რადგანაც ბატონი მისში ხედავდა „სასარგებლო ნივთს“ და დარწმუნებული იყო, რომ ნოდარი იყო მისი ერთგული. რა მწარე სიცილს გვრის ეს კაცს: „ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღელში! საკვირველნი არიან, შენმა გაზდამ, მაგვარნი კაცნი!“—დასძენს ოსმან-ალა. ამ ხანში ნოდარს შეუსრულდა 23 წელიწადი და მან შეიყვარა თავის ქალბატონის გოგო, ნატო; ნატოსაც უყვარდა იგი. მაგრამ იმათ მდგომარეობაში მყოფთათვის განა შესაძლებელი იყო სიყვარული? განა უმას თავისუფლათ კოლის შერთვის ნება ჰქონდა, ან ჭალს თავისუფლათ გათხოვებისა? რა იყო, რომ იმათ ერთმანეთი მოსწონდათ? ისინი ხომ ბატონის შვილები არ იყვნენ?—„წადი, დაიკარგე, არ შეიძლება! მოსამსახურეს შინიდან არ გავეშვებ და არც შენ მოგცემ ნებას. შინ მიწინაა“,—იყო ბატონის პასუხი, როცა ნოდარმა ნატოზე ჯვარის წერის ნება თხოვა მას. ამის შემდეგ ბატონმა თითონ მოინდომა ნატოს გაეპატიურება და ნებით რომ ვერ დაიყოლია, ძალით მოინდომა ნამუსის ახდა; უბედური ქალი არ დანებდა და ნამუსის ახდას წყალში თავის დაბრჯობა ამჯობინა. ამ დროს ნოდარი სადღაც გაგზავნილი იყო; როცა დაბრუნებისას ნატოს დარწმობის ამბავი გაიგო, მაშინვე თოფის წამალივით იფეთქა. მისი მოთმინების ფილა უკვე გაივსო. მას მოეზინა სისხლი ყელში; ამის შემდეგ მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ყველა ის შეწუხება და დამკირება, რომელიც ბატონმა მას მიაყენა: ოჯახის მოშლა, დედის კეფრში შებმა და მისი სიკვდილი სახრეს ქვეშ და ბოლოს მისი უმანკო საცოლოს ასე უბედურათ სიკვდილი,—ყოველივე ეს მას თვალწინ წარმოუდგა და თხოულობდა შურისძიებას, სისხლს. იგი გაგიჟებული მივირდა ბატონს ხანჯლით და იქვე გაათავა; შემდეგ იგი შევირდა ქალბატონის ოთახში.—„ნოდარჯან, მე მომკალა, ჩემ გიგოს ნუ მომიკლამ, არა დაუშავებია-რა შენთვის“,—შევედრა მას ქალბატონი.—„მე ნუ მომიკლამ, შენთვის არა დამიშავებია-რა“,—განუმეორა ნოდარს ბავშმა. „მაგრამ მე არ მესმოდა იმათი ხვეწნა, სისხლისაგან გაგიჟებულმა მე დავაკალ დედა შვილსა“.

აი, ამას ქვია შურისძიება. მაგრამ აქ ერთი კაცის შურისძიება როდია! აქ მთელი თაობის, მთელი ხალხის შურისძიებაა გამოხატული. აქ იგი მართო თავისთვის კი არა ეძიებს შურს; იგი საზოგადოების უხდის იმ შურსაცხოფის, მწუხარებისა და ტანჯვისთვის, რასაც ერთი წოდება საუკუნოების განმავლობაში უსამართლოთ აყენებდა შვირე



წოდებას. ამიტომ ხალხის თვალში ეს შურის მიძიებელინი და მანაშავებათ არ ითვლებოდენ და ყოველთვის შველიდენ, რომ ისინი არ დაეჭირათ და სამართალში არ მიეცათ. ამასვე ვხედავთ ზეენ აქაც-როცა ნოდარს დაეწიენ მღვერები, „არა თუ არ მოინდომეს მისი მოკლა, არამედ თითონვე ასწავლეს, რომ გადავარდნილიყო ახალციხისაკენ“. (ასე ეტყეოდა ხალხი არსენასაც). ნოდარი მართლაც მეორე დღესვე მივიდა ახალციხეს, გამოეცხადა მოლას, გმო ქრისტე და მიიღო მახმადის რჯული. შემდეგ იგი წავიდა სტამბოლში, შევიდა იანიჩარის ჯარში, ვაითქვა მამაკობის და გულადობის სახელი და შეიქმნა ასის თავი. მაგრამ მას მობეზრდა ჯარში ყოფნა, რადგანაც მას ძლიერ აწუხებდა სინიღისი, რამ მოკლა უბრალო, უდანაშაულო ბავშვი და გადაუდგა ქრისტეს. ამიტომ ჯავრის გასაქარებლათ იგი ანებებს თავს ასისთაობას, იწყებს ვაჭრობას, რომლის საშუალებით იძენს დიდძალ ქონებას. მაგრამ სინიღისის ქენჯნა მას არასოდეს არ ტოვებს, ამიტომ იგი თავის სიმდიდრის ნახევარს სტამბოლში სწირავს ეკლესიას, გმობს მახმადის სარწმუნოებას და ხელახლა უბრუნდება ქრისტეს რჯულს. ოსმან-ალის ასეთი საქცეულით ვაადურებუ-ლი ოსმალები მას სასტიკ სასჯელში აყენებენ, რომ ისევ მახმადის სარწმუნოება მიიღებინონ, მაგრამ რომ ვერას გადიან, სიცოცხლეს უსპობენ.

ასეთია ოსმან-ალას თავგადასავალი; მაგრამ ეს არ არის მხოლოდ მარტო იმის ხვედრი. ოსმან-ალას თავგადასავალი ნამდვილი, თუმცა შედარებით ძლიერ მკრთალი, სურათია იმის, რაც ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ხდებოდა. აქ ერთი სიტყვაც არ არის მეტი; პირიქით მკითხველს საწყენათაც რჩება ის გარემოება, რომ მოთბრობის აეტორი აქ ძლიერ მოკლეთ სქრის სიტყვას, რომ იგი ერიდება მრავალსიტყვაობას იქაც კი, სადაც ეს საჭიროა; სამაგიეროთ იგი ერთი მოხერხებული სიტყვით ზოგჯერ მთელ სურათს გვიხატავს. აქ თქვენ ხედავთ ქვრივ-ობლების ოჯახს როგორ აპინტრაშებს და აწიოკებს ბატონი, როგორ გადაყავს თავის სახლში დაქცეული და ამოვარდნილი ოჯახის წევრები მოსამსახურებათ, როგორ უპირებს უბედური დედის შვილებს გაყადვას და ყიდის კიდევაც; ხედავთ, რომ ამ სამარცხვინო ხელობას მღველებიც კი არ ერიდებიან, პირიქით ისინიც თამამათ ვაჭრობენ ადამიანის შვილებით; როცა საჭიროება მოითხოვს, აღსარებასაც ამელავნებენ, რითაც ლალატობენ ჯერ თავის რჯულს და შემდეგ თავის სინიღისს; ხედავთ

დედას, რომელიც გამოუთქმელ მშობლიურ სიყვარულთან ერთად იჩენს სამაგალითო სიმამაცეს და ხასიათის სიმტკიცეს; ყოველის მხრით უძლური იგი გაუბნის შეილებითურთ ძლიერ ბატონს, მიიპარება თფილისში, აქ ირქვევს სომხობას, რომ თავის ვინაობა არ გამოამტკიცოს; ტანჯვის დროს კი ისე ლევეს სულს საზრის ქვეშ, რომ მის თვალთაგან ერთი ცრემლიც-კი არ გადმოვარდება და ბაგეთაგან ერთი შებრალების სიტყვა. ხედავთ უბრალო მოსამსახურე გოგოს (ნატოს), ყოველგნით უძლურს ძლიერი ბატონის წინაშე, რომელიც მიუხედავად ამისა, როგორც სიმტკიცით და გადაწყვეტილებით უმკლავდება ბატონის პირუტყვეულ მოთხოვნების დაკმაყოფილებას და სხვას რომ ვერას გახდება, თავს იხრჩობს, ხედავთ ნოდარის გაათორებას და მის მიერ ბატონის ოჯახის სრულიად ამოწყვეტას, მის ოსმალეთში გადავარდნას და გაათორებას. როგორც ვთქვით, აქ იოტის ოდენა არა არის-რა გამოგონილი, ან მაშინდელ სინამდვილეს რომ ეწინააღმდეგებოდეს. თქვენ აქ გაგაკვირვებთ მხოლოდ ის გარემოება, რომ ასეთ მოწამლულ პირობებში, სადაც ადამიანის პიროვნება ასე დაზარალდა და ფეხქვეშ გათელილი, როგორ-ღა შერჩათ დედებს ასეთი თავგანწირული სიყვარული შეილებისადმი და ხასიათის ასეთი სიმტკიცე და სიძლიერე; ამ უმანკო ქალებს როგორ შეეძლოთ თავის ნამუსის დაცვაზე ფიქრი და იმის დაკარგვას უფრო სიკვდილს ამჯობინებდნენ, როცა იმათ, ვის ხელშიაც ისინი იმყოფებოდნენ, შეუზღუდველი უფლება ჰქონდათ მინიჭებული იმათ პიროვნებაზე? და ბოლოს, რათ თვით ოსმან-ალა ანუ ნოდარი არ იხრის ქედს და არ ემორჩილება ბატონის განკარგულებას, როცა იცის, რომ მას ამას იქით გასაქანი არა აქვს, როცა დარწმუნებულია, რომ ძალა ბატონის ხელშია და ძალა ზომ აღმართსა ხნავს? მაგრამ ჩანს, რომ გარეგან შევიწროებას, რაც უნდა ძნელი და აუტანელი იყოს იგი, არ შესძლებია ადამიანური ნაპერწკლის სრულიად გაქრობა, თავისუფლების, სიყვარულის და პატიოსნების გრძობათა აღმოფხვრა. შეიძლება მხოლოდ, რომ დროებით დაიძინოს ადამიანში ასეთმა გრძობამ, მაგრამ მით უარესი იმათთვის, ვინც მის აღმოფხვრას ცდილობდა თავის სასარგებლოთ. ეს ყველაზე უსამინელესი დანაშაულია და ის არავის შერჩება, როგორც არ შერჩა ნოდარის ბატონის ის შეწუხება და დამცირება, რომლებიც ამ უკანასკნელმა მთელ მის ოჯახს და კერძოთ მას მიაყენა.

ამნაირად დ. ქონჭაძემ პირველად გადაუშალა მაშინდელ ჩვენ.

საზოგადოებას ბატონ-ყმური ურთიერთობათა შემადრწუნებელი სახე-  
 რათი. ეს იყო ბნელ სამეფოში სინათლის შეტანა. ამას-კერძოდ ვინ  
 ვინ მოელოდა. მემატონეთა წარმომადგენლებმა, რომლებმაც წაი-  
 კითხეს „სურამის ციხე“, ეს გარემოება არა თუ მზილებათ, პირდაპირ  
 ცილისწამებათ მიიჩნიეს<sup>1)</sup>. იმას ვინ კითხულობდა, რომ დ. ჭონჭაძის  
 მოთხრობაში აწერილი ამბები იმ დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდე-  
 ზოდა. მაგრამ ცნობილია, რომ მახინჯს ყოველთვის ეჯავრება თავის  
 სახის დანახვა სარკეში. და აი ჩვენ მემატონეებსაც არ მოეწონათ  
 თავის სახე, როცა იმათ „სურამის ციხეში“, როგორც სარკეში, ისე  
 დაინახეს თავისი თავი. ეს იყო ერთი მხარე დ. ჭონჭაძის მოთხრო-  
 ბისა. მაგრამ აქ იყო კიდევ მეორე მხარე, არა ნაკლებ საინტერე-  
 სო და საგულისხმეო, რომელიც ჩვენ აგრეთვე პირველად „სურა-  
 მის ციხიდან“ შევიტყუეთ. ჩვენ ვამბობთ იმაზე, რომ დ. ჭონჭაძემ პირ-  
 ველად მიაქცია გლეხ-კაცობის მდგომარეობას ჩვენი ყურადღება, რომ  
 მან პირველად დაგვანახვა თუ რა ხდებოდა აქ, ან რა მუშაობა იყო  
 მეტხრამეტე-საუკუნის პირველ ნახევარში. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ  
 ამ დროს გლეხ-კაცობაში თანდათან იღვიძებს ადამიანური გრძნობა,  
 ის გრძნობა, რომელიც საუკუნოების განმავლობაში ცდილობდნენ აღ-  
 მოეფხრათ იმაში და იმავე დროს ეს გლეხ-კაცობა გრძნობს ბატონ-  
 ყმური უღლიდან განთავისუფლებას, ერთი სიტყვით, პირადი თავი-  
 სუფლების საჭიროებას. ეს გრძნობა ორნაირათ იჩენს თავს. გლეხ-  
 კაცობის ერთი ნაწილი, პრაქტიკულ ცხოვრებაში უფრო გაბრძნოლი  
 და გაწაფული, თავისუფლების მოპოებას ცდილობს ბატონის მომა-  
 დლიერებით, მეტი სამსახურით და მეტი შრომის გაწევით, და ან თუ  
 შეძლება ნებას აძლევდა პირდაპირ ფულის საშუალებით ყიდულობდა  
 თავისუფლებას. მეორე მხრით გლეხ-კაცობაში ამ დროს ჩნდებიან  
 ისეთი პირები, რომლებიც ებრძოდნენ რა ბატონ-ყმური დამოკიდებუ-  
 ლების სისასტიკეს და სამძიმეს, ხელს იღებენ თავიანთ ბატონებზე,  
 ძიობენ შურს და შემდეგ გარბიან თავის ქვეყნიდან და თითქმის სა-  
 მუდამოთაც ეთხოვებიან თავიანთ სამშობლოს. ეს ორგვარი ტიპი  
 ჩვენ გლეხკაცობაში აღმოცენდა ერთ და იმავე ნიადაგზე, მხოლოდ  
 სხვადასხვა პირობებში. ფულის ან სხვა რაიმე სამსახურის საშუალებ-  
 ზით თავისუფლების შოვნა უფრო შესაძლებელი იქნებოდა იქ, სადაც  
 აღებ-მიცემობა და ვაჭრობა ფეხს იკიდებდა, ე. ი. ქალაქებში; პირ-

<sup>1)</sup> იხ. ზევით დასახვლებული წერილი ან. ფურცელაძისა „ცისკარში“, 1863 წ.


იქით, ბატონებზე ხელის აღება, შურისძიება, და მერე გადავწყვიტა სხვა ქვეყანაში უფრო სოფლებში ხდებოდა. დ. ჭონჭაძემ დურმიშან წამალაძეში და ოსმან-ალაში შესანიშნავად დავგვიბატა ეს ორი ტიპი.

დურმიშან წამალაძე შესანიშნავი წარმომადგენელია იმ გაიდვერა და მოხერხებულ ადამიანთა, რომლებიც განვითარებას ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების ვეგლაში პირობები; გაჭირვება თანდათან ანვითარებს ადამიანში გაიდვერობას და მოხერხებას, ე. ი. ცხოვრების ალღოს აღებას იმის კვალობაზე, თუ რა პირობებში უხდება მას ცხოვრება. დურმიშანს რომ ქალაქში არ შეხვედროდა ცხოვრება და იქ არ გაეგო ბევრი რამ, იგი ვერასოდეს ვერ შეიქნებოდა ისეთი გაიდვერა და მოხერხებული, როგორც იგი გამოვიდა. მან გამოსცა ბევრი სიმწარე, ბევრი გაჭირვება და ვაი-ვაი-გლახი; მაგრამ ამავე დროს დურმიშანი, რადგანაც იგი ცხოვრობს ქალაქში, ხედავს და იგნებს ბევრ ისეთ რამეებს, რის ვაგება მას სოფელში არასოდეს არ შეეძლო. ერთი სიტყვით მწარე გამოცდილებამ და ქალაქურმა ცხოვრებამ მას ბევრი რამ შეაგნებინა და შეასწავლა. პირველი ქეშმირიტება, რომელიც დურმიშანმა შეიგნო ის არის, რომ „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება“, — ეუბნება იგი გულისვარდს. მაგრამ მარტო პირადი თავისუფლება არ კმაროდა. ჯერ დღესაც, თუ ნივთიერი სახსარი არა ვაქვს, პირადი თავისუფლება იგივე მონობაა და მაშინ კიდევ უარესი იყო. ესეც კარგათ ჰქონდა შეგნებული ჩვენ დურმიშანს. „სანამ ჩვენ — ეუბნება იგი იმავე გულისვარდს — ჩვენი იმდენი არა გვექნება საცხოვრებელი, რა სხვის თავდაუფრელათ ვიცხოვროთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება, განთავისუფლება არ არისო“. ამიტომ დურმიშანმა იშოვა თუ არა განთავისუფლების წიგნი, იგი სანამ ცოლს შეირთავდეს, მიდის „უფლის საშუენელათ, გასამდიდრებლათ“. და მართლაც ბედნიერი შემთხვევა, ე. ი. ოსმან-ალის ვაცნობა, მას ნებას აძლევს ჩქარა გამდიდრდეს; თვით ოსმან-ალამ აჩუქა მას თავის ქონების ნახევარი. ამნაირათ უპატრონო და უთვისტომო იპერელი ბიჭი, რომელსაც პატარაობიდან დავაგვაცუებამდის ერთი ნზიარული დღე არ უნახავს, რომელიც ყველას სასაცილოთ იყო გამხდარი და ყველას აგდებული ყავდა და რომელიც მუდამ ბატონის ნასუფრალის შემყურე იყო, შეძლებული კაცი შეიქნა, რომელთანაც დაახლოვებას ბევრი მაშინდელი თავადები და წარჩინებული გვარის შეილები დანატროდენ, რასაცყირველია, იმ მიზნით, რომ მისგან

ესარგებლათ. გულში კი ყველას ეთაკილებოდა დურმიშხანთან დაქვემდებარება, ვინაიდან იგი უგვარო და უთვისტომო იყო. აქ დ. ჭონჭიძე გეხატავს გაკეთებული შინა-ყმის სულიერ მდგომარეობას, მის პსიხოლოგიას. მართალია, დურმიშხანს კარგათ ახსოვს, თუ რა გასაქირი ადგა მას, როცა ბატონის ყმა იყო, მაგრამ როცა იგი პირადად თავისუფალი შეიქნა და სიმდიდრე შეიძინა, ბატონ-ყმობის წინააღმდეგი როდია; პირიქით, იგი სიამოვნებით იყიდდა აზნაური-შვილობას, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა. ამიტომ იგი უკვე აზნადებს ამისთვის ნიადაგს, ცდილობს რაც შეიძლება უფრო მტკიცე კავშირი დაიჭიროს თავადებთან, განთქმულ ოჯახის შვილებთან. ასეთი კავშირის შექმნას ფიქრობს დურმიშხანი მით, რომ თავის ვაგს ანათელიებს თ-დ ქაიხოსრო აბაშიძეს. აქ მას შემთხვევა ეძლევა გამოთქვას თავის შეხედულება. ცოლის სატყეებზე: „ჩვენებიანთ გოგია მთხოვს, მე მოვნათლამო“ (დურმიშხანის-ვაეზეა ლაპარაკი), იგი ავლებულათ უპასუხებს: „გოგია კი არა მოგია არ გინდა! უთხარი, რომ თავადიშვილს უნდა მოვანათვლინო-თქო“. — „თავადიშვილი რა არის, ის გოგია უფრო მოკეთებობს არ გიზამს?“ — ეკითხება ცოლი.

— „შენ რა იცი რა არის... ერთხელ რო დიდმა თავადმა დავიძახოს შენ ნათლიდედა, ერთხელ რო იმისმა ცოლმა გამოგარჩიოს შენ სხვა დედა-კაცებში და მოგიკითხოს, აბა მითხარი რათ ღირს?“. აქ ერთი მხრით იხატება მთელი ის ზიზღი, რომელსაც დურმიშხანი, ყოფილი ყმა, გრძნობდა თავის წინანდელ ტოლ-აზნანაგებისადმი („გოგია კი არა, მოგია არ გინდა!“); და მეორე მხრით ის, თუ საით მიიწევდა იგი, სად წამოსკლება სწადდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც დიდი შეძლების პატრონს, მრავალი თავადიშვილი უახლოვდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ვაგი ზურაბი არც თვალტანადობით და არც ვაგაკაცობით ბევრ თავადის შვილებს არ ჩამოუვარდებოდა, დურმიშხანსა და თავადებს შორის მაინც ჩატეხილი იყო ხიდი. და ეს გარემოება ძლიერ სტანჯავდა და აწუხებდა დურმიშხანს. ძნელი გამოსაცნობია, თუ რით დაბოლოვდებოდა დურმიშხანის ასეთი წადილი, რომ მისი სიცოცხლე მოულოდნელათ არ შეწყვეტილიყო.

სრულიად წინააღმდეგს ვხედავთ „სურამის ციხის“ მეორე მომქმედ პირში, — სახელდობ ოსმან-ალაში. ოსმან-ალა გაიზარდა სულ სხვა პირობებში; ცხოვრებას მისთვის არ უსწავლებია არც გაიძვერაობა და არც მოხერხება. მან უზომო გაჭივრება და ჯოჯოხეთი



გამოიარა თავის ცხოვრებაში, მაგრამ მიუხედავად თავის მგრძობიარე აგებულებისა, იგი მაინც ვერ გასტეხა ამ ჯოჯობე-  
თურმა ცხოვრებამ; იგი თმენილოვს იქამდის, სანამ მოთმენა შეუძ-  
ლია. წინააღმდეგ ღურმიშხანისა, იგი სრულებით ანგარების მოყვარე  
არ არის: მას არც სიმდიდრის შექენა სწადია და არც დიდ-კაცებ-  
თან დაახლოვება. იგი სიამოვნებით იგონებს თავის ბავშობას დროს,  
„დროს უმანკოებისას, წმინდის სინიდისას“, როცა „გუთნის-დედა  
უბრძანებდა მას ოროელას მღერას და ამხანაგები შურით ისმენდენ  
იმის სიმღერას“. დღეს იგი, „ოსმალის იანიჩარის ასისთავი და მქო-  
ნებელი დიდის სიმდიდრისა, მაგრამ გასვრილი ქრისტიანეს სისხლ-  
ში“, სიხარულით დაანებებდა თავს ყოველსავე ეხლანდელს სიკეთეს,  
რომ შეტლებიყო უწინდელი დროის მობრუნება, იმ დროის, „როდეს-  
საც იგი იყო დღის მეხრე და იღებდა ერთს ალოს!“ ოსმან-ალა სულ  
ერთიანათ გრძობისაგან არის შემდგარი, მის ცხოვრებაში ფულს,  
ანგარიშს სრულებით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ამიტომ  
მისი ცხოვრების მიმდინარეობაც სულ სხვანაირია; ის თავიდან ბო-  
ლომდე ნამდვილი ტრაგედიაა. თავის ჯოჯობეითურ ცხოვრების და-  
კვირებამ იგი მხოლოდ იმაში დაარწმუნა, რომ ბატონები ყმებს  
უყურებენ ისე კი არა როგორც ადამიანებს, არამედ როგორც უბრა-  
ლო, მათთვის სასარგებლო ნივთს. „იმათ გონიათ, რომ ჩვენ კაცნი  
არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ  
გონიათ, რომ ჩვენ არა გვექონდეს გული, არ გვექონდეს სჯა“, —  
ეუბნება გულდათუთებული ოსმან-ალა ღურმიშხანს. ასეთი გრძობის  
ადამიანს, რა თქმა უნდა, გაუკვირდებოდა, როცა ბატონები თავის  
ყმებში ერთგულებას ეძებდა. „ბატონი დარწმუნებული იყო—მწარე  
დაცინვით ამბობს ოსმან-ალა,—რომ მე ვიყავი მისი ერთგული! ხა,  
ხა, ხა! ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუტლა უღელ-  
ში! საკვირველნი არიან, შენმა გაზდამ, მაგვარნი კაცნი!“ ასეთი იყო  
ოსმან-ალა, ანუ ქართლელი გლეხი მთელი თავისი გულწრფელობით  
და პირდაპირობით. მიუხედავად იმისა, რომ იგი ბევრ გაკვირებას,  
შეწუხებას და დამცირებას იტანს თავის ბატონისაგან, ადრე იქნე-  
ბოდა თუ გვიან, იგი უეჭველათ უნდა გასწორებოდა თავის ბატონს.  
ხალხის თვალში იგი სათაყვანებელი გმირია, იგი უერთდება მას ყვე-  
ლაფერში. ეს არა იმიტომ, რომ მას ბევრი სიმწარე და შავი დღე  
მიადგა კარზე, არამედ იმიტომ, რომ მის მიერ ჩადენილი საქმე—  
ბატონის ოჯახის ამოწყვეტა—არ იყო მარტო მისი საქმე, რომელიც

მას კერძოთ ეხებოდა; ეს იყო საერთო საქმე. შავი დღე დაიწყო ხანსაც ბევრი დასდგომია ცხოვრებაში, მაგრამ მან აქედან მოასწრო ამოცურვა და ისე მოაწყო თავის ცხოვრება, რომ თითონ დააჯდა კისერზე სხევებს. ამიტომ იგი არ იწვევს მკითხველში თანაგრძობას მაშინაც-კი, როცა მას საშინელი უბედურება ეწვევა. დან. ჭონჭაძე არ იკლევს ამას დაწვრილებით, მაგრამ იქიდანაც, რაც მან ამის შესახებ ვადმოგვცა თავის მოთხრობაში, აშკარათ მოწმობს, რომ იგი შესაძრევად იცნობდა ჩვენი ხალხის ცხოვრებას. და საზოგადოთ რა მზარესაც-კი შეეხო იგი ჩვენ ცხოვრებაში, ყოველგან გამოიჩინა ამ ცხოვრების ღრმა ცოდნა და დაკვირვების შესანიშნავი ნიჭი. ავილოთ, მაგ., იმერელი ბიჭის მდგომარეობა თფილისში.

იმერელი ბიჭი თფილისში სრულებით შემთხვევითი მოვლენა არ არის! პირიქით, იგი შედეგია რთულ ისტორიულ და სოციალურ პერობებისა, რომელშიც იმყოფებოდა იმერეთის გლეხ-კაცობა მცხხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ცნობილია, რომ აქ ბევრათ უფრო შეწუხებული იყო გლეხ-კაცობა ბატონ-კმურ შრთიერთობის გამო, ვინემ ქართლ-კახეთში. აქ გლეხ-კაცობაში რალაც საოცარი და წარმოუდგენელი სილატაკე სუფევდა. შეწუხებულ გლეხი ივიწყებდა ყველაფერს და გარბოდა თავის ქვეყნიდან. თფილისი ითვლებოდა უმთავრეს თავშესაფარ ადგილათ ასეთ გადავარდნილ უთვისტომო კაცებისთვის. სადაც უნდა შესულიყავით თფილისში, ყოველგან ნახავდით იმერელ ბიჭს. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ შეინახედენ ასეთ უთვისტომო ბიჭებს, რომლების პატრონი არავინ იყოდა. იმას ყველა ჩაგრაფდა, თვით მოსამსახურეებიც-კი იმას სასაცილოთ და სამასხროთ იღებდენ. რა ექნათ? მათი დამცველი, მათი მოსარჩლე არავინ იყო. მაგრამ აქ დაუთმოთ სიტყვა დ. ჭონჭაძეს. „რა არ გამოვსცადე—ამბობს ღურამიშხანი—შემდეგ ამისა (ე. ი. რაც ის იმერეთიდან თფილისში წაიყვანეს), შენ ვერ წარმოიდგენ, ვარდო: შიშლილი, წყურვილი, სიცივე, ცემა, დაცილება და სხვა ბევრი ამისთანა გამოვსცადე თქვენ საქართველოში. ვინც რასმე დაამაგებდა, ყველა ჩემი ბრალი იყო: ვინ რა მოიპარა? იმერელმა. ვინ რა გატეხა? იმერელმა. ვის დასცილიან? იმერლის ბიჭს. ვისა სცემენ გაჯავრებულ გულზე? იმერლის ბიჭს. ვის ვასაჯავრებლათ სოჭონ იმერლების გასაციანი ანდაზები? იმერლის ბიჭისა. მე, ვარდო, ბევრჯერ შიტორნია მწარე ცრემლით, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშისმცემელი? არავინ“. აქ წარმოდგენილია მართალი და იმავე ღროს საშინელი სურათი იმ



დამცირებისა და ზიზღისა, რასაც იჩენდნენ თფილისში იმერეთიდან გადმობეჭეწილთაგან, რომელთაც თავის საშობლოდან ერეკებოდა მწარე ზვედრი. ვინ მოთელის რამდენი დამცირება და აგდება აუტანიათ იმერეთიდან გადმობეჭეწილთ თფილისში, სამწუხარო ის არის, რომ თვით მწერლობამაც შეითვისა ასეთი მოქცევა იმერელ ბიჭთან, და საზოგადოთ იმერელთან, ვინც უნდა ყოფილიყო ის. ქართველ მწერლებს იმერელი მაშინ გამოყავთ თავიანთ ნაწერებში, როცა მკითხველში ან მსმენელში საჭიროა უზომო სიცილ-ხარხარის გამოწვევა. საკვირველი და იმავე დროს მეტათ სამწუხაროა ის გარემოება, რომ დ. ჭონქაძის შემდეგ, რომელმაც პირველათ და უკანასკნელათ დაგვიბატა იმერელი ბიჭის საბრალო მდგომარეობა თფილისში, ჩვენში არ გამოჩნდა ისეთი მწერალი, რომელსაც ამისთვის ყურადღება მიეტყვია და ეს საბრალო მდგომარეობა საზოგადოებისათვის ემცნო, რომელსაც სიცილ-ხარხარი და დაცინება საბრალოლზე და თანაგრძობაზე შეეცვალა. ეს გარემოებაც სხვებთან ერთათ აშკარათ ამტკიცებს დ. ჭონქაძის მაღალ სახელოვნო ნიჭს, შესანიშნავ დაკვირვებას და ხალხის ცხოვრების ცოდნას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ დ. ჭონქაძემ მხოლოდ ორი სიტყვით შესანიშნავი სინამდვილით დაახასიათა მაშინდელი ახალგაზღობის მთელი ერთი ჯგუფი, რომელიც პირველათ მხოლოდ მის დროს გამოვიდა საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე და რომელიც შემდეგში კარგახანს საკმარისათ გამოჩენილ როლს თამაშობდა მთელ ჩვენ ცხოვრებაში. ჩვენ ვამბობთ „ქნიაზ-ლიბერალებზე“. ერთი ასეთი „ქნიაზ-ლიბერალი“, ვილაძე დ., დ. ჭონქაძეს თავის „სურამის ციხეში“ ყავს გამოყვანილი, არა როგორც მოთხოვნის მომქმედი პირი, არამედ როგორც ერთი წევრი იმ შეკრებულობისა, რომელიც დ. ჭონქაძესთან ერთათ იკრიბებოდა და რომლის წევრები ერთი ერთმანეთს მოუთხოვრებენ „სურამის ციხეს“. დ. ჭონქაძის „ქნიაზ-ლიბერალს“ თურმე დიდი „გულმოდგინებით სურდა ყმების განთავისუფლება“; მაგრამ იქვე ვტყობილობთ, რომ ეს „გულმოდგინება“ „მაღალ ფრანგებს“ იჭიბთ არ მიდიოდა. სწორეთ ასეთი „ლიბერალობის“ დალი ასეია მესამოცე წლების მოღვაწეთა დიდ უმრავლესობას, თ-დ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთაც მთელი 30 წლის განმავლობაში საზოგადო მოღვაწეობის დროშა ეჭირათ ხელში. თქმა არ უნდა, რომ ამ ხნის განმავლობაში „ლიბერალობამ“ საკმარისათ იცვალა ფერი ჩვენში. მაგრამ ჩვენ აქ არც



დრო და არც ადგილი ნებას არ გვაძლევს გამოვიკვლიოთ ის, თუ რა რიგით გახუნდა და დახურდავდა ხსენებულ მოღვაწეთა ხელში ეს სიტყვა— „ლიბერალიზმაც“.

ჩვენ ზევიდ აღვნიშნეთ ის, თუ რა საზოგადოებრივი და ისტორიული მნიშვნელობა აქვს დ. ჰონჭაძის „სურამის ციხეს“. ახლა უნდა განვიხილოთ და გავარჩიოთ ამ მოთხრობის უმთავრეს მომკმედ პირთა კერძო ხასიათი, სახელდობ: შეფეფრება თუ არა მოთხრობის ამა თუ იმ პირს ესა თუ ის მოქმედება იმ პირობებში, რომლებშიც მათ გარს ახვევია, თუ იმათი მოქმედება სულ სხვა უნდა ყოფილიყო. ამ საგნის შესახებ ან. ფურცელაძემ, რომელმაც პირველათ გააჩა ეს მოთხრობა მესამოცე წლებშივე, შემდეგი აზრი წარმოსთქვა<sup>1)</sup>. მისი სიტყვით, „სურამის ციხეში“ თქვენ ხელდავთ პირთ, სხვადასხვა აზრების და მიმართულების პატრონთ გვამთ, მაგრამ ხასიათს ამათს კი ვერ ამჩნევთ, რომ ჰქონდეს რომელსამე მომკმედ პირს თავისი საკუთარი კერძოობითი ხასიათი, გარდა გულისგარდისა, თუმც არა ისე ნათლათ, როგორც შეფეფროდა კარგის ზუღოთნიკის (მაშინ ამ რუსულ სიტყვას ხმარობდენ მხატვრის მაგიერ) გამოსახულებასო“. რაც შეეხება დურმიშხანს, ბ-ნ ფურცელაძის აზრით, მასში „ჩვენ ვერა ვხედავთ ამ კერძოობით ხასიათს: ის არის როგორც ბნელი და მკრთალი მკითხველის თვალშიო“. საერთოთ ამ საგნის შესახებ ჩვენ კრიტიკოსს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ „სურამის ციხის“ მომკმედნი პირნი ხასიათით ერთმანეთს გვანან, ისინი მხოლოთ ამა თუ იმ მოქმედებით განირჩევიან ერთი მეორესაგან და ეს იმიტომ, რომ „ყოველი მოქმედება მომკმედის პირისა არ წარმოსდგება თავის დასაწყისიდან და არ ამოდის სულისა და გულის სიღრმიდანო“. ამ აზრს ჩვენ სრულებით ვერ ვეთანხმებით.

რასაკვირველია, ჩვენ სრულებით იმას არ ვამბობთ, რომ „სურამის ციხე“, როგორც სახელოვნო ნაწარმოები, უნაკლლო იყოს; პირიქით, ჩვენ ამ მხრით მაში ბევრ ნაკლულევაებას ვამჩნევთ, მაგრამ ის აზრი, რომ იმაში ვითომც ჩვენ კერძო ხასიათს სრულებით ვერ ვხედავთ, ჩვენ შეცდომით მიგვაჩნია. ჩვენ ვიცით უკვე, თუ როგორ ცოცხალ სინამდვილეს წარმოადგენენ „სურამის ციხის“ ორი უმთავრესი მომკმედი პირნი, ე. ი. დურმიშხანი და ოსმან-ალა. ახლა ვიკითხოთ, თუ როგორ არის მოთხრობის მსვლელობაში თითოეული

<sup>1)</sup> იხ. „ციცხარი“ 1863 წ., № 1, ხაზს ყოველგან ჩვენ ვუხვევთ.



იმათგანის კერძო ხასიათი დაცული და გატარებულა? დასაბუთებულა  
თუ არა ისინი თავის მოქმედებაში უმთავრეს თავისს სულის კვეთე-  
ბას, ან თავის ძირითად ხასიათს? შეიძლება თუ არა, რომ ისინი ერ-  
თი-მეორეს ადგილას დაესვათ, და იმათ ისე იმოქმედონ, როგორც  
მოთხრობაშია? განვიხილოთ პირველად ამ მხრით დღურმიშხანის ხა-  
სიათი.

ჩვენ ვიცით, თუ სად და როგორ პირობებში გაატარა მან თა-  
ვისი ბავშობა და სიყმაწვილე, თუ როგორ დააჯახა იგი გარემოებამ  
ცხოვრების სხვადასხვა ტალღებს. დღურმიშხანისთვის, როგორც ბუნე-  
ბით მკვირცხლი და გამჭირიანი ადამიანისთვის, ყოველივე ეს უნაყო-  
ფოთ არ ჩაივლიდა. ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ იგი „იმერელი  
ბიჭია“. მწარე გამოცდილებამ ხელი შეუწყო მას, თანამედროვე ცხოვ-  
რების ალლო აელო. თავის ცხოვრების მიზნათ მან გაიხადა პირადი  
ბედნიერება. ამისთვის იბრძოდა იგი მთელ თავის სიცოცხლეში, ამი-  
სათვის სთმობდა და იმას ანაცვალებდა იგი ყველა თავია მაღალ  
ვრძობას, თუ ოდესმე ეს უკანასკნელი მასში ღვიოდა. მაგრამ რო-  
გორ შეიძლო ბედნიერების მოპოვება ბატონის ყმას, უთვისტომოს  
და არაფრის მქონებელს, როგორც იყო დღურმიშხანი? და აი იგი  
შეუდგება თავის გულის-წადილის შესრულებას. გულისვარდის სი-  
ჯარულთ იგი სარგებლობს, რომ მოიპოვოს ბატონისაგან განთავი-  
სუფლებების ბარათი. ეს არის პირველი მისი ნაბიჯი, პირდაპირ თავის  
ვანზრახვის შესასრულებლად გადადგმული. მაგრამ ამავე დროს იგი  
ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ ეს „განთავისუფლება განთავი-  
სუფლება არ არის, სანამ მას იმდენი არ ეკნება თავისი, რომ სხვის  
თავდაუკვრელად შეიძლოს ცხოვრება“. ამიტომ დღურმიშხანი, „შეი-  
არაღებული წიგნის, ენების და რამდენიმე ხელობის ცოდნით“, გაე-  
მართება „ფულის საშოვნელად“. თავის მოქნილი და მოხერხებული  
ქცევით იგი პირველ შეხვედრაზევე ხიბლავს გულუბრყვილო ოს-ან-  
ადას, რომელიც მას ჯერ მოჯამაგირეთ იყენებს და შემდეგ უთმობს  
თავისი დიდძალი ქონების ნახევარს. ამავე ანგარებით გატაცებული,  
იგი უარყაფს გულისვარდის სიყვარულს და ირთავს ცოლათ იმავე  
ოსმან-აღის მონათლულს, რასაკვირველია, მარტო ანგარიშის გულის-  
თვას. გარეშე ადამიანში, ვინც უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი:  
ნათესავი თუ მეგობარი, დღურმიშხანი მარტო თავის გამდიდრების,  
თავის ბედნიერების იარაღს ანუ საშუალებას ხედავდა; გარეშე ამი-  
სა მისთვის არავინ საჭირო არ იყო. მან უარყო გულისვარდის სი-

უვარული მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მისი მიზნისთვის საჭირო  
აღარ იყო; დაივიწყა ოსმან-ალა, რომელმაც იგი დააყენა გზაზე და  
ვახადა დიდძალი წებლების პატრონი, მას შემდეგ რაც იგი იმაში  
აღარ საჭიროებდა. ანაირი გზით მან მოიპოვა ჯერ თავისუფლება  
და შემდეგ სიძლიდრე. მაგრამ რამდენადაც იგი მიტოპავდა ცხოვრე-  
ბის მორეწში, იმდენად მას უფრო და უფრო ეწლებოდა საღერღელი  
მაღალი ცხოვრებისა. ამავე დროს იგი სულ უფრო და უფრო რწმუნ-  
დებოდა იმაში, რომ მაღალ საზოგადოებასთან, გვაროსან არისტო-  
კრატისთან დაახლოვებას ხელს უშლიდა მისი ჩამომავლობა; დურ-  
მიშხანს რცხვენოდა, რომ მას ასეთი ბნელი წარსული ჰქონდა. იმის  
ბედნიერებისათვის საჭირო იყო ამ ბნელი წარსულის სრულიად ამო-  
შლა მის ცხოვრებიდან, საჭირო იყო მისი შერიცხვა მაღალ საზოგა-  
დოებაში. მაგრამ ჯერ დღესაც-კი გვაროსანი არისტოკრატია, როცა  
შეძლება ნებას აძლევს, მუდამ გაუბრბის ვაჟარ-სოვდაგართან დაახლო-  
ვებას, თორემ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში რაღა იქნე-  
ბოდა. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრებისაგან გალაღებულ დურ-  
მიშხანს აქაც ბედი წყალობს, აქაც მომავალი უღიმის მას. ეს არის  
მისი ერთად-ერთი ვაჟი—ზურაბი, თ-ღი აბაშიძის მონათლული, რო-  
მელიც არაფრით არ ჩამოუყარდებოდა მაშინდელ ახალგაზრდა თავე-  
დიშვილებს. და აი დურმიშხანიც ოცნებობს, რომ თავისი შვილის  
მეოხებით იგი სამუდამოდ დაუახლოვდება მაღალ საზოგადოებას,  
დავიწყებული იქნება მისი მდაბალი ჩამომავლობა. ამ დროს სრული-  
ად მოულოდნელად, თათქო განგებ, მას ხელიდან გამოეცლება ეს  
ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეეძლო, რომ მას ბედნიერება  
მინიჭებოდა, რომ დაკმაყოფილებულიყო მისი უზომო თავმოყვარეო-  
ბა. როცა ზურაბი მისთვის დაიკარგა, ყოველივე მისი განზრახვა სა-  
მუდამოდ დაირღვა და გადაბრუნდა. ამით ერთხელ და სამუდამოდ  
შერღაბა მისი თავმოყვარეობა; დურმიშხანმა მაშინვე იგრძნო, რომ  
ამის გამომთვლება არასოდეს აღარ შეიძლებოდა, რომ მას დასცეს  
კაკალ გულში. იგი სრულებით ანგარიშ-მოუცემლად მიდის იმასთან,  
ვისი წყალობითაც იგი ასე გაუბედურდა: იძიებს შურს, ე. ი. კლავს მი-  
სი უბედურების მომგონს, ე. ი. გულსიგარდს და თითონაც იმის ხე-  
ლით კვდება.

ასეთია ცხოვრების გარემოებათა მსვლელობა. ადამიანი თავის-  
თვის განგებ ვერ წარმოშობს ცხოვრების პირობებს; ეს პირობები  
არსებობენ უიმისოთ, მის გარშემო. მხატვრის ნიქიც იმაში მდგომა-



როგობს, რომ სინამდვილით წარმოგვიდგინოს ის, თუ როგორ უნდა  
 ქცევა ამა თუ იმ პირობებში ესა თუ ის პირი თავისი ხასიათის მი-  
 ხედვით. თუ მწერალი თავისი თხზულების მომქმედ პირს ამოქმედებს  
 და აღაპარაკებს არა მისი კერძო ხასიათის მიხედვით, არამედ ისე,  
 როგორც ეს თითონ ავტორს სურს, მაშინ თქვენ წინ არ არის მომ-  
 ქმედი პირი, არამედ რაღაც მკედარი, უსულო და უგულო არსება-  
 დ. ჭონჭაძის დურმიშხანი-კი ნამდვილი ცოცხალი ადამიანია, მტკიცე  
 და მაგარი ხასიათით, რომელიც არასოდეს არ ღალატობს თავის  
 ძირთად ხასიათს, ასე რომ მკითხველს წინდაწინვე შეუძლია მიხვდეს,  
 თუ როგორ მოიქცევა დურმიშხანი ამა თუ იმ შემთხვევის დროს.

რაც შეეხება ოსმან-ალას, ჩვენ არ გამოვუდგებით აქ დაწვრი-  
 ლებით მის ხასიათის განხილვას, რადგანაც ეს განმეორება იქნებოდა  
 იმის, რაც ჩვენ ზევით ვთქვით მის შესახებ. ვიტყვით მხოლოდ, რომ  
 ოსმან-ალა ნამდვილი ხორც-შესხმული ადამიანია, ისეთი, როგორიც  
 უნდა ყოფილიყო მაშინ ქართლელი გლეხ-კაცის შვილი. მისი თითო-  
 ეული მოქმედება, თითოეული ნაბიჯი-კი, შესანიშნავი სისწორით  
 არის აწონ-დაწონილი და გათვალისწინებული. ერთი სიტყვით, ოს-  
 მან-ალის მოქმედებაში არ არის ისეთი რამ, რაც მის ბუნებას, მის  
 ძირითად ხასიათს ეწინააღმდეგებოდეს. იგი ვერასოდეს ვერ გასწევ-  
 და დურმიშხანობას, როგორც ეს უკანასკნელი ვერ გასწევდა ოსმან-  
 ალობას. როგორც ოსმან-ალის, ისე დურმიშხანის დაბატავაში არაფე-  
 თარი ნაძალადეობა არა სჩანს. ჩვენის აზრით, თუ რომელიმე მომ-  
 ქმედი პირის დახასიათებაში ჩანს რამოდენიმე ნაძალადეობა, ეს  
 ისევე გულისგარდის დახასიათებაა. ამ პირს ავტორმა მეტად ძნელი  
 როლი აკისრა და ვერ ვიტყვით, რომ აქ ავტორს არ გამოეჩინოს  
 შესანიშნავი ცოდნა ადამიანის პსიქოლოგიისა. მაგრამ მისგან ჩადე-  
 ნილი საქმე, ე. ი. დურმიშხანზე შურისძიება მკითხაობის საშუალე-  
 ბით, რომლის მსხვერპლი გახდა დურმიშხანის ერთად-ერთი ვაჟი—  
 ზურაბი, არა თუ მეტათ სასტიკი და ზომიერად გადასულია, არამედ  
 პირდაპირ არა ბუნებრივია.

ყოველ შემთხვევაში ამ სამ მომქმედ პირების: გულისგარდის,  
 ოსმან-ალის და დურმიშხანის დასურათებაში დ. ჭონჭაძემ გამოიჩინა  
 ადამიანის ბუნების ღრმა ცოდნა. რასაკვირველია, ჩვენ არ ვამბობთ,  
 რომ აქ იგი შეუდარებელია; პირიქით, ავტორი არც აქ დაეძებს  
 ადამიანის ბუნების ყოველმხრივ დასურათებას და გამოხატავს; მას  
 მხოლოდ ერთი მხარე აინტერესებს, სახელდობ, ბატონ-ყმურ ურთი-

ერთობის ნიადაგზე განვითარებული გარემოებები და ზნე-ჩვეულებები; გარდა ამისა იგი არ შედის ხოლმე თითოეული სულიერი მდგომარეობის დაწვრილებით განხილვაში, იგი ხშირად ერთბაშით და მოულოდნელათ სწყვეტს სიტყვას, ასე რომ ამ მხრით მთელ მოთხოვნას თითქო დაუმთავრებლობაც ეტყობა. დანარჩენ პარტების შესახებ: ოსმან-ალის და დურმიშხანის ბატონებზე, ოსმან-ალის დედაზე, ნატოზე და სხ., აი რა უნდა შევნიშნოთ: ავტორს, რა თქმა უნდა, სრულებით მხედველობაში არ ჰქონებია იმათი სისრულით დახატვა და გამოიყვანა სცენაზე მხოლოდ დასახმარებლათ, უმთავრეს პირების დასახასიათებლათ, ამიტომ ეს პირები არ წარმოდგებიან მკითხველის წინაშე ისე ცოცხლათ, როგორც ცხოვრებაში არიან. მაგრამ სადაც-კი ავტორი ეხება იმათ ცხოვრებას, ისინი შეუღარებელი სინამდვილით არიან გამოყვანილი. მაგ., თქვენ ხედავთ მებატონეთა მხიარულ, მედიდურ და წარბ-შეუხრელ სახეს იმ დროს, როცა ისინი სრულიად უდანაშაულო ადამიანების ბედს სწყვეტენ, თითქო აქ არაფერი ხდებოდეს. აი თქვენ თვალწინ დედებს სტაკებებს და უყიდიან შვილებს; დედები ემზობიან მიწაზე და ენიდან გამოუთქმელი ვედრებით სთხოვენ ბატონებს შებრალებას. გვეგონებათ, რომ იმათი ხეივანა-მუდარა, იმათი ტირილი და ცრემლი ჭვასაც-კი გაალობსო, მაგრამ არა: ბატონები თითქო ჭვანზე უფრო მეტ შეუბრალებლობას იჩენენ; ადამიანის ჯოჯოხეთური ტანჯვა, რომლის მიზეზი თვით ისინი არიან, იმათთვის არ არსებობს. ისინი განაგრძობენ ჩვეულებრივ ჭეიფს, როცა იმათ გარშემო ტანჯვა და მწუხარებაა. ეს მხარე საკმარისათ ნათლათ აქვს დ. ჭონჭაძეს წარმოდგენილი და მასაც მხოლოდ ეს სურდა. ავტორს სრულებით არ აინტერესებდა მებატონეთა კერძო, ოჯახური ცხოვრება; მას არ სურდა ეჩვენებია ჩვენთვის, როგორი იყვნენ ისინი, როგორც ქმრები, მამები ან ოჯახის უფროსნი; მისი მიზანი იყო წარმოედგინა მკითხველისთვის იმ დროის უმთავრესი საჭირ-ბოროტო საგანი, ე. ი. ბატონ-ყმური ურთიერთობა. ამიტომ იგი არც ყმების შინაური ცხოვრების დაწვრილებით განხილვაში შედის; გარეშე იმისა, რაც ბატონ-ყმური ურთიერთობის გავლენას პირდაპირ არ ეხება, რაც ყოველდღიური ცხოვრების ჭირ-ვარაშს შეადგენს, იგი არ ეხება. აიღეთ მაგ., თუნდ ოსმან-ალის დედის ვითარება, მისი ბედკარული და საბრალო ცხოვრების ამბავი. ავტორს აქ შეეძლო ბევრი რამ ეჩვენებია ჩვენთვის, ბევრი რამ ეამბნა ამ საბრალო დედის ცხოვრებიდან, მაგრამ ამას იგი არ შვრება, თითქო



განგებ გაურბის, თითქო ეშინია, რომ უმთავრესი საგანი არ გაუშვას ხელიდან, და მკითხველსაც არ გამოეპაროს იგი შეუმჩნეველი. შეგიძლიათ ეს მას ნაკლულევანებათ ჩაუთვალოთ, შეგიძლიათ ღირსებათ მიილოთ, ეს დამოკიდებულია იმაზე, ვინ როგორ უყურებს საგანს. მაგ., ანტ. ფურცელაძე<sup>1)</sup> ამაში „სურამის ციხის“ ნაკლულევანებას ხედავს. მისი აზრით, თუმცა დ. ჭონჭაძე, მაშინდელი ცხოვრების მთავარი საჭირ-ბოროტო საგანს „გვიხატავს ნათლათ და გარკვევით“, მაგრამ დაწვრილებით არ გვიჩვენებს ამ საგანს, არ უშვრება მას ანალოზსო. ამას იგი ხსნის არა ავტორის ნიჭის სისუსტით, არამედ იმით, რომ დ. ჭონჭაძის „ძლიერ ნიჭს აკლდა მხოლოდ შემუშავებაო“. ეს მართალია მით უმეტეს, რომ „სურამის ციხე“ პირველი ცდა იყო ლიტერატურულ ასპარეზზე. მაგრამ იმავე დროს ჩვენ არ უნდა დავიწყოთ ის პირობები, რომლებშიაც დ. ჭონჭაძეს წილათ ხედა ბატონ-ყმურ ურთიერთობაზე წერა. შეიძლება თვით ჭონჭაძეც კარგათ გრძნობდა, რომ სურათის სისრულისათვის საჭირო იყო მაშინდელი ურთიერთობის უფრო დაწვრილებით ჩვენება, მაგრამ ეს მას არ შეეძლო უფრო მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო. ჩვენ ვიცით, რომ მაშინდელი ქართველი მწერლები ბატონ-ყმობის შესახებ სრულებით გაჩუმებული იყვნენ და კრინტსაც არ ძვრიდენ მათ. მეორე მიზეზი თვით მაშინდელი საზოგადოება იყო, სადაც მხოლოდ მებატონეებს ჰქონდათ ხმა და ვაჟენა; დანარჩენები-კი იმათ წინაშე ძრწოდენ და იკრუნჩხებოდენ; იმათ დამონებული და დამორჩილებული ყავდათ არა ნარტო გლებ-კაცის პიროვნება, არამედ თვით საზოგადოების აზრიც-კი. ვარდა ამისა მაშინდელი საზოგადოებრივ ურთიერთობის უფრო დაწვრილებით დასურათება უფრო იმ მხრით იყო საშიში, რომ შეიძლებოდა ამ შემთხვევაში ცენზორს არც კი დაერთო ნება „სურამის ციხის“ დაბეჭდვაზე. ჩვენ ვიცით, რომ ჭონჭაძეს უფრო ეს უკანასკნელი გარემოება უშლიდა ხელს, და სწორეთ ამ გარემოებამ აიძულა იგი თავის მოთხრობის მოქმედება საშუალო საუყურთოებში გადაეტანა.

რადგანაც აქ „სურამის ციხის“ ნაკლულევანებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, საჭიროა რომ ცოტაოდენი ამაზედაც შევჩერდეთ ჩვენის აზრით, ამ მოთხრობის ერთი უმთავრესი ნაკლულევანება იმაში მდგომარეობს, რომ აქ ავტორმა მოინდომა ორი დროის, ძველის და ახლის

<sup>1)</sup> იხ. ზევით დასახელებული წერილი — „ციხისკარი“.

ერთათ შეერთება, ერთათ გადადღეობა. ამ გარემოებამ, როგორც წინათვე შევნიშნეთ ბევრათ აწყო დ. კონჭაძის მოთხოვნას მხატვრობის მხრით, ვინაიდან ეს გადადღეობა მან ვერ მოახერხა და ძველი დროის მოთხოვნას სრულებით არაფერი არ სცხია. მეორე დიდი ნაკლულევანება წარმოდგება ენის უცოდინარობისაგან. ავტორი წერს უფრო რუსულ-ქართული ენით<sup>1)</sup>, და იმავე დროს მისი ქართული ძველ საეკლესიო ენას მოგვაგონებს, ვინემ ჩვეულებრივ ქართულს, რომელზედაც ხალხი ლაპარაკობს. თუმცა ალაგ-ალაგ ეტყობა, რომ ავტორს უცდია ხალხური კილო ეხმარა, მაგრამ რუსულ-ქართულს გვერდით ეს რაღაც შეუხამებელია და კიდევ უფრო ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ამ მხრით დ. კონჭაძე ვერ წაუვიდა თავისი დროის გავლენას. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს გარემოება ამცირებს „სურამის ციხის“ ღირსებას.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად კიდევ სხვა უფრო წვრილმან ნაკლულევანებათა, „სურამის ციხე“ უნდა ჩაითვალოს ერთ უშესანიშნავეს ნაწარმოებათ, რომელიც-კი გასული საუკუნის განმავლობაში ქართველ მწერალთა გონებას შეუქმნია. დ. კონჭაძის მოთხოვნა შესანიშნავია თავისი ბალალი მიზნით; შესანიშნავია იგი თავისი თავის შინაარსითაც, რომელიც შეიცავს ავტორის დროის უმთავრეს საჭირ-ბოროტო საგანს. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მისმა დაბეჭდვამ თავზარი დასცა მაშინდელ ბატონ-ყმურ საზოგადოებას და იგი ორნაწილათ გაყო. ერთ მხარეზე შეიკრიბენ ყველა ისინი, ვინც ბატონ-ყმობის მოსარჩლენი, მისი დამცველნი იყვნენ, ვინც ბატონ-ყმობაში პირად სარგებლობას ხედავდა. ესენი ამაყათ და გაბედულათ იცქირებოდნენ, თუმც საჯაროთ-კი ველარ იღებდნენ ხმას. მეორე მხარეზე თავს იყრიდნენ ისინი, ვინც ბატონ-ყმობის წინააღმდეგი იყვნენ; რიცხვით, რა თქმა უნდა, ესენი უმცირესობას შეადგენდნენ და იმათ მოქმედებას ამ მხრით შიში და მოკრძალება ეტყობოდა. საჯაროთ ხმის ამოღებას ვერც ესენი ხედავდნენ, ზოგი შიშის გამო, ზოგი ვინ იცის რატომ. გავიდა ცოტა ხანი და დ. კონჭაძე გარდაიცვალა; შემდეგ გადავიარდა თვით ბატონ-ყმობაც; დ. კონჭაძის ხსენება თან-

<sup>1)</sup> საკვირველია, ან. ფურცელაძეს, რომელიც ამავე ნაკლულევანებს უსაყვედურებდა დ. კონჭაძეს; იმავე წარილში ბევრად უფრო ატყვიო რუსული ენის ზეგავლენა, არა მარტო ფრაზების შედგენაში, არამედ რუსული სიტყვების ხმარებაშიაც. თქვენ იქ გხვდებით, მაგ., ასეთი სიტყვები: „ბუღოფნიცი“, „უფი“, „ბურანი აბტიხა“ და შრ. სხვ.



დათან მიწყნარდა საზოგადოებაში და იგი დაივიწყეს. მისი გარდაცვალების 15 წლის შემდეგ, გ. თუმანიშვილი, რომელიც გაზ. „დროებაში“ არჩეულა „სურამის ციხის“ პირველ გამოცემას, აი რას ამბობს: „შეხაძღვებელი ხაქმია, რომ თქვენ არ იცნობდეთ დ. კონჭაძეს... არა მგონია, რომ იმის მართლის თქმა სრულებით უნაყოფოთ დარჩენილიყო და არ გაემხნევა ჯერ არ დაჩაგრული ახალგაზღობაო“<sup>1)</sup>. ჩანს, 15 წელიწადი საქმარისი იყო, რომ დაევიწყათ ის, ვინც პირველათ საჯაროთ დაგმო ის წესწყობილება, რომელიც საუკუნოების განმავლობაში სულს უხუთავდა ჩვენს ხალხს და რომლის მეოხებით ადამიანი პირუტყვათ იყო მიჩნეული. მაგრამ არც გ. თუმანიშვილის გახსენებამ უშველა საქმეს. ამ გახსენების შემდეგ გაივლის კიდევ რამდენიმე ხანი, „სურამის ციხე“, როგორც საკითხავი წიგნი, ხალხში ვრცელდება, მაგრამ ქართული მწერლობა არც თვით მოთხრობაზე და არც მის ავტორზე ხმას არ იღებს. და ეს ასეა დღესაც. შეიძლება „სურამის ციხე“ მართლა არ არის იმის ღირსი, რომ მას ყურადღება მიექცეს? შეიძლება ქართული მწერლობა სამართლიანათ უწევდა და დღესაც უწევს დ. კონჭაძეს აგი დედინაცვლის როლს? შეიძლება მის მოთხრობას ხალხი სრულებით უსამართლოთ სცემს პატივს? ვგონებთ, ზევით ნათქვამი აშკარათ ამტკიცებს, თუ ვინ იქცევა ამ შემთხვევაში სამართლიანათ: ხალხი, რომელსაც უყვარს და პატივს ცემს დ. კონჭაძის „სურამის ციხეს“, თუ ქართული მწერლობა, რომელმაც თითქმის სრულებით დაივიწყა, როგორც დ. კონჭაძე, ისე მისი მოთხრობა.

დ. კონჭაძის თანამედროვე საზოგადოების და ლიტერატურის განხილვიდან მკითხველი დაინახავდა, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მესამოცე წლების დასაწყისში „სურამის ციხის“ გამოქვეყნებას. ვერც ერთი იმ დროის ქართველი მწერლის ნაწარმოები ვერც აზრის და ვერც შინაარსის მხრით ვერ შეედრება დ. კონჭაძის „სურამის ციხეს“. ილია ჭავჭავაძის ცნობილი „გლახის ნაამბობი“ და „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ გამოქვეყნებულ იქნენ არა თუ „სურამის ციხის“ დაბეჭდვის შემდეგ, არამედ იმ დროს, როცა ბატონ-ყობა უკვე გაუქმებული იყო, და მაშასადამე ის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. გარდა ამისა, თუმც ხსენებული ნაწარმოებნი ენის და სტილის მხრით გაშვენიერებული და გალამაზებულია,

1) იბ. გაზ. „დროება“ 1875 წ., № 118, ხაზს ჩვენ ვესვებით.





ასე რომ ამ მხრით მათ „სურამის ციხე“ სრულებით ვერ შეედრებენ. მაგრამ იმავე დროს ილ. ჭავჭავაძის ხსენებულ ნაწარმოებში ისეთი რამ, რაც ენით ძნელი გამოსათქმელია, რაც მხოლოდ გრძობით იცნობებინს; ერთი სიტყვით, იმათ აკლია ის მხურვალე გრძობა, რომლითაც გამოთბარია დ. ჭონჭაძის „სურამის ციხის“ არა თუ თითოეული სიტყვა, არამედ თითოეული მარცვლიც-კი. თქვენ ხედავთ გარეგან სიშვენიერეს, წმინდა ლიტერატურულ ენას, უბრალო ხალხის თანაგრძობას და მისთვის ცრემლების დენას, მაგრამ ყოველივე ეს რაღაც ძალდატანებულია, არა წრფელი გულიდან ამონახეთქი; ეს უფრო მედიდურებაა, მაღლიდან მოწყალების თვალთ გადაწყურება: აი ჩვენც თანაგიგრძობთ, ჩვენც გკადრულობთ და ხელს თუ არა, თითის მაინც გიწვდითო! სულ სხვაა დ. ჭონჭაძის „სურამის ციხე“, მაშინ სულ სხვაგვარი გრძობაა ჩატანებული და ამიტომ მიუხედავად გარეგანი უღაზათობისა, მან მაინც მოიგო ხალხის გული!

ორმოც წელიწადზე მეტია, რაც ქართული მწერლობა სისტემატიურათ სდევნის დ. ჭონჭაძის „სურამის ციხეს“. ასეთი დევნა იშვიათი მოვლენა არაა; ამასვე ჩვენ ვხედავთ სხვა ხალხთა ლიტერატურაშიაც. ჩვენ ვიცით, რომ სდევნიდენ უდიდეს და უშესანიშნავეს მოაზრეთ, მწერლებს და მოღვაწეებს. დევნის მიზეზი ყოველგან ერთი და იგივე იყო: მდევნელები ხედავდენ, რომ ამა თუ იმ მწერლის ან მოღვაწის აზრის ან შეხედულების გავრცელება მავნებელი იქნება იმათ ინტერესებისათვის და ამიტომ დევნიდენ ამ აზრის გამოთქმელთ და მატარებელთ. ეს მდევნელები ზოგან გაფანატიკოსებული სამღვდულოება იყო, ზოგან ერთი რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფი ანუ კლასი, ზოგან თვით მთავრობა. დან. ჭონჭაძეს პირველათ სდევნიდენ ისინი, ვინც ბატონ-ყმობის მომხრენი იყვნენ. ამათი დევნა ადვილათ გასაგებია; ამას ახსნა არ სჭირია, ვინაიდან ყმების ბატონები დ. ჭონჭაძემ სამუდამოთ სამარცხვინო ბოძზე გააკრა, როგორც ზევით იყო ნათქვამი. ამავე გზას დაადგა ჩვენი მწერლობაც. რა იყო ამის მიზეზი? რათ იკისრა ჩვენმა მწერლობამ ასეთი ყოველად შეუფერებელი როლი? ამის მიზეზი მარხია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნეშიაც ძლიერ ნელი ნაბიჯით მიდიოდა წინ, განსაკუთრებით ამ საუკუნის პირველ ნახევარში. იმ დროებაში დ. ჭონჭაძე არა თუ იშვიათი,

არამედ თითქმის ერთათ-ერთი პირი იყო, რომელიც თვით ხალხისაგან იყო გამოსული და რომელსაც ხალხის გასაჭირი აწუხებდა და აფიქრებდა. იგი ერთათ-ერთი პირი იყო, რომელსაც ხალხის კეთილდღეობა სწყუროდა. მაგრამ მისი მოღვაწეობისთვის ჯერ კიდევ არ იყო ნიადაგი მომზადებული, საზოგადოებრივ მოღვაწეობის ნიადაგზე მას არ შეეძლო შთამომავლობის დატოვება, რომ მისთვის თავის წმინდა ანდერძი გადაეცა; ერთი სიტყვით, იმ დროს არ იყვნენ კონქაძეები. საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზს, რომელიც იმ დროს მხოლოდ ლიტერატურით ისაზღვრებოდა, დაეპატრონენ ისეთი პირები, ვინც მებატონეთა წოდებიდან იყვნენ გამოსული. ამათ მწერლობა ხალხისათვის როდი უნდოდათ: ის იმათთვის უფრო ან დროს გასატარებელი და ან სახელის მოსახვეჭი საშუალება იყო. უმეტესობა ამათში ერთნაირი „ლიბერალები“ იყვნენ, რომელთაც ყოველთვის და ყოველგან მხოლოდ „მაღალი ფრაზები“ უყვართ. ეს „ლიბერალები“ თითქმის ყველანი ერთი წრის ხალხი იყო, ერთი გრძნობით და ერთი შეხედულებით გამსჭვალული. იმათთვის ნაწერებით აავსეს მაშინდელი ჩვენი მწერლობა, რომელსაც ძალაუფლებურათ თავისებური ელფერი და მიმართულება მისცეს. უწინარეს ყოვლისა იმათ გამოაცხადეს თავის თავი მამულის მოყვარულებათ და საქართველოს ძველი დიდების მომხრეებათ. იმათი „მამულისწვილობა“ თხოულობდა რომ საქართველოში ძველათ ყოველივე კარგი ყოფილიყო. ამან მოითხოვა ჩვენი წარსული ისტორიის თავისებურათ გადაკეთება, თავისებურათ დახსნა. ასევე უნდა მოქცეოდნენ ბატონ-ყმობასაც; ეს უკანასკნელი არც მონობას მოასწავებდა იმათ თვალში და არც ერთი წოდების კაცისაგან მეორე წოდების კაცის დაჩაგვრას. იმათი აზრით, ჩვენმა ცხოვრებამ არ იცის, თუ რა არის წოდებათა და კლასთა შორის განხეთქილება, უთანხმოება. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ადგილი აღარ ჰქონდა არც დ. კონქაძეს და არც მის „სურამის ციხეს“. ჯერ თვით კონქაძე ვინ იყო, რომ იმაში თავისი ტოლი და ამხანაგი ეცნოთ? და მერე „სურამის ციხე“? ეს ხომ ძირიან-ფესვიანათ არღვევდა იმათ შეხედულებას ჩვენ წარსულ ცხოვრებაზე, რომელიც ია-ვარდით რიდი იყო ხოლმე მოფენილი, როგორც იმათ ფგონათ. ეს ერთი. მეორეც ის, რომ აჭ, ცოტა არ იყოს, იმათი პირადი თავმოყვარეობაც ილაზებოდა: ისინი ხომ ყველანი ოსმან-აღის ბატონების შვილები და შვილის-შვილები იყვნენ. იმათ არ უნდოდათ, რომ იმათი მამა-პაპების საქმეებს ფარდა ახდოდა. იმათი აზრით,

ყოველი ჩვენი წარსული შარავანდედით უნდა ყოფილიყო გარემო-  
ცული ხალხის თვალში. დ. ჭონჭაძის საქციელი-კი ამ შემთხვევაში  
მეტათ სასტიკი და შეუბრალებელი იყო. მან ფარდა ახადა ჩვენ  
წარსულ საზოგადოებრივ ურთიერთობას; გვიჩვენა ჩვენი მოწინავე  
წოდების „საქმენი საგმრონი“ შეუღარებელი სინამდვილით. ეს, რა  
თქმა უნდა, არ მოეწონებოდათ იმათ, ვინც ამ წოდებიდან იყვენ გა-  
მოსული და ვინც იმავე დროს ჩვენი მწერლობის სათავეში იდგნენ.  
იმათ სრულებით გაჩუმება არჩიეს დ. ჭონჭაძის და მისი „სურამის  
ციხის“ შესახებ, ვინემ ამაზე ლაპარაკი დაეწყოთ მწერლობაში. მაგ-  
რამ აქ იყო კიდევ სხვა გარემოებაც, არა ნაკლებ ღირსი აღნიშვნისა-  
მესამოცე წლების მოღვაწენი, ავი იყვენ თუ კარგენი, მაინც  
ლიბერალობდნენ. იმათ ლიბერალობას მით უმეტეს ჰქონდა გასავალი,  
რომ იმ ხანებში უკვე თვით მთავრობაც-კი შეცადინებოდა ბატონე-  
ბისთვის ყმების ჩამორთმევას; თვით მთავრობაც-კი ბატონ-ყმობაში  
უსამართლობას ხედავდა. მესამოცე წლების მოღვაწენი მთავრობას  
ხომ ველარ ჩამორჩებოდნენ, სიტყვით მაინც, თუ საქმით არა. და აი,  
ისინიც უფრთხედებიან საზოგადო ხმას. ამ დროს ვიღას ახსოვდა დ.  
ჭონჭაძე, რომელმაც პირველათ გაილაშქრა ბატონ-ყმობის წინააღმ-  
დეგ, რომელმაც პირველათ დაგმო საჯაროთ ეს წეს-წყობილება. იმა-  
თი სახელისთვის საჭირო იყო, რომ ამ საქმეში პირველობა იმათვე  
დარჩენოდათ. ამნაირათ შენუშავდა და გავრცელდა ის ზღაპარი, რომ  
ბატონ ყმობის წინააღმდეგ ჩვენში გაილაშქრენ პირველათ ვითომც  
თვით თავად-აზნაურებმა, წარჩინებულ გვარის შეილებმაო; რომ ვი-  
თომც დაჩაგრული გლეხ-კაცობის სასარგებლოთაც იმათვე ამოიღეს  
პირველათ ხმა. სამწუხაროთ, ამნაირმა ყალბმა მიმართულებამ და  
უკუღმართმა შეხედულებამ თანდათან მოიკიდა ფეხი ჩვენ მწერლო-  
ბასა და საზოგადოებაში; მის დამკვიდრებას და გამაგრებას, როგორც  
ვიცით, ხელს უწყობდნენ თვით მესამოცე წლების მოღვაწენი; იმათ  
ჭირივით ეჯავრებოდათ დ. ჭონჭაძე და მისი „სურამის ციხე“. ჩვენ  
უკვე ვიცით, თუ რა იყო ამ ყალბი მიმართულების გავრცელების მი-  
ზეზი; ეს ჩვენთვის ახლა ადვილი წარმოსადგენია.

დღეს კი ვარენობა შეიცვალა: ხალხი თითონ გებულობს და  
აფასებს იმათ, ვინც საზოგადოებრივ ასპარეზზე მოქმედებს. ამიტომ  
ყველას უნდა მიენიჭოს საქმისამებრ მათისა. ამ წიგნაკის მიზანი იყო  
აღგვედგინა დ. ჭონჭაძის პიროვნება და მისი ღვაწლი ქართველ სა-  
ზოგადოების და მწერლობის წინაშე; გვინდოდა გვეჩვენებია ის მნიშ-

ენელობა, რომელიც „სურამის ციხეს“ აქვს ქართულ მწერლობაში. თუ რამდენათ მივახსენებთ ჩვენ მიზანს, ამის მსაჯული მკითხველსა.

დასასრულ, აქ ჩვენ უნდა დავაყენოთ ერთი კითხვა: იქონია თუ არა რაიმე გავლენა ქართულ მწერლობაზე დ. ჭონქაძემ? სამწუხაროთ, უნდა აღვიჩიროთ, რომ თითქმის სრულიად არავეთარია. ამის თავი და თავი მიზეზი მოკლეთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზევით. დაწვრილებით ამ საგნის განხილვა არ შეიძლება ამ წიგნის დანიშნულებას. ის სულიერი ნათესაობა-კი, რომელიც არსებობს ერთი მხრით დ. ჭონქაძესა და მეორე მხრით, მაგ., ეგნატე ნინოშვილს შუა, აიხსნება იმით, რომ ორივე ეს მწერალი პირდაპირ ხალხისაგან იყვეს გამოსული და ამიტომ იმათ უფრო მეტი სინამდვილით და უფრო მეტი დაკვირვებით შეეძლოთ გაეგოთ ხალხის გასაჭირი და მისი მწუხარება. ამ ორ მწერალს შორის მართლაც ბევრია საერთო. თუ ერთი იმათგანი (დ. ჭონქაძე) გვიხატავდა ყმების აუტანელ მდგომარეობას ბატონების ხელში, მეორე (ე. ნინოშვილი) მოგვითხრობს იმავე ყმების ამბავს განთავისუფლების შემდეგ. მიუხედავად ამისა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არავეთარია გავლენა არ ჭკონია დ. ჭონქაძეს ე. ნინოშვილზე.

კიდევ გავიმეორებთ, რომ თუ დ. ჭონქაძემ ვერ იქონია ჩვენ მწერლობაზე ვერავეთარია გავლენა, ამის ბრალი რამდენიმეთ თვით ჩვენი მწერლობის მესვეურთ და განსაკუთრებით კრიტიკოსებს უნდა მიეწეროს, რომლებიც თავიდანვე ყალბ მიმართულებას დაადგენ და შემდეგში ოდნავათაც არ მოინდომეს იქიდან განთავისუფლება.

კ. ქუთათისი.

1903 წ. სექტ.-ოქტომბერი.

შ ი ნ ა ა რ ს ე.

	გვრ.
შესავალი . . . . .	9—13
დან. კონკაძის ცხოვრება . . . . .	14—28
დან. კონკაძის დრო: . . . . .	
I. ბატონ-ყმობა . . . . .	24—37
II. საზოგადოება . . . . .	37—48
III. მწერლობა . . . . .	48—76
„სურამის ციხე“ . . . . .	77—104

---

## ფ. მახარაძის წიგნის „დანიელ ზონაძე და მისი ღრო“-ს გარემო ატენილ დავის გამო პასუხი ქართველ თავად-აზნაურებს (1906 წ.)

(პახუბი გაზ. „ცნობის ფურცელი“ № 2627-ში ფელეტონის დამ-  
წერს ვლ. ლორთქიფანიძეს).

ძველად, როგორც სჩანს, ქართველი თავად-აზნაურები ერთ მტკაველ მიწას არავის უთმობდნენ. მიწა და მამულისათვის ხშირად ებრძოდა ძმა-ძმას, მამა-შვილს, ნათესავი-ნათესავს, სახლის-კაცი—სახლის-კაცს, მეზობელი-მეზობელს და ასევე სხვანი ყველანი ერთმანეთს. სჩანს, ძველად ქართველ მებატონეებს კარგათ, ზედმიწევნითი ცოდნა ჰქონიათ მიწა-მამულზე და ამიტომაც ყოფილა, რომ მათ მეფეთაგან შეუძენიათ და შეუნარჩუნებიათ აუარებელი მამულები, სახნავ-სათესი მიწები, ტყეები, გორაკები და სხვანიც. ერთი სიტყვით მთელი საქართველოს ადგილები სულ ქართველი ერის საკუთრებას შეადგენდა და მათში უპირატესობა თავად-აზნაურებს ეკუთვნოდათ.

ვერ ნახვდით ისეთს თავადს და აზნაურს, რომ იმას აუარებელი მამულები არა ჰქონოდა, მასთან ყმები; თუ თავადი იყო და აზნაური, მასთან იგი მებატონეც უნდა ყოფილიყო და ყმათა პატრონი, უამისოდ კი არც თავადი ისახელოვნებოდა და არც აზნაური, არც მისი ბატონობა გამოჩნდებოდა. ერთი სიტყვით მოკლედ უნდა ითქვას, რომ მებატონე უნდა ყოფილიყო დიდი ყმა და მამულის პატრონი. ეს რომ ასე ყოფილა ამას ასახულებს ძველი ქალაქები, გუჯრები, სიგელები და სამეფო დავთრები. მთელი ქართული სიგელ-გუჯრები სულ ასეთ საიდგილ-მამულო სადავო ცნობებს წარმოადგენს, ნახეთ ქართულ ენაზედ ყველა დაბეჭდილი გუჯრები და სიგელები, წაიკითხეთ თქვენ ივინი და იქ მის მეტს არას ჰპოვებთ.

ყოფილა ისეთი შემთხვევები, რომ ნათესავთა და სახლი-კაცთ შორის მამულის შესახებ დავა ამტყდარა და მერე ეს ატენილი დავა გაგრძელებულა 100—200 წელს, ხან მეტსაც. მაგალითებრ ჩვენში

იტყვიან „ციციანთ დაგას“, ეს დავა ხალხში ანდაზათაც არის გადაყალიბებული—სადმე, ვინმე შარიან კაცს, ან მომჩივიანს რომ მანახუნ, მანახუნ იტყვიან: „ეი, შენ ციციანთ დაგა ხომ არ ხარ“-ო. მართლაც და ციციანთ დაგა ერთმანეთშორის სახლი-კაცებში მამულების გამო ამტყდარა ძველად, კარგა ხნის წინედ რუსეთთან დაკავშირებამდე და მერე ეს დაგა რუსეთის მფლობელობასაც მოესწრო და მხოლოდ რუსეთის კანონმა დააშოშმინა იგი 1840 წ. სულ კი ამ დაგის ხანად გასული იყო 170 წ. მაშასადამე ეს დაგა ციციშვილებთ შორის ამტყდარა 1870 წ. და მას გაუტანია თავი 1840 წლამდე.

ასეთი დავიდარაბა მარტოდ ამ ერთ გვარის თავადისშვილის წევრთ შორის კი არ ყოფილა, არამედ იგი არსებობდა ყველა მებატონე თავადსა და აზნაურთ შორის და ხშირად საქმე ისე ეწყობოდა, რომ ესენი მამულების გამო სჯულსა, ქვეყნას და მეფესაც კი ლალატობდნენ. ასეთ ლალატს იგინი თუ ბედავდნენ თვით მეფის, მათის მფარველის წინაშე, აბა ხალხის ლალატი რაღა უნდა ყოფილიყო მათთვის, სულ არაფერი, გროშის ფასი. ჩვენ ვხედავთ ისტორიულის მასალებით, რომ ძველად ქართველი თავად-აზნაურნი დიდი არშიყნი იყვნენ მამულისა. იგინი ერთ ბეწო მიწის გულისთვის სისხლს აქცევდნენ და ღვრიდნენ, ოღონდ მით კი მამული შეენარჩუნებინათ. მაშინ რამდენიც შემამულეს მიწა და ადგილები მეტი აქვნდა, იმდენად იგი ბედნიერი და სახელოვანი იყო ყველას წინაშე. ასეთი იყო ვითარება ძველი დროის მებატონე თავად-აზნაურების და იგინი ერთ ბეწო მიწის მტკაველს უსისხლოდ და უომრად არავის დაუთმობდნენ.

ასე ეკიდებოდნენ ძველად იგინი მიწა-მამულს, ასე ჟღერთხილდებოდნენ საკუთრებას და მიტომაც მოხდა ის, რომ მათ კარგად და ლაზათიანად დაიცვეს თავიანთი სამშობლო ქვეყნის კუთხეთა თავისუფლება. რასაც ესენი ემსახურებოდნენ და ელტოდნენ მაშინ, უნდა ითქვას, რომ გლეხებიც იმავე მიდრეკილებით მოქმედებდნენ და ძნელად რომ ძველად ქართველ გლეხს მიწა-მამული გაეყიდნა, მას შელეოდა. ეს რომ ექმნა მას, მაშინ ესეთი საქციელი მისი სიკვდილი იქნებოდა, დედა-მიწის პირიდან მოსპობა, ამიტომაც იყო, რომ ქართველი გლეხი რაც გინდ ლატაკი, ქვეყანი ბოგანო ყოფილიყო, მაინც იგი თავის მიწა-მამულს არ დასთმობდა, მას ვერ შეეღეოდა, ერთ მტკაველ მიწას არავის დაუთმობდა და თუ საქმე იქნებოდა, მაშინ ის ამისთვის სისხლსაც დაღვრიდა და მამულს კი არავის დაანებებდა.

ასეთი იყო ხასიათი ძველად როგორც თავადის, ისე აზნაურის და გლეხის. იგინი სასტიკის მედგრობით იცავდნენ თავის მამულს და ერთს მტკაველ მიწასაც კი არავის ანებებდნენ, არა ჰყიდდნენ. ასეთი იყო ვითარება მათი და ამასვე ასაბუთებს ჩვენი ისტორია. თვით სამცხელთ საქმეც ამას მოწმობს, 1580 წ. ოსმალებმა სამცხე თვის მეხარკეთ გახადა, 1627 წ. კი სრულიად დაიმორჩილა და გაათათრებაც დაუწყო, ვინც არ გაათათრდებოდა, იმას თავის სამშობლოდამ აყრა ელოდა, ოსმალებში გადასახლება. ეს გადასახლება იმ დროის ქართველთ ისე მძიმეთ მიაჩნდათ, რომ მათში ერთი კაციც არ ბედავდა საშობლო მიწა მამულის დატოვებას, ისევე გაათათრებას რჩევობდნენ და თვის მიწა-მამულიდან კი ფეხს არ იცვლიდნენ.

ძველად, ქართველი თავადი და აზნაური ასეთი მოტრეიალე იყო მამულის, იმან იცოდა კარგად, რომ მამული იყო მისი გამომკვები, მასაზრდოებელი, ამიტომ იგინი ამ მასაზრდოებელ ძალას ისე უყურებდნენ როგორც ოქროს, ძვირფას თვალმარგალიტს, უფრო მეტ ფასსაც სდებდნენ. მამულის გაყიდვა, მისი გამეტება მაშინ ერთობ იშვიათი იყო, არ ყოფილა მაგალითი, რომ XIX საუკუნის დამდეგამდე, ქართლსა და კახეთში სადმე დიდი მამული გაყიდულიყოს, ნამეტურ სახანავ-სათესი ადგილები და ტყეები. მცირე რამ მამულების გაყიდვა იცოდნენ ისიც ქალაქ ალაგებს: სახლის, საღებუნე და საქარავასლო ადგილების, ისიც ქალაქის სავაჭრო საჭიროების გამო, უმეტეს ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ შეძლებული მოქალაქენი, ვაჭრები, ხელოსნები და მუშები. თავად-აზნაურნი კი ამას იშვიათად შვრებოდნენ, მაშინ გინდ ამათ დიდი მამულის გაყიდვა რომ მოენდომათ, მათნიც მყიდველი არავინ გამოსჩნდებოდა. ერთის მხრით საძრახავათ მიაჩნდათ ასეთი გაყიდვა-გამოყიდვა და სწორედ ეს მაგალითები გახლდათ, რომ შემამულენი თვის მამულს თვით ხიზნებსაც კი არ აძლევდნენ.

ხიზანს ეტყოდნენ ხოლმე, გვეყმე ჩვენი და მამულს ძაშინ მოგცემთო, მამულს ისიც საბუშავოთ და არა საკუთრებათო, მის შემდეგ ისიც კი უნდა იცოდეთ, რომ თქვენც ჩვენი ყმანი იქნებით და მამულიც ჩვენი საკუთრება იქნებაო. ძველად, მეტად ძნელად, რომ მეზობლანეს გლეხის, ან ხიზნისთვის მამული მიეყიდნა. ასევე იყვნენ თვით მეფენი და ბატონიშვილებიც, მათაც აქენდათ თავიანთ საკუთარი მამულები, იგინიც ამ მამულების შესავლით სცხოვრობდნენ. სხვა რამ წყარო ამის გარეშე მათ არა აქენდათ რა. სახელმწიფო, ანუ სახასო გლეხნი თუ იყვნენ სადმე მიწა-მამულის პატრონები, იგინი





XI, XII, და XIII საუკუნოებში იყვნენ სახასო გლეხებით ცნობილი და თავიანთ საკუთრებათ მათ მამულებიც მაშინ აქვენდათ მიწომილინი სამეფო გამგეობისაგან.

ასე იყო ძველად ქართველ მებატონეთ ვითარება და მამულე-ბის საქმე, ქართველი მებატონე თუ ჰყიდდა ხოლმე რამეს და მის განაყოფით სარგებლობდა, ეს იყო უკაცბალი არსების გაყიდვა, ესე იგი ყმისა და ყმის შეილების, ამას უფრო ადვილად ელწოდნენ ქარ-თველი მებატონენი.

იგინი თვის ყმემს ჩარდახიანის ურმებით მიერეკებოდნენ სპარ-სეთს და ოსმალეთს და იქ ჰყიდდნენ ფასად. ვინც უფრო სახიერი ყმაწვილი კაცი და ქალი იყო, ის უფრო რასაკვირველია, კაი ფასად იყიდებოდა. ასე ურმებით წაყვანა უმეტესად ქართლისა და კახეთის მებატონეებმა იცოდნენ, თუ სად და როგორ ჰყიდდნენ ეს ვგო-ნებთ სხვა ჩენი წერილებით ცნობილია და ამიტომ აქ ამაზედ არას ვრატყვით. ჩარდახიანის ურმებით ხშირად თვით მებატონენიც მიბ-რძანდებოდნენ და დასაყიდს ზოგს ყმებს ფეხით მიერეკებოდნენ, ზოგს ურმით. ჩარდახიანის ურმით უმეტეს ქალები მიჰყვანდათ, რომ მათთვის მზეს არ დაეკრა და სახე არ წახდენოდათ, ლამაზები ლამა-ზად ჩაეყვანად, რომ მერე იქ ესენი კაი ფასად დაეყიდათ.

იმერთ მებატონენიც ასევე შვრებოდნენ, ხოლო იმათ იგინი მიჰ-ყვანდათ ოსმალეთში დასაყიდათ შავი ზღვის ნაპირებზედ, იქამდის ფეხით ჩაჰყვანდათ და მერე კი, რაკი იქ ოსმალთ ვაჰრებზედ ჰყიდ-დნენ, მის შემდეგ ზღვით გემებით მიჰყვანდათ. ამას ასაბუთებს საბა ორბელიანის მოგზაურობაც. 1715 წ. იგი ლათინის კაპუცინებით ბათუმში რომ მოსულა, მაშინ იქ მათ უნახავთ ერთი გემი, საიდანაც თურმე ქართველთაგან დაყიდულ ყმათა გოდება და ტირილი გამოი-სმოდა. ეს ამბავი კაპუცინებსაც უკითხავთ, მაგრამ საბა ორბელიანს არ აუხსნია მათთვის, რადგანაც შერცხვენია, რომ ქრისტიან ქართვე-ლებს ქრისტიანი ქართველი ყმები ოსმალთა ვაჰრებზედ დაეყიდნათ და ამით ეხლა დასაყიდათ მიერეკებოდნენ ოსმალში, სადაც მათ დაჰ-ყიდიან და მერე გათათრდებიან კიდევცაო.

თუმცა ასეთი დაყიდვა სამეფოსაგან აკრძალული იყო და არც ერთ მებატონეს არ შეეძლო თვის ყმის ჩუმად თუ ცხადლივ გასყიდ-ვა, ვინაიდან თავადი, აზნაური და გლეხიც ყველანი ერთ ტავაზედ იწოდნენ, მაგრამ ამის შეგნება ვილას აქვენდა, სამეფოს და მეფეს ძვე-ლებური ძალი აღარ აქვენდა და მერე მეფე თავადიშვილებთან და-

ნათესაეებული იყო მთელი სამეფოს ოჯახის წევრთა კოლქრობით და აბა ამ კავშირის გამო მეფე თუ მისი კანონი თავის ნათესავს შებატონენს ყმების გულისთვის როგორ აწყენინებდა. გინდ რომ ეწყენინებინა, მაინც არაფერი გაკეთდებოდა მით, შებატონენი მაინც თავიანთსას არ დაიშლიდენ და წყენას კიდევ არეგ-დარეგა მოჰყვებოდა. დიებ, ქართველი სამეფო და სასულიერო პირთა ქადაქებით საქართველოში ყმის და ტყვეს გასყიდვის უფლება აკრძალული იყო, მაგრამ ამის შეგნება ალარავის აქვნდა, ყველა თავისთვის იღვწოდა, და მით ლუბავდა ქვეყანას.

ქართველი შებატონენი ჩვეულ იყვნენ თვის ყმების დასყიდვას. მათ დასყიდეს და მით დააცალიერეს მთელი საქართველო, დღეს ნახევარ საქართველოს ადგილები სავსეა ნასოფლარებით, რომელ ნასოფლარებში დღემდე ბევრს ალაგას ციხე-კოშკები და საყდრებიც კი სდგას და ბევრს ალაგას დიდი ტაძრებიც, ასეთია მაგალითებრ ნახევარი კახეთი, მთელი სამხრეთ (სომხეთი) ხაწილი, ანუ ხუნანი, სამცხე-საათაბაგო, რამდენი კიდევ სხვა ადგილები, სადაც ქართველი ტომი მოისპო, გაქრა და სული დალია ისე, რომ დღეს იქ ქართველთ ხსენებაც ალარ არის და იქ მათ ნაცვლად მრავლობენ თათრები, სომხები და სხვა ასეთ მოსულ და დასახლებულნი. სადღეისოდ იქ ქართველთ ხსენება ისეა გამქრალი და მოსპობილი, რომ თითქოს იქ ოდესმე ქართველ ერს არცკი ეცხოვროს.

გავიდა ძველი დრო, ჩაბარდა იგი თავის დროსა და ხანას, შებატონეთ, ეპითა-ვითარების წყალობით, ხელიდამ ჩამოერთვათ ყმების დასყიდვის უფლება. ეხლა მათ იმის ძალა ალარ შესწევთ, ეხლა მათ როგორც ცოცხალ ქონებაზედ დაჩვეულ ვაჭრებმა, უძრავს ქონებაზედ დაიწყეს ნაფარდობა და ვაჭრობა და აგერ ეს ერთი საუკუნეა, რაც მათგან ისყიდება საქართველოს ადგილები, ის ადგილები რომელნიც ქართველ გლეხთა სისხლით არის მორწყული და ოფლით განაყოფიერებული, დღეს ყოველივე ეს ისყიდება ოხერ ფასად უცხო ტომის ხალხზედ და მით ქართველ ერს სამუდამოდ ეცლება ხელიდამ თვისი საბინადრო მიწა-მამული, ტერიტორიას ჰკარგავენ ყველანი.

გაწყალებულ და სულ ამორთმეულ გლეხ-კაცობას კიდევ არ შესწევს ძალა, რომ მათ შეისყიდონ ეს მიწა-მამულები თვისის ნაბატონარისაგან, თუმცა სადღეისოდ მათი რიცხვი გამრავლდა, ერთი ოჯახი ხუთათ იქცა, ცალკე გამრავლებით, ცალკე ძველი ოჯახების

გაყრით, დანაწილებით. ბედშავეთ მიწა-მამულების დიდი სიფიწროვე აქვთ, დიდი გაჭირვება, მაგრამ რა ქნან, რომ მათ ღონისძიება არა აქვსთ, რომ თვისი მებატონისაგან ეს ადგილები იყიდონ თუნდ ბანკის ვალით.

ქართველი გლეხკაცობა ასეთის საკმისთვის მკვდარია, მას სული და გული გამოლადრული აქვს. მას არაფრის ძალა აღარ შესწევს, დამონებულია ყველაფრით და ლატაკი მეტად ჭონებრივად. ამით ასეთ სილატაკეს მებატონენი კი სულ ვერ გრძნობენ, იგინი ამითის გაჭირვებისათვის მკვდრები არიან, ამიტომაც ყოველივეს თვის მამულს უცხოელებზედ სულ ოხერ ფასად ჰყიდიან და ამით ასრულებენ ქვეყნის დიდს გამცემლობას და დაღუპვას. მათ სულ არ აწუხებდათ ის გარემოება, რომ ქართველი გლეხობა, ის გლეხობა, რომელიც მათ საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდა და ამ მიწა-მამულსაც თვისის სისხლით იცავდა და ღებავდა, თვისის ოფლით ანოყიერებდა მის ნიადაგს, რომ ესენი ცარიელნი, უმიწაწყლოდ შთებოდნენ და მათი საკუთრება სხვის ხელში გადადიოდა. ამის შეგნება მათ არ აქენდათ და იტომაც მოხდა რომ სულ უბრალო ფასებში დაუვანტეს ქართველ მემამულეებმა საქართველოს მიწა-მამულები.

ბედშავე მებატონეებს სულ არ აწუხებდათ ის გარემოება, რომ იგინი ჰყიდდნენ საერთო ქართველთ საკუთრებას, მერმისისთვის ცარიელები რჩებოდნენ, მათ არც ის გარემოება აგონდებოდათ, რომ მათგან დაყიდულ მიწების შესყიდვის საკმით ადგილობრივ უმიწაწყლო ქართველი გლეხნი კი არ სარგებლობდნენ და არ ყიდულობდნენ, არამედ სხვანი. ასე და ამ გვარად, ქართველ უჯიბო მებატონის წყალობით ქართველი გლეხი რჩებოდა უმიწაწყლოდ, უმამულოდ, რაც არც თვით მებატონეთათვის იქნებოდა კარგი, გარდა ამისი იგინი, ანუ თვით მებატონენიც რჩებოდნენ ცარიელნი და ბოლოს იგინიც ისევე გახდებოდნენ ცარიელ-ტარიელნი, როგორც მათი გლეხები. ბოლოს რა მოხდება? ამ უბედურთა შეცდომებით ყველანი უმამულოდ დაშთებიან და მით გაჭირვების ტაფაზედაც დაიხრაკებიან. ასეთი ბოლო მოჰყვება ქართველთ უაზრო მებატონეთა ვითარებას. ეს აუცილებელი საკუთნებელი მათი მომავალია, ამას იგინი ვერ გაეპტევიან და ჩვენც ეს მოკლე გახსენება მიტომ მოვიყვანეთ აქ.

სამწუხაროდ, ჩვენ ქართველებს, ხშირად ასეთი სწორე გახსენება ერთობ გვძულს, ყელში გვგზიბდება და ამიტომ ხშირად ბორო-

ტებასაც ჩავდივართ. ამის მაგალითია 1906 წ. გაზ. „ცნობის ფურცლის“ (№ 2627) ფელეტონი, რომლის დამწერი ელ. ლოროთქიფანიძე არჩევს ფ. მახარაძის წიგნს:—„დანიელ ჭონჭაძე და მისი დრო“, რომელი წიგნიც 1904 წ. გამოიცა ქუთაისში და ამ გარჩევაში არ სჯერდება ფ. მახარაძის შრომის და ხსენების მახარად აგდებას და იქვე მის გვერდით მეც მახსენებს, როგორც, უმეცარს, ისტორიის არ მკოდნეს.

ერთის სიტყვით ვ. ლოროთქიფანიძემ, როგორც კეთილშობილ სისხლის მექონმა და ქართველთა და საქართველოს მოყვარემ, ერთის კალმით გააქრო ჩემი შრომა, ჩემი ამაგი ბატონ-ყმობის შესახებ და მასთან არამც თუ ეს მაკმარა და ან ფ. მახარაძის შრომა გიგების გოდვით მიიღო, არამედ მან თვით „სურამის ციხის“ ისტორიული ქეშმარიტებაც უარპყო, იგი აღიარა როგორც მტკნარი, უშინაარსო, უხელოვნო, უმხატვრობა მოთხრობა და მასთან უსაყვედურა ფ. მახარაძეს, რომ ამისთანა სუსტ მოთხრობაზედ დაყრდნობა და შეჩერება დამწერს არ ეპატიებაო, რადგანაც ჩვენ „სურამის ციხეზე“ უკეთესად დამწერილები ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, „კაკო“ და სხვანი გვაქვსო.

ესეთი საქციელი მე ილ. ჭავჭავაძის წინაშე წასასმელ მაღამოდ მივიღე და ვიფიქრე, აღბად ლადიკო რამე საქმეს ენუკეება ილიას ბანკში, ან სხვაგან სადმე და მიტომ უძღვნა ესეთი წასასმელი წამლები, თორემ სად „სურამის ციხე“ და სად ილ. ჭავჭავაძის ნაწერები. ეს გვაფიქრებია ჩვენ იმ გარემოებამ, რომ ავტორი სწერს ფელეტონში, რომ ეს ასე არის და „სურამის ციხეზედ“ ჩვენ ბევრი უკეთესი სხვა ნაწერები გვაქვსო, რომელიც ილ. ჭავჭავაძეს ეკუთვნი-სო, მაგრამ დამწერი ამ ნაწერებს რად მიაქცევს ყურადღებას, ვინაიდან ილ. ჭავჭავაძის სახელი და შრომა მისთვის არის ისეთი საქმი, როგორც გივისთვის, ანუ ცირკის ხარისათვის წითელი ფერიო.

საიღამ სადა წითელი საბა, სად ბატონყმობის მონობა, სად ქართველ თავად-აზნაურთ უდიგრობა, სად მათგან ყმა გლეხების დევნა, სად „სურამის ციხე“ და სად ილია ჭავჭავაძის შრომა, სად ფ. მახარაძის სიყალბე, მისი გაგიგება და სხვანი. აქ ისე ისტორიულს მოხაზრებას და ლოლიკას არ უკავია ალაგი, როგორც შურს, კორს, ცილისწამებას, ბოროტებას და სხვა ათას ამ გვარებს, რასაც მაშინ ჩვეულნი იყვნენ ჩვენი კეთილშობილ კალმოსანთაგან ზოგიერთნი ისტორიის სიყალბე არ შეიძლება, ყოველივე სწორედ უნდა იქმნეს



გარკვეული, ყოველივე წარსულის ავი თუ კარგი თავის კანონიერ გზას თხოულობს და არა რამე პოლიტიკურის თუ სხვა რამ პირობებთა გამო სიყალბეს, სიცრუეს, სივერავეს და სხვანი, რაშიც ჩვენი მამა-პაპანი ერთობ უხვად ვახლდენ ვახვეულნი და რის გახსენების გულისთვის ზემოხსენებული ავტორი ფ. მახარაძეს გიეს უწოდებს და მე ხომ სულ მაქრობს მიწიდან ჩემი შრომით.

ეხლა ბატ. ლადიკო ლორთქიფანიძემ მიირთოს ეს ჩემი წიგნები, ეს წიგნები არის მხოლოდ მეათასე ნაწილი იმ ტანჯვა-ვაებისა, რაც ქართველ თავად-აზნაურთაგან ქართველ ყმებს აქვდათ თავზედ დამტყდარი და გადაავლოს თვალი არა მარტო ჩემს სიყალბეს და ქართველთ მებატონეთა ვეჭილობას და წარსულის უვარგისობის ქებასაც, არამეთ დააკვირდეს იმ გარემოებასაც, თუ საქართველოს ადგილები და სოფლები რამ დასცალა ასე, იქ რამ გააქრო ქართველი გლეხ-კაცობა, რამ მოსპო მათი რიცხვი იქ სადღეისოდ, რამ გააქრო მათი ხსენება ისე, რომ დღეს ნახევარ საქართველოს გლეხობა აღარ არსებობს, მათი რიცხვი მოსპობილ გამჭრაღლია და მათ საბინადროზედ თვინიერ ნაოხარ სოფლების და დანგრეულ საყდრების მეტი აღარაფერი სჩანს.

ბ. ვლადიმერი თუ ამას დააკვირდება, თუ საგვაროვნო მფარველობას და ვეჭილობას იქით გადასდებს, თუ ჩვენი წარსულის ავის ავად მომხსენებელი იქნება და კარგის კარგად, იმედია რომ მაშინ ყოველივე ნათლად გამოსჩნდება და მით არც „დანიელ ქონქაძის დროს“ დამწერი ფ. მახარაძე იქნება გაფიქრებულ ხარის მსგავსი და არც შე ვიქნები მტყუანი ჩემის შრომით. უამისოდ კი ვლადიმერის ურჩობა ჩაითვლება ისტორიის არ ცოდნად, ისტორიული გარემოების დამახინჯებად და მხოლოდ პირადის მტრობის და რაღაც ამგვარების გაერყელების მომასწავებელ სრულს საბუთად. მე ასე ვფიქრობ და აქ მის წინაშე მეტს ლაპარაკს არ ვაპირებ. ჩემი შრომის სიყალბის და მის ისტორიული ქვეშარიტების შესახებ დაცე ისევ ჩემ წიგნებმა ილაპარაკონ და მისმა ისტორიულმა ცნობებმა, რაც დიდის შრომით არის შეკრებილ-აკინძული.

მე არავის ვაკიბვა არ მინდა, გინდ რომ მინდოდეს, მით მეტე რა გამოვა, — არაფერი, მე ვის რას დაეაკლებ, ისევ ქვეშარიტება და სისწორე არის საჭირო. ჩვენი წარსულის შესახებ ყოველივე სისწორით უნდა ითქვას, ქვეშარიტებით, გულახდილათ. მე ტყუილების თქმისთვის ძალას არავეინ მატანს. ეს რა საჭიროა. შეიძლება

ჩვენს წარსულში, ჩვენი ძველები შესანიშნავი მამულისშვილები იყვნენ, კაი გმირები, თავდადებულნი, მწიგნობარნი, კულტურის მექონი ხალხი და ათასიც სხვა ამგვარი, რასაც თვით იქნება ისტორიაც გვიძეციკებს, ყოველივე ეს შეიძლება ასე იყოს, ხოლო ბატონ ყმობის და გლეხთა მონების წინაშეც რომ ისეთი გმირები უნდა ყოფილიყვნენ, რასაც მე ვამბობდი ხოლმე და ჩემს ნაამბობს „სურამის ციხის“ და მისთანა ნაწერების ცნობებზედ ვაფუძნებდი, ეს კი უტყუარი ჭეშმარიტება არის, ნამდვილი საბუთი, ამას უარს ვერავინ ჰყოფს და რომ სიტყვა ითქვას, მაშინ თვით ამავე საგანს ცხადლიც დაასაბუთებენ თვით ილ. ჭავჭავაძის ის ნაწერები, რომელთაც ზემოხსენებული მწერალი ასახელებს და რომელ დასახელებითაც სურს რომ ქართველთ ბატონ-ყმურს მონებას საზოგადო დამახასიათებელი მიმართვა კი არ მისცეს, არამედ კერძოობითი, რომ ვითომც ბატონ-ყმური ბოროტება ხდებოდა მხოლოდ თითო-ორიოლა პირთაგან და ვითომც მასზედ ლაპარაკი დღეს არც კი ღირს რამედ. ამაზედ ვიტყვით გასახსენებლად შემდეგს:

ყველამ ვიცით, რომ რომის იმპერია იყო ძველად აყვავებულნი სახელმწიფო. ვიცით ისიც, თუ ამ ძველმა სამეფომ თავის კულტურულის ძალით კაცობრიობას ვინ იცის რაგვარი წარმატება არ მისცა და არ დააწინაურა იგი. ამის მხრით დავასახელებთ მარტოდ თუნდ მკურნალობას და ამის აღორძინებას იქ, სხვას არაფერს ვახსენებთ, მაგრამ ვიტყვით კვლად ჩვენი თანამემამულეთა გულის დასამშვიდებლად, რომ ასეთსავე ძლიერს სახელმწიფოში, ასეთ დაწინაურებულს ერში, ასეთ სახელოვანს ხალხში, სადაც ვინ იცის რა არ იყო ძველად აღორძინებული და დამკვიდრებული, იქვე არსებობდა მონობა, მონათა, ანუ გლეხთა მეექვსე წოდება, ანუ სოციოლოგის ლეტურნოს სიტყვით „ლატიფუნდია“.

ვიცით კარგად, თუ ამ აყვავებულს რესპუბლიკანურს სახელმწიფოში მონებს ვინ იცის როგორ არ ექცეოდნენ და როგორ არ სტანჯავდნენ, და თუ აქ ასე იყო „მონათა“ საქმე, აბა ჩვენში, ერთი მითხარით, რაღად უნდა იყოს საეჭვო მონობის არსებობის ისტორიის ცნობები და ან „სურამის ციხე“ ოღალზედ უნდა იყოს გასამტყუნნი და ან ჩემი შრომა, რომ ვითომც მე აღკურვილი ვარ ჩვენის წარსულის კიცხვა-გმობით და ვითომც მე მეხალისება და მენატრება ჩვენი წარსულის გმობა და კიცხვა. დიახ, მართალია ეს, მე ვკიცხავ ჩვენს წარსულს, იგი მიმაჩნია ჩვენს დამღუპველად, ხოლო ისე კი არა რო-



გორც ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ვითომც შე ერთის კალმის გამო  
 მით უარს ვყოფდღე მთელს ჩვენს წარსულს. არა ეს ასე არ არის. შე  
 უარს ვყოფ მხოლოდ იმას, რაც მართლაც უარსაყოფელია; თორემ ის  
 რაც საქებია და სამახსოვრო, აბა იმასთან ჩვენ რა ხელი გვექნება  
 და ან რა საკადრისი იქნება, რომ ჩვენ ყოველივე ერთმანერთში ავ-  
 რიოთ, კარგი ავისაგან ვერ ვავარჩიოთ და ყოველივე ერთად არეუ-  
 ლი უარყოთ. არა, ეს არ შეიძლება, ვინაიდან ჩვენს წარსულში  
 თუ არის ავი, დასავამობი საქმენი, მასთან მოიპოვება მრავალ ღირ-  
 სეული ისეთი ისტორიული შემთხვევანი და ცნობანი, რაც ღირსია  
 ჩვენგან პატივისცემის და მარად ხსოვნის. აქ საქმე გარჩევა არის  
 ავისა და კარგისა, თორემ ყოველს დროს თუ ავნი ყოფილან, მაშინ  
 კარგნიც მრავლად ყოფილან.



## დანიელ ზონჰაჰის გარდაცვალებიდან 50 წელი\*)

დანიელ გიორგის ძე ჰონჰაჰე ჩვენში ცნობილი პირია. მისი ცხოვრების ცნობები ჩვენთვის თუმცა ცნობილია, ჩვენ მაინც მოკლედ ანუ სწრაფად ამ პირის ცხოვრებას, ვინაიდან 1910 წ. გათავდა 50 წელიწადი იმ დღიდან, რაც იგი გარდაიცვალა.

დანიელ გიორგის ძე ჰონჰაჰე დაიბადა 1830 წ. იგი დღეშეთის მაზრის ერთი სოფელის გვარის ჰონჰაჰანთ შთამომავალია. დანიელ ჰონჰაჰემ სწავლა მიიღო თვით სემინარიაში. სწავლის დროს, იგი დიდ ნიჭიერებას იჩენდა, რაიცა იმ დროს სემინარიის გამგეობამაც შენიშნა და ამიტომ დანიელ ჰონჰაჰე სწავლის დამთავრების შემდეგ იქვე სემინარიაში დანიშნეს მასწავლებლად.

სემინარიაში სწავლის დროს, იგი თურმე მხურვალედ კითხულობდა იმ დროის საუკეთესო რუსულ წიგნებს. ქართული წიგნები მაშინ არ იყო გარდა ორიოდ ძველი წიგნისა და 1852—53 წ. ეურ. „ციხკარისა“ და თუ ვისმეს კითხვის სურვილი ჰქონდა, იმას უსათუოდ რუსული ჟურნალები და წიგნები უნდა ეკითხა. მის ახლო მეგობრთა სიტყვით, დანიელ ჰონჰაჰეს დიდათ ჰყვარებია გრიბოედოვის „ვაიკუსი“ კითხვა; კითხულობდა აგრეთვე ბელინსკის ნაწერებსაც, რაც მაშინ სემინარიის სამკითხველოშიაც მოიპოვებოდა.

ასე და ამ გვარათ, ჩვენ ვიცით, რომ დანიელ ჰონჰაჰეს მეტად უყვარდა რიგიანი წიგნების კითხვა და უეჭველია იგი თავის დროს არა მარტო ბელინსკის და გრიბოედოვის წაიკითხავდა, არამედ ყველა იმ რუსის მწერალთა ნაწერებს, რომელნიც იმ დროის მოზარდ თაობას ცხოვლად აფხიზლებდენ. ასეთნი იყვნენ მაშინ ტურგენიევი, დოსტოევსკი, მორდოვეცივი, შჩედრინი და სხვანი, რომელთა ნაწერებითაც გამოდიოდა „ოტჩეტენიე ზაპისკი“, „სოვრემენიკი“ და სხვა. ექვი არაა, დანიელ ჰონჰაჰე ყველა ამ ჟურნალებსაც კითხულობდა. ამას აჩენს თვით მისი შრომა „სურამის ციხის“ დაწერაც.

სწავლის დამთავრების შემდეგ დანიელ ჰონჰაჰემ ცოლი მალე შეირთო, მაგრამ სამწუხაროდ, 1855 წლის თავზე ცოლი გარდაეც-

\*) ეს წერილი ვადამოტყდილია ვახ. „ახალი აზრი“-დან № 4. 1910 წ. რედ.





ვალა. დარჩა ერთი ვაგი, რომელიც დღესაც ცოცხალია. მხოლოდ მოგვამ, როგორც მისმა მეგობრებმა მიიხრეს, თურმე დიდი ზეგავლენა იქონია მასზე. მღელვარებაში მყოფი თურმე ისევე წიგნების კითხვით კლავდა დროს, ისევე წიგნების კითხვით იკლავდა თვის სამგლოვიარო მწუხარებას.

აი ამ დროს, საქართველოში გახურებული იყო ბატონ-ყმური მონობა. თვით უბრალო აზნაურის შვილებიც კი ხარებზე იყაროდნენ თვის ყმებს და დიდ თავადიშვილ მებატონეზე ლაპარაკიც მეტია.

აი ასეთ დროს, როცა დანიელ ჭონქაძე ცოლის გლოვაში იყო და თან ასეთი წიგნების კითხვაში, მისი ყურადღება მიიპყრო იმ დროის ბატონ-ყმურ წესების არსებობის სიძუბუნე და ყმათა ცხოვრებიდან დასწერა მოთხრობა „სურამის ციხე“. ამ მოთხრობის დაწერის წელი ჩვენ არ ვიცით, ვიცით მხოლოდ ის, რომ ამ მოთხრობის ერთი ნახევარი დაიბეჭდა 1859 წ. დეკემბრის „ცისკარის“ წიგნში და მეორე ნახევარი დაიბეჭდა 1860 წ. იანვრის „ცისკარში“. მოთხრობას ბოლოზე მიწერილი აქვს 1859 წ. აქედან უნდა ვიგულისხმოთ, რომ „სურამის ციხე“ დანიელ ჭონქაძეს უნდა დაეწეროს 1859 წ. ეს ასე უნდა იყოს.

საქიროა აგრეთვე ვიცოდეთ, რომ ქართველ მწერლობაში ეს მოთხრობა უნდა ჩაითვალოს პირველ იმ მოთხრობათ, სადაც ბატონ-ყმობის შესახებ კითხვები ასე თუ ისე განმარტულ-აღძრული იქნა. არ შეიძლება აქ არ ვსთქვათ შემდეგი: იმავე წლის „ცისკარის“ ერთ წიგნში დასტამბულია იმ დროს კარგად ცნობილის მწერლის თ. ალ. ორბელიანის წერილი სახელდობრ:— „ბატონ-ყმობა საქართველოში“. ამ წერილში ავტორს ის აზრები გაჰყავს, რომ საქართველოში ბატონ-ყმობა—პატრონობა ანუ მამაშვილობა იყოფო. მაშინ ბატონი პატრონი იყო ყმისა და არა ახლანდელად ბატონი და მტანჯველიო. უეჭველია ეს წერილი დანიელ ჭონქაძეს წაკითხული ექნებოდა და ვინ იცის იქნებ ამ აზრის წინააღმდეგ პროტესტმაც დაბადა მასში „სურამის ციხის“ დაწერის სურვილიც.

ჩვენ ეს აქ სხვათა შორის იმიტომ მოვიყვანეთ, რომ 1878 წ. მე დავბეჭდე მთლად თ. ალ. ორბელიანის ნაწერები ცალკე ტომათ და როცა „ბატონყმობა საქართველოში“ დაბეჭდვაზე მიდგა ჯერი იმ დროის „ცისკარის“ რედაქტორათ ნამყოფმა ივ. კერესელიძემ მიიხრა, რომ თ. ალ. ორბელიანი ამაში მართალიაო. მეც ისე ვფიქრობო, მა-

გრამ მაინც 1859 წ. როცა მე მისი წერილი დაებეჭდე „ცისკარის“ მაშინათვე გაჩნდნენ ისეთი მოლაპარაკენი, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ იმის აზრების და სულ სხვას ლაპარაკობდნენ; ერთი ამათგანი იყო დანიელ ჭონჭაძეც, რომელმაც „სურამის ციხე“ დასწერაო. ვინც ალ. ორბელიანის წერილის მოთაზრებანი იყვნენ, ისინი „სურამის ციხეს“ ეწინააღმდეგებოდნენო; ერთი შეორეს შესახებ მაშინ ზოგიერთებმა წერილებიც დასწერეს, მაგრამ მე ვერა ვბეჭდავდი „ცისკარ-შიო“, წყენას ვერიდებოდიო.

„სურამის ციხეს“ თურმე ძლიერ კითხულობდნენ ხალხში; როცა მოთხრობა დაიბეჭდა, მოკლე ხანში ისე გაიყიდა რომ პოვნაც აღარ შეიძლებოდა. ეს გარემოება, ანუ ხალხისაგან ისე მალე შეყვარება და კითხვა თვით დანიელ ჭონჭაძესაც გაეგო და ამ გარემოებით ნა-სიაზოვნები იყო და სხვა ასეთი მოთხრობების წერასაც აპირებდაო.

ჩვენდა სამწუხაროდ დანიელ ჭონჭაძეს ბედმა უღალატა. „სურამის ციხის“ დაბეჭდვის შემდეგ, მან სულ 6 თვე იცოცხლა და 1860 წ. 16 ივნისს, უცაბედითი ავადმყოფობის შემდეგ მალე გარდაიცვალა. დანიელის გარდაცვალებამ დაალონა ბევრი, თვით ისეთი პირებიც კი, რომელნიც „სურამის-ციხის“ წინააღმდეგნი იყვნენ.

ივ. კერესელიძემ სთქვა: ჩემთვის დანიელის სიკვდილი, მეხის დაცემა იყო. მე იმედი მქონდა, რომ მისის მოთხრობებით „ცისკარს“ ხალხში გავავრცელებდი. „სურამის ციხის“ წყალობით „ცისკარის“ ნომრებს ისეთ სოფლებში კითხულობდნენ და ეძებდნენ, სადაც მინამ-დის დაბეჭდილი წიგნი არც კი წაეკითხათ.

ივ. კერესელიძე სემინარიაში წავიდა, დანიელ ჭონჭაძის კუბოს დაემხო და თურმე ტირილი ისე ხმა მალლა დაიწყო, რომ ზოგს იქ მყოფ დანიელ ჭონჭაძის ნათესავი ჰგონებიათ. გამწარებულს ლექსიც მიუძღვნია, რომელიც დაბეჭდილია 1860 წ. „ცისკარის“ ივლისის წიგნში. ამ ლექსს ივ. კერესელიძე შენიშვნას უკეთებს და სწუხს მას-ზე, „რომ ქართველმა სიზოგადოებამ უდროვოდ დაკარგა ახეთი ნიჭიერი მწერალი, იგი დავახადოვებთ ვერაზე და მეც ეს ხამგლო-ვიარო ლექსი ვხტკვიო“.

ასე და ამგვარად, 1910 წ. შესრულდა 50 წელიწადი მას შემდეგ, რაც დანიელ ჭონჭაძე გარდაიცვალა. იგი დასაფლავებულია ვერის სასაფლაოზე თავის მეუღლის გვერდით, საფლავს აქვს რკინის ფიცარი, წარწერით: „ამ მარხია თფილისის სემინარიის მასწავლებელი



დანიელ გიორგის ძე ჭონჭაძე, რომელიც დაიბადა 1830 წ. დაიკვალა 16 ივნისს 1860 წ.

დანიელ ჭონჭაძის გარდაცვალების შემდეგ „სურამის ციხის“ შესახებ 1868 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა ანტონ ფურცელაძის წერილი სადაც მან ხმა მალა აღიარა დანიელ ჭონჭაძის და მის „სურამის ციხის“ დიდი მნიშვნელობა. ეს მოთხრობა 1860 წ. ისე ვრცელდებოდა ხალხში, რომ პეტერბურგის სტუდენტებმა, როცა ილ. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“ გამოსცეს 1869 წ. მაშინ მათ საჯაროდ გამოაცხადეს, რომ „კაცია ადამიანის“ შემდეგ ცალკე წიგნათ გამოიცემა „სურამის ციხე“ ავტორის სურათითაო. ეს განცხადება დაბეჭდილია თვით 1869 წ. გამოცემულ „კაცია ადამიანის“ წიგნის ზედა ფურცელზე, მაგრამ განცხადება არ გამართლდა და პეტერბურგში მოთხრობა ცალკე წიგნათ აღარ გამოსულა.

„სურამის ციხეს“ ცალკე გამოცემა 1875 წ. თფილისში ელირსა, რომლის გამომცემელთა შორის იყო, სხვათა შორის, ქართველი მწერალი იოსებ ბაქრაძე. მის შემდეგ „სურამის ციხე“ რამდენჯერმე გამოიცა ცალკე წიგნათ. 1875 წ. ეს მოთხრობა ვაზ. „დროება“-ში გაარჩია თ. გიორგი თუმანიშვილმა და მის შემდეგ არა დაწერილარა. მხოლოდ 1904 წ. ფ. შახარაძემ ცალკე წიგნათ გამოსცა— „დანიელ ჭონჭაძე და მისი დრო“, სადაც ავტორი საფუძვლიანათ არჩევს როგორც დანიელ ჭონჭაძეს და მის დროს, ისე „სურამის ციხე“-საც.

ეს სეროზული გამოკვლევა ერთად-ერთი წიგნია დანიელ ჭონჭაძის და მის დროის ბატონ-ყმობაზე აგებულ წეს-წყობილებაზე.

დასასრულ უნდა ვსთქვა შემდეგი: ამ დღეებში რუსულმა გაზეთებმა ცნობები მოგვიტანეს, რომ შახოვსკის მოსკოვის უნივერსიტეტისათვის შეუწირავს 32 ათასი მანეთი, იმ პირობით, რომ ამითი უნდა დაარსდეს შვიდი სტიპენდია, იმ საპატიო მწერალთა სახელობაზე, რომლებიც ბატონ ყმობის გაუქმებამდე თავიანთის კალმით ამ წესების წინააღმდეგ იბრძოდნენო. ესენი არიან: ბელინსკი, გერცენი, დამარსებელი ლონდონში პირველი რუსულის გაზეთ „კოლოკოლი“-ს, „პოდ-სუდი“-ს და ეურ. „პალიარნი ზეგზის“, ნ. ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ბაკუნინი და ლავროვი.

ცხადი საქმეა, რომ ეს გინზრაბეა შესრულდება და მოსკოვის უნივერსიტეტში სტიპენდიები დაარსებულ იქნება. ჩვენ აქ არც სტი-



პენდიებს ვითხოვთ, არც სხვა რამეს, მოვიგონოთ მხოლოდ დანიელ  
 ელ კონკაძის დრო და გავიხსენოთ იმ დროის ბატონ-ყმობის სახეობა  
 ჰირე და რამე მოგონებით აღვნიშნოთ, თუნდ ნი წელი დანიელ კონ-  
 კაძის გარდაცვალების დღიდან, თუნდაც ანუხლათ მხოლოდ მისის  
 სახელის მოგონებით და პანაშვიდის გადახდით.

ზ. კ.



I.

# ბატონუშობა კართლუი.

მასალეზი.

## არსენაძე ოქალაქი

(გაგრძელება)

ადრინდელი „ცისკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ გად-  
მომცა შემდეგი ამბები არსენაძეს შესახებ:

„არსენაძეს ორი და სამი კაცი ვერას უზავდა, მას ექვსი ხალდა-  
თიც კი ვერ იპერდაო. შეუფერებელია ისიც, რომ არსენაძეს წიგნზე  
დახატულია ისეთი ხურათი, რომ იგი ვითომც რუხის ორმა თუ სამმა  
ხალდათმა დაიჭირა და ამ ხალდათებს მიჰყვანდათ იგი ხელეზ გაკ-  
რულიო. ეს შეუფერებელია არსენაძეს ღირსებისა და ვაჟკაცობისა-  
თვის“.

არსენაძეს ცხოვრების შესახებ ჩვენ წერილობით დანამდვილებით  
არა ვიცით-რა, თუმცა იგი ერთის მხრით, ხალხის საყვარელი გმირია.  
რაც არის მასზედ დაწერილი, იგი ყველა ყალბი გახლავსთ, მაგალითებრ  
„არსენაძეს ლექსი“, შეუთხზავს ისეთ რაქველ მესტვირეს, რომელსაც  
ქართული წერა-კითხვაც კი არა სცოდნია და არსენაძე თვალთ არ  
უნახავს. „არსენაძეს ლექსი“ მას სხვების თქმით თუ შეუთხზავს, ხალ-  
ხში გავრცელებული არსენაძეს ლექსი პირველად ჩასწერა პეტრე უმი-  
კაშვილმა და აღადგინა უფრო უკეთესი და სრული ტექსტი. აღ.  
ყაზბეგმაც აქედამ ისარგებლა და დასწერა პიესა „არსენა“. ამ გვა-  
რათ უნდა ვიცოდეთ, რომ ერთივე მოკლებულია არსენაძეს სრულ და  
სწორ ცხოვრების ცნობებს და მეორეც. ამიტომ საჭიროთ ესთელი  
კვლავ განვაგრძო იმის ჩაწერა, რაც ხალხისგან გამოვიღეთ არსენაძეს  
შესახებ.

### IV

ზაალ ბარათაშვილის დროს, საქართველო სავსე იყო აბეზარი  
მებატონეთა რიცხვით, ამათმა აბეზრობამ და მახვილმა დარაზმა  
ქართლ-კახეთის გლეხ-კაცობა, ამათმა ბოროტებამ გამოიწვია დიდი  
წინააღმდეგობა და შეუპოვრობა. არსენაძეს დროს და მასზედ წინა-  
თაც, მებატონეთა მოწინააღმდეგე ყმანი სხვანიც ბევრნი ყოფილან  
და ზოგნი მათგანი გამოჩენილი გმირ-ვაჟკაცნიც.



ასეთი გამოწვეული ყმანი ბატონის მრისხანებას ბშირათ ვერ ურიგდებოდენ და აბიტომ იგინი თუ მოახერხებდენ ბატონს ჰკლავდენ, თუ არა და ყაჩაღათ ვადიოდენ ტყეში, რადგანაც სამართალს ვერ-სად პოულობდენ.

რუსის მთავრობის წყალობით, ყმა გლეხი მემატონის წინაშე მონა იყო უტყვი, უნჯი არსება. გლეხი, ანუ ყმა მიტომ იყო ყმით, რომ რუსის მთავრობის კანონით მას ხმა ჩაწყვეტილი უნდა ჰქონიყო და ყმა, მუნჯი პირუტყვი, უნდა ყოფილიყოს მემატონის. ესეთი შეზღუდლება, ანუ მოწყალება რუსეთის მთავრობის გავრცელებული იყო ოთხსავე კუთხივ და გლეხებიც დამონებულნი იყვნენ მათ წინაშე მონურათ.

ასეთ დამონებულ და დაჯაბნილ გლეხ-ყმათა ცხოვრება და მათი ყაჩაღობა იყო ოსტატური. იგინი, ანუ ყაჩაღათ გავარდნილები თავს იფარავდენ სხვა და სხვა უდაბურს ტყეებში, მასთან იქილამ მისვლა-მოსვლა აქვნიდათ აქეთ-იქით ძველს ნასაყდრალებში და იქ ხანდისხან მლოცავთ, ან მისულ გამვლელთ მგზავრებს ნახვა და თვისი აზრების გაზიარება, ლაპარაკი, ჩივილი მათს გაჭირვებულს ცხოვრებასა და ამ გარემოების პირობებზედ.

ასეთის გაქცეულის ყაჩაღებით 1820—30—40 წლებში საფეე იყო მთელი ქართლ-კახეთის ტყეები, ასეთ ყაჩაღებს პირდაპირი დამოკიდებულება აქვნიდათ პირდაპირ მგზავრ გლეხებთან, მაგრამ არა როგორც მგზავრთა გაცარცვა და წართმევით, არამედ სხვა გვარის საქმეებით, მაგალითებრ პურის გამოზომევით, არყის, ღვინის თხოვნით და სხვაც ასეთების, რაც მგზავრთ ყოველთვის ექმნებოდათ თან თავის საგზალთ და ეს ყაჩაღებიც მათ ამაებს ყველას კი არ სთხოვდენ, რაც მგზავრთ ექმნებოდათ, არამედ ერთს ნაწილს, ნახევარს ან მესამედს, მეოთხედს.

ეს ყაჩაღები მგზავრებს, ამის გარეშე სხვას არას სთხოვდენ, მაშინდელის ყაჩაღებისთვის ფულებს, ოქროს, ვერცხლს და სხვასაც ასეთებს არაფერი მნიშვნელობა არ აქვნიდა. ყაჩაღი მაშინ იყო მგზავრების წინაშე ყაჩაღი მხოლოდ სანოვაგის, პურის და ღვინის, ამის გარეშე სხვა ყოველივეს უბრალო მნიშვნელობა აქვნიდა, ამის გარეშე მგზავრებს იგინი არას ერჩოდენ. ასეთი იყო არსენა ოძელა-შვილიც.

მაშინდელი ყაჩაღები ისეთი ღვინის მოყვარენი იყვნენ და გულკეთილები, რომ იგინი ბშირათ სხვა და სხვა მონასტრის ბე-

რებსაც ხშირათ ეწვეოდენ მონასტერში და უდაბნოებში, აქ მათნი ბერებისაგან წირვა ლოცვას ისმენდენ, მარბულობდენ და ზიარებასაც იღებდენ. ბერებს და ეკლესიას არას ერაოდენ, პირიქით, შესაწირავსაც სწირავდენ მათ. ასეთი ყოფილა არსენა ოძელაშვილი, იგი ხშირათ იყო ხოლმე ლეთაებაში დღეობაზე, დავით გარეჯის, მამა დავითობას და სხვაგანაც, ნამეტურ თელეთობას და წინანაურობას.

ყაჩაღები არსენას მეოხებით ისეთ მიმართვას დაადგინენ, რომ იგინი გზაში, ან ტყეში უცდიდენ ბატონს, ან მის მსგავს სხვა ვისმე ბოროტ მებატონეს, ვაჰარს, ან სხვა ასეთ ავ სულს ვისმეს. არსენას დროს მთელი ქართლი სავსე იყო ყაჩაღებითაო, ამ ყაჩაღებში თურმე ერივნენ ოსები, სომხები, თათრებიც, მაგრამ ყველა იგინი ემორჩილებოდენ ქართველ ყაჩაღებს და საყოველთაოთ ქართულათაც ლაპარაკობდენ. ყველა მათ დიდი მორიდება აქენდათ არსენასი, ყაჩაღობის გეგმას მათ არსენა აძლევდა ხოლმეო.

მაგრამ არსენა ისეთ გეგმას აძლევდა ყაჩაღობისას, რაც მხოლოდ ავ კაცთა შეხვედრა იყო, მისი ავი კაცობის ჯაგრის ამოყრა, სამაგიეროს გადახდა, სხვა მის მეტი არასფერი. დისასჯელათ და გასაძარცვავათ მათ ამორჩეული ჰყვანდათ სხვა და სხვა ავი მებატონენი, ნამეტურ ისეთი კაცებიც, რომელნიც ფულის გასესხებით სცხოვრობდენ და მოვალეებს, ნამეტურ გლეხებს მეტათ დიდს სარგებელსაც ახდევინებდენო.

მაგალითებრ ვაჭრებში იყვნენ ისეთი ფულის პატრონები, რომელნიც ათი თომანის გასესხების გულისთვის გლებ-კაცს მერე მამულს ართმევდენ და სტაცავდენო. ზოგჯერ ფულის პატრონი გლებ-კაცის ოჯახს სულ ცარიელს სტოვებდა, ისე არბევდა მათაო. ასეთებს რასაკვირველია არსენა კაი დღეს არ დააყრიდა, თუ კი ამ ამბავს ის გაიგებდაო. ასეთის საქმეების ზედამხედველობით არსენას ბევრი სიკეთე აქვს ქართლ კახეთის გლეხების ოჯახებზედ დახარჯული და მისი სიკეთე იყო კიდევ ის, რომ დიდს სარგებლის ამღებს მდიდრებსაც არ აყრიდა კარგს დღესაც. მათ აკრძალული აქენდათ არსენასაგან დიდი სარგებლის აღებაო.

არის ასეთი გადმოცემაც: არსენას ფულის პატრონი მდიდრისთვის ბრძანება მიუცია, რომ უენ რაც მამულები გაქვს წართმეულეზი, ან დიდი სარგებელი ფულათ გაქვს აღებული, უსათუოდ ღარიბებს ყოველისფერი დაუბრუნე, თორემ მეორეჯელ მე შეგხვდები



საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს  
საქართველოს

სადმე და იცოდე დღეს გაგიმწიარებ, მაშინ იქ შენ უნდა შეინარა  
გვარები იმ გლეხების და ღარიბების, რომელთაც შენ წართმეული  
მამულეები დაუბრუნე და ფულათაც გადაუხადე მათ, ვისაც დიდი სარ-  
გებელი წაართვი. არსენას წესით ფულის პატრონს თუმანში თვეში  
უნდა აეღო ერთი აბაზი და ფულის პატრონები კი თუმანში ზოგს  
თუმანს ახდევინებდენ, ზოგს ორ თუმანს და ზოგს მეტსაც. ასეთ ბო-  
როტს მძარცვავეებს იმ დროის მთავრობაც ხმის არა სცემდა, არას-  
ფერს ეუბნებოდა.

ერთის თქმით ისიც შეიძლება ითქვას, რომ რუსის მთავრობა  
თითქოს თავით აქეზებდა ამ ძარცვა-გლეჯისათვის ფულის პატრო-  
ნებს და მათ ნებას აძლევდა, რომ საწყალ გლეხებისათვის პირში  
სული ეტუნათ და ტყავი ეძროთ.

არის ასეთი გადმოცემა: არსენას დროს არსენობას ბევ-  
რი ხჩემობდა, მის თვისებასა და ისე არსენას მსგავსათ იწყებდა მო-  
ქმედებას და ყაჩაღობასაო. ასეთ ყმის შვილმა ბევრმა გადაარჩინა  
თვისი ღვიძლი და, ან ნათესავი ქალი და ზოგი მეზობლის შვილიც  
ბატონისაგან გაუპატიურებასო. ყოფილა ასეთი შემთხვევებიც, რომ  
არსენას ჩაგონებით ბევრმა გლეხის შვილმა მოკლა თვისი ბორო-  
ტი მებატონე, მის სახლიდამ დაც მოსტაცა და მერე იგი თავის დით  
სხვათა ქვეყანაში გაიქცა თავის გადასარჩენათაო.

ყმანი და გლეხნი ჰკლავდენ ავ კაცებს, ავს თავად-აზნაურებს  
და არა კარგებს, მაშინ ერთი მაგალითიც არ მომხდარა, რომ ყაჩაღ  
გლეხებს ვინმე კარგი მებატონე მოეკლათ, ან გაეცარცვათ, ეს შეუ-  
ძლებელი იყო და გონს მოუსვლელი.

კარგს თავად-აზნაურს და ვაჰარს ბუზსაც ვერავენ აუფრენდა,  
არამც თუ გაეცარცვათ იგი იმ დროის ყაჩაღებს, ვინც ამ ბრძანებას  
დაარღვევდა და ვისმე კარგს ადამიანს გაძარცვადა, იმ ყაჩაღს არ-  
სენა კარგს დღეს არ დააყენებდა.

არსენას ლექსში ურიების გაცარცვა რომ არის მოყვანილი  
ისიც მართალია, მაგრამ ურიებს არავენ ისე არა სცარცვადა, რომ  
მისთვის სულ არაფერი დაეტოვებინათ. ნაყიდ ფართლიდამ ანუ ჩი-  
თეულობიდან ერთ ნაწილს გამოართმევდა როგორც არსენა, ისევე  
მისი ხელქვეითი ამხანაგები და სრულიათ გაცარცვა ურია ვაჰარის  
მათ არ იცოდენ. სულ რომ გაეცარცვათ ურიები, მაშინ ივინი სულ  
დაიღუპებოდენ და მიტომ არსენა მათ ასეთ უბედურებას არ აყე-  
ნებდა თავზედ.

იგი ართმევდა ერთ ნაწილს ფართლისას და მერე ამასტყვეობდა, არიგებდა სოფლის გაჭირებულ გლეხებში, უმეტესათ იმათ აძლევდა, რომელთაც ტანზე არაფერი ეცვათ და ტიტვლები იყვნენ, ასეთებს მოსავედა არსენა ურიების წინართმევი ფართლით. მთლათ ურიების გაცარცვა კი ტყუილი არის და იგი არას დროს არ მომხდარა არც არსენასა და არც მის ამხანაგებისაგან. ურიები რომ შეხვდებოდნენ არსენას გზაში თვით აძლევდნენ ურიება სალამს და მასთანვე ჩითეულობის ყოველივე ცნობასაც მისცემდნენ და არსენაც დაეთანხმებოდა და მათ ართმევდა იმას, რასაც ურიები თავის ნებით უწილადებდნენ ხოლმე.

არსენას ხელკვეით ყაჩაღთა ერთი ჯგუფი თავს იფარავდა 1840 წლამდის, ესენი ხშირათ გროვდებოდნენ „არმაზის წყაროსთან“, რომელ წყაროსაც „არსენას ლექსის“ ზეპირად შემთხზავი რაჭველი მესტვარე სხირტლაძე „ალმასის წყაროს“ უწოდებს, ალმასის წყარო ქართლში არსად არის. არის კიდევ ასეთი ცნობაც:

არსენას ამხანაგებს მანგლისის ტყეებშიაც ჰქონიათ კარგი ბინა. თურმე სადაც მათ სხვა და სხვა ავეჯიც აქვნდათ, ჯამ-პურპელი, ქვაბები და ყოველივე სახმარი საჭიროება სკმლის მოსახარშათ—პურპელი და ლოგინიც. ლოგინი თურმე ამათ ხეებზედ აქვნდათ შეწყობილი და დამალული. არსენამ თავის საცოლედ რომ გაიტყა და როცა იგი ახალციხეში წავიდა, დროებით მას გზათ ამ ყაჩაღებისაჲკენ გაუფლია და თავის საცოლედ დროებით, რამდენსამე დღეს იქაჲყოლია დამალული.

ყაჩაღთა გუნდს მაშინ დაუახლოვდა არსენა და გაეცნო თურმე მათ, თორემ მინამდის არსენას იმ ყაჩაღებთან არაფითარი ამხანაგობა არ ჰქონია. როცა არსენა ახალციხეში წავიდა, მაშინ თურმე ყაჩაღთა გუნდმა გააცილეს იგი, რომ მას არაფერ დახვედროდა გზაში და არ წაერთმიათ საცოლედ, ამას გარდა ან მთავრობის რომელიმე მოხელედ არ შეხვედროდა რუსის ყაზახ-სალდათებით და დაჭერა მოენდომათ, მაშინ თურმე ეს ყაჩაღები სროლით დახვედებოდნენ მათ. ამ დღიდან დაუმეგობრდა არსენა ოძელაშვილი ტყეში მყოფ ყაჩაღებს და გაეცნო მათ კარგათ. არის ასეთი ცნობაც:

არსენა როცა თავის ნათლიმამა კუჭატნელს დაუბეზლებია, მას შემდეგ არსენას მეგობარ ყაჩაღები ამ დამბეზლებელ ნათლიმამას თურმე გამხეცებული დაეძებდნენ, არსენას სამაგიეროდ მათ უნდა გადაეხადნათ. ვადმოცემა არის კიდევ შემდეგის ცნობების:

ეს ცნობილი გუნდი ყაჩაღებისა არსენას შემდეგაც არსებობდა და იგინიც რასაც ყაჩაღობას სჩადიოდნენ, იგიც სულ არსენას სახელს ბრალდებოდა. ამის მაგალითია ისიც, რომ ერთ დროს არსენამ გაცარცვა ღვთიებაში მიმავალი მაკაროვიო. მარტყოფის გზაზედ მომხდარა ეს, სადაც მაკაროვს (იგივე არჯევანიძე) მამულიც აქენდა თურმე. ეს ცნობა რაჰველი მესტვირე სხირტლადის ფანტაზია უნდა იყოს, ვინაიდან არსენას სიკვდილი ეკუთვნის 1842—43 წ. და მარტყოფის ღვთაების მონასტერი კი განაახლეს 1850 წლებში.

მაშასადამე ეს გაცარცვა მაკაროვისა მომხდარა არსენას ამხანაგებისაგან და არა თვით არსენასაგან. შეიძლება იქნება ხალხი ღვთაებაში მაშინაც დადიოდა სალოცაეთ, როცა იგი ჯერეთ განახლებული არ იყო, ესეც შეიძლება, ხოლო არსენასაგან მაკაროვის (არჯევანიძის) გაცარცვა დაუსაბუთებელია. არის კიდევ ასეთი გადმოცემა არსენას შეახებ:

არსენა ოძელაშვილი სულ არ ერიდებოდა მთაწრობის სხვა და სხვა მოხელეებს, ნამეტურ მექრთამებს და გლეხთა მჩაგვრელს მოხელეებს-იასაულებს, ბოქაულებს, დესიატნიკებს და დიამბეგებს, რომლებითაც მაშინ სავსე იყო მთელი ქართლი და კახეთის სოფლები. ამ პირებთ, ვისაც გაუგებდა, რომ მას დაეჩაგრა გლეხ-კაცი, უსამართლოდ დაემწყვდია გლეხი ციხეში, ქრთამი გამოერთეა, ანუ სხვაც ასეთები მოუყენებიათ მათ, მაშინ ამ პირს არსენა გაუგზავნიდა ისეთ წერილს, რომელსაც თვით დასწერდა ხოლმე და აცნობებდა ასე:

შენ ბოქაულო, იასაულო და დიამბეგო, ესა და ეს გლეხ-კაცი დაგიჩაგრავს და აგაკლია მისი ოჯახი, დღეიდან პატიმრობიდან იგი გაანთავისუფლეს, რაც წაართვი ქრთამი, იგიც დაუბრუნე და დღეიდან ჩამოეხსენ მაგის მტრობას, თორემ იცოდე, რომ საცა იქნება, ერთხელ შეგხედები მე და კაი დღეს არ დაგაყენებ, მე თუ არა, ჩემი ამხანაგები შეგხედებიან და იგინი შენ უსათუოთ აგუწყამენ. ასეთის მოხერხებითაც არსენას თურმე ბევრი უსამართლო პირები ჰყვანდა ალაგმული და შეშინებული. არის კიდევ ასეთი ცნობა დაშთენილი:

არსენა როგორც ამ მთაწრობის უსამართლო პირებს აშინებდა, ასევე აშინებდა იმ მდიდარ ფულის პატრონებსაც, რომელნიც გლეხებზედ ფულებს გაასესხებდნენ და ამაში დიდს სარგებელსაც იღებდნენ, ასეთნიც სრულ ჰყვანდა შეშინებულნი, აშინებდა კიდევ სოფელში მოვაჭრე ვაჭრებს, რომლებიც ჩითეულობით ვაჭრობდნენ და გლე-



ზებს არშინის ზომაში ატყუილებდენ, ასეთებსაც აშინებდა სასტიკი ყველა, რომ გლებებს ზომაში ნუ ატყუალებთ, თორემ საცა გავიგებუ [რეპროდუქცია] ფელში აგანიაგებთ მე თქვენაო. ხშირი ყოფილა ისიც, რომ არსენას ასეთის ვაჭრებისათვის თვით მიუტია სწორე არშინი და უთქვამს ისიც რომ აი ამ არშინით ივაჭრეთ და ზომეთ ყველაფერიო. თუ ამას არ შეასრულებ და ამ არშინს არ იხმარებთ, ამას მე შევიტყობ და იცოდეთ სასტიკათ დაგსჯითო.

არის ცნობა იმის შესახებაც, რომ ასეთ სამსახურს და ზედამხედველობას, არსენას მოკვლის შემდეგაც თურმე, კარგა ხანს სწევდენ მისი ამხანაგ ყაჩაღები და იგინიც ისე ასრულებდენ ყველაფერს, როგორც არსენა. იგინიც არსენასავე კარგს კაცებს არავის სცარცვამდენ, იგინი მტერნი იყვნენ ავის ვაჭრების, ავის მდიდრების, ავის თავადების და ნამეტურ მთავრობის მოხელეების, თორემ სხვებს იგინი არას ერჩოდენ, ესენი რაკი ასეთ სამართლიან გზას აღდგენ, ამიტომ მათ არას ებრძოდენ და არა ვნებდენ, ამ ყაჩაღებმა არსენას შემდეგ თურმე 1860 წლებამდის იარსებეს. უკანასკნელ ამ ყაჩაღთა ჯგუფის წევრი იყო ყაჩაღი გიგოა და ფიდუაო. ესენიც თურმე არსენას მსგავსათ მტრობდენ მხოლოდ უსამართლო მდიდრებს და მოხელეებს, სხვას არავის. მცხეთობაში მომავალთ მლოცავებში ესენი არჩევდენ ავ კაცებს და იმათ სცარცვამდენ, კარგებს კი ხმას არ სცემდენ, ბოლოს კი ასეთ მცნებას ყაჩაღებმა გვერდს აუარეს და მის შემდეგ მათი ჯგუფიც დაიშალა, სულ მოისპნენ. 1860 წლის შემდეგ, ამ ასპარეზზედ მართოთ გიგოა და ფიდუა-ლისჩანდენ, სხვა მათ მეტი სულ დაიფანტნენ, ზოგნი დაიხოცნენ და მით გაქრა მათი ხსენებაც.

არსენა ოძელაშვილი კარგათ იცნობდა საქართველოში და ნამეტურ ქართლსა და კახეთში მცხოვრებთ უსამართლო ვაჭრებს და მთავრობის მოხელეებსაც, ამიტომაც არსენა უმეტესათ სამაზრო ქალაქებს უახლოვდება ხოლმე და უმეტესათ იქ ლაგნავდა უსამართლო ვაჭრებს, მდიდრებს, რომელნიც საწყალ ხალხს სასტიკათ სჩაგრავდენ და მთავრობის მოხელეებს, რომელნიც სამაზრო ქალაქებსა და სოფლებში უფრო თარეშობდენ და სჩაგრავდენ სოფლის ხალხს. მართალია მჩაგვრელნი თფილისშიაც ბევრნი იყვნენ, ხოლო სამაზრო ქალაქებსა და სოფლებში უფრო თავისუფლათ თარეშობდენ იგინი და სჩაგრავდენ საწყალ ხალხს, ამიტომ არსენაც უმეტესათ იქითკენ იყო და მოქმედებდა თავის სამართლით. ახალციხე რუსებმა აიღეს 1828 წ., ამიტომ არსენას ახალციხეში დგომა აღარ შეეძლო; რუსის მთავრობა



ემტერებოდა მას. იგი თუმცა ოსმალის ქვეშევრდომით ითვლებოდა მაგრამ რუსებმა იცოდნენ, რომ იგი არსენა ოძელაშვილი იყო და ქართლიდამ გადასახლებული ახალციხეში ბატონის შიშით. ამიტომ არსენამ თავის ბარგი მარაბდაში გადმოიტანა, ცოლიც იქ მოიყვანა, თუმცა ამ დროს უკვე კარგა ხანი იყო [გასული, მას შემდეგ, რაც იგი ბატონს გაექცა ოსმალეთში და იქნება ზ.ალ ბარათაშვილი არც კი დასდავებოდა, ვინ იცის, მაგრამ არსენას ჰქონდა შიში და ერიდებოდა ბარათაშვილს.

ამიტომ არსენამ თავისი ცოლი თფილისში გადმოიყვანა, ეხლა აქ მოვიყვანთ ზეპირ ამბებს. ეს ამბები მიახლო სოფიო გეორგოვიძე, რომელიც ჩვენ ზემოთაც ვახსენეთ.

არსენამ ავლაბარში, დარჩის მონასტრის ახლოს ერთ სახლში დაიქირავე ერთი ოთახი. ეს დრო იყო დიდ ხორცილობის განილების, ანუ მორჩენის შემდეგ, ეს უნდა ყოფილიყოს უგვიანეს 1833 წ. ამ ერთს ოთახში დააყენა თავის-მეუღლე. არსენას მეუღლე ძრიელ კარგი ქალი იყო და ყველას პატივისცემელი და მასთან ყველასთან მორიდებული. ეს ქალი ისეთი გულკეთილი ქალი იყო, რომ კაცი საღამს ვერ დაასწრებდა.

ეს ქალი ისეთი კარგი იყო, რომ იგი თურმე მთელმა ეზოს დგმურებმა დიდათ შეიყვარეს და ყველა პატიეს. სცემდა ამ ქალს თვით ეს ქალიც იყო მეტად გონიერი, ხელსაქმის მოყვარე და კარგათ მცოდნე ქარგვა-ქსოვის. ეს ქარგვა-ქსოვა მას ახალციხეში შეესწავლა, მასთანავე სხვაც ბევრი რამ იცოდა ხელ-საქმიანობის, რასაც იგი სხვებსაც ასწავლიდა, შევირდები ჰყვანდა, პატარა გოგონები, რომელთაც ასწავლიდა ქსოვას, ქარგვას, კერვას და სხვაც ბევრი რამ; ჩინებულად ქსოვდა ეს ქალი ქისებს და ვინ იცის რას არა, ყველაფერს კარგად და ლამაზად ქსოვდა.

ამიტომ ამ ქალს თავის მეზობლებიც დიდათ სცემდნენ პატიეს და მასთან ნუდამ დღე კერძი და პურს სულ მეტად ქალებს მოჰქონდათ. ასე რომ არსენას მეუღლე კერძს არა ხარშავდა, არც პურს აცხობდა, ერთი ქალი იყო და ამიტომ ყველა პატივისცემით ეპყრობოდა. ეს ქალი სახლში მარტოკა იდგა, არსენა სახლში არ იძინებდა, მთავრობის და პოლიციის ეშინოდა.

დგმურებმა ყველამ იცოდა, რომ იქ არსენა სცხოვრობდა, მაგრამ არავინ რას უშვებდა, ყველა ჰფარავდა მას. ხანდისხან არსენა რომ მოვიდოდა, გოდრებით იცოდა ხილის მოტანა. ხილს მოიტანდა

თუ არა, მაშინათვე თითო ჩანახს ყველა დგმურებს და შეზღუდულად დაურეგებდა ხოლმე. არსენა სახლში ჩუმით მოდიოდა, ხან ლამეც იცოდა მოსვლა, შუალამისას მოვიდოდა, ამის მოსვლის ამბავი ცოლმა იცოდა ხოლმე და ამიტომ წინეთ ვახშამს მოუშხადებდა.

ვახშამზედ თვითონაც მოჰქონდა ხოლმე ხორაგი და ღვინოც პატარა ტიქტორით. არსენა ღამეს გაათევდა და დილით ძრიელ ადრე დგებოდა და მიდიოდა. არსენას ჯიბეში ყოველთვის ერთი პატარა თეთრი ჩარქვა ედვა, არცით სავსე და პატარა ძვლის სტაქანიც აქვდა, გზაში ვისაც შეხვდებოდა ნაცნობს ჯიბიდან არაყს ამოიღებდა და თითო სტაქანს დაალეენებდა. ამგვარად არსენას სიყვარული მთელს იმ ეზოს ხალხს აქვდა და ყველა პატივს სცემდა, ასე რომ არსენას აქ არასფერი შიში ელოდა ხალხისაგან. ყველა კაცი და დედაკაცი ისე უყურებდა არსენას, როგორც კარგს, პატიოსან კაცს. რაც არსენა იმ სახლში იდგა, მას ერთი საქმეც არ შემთხვევია ცუდი რამ. ან რათ უნდა შემთხვეოდა ცუდი რამ, იგი მეცხვარე იყო, ოთხი სხვა ამხანაგი მეცხვარეები ჰყვანდა და მათგან ყოველთვის ვარგს სახარჯო ფულებს იღებდა, ასე რომ არსენა ყოველთვის თავის ცხვრის ფულით სცხოვრობდა და სხვების გამარცხვა თავის დღეში არ მოუხდებოდა.

ამ გვარად არსენას ხალხის შიში კი არ აქვდა, მას მარტოთ პოლიციის შიში აქვდა და ამათშვიც ბევრი იყვნენ ისეთი მოხელენი, რომელნიც არსენას პატივს სცემდნენ და დიდათაც ეხმარებოდნენ, ჰყარავდნენ მას. მეორე მოხუცებულმა, არსენას მცნობმა აელაბრელმა შემდეგი ცნობა გადმოშვა:

არსენას ხალხი არას ერჩოდა, რადგანაც არსენაც არავინ რას ერჩოდა, არსენას ხალხი ინახავდა, ხალხი ჰყარავდა მას და უწევდა ჭომაგობას. არსენამ ისიც მოახერხა, რომ თავის ამხანაგების რჩევით თავის ბატონს ბარათაშვილს კაცები მიუგზავნა და პატიობა და შერიგება სთხოვა და თან ფულის გადახდასაც დაჰპირდა სულ ოქროვებით. შუა კაცებმა ბატონი ნახეს, მოელაპარაკნენ, იგი თანახმა გაუხდა არსენას და ასეთი ამბავი შემოუთვალა:

მე არსენა დამავეიწყდა კიდევ, მე მასთან სადავო არა მაქვს რა, მე შევიტყუე კარგათ, რომ იგი მე არა მტრობს და ჩემი წახდენა მას არ უნდა, მე თანახმა ვარ, ძალიან კარგი, საქმე მხოლოდ მთავრობა არის, მე არას ვერჩი, თუ მთავრობაც არას ეტყვის და აპატივებს. მთავრობას მის შესახებ არა აქვს კარგი შეხედულება, მთავრობა მას



უყურებს, როგორც თავის მტერს და ხალხის ამჯანყებულს, მეც კი ვეცდები, რომ მთავრობაშიც შეიწყნაროს იგი და აპატიოს, მაგრამ უბედურება იმაში არის, რომ მას ბევრი მტერი ჰყავს და ამიტომ მას ბევრს რამეს სწამებენ, ბევრს დანაშაულობას, ყმების აჯანყებას არამც თუ მარტოთ ბატონების წინააღმდეგ, არამედ მთავრობის წინააღმდეგაც. ამბობენ, რომ თვით სუმბათაშვილების ამოწყვეტაც მისი საქმეაო. არსენა თურმე მათ ახალციხიდანაც კი ემუქრებოდა თურმე, რომ ახალციხური თათრებით დაგეცემი და აგიკლემო, თუ გლეხების ტანჯვას თავს არ დაანებებო.

ამ მოხუცებულის ცნობების თანახმად ჩვენ ეხლა აქ მოვიყვანთ სხვა ცნობებსაც, რაც ამ მოხუცებულმა არ იცოდა და არც გაეგონა ამისი ცნობები. სხვათა ცნობებით ვიცით ჩვენ და ეს თვით მომსწრე კაცებმაც ნიამბეს, რაც ეხლა მომყავს აქ.

სუმბათაშვილის ოჯახის ამომწყვეტი იყვნენ ყმა გლეხი-კაცები. ეს ოჯახი ამოწყვიტა ოთხმა კაცმა, ერთი იყო თვით სუმბათაშვილის ყმა-გლეხკაცის შვილი. მეორე იყო შორაპნელი გლეხი ლაცაბიძე, მესამე იყო გლეხი ცხოვრებაძე და მეოთხე იყო ზესტაფონელის გლეხი ლამბაშიძე. ამათი დამბეზღებელი იყო აწნაური ნემსაძე. ამბობდნენ თურმე, რომ ყველა ამათ არსენას ცნობა კარგათ აქვდათ და არსენასთან მისგლა-მოსგლაც აქვდათ ახალციხეშიო. ყველა ესენი არსენას დიდი პატივისმცემელები იყვნენ და მის დარიგებასაც დიდათ აფასებდნენ და ისმენდნო.

არსენა ისეთი გულკეთილი კაციჭიყო და მას ისეთი კეთილი გული აქვდა და ყველას სიბრალულიო, რომ სუმბათაშვილების მკვლელთ იგი ნებას არ მისცემდა, რომ მათ ქორფა ბავშვებიც ამოეწყვიტათო, ეს მისგან არას შემთხვევაში არ მოხდებოდა და რაც იქ მოხდა, იმაში არსენა არ ურევია, მაგრამ ყველა კი მიანიც მისზედ ლაპარაკობს და ნამეტურ დანაშაულებების ნათესავეებიც აზვიადებენ ამ ამბებს და ყველასფერს არსენას აბრალებენო.

მთავრობაც მიტომ არის არსენაზედ გაბრაზებული და ესენიც ყველა ავაზაკობა და სოფლის ხალხის არეგ-დარევა სულ მას ბრალდებო. ყველასფერს მას აწერენ და ლაპარაკობენ, რომ ყველასფერი ბოროტება და ცარცვა-გლეჯა, კვლა და სხვაც ბევრი ასეთი სულ არსენას გეგმით და დარიგებით ხდებო. მართალია ასეთ საქმეებში არსენა თვით არ ურევია, თვით მონაწილეობას არ იღებსო, მაგრამ ყველასფერი კი მისის გეგმით ხდება და დარიგებითაო, თვით მაში-

ნაც ბევრი ლაპარაკობდა, რომ არსენა ოძელაშვილი საბრალოდ არაა, დიდათაო, ქვეყანაში რაც ავობა ხდება, იგი სულ მას ბრალდებაო; თითქოს სხვები სულ წმინდანები იყვნენ და მარტოთ არსენა არის ავი კაცების და მთავრობის მტერიო. ავი კაცების მტრები სხვებიც მრავლათ არიანო და მთავრობის დაუძინებელი მტერი კი მარტო არსენა არისო და არსენას ეძებენ მთავრობის მოხელე იასაულეები, ბოქაულეები, დიამბეგები და დესეტნიკებიო.

არსენას შესახებ ხალხში იმდენი ამბები იყო გაერცელებული, რომ მისგან მთელი ტომი დაიწერებოდა. ჩემს ახალგაზრდობაში, არსენას მახსოვარნი ბევრნი იყვნენ და მათ ბევრი ამბებიც იცოდნენ არსენას შესახებ, დღეს ასეთ მახსოვართ კაცთა რიცხვი სულ აღარავინ არის, მათი ამბები კი, რომელნიც მახსოვს მე, საჭიროთ ვრაცხ რომ აქ მოვიყვანო.

ერთის ნაამბობი:

„არსენა ოძელაშვილი არ იყო ქურდი, მტაცავი, მცარცავი, ანუ მპარავი ისე, როგორც ეს მის დროს იყო და სხვები სცარცავდენ ხალხს განურჩევლათ ღლიდრის, ღარიბის, ავის და კარგის კაცის. არსენას ქურდობა და ქურდები დიდათ სძულდა, დევნილს და დამალულს როცა გაუჭირდებოდა, იგი სოფელს მიმართავდა და მერე რას სთხოვდა სოფელს?—სანოვავეს და ზოგისაგან იგი ამას თავის ფულითაც ყიდულობდა. ალგეთის ხეობაზედ ყოფნის დროს, არსენა ხშირათ მივიდოდა ხოლმე გერმანელების სოფელს ასურეთში. ეს ნემეცები მას ისტუმრებდენ ხოლმე დიდის სიყვარულით, მისცემდენ იმოდენა სანოვავეს და საზრდოს, რასაც ორი და სამი ცხენითაც ვერ წაიღებდა ხოლმე. ნემენცებს არსენა დიდათ უყვარდათ, რადგანაც არსენას და მის ამხანაგებისაგან არ ყოფილა მაგალითი, რომ ასურეთელი ვინმე ნემენცი გაეცარცოთ, ამის მაგალითი არ ყოფილა.

არსენა ისეთი კაცი იყო, რომელმაც იცოდა კარგი და ავის გარჩევა და ამიტომაც იგი ნემენცებს სულ არას ვნებდა და არას ერჩოდა, კარგის კაცობისათვის და ავისათვის ქართველებსაც ასე ექცეოდა, ასე ეპყრობოდა ყველას, იგი მტერი იყო ავი-კაცების და ბოროტების. იგი ებრძოდა ბოროტ კაცებს და ამ ბოროტების მოშორე მფარველს რუსის მთავრობის მოხელეებს, რომელნიც ბოროტებისაგან ქრთამებს იღებდენ და ამ ქრთამების საშუალებით ბოროტნი და ავნი კაცნიც ყოველთვის და ყოველგან უვნებლათ რჩებოდენ და როგორც სურდათ ისე სწავრავდენ საწყალ ხალხს. აი ასეთების მტე-





რი იყო არსენა და სწორეთ ასეთ კაცებს ავლებდა იგი მტრობდა ხსენებას. ასეთი კაცები არსენას დროს მარტოთ ზაალ ბარათაშვილი ზომ არ იყო. ასეთები იყვნენ: კახეთში იყო თაღია ჩოლოყაშვილი, თფილისის ახლო—თადეოზ გურამიშვილის ძმა, ქართლში ესტატე ციციშვილი, მამამზე ერისთავი, ე. ერისთავი და სხვანიც ასეთნი.

ამბათ არის დარჩენილი, რომ არსენას გავარდნაში ყოფნის დროს ზმირათ ქართველთ სხვა და სხვა მებატონენი აძლევდენ დახმარებასაო. ყოფილან ისეთი კეთილი მებატონენი, რომელთაც არსენასთან ყაჩაღობის დროს კაი სალაში და პურმარილი აქენდათ თურმე, არსენას არც მტრობდენ და არც აბეზღებდენო. იმასაც იტყოდენ მომსწრე კაცი, რომ ასეთ მებატონეებსაც მაინც არსენას დიდი მორიდება აქენდათ და გლეხებთან ამიტომ ესენი ყოველთვის კარგათ იყვნენ და მათ სულ არ აწუხებდენო. ასეთი მებატონენი არსენას ყოველთვის ეუბნებოდენ იმის ცნობებსაც თუ იგინი თავის გლეხ-კმეზში როგორ მოქმედებდენ და როგორ მუშარველობას უწყევდენ გლეხებსაო.

არსენასაც ამა რა ღმერთი გაუწყრებოდა, რომ ასეთ მებატონეთა თავად-აზნაურების პატივისცემა და ხათრი არა ჰქონიყო. არსენაც ასეთ მებატონე თავად აზნაურებსაც დიდის თავაზით და პატივისცემით ეპყრობოდა თურმე. არსენას შესახებ ძრიელ ამოთ და უბრალოთ არის ხალხში ის აზრი გავრცელებული, რომ ვითომც არსენას თავად-აზნაურები ეჯავრებოდა. ეს ტყუილი არის, ის მეგობარი და ძმა-კაცი იყო თავადის და აზნაურისაც, არსენა სახით და ტანით არც თავადებს ჩამოუვარდებოდა და არც აზნაურებსაო. იგი ისეთი თვალადი კაცი იყო და ამითაც დიდათ საყვარელი იყო იგი ყველასი და მასთან პურის-კამას და დროს გატარებას არც თავადები ერიდებოდენ და არც აზნაურებიო. იგი საყვარელი პირი იყო ყველასი და ყველა სიამოვნებით და სიხარულით მეგობრობდა არსენას და მასთან იგინი არც პურის კამას ერიდებოდენ და არც დროს გატარებასაო. ასეთი იყო არსენა ყველას წინაშე.

ახალციხიდან გადმოსული არსენა თურმე სულ სხვა კაცათ აღმოჩნდა და არა ისე, როგორც წინეთ იყო. არსენას ბატონსაც დიდათ ეშინოდა თურმე და ხალხში ლაპარაკობდენ და ზაალ ბარათაშვილს აგონებდენ, რომ არსენა გემუქრებათ, სამაგიეროს გადავახდევინებ ჩემს ბატონსაო, ვადუწომ ტყეებს, ყანებს, სახლ კარს, ქონებას სულ

გადუბუგამ და ყველაფრიდამ ცარიელს დაესომო. ასე იყო მართა-  
შვილი შეშინებული და არსენასაგან იგი აკლებას და აწიოკებას ყო-  
ველ დღე ელოდა, მაგრამ ეს კი არსაიდან არა ხდებოდა და არსენა  
თავის ბატონს არასფერს უშავებდა.

ნართალია უკანასკნელ წლებს, ანუ 1840—50—60 წლებში  
ძრიელ ხშირი იყო გლებთაგან მებატონეების წინაშე ბრძოლა, სახლ-  
კარის დაწვა, გადაბუგვა, ტყეების და ქონების გატაცვა, მაგრამ  
ყველა ამებში არსენა უკოდველი იყო და უდანაშაულო. ეს გარე-  
წოება ბოლოს არსენას ბატონმაც შეიტყო და იგი არსენაზედ გულ  
დაწმენდილი გახდა და მას აღარ ემდურიადა, მაგრამ მტერთა ენა  
კი მაინც არა წყნარდებოდა და ყველა რამ, სადაც კი გაცარცვა  
მოხდებოდა, ეს ბოროტი ენები მას უსათუოდ არსენას დააბრალებდნენ.

ახალციხიდან გადმოსული არსენა ოძელაშვილი ქართლსა და  
კახეთში უმეტესათ სულ გლებკაცობასთან სცხოვრობდა, ზოგს შეილებს  
უნათლავდა, ზოგს მეჯვარეთ მისდევდა. ესეთი დამოკიდებულება არ-  
სენას გლებებს გარდა აქენდა თვით თავად-აზნაურებთანაც. მაგრამ  
გლებ-კაცობაშიაც იგი უახლოვდებოდა მართო რიგიან კაცებს; ური-  
გოებს იგი არამც თუ უახლოვდებოდა, არამედ ახლოსაც არ მიეკა-  
რებოდა და მათსას წყალსაც არ დალევედა. არსენა ამისთანა საქმე-  
ებშიაც ერთობ ფრთხილი შეხედულების იყო და იგი ძნელათ რომ  
ვისმეს სწვევოდა ან დაახლოვებოდა და მათი ავი და კარგი კი არა  
სკოდნოდა, მათი ვინაობის სრული წარმოდგენა არა ჰქონიყოს.

ღიახ, არსენა გონიერი გმირი იყო და დიდი ჰომიჯი გლებ-კა-  
ცობის და ნამეტურ ყმა გლებების. არსენამ კარგათ იცოდა ის გა-  
რემოება, რომ ყველაზედ სასტიკათ და მწარეთ ყმა გლებებია ია-  
გრებოდნენ, მათთვის სამართალი და სიმართლე დაკარგული იყო და  
თვით რუსის მთავრობასაც რომ გლებებისათვის სამართალი და სი-  
მართლე დაკარგული და დამარხული აქენდა. არსენას ლაპარაკი  
გლებებში ყოველთვის მათ გაღვიძებდა იყო მიმართული. ყოველ  
გლებს იგი ისე ელაპარაკებოდა და ნათელ დარიგებას აძლევდა, რაც  
გლებ-კაცს თვალებს უხილებდა და ცხოვრებაზედაც ბევრს რამ კარ-  
გსა და ავსაც აფიქრებინებდა.

არსენამ მთელი თავის სიცოცხლე, თავის საუკეთესო დღენი  
ასე გაატარა და მისგან არამც თუ გაცარცულა ვინმე და ან მომ-  
კვდარა, არამედ ხელიც არავის შეხებია. რაც შეეხება იმ გარემოე-  
ბას, რომ რაჭველი მესტფირეს სიტყვით, რომ „ეთარცა არსენა



მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა“, ესეც სიცრუე განსახიზმნა. არსენა მეტი იყო ცუდი მდიდრის და ბოროტის, რაც შეეხება კარგი მდიდარი ვაჭარი და თავადი, ან სხვა ვინმე მისგან არავინ არ დასჯილა და არც არავისთვის რამე ჭონება წაურთმევია. ვინც კარგი კაცი იყო, მდიდარი ვაჭარი და თავადი ან სხვა ვინმე, იგი ყველა არსენას მეგობარი და ძმა-კაცები იყვნენ და აბა მაშინ ამათში წართმევა და გაცარცვა როგორ მოხდებოდა. ამის დროს ვინც ავი იყო, ბოროტი, ჭეყნის მტერი და საწყალი ხალხის წამართმევი და დამზაგვრელი, იმას კი დიახ, არსენა წაართმევდა კიდევ და მეტსაც უხამდა და ასეთნი ღირსნიც იყვნენ ასეთ სასჯელის.

არსენა ოძელაშვილმა ასეთის მიმართულებით გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე და იგი თავის სიკვდილის დღემდის ქართველი გლეხკაცის ცხოვრებას და პირობებს ყოველთვის იცავდა დიდის სიმართლით და სიკეთით, რის მოწამეც არის მთელი საქართველოს, გარდა მთავრობის მოხელეებისა.

## უშვების უიღვა-გაუიღვა ქართლში.

ბატონ-ყმობა ქართლში ბეერნაირის მასალებით არის სავსე. მაგალითებრ ბატონისაგან ყმის გასყიდვა რამდენ-ნაირიმე ყოფილა, ზოგნაირის გაყიდვით ბატონთ შვეძლოთ ვაქრობა, ზოგნაირის გაყიდვით კი ვერა. ყოველს შემთხვევაში, ყმის გასყიდვა მეფეთა წინაშე არ იყო მოსაწონი და ქებული, მეფეები არ ეწინააღმდეგებოდნენ მებატონეს ყმების გასყიდვას და ქართლის კანონებით არც შეეძლოთ ეთქვათ რამე, მაგრამ ისიც სჩანს, რომ არც მოსწონდათ ასეთი საქციელი მებატონეთაგან. ერთის მხრით სამარცხვინო და სათაკილოც იყო ბატონისაგან მეფის წინაშე, რომ ყმა გაყიდულიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბატონს ისე წაბდენია ოჯახის საქმე, რომ სულიერ ყმასაც კი ჰყიდისო.

ერთი ამათი ბედნიერება ის გახლდათ, რომ ასეთ ვერაგ მებატონებს ნება აქვდათ, რომ ყმას ვისაც უნდა იმას მიჰყიდდნენ. გასყიდვის დამტკიცება იწერებოდა გამსყიდავ და მსყიდველს შუა, თვით მათგან, მოწმეების თანადასწრებით. ამის მეტი სხვა არაფერი იყო საჭირო—მე ვყიდი, შენ ყიდულობ, აქ პირობა არის საჭირო და არა მთავრობის მოწმობა და დამტკიცებაო. ასე რომ ხშირად ყმის გაყიდვა მებატონისაგან მთავრობის უცნობელად ხდებოდა. მაშინ როდესაც ყოველი საქმე, საქალაქო, თუ სისხლისა—მთავრობის მონაწილეობის მიღებით კეთდებოდა, ყოველი საქმის გასჯელა, გაზავება, მორიგება, შერიგება, გადაბღვენება, დამტკიცება და სხვაც ბევრი ასეთნი მთავრობის კაცთა მდივნების, მსაჯულლების, მამანახლისების, ამირების, ქვისელების, მელიქების და მწიგნობარ კაცთა თანადასწრებით ხდებოდა, მერე ამით განაჩენს მეფე ან სხვა ასეთი პირი დამტკიცებდა. ყმის გასყიდვაზედ კი ეს ასე არ გახლდათ და ამ გარემოების წყალობით ყმათა შესყიდვას არც არავინ ერიდებოდა.

ძველნი კაცნი იტყოდნენ ხოლმე, ქართლში ყმის გასყიდვა და სყიდვა მეფეთაგან იმიტომ არ იყო გაძნელებული, რადგანაც ჩვეულება აქვდათ, რომ ყმის მყიდავს უნდა ყმა ეყიდნა და მერე ეს ყმა თავის მონაგრისაგან უნდა გაენთავისუფლებინაო, ან თავის სულის



გულისთვის მონასტრის, ან ეკლესიისთვის უნდა შეეწირებოდა მკვდარი  
ყმის გასყიდვა და სყიდვა ამიტომ ყოფილა და ხშირად მოხდებოდა,  
ხოლმე, რომ ზოგიერთი პირი მებატონეს მიმართავდა და სთხოვდა,  
რომ ჩემის სულის გულისთვის შენი ყმებიდან რამდენიმე კაცი ან  
რამდენიმე ოჯახი მომყიდე, მინდა ჩემის სულის გულისთვის ცოცხა-  
ლი ხელეები ვიყიდო და გავანთავისუფლოვო.

ამიტომ ქართველ ყმებს ძირიელ ხშირად ყიდულობდნენ თფი-  
ლისის მოქალაქე ქართველები, სომხები და კათოლიკენი და ზოგნი  
ამათგანი თავიანთ სულის გულისთვის ასეთ ნაყიდ ყმებს ათავისუფ-  
ლებდნენ, უშვილოები ხშირად იშვილებდნენ კიდევ. ამის მაგალითე-  
ბიც არის.

ამის მაგალითებს ქვევით მოვიყვანთ. ასეთ ყმათა დახსნა  
ჩვენს სასულიერო პირებსაც სცოდნიათ. თვით კათალიკოზებიც იხ-  
სნიდნენ ხოლმე ყმებს და ათავისუფლებდნენ. მაგალითებრ 1704 წ.  
დღე. მ-ს. დომენტი კათალიკოზს სოფ. წინ-წყაროს ერთი გლეხი მა-  
რქარა უყიდნია და ეს გლეხი თფილისში დაუსახლებია. ამ მარქარას  
შვილები ჰყოლია, ამას ასე მოწმობს სიგელი: „ამ მარქარას შვილები  
კარგი გამოხვდოდა. დურგალი ერთი გიორგა და დურგალი მეორე  
ოსება და ერთი მკედელი ანტია და ერთი ჭონი ახლამაზა. ეს  
მოხელენი ვათარხნე, რომ ჩვენ საქმეს ესენი უხელფასოდ გააკე-  
თებენ, დურგალმა დურგლობითა, ჭონმა ჭონობითა, მკედელმან  
მკედლობითა და სხვაც ასევე“. თავისუფლებაში აქ მცირე განსხვა-  
ება არის, ვათარხნებ ხოლო იმ პირობით, რომ მათ თავიანთი  
ხელობის ჩვენი საქმენი უფასოდ გააკეთონო. აქ სჩანს რომ თავისუ-  
ფლება სრული იქნება მაშინ, როცა ეს ხელოსნები თავიანთ ვალს  
შეასრულებენ, ხოლო შემდეგ მათის, სხვა თაობის წინაშე ეს ვალდე-  
ბულება როგორ იქნებოდა, ამის ცნობა არა სჩანს.

### ნაბუხრების საქმე ქართლში.

ბუშები ქართლშიაც იყო, როგორც სჩანს, ჩვენს კურთხეულს ქა-  
რთლშიაც. ქრისტიან ქართველთ შორის, ბუშები გამრავლებული  
ყოფილა. ბუშების სიმრავლისთვის არც სირცხვილი ჰქონიათ, არც  
მორიდება, არც სიბრალული. იგი ყოველის კეთილშობილის ოჯახის-  
თვის ჩვეულებათ ყოფილა მიღებული. ასეთი ხელობა მე მართო იმე-



რღების ხელობათ მიმართ, რადგანაც გურიასა და სამეგრელოში ნაბუშართა რიცხვი მეტად დიდს რიცხვზედ იყო ასული. ყოველივე ეს ცხადად მოწმობდა, რომ მღვთისაგან კურთხეულს საქართველოში და თავად-აზნაურებით გამრავლებულს ქვეყანაში, თუმცა საქვეყნო საკახოები არა ყოფილა, თუმცა აშკარა ბოზები არ ყოფილან, ამიტომ მის ნაცვლად თვითო-ოროლა ნამუსიანი ჩემი ქალების შენახვა ყველა მებატონეს შესძლებია რომ ჰყოლოდა სახლში და აშკარად სექმეც ჰქონიყო მათთან და შვილებიც ერეკათ. ესეთი შვილები მათს სახლში ბუშებად იქნებოდენ მიღებულნი, ხოლო მამის გვარზედ დარჩენილნი. ამისთანა ნაბუშარს თავის შემქნელის სახლ-კარსა და ქონებაში წილი არ აქვდა, რადგანაც იგი უკანონო შვილად ითვლებოდა.

მებატონები მისდევდენ ამ ხელობას არა მარტო უცოლოები, არამედ ცოლიანებიც. ეს საქმენი მათ ცოლებმაც იცოდენ, მაგრამ იგინი თავიანთ ქმრებს არას უშლიდენ, არც შინ ყმა გოგოებს უკრძალავდენ და არ იცავდენ იმათ პიროვნებას—ნამუსს, ქალწულობას. ცოლი რომ სხვაგან წავიდოდა ერთი თვით, ორით ან მეტის დროით, მაშინ მაშ რა ქნას ჩემმა ქმარმაო, თუ სახლში არავინ იყო-ლებოო. ასე იყო დაყენებული ქართლში ქართლის მებატონეთაგანაც საქმე. იყო ამითში იმის ჩვეულებაც, რომ ბუშების დედას მერე გაათხოვებდენ, მზითვეს მისცემდენ და ვინმე თავის ნაყმევს შერთამდენ. ნაყმევს უარის თქმა არც შეეძლებოდა, სულ ერთია პირველი ღამეც ხომ ჩვეულებათ იყო. ამ ხელობას ბევრი მებატონე არ მისდევდა, ხოლო ყველას წინაშე ის კი ცნობილი იყო, რომ პირველი ღამეც ჩვეულებათ იყო მიღებული და მიტომაც შვილ-ნაყოლ ქალს არავინ იწუნებდა, ისიც ბატონის ოჯახიდან გაეყვანა და ნაბუშარიც ყოფილიყოს, მაინც სასახელოდ მიიჩნდათ ბევრს. ხოლო ბუშებს შემდეგ როგორი კავშირი აქვდათ თავიანთ მშობლებთან და როგორი დამოკიდებულება, ამას რასაკვირველია ნივთიერი სიკეთის არა ექნებოდა რა, რაც შეეხება დედობრივის სიყვარულს—ეს კი უმჭველია მშობლიურის ვითარებით დაშთებოდა ყოველთვის. ამის მაგალითებსაც ვხედავთ, რომ ნაბუშარებს დიდათ უყვართ თავიანთ დაჩაგრული დედა და ასევე თვით დედებს თავის შვილები. ამის მაგალითები ფაქტებითაც არის დასაბუთებული.



ქართლის გლეხ-კაცობა და ნამეტურ საბატონო ყმათა შვილების პაროვნება ისე იყო მათ მებატონეთაგან დამდაბლებული, რომ ქართველი მებატონეები მათ ჰყიდდნენ არამც თუ მადა გახსნილ ოსმალ-სპარსელებზე, სომხებზე და ფულიან ებრაელებზედ, არამედ იგინი ჰყიდდნენ თვით მთის ხალხს—ოსებსაც კი, მაგალითსაც ვიტყვით და ისიც ისეთს, რაც ამ გარემოებას არამც თუ ცხადჰყოფს, არამედ ჩვენს ჰაზრში მის კიდევაც გააზვიადებს და ყმათა დარბევის, ოხერ ფასებში გასყიდვის ისტორიას გადაშლის.

1719 წ. ვახტანგ XI რომ გამეფდა, მის შემდეგ, მან დაიჭირა ჭამარ ბეგი სომხეთის მელიქი და დაახვრეტინა თოფით. ამის გარდა მანვე დააპატიმრა თავ. ბაგრატ ციციშვილი, თავ. ფერშანგ ფალავანდიშვილი, თავ. ჯამასპი ხერხეულიძე, პაპუნა რევაზიშვილი-ვეშაპიძე და პლატონ, ყველა ამათ ბრალდებოდით მეფის და სამეფოს ღალატი, რის გამო ესენიც უნდა დაეხვრიტათ. ამ გარემოებას კათალიკოზმა მიაქცია ყურადღება, ამან იშუამდგომლა მეფის წინაშე და იგინი სიკვდილს გადაარჩინა და მის ნაცვლად მათ სხვა სასჯელი მიესაჯათ.

ეს სასჯელი აი რა იყო: ეს პატივცემული კეთილშობილი პირნი წაანგზავრეს შუამთის ოსეთში და იქ ესენი ოსებს თებზედ მიჰყიდეს. ოსებმა ეს მებატონენი სიამოვნებით იყიდეს, ანუ დაცვალეს თებზედ, აქედამ ეს პირნი მერე ქართლში აღარ მოსულან, შემდეგ კი ოსებისაგან დაღუბნით თავი და დაბრუნებულან (ქართ. ცხ. II ტ. გვ. 81). ახლა ამის შემდეგ ვსთქვათ ჩვენად, თუ თვით თავადის შვილებსაც კი დანაშაულობისათვის ოსებზედ ჰყიდდნენ და ისიც თებზედ, აბა ყმა გლეხებზედ რაღა უნდა ითქვას. ცხადი საქმეა, რომ ამათ ხშირად არამც თუ თებზედ, არამედ ძალებზედაც კი დაჰყიდდნენ, რასაც ეპვი არა აქვს; მაინც ესეც ნამდვილი ფაქტია და მებატონენი თივიანთ გნებს რომ ძალებზედაც სცვლიდნენ ამის ცნობები ხომ ამ წიგნშიაც მოიპოვება და ამას გარეშე ასეთივე ერთი ცნობა მოჰყავს ცნობილ ანტონ ფურცელაძეს თავის მოთხრობა „მართა“-ში, სადაც ერთი მებატონე თავის ყმის გოგოს ერთ ვაჟარს ძალში უცვლის. შვიტყვი სხვაგან და თვით დამწერისაგანაც, რომ ეს მაგალითი ნამდვილი ფაქტი არის. ასეთი მაგალითები ქართლის მებატონეებში ხშირად ხდებოდა. ეს მით უფრო, რადგანაც ძველად მებატონენი მონადირეობას

დიდით მისდევდნენ და ამიტომ მათს წინაშე ქორს და შეძენიერეს მეტად დიდი კარგი ფასი აქვდაო. ზოგ მებატონეებს მეძებარ ძალ-ღების მთელი ჯოგები ჰყვანდათ. და ესენი მეძებარ ძალღში ყმას კი არა და თვით თავიანთ საკუთრებასაც მისცემდნენ, ვინაიდან მათ დიდი ხალისი აქვდათ ნადირობის, მეძებარ და ქორებისაო.

ეს ასე იქნებოდა, თვით პოეტს გრიგოლ ორბელიანს თავის სახლში 60 მეძებარი ძალღი ჰყვანდა, ამ 60 ძალღს ორი მომღვლეი მეძალღეებიც ახლდნენ, თითოს თვეში ჯამაგირი 15 მანეთი აქვდა და სახლი, საკმელი, სასმელი და ტანთსაცმელი. ძალღებს სახარჯად დღეში თითოს 10 კაპ. სულ ყველას კი დღეში 6 მან. ეძლეოდათ თურმე. ასეთი ძალღების ხრო თვით პოეტის გარდაცვალებამდის იყო მის სახლის ეზოში; ძალღები იყვნენ მალაღი ჯიშის, გძელი გამ-ხდარი ფეხები აქვდათ, მეტად გძელი ტანის იყვნენ და მასთან გამ-ხდარნი, მნახველს კაცს იგინი აფადმყოფნი ეგონებოდა, იყვნენ მეტად მარდნი და ერთის მხრით სიმალღე, სიგრძე-სიგანით და სიგამხდრით საწინელი სანახავიც იყვნენ. თავადებში ძველათ სულ ასეთი ჯიშის ძალღები ჰყოლიათ. იმათ გარდა ამ ჯიშის ძალღებს მე ვერსად ვხედავ.

## ქართლის ძველი ყოვლა.

(„საქართველოს სიძველენი“ II ტ. გვ. 156.)

1690 წ. „ესე ეამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და შე-უცვლელი, უხერხო და უტუჟარი, დღეთ სიკვდილამდეს მოუშლელი ფიცი, წიგნი და ნასყიდობის პირობა მოგეცით ჩვენ ჯავახიშვილმა ზურაბ, შერმაზან და შეილმა ჩვენმა და სახლისა მომავალმა ჩენისა-მა თქვენ, გორგელს კიტარაშვილს ხითარასა, შეილსა თქვენსა ბე-რინასა, მარტიროზასა და სახლისა მომავალსა თქვენისათა ყოველ-თავე მას ეამსა, ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩენნი მკვიდრი სკრელი ბადურაშვილები გიორგი და ინაურია და ამ ბიჭების და, დედა მოგყიდეთ და ავიღეთ თქვენგან ფასი სრული, რითაც ჩენნი გული შეიჯერებოდა. აღარა დარჩა რა ჩენნი თქვენს ხელთ, არცა ერთის იოტის ფასი. გყვანდეს და გიბედნიეროს ლმერთმან, როგორც მრავალს ალალს ნასყიდს მართებდეს. ხელგეწიფებოდეს გასყიდვად, გაზითვად რათაც ფერად მოსახმარისად გინდოდეს, ვერაჲინ შემო-გეცილოს თვინიერ ერთის ლმერთის მეტი, თუ ვინმე შემოგეცილოს





და წაგართვას ვინმე ეს ბიჭები, ამითი სანაცვლო სხვა ბიჭები მოგვცე...  
არიან ამისი მოწამენი ახულ ვარდოშვილი ბერი, ამელ ვარდოშვი-  
ლი იონათამ, გორელი მამისახლისი ხითარა, შვილი ზურაბ- ბიჭებიც  
აჯის მამისახლისის.

1697 მკათათვეს 10. ნებითა, შეწევითა მღვთისათა, ესე წიგნი  
მოგვცი მე ხითარამ, ჩემმა შვილმა ბერინამა და მარტიოზამ შენ,  
ტერ-გრიგორაშვილსა სააკასა და შენს ძმას ტერ-გრიგორას, შენს  
შვილს ესტატეს და გიორგის და მაკარას, სახლისა მომავალსა შენი-  
სასა, ასე რომ ჯავახიშვილისაგან ბიჭები ბადურასშვილები მიყიდა  
გიორგი და ინაურია, ინაურია მე და შენ სასამართლოდ შეგვექმნა,  
სამართალმა მე მომცა, მას უკან ფასი გამოგართვი და მოგყიდე,  
რადგან ამათი ბიჭებიც შენ გყვანდა (ნაყიდნი უთუოდ), რითაც ჩე-  
მი გული შესჯერდებოდა, ეს ჩემი ნაყიდობის სიგელიც შენ მოგვცი,  
ბატონის განაჩენიც შენ მოგვცი. არც მე და არც ჩემს შვილებს და  
არც ჯავახიშვილს ხელი არა ჰქონდეს. ღმერთმა მოგახმაროს, რასაც  
ფერად მოსახმარად გინდოდეს გასყიდვად, გამწითვად. არიან ამის  
დამხდური და მოწამე ფიროდაშვილი მდივანი დავით, როსტევეანა-  
შვილი მამუკა, ამიროლაშვილი ფარსადან, ხედილაშვილი ბაღდასარ,  
მამაჯანაშვილი ათაბეგა, დიაკნისშვილი გიორგი, ბარამიშვილი ჯუ-  
ლაბა. მე გორის მამისახლის ფარსადანს დამიწერია, მოწამეც ვარ  
ამის 15 ს ტპე მკათათვის ი.

**მეჯვრისხევის მებატონე კოტე ერისთავი.**

ერთხელ კოტე ერისთავმა დაჰპატივა თავის გლეხები, აქვე  
მოიწვია თავისი ძმა კრწან ერისთავი, ამან მიმართა თავის ძმას და  
უთხრა ასეთი საყვედური:

მე შენს სადილზედ არ დაერჩებოდი მიტომ, რომ შენ შენს  
ლორს გლეხებში ჩამჯდარხარ და პურს სჭამ, ესენი ლორები არიან  
და შენც გალორებულხარ, გლეხ-კაცი რა ჩვენი ტოლია და ამხანაგო,  
რომ მე მაგათთან დავჯდე, ეგენი ერთი უნდა შეწო და მეორე უნდა  
ზედ წაუყო. ამიტომ შენც დაგწყველოს ღმერთმა, შენი გლეხები და  
შენი პურ-მარხილიც.

კოტემ ასეთი პასუხი მოსცა:

შენ ძალიან სცდები, რომ ტუტუცურს სიტყვებს ხარჯავ, აქ ამ გლეხებში ურევიან ისეთი ბიჭები, რომლებიც პატიოსნებით და ვაჟაკობით შენისთანებს ბევრსა სჯობიან. შენ ამათი ცალი არა ხარ და არც ვეკადრება ეგ უზრდელი სიტყვები, ვინაიდან შენ გლეხებმა მოგანიჭეს თავადობა და ეგენი შენზედ კიდევ მითა სდგანან მადლა, რომ ეგენი მუშაობენ, შენ კი მათ ღორებს უწოდებ. გეტყვი, რომ ეს გლეხები კი არ არიან ღორები, არამედ შენა ხარ ღორიო.

ამის შემდეგ მიბრძანდი შენთვის, წადი შენს გზაზედ. ასე შერცხვენილი გაისტუმრა კოტემ თავისი ძმა კონა.

## არაგვის ერისთავთ შვათა აგვები

ჩვენ ამ წერილს ვსწერთ პლატონ ბურდულის მოთხრობილ ცნობების გახსენებით. ზოგი ამის ცნობა არის და ზოგი ჩვენი.

ისტორიით ვიცით, რომ გიორგი ბრწყინვალემ მე-14 საუკ. საქართველოში მთის ხალხი განთავისუფლებული ჰყო როგორც ბატონის ყმობისაგან, ისევე მათ მოხარკეობის და მონობისაგანაც. ასე განთავისუფლებულნი იყვნენ თუშნი, ფშავნი, ხევსურნი, მოხევენი, მთიელნი, ზოგნი ოსნი და კახეთისაკენ ქიზიყელნი. მიზეზები ამათის განთავისუფლების იყო ის, რომ იგინი მოსახლეობდნენ მაღალ მთიანს ცივს ადგილებში, სადაც ხშირი იყო ბუნების სიმძლავრე და მოუსაფლობა და მეორე მათვე საზღვრადდნ სხვა და სხვა მტერი და ამათ ადგილმდებარეობანი.

ამათ ასეთის თავისუფლებისათვის თვით კანონდება, ანუ „ძეგლისდებაც“ დასწერა მან და ასეთ განთავისუფლებულთ წინ დაუდო საქმეთ. ერთის სიტყვით, ეს ხალხი მან სრულიად გაათარხნა, ვააზატა. მამულები საკუთრებად დაუმტკიცა ისე რომ, მათი მოდავე არავინ უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ბარის ხალხთ—ქიზიყელთ, მათგან თავად-აზნაურნი სრულიად გამოყო გლეხთაგან, გლეხნი გაანთავისუფლა მებატონეთა მონობისაგან, მასთან საკუთრებათ მამულებიც მიუზომა და მით მათში დააარსდა მამულის საერთო მფლობელობაც. ასეთივე წესები მინიჭებული აქნდათ მერღელის ხეობაში, იჭაურს ქართველებს, ვიდრე მათ ოსმალეთი დაიპყრდა და მათაც გაათათრებდა.



ასე იყო ამ ხალხის საქმე და ესენი თავიანთვის მამულეობით სცხოვრებდნენ ძველადგანვე და მათი მოდავე თავისუფლების ან მონების, ხარკის და ადგილ-მამულის მოტაცებისათვის სრულებით არავინ იყო. იგინიც ამის სანაცვლოდ ყოველ ომის დროს თვისის მდევრებით მზად უნდა ყოფილიყვნენ და მედგრად უნდა დაეცვათ თავი მტერთა თავ-დასხმისაგან. ეს ესეც იყო და იგინი ყოველთვის გმირულად იცავდნენ ქართლ-კახეთის თავისუფლებას, ამათი ასეთი სამსახური იქამდის საყურადღებო ყოფილა ძველადგანვე, რაისა გამო მათ ქართლისა და კახეთის მეფენი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და ყოველთვის თავაზით და სიყვარულითაც ექცეოდნენ. ასე იყო მათი საქმე ქართლ-კახეთის მეფეთა წინაშე ვიდრე ამ მეფეებს თავიანთი სამეფო ძალა და დიდება შესწევდათ.

განვლო დრომ, შეიცვალნენ გარემოებანი, ქართლისა და კახეთის მეფენი უძლურ იქმნენ, აქ ამის წყალობით ზოგიერთ თავადის შეილება მძლავრება იწყეს და თავის წამოყოფა, თითქმის მეფობა. მაგალითებრ ასეთნი ყოფილან არაგვის და ქსნის ერისთავები. ამათი ასე გამძლავრების და გაბატონების დასაწყისიც იწყება XVII საუკ. დამდეგიდამ. ნელ-ნელა ამათი მძლავრება ისე მოეწყო, რომ XVIII საუკ. შემდეგიდამ მათ თავისუფლად დაიწყეს გამეგობა, თითქმის მეფობა. საქმე ისე მოაწყეს, რომ მათ სამთავროს ეკლესიებში მღვდელნი მათს ცოლსა და შვილს მოიხსენებდნენ და არა მეფეს. ესენი ისე გათამამდნენ, რომ კინალამ ფულიც მოაჭრევინეს თვისის სახელით და მეფობაც უნდა დაეწყათ. მაგრამ ამას იგინი ადვილად ვერ ახერხებდნენ, რადგანაც მათ ერთგულნი თუ ჰყვადნენ, მიტომ მათ გვერდით ორგულნიც მოეპოვებოდათ მრავლად.

ამათვე ისურვეს მთის ხალხის დამორჩილება, გიორგი ბრწყინვალის წესების მოშლა, მთიელთა დასაკუთრება, მათი დაკობა, მათზედ ხარკის დადება, მათი მამულების უფლების წართმევა, მამულების მითვისება და ასე და ამგვარად მათში სრული ბატონყმური წესების, მონობის, ხარკის ხდის და სხვა ასეთ საქმეთა დამყარება და მორჩილების დაარსება. ქსნის და არაგვის ერისთავები ემძლავრებოდნენ მთის ხალხს და ეუბნებოდნენ, რომ თქვენი მთები და ადგილები სულ ჩვენი საკუთრება არის და თქვენც ჩვენი ყმანი ხართო. მთიელნი ამაზედ უარს ეუბნებოდნენ და ყოველთვის ეუბნებოდნენ ასე, რომ ჩვენ თქვენი არც ყმანი ვყოფილვართ, არც ვიქნებით და არც ჩვენს ადგილებს დაგანებებთ თქვენაო.



რამდენათ მებატონენი ებრძოდენ მთიელთ დასაყმობათ, იმდენათვე მთიელნიც მკაცრად ეწინააღმდეგებოდნენ, წინ უდგებოდენ და არაფერში მორჩილებას და თანხმობას არ უცხადებდენ. ამიტომ ქსნის და არაგვის ერისთავებთ და მთიელთა შორის დიდი უსიამოვნება და ბრძოლა იყო განაღებული; ერთმანეთს ხოცავდენ, ზღებოდა ისიც, რომ არაგვისა და ქსნის ერისთავებმა გამო მთისა და ბარის ქართველთ ყმა გლეხებთ შორის ომი ზღებოდა ერისთავების გულისთვის, ეს გლეხები ერთმანეთს ეომებოდენ და მით იცავდენ ბატონის ინტერესებს, ბედშავნი თავიანთის უმეცრებით უბრალოდ აკვდებოდენ ერთმანეთს. რასაკვირველია ხან ერთი მხარე სძლევდა და ხან მეორე, ბოლოს მაინც გამარჯვება ბატონისა იყო. პირველ ხანებში მათ უადვილესად შეაწინეს და დაიმორჩილეს ზოგი ოსებიც და მით იყრეს კიდევ. მათ მერე მოხევებსა, მთიელებს, თუშ-ფშავ-ხევსურეთ-შიაც შედგეს ფეხი, თუმცა ყმობისას კი ვერას აწყობდენ.

ერთხელ გაჯაგრებულმა არაგვის ერისთავმა შეყარა თავის საყმოს კარგა დიდი რიცხვი ყმებისა და მალე გაუდგა გზას მთის ხალხის დასამორჩილებლად. ეს თავის ყმა მეომარ გლეხებით მალე მივიდა სადავო მთიელებში და უკანასკნელათ განუცხადა არამც თუ მართო ყმობა და მამულების მითვისება, არამედ მთელი წლის საბატონყმო ხარკის გადახდაც, რამაც მთიულთა და ერისთავთ შორის დიდი შუღლი და მტრობა გამოიწვია. მაინც ბოლოს მთიელთ დაწესებით მოხდა, თითქოს დაყმობით, მაგრამ მაინც არც მის შემდეგ დაუდგა კაი დღე. ახლად გაბატონებული მალე იქმნა მას ყმებისაგან მოკლული. ეს გარემოება და საქმეები აი როგორ მომხდარა, რაც ზეპირ არის დარჩენილი და სადაც სამწუხაროდ იმ არაგვის ერისთავის სახელი კი არ იციან, რომელიც მთიელებს ყმობისთვის ებრძოდა და რომელიც ამის გამო თვის განზრახვასაც შეეწირა კიდევ. ეს შეწირვა ასე მომხდარა.

არაგვის ერისთავმა დაიმორჩილა მთიელნი და იყმო ივინი ძალით. მის მერე დაიწყო ახალ-დამონებულთაგან ხარკის აკრეფა, და ხარკის ასაკრებათ ბელლებს, ორმოებს და გოდრებსაც აესებდა, გლეხთა ბელლებში და ორმოებში თვით ძვრებოდა ხელებით შიგ, რომ მის იქილამ გადასახადის ხარკის ყოველივე კარგად, ბლომად და შერჩევით ამოელო წასაღებად. ერთს ოჯახში რომ შევიდა, მათ აღარ აცალა ხარკის გადახდა, ფვით ჩაყო ხელები და თავი გოდორში და იქილამ დაუწყო ყოველივეს ამოკრება. ეს გარემოება მის



ნაყმევ, თუ ძალით ნაყმევთ, ძრიელ ეწყინათ. იგინი სწრაფათ შვერთ-  
 დენ, რამდენიმე მთიელმა ხელდახელ გადაწყვიტეს ერისთავის მოკვ-  
 ლა, მისი ყმობის უარყოფა და სხვანა. ესენი ანაზღათ დასცემიან  
 ბატონს და ბელელიდამ ხორბლის ამოკრეფის დროს, თავ დახნეკილი-  
 სათვის ხელდახელ თავი მოუჭრიათ. მის მცველ სხვა გლებ ყმანიც  
 იქვე დაუმორჩილებიათ.

ასეთ ყმა გლებნი მთიელებმა დაამუხლეს, დაიმორჩილეს და თან  
 აუწყეს:

თქვენ კრინტი, ხმა არ ამოიღოთ და ეს თქვენი სვაფი ბატონი,  
 აი ამ გოდრით გადაჰკიდეთ ცხენს და ასე და ამ გვარად სახლში  
 მიუტანეთ მის სახლობას და აუწყეთ, რომ ეს ჩვენ მთიელ გლებებმა  
 ვქენით. ჩვენ მათი ყმანი არა ვყოფილვართ და არც ვიქნებით, დაგ-  
 ვანებონ თავი, თორემ ჩვენ დღეის შემდეგ უარეს ვიზამთ, არავის  
 რას დაუთმობთ და არც არავის ყმობას ავიტანთო.

ასე და ამ გვარათ გათავებულა ამ ერთ მებატონე არაგვის  
 ერისთავის საქმე და მოკლული ბატონი ყმებს გოდრით გადუქიდნიათ  
 ცხენზედ და შინისაკენ წაუღიათ.

რა მოხდა ამის შემდეგ არაგვის ერისთავებს და მთიელთა შო-  
 რის, ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ბრძოლა კიდევ გაგრძელ-  
 და, თუ მოისპო მათში ეს საყოველთაოდ და მთიელნიც ვერ იყმეს,  
 ვერ დაამუხლეს—ამაზედ არაფერია. ხოლო გადმოცემთ კი არის, რომ  
 მთიელთა ასეთ შეთქმისა და ამხედრებაში ჰირველი მეთაურობა  
 მთიელ გლებ ბურღულეებს ჰკაცებიათ, ამათ აუმოქმედებიათ გლებნი  
 ბატონის წინააღმდეგ და ამათ გვარის ხალხშია დარჩენილი ეს გად-  
 მოცემა, რომ ქსნისა და არაგვის ერისთავებს მთიელთ დაპყრობა,  
 ყმობა უნდოდათ, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს და გლებთა და მათ  
 შორის უბრალოდ დაიღვარა სისხლიო. გადმოცემა არის, რომ ეს  
 ამბები მოხდა ქართველ მეფეთა დროსო. ესეც შეიძლება, ვინაიდან  
 ვიცით კარგად, რომ თვით ჩვენი მეფეების დროსაც იყვნენ ისეთი  
 მებატონენი, რომ ბევრს საეკლესიო და სახასო გლებებსაც ედავე-  
 ბოდენ, ემტერებოდენ ძალით და სკდილობდენ მათ დაყმობას. ამის  
 მსგავსი მაგალითები თვით ახალს დროში, ანუ მე-XIX საუკუნეშიც  
 ხშირად მომხდარა და მოდავე მებატონესა და ყმათა შორის დაუს-  
 რულებელი დავაც ყოფილა ატეხილი და ხანდისხან სისხლიც დაღვ-  
 რილა ამის გამო; ამის მაგალითები თვით ჩვენს წიგნებშიაც არის  
 მოყვანილი.

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მემორიალი

ასეთ საქმეთა ცნობები მთის ხალხში ერთი და ორი პერიოდში  
ბოდა ძველად შენახული, ხოლო სამწუხაროდ იგი ჩვენთვის სრულიად  
უცნობია და თითქმის დაკარგულნი. დღეს მათი მხსოვნელი აღარა-  
ვინ არის. შეიძლება კიდევაც თითო ოროლა პირნი ასეთ საქმეთა  
მცოდნეების დღესაც არიან სადმე მათ შორის ცოცხალნი, მაგრამ  
მით რა, ჩვენთვის არაფერი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ მათ ვერ მივს-  
წვდებით და მათ კიდევ ჩვენი ფინაობა არ იციან. ვინც მათ გვერ-  
დით არიან და იცნობენ მათ ცხოვრების ვითარებას, იმათ კიდევ  
მცს შეგნება არა აქვსთ, რომ ისარგებლონ შემთხვევით და მცოდნე  
კაცთა საშუალებით რამე დასწერონ. ასე იქარგება ყველაფერი და  
ისპობა.

### მოახლე და ნაბიჯარი

„მოახლე“ იცოდნენ იქ, სადაც ბატონ-ყმობა იყო. ბატონი თავის  
ქალს რომ გაათხოვებდა, მაშინ ქალს მზითვეში თავის ყმის ქა-  
ლებსაც ატანდა მოახლედ, ხან ერთს გოგოს, ხან ორს. ეს წესები  
მართოდ მებატონეებმა იცოდნენ, თორემ მოახლეს გატანება სხვა  
წოდებაში სულ არ იცოდნენ, მაგალითებრ თუნდ მთის ხალხში. აქ  
მათ მოახლე სულ არ იცოდნენ, ამიტომ მათში არც ბატონ-ყმობა  
არსებობდა, მთაში მოახლეს ხსენებაც არ იცოდნენ. ეს უტყუარი სა-  
ბუთია, რომ „მოახლე“ მხოლოდ ამ გარემოებისაგან იქმნა წარმო-  
შობილი და აღორძინებული ქართველებში, მძლავრ და ბოროტ მება-  
ტონეთა უბეში უფლებებისაგან.

II.

# გატყუებობა სამედიცინო

მასალები.

## ბატონყმობა სამფილდეში

(ნაამბობი 80 წლის მოხუცის ეკატერინე არუთინის ასულის ხარუხანოვის მიერ).

ეს მოხუცი მამით სომეხი, ქმრით ქართველი, თავის დროს თფილისის გამოჩენილ ქართველი ვაჭარის ისაკ სარუხანოვის მეფულეა, კარგი მცოდნე ქართული წერა-კითხვის, რომელსაც კარგად აბსოვდა ეს ამბები, ხოლო ის კი აღარ იცოდა თუ სად მოხდა, რომელ სოფელში, ისე მთელმა ქვეყანამ იცოდა რომ სომხეთში მოხდა (სამშვილდე) და იქ ამას ვინ იზამდა, თუ არ ორბელიანები, მელიქიანი, ბარათაშვილი, ჭორაანი, რავილოვები და სხვა ამ გვარნი ამით გარდა იქ სხვა ხომ არავინ არისო. ესეც მისი ცნობები:

1840 წლებში მე პატარა ვიყავ, ბატონყმობაზედ მაშინ ბევრი ლაპარაკი იცოდნენ ხალხში, მებატონეთაგან ყმების დაჩაგვრის შესახებ მე ბევრი რამ შემიტყვია, ჩვენს სახლში თითქმის მუდამ დღე ლაპარაკობდნენ სულ ახალ-ახალ ამბებს, რომ ამა და ამ ბატონმა თავის ყმებს ასე უყო, ასე დაჩაგრაო, იმან ვასყიდა იგი, ამან დააგირავა, იმან ცოლი წაართო პირველი ლამისთვის, და ვინ იცის რამდენი სხვა ასეთებიო.

მე კარგად მახსოვს, რომ პირველ ლამეს არამც თუ თავადები მიზღვედნენ, არამედ აზნაურის შვილებიცო. ასეთი იყო ერთი დღუშელი აზნაური სიმონ კობიაშვილი, რომელიც თავის ყმებში უამისოდ არავის გაუშვებდაო, ასეთივე იყო ერთი მისი მეგობარი აზნაური ზანდუკელიო. ეს მეორე ისეთი ბრძანებულა, რომ სადაც ქალი მოეწონებოდა, იქიდან ქმრის პატრონსაც გააქცუნებდაო. ასე და ამ გვარად, ასეთი საქმის ცნობები ხშირად ისმოდა ჩვენსაო. მაშინ ყველა სძრაბავდა ასეთ ბატონს და ყველა ჰკიცხავდაო, რომ ეს არ უნდა ქნანო. ისიც კი სცოდნია კობიაშვილს, რომ პირველ ლამის არ შესრულებისათვის თვის ყმებს დაარბევდა კიდევცაო, ბევრჯერ დაურბევია მასზედ, თუ ჩემს ნება დაურთველათ რათ ინებეთ და ჯვარი რათ დაიწერეთო.

იყო ისიც ხშირად, რომ ყმის გოგო და ბიჭი ჯვარდაუწერავი





შეკავშირდებოდნენ. ეს ხდებოდა უფრო იქ, რომელ მებატონეც პირველი ლამე იყოდა. ამას ჩადიოდნენ ბატონის ჯიბრით, ჯვარს მერე დაიწერდნენ. ასეთ ამბებს რა შეიტყობდა, მებატონე იგი ცეცხლივით აენთებოდა და ყმებს არბევდა, ეს ასე რათ ქენით, უჩემოთ რათ შეუღლდით, ჯვარდაუწერავი შეკავშირება ჯამბაზობა არისო. სიტყვა და საყვედური მისი ასეთი იყო, საგანი კი სხვა, მას გული სტიკვოდა იმაზედ, რომ ეს მე რათ ამცდა და ეს ოინი რათ მიყვესო. ასეთ ყმებს მებატონე დიდს ჯარიმას ადებდა გადასახდელად, პირველი მიტომ რომ ჩემს ჩუმათ რათ ქენით ესა, და მეორე ეს ხომ ბოზობა არის და მე ჩემს ყმის გოგოებს და ბიჭებს ბოზობის ნებას არ მივსცემო.

ყმებს ასეთის დარიგებით უტიტიებდა და თვით რომ პირველ ლამეებს მიჰყვანდა და ვინ იცის რას არ ჩადიოდა, ეს კი მას გარყვნილებათ და ბოზობათ არ მიაჩნდა. ასეთი მებატონენი მრავლად იყვნენ მაშინ და მათ შორის დიდათ სახელოვნებდნენ როგორც სიმონ კობიაშვილი, ისევე ალექსი საგინოვი, კოდის მებატონე აზნაური. მაგალითებრ ა. საგინოვი კოდაზედ მუსუსი იყო თავის ყმებში პირველი ლამის, ძნელად რომ ამას ვინმე გადაჩენოდა თვის ყმებში. ერთ ყმას გადაეკიდა, ამ ყმის გოგოს გულისთვის მისი საქმროს ცუდი დღე დააყენა, უჩივლა მთავრობის ნაწილში, ცილი დასწამა უჯათობის, ყმა ბიჭი ხუთი წლით ციმბირს გააგზავნინა და თვითონ კი იმ გოგოზედ ისრულა გულის წადილი. ყმა ბიჭი წ წლით იყო გაგზავნილი; დრო გავიდა, ბიჭი ციმბირიდან მოვიდა, თვისი საცოლო გაუთხოვარი დახედა, თუმცა ბატონმა ეს გოგო კარგა ხანს ჯიჯგნა, მაგრამ ბიჭმც მაინც არ მიხედა ამ გარემოებას და ბატონის ჯავრით მაინც შეირთო ეს გოგო. ეს ამბები მომხდარა 1845 წლებში.

მერე ეს წნე ბნელი ბატონი ამ ყმა ბიჭს ნიშნსაც უგებდა თურმე, რომ აი დედა გეტირა შენაო, არ გინდოდა მორჩილება, უჩემოდ გინდოდა გოგო წაგეყვანაო. ასე მოგივიდა, ასე მოუვათ შენისთანებსაო. მე ჩემი ავასრულე, შენ წ წლით ციმბირს წახველ და მე ჩემი მაინც ვქენიო. ასეთი საქმენი ამ ბატონს ხშირად ჩაუდენია, მას ამისათვის ხმას მით უფრო ვერ სცემდნენ, რადგანაც იგი სამხედრო სამსახურშიც ყოფილა და მაშინ ყმა გლეხებს დიდი შიში აქვდათ სამხედრო სამსახურის მებატონე პირების. მათ ხმას, კრინტს „ვერ“ აკადრებდნენ. ასეთი პირებიც ამ გარემოებით მეტად დიდათ სარგებლობდნენ და მით დიდს ბოროტებასაც

ჩადიოდნენ. მათ ხშირად თვის სიამოვნების გარეშე თავიანთი ქალღმერთისა და ცოლებზედ სხვა და სხვა სამხედრო პირებსაც ეპატრონებოდნენ ხოლმე: მაგალითებრ, სადმე სოფლად რომელიმე მებატონეს წვეულება ჰქონდა და ამას აქ ესტუმრებოდნენ სხვა და სხვა სამხედრო პირები, ესენი დღისით კარგა იქეიფებდნენ, ასევე ღამე და როცა სურვილი ექნებოდათ, მაშინ ბატონი მისპინძელი თავის საყმოში სადაც კი ღამაში ქალი ეგულებოდა, იქ გაგზავნიდა კაცს, დაიბარებდა აღნიშნულ ქალს და სტუმარს მიართმევდა სასიამოვნოდ. რასაკვირველია ყოველივე ეს ჩუმით ხდებოდა, ყმის ქალის ქმარი ან სხვა ვინმე ამას ვერ შეიტყობდა, თვით ქალი კიდევ არსად რას იტყოდა, რადგანაც იგი ამისთვის საჩუქრებსაც მიიღებდა.

ასე ნაგარდობდნენ ბატონები უფრო იქით, სადაც ყმები სასტიკათ ჰყავდათ დამონებული. ასეთი იყო სომხეთი, ქართლი, და სხვა ისეთი ადგილები, სადაც ქალაქის ხალხი ხშირად არ ხდებოდა.

სამშვილდის ერთმა ბატონმა, (სომხეთი) 1840 წ. ერთსოფელში თავის შინა ყმას დაავალა, სოფელში ცხენი მიშოვნე და მომიყვანეო. მსახური წავიდა, მიმოვლო სოფელი, მაგრამ ყმებთაგან შინ აღარავინ დახვდა, ყველა წასულიყო სამუშაოდ და ცხენებიც წაიყვანათ თან, ამიტომ ვერსად ვერა იშოვნა რა, დაბრუნდა შინ და ბატონს მოახსენა:

ბატონო, ვერსად რას გავხდი, სულ წასულან სამუშაოდ და ყველას ცხენებიც თან წაუყვანიათო.

ბატონი გაცეცხლებულა ამაზედ და დაუწყია ჯავრობა.

შენ, რატო ადრე არ წახველი და შინ არ მოასწარი მათ, შე მამაძალო, ეს შენ განგებ ჰქენი. მე შენ გასწავლი ჰკუას, მე შენ გიჩვენებ საქმეს, გამოიტა ეხლავ უნავირი, აქ მოიტა ჩქარა.

ყმა ბიჭმა მოიტანა საჩქაროდ. ბატონმა უბრძანა: დადექოთხე თორემ მოგკალო.

ყმა დადგა ხელს-ფეხზედ, ბატონმა ასე დაჩოქილს წელზედ უნავირი დაადგა და გასწია იქით, საითაც მიდიოდა. ყმამ ბედშავმა ატარა ბატონი ასე, დიდის წვალეებით მოიყვანა დანიშნულ ალაგას, მაგრამ თვით-კი საღამოზე გარდაიკვალა. ამ ამბისაგან თურმე ხალხს სულ გრუანტელი მოსდიოდა. ეს ნამდვილი ამბავია, დღეს-კი შეიძლება არავინ დაიჯეროს ასეთი ამბავი.

ამ საქმის ჩამდენი ბატონი ნამდვილი მტერი ყოფილა თვისის



ყმების და დიდი მტანჯველი, ერთი ბეწო დანაშაულის გამოცემის სისხლს აღენდა ცხვირ-პირიდან, მისის წყალობით ბევრი ყმა გამოსალმებია ამ წუთი-სოფელს უდროვოდ და უსაბაზოდ. აი კიდევ მაგალითი: ამ ბატონის ერთმა ყმამ რაღაც დააშავა, ბატონი გაგულისდა, გაუჯავრდა და უთხრა:

როგორ თუ შენ გაპატიო, დღეს შენ გაპატივე, ხვალ სხვას, ზეგ კიდევ შენს ნათესავს, ამხანაგს, მეზობელს, მაშ მე ბატონი აღარ ვყოფილვარ, მაშ მე რა მქვიან, რა ვარ, რას ვაკეთებ, შე თქვენ გაჩვენებ, შე გასწავლით ჭკუასო.

ეს გლეხი დასაჯა ასე: გაიყვანა იქვე სოფლის ახლოს ტყეში, სადაც კალოც ჰქონდა მას, იქ გაატიტვლა იგი, ტანზედ თაფლი წაუსვა და მერე ხეზედ მიაკრა. გავიდა დღე, დადგა ჰაპანაქება სიციხე და ამ ყმას დაეხვია ბუზები, ამით დაიტანჯა იგი, ეხვეწებოდა ბატონს ასე:

ბატონო ამხსენ, მიშველე, ნუ მტანჯავ, შეყოფა, დავიწვი, დავიდაგე, ბუზები მტანჯავენ, ამხსენ, თავი მომჭერ, მომკალ. დამიხსენ ამ სატანჯველისაგან.

ბატონი უფრო კერპდებოდა და ზედაც არ უყურებდა, ხოლო ხანდისხან დაუყვირებდა:

ეგრე უნდა შენისთანა მამაძალღებს, ეგრე უნდა გასწავლოთ ჭკუა, ჯანდაბას შენი თავი, თუ იტანჯები, შე რა მესაქმება, ეგრე გინდა შენ; რატომ არ იცი, რომ ბატონის წინააღმდეგს ყმას ეგრე მოუვა, მოკვდი მაგ ხეზედ, არ აგხსნი.

ასე დაიტანჯა მთელ დღეს ყმა, მაგრამ ბატონმა მაინც არ ახსნა. ამით ჭკუას ასწავლიდა სხვა გლეხებს. საღამოს აღსნა, მაგრამ ამ დროს, ეს ახსნილი უკვე დასივდა, რაღაც შხამიან ბუზებსაც დაეკბინათ, მთელი ღამე იტანჯა დასიებულმა და მესამე დღეს ვეღარ შესძლო და დიდის ტანჯვით მოკვდა. ასე დატანჯულა და წამებულა ბევრი ყმა ამ ბატონისაგან.

III.

# გატონუფობა კანეთუი

მასალეზი.

## პაატა ბალაშვილი.

(ნაამბობი საბა გიორგის ძე ბალაშვილის მიერ).

პაატა ბალაშვილი სცხოვრებდა XVIII საუკ. მაინც უსისწოროთ მე ვერას ვიტყვი, რადგანაც ამ პირის წესსახებ დაწერილებით მომთხრობი პირნი ვერ ვნახე. რაც ვიცი იმასაც მოვიყვან. მე ყურადღება მივაქციე ამ პირის მართოდ ერთს გარემოებას, მაგალითებზე, რომელიც ხალხში იყო დაშთენილი, რომ პაატა ბალაშვილმა მთელი ქიზიყის გლეხ-კაცობა თავ. ანდრონიკაშვილებს აუჯანყაო.

საქმე ასე ყოფილა:

ყველამ ვიცით ისტორიით, რომ ქიზიყი ძველადგანვე განთავისუფლებული იყო ბატონ-ყმობისაგან, ივინი ემორჩილებოდნენ მხოლოდ ბოდბის მიტროპოლიტს. მათი ბატონი და მბრძანებელი ეს მიტროპოლიტი იყო. ამას გარდა ესევე პირი იყო მათი კანონმდებელი, მთელი ქიზიყის სადავო საქმენი კვირა დღეობით განიბჭობოდა, წირვის შემდეგ, ამ მიტროპოლიტის თანადასწრებით.

თუ რომ სამხედრო საქმე იქმნებოდა, მაშინ ქიზიყელნი თავიანთ ნებით უნდა გამოსულიყვნ საომრად და სხვა ასეთ სამხედრო საქმეთათვისაც. ასეთი იყო ვალდებულება მათი. მათ აქვდათ მეფეთაგან მოძებული სითარხნე, მასთან ადგილები—ტყეები, სახნავი ადგილები, საბალახე ადგილები და სხვა მრავალი ამგვარნი. ამიტომ მათში ძველადანვე მამულის საერთო მვლობელობა არსებობდა.

გადმოცემის ცნობებით, ერთს ანდრონიკაშვილს შეშურებია ქიზიყელთა ასეთი მდგომარეობა და მეფე შეუწყუხებია, რომ უბატონო ყმები სამეფოსათვის არ არიან გამოსადეგნიო, მე მიბოძეთ ქიზიყელთა ბატონობა, მათი დაყმობა და სხვა. საქმე ჩემი იყოს, მე დავიმორჩილებ მათაო. მევე თურჴე უარს ეუბნებოდა, რომ არ იზამენ, არ დაგემორჩილებიან და ტყუილად შეეცდები და სისხლს დაღვრიო. თავ. ანდრონიკაშვილი მაინც ავალბდა თხოვნის შესრულებას.

ბევრი ლაპარაკის და დავალების შემდეგ მეფე დაიყოლია თურმე. მეფემ ნება მისცა და უთხრა შემდეგ:



— კარგი, წადი და ნახე, სცადე, თუ ქიზიყელებს იყვობ და ან მათ მამულებს დაიჩემებო.

ანდრონიკაშვილსაც ეს უნდოდა. მალე შეუდგა საქმის მოწესებას, ხოლო ამისათვის მას მორიდება აქვდა ქიზიყის მოწინავე კაცების, რომელნიც მის გაბატონებას ქიზიყზე ადვილად ვერ დასთმობდნენ, არც მამულების მიჩემების ნებას მისცემდნენ; ამისთვის შეხატლებელი იყო მათში ომიც ატეხილიყო და იქნება ბოლოს მას არც კი გაემარჯვნა. ამიტომ მან არჩია, რომ ჯერედ მოწინავე პირებს მივიმხრობ, მათ დავეყოლიებ ნებიო, თუ ეს არ იქმნა, მაშინ ძალითო და მის მერე ხალხსაც ადვილად დავიმორჩილებო.

ეს მალე შესდგომია ამის თავდარიგს. ამ დროს, ქიზიყში, ქიზიყელთ შორის, ერთ მოწინავე პირად თურმე პაატა ბალაშვილი ითვლებოდა. პირველად საუბარი ახალ მებატონეს ამ პაატასთან მოხვედრია, მაგრამ პაატას შორის დაუტერია საქმე და უარი უთქვამს— ჩვენი არც ყვობა შეიძლება და არც მამულების მითვისებაო. ამ გარემოებას დიდი აურ-ზაღრი გამოუწვევია მათ შორის, მას განხეთქილებაც გამოუწვევია. ბოლოს მათში ბრძოლაც დაწყობილა. პაატა ბალაშვილს მრავალ-ნაირად უღვაწნია, მაგრამ ტყბილის უარით და დარიგებით ვერა გაუწყვია რა.

ბოლოს ქიზიყელი გლეხნი შეუყრია ერთათ, მოულაპარაკნათ დაწერილებით და მის მერე გადუწყვეტიად თავ. ანდრონიკაშვილის წინააღმდეგ მძლავრის საგლებო სახით ერთად შეერთება და ბრძოლის გაწევა. ამათ მალე მოუხერხებიათ ეს და თავ. ანდრონიკაშვილს მკაცრათაც დახვედრიან და მალე შებმიან კიდევ. ამ შებმის პირდაპირი მიზეზი ყოფილა შემდეგი: ქიზიყელთ ბატონი არც ჰყოლიათ და არც ეყოლებათ, ქიზიყელთა მამულები ყოველთვის მათი ყოფილა, სხვა პატრონი მას არ ჰყოლია და არც დღეის შემდეგ ეყოლება მას გლებთა გარეშე სხვა პატრონებო.

ასეთი გადაწყვეტილი განცხადება თავ. ანდრონიკაშვილს ძრიელ სწყენია, მას სხვადასხვა ზომები უხმარია, მაგრამ გაწყობით კი ვერა გაუწყვია რა. ყოველივე ამიო ბრძოლად დაშთენია. ბოლოს ამ ბრძოლაში მომკვდარა კიდევ. ამის სიკვდილის შესახებ ასე გადმოგვცემენ:

ქიზიყში გამოჩენილია «დაკული ტყე», დიდი ტყე, ეხლა იგი მთავრობას ეკუთვნის, წინედ იგი ქიზიყელ გლებების იყო, ყველა ხმარობდა აქედამ შეშას. ზოგნი ამ ტყეს, „პაატას ტყეს“ უწოდებ-



დნენ. ახალ მებატონე ანდრონიკაშვილს ამ ტყეში სდომნია გაბატონება. აქ უნდა აეგო თავისი კოშკი და აქ უნდა მიემხრო გლეხ მომხრენი და აქედამ უნდა გაეცხადებინა თავის მეფობა ქიზიყელებზედ. მეფესაც თურმე ეს ტყე სთხოვა საუფლოდ, ასე აღუწყო: იქ გავიკეთებ ბინას და იქილამ ვაეცხადებ ჩემს უფლებას ქიზიყელ გლეხებზედო.

ასე ფიქრობდა თავადი და ეს მალეც მივიდა ამ ტყეში და ბინა გაიკეთა. მალე მიიხმო თვისკენ ზოგიერთ გლეხნი და მათ შორის პაატაც. საუბრის განცხადების შემდეგ, მას ერთგულთ ნაცვლად მოკამათენი აღმოუჩნდნენ, ყველამ უარი უთხრა გაბატონებაზედ, ნუ განიზრახავთ ამას, თორემ შედეგად ცუდი საქმე მოპყვება, სისხლი დაიღვრებაო. თავადი მანც არ დაყაბულდა და ამბობდა, რომ რა გაეწყობა, უშრომლად და უსისხლოდ უფლების მოპოება არ იქნებაო. ამ გარემოებამ გამოიწვია ის მღელვარე გარემოება, რომ მალე გლეხები შეითქვეც ერთად და საერთოს მიზნით „დაცულ ტყეში“ დაეცნენ ბატონობის მონატრე თავადს და რამდენიმე ხნის განმავლობაში იქილამ გამოსდგენეს თავის თანამგრძობლებით. ეს გამოდევნა ისეთი მძლავრის სახით და გმირობით ყოფილა, რომ მის შემდეგ თავადს ანდრონიკაშვილს საყოველთაოდ იმედი ვადანწყვეტია ქიზიყელთა დაყობაზედ. გადმოცემით ვიცით, რომ ამ საქმეების გამო დიდი აურ-ზაური მომხდარა, დიდი მითქმა-მოთქმა და გლეხთა მღელვარება დაყობის წინააღმდეგ. სამწუხაროდ ყოველივე ამისი კი ჩვენ არაფერი ვიცით. არც არავის რა მაშინ დაუწერია, არც ეხლა ჩვენს დროში. არის მხოლოდ ერთი პატარა წიგნი, სახელდობრ «საყმაწვილო ამბები» მღ. ასათიანისა, სადაც სხვათა შორის მოთავსებულია ერთი ამბავი:—ქიზიყური ანუ ბოდბური ამბავი, სადაც აწერილია პაატას გმირობის ამბავი. ამბები ზეპირ გადმოცემით შეთხუზულია. აქ ამ აღწერაში აღნუსხულია პაატას გმირობის ამბები, რა გმირობასაც იგი იჩენდა მეფე ერეკლეს და ლეკების წინაშე. ამ გმირობაშიდაც იგი შესამჩნევი ყოფილა და ლეკების მდევნელი, მხოლოდ ეს საგანი ჩვენ წიგნს არ ეხება, ამიტომ ამას აქ არ ვნუსხავთ.

რაც შეეხება ქიზიყელ გლეხთა ისტორიას და მამულის საეროო მფლობელობას, ეს კი მეტად საინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის. რაც შეეხება ამათ ცხოვრების ვითარებას და პირობებს, მათზედ უმკვებელია არა ერთსა და ორს მებატონეს ექიჩრებოდა თვალი, ვინაიდან



ქიზიყელნი ბატონობიდან გამოსვლის შემდეგ, კარგად დაწინაურდნენ ქონებით, მათში ბაგანო, ბეითალი, ეული და ხიზანი მოისპო, ყველა სახასო გლები იყო. ეს კი წინააღმდეგი იყო მეზატონეთათვის, რადგანაც მათი გლებეტიც ეცდებოდნენ ქიზიყელთა მსგავსად კისრიდან ბატონის უღლის გადავდებას, გათავისუფლებას და მისთვის ზრუნვას, რაც დღითი-დღე უფრო და უფრო მძლავრს სახეს და მიმართავს იღებდა.

უნდა ვსთქვათ, რომ კახელ მეზატონეთა ბოროტების შესახებ ჩვენ ბევრი არაფერი ცნობები გვაქვს. ერთმს მზრით ისე გამოდის, რომ თითქოს აქაური მეზატონენი მღვთის ანგელოზები ყოფილიყვნენ და მათ კახელი გლებ-კაცობა არ უნდა ედევნათ. საერთოდ რომ ითქვას, შედარებით კახელ მეზატონეთა ქართლისაზედ, მაშინ ქართლის მეზატონენი ბევრად ბოროტად აღმოჩნდებიან. მართალია კახეთში ეს ისე არ იყო, რადგანაც ამ გარემოებას თვით კახელ ერის მდგომარეობა და პირობები იწვევდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მაინც მათშიაც იყო ბატონობა, მისი წესები და მასთან ბოროტებაც.

პირდაპირ გვარითა და სახელებით კი ვერ დავასახელებთ ყველას, მაგრამ ამბებით კი ვიცი, რომ კახელ თავად-აზნაურთ შორისაც მრავალნი ყოფილან დიდის ბოროტებით სავსენი და მათ გლებებზედ ისეთი შეხედულება ჰქონიათ, როგორც უღირს რამე ცხოველებზედ. ასეთი პირებით სავსე იყო კახეთი თვით იმ დროსაც, როცა ბატონყმობის გადავარდნა კედებოდა და როცა თავ. რევ. ანდრონიკაშვილი ამბობდა, რომ „მთავრობა გლებებს უმიწაწყლოდ ათავისუფლებს და მოდით და ამიტომ ჩვენის ერთ დროის ბატონ-ყმობის ცხოვრების სამახსოვროდ და სიყვარულისთვის თითო გლებს თითო ალაგი მივსცეთ უფულოთაო, სულ ერთია ჩვენ ეს მიწები მაინც წაგვივა ხელიდამ და მათის ამგვარის დაჯილდოვებით კი ჩვენ დიდს საერთო მოსაგონარს სიყვარულს დავაუყენებთო“. ამას ამბობდა ესა და ამის მსგავსნი კაცნი, მაგრამ უმეტესი ნაწილი წინააღმდეგი იყო და მათ გლებებისათვის თვით გათავისუფლებაც-კი მეტად შიანდათ.



IV.

გატენუმტგა გუჩიუში

მასალეზი.

## გენერლის თავ. გრიგოლ დავითის-ძე გურიელის ნათმეცნიერი 1890 წ.

ცნობილ დათა გუგუნავამ ბევრი ყმის ოჯახი აიკლო ოსტატურად და დაარბია. ტაცვას გარეშე ჩვეული იყო ყმათა შვილების წართმევას და ოსმალში ჩუმით თუ აშკარად გადარეკვას და დასყიდვას. ერთს ლანჩხუთელ ყმის ქვრივ ქალს შვილი წაართო, ასული და ოსმალში გაუყიდა. ამ ქალის დედა ნიგოეთელი ქალი ღნდა იყოს. საწყალი შვილის მოტაცვისაგან დიდათ დაღონდა. დაღონებულს ბატონმა მუქარა შეუთვალა:

— გაჩერდი და დადექი შენთვის, თორემ შენც შენს ქალს მიგაყოლებ და იქ ორივე ერთად იქნებიო.

ბატონის ასეთი მუქარა დარბეულს ყმის ცოლს ელდასავით ეცა გულსა და სულში და ბედშავი, რომ მეც არ დამლუპოსო, შიშინსაგან გაგიჟდა. დღესაც ცოცხალია იგი და ოზურგეთში ვისაც შეხედება უცხო, მოსულ კაცს, ყველას იმას შესჩივის, რომ ჩემმა მებატონემ დამლუპა ასეო.

ამ დათა გუგუნავას ბევრი რამ საქმენი მიუძღვის ასეთნი.

ოზურგეთში სცხოვრობს ერთი მოხუცი დედაკაცი, რომელიც გაგიჟებულა შვილების სიმწარით იმ დროს, როცა მის მებატონეს მისთვის შვილები დაჟტაცნია და ოსმალში დაუყიდნია. ამ დედაკაცს ბატონმა ორი ქალი ერთათ წაართვა და ოსმალში დაყიდა. ამ შვილების მოტაცვისაგან დედა სასტიკად დაეცა სულით. დღესაც საწყალი ვისაც ნახავს ოზურგეთში ახლად მოსულთ, მაშინათვე გააჩერებს და ჰკითხავს:

— ბატონო თქვენი ჭირიმეთ, ოსმალში ჩემი ქალები ხომ არ გინახამთო. თქვენი ჭირიმეთ, არზა მიმართავით ხელმწიფეს რომ ჩემი ქალები იქიდან დამიბრუნდნო.

თვით გენერალი გრიგოლ გურიელი რომ ენახა ოზურგეთში პირველად მოსულთ, გზაში გაეჩერებინა და ასე მიემართნა:

ბატონო, მიშველეთ რამე, რომ ეგები ჩემი ქალები ცოცხლები

ენახო. არზა მიმირთვით ხელმწიფესაო. ასე მიაბზო ყოველი სახეა გრიგოლ გურიელმა.

ივანე ჟორდანიძე—ლანჩხუთელი მებატონე, აზნაურის შვილი, რუსულ შკოლაში ნამყოფ-ნასწაველი, რუსული ენის მკოდნე, და მერე მთარგმნელი ქართულიდან რუსულს ენაზე იყო დიდი ყმა და მამულის პატრონი. მისი შეძლება ბევრს თავადის ყმა და მამულს აღემატებოდა.

იყო მეტად ბოროტი კაცი, უდიერი, ყმათა მღვენელი, მჩაგვრელი, მტაცავი და დამრბევი. უბრალო რამ დანაშაულობისათვის ყმებს სტანჯავდა და სჯიდა ყოველთვის უხეთოდ. ართმევდა ბევრს ხარჯს, იმდენ ბოროტებას ჩადიოდა, რომ მისი ანუსხვა ერთობ ძნელია. ამისმა ბოროტებამ ქვეყანა შეაწუხა, როგორც მთარგმნელი იყო ყალბი, მიმდგომი, საითაც შეძლებას ნახავდა, თარჯიმანობას იმის სასარგებლოდ მიაქცევდა. ემტერებოდა დიდათ გლეხებს და ნამეტურ თავის ყმებს.

მისი უსამართლობა და ბოროტება ყოველთვის იფარებოდა, რადგანაც რუსული ენა იცოდა და თავს მართლობდა მთავრობის წინაშე. ბოროტებამ იგი იქამდის მიიყვანა, რომ 1850 წ. იგი მოკლა თავის ყმამ.

იყო ისეთი მედიდური და ასპიტი, ისეთი თავმოყვარე, რომ ყმა გლეხ-კაცს—მოხუცს, თუ ახალგაზდას—კაცს, თუ ქალს, სახელის წოდების ღირსს არ გახდიდა და ძახების დროს. სახელი მას მათ შესახებ უღირსად მიიჩნდა. ყველას ასე უწოდებდა:

მამაძაღლო აქ მო, მამაძაღლო იქ წადი, მამაძაღლო მოიტა, მამაძაღლო ჩქარა და სხვანი.

აი სწორედ ამ ბოროტებამ გამოიწვია მისი მოკვლა. მას კარგი განწყობილება არც თავის სახლი-კაც ჟორდანიებთან აქვდა, მათაც ემტერებოდა და ხშირად ედავებოდა კიდევ, მასთან ყველას სჯობნიდა თურმე. ამ ივანე ჟორდანიას მეუღლე იყო ნინო თავდგირიძის ასული. 1860 წ. ამან მთავრობას სია წარუდგინა თავის ქმრის მამულების და გლეხების, რათა მთავრობას მისთვის დაემტკიცებინა. სიიდან სჩანს, რომ 40 კომლი ყმა ჰყოლია, შენაძენი და წანატაცი, თავის საკუთარი მამაპაეული ყმები სხვანი ყოფილან და ასევე დიდი ძალი მამულ-დედული ჰქონია. მოკვლის შემდეგ ყოველივე ოხრად დაშთენია მეუღლესაც. ამაზე იტყოდენ ლანჩხუთშიო:

„პარმად შექენილ, წანართმევე-შენაბოჭი—პარმათვე წაუფერდაო“  
სახლის კაცებიც სწყველიდენ თურმე მას. მათაც ბევრი რამ მწალობდა  
თვაო, თურმე.

\* \* \*

1850 წლებში, თავ. ზურაბ ერისთავი გურიაში კარგათ იყო ცნობილი, იგი კაი მამულ-დედულის პატრონი თავადის შვილი იყო და მასთან დიდი ყმაც ჰყვანდა. სამწუხაროდ, მას ჩვეულება აქვდა თავის ყმის შვილების მოტაცვის, მათი ოსმალში გადაარეყვის და დასყიდვას და მრავალიც სხვა ასეთნი იცოდა მან.

ერთ თავის გლებ ჰქვივ ყმა კაცს, რომელსაც ცოლი მოუყვდა და ამისაგან დაშთა ორი ქალი, ბატონი გადაეყიდა ამ კაცსა და ჯერეთ ერთი ქალი წაართვა და ოსმალში გაუყიდა, მცირე ხანს შემდეგ მეორე ქალიც წაართვა და ესეც გაუყიდა ოსმალში, ყმა გლები ამ გარემოებამ დიდათ დაალონა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონმა ეს გლები ყმაც თავის სახლში გადაიყვანა შინ მოსამსახურედ. ამ გარემოებამ ყმა გლებს მოუშალა საოჯახო საქმენი, მისი ყოველივე დაემხო და გაუქმდა. ამას გარეშე იგი უკმაყოფილო იყო უფრო მასზედ, რომ ბატონმა ეს რათ მიყო და ქალები რათ წამართო, უშვილოდ რათ დამტოვა, ოსმალში რათ გამიყიდაო.

ამიტომ დარბეულმა გლებმა განიზრახა ბატონის მოკვლა. ამას აქეზებდა ბატონის სხვა უდიერი საქციელნიც, რომ იგი სხვებშიაც ბოროტი იყო. ყმა მოემზადა მოსაკლავად, იშოვნა დრო, ერთ ღამეს დაეცა ბატონს, მოკლა, სულ ნაჭერ ნაჭერ აკუწა და თვითონაც იმ ღამესვე ოსმალეთში გადავარდა და მოსძებნა თავისი ქალები და იმათთან დასახლდა. იქ ამან თავის შვილებით ოსლამიც მიიღეს.

ნათესავებმა ყოველივე კარგად შეიტყვეს, რომ ზურაბ ერისთავი მისმა ყმამ მოკლა, მას ძებნაც დაუწყეს და ოსმალშიც გაგზავნეს კაცი, მივრამ ვერა გააწყეს რა და საქმე გათავდა.

\* \* \*

1850 წელს სცხოვრებდა ერთი აზნაური, გვირად ელენტი. ეს მებატონე ელენტი იყო დიდი ბოროტი კაცი. იგი ისე არავის აწუხებდა და სტანჯავდა, როგორც თავის ყმებს. სამსახურში ხულ დღეს უმწარებდა, ერთ ბეწო მოსვენებას არ აძლევდა. სადმე ყმა რომ მოსვენებული ენახა, თქვენი მტერი, რასაც იმას უზამდა.



დარბევა, დაწიოკება, შვილების მოტაცვა, დასყიდვა  
ლობა იყო.

გარდა ასეთ ბოროტებისა, იგი თავის გლეხებს კისერზე აჯღე-  
ბოდა და გინდ ერთი ვერსის სიშორეზედ ყოფილიყო, ყმას უნდა  
ეტარებინა კისერზედ მუჯდომი. ვისაც და როდესაც უნდა ყმას სწო-  
რედ მაშინ შეაჯღებოდა კისერზედ და ეტყოდა იქით და აქეთ წა-  
მიყვანეო. ამისმა ასეთმა საქციელმა მოაბეზრა მისი ყმები. მისი უკმა-  
ყოფილონი იყვნენ ყმებს გარდა სხვანიც, რადგანაც მისი ასეთი საქ-  
ციელი არავის მოსწონდა.

მისი ყმების უკმაყოფილება ყოველ კუთხეს იყო მოდებული.  
გადაწყვიტეს ბოროტი ბატონის მოკვლა და ერთმა ყმამ იკისრა და  
1850 წ. შეასრულა კიდეც დაპირება: აზნაური მებატონე ქლენტი  
თვით თავის სახლში მოკლა და მით გაანთავისუფლა მისი ყმები სა-  
მარცხვინო, ანუ თავის დამამცირებელი სასჯელის და სამსახურისაგან.



1860 წელს ლევან გურიელმა თავის ყმებიდან რამდენიმე კაცი  
ჩარეკა ქობულეთსა და ბათომში და ოსმალეზზედ დაჰყიდა. ამ დანა-  
ყიდში ერივნენ თორმე თვით გრიგოლ გურიელის ყმანიც. ამათ თურ-  
მე რუსეთში მყოფ და რუსის მთავრობის მოსამსახურე სამხედრო  
ოფიცერს გრიგოლ დავითის ძეს წერილი მისწერეს და აცნობეს, რომ  
თქვენმა ძმამ ლევანმა დაგყიდა ჩვენ ოსმალეთში და ამიტომ ვითხოვთ  
შველას და დახსნასო.

ამ ცნობის მიღების უმაღვე დაბრუნდა რუსეთიდან გრიგოლ  
გურიელი გურიაში, მალე გადავიდა ქობულეთსა და ბათუმს და იქ  
დაიხსნა როგორც თავის ყმები, ისე ლევანის და გაანთავისუფლა. მის  
შემდეგ გრიგოლ გურიელი ისევ რუსეთში დაბრუნდა სამსახურისთვის.  
გავიდა რამდენიმე ხანი და ახლა კიდეც ლევან გურიელმა სხვა თავის  
ყმები დაიჭირა, მათთან გრიგოლის ყმებიც აჰყარა, გადარეკა და  
დაჰყიდა ქობულეთსა და ბათომში. ამათაც კიდეც მიმართეს გრიგოლ  
გურიელს, ეს უკანასკნელი კიდეც ჩამოვიდა რუსეთიდან ქობულეთსა  
და ბათუმს და ყველა დაყიდულები გაანთავისუფლა. მის შემდეგ და-  
ბრუნდა გრიგოლ გურიელი გურიაში, მივიდა თავის ძმა ლევანთან  
და ლაპარაკი მოუვიდა. უკანასკნელ უსიამოვნების დროს უთხრა  
გრიგოლმა ლევანს შემდეგ:

„ბიჭო, დაანებე ამ საქმეს თავი, თორემ ღმერთი, რჯული, რომ

ბოლოს არ შეგრჩება, მოგეკითხება, გლეხნი თვალს გაახელებენ და არ შეგარჩენენ. მეორე: ჩენი ქვეყანა გაოხრდა მთლად, შიგ კაცი აღარ არის. გაოხრდა ყოველისფერი და მოისპო მთელი ქვეყანა. ნუ იზამ ამას თუ ძმობა გწამს და მათ სანაცვლო ფულს მე მოგცემ ხოლმე“.

ძმამ თურმე ძმა მასხარათ აიღო და პასუხი მისცა უშვერის ბატონურის კილოთი. მერე გრიგოლ გურიელმა უთხრა:

„არც ის არის კარგი, რომ შენ ყმებს ჰყიდი, მე ამის წინააღმდეგი ვარ, თუ მაინცა და მაინც არ იშლი ამას, მაშინ ჩემ ყმებს რაღას ემართლები, ჩემსას რათ ჰყიდი, მათთან რა უფლება გაქვს, ამით თავი გაანებე, თორემ უსიამოვნება მოგვიზღებო“.

მაინც თურმე უსიამოვნება მოუხდათ ძმებს და მის შემდეგ მათი გული არ გასწორებულა ერთმანეთზედ არას დროს.

გრიგოლ დავითის ძე იყო უწარჩინებულესი ქართველი მამულის-შეილი, მფარველი და აღმზრდელი თავის გლეხის შვილების და ლევანი კი იყო დამრბევი, მტაცავი და გამყიდავი თავის ყმების ოსმალეთში და აბა ეს ორი პირი ერთად როგორ მოთავსდებოდნენ. ასე მიაშრო თვით გრიგოლ დავითის ძე გურიელმა ეს ამბები. მან ბევრი სხვა ცნობები ილაპარაკა ასეთ მებატონეთა შესახებ. მაშინ ოზურგეთში ყველა მისი ნაამბობი ცნობები ვერ დავწერო, შემდეგ კი დაგვევიწყდა, რის გამო ბევრი რამ ცნობები დაიკარგა.

\* \* \*

რაც ქართველ მაჰმადიანებში გაჩნდენ ღვთის მეტყველი მოლენები, ანუ ეფენდიები და სწავლულნი, მის შემდეგ, მათის წყალობით, ქართველ ყმებთა შორის გაჩაღდა მისი ქადაგება, რომ თათრის სჯულელი წმინდა რამ არის, იგი ცხონებას აძლევს კაცს და მას გარეშე მან არც ბატონყმობა იცისო. ასე ქადაგებდენ იგინი არამც თუ მარტოდ ოსმალეთის სამფლობელო ქართველ მაჰმადიანებში, არამედ თვით მოსამზღვრედ მდებარე ქართველ ქრისტიანებშიც.

ამიტომაც იყო, რომ ძრიელ ზშირად და თითქმის ყოველთვის გურიიდან, თავის ნებით ყმა გლეხნი მებატონეთა ჩუმათ მირობოდნენ ოსმალეთში, იქ უერთდებოდნენ ისლამს და მით ინთავისუფლებდნენ თავს ბატონისაგან. ასეთი გაქცეულის ბინა გინდ რომ მის მებატონესაც შეეტყო, მაინც იგი ვერას უხავდა, რადგანაც იგი უკვე ისლამთან დაკავშირებული იქმნებოდა და მასზედ ბატონს თათრის მთავრობა აღარ ასუნებინებდა. ასე თავის ნებითაც დიდძალი ქართველ ყმათა

რიცხვია ოსმალეთში გადავარდნილი და საქართველოსთვის სამუდამოდ დაკარგული.

ამ გარემოებასაც მეტად საინტერესო ვრცელი ისტორია აქვს. ასეთებს თურმე ხშირად მებატონებიც გამოსდგომიან, მაგრამ ვერ დაუქერიან და უკან დაბრუნებულან. ამ გარემოებასაც დიდი ისტორია აქვს, მასალები კი ჩვენ მცირე გვაქვს, თითქმის არაფერი მოგვეპოვება.

## გლეხი საბა თავდიშვილი.

1850 წელს, აზნაურმა ალ. ქარცივაძემ გაყიდა თავის ყმა გლეხის ერთი ბიჭი, სახელდობრ საბა თავდიშვილი და მეორე გოგო სალომე თავდიშვილის ასული ასორმოცდაათ მანეთად. მიყიდა სოფიო შალიკაშვილს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ბიჭი საბა ამ ახალ ბატონს გაექცა და გოგო ანუ და ერთ რუსის სალდათ რომანოვსკის მისთხოვდა, რის გამო ახალ ბატონმა თავდიშვილის თავის ყმის ძველს ბატონს დავა აუტება და ფულის გადახდას სთხოვდა. ამის გადახდას ეს მით უფრო ითხოვდა, რადგანაც გოგოს გათხოვებას თვით ეს ბატონიც უწყობდა ხელსაო. ფულს თუ არ მომცემს, იქნება სხვა გოგო და ბიჭი მომცესო.

## გლეხნი კუკულაძეები

1850 წელს, რალაც მიზეზების გამო, თავისუფალი სახასო გლეხნი ძალით იყმო მთავარმა მამია გურიელმა. ეს გლეხნი იყვნენ კუკულაძეები. კუკულაძეებმა მთავარს სიტყვა ვერ შეხედეს, ეყმენ. შემდგომ ამის, ეს გლეხნი მთავარმა მამიამ ლევანს გურიელს აწუქა; ეს გარემოება გლეხებმა ველარ აიტანეს და მათმა შთამომავლებმა საჩივარი მისცეს 1850 წელს და დაიწყეს დავა და ასე ჩივილი:

ჩვენ გურიელებმა ძალით გვიყმეს და ახლა სხვებზე გარდაგვცეს, სხვას აწუქეს ჩვენი თავიო, ამიტომ ვითხოვთ განთავისუფლებასაო. გლეხებს ედავებოდა გიორგი გურიელი და ამტკიცებდა:

— მართალია, ეგ ლანჩხუთელი ხოსია კუკულაძე მამა ჩემს მთავარმა გურიელმა აწუქა, რაც შეეხება მათ ძალით ყმობას, მე ამასთან საქმე არა მაქვს. ეგენი ყმებათ ირიცხებიან აღრიდვანვე, ამიტომ მათ უფლება არა აქვთ დავისო.



ეს გლები კაცი მამია გურიელს 1820 წლებში უნდა ეტუქები-  
ნოს ლევან გურიელისთვის, რადგანაც მამია 1828 წელს გარდაიცვა-  
ლა და ლევანი 1826 წელსაო. მებატონე თხოუმეტის თავადაზნაურთა  
მოწმობით ასაბუთებდა გლების ნამდვილ ყმობას, გლები-კი უარზედ  
იდგა და თავისუფლებას ითხოვდა, რამაც მათში დაბადა დიდი  
შტლილი.

### თავ. მარისტავი.

1850 წელს მაქსიმე მეგრელიძის შვილი უკანონოთ მიუთვი-  
სებია თავ. გიორგი ერისთავს, რაზედაც მეგრელიძეს დავა აუტეხია  
გუბერნიის სამართველოში და უთხოვნია შვილის დაბრუნება. გუბერ-  
ნიის სამართველოს უეზნდი ნაჩალნიკისთვის მიუწერია, რომ  
აღნიშნული უკანონოთ მითვისებული ყმა პატრონისთვის ჩაება-  
რებია.

### ქაიხოსრო თაყაიშვილი

1841—1850 წ.წ. გურიის აჯანყების დროს, სხვათა შორის,  
მთავრობის მხრით დაიჭრა ქაიხოსრო თაყაიშვილი. ეს რუსის სამ-  
სახურშიდაც იყო. ამასვე ჰყვანდა ნაყიდი ყმები. უკანასკნელ ამას  
წაედავენ ზოგიერთი აზნაურისშვილები და მასთან აზნაური პატი-  
შვილები:

— ჩვენი ყმები შენ უკანონოთ გყავს მოტაცებული, ანუ დაგირა-  
ვებული იმ დროს, როცა შენ სამსახურში იყავი და ჩვენ გვდევნიდი  
და გვჩაგრაფდიო.

ასევე ეწინააღმდეგებოდა ამ მებატონეს აზნაური მეძმარიაშვი-  
ლი, ამ პირმა თავისს ყმები მთლათ მოსტაცა დაჭრილს თაყაი-  
შვილს და თან საყვედურებსაც აძლევდა.

### ალექსი ჭინჭარაძე.

1850 წელს აზნაურს, პრაპორჩიკს ივანე გორდანიას ივლისის  
21, საღამოთი სახლიდამ მოჰპარეს ერთი ყმა გლების შვილი, ცო-  
ლიანი—ალექსი ჭინჭარაძე. ჭურღებათ ყოფილან თვით მოპარულის  
სახლის კაცები და ნაცნობნი. რამდენიმე ხნის შემდეგ, ივანე გორ-  
დანიას ეს ყმა უპოვნია და თავის სახლში წაუყვანია სამუშაევით,



მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ ეს ყმა კვალათ მეურვეთა შორის  
პარეს სახლიდამ, რაზედაც ბატონმა საჩივარიც ასტება დაწესდა.  
ყმისა თვისა შინ დაბრუნებას.

### ივანე ჟორდანია.

ეს ივანე ჟორდანია იყო ყოვლად უსინიდისო, უსამართლო, ყმების დამრბევ-დამწიოკებელი და დამსყიდავი. ერთის სიტყვით, იგი ჩადიოდა ყოველ-ნაირ ბოროტებას. ყმები ისე შეაწუხა მან, რომ ვერც ერთი ყმა მის სახლში ვერ დგებოდა. მისი დესპოტობა ყოველ-ნაირს სასჯელთა ზომას შორს არის გადასული. ამის ბოროტების ამბავი მთელი დიდი წიგნი გამოვა. აქ მოყვანილი გლების მოპარვის საქმეც თვით მისივე მანქანების წყალობით იყო მომხდარი.

### ფრიდონ წითლიძე.

1851 წელს ლანჩხუთის აზნაურს ფრიდონ წითლიძეს, თავ. მაქსიმე შალიკაშვილმა რაღაც სადავო საქმეების გამო ძალით წაართვა საკუთარი ყმა გოგი მეგრელიძე და შემდგომ აღარ დაუბრუნა, არამედ სხვა და სხვა ანგარიშების გამო მას მისცა მხოლოდ ყმის ნამუშევრის ფასის ნახევარი. ე. ი. რასაც ყმა გააკეთებდა წელიწადში.

### სპირ. მაჭავარიანი.

1851 წელს, ლანჩხუთის აზნ. სპ. მაჭავარიანს მზითევში მისცეს ყმა ოტბა ჯიჯავა, კოლითა და ერთი შვილითა, გოგოთი. რამდენიმე ხნის შემდეგ აველა ესენი ამ ახალ მებატონეს სახლიდამ გაექცნენ ბონისკენ, სადაც შეიფარეს თავი. ამაზედ ახალმა ბატონმა დავა დაიწყო.

### ყმა ლომიძე.

1850 წელს, ყმა დათელა ლომიძე მისს მებატონისაგან გასყიდულ იქმნა 240 მან. ეს იმ დროს კვალად კარგი ფასია. მეორე ყმა ზემორე ხსენებულის ყმის სახლის კაცი—ესიკა ლომიძე გაუნთავისუფლებიათ 160 მანეთად. მესამე—საბელა ლომიძის ობლები გაუნთავისუფლებიათ 120 მანეთად.

## გურიელები.

1850 წელს ჯამბაყურ გურიელს, მალაქია გურიელმა ჩუმათ მოსტაცა და ოსმალში დაუყიდა შემდეგი ყმის შვილები: ნიკოლოზ და ამის ძმა სიმონიკა გუჯარიძენი. ამაზედ დავა იქმნა ატეხილი და ოსმალში კაცებიც გაგზავნეს, მაგრამ პოვნით კი ვერ იპოვნეს.

## ბაძ. მებრელიძე.

1850 წელს მაქსიმე მებრელიძეს ჰყავდა თავის მოახლის შვილი ყმა ივანე, რომელიც ბატონს არ ემორჩილებოდა. ეს ყმა ბიჭი მას წაართვა ქრთამათ და გაანთავისუფლა თავ. გ. ერისთავმან. ბატონმა ამაზედ დავა ასტეხა და მოახლის შვილის ყმად დაბრუნებას სთხოვედა გურიის სამაზრო უფროსს, თორემ მე ამაზედ უმაღლეს მთავრობას მივმართავო.

## გლეხი ჩხაიძე.

1851 წელს ლანჩხუთის ნაწილის სოფელ აცანაში მცხოვრებ საბატონო ყმა გლეხს ჩხაიძეს ცოლი მოსტაცეს და გაუყიდეს ოსმალში.

## აზნ. კობალაძე.

1851 წელს, საჩივარი სოფ. სამების მცხოვრების აზნაურის ლევან გიორგის ძის კობალაძის სამაზრო უფროს სპ. მაკავარიანთან: „მე მყავდა საკუთარი ყმის ოჯახი, სახელდობრ დავითელა წეროძე, რომელსაც ჰყავს ცოლი და სამი შვილი. ამ დავითელა წეროძის ერთი ძმა ნიკოლოზი, ივანე ნათლისმცემლის მონასტრის მღვდელ-მონოზნათ გახლავსთ. ამ ბერმა თავისი ძმა დავითელა ცოლშვილით ჩემს სამტროდ დარაზმა. უკანასკნელ შვილი მისი სასწავლებელში მისცა და ორი საქართველოში გაგზავნა ხელობის საშოვნელათ.

ერთის სიტყვით, ამ ბერმა ჩემი ყმის ოჯახი მთლად მოშალა, დღეს მათი მამულები მე მიიხრდება. მღვდელ-მონოზან ნიკოლოზმა ესეც არ იკმარა და გლეხები ისე მომიშადა, რომ ყმობაზედაც უარი ათქმევინა. ამაზედ მე მივმართე ყოველად სამღვდლო ეჭვთიმე ეპისკოპოსს და საქმის გამოძებნა ვაცნობე და ვსთხოვე განსამართლება მღვდელ-მონოზანის ნიკოლოზისა.



მან იგი გამოძიებაში მისცა და უკანასკნელ სასტიკებად და უბრძანა, რომ ჩემი ყმა და მისი შვილები დაებრუნებინა, მასთან ეზლა ის ზარალიც, რაც მე მომივიდა ჩემი ყმების ჩემს გვერდზედ არ ყოფნით.

მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზმა ბრძანება დღემდე არ აღასრულა და არც სურს ასრულება. მე კვალად მივმართე ეპისკოპოსს მაგრამ ვერცარა მან მოუხერხა, იგი სასტიკ ძალაზედ არის და არავის ეპუება; ყმაწვილები სულ აქეთ-იქით დაუპნევიდა ისე, რომ მე მათი საყოფელი ადგილებიც არ ვიცი. ამიტომ გთხოვთ ჩემი ყმის, ანუ მათის ძმის დავითელას შვილები დამიბრუნოთ მე და ამასთან ამავე ნიკოლოზ ბერს გადაახდევინოთ ყველა ის ზარალი, რაც მე ამ გლეხის ოჯახის შვილების წარტაცვით მომივიდა.“

### აზნ. ივანე არონიშიძე.

1851 წელს. ნიგოთის მცხოვრები ხუცისშვილის აზნაური ივანე არონიშიძის თხოვნა:

„კუთვნილი ყმა გამექცა, ბეჟანიკა, ალექსი. მე ვსძებნე და ეზლა შევიტყე, რომ იგი სცხოვრებს ალექსანდრე მაჭუტაძესთან. გთხოვთ ზომები მიიღოთ და დამიბრუნოთ ჩემი ყმა, თორემ უამისოდ მე არ დავთმობ, ცუდი შედეგი მოჰყვება.“

### კონსტ. ჩხეიძე.

1851 წელს ლანჩხუთის აზნაურის მალაქიასაგან აზნაურმა კონსტანტინე ჩხეიძემ ისყიდა მემკვიდრეობითი ერთი ქალი, მოახლეთ ყოფილი, რომელსაც ახლდა უკანონო შვილები პეტუა და ლუკა. ამ საბრალო ქალის გაყიდვის წერილს ერთი ბატონი მეორეს აძლევს დამტკიცებით, სადაც დროთა ვითარებისაგან მთლათ წერილი წაშლილა, ესეც ვაის ვაგლახით ამოვარჩიეთ.

### თავ. შალიკაშვილი.

1851 წელს ოზურგეთის მაზრის უფროსს ალექსანდრე იოთამის ძე ქარცივაძემ შემდეგი წერილი მისცა თავ. კონსტანტინე შალიკაშვილს:

მე მემართა 150 მან. შემდეგ, ამ ფულში მე მას მივსყიდე ჩემი



ყმის ოჯახი საბა თადიაშვილი თავის დედით და დით <sup>სალომეონი</sup> 180 მანეთად. რადგანაც იმ დროს, მე სამართალში წასვლა არ შემეძლო და ჩემი ყმის გასყიდვა ქალაქლით კანონიერათ ვერ შეუძლებლე, ამიტომ თ. შალიკაშვილმა მანდ გადმოსელით განმათავისუფლა და რომ მომავალში მას არ წავდავებოდე 150 მან. ვექსილი მომთხოვა, მეც მივეცი ვექსილი ამ ფულისა. ეს ვექსილი მას ჩემთვის ორი წლის შემდეგ უნდა დაებრუნებინა. რამდენიმე ხნის შემდეგ ყმა თადიასშვილის ცოლი და ქალი სალომე სხვაზედ გაჰყიდა, ბიჭი-კი დარჩა მასთან სახლში. რამდენიმე ხნის შემდეგ, ეს ბიჭი მისს სახლში მოკვდა. ახლა თავ. შალიკაშვილს ძველი ვექსილი წარმოუდგენია და ჩემგან ფულს იღებს, რაც მას ჩემგან არავითარი რამ არ ერგება.

### იესე გურიელი

1851 წელს პოდპორუჩიკმა თ. იესე გურიელმა ოზურგეთის სამაზრო სამართველოდამ ნებართვა აიღო მასზედ, რათა ქობულეთში წაეყვანა თავის ყმის კაცები: პეტრე კილაძე, იორამ გოგვაძე და ივანე მალაოზანია და მათთან სხვებიც, რომ თათრებზედ და ეყიდნა, მაგრამ ესენი მას ვერ დაუყიდნია, არამედ სხვა გლეხები, რომლებიც თან ჰყვანდა.

### მახარობელა ჩხაიძე.

1852 წელს, სოფელ გურიანთის მცხოვრებს, საბატონო გლეხს მახარობელა ჩხაიძეს მცირე წლოვანი ყმაწვილი მოსტაცეს და საცალა ოსმალში გაყიდეს შემდეგ პირებმა: საბატონო აზნაურმან გიორგი მამულაშვილმან, აზნაურ პრაპორუჩიკმა სიმონ ნაკაშიძემ, აზნაურმა მაქსიმე ბაბელაშვილმა და რამდენიმე მათმა ყმებმა. ყმაწვილი ათი წლისა იყო, საბელდობრ მაქსიმე. პატრონმა მის ვერც კვალს მიაგრო და ვერც გზას, თუმცა სასტიკად კი ეძიებდა და მთავრობასაც ავალეზდა ყმაწვილის პოვნას, დაბრუნებას და მის მაგიერ ბატონისაგან ფულის მიღებას.

ეს პირები ცნობილი არიან თავიანთ დროს, როგორც ყმათა შვილების მტაცავნი და დამსყიდავნი ოსმალეთში. ამათ ხელობას თითქმის ეს საქმენი შეადგენდა, მათ აქვნდათ შეერთებული ამხანაგობა, ამ ამხანაგებში ერივნენ თვით მათი ყმა გლეხებიც, რომელნიც



ყველა იგინი ერთად იტაცავდენ გლეხთა შვილებს და ოსმალებს შვილებს ჩუმად. ნამეტურ ესენი იტაცავდენ ლამაზ ქალ-ვაჟებს შერჩევით.

\* \* \*

1852 წელს აზნაურმა ნიკო ქლენტმა მთავრობას რამდენჯონისმე მისცა თხოვნა, რომ ყმები არ შემორჩილებიან და გთხოვთ დამიმორჩილოთო. ასეთ წინააღმდეგ ყმათაგანი ხუტულა ჩალიკავა ყოფილა, რომელსაც სხვადასხვა ყმა გლეხებიც აუღელვებია ბატონის წინააღმდეგ. იმავე ბატონმა ხსენებულ გლეხს ორიც სხვა შვილები წაართო ძალით და ამ წართმეულებს სხვაგან ამუშავებდა ფულების გულისთვის.

### ქაიხოსრო ღლონტი.

1853 წელს გურიის ყმათ გამყიდავ მებატონე აზნაურებთან სტამბოლში დაყიდულ იქნენ მრავალი გოგო-ბიჭები. ერთი ამ დაყიდულთაგანი 17 წლის ყმაწვილი გლეხის ყმის შვილი, ქაიხოსრო ღლონტი, დახსნილი იქნა მშობლებისაგან სტამბოლს 1855 წელს. ამ ბიჭის დასახსნელად გურიიდან განგებ წავიდა სტამბოლს ივანე ღლონტი და თავის ფულით დაიხსნა. უბედურება და უბედური ის ყმაწვილი იყო თურმე, რომელიც უფრო ლამაზი იყო, მას ერთობ ძვირად ათავისუფლებდნენ, თუმც მებატონეთაგან-კი ერთობ იაფად ყიდულობდენ.

### თომა აბაშიძე.

1854 წელს თათარში გაყიდული იქნა ს. გურიანთელი გლეხის შვილი თომა აბაშიძე. ამის გასყიდვა მოხდა საბატონო გლეხთაგან რუსიშვილი და შავარდენაძეთაგან, რომელთაც მათი მებატონე თავადი ამხედრებდა და აქეზებდა ასეთ ხელობისთვის, ანუ თავის ყმების გატაცებას და ოსმალებში დასყიდვას.

### დათა გურიელი.

1854 წ. დათა გურიელი ცნობილია ვითარცა უდიერი მებატონე და მტანჯველი ყმათა. იგი ავიწროებდა არა მარტო თავისს ყმებს, არამედ სხვებისასაც, საეკლესიო გლეხებს ძალით თვით იყმობდა ხოლმე.

ყმებისთვის დევნა მისთვის ძრიელ იაფი და ადვილი ყოფილა. ამაზე  
ბევრს აღავას დაარბია და დააწიოკა, არა მარტო საბატონო ყმები,  
არამედ საეკლესიო ყმანი და თვით მღვდელნიც-კი, ამაზედ იხილეთ  
ქვემოდ ცნობა. სწორედ ასე მოექცა ჯუშეთის საეკლესიო ყმებს  
კვაჭაძეებს. 1854 წელს დაეცა თავისს ყაჩალის აზნაურის და გლე-  
ხის შვილებით ამ ყმის ოჯახს, აიკლო მისი ოჯახი, წაართო ყოველი-  
ვე და უკანასკნელ თვით ერთი გლეხი დააპატიმრა და ჰკვემა სა-  
სტიკად. გმობას გარეშე დათა გურიელი მათს ხარკს უფრო ედავე-  
ბოდა, რამაც გამოიწვია დიდი ჩხუბი დასაჩივრები. გლეხები ამ ვაი-  
ვაგლახს უკვე სთხოზდენ, რადგანაც დათა გურიის მთავრის ოჯახის  
შვილი იყო, ამიტომ მისს გვამს სცემდენ პატივს. მაგრამ როცა უკა-  
ნასკნელ მან ხარკის თხოვნას და ყმობასაც გადააბიჯა და თვით შვი-  
ლების წართმევაც-კი დაუწყო გლეხებს, მაშინ გლეხებმა ველარ მოი-  
თმინეს, ტყუილ მოდავე მებატონეს დავა აფტებეს და საქმე გამო-  
საძიებლად დანიშნეს. ამ გლეხთა საქმეს სასულიერო გამგეო-  
ბაც დაეხმარა. უკანასკნელ ძალით გაბატონებულს მიესაჯა გლე-  
ხის ყველა წანართმევის დაბრუნება, მაგრამ მან-კი ეს არ ინება  
და არავის არა დაუბრუნა-რა. ასეთ საქმეებში დიდი წილი ედვა  
დადიანის ასულს ეკატერინესაცა და იგი თვით ამ საქმეშიაც-კი არის  
ჩარეული. დათა გურიელისაგან ნაქნარი საქმეები რომ აინუსხოს, ეს  
ერთობ შორს წაეა. მოკლეთ კი უნდა ვსთქვათ, რომ იგი მეტის-მეტე  
დიდი და ზარდამცემი მებე იყო გლეხკაცობისა, რასაც მას არც რუ-  
სეთის მთავრობა უყრძალავდა, ამას როგორც სურდა გლეხებს ისე  
სტანჯავდა, მთავრობაც ამის სრულს ნებას აძლევდა.

### გოგია ხუციშვილი.

1854 წელს სოფელ საჯავახოს მცხოვრებ გლეხს, გოგია ხუ-  
ციშვილს, მებატონეთ ჰყავდა აზნაური ბიჭია დუდუჭავა. ხუციშვილი  
თავის მებატონეს ხარჯს ყოველთვის თავანკარად აძლევდა. თვით ეს  
ყმა თფილისში სცხოვრებდა და მუშაობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ  
თბილისიდან შინ დაბრუნდა და თან წაიღო 200 მან. ვერცხლის ფუ-  
ლი. ეს ამბავი მისმა ბატონმა შეიტყო უმაღ სოფელში მისვლის  
დღესვე. გლეხს ღამე სახლში დაეცა მისი ბატონი ბიჭია დუდუჭავა,  
აზნაური კარპეზა ყენია და ამათ გაუტებეს სწრაფლ კიდობანი, წაარ-



თვეს ეს ფული და სცემეს სასტიკათ. ამაზედ აი რასა სწერს თვით გლეხი ხუციშვილი:

„მე დამიჭირეს, მცემეს ძლიერ მეც და ცოლშვილს, ინძღავრეს და მოხუცებული დედა-ჩემი მწიარეთ გალახეს და ათრიეს, სრულიათ ოჯახი დამაქციეს და დამარბიეს და ოჯახი იქიდან გაციებული მაქვს და ვილუპებო.“

### ირინე ზეზაშვილი.

1854 წელს იჩივლა აზნაურმა სისო ღვთისაგვარამ, რომ ცოლი შევირთე ირინე ზეზაშვილის ქალიო. ეს ქალი ამ კაცს მალე გაქცევია, ბოლოს იგი მიჰყვდლებია აზნაურს ტ. ბაქრაძეს. ამ აზნაურს ეს ქალი მალაქია გურიელთან წაუყვანია და მასთან დარჩენილა სახლში.

მოგვხსენებათ, რომ მალაქია გურიელი ცნობილია ვითარცა დესპოტი და ყმათა გამსყიდავი. ეს ბატონი ამ ზომებსაც ხმარობდა თურმე, რომ სადაც ვისმეს ლამაზ ქალს შეამცნედა თურმე იმდენს იმეცადინებდა, რომ იმ ლამაზ ქალს კმარს მოსტაცებდა და თვით მიიკედლებდა. ამ მიკედლებულთა რიცხვს ნელ-ნელა ამრავლებდა, უკანასკნელ ოსმალში უკრავდა თავს და გაჰყიდდა.

ეს ამბავი აზნაურმა ღვთისაგვარამ რომ შეიტყო, იგი მაშინათვე მიხვდა მალაქიას ხრიკებს და მიტომ მიმართა წთაფრობას და სთხოვა, რომ მისგან გასული გაეფრთხილებიათ, რომ მალაქიის ოჯახიდან გასულიყო, თორემ უკანასკნელ იმ ქალსაც იგივე ღლე დაადგებოდა, რაც სხვებს მოსვლოდა.

### გ უ რ ი ე ლ ი.

1855 წელს ოზურგეთის მაზრის უფროსს, სოფელ სუჯუნდამ შესჩივლეს:

მალაქია გურიელთან 1854 წ. გამოუზაწენილ იქმნენ საეკლესიო აზნაურის დავით გუგუშვილის ყმანი ნიკოლაი და ეგნატია კუციები. ეს გლეხნი ჩვენ ამას წინეთ მოვითხოვეთ მალაქია გურიელისაგან, მაგრამ მისგან არც პასუხი მივიღეთ და არც კაცები მოსულან.

ამათ შეუტყვიათ, რომ ამ კაცებს მალაქია გაჰყიდდა, რადგანაც ამას ზეუღლება ჰქონდა ყმების დაყიდვის. ამიტომ 1855 წ. სუჯუნის მცხოვრებთ გამგეობისაგან კვალად მაზრის უფროსისთვის ეთხოვათ ამ გლეხების მოპოვება და შინ დაბრუნება.



### აზნ. თავართქილაძე.

1855 წელს აზნაური სოლომონ ბეჯანის-ძე თავართქილაძე თავის ყმებს ალექსანდრეს, ნიკოს, გაბრიელს და ფარნაოზ ბეჯანის ძეებს ნადირაშვილებს შემდეგ პირობას აძლევს:

„მე აზნაურს თავართქილაძეს და თქვენ ჩვენ ყმათა ნადირაშვილებს ჩვენს ბატონ-ყმობამდე ურთიერთ შორის დიდი სიყვარული გვქონდა. ჩხუბი და მტრობა ჩვენში არას დროს არ ყოფილა. ჩვენ თქვენ უფლება გვთხოვეთ, ჩვენ გაგანთავისუფლეთ უმამულოთ. შემდგომაც ჩვენში სადავო არა ყოფილა რა. თქვენ მამულეში შეიძინეთ. მერე მამულში მუშაობის დროს ჩვენ შორის უსიამოვნება მოხდა, ჩვენ ერთმანეთს დავეცენით და ჩხუბის დროს თოფიც ვესროლეთ, ჩვენის მხრით დაიკოდა ჩემი ძმა, რომელიც გარდაიცვალა და თქვენის მხრითაც ერთი კაცი მოკვდა.

ეხლა ჩვენ ვსდებით პირობას, რომ ჩვენ შორის კვლავინდებულ სიყვარული კვალად დაიბადება, ჩვენი მოყიდული მამულეები თქვენი იქმნება, მისს მოდავე არვინ იქნება და ამიტომ ჩვენც ამ საქმისთვის ვსტოვებთ ჩვენის ძმის სისხლს და არ ვდავობთ, რაზედაც პირობასაც ვსდებით ფიც-ქვეშ“.

### აზნაური ჭყონია.

1855 წელს, ოზურგეთის მაზრის, სოფ. ლანჩხუთის მცხოვრებ აზრნაურმა ბეჯან ჭყონიამ თავის უმემკვიდრეო ყმის ლაზარია ზენაიშვილის ასული ციციელა მიყიდა სოფ. ბანძის მცხოვრებს აზნაურს აფრასიონ ჭყონიას 110 მანეთად. ამ გოგოს დედა ჭყოლია და მამა კი არა. გასყიდვის შემდეგ დავა ატყდა, გოგოს გაყიდვა მისს დედისათვის არ იყო სანუკუარი, ამიტომ რამდენიმე ხნის შემდეგ იგი დახსნილ იქმნა მის მშობლისაგან 110 მანეთად, ამას გარდა 25 მან. ხარჯი იქმნა გადახდილი. როცა ეს გოგო აზნაურმა გაყიდა მაშინ მიყიდველს შემდეგი ნასყიდობის წერილი მისცა:

„გოგო, ჩემი საკუთნებელის ყმისა მოგყიდეთ 110 მან. დემკომან გაგაბედნიეროსთ და თქვენს მორჩილებაში ამყოფოს ეს გოგო და ჯვარიც თქვენ უნდა დასწეროთ“.

იმ დროის კვალად, ეს ფული 110 მ. კაი ფასია. ამის მიზეზის უნდა იყოს, რომ ეს გოგო ლამაზი იქნებოდა, თორემ ამ ფასს არავინ მისცემდა მაშინ. 1855 წელს ბათუმში და მის ახლო







მახლო ოსმალის სამფლობელო ქალაქებში ქართველთა ქალაქი 10—20 მან. იყიდებოდა. აღმათ ეს ქალი ძირულ ლამაზი ყოფილა. უამისოთ ეს ასე ძვირათ არ გაიყიდებოდა. საკვირველი აქ ერთი ის არის, რომ ზმირათ ყიდვა-გაყიდვის საქმე თვით იმ დროის რუსის სამართველოშიაც სწარმოებდა. თვით მთავრობაც უწყობდა ხელს ბატონებს ასეთს ბოროტების ჩადენაში. გაყიდვის ბარათს თვით მთავრობაც უწერდა და უმტკიცებდა ორივე პირს—გამყიდველს და მყიდველსაც.

1855 წელს 12 აგვისტოს, მთავრობის წინაშე დავა ატყდა ოზურგეთის მაზრის მცხოვრების ქვრივის, ყმის ლაზარე ზენაი-შვილის, რუსულად გურგენიძის ქალის გაყიდვისთვის. ეს ქალი გაყიდა აზნაურ ბეიან ქუონიამ 110 მანეთათ. ამ აზნაურს ხელობათ ჰქონია ქალების ყიდვა-გაყიდვის საქმე, ამ აზრის მექონე სამეგრელოს მთავრის დადიანის მეულღესთვისაც მიუმართანია და თან დაუფალებია ყოველ წლობით სამეგრელოში მეგრულთ შორის კარგი ლამაზი გოგონების მოკრება, რომელთაც მერე იგი ოსმალეთში გარეკავდა და დაჰყიდდა.

### ნ ა კ ა უ ი ძ ე ე ბ ი .

1855 წელს, დიმიტრი ნაკაშიძემ და დიმიტრი გურიელმა ოსმალეთში გაგზავნეს თავიანთი ყმები: სიმონა და ჯემელა ლლონტი, შემოქმედელი ყმა ლაზარე მგელაძე, რომელთაც თან გაატანეს თავიანთ ყმის გოგო-ბიჭები დასასყიდათ. ვაი სირცხვილო და ნამუსო! გურიელების ესე გათახსირებაც რუსეთის მთავრობის მოწყალეება გახლდათ.

### სამსონიას თავგადასავალი.

1857 წ. საოცარი ქართველ თავად-აზნაურობისაგან თავდადებული მოქმედება. ეს დალოცვილები ყმებს ჰყიდდნენ და აწიოკებდნენ ისეთ დროსაც კი, როცა გლეხთა განთავისუფლება კარზნად ადგათ. დაწიოკობას გარდა ესენი სხვა გზასაც ადგნენ და ზმირად ყმებს ხელიდან მცირე-წლოვან ბავშვებსაც კი გლეჯდნენ და ჰყიდდნენ აქა-იქ. ბავშვი, როგორც დაიწყებდა სიარულს თუ არა, ანუ ენას აიდგამდა და ფეხს გაიმართავდა, მის მებატონე მაშინათვე მისკენ დაიჭერდა თვალს. თუ ბავშვიც ცოტა ლამაზიც იყო, მაშინ

ზომ მას აღარ მოეხსნებოდა, ერთობ მალე მოსტაცებდა ლებს და გაჰყიდდა.

ქმარა ამისთვის მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი, რაც სოფ. აკანელ გლეხის ოჯახს დღე დააყენა მისმა მებატონემ თავ. გიორგი გუგუნავამ. ამან თავის ყმის ქვრივს ჯერ ერთი შვილი მოსტაცა და მერე მეორე, რომელიც ქალს, ქმრის სიკვდილის შემდეგ მიეცა, ე. ი. უკანონოდ ცნობილი; მაგრამ ბატონმა არც ეს უკანონო დასტოვა დაუმონებელი.

აი ესეც თხოვნა საბრალო გლეხის დედაკაცისა:

„მეუღლის ჩემის ყმის ბუჭუა სამსონიასთანა შემეძინა სამნი შვილები, რომელთაგან ორნი უფროსნი შვილები ჩემი და თვით მეუღლეა ჩემნი გარდაიცვალნენ. მას შემდგომ იქმნება თერთმეტი წელი, ხოლო უნკროსი ძე ჩემი იმყოფება მებატონის მისს კნიაზ გიორგი გუგუნავასთან შინაყმათ. გარდაცვალებისა შემდგომ ქმრისა ჩემისა რა განვიდა სამი წელი, ეშმაკურის ცთომილებითა შემემთხვა მე მთელ კნილობა და ვშვე ერთი ძე დღეს სახელწოდებული ნესტორა, მექონი შობილამ ოთხი წლისა, რომელიც აღმოვზარდე მე ჩემის მშობლის ოჯახში მათის საკუთრის ხარჯითა და რადგან ეს უკანასკნელი ძე ჩემი ნესტორა იყო უკანონო შობილი და საკუთრის ჩემს ხარჯით აღზრდილი, არ ვგონებდა, უკეთუ ვინმე მომტაცებდა მას. გარნა ამა წლის მარტის თვეშიდ მებატონემან გარდაცვალებულის ჩემის მეუღლის სამსონიასამა კნიაზ გიორგი გუგუნავამ უკანონოდ შობილი ძე იგი ჩემი მომტაცა და წაიყვანა თვისდა, და როგორც კერძოებით ცნობილვარ უპირებს მისყიდვას მისსა სხვასა ზედა. მე ამ საგანზედ არძით ვსთხოვე თქვენს მაღალ-კეთილშობილებას ამა წლის ივლის თვეშიდ და თუმცა არა ჩემი მიენდო ლანჩხუთის უხასტიის ნაჩაღნიკს გარნა არავითარი გამოკვლევა ჯერეთ არ მომხატარა ჩემს თხოვნაზედ; თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ მიიღეთ ეს ყურადღებაშიდ რომელ ერთი შვილი ჩემი რომელიც სამსონიადამ მყავს შეძენილი ის იმყოფება მას გუგუნავასთან და ეს უკანონოდ შობილიცა მომტაცა და რადგან ეს უკანასკნელ იყო უკანონოდ შობილი არ უნდა შემხებოდა ძალადობით, რაზედაც მე განმეორებით ვსთხოვე თქვენს მაღალ-კეთილშობილებას, რომელ ინებოთ განკარგულება და ძე იგი ჩემი ვითარ უკანონოდ შობილი და მცირე წლოვანი მძლავრობით და კანონის გარეშე მოტაცებული ჩამოერთვას დღეს გუგუნავას და ჩამბარდეს მე და შემდგომ მოახთინეთ ჯეროვა-

ნი გამოკვლევა და ოქმის შედგენა და უკეთეს კითხვათამებრ  
ქმის გარემოებისა მცოდნეთა ვითარ მიზობლებთა ჩემთა ეგრეთვე  
შოძღვართაგანაც-კი დამტკიცდეს ნამდვილ ჩემ მიერ უკანონოდ შე-  
დენილად ძე იგი ჩემი მაშინ ვითხოვ თავისუფალ იქმნეს იგი გუგუ-  
ნავს უმართლოდ დამოკიდებულობისაგან<sup>\*)</sup>.

## გიორგი გურიელი.

1858 წელს, გურიანთის სოფელ ჩოჩხათის მცხოვრებს საბატონო ყმის, გრიგოლ ზაქარიას-ძის ქვრივს ზალიხანას ოჯახს დაეცა თ. გიორგი გურიელის კაცები და წაართვეს ერთი ასული მზეხა, რომელსაც, რასაკვირველია, გასყიდვა არ ასცდებოდა. ეს ამბავი მისნამშობელმა მალე შეიტყო, მან მალე მიმართა საჩივარსა და უკვე მოასწრო თავის ასულის განთავისუფლება.

თხოვნაში, რომელიც მთავრობას მისცა ქვრივმა, ბატონს თავის ასულის გაყიდვას სწამებდა. ამიტომ შემდეგ პირველის საჩივრის ამ ქვრივმა დედაკაცმა ბატონის ძალდატანებით მთავრობას თხოვნა მისცა და შიგ ალიარა:

გიორგი გურიელმა ჩემი ქალი გასასყიდათ კი არ წაიყვანა, არამედ მოახლეოთაო. ეხლა კი იგი ჩემს ქალს ჰყიდისო.

\*\*\*

თხოვნა ოზურგეთის უეზდის სოფელ ოზურგეთის მცხოვრების ყმის იესე შაქაძის ქალის მაიკოსაგან.

ზემოხსენებული აწ უკვე გარდაცვალებული მამაი ჩემი იესე იყო მფლობელობასა შინა გურიანთის უჩასტკის მცხოვრებთ ყმებთ ზუტუა, ნიკოლოზ და მაქსიმენა აბაშიძებისა, გარნა მშობელნი ჩემნი დედ-მამა დროს ჩემსა მცირე ფლოვანობისასა აღნიშნულთ აბაშიძეებთა გასყიდეს სხვადასხვა ადგილზედ, რომლის შემდგომ, მამაი ჩემი გარდაიცვალა და დედაი ჩემი დღესაც იმყოფება ცოცხლებით სათათრედში<sup>\*)</sup>, ხოლო დროსა მამის და დედის ჩემის გასყიდვისასა თქმულმა აბაშიძებმა მომაცილეს ჩემს მშობელს და ვყავდი იმათ რაოდენსამე

<sup>\*)</sup> უპეველია, ეს ქალიც სათათრეთში მიტომ იყო წასული, რომ იგიც ბატონისაგან იქმნებოდა იქ წაყვანილი და გაყიდული. უამისოთ ეს საბრალო ქალი სათათრეთში რათ წავიდოდა.



ხანსა, შემდგომ მიმყიდეს მცხოვრებს ოზურგეთში უკანონო სიმონ კვაშალს ყოვლის კანონის გარეშე, დაუმტკიცებლათ, რომელსაც ვყავდი თითქმის ოთხ წლამდის და შემდგომ კვაშალი იგი გარდაიცვალა უმემკვიდროთ და რომლის დანაშთი დაიფლო ერთ მეგვარემან მისმან ოზურგეთში მცხოვრებმა აზნაურმა ლევან იესეს ძემ კვაშალმა, რომელმანც მიმიტოვისა მეცა, თუმა მრავალჯერ მოვიდომე ჩივილი ამაზედ, მაგრამ კვაშალს ვყავდი შეპყრობილი და არსად გამიშვა. წარსულს წელშიდ წამოველ ქუთაისში საჩიველად გარნა კვაშალი იგი დამეწია გზაში, დამიჭირა მეცა და შეკრული მიმიყვანა ოჯახშიდ და ვყავდი ტუსაღად, რაიც მრავალთა უწყიან. შემდეგ, რომელ აღარ დამირჩა ღონე, რომ მწუხარება მიმეწერა მთავრობისთვის და ამა წელშიდ შემომიჩნდა თვითონ მან რომელ მივსცე მას სახსარი ფული და განმათავისუფლებს, მაგრამ რადგანაც არც ვეკუთვნიდი და არცა ფულის მოხერხების აჯამქონდა საიდგან და რისთვის მივსცემდი ფულსა. მაგრამ რომ მეშონა დრო ჩივილისა, ამისთვის ვითომც ფულის მიცემისთვის დაუყენე თავდები და ამა საშვალობით შემძღებელ ვიქმენ მოწვენათ ჩემის გაქირებვისა და უმართლოდ დაფლობისა ჩემისა მისგან.

გარემოებისა ამას უპატივეცემულურად მოვახსენებ თქვენსა აღმატებულებას და ვითხოვ რათამც მიღებულ იქმნეს პატივდებაში პირველად დაცილება ჩემი მშობელთაგან ჩემთა და მეორეთ უკანონოთ დაუმტკიცებლათ დაფლობა ჩემი ყმის კვაშალის მიერ და აღმოჩენისა შემდგომ სიმართლისა მომენიჭოს არსებულის განათლებულის კანონითა ჯეროვანი თავისუფლება.

მაკო ნიქაძის ქალი, რადგან მან წერა არ იცის მისი თხოვნითა ხელს ვაწერ ქუონიას ასული მზება.

ჩუც წელსა  
იენისის გ დღესა.

### გოგია კალანდაძის თავგადასავალი

1856 წელს ყმა გლეხებზედ და მათს შვილებზედ დიდი ნაევრობა ჰქონდათ თავად-აზნაურებს. ამ გმირებს გლებთა ტრფივლებით სულ გზა-კვალი ჰქონდათ არეულ-დარეული. აღარ იცოდნენ რა იქმნათ და სად როგორ მოკცეოდნენ. ერთ უბრალო სიტყვის გამო მათ ჰყიდდენ მარჯენივ და მარცხნივ. ოსმალეთის ქალაქებში მათგან ქარ-



თველ გლეხთა შვილების ბაზარი გაჩაღებული იყო და იქ უკვე იწყებოდა მათი მკობრივი მოძრაობა. ამ დროს იყო იქნებოდა მათი მკობრივი მოძრაობის ისტორია მეტად მდიდარია. მთელი მეცხრამეტე საუკუნე თავის წესებით და მთავრობის ბოროტებით ქართველთ თავად-აზნაურთა უსამართლობას წარმოადგენს. ანუ სხვა მისი შეუძლებელია. მასალები არ გვაქვს, დაიკარგა სულ. მეტად სამწუხარო სურათს წარმოადგენს ოსმალ სპარსეთში დაყიდულ ქართველთ მდგომარეობა.

იყვნენ ისეთი თავად-აზნაურნიც, რომელნიც დასაყიდ თავიანთს მონებს და მათს შვილებს მოწყალების თვლით უმზერდნენ და ესენი ამათ საქართველოში ჰყიდდნენ თვით ისეთ სახელმწიფო და საეკლესიო გლეხებზედ, რომელთა გლეხთაც უფლება ჰქონდათ, ანუ შეძლებდა. როგორც ქ. თფილისის მოქალაქენი ყიდულობდნენ ქართველ გლეხებს მათ მებატონეთაგან, ისევე იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიაც, სადაც გლეხებს ყმებიც ჰყვანდათ. ეს რომ ასე გახლავთ და მართალია, ამაზედ ჩვენ აღრე ძრიელ ბევრს ცნობებს მოვიყვანდით, რადგანაც აქამდე ასეთ ცნობათა მცოდნე კაცებს მრავლად შეგხედებოდით, დღეს კი ასეთ კაცთა რიცხვი მოიხპო, ბატონყმობის მომსწრე კაცთა რიცხვი შემცირდა დიდათ, ვინც არიან იმათაც ამის ბევრი აღარა ახსოვთ რა. ამიტომ ჩვენ თუ რამეს ვიპოვიეთ აქა-იქ, იმას ისე შემოვიტანთ აქ, როგორც შევიტყობთ, როგორც გვეტყვიან და როგორც დაგვაწერიანებენ მცოდნე პირნი. ჩვენ კომენტარიას არ გაუკეთებთ.

აი, ამიტომ მოგვეყავს აქ საკათალიკოზო გლეხის მეგრელიძის საჩივარი, რომელიც კარგად ხატავს ამ კითხვის ვითარებას და იმასაც ააშკარავებს, თუ ჩენს კურთხეულს რუსულ დროში რაგვარ იყო საქართველოში წინ წასული უკანონოდ წოდებული შვილების რიცხვი და ან მათ როგორ და რაგვარ ეპატრონებოდნენ და ჰფლობდნენ სხვადასხვა მებატონენი:

მისს აღმატებულებას ვოენის ლუბერნატორს და სამოქალაქო ნაწილისას უფალს ლენერალ მაიორს და კავალერს კოლუმბიკინს

თ ხ მ ვ ნ ა.

მყავდა რა ჩემდამი კუთვნილი უკანონოდ შობილი ივანიკა თვისის ცოლშვილითა რიცხვით ექვსი სული მამათა და დედათა



სქესი, და განმავალობასა რამოდენის ხნისაა იქნა ბიჭი იგივესავე სის-  
სის ცოლშვილითა, კნიაზ გიორგი ერისთავისა მიერ წაყვანილ ნამა-  
ლევათ და დროს წაყვანის იმა ბიჭისა მიერ იქნა წაღებულ ას სა-  
მოცი მანეთისა ღირებულ ოჯახის აგებულება და ვინაიდგან ვსცან  
მე რომელ წაიყვანა ბიჭი იგი თვისის ცოლ-შვილითა, ამისთვისაც  
მოვიტყვი თხოვნითა ჩემითა ქუთაისისა ლუბერსკის სულსა შინა და  
მათ მოიწერენ ოზურგეთის უეზნი ნაჩაღიქისადმი და მან ნაჩაღ-  
ნიქმან ჩამაბარა მხოლოთ რიცხვით სამი სული და სამი სული კი-  
დედ მასთან დარჩა კნიაზ ერისთავთან და განმავალობასა რამოდენის  
ხნისა კიდევ იქნა ის სამი სულიც წაყვანილი მისს მიერ, რომლებიც  
გაამზითვა სამთავრო სამეგრელოს შინა, და მე ვარ დარჩენილ ჩემს  
კუთვნილებასა ზედა, და ეხლა განვაახლებ თხოვნასა ჩემსა და მოვა-  
წვენიებ თქვენს აღმატებულებისადმი მუხლ-დრეკითა და ვედრებითა  
და უმორჩილესად გთხოვთ განიხილოთ კანონისამებრ, ნუ მოვა-  
კლდები ჩემს კუთვნილებასა ზედა და ნუ ვიქნები შევიწროებულ  
კნიაზ ერისთავის მიერ, და დროსა განხილებისა ამა ჩემის თხოვნისა-  
სა წარმოვადგენ შავებსა, რომელიც მაქვს ნათხოვნი ქუთაისის ვოე-  
ნის ლუბერსკისათან და ეგრეთვე ქუთაისის გუბერსკის სულშიდ  
განსამართლებლათ ჩემის თხოვნისა და გთხოვთ განიხილოთ კანო-  
ნისამებრ. არბა ესე შევთხზე და თეთრადაც გადავწერე სიტყვითა  
მთხოვნელისათა და რადგან მან წერა არ იცოდა მის მაგიერათაც  
ხელს ვაწერ გოგიტა კალანდაძე.

ჩვენს-სა წელსა  
ივნისის იზ დღესა.

### აზნაური ბერიძე

1856 წელს, ვაცხანის მცხოვრებს ყმას ივანე სვანიშვილს, მისმა  
მებატონემ სამი ქალი წაართვა. ეს მებატონე იყო აზნაური ბერიძე;  
სახელდობრ წართმეული ქალები იყვნენ: ზენათო, ჯაჯიკა და თამა-  
რი. სვანიშვილი მეტად ღარიბი კაცის შვილი იყო, შვილების და-  
ხსნას ვერ ახერხებდა, ქბატონს დახსნას ევედრებოდა, მაგრამ არა  
იქნა რა, ყოველივე ამოათ დაშთა. უკანასკნელ ბატონმა ბერიძემ  
ყველა ქალები დაყიდა.



## ლომაძე

1856 წელს, ქუთაისის გუბერნატორთან იზივლა ოზურგეთის მაზრის სოფელ ბაილეთის მცხოვრებმა, მახარობლის ასულმა მელანია. ამ ქალს ძმა ჰყოლია, ოთარ ლომაძე, ეს ოთარი გარდაცვლილა და მას დაშთენია ერთი ასული ანა, ეს ქალი გაუყიდნია გურიელს გიორგის, თვით ლომაძე-კი ჯვარის-მამის საეკლესიო ყმა ყოფილა, გიორგი გურიელს მათზედ არავითარი ძალა ჰქონია, მაგრამ უმძლავრია და მცირე წლოვანი ლომაძის ასული გაუყიდნია. სად გაჰყიდა, ან ვის მიჰყიდა, ამის ცნობა არავენ იცოდა მაშინ.

## გლეხი ზენაიშვილი

1856 წ. სოფ. ჩიბათს სცხოვრობდენ გლეხნი ზენაიშვილებნი, ესენი იყვნენ აზნაურის ჯყონიას ყმანი. ამ გლეხს სახლში მიუცვივდნენ მისი ბატონის სახლი-კაცები აზ. სიმონ და იოანე ჯყონიები, რომელთაც თან ახლდათ მთავრობის ყარაულები და სხვა კაცებიც. ამით განიძრახეს რეჯიბ ზენაიშვილის ახალგაზდა ქალის დის მოტაცება, სახლში მოახლეთ წაყვანა.

გოგოს სახლიდგან გამოოჯორევის დროს, ოჯახში დიდი წივილ-კივილი შეიქნა.

ამ წივილ-კივილზედ იქვე მოგროვდნენ ზენაიშვილების სახლის-კაცები და სხვა მეზობლები და გოგოს თრევის და ცემის გულსთვის ჩხუბი ასტეხეს და უკანასკნელ მათ კარგათ დასტყიპეს, ბატონი, სახლის-კაცები და თვით მათ მომხრე ყარაულებიც, რომელნიც მთავრობის ნებადაურთველათ მიემხროთ თვისკენ და მხოლოდ გლეხის შესაშინებლათ წაეყვანათ.

მაგრამ საქმე ვერ მოუხდათ კარგად. ამაზედ დავა ასტყდა, მე-ბატონის სახლის-კაცები გლეხების ოჯახიდან აყრას ითხოვდა. მაგრამ სახლის-კაცებმა მოარიგეს.

გლეხები რომ დაარბიოთ ოჯახიდან, ეს პირდაპირ ჩენი ზარალი იქმნებო.

## ქინძლაძეები

1856 წელს, სოფელ ხინკოლას მცხოვრებს, სახელმწიფო გლეხს ქინძლაძეებმა მოსტაცეს ასული 1852 წ. და ოსმალეთში წაიყვანეს.



და თათრებზედ დაყიდეს, რამაც დიდი უსიამოვნება გამოიწვიოდა მცხოვრებთ შორის. ეს მოტაცება ისე ოსტატურად სწარმოებდა, რომ მას არამც თუ სხვა ვინმე შეამჩნევდა, ადამიელ ამ მოტაცების ოსტატური მოწყობა თვით მოტაცებულთაც არ ესმოდათ. ისე ოსტატურად ხდებოდა ეს, რასაც მეტად კარგი გაქნილობა სჭირდებოდა, რითაც მაშინდელი ყმათა მტაცაფნი დიდათაც იყვნენ დახელოვნებულნი.



1856 წელს, გურიის მცხოვრებს აზნაურს სვიმონ დუმბაძეს სახლში მოახლეთ ჰყავდა სოფელ ლეხაურის მცხოვრების ყმის დავით გორგოშაძის ასული, ბატონმა ყმას პირობა მისცა ამ გოგოსზე გაგი-თხოვებო. ბოლოს-კი, ბატონმა ეს გოგო მიჰყიდა სოფელ ქალაღიდის მცხოვრებს ქორჭაშვილს.

როცა მამამ ამ ქალის გაყიდვის ამბავი შეიტყო, იგი ბატონს წაედა ქალის დაბრუნებას, მაგრამ ბატონმა ყურადღება არ მიაქცია და აუწყა: წადი და შენ განოისყიდო.



ფეალის ჩოხატაურის უჩასტკის პორუჩიკ ნაჩალნიკს  
გ ი გ ო ბ ე რ ი ძ ე ს .

აზნაურთ ომანა, იოსებ, მაქსიმე,  
კარპეზ, დათა დავითის-ძის და  
სიმონ იესეს-ძის ბეჭა და ესტა-  
ტე გლაზუას-ძის ყენიებისაგან

თ ხ ო ვ ნ ა .

გესურს ჩვენ რა განეათაყისუფლოთ სახელმწიფო უწყებათა ში-  
ნა კუთხული ჩვენდამი შემკვიდრეობით ყმანი მცხოვრებნი ჩოხა-  
ტაურის უჩასტკისა სოფელს ქუმახეჩს გირგოლა სიმონის ძე ქორიძე  
ყოვლის მისის საცხოვრებლთურთ ამისათვის უმარჩილესად გთხოვთ  
თქვენს კეთილშობილებას მოგვეცეთ ჩვენ კუთხულებასა ზედა ჯერო-  
ვანი მოწმობა მოხსენებულის ყმის ქორიძეზედ.

თხოვნაზედ ხელს აწერენ.



1856 წელს, აზნაურმა ყენიამ ისე გაუქპირა საქმე თავის ყმა  
გლეხებს, რაის შიგნით მას გლეხნი კვინტაძენი თავიანთის ცოლ-





შვილით ბატონს განელტენენ, გორის ახალ-ქალაქში გარდამოსახლდნენ და იქ მიეცნენ ცხოვრებას. ყენიამ დავა ასტეხა, მაგრამ ვერა გააწყო-რა. გლებები სასტიკ მავრათ დაუდგენენ. სიკვდილის დაქადებით შეაშინეს, გარდა ამის დაასაბუთეს, რომ აზნაურ ყენიას წინაპრებს ჩვენი წინაპრები ძალით დაუტრეშებიათ და უყვიათო.

## ✓ ყმა ვასაძე.

1856 წელს კეტჩნა ნაკაშიძის, ლორთქიფანიძეს ასულს, ნინას თავისს საკუთარ სახლში, მისდამი საკუთნებელი ყმა საბა ვასაძე მოჰპარეს. საბა 14 წლისა ჰყოფილა. ეს ყმაწვილი ბათომში ჩაუყვანათ და იქ მიუყიდნიათ ოსმალოს მუჰამედ ფაშისთვის, რომელიც იმ დროს ბათუმში სცხოვრებდა. ამ საბა ვასაძის მოტაცების და გაყიდვის ამბავი გამოჟაშვარაგებია ყმას როსტომ ჩხეიძეს, რომელიც აგრეთვე თვისს მებატონეთაგან ოსმალეთში ყოფილა გაყვანილი და გაყიდული.

უკანასკნელ ამ ტყვეს თათართაგან თავი დაუხსნია და ბათუნადამ გურიაში დაბრუნებულა.

ბათუმში მყოფს, მუჰამედ ფაშის კარზედ, ძრიელ ბევრი გურული დაყიდული გოგო-ბიჭები უნახავს და იქვე მათში ყოფილა საბა ვასაძე, რომელიც მას კარგად უცნია. მუჰამედ ფაშამ 1856 წლის დამლევს თურმე მთელი გემი გაავსო, გურულის გოგო-ბიჭებით და ბათუმიდამ სტამბოლს წაიყვანა. თვით ამ ამბის მბოზი როსტომ ჩხეიძეც იმავე ფაშისაგან ყოფილა ნაყიდი და წინეთ სტამბოლში გაგზავნილი, რომელიც იქ სხვადასხვა ქრისტიანებს დაუხსნიათ და საქართველოში დაუბრუნებიათ.

განთავისუფლებული ვასაძე მოტყუებულ და დაყიდულ ტყვეთა კარგი მცნობი ყოფილა, რადგანაც მას სტამბოლს აქეთ, სიდაც-კი ჰქონია შემთხვევა დაშთენის, ყველგან მას მრავლად უნახავს ქართველთა შვილები, რომელნიც თურმე სწყველიდნენ თვის დამყიდველებს და ემადლიერებოდნენ ქართველ მაჰმადიანებს, რომელთაც გვიყიდეს და დაგვიხსნეს მათგანო. ამიტომაც ჩვენ სიამოვნებით გაეთათრდითო, ეს გვიჩვენიაო, აქ მაინც არავინ დაგვიყიდისო. ასე დაამოწმა მნახველმა დაყიდულ ქართველთა შვილებთა შეხედულება თვის გარემოებაზედ.

1856 წელს, ყარაშან თავდგირიძის ყმამ თარხან ჩხაიძემ გლეხი ყმის გელაძის ქვრივი შეუჩინა აზნაურის სიკო ურუტაძის ყმის ონისიმე ჩხაიძის ცოლს და ამ ქალს ახალისებდა, რათა იგი თავისს შვილებით ოსმალეთის სამფლობელო საქართველოში გაჰყოლოდა და იქ დასახლებულიყვნენ საცხოვრებლად. გლეხის გელაძის ქვრივის დარჩება არ ყოფილა ზოგიერთ სიმაართეს მოკლებული, მაგალითებრ თუნდ მის შესახებ, რომ გურიაში, თავად-აზნაურობა თავიანთ ყმებს და ყმის შვილებს ოსმალში ცხვრებივით ჰყიდდნენ, გარდა ამისა არბევდნენ ისე, რომ გლეხთა ცხოვრება ხშირად სასტიკ სიწარფს წარმოადგენდა.

რათ გვინდა ასეთი სიცოცხლე, ქრისტიანობა და ქრისტიანთ მებატონეებში ყოფნა და მსახური, თუკი ყოველთვის ცხვრის ფასი ექნება ჩვენს შვილებს და ამის გარდა ყოველთვისაც მონობაში ვიქნებითო. ამიტომაც იყო, რომ მთელი გურიის გლეხ-კაცობა სულ ოსმალში მიბრბოდა, იქ ისლამს უერთდებოდნენ და მით საყოველთაოდ თავისუფლდებოდნენ ქართველთ ქრისტიანთ გურულ ბარბაროსთ მებატონეთა მონობისაგან და თავიანთ შვილების ტაცვას და სხვადასხვა კლუბებში დაყიდვისაგან.

ჩხაიძის ცოლი აჰყვა გელაძის ქვრივს და ამან თავისს მცირე წლოვანი შვილები გელაძის სახლში გადაიყვანა, მემრე თვითაც გადვიდოდა და უკანასკნელ ოსმალში მოახერხებდნენ გარდასვლას და იქ ცხოვრებას, სადაც რასაკვირველია თათრობის მიღება და ისლამის მფარველობა მათ მონებიდამ გაანთავისუფლებდა. ეს განზრახვა ამ პირებს კარგად ვერ მოუხდათ. მინამ განზრახვას შეისრულდებდნენ, მინამდე 1857 წ. გელაძის სახლს ცეცხლი წაეკიდა და ისე დაიწყო, რომ შიგ მოჰყვა ჩხაიძის ოთხი წლის ვაჟიშვილი და დაიწყო. ამ გარემოებამ გეგმა ჩაშალა. განზრახვის ცნობები არავენ იცოდა, ეს მხოლოდ შემდეგ გამოიჩქვა, როცა ორს ჩხაიძეებს ურთიერთ შორის ჩუბი მოუვიდათ მასზედ, რომ შენმა სახლობამ გელაძის ქვრივის აყოლებით ჩემი სახლობაც-კი გააბრიყვა და მე ამით დავიღუპეო.

ეს გარემოება ბატონმა რომ შეიტყო, მან მაშინათვე საჩივარი მისცა და გამოძიება ითხოვა, თან განძრახველთ დასჯა. ბატონის საჩივარი რასაკვირველია კანონიერი იყო, ხოლო მან იმას-კი არ



დააკვირდა, თუ იგინი როგორ ავიწროებდნენ გლეხებს და სტანჯავდნენ და ან ასეთი გარემოება რამ გამოიწვია მათში.

### ზაალ ჯაყელი.

1857 წელს, ზაალ ჯაყელი ჩივის, რომ ჩემმა ძმის წულმა თავის დას თათიასა, მითხოვებულს დათუნაიშვილზედ, მისცა მზითვე-ში ყმა გრიგოლა ჩხეიძე, რომელზედაც მას უფლება არ ჰქონდა ამ ყმის გაყვამის, რადგანაც გაუყოფელი ვიყავით ჩვენს მიწულში და არც ნებას მივცემ დათუნაიშვილს, რომ ჩვენი ყმა იმსახუროს. დიდი დავა ატყუდა ამაზედ და ორივე მხარე სწეწდა ყმა გლეხს.

\* \*

ზატონ ყმობის დროს, მეზატონეთა სახლებში ძრიელ გავრცე-ლებული იყო მოახლეების რიცხვი. ისე თავადის და აზნაურის ოჯახს არ ნახავდით, რომ იქ ორი და სამი მოახლე თუ არა ერთი მაინც არა ჰყოლოდათ. ზოგს თავადისშვილს სახლში მეტიც ჰყვანდა, ხუ-თი და ექვსიც, ბევრს ალაგას, მოახლეებს კარგად ექცეოდნენ, დრო-ზედ ათხოვებდნენ და რიგიან პატრონობასაც უწევდნენ. ბევრს ალა-გას-კი, მეტად უდიერად ინახავდნენ და დროზედ არც ათხოვებდნენ და არც ათავისუფლებდნენ.

ასეთი მაგალითების შესახები ცნობები—მე ძრიელ ბევრი მი-ნახავს, მიკითხავს და უნდა მოგახსენოთ, რომ ამას მეტად დიდი ვრცელი ისტორია აქვს, ვრცელი მდიდარი მასალები, მაგრამ ყოვე-ლივე ამ უბედურთა გარემოების და წვალების, მთლად დაიკარგა, დაიღუპა, დღეს ჩვენთვის მგონი ზღაპრად დაშთეს ასეთ მოახლეთა ცხოვრების დატანჯვა-წვალების ცნობები. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ძველ დროის მოახლეთა შორის, ნამეტურ მოწიფუფლებასში, ძრი-ელ გავრცელებული იყო არშეიკობა. ძრიელ ხშირად და ბევრს ალა-გას ეს ქალები ორსულდებოდნენ ან გარეშე პირთაგან და ან ში-ნაურ ზატონისშვილებთაგან.

მაგალითებრ 1825—1850 წლებამდე, მე გადავწინავე გფორიის სა-მართველოს ქალაღდები, სადაც შენახულ იყო, არა მარტო მაზრის ახლო-მახლო მცხოვრებთა ცნობები, არამედ მთელის მაზრის სოფლის მცხოვრებთა საჩივრებიც, და უნდა მოგახსენოთ, რომ მე იქ 2000 ქა-ლადი ვპოვე, სადაც აწერილი იყო მოახლეთაგან უკანონოდ შობილი ბავშვთა ამებები და მოახლეთა თავ-გადასაყალი. წარმოიდგინეთ



ისიც, რომ მშობიარობის შემდეგ, ხშირად მოახლე ისევე ზატყობასკობისა  
სახლში შთებოდა, ყმაწვილიც ბატონის საკუთარ ყმათ ჩაირიცხებო-  
და. ზოგი ასეთი დაბადებული იწერებოდა თვით მებატონის გვარ-  
ზედ, რადგანაც იგი ბატონიშვილის შექმნილი ყოფილა.

ამის მაგალითს ცხადათ ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ დღეს  
ძრიელ ბევრს ნახავთ ისეთ მეგვარე გლეხთა შვილებს, რომელთაც  
პირდაპირი მამობრივ—ნათესაეობა აქვთ თავად-აზნაურებთან და  
გვართაც ერთნი არიან. თვით მათშიაც არის ამბათ დაშთენილი,  
რომ ჩვენ ამა და ამ თავად-აზნაურის უკანონო შვილი ვართო.

ასეთ მაგალითების დასამტკიცებლათ მე მოვიყვან მხოლოთ  
ორს მაგალითს: ერთს 1857 წელს მომზადარს. სახელმწიფო ყმა ბახუტა  
კალანდაძემ დააორსულა თამარიკა ჩალიგალის ასული, მოახლე ბა-  
ტონის სახლში და მეორე—მღვდელი გიორგი დუმბაძის მოახლე მა-  
რიამი დაორსულდა, რომელსაც ვაჟი შვილი მიეცა. ამ მოახლე გოგოს  
შესახებ აი რა ცნობა არის: „1852 წელს მე, მღვდელი გიორგი  
დუმბაძე ვსდებ ამ წერილს, რომ რომელიც მოახლესა ჩემსა მა-  
რიამსა უკანონო შვილი ჰყავს დავითა ის ხსენებული ბიჭი ძმამან  
ჩემმან სიმონ დუმბაძემ ჩემს აღსარებაში ანდერძთ გაანთავისუფლა  
მისდა საუკუთნებელი ნაწილი და ძმისა ჩემისა ქაიხოსროს ნაწილი  
მე მყავდა ნაყიდი ის გოგო და აწ მეც ის უკანონო შვილი დათია  
განმითავისუფლებია და დამიტოვებია თავისუფალი ყოვლის კაცის  
უდევრათ და უმიზეზოთ ჩემისა სულისა საღბინოთ და მოხახხე-  
ნებელად სულიერისა მამისა ჩემისა მღვდელისა იოანე ჩხაიძისა  
მოწმობით, რომელსა ზედა ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ მღვდელი  
გიორგი დუმბაძე, ვსწერ მე მღვდელი იოანე ჩხეიძე მღვდელის  
გიორგი დუმბაძის თხოვნით და ხელის მოცემით და მოწამეც  
ვარ ამისა. ვმოწმობ მე წერილსა ამას დიაკონი სპირიდონ ჩიჩუა“.

უნდა ვსთქვათ, რომ ისეთი მაგალითები ძრიელ ბევრი და ძრიელ  
მრავლად მომზადარა ჩვენში და ეს თვით მოხუცებულ დედაკაცებთა-  
განაც ერთობ მრავლად და ხშირათ მოგვისმენია. დღეს-კი ეს ზღაპ-  
რათ შეიძლება დაშთეს მრავალთათვის, მაგრამ არ შეიძლება კიდევ  
სადმე ცნობები არ აღმოჩნდეს. ამის საფუძვლად მოვიყვან კიდევ  
შემდეგს:

1848 წ. მე ვიყავ მოახლე კნიაზ გიორგი ნაკაშიძისა, დროსა მოახ-  
ლეობისა, მე მეყოლა უკანონო შვილი როსტომი მგელიძესაგან და რა  
გაუხდა შვილსა ოთხი წელი, მე ველარ შევძლე მოვლება ყმაწვილისა,

რადგანაც სამსახური უნდოდა. დროებით წავატანე როსტომ მგელს  
ქეს ჩემი შვილის მზრდელათ და თან ფეხის შესაკერავად, შემდეგ  
ამისა გამანთავისუფლა ბატონმა და ქმარის შერთვის ნებაც მომცა,  
ეხლა შევიტყუე, ხსენებულს ყმაწვილს არც ტანთ აცმევს. მე მრავალ  
ჯერ ვსთხოვე შვილი, მაგრამ მინ არ ქმნა, ეხლა ვსთხოვე თქვენს  
მალალ კეთილშობილებას, რათა ქმნათ ბრძანებულდება და მომცეს  
მე შვილი, რადგანაც კანონით დედიხა არის და არა მამისა უკანონო  
შვილი, ანუ ბატონისა ჩემისა და ნუ იქნების მაგრე, რომ ჩამომერთვას მე. ედუკია კანიშვილის ქალი, 1848 წელს, აგვისტოს  
8 დღესა“.

როგორც სჩანს, საქმროს ეს ქალი აღარ შეერთავს, საწყალი  
მოტყუებული დარჩენილა. ასეთი საქმეები ერთობ ბევრი მომხდარა,  
ყველას ვერ მოვთვლით.



აი კიდევ სხვა მაგალითი. 1828 წელს აზნაურის ბეგან ბერიძე-  
საგან იყოდეს ერთი გლეხის გოგო თამრო სახელმწიფო გლეხებმა  
გაბრიელ და ბიჭია კალანდაძეებმა. ეს გოგო ამ გლეხ ბებატონეთ  
ხელში 30 წელს დაშთა. ამ მსახურების დროს, იგი არ გაათხოვეს.  
ამ გარემოების მეოხებით, ბუნებას თავისი გაუტანია, სამი უკანონო  
ასული მისცემია, იგინი დაზრდილან. უკანასკნელ ამ ახალ მებატონე  
ნებს ამ უკანონოდ შობილ ქალების ყმობაც განუზრახავთ, მაგრამ  
ეს მათ ველარ ღირსებიათ, რადგანაც 1867 წელს იმერეთში უკვე  
გამოცხადდა გლეხთა განთავისუფლება. განთავისუფლებულ უნდა ყო-  
ფილიყვნენ ყველა ნაირი ყმები მებატონეთაგან გაყიდულ ნაყიდებშიც  
და მემკვიდრეობითი დაშთენილნიც. ეს განკარგულება თამროს გლეხ  
მებატონეებს ძრიელ სწყენიათ და თამროს განთავისუფლება არ სდომ-  
ნიათ, ამიტომ ამათ შემდეგი საჩივარი მიუციათ თავიანთ ყმა ქალზედ  
და მის უკანონო ქალებზედ:

ბახვის უჩასტკის სოფელ აცანას  
მცხოვრები სახელმწიფო ყმები გაბ-  
რიელ და ბიჭია კალანდაძეებთა

თ ბ ი ვ ნ ა.

თუმცა ჩვენ ვართ სახელმწიფო ყმანი, მაგრამ ძველის ჩვეულ-  
ბისამებრ მთავრის გურიის დროს ჩვენისთანა კაცებს ჰქონდათ სი-  
მართლე შეეძინათ ყმები და მაშინდელის წესით რადგანაც გურიაში



არ იყო შემოსული რუსეთის მართებლობა, ეიყიდეთ ჩვენ ბევრს  
ჩიხისაგან გოგო თამარა, რომელიცა გვყავდა ოცდაათს წელს, ამას  
შეეძინა უკანონოდ სამნი ასულნი და გამოიზარდნენ ჩვენს ხელშიდ,  
ახლა თუმცა განკარგულებითა უფლის ეონენის ლუბერნატორისა  
უმართლოდ ჩამოგვართვეს გოგო შეილებით, მაგრამ რადგან ძველის  
წესით ნასყიდნი გვყავს და ნასყიდობაც წარმოვადგინეთ ამისთვის  
ვითხოვეთ დაგვებრუნოს ჩვენ კუთვნილობისამებრ და თუმცა ჩვენ კა-  
ნონით არ გვაქვს სიმართლე ვფლობდეთ ყმათა მაშინ ვითხოვეთ ნება  
მოგვეცეს და დრო დაგვენიშნოს რომ მივსყიდოთ იმ პირს ვისაც აქვს  
სიმართლე ყმის ფლობისა და ნუ მოვაკლდებით ჩვენს საკუთრებასა.

ყმანი გაბრიელ და ბიჭია კალანდაძეები და რადგან ავენმა წე-  
რა არ იციან, მათის თხოვნით მათ მაგიერ ხელს ვაწერ ახნაური სვი-  
მონ თირაშვილი

ჩუნწ სა წელსა

დეკემბრის 20 დღესა.

საქურადღებოა ეს წერილი მით უფრო, რადგანაც ასეთ უჯათ  
გლებთა გლები მებატონეები თვით 1868 წელსაც კი ბრძანებულან,  
შვეიდრს, ძველ მონურს საძირკველზედ განსვენებულნი. აი ესეც სა-  
ჩივარი ამ თამარ სვანიშვილის ნათესავებისა:

უფალს ოზურგეთის ჟუზდის ნაჩალ-  
ნიკს.

ბახვის უჩასტკის სოფელსა აცა-  
ნას მცხოვრებ ყმებთ მიქელ და  
გლახუნ იოვანეს ძეთ სვანიშვილებ-  
თაგან და დისა მათისა თამარისა.

თ ბ ო ვ ნ ა .

ამავე უჩასტკის და სოფელს მცხოვრებთ სახელმწიფო ყმებთ  
გაბრიელ და ბიჭია კალანდაძეებთ ჰყავდათ რაედენიშე ხნითგან პირ-  
ველ მებატონედ ყოფილისა ჩვენისა ბერიძეებთაგან მძლავრებით მო-  
ტაცებული უსაფუძვლოთ მისყიდულობით მითვისებული სასამსახუ-  
როთ ჩვენგანი დაი თამარა სამის უკანონო მისის ასულებითა, გარნა  
ამის თაობაზედ მივართვით ჩვენ საჩივარი ქალაქდი განგლიოს შინა  
ათას რვაას ორმოცდა ჩვიდმეტსა, აგუსტის ცხრასა რიცხვსა, იმ  
დროთ მყოფს ქუთაისის ლენერალ ლუბერნატორს კოლუმბიაკინს, რო-  
მელმანცა თხოვნისამებრ ჩვენისა იმ შემთხვევაშიდ იმ დროთ განა-



თავისუფლეს დაი ესე ჩვენგანი თამარა სამის მისის უკანონო შექმნის ნილის ასულებითა უსაფუძვლოთ მფლობელობისაგან ყმებთ კალანდაძეებთა მიერ.

გარნა იმ შემთხვევის დროთ პირველ მებატონედ ყოფილმან ჩვენმან მცხოვრებმან ჩაბატაურის უჩასტკასა შინა სოფელსა ახალშენსა პოდპორუჩიკმა აზნაურმან გიორგი ბეგენის ძემ ბერიძემ, გვთხოვა ჩვენგანის დის თამარის ერთის უკანონოდ მისის ასულისა სახელწოდებით მარტინეს მიბარება ოჯახსა მისზედ რაედენიძე ხნის დროებით სასამსახუროთ და სასწავლებლათ მისა, რადგან მართებლობამ განათავისუფლა დაი ჩვენი თავისს უკანონო ასულებითა ესრეთის მებატონენის მფლობელობისაგან ამა საფუძველსა. ზედა არ ვრაცბდით ჩვენი დაის უკანონოს ასულის მიბარებას არავისზედ განმეორებით მებატონეთაგან მფლობელობით საფუძვალათ გარნა იმ დროთ პოდპორუჩიკმან აზნაურმა გიორგი ბერიძემ ასული თავისი ნატალია მიათხოვა სამეფლოთ ქუთაისის უეზდის სოფელ კულაშის მცხოვრებს თავადს მერაბ მიქელაძეს, რომელმანცა მან ბერიძემ თავისს ასულს სასამსახუროთ და სასწავლებლათ რაედენიძე ხნის დროებით თანახმად ჩვენი ნებართვითა გაატანა ჩვენი დის უკანონო ასული მარტინე მას მიქელაძისას.— რიცხვით განმავლობისა რვა წელი.

გარნა მას ბერიძეს, აღრიდანვე ვსთხოვთ ჩვენი დისწული მყოფი სასამსახუროთ მიქელაძისას თავისუფალ იქნეს, რათა მოგვეცეს, მაგრამ როგორც სჩანს დღეს არა თუ ჩვენი დისწული, არამედ მას თავადს მიქელაძეს ფარშვიად შეუდგენია ორასის მანეთის ვალდებულობის ქალაღი, რომელიც იღუმალ კიდევაც დაუპტკიცებია სადამე, ვითომც გვემართოს ჩვენ მის მიერ და იმ ფულშიდ ჰყავდეს ჩვენი დისწული მარტინე გირაოთ რომელსაც იმა ფარშვიათ შედგენილს ქალაღს სრულიათ ვერ ვსცნობთ და არც ვრაცბთ თავსა ჩვენსა იმ შემთხვევაშიდ ვალდებულათ რათა მიუზლოთ ესრეთი და არცა არავითარი საჭიროება გვიწვევდა სესხებად მისგან ესრეთის ფულისა, რომელზედაც კიდევაც გვიჩივის მისაზღვეველად ფულისა იმა ფარშვიის შედგენილს ქალაღის ძალით თავადი მიქელაძე.

ამისთვის უმორჩილესად ვსთხოვთ თქვენს კეთილშობილებას, რათა ჭინათ იმაზედ კანონისამებრ განკარგულება და თანახმად გამოკვლევისა იქნეს წესიერა გამოკვლევა-გამოძიება თუ ის წერილი, რომელ წელშიდ, ანუ რომელ ადგილობით სასამართლოშიდ ჩვენი ნებართვით ვინ დასწერა, ანუ ვინ დაუპტკიცა უჩვენოთ ანუ დათუ-



ლით ფულის ჩაბარებაზედ როქელნი პირნი ყურებით შემდგომად  
სიმართლედ ამისა ეცოდინება პირველ დამწერსა იმ ქალაქისას და  
შემდგომ როქელსაც აღგილს იღუპალ დაუმტკიცებია მას პირსა  
ერთგან მას ფარშივალ შედგენილს ქალაქისა შინა წერებულთა პი-  
რებთა წესისამებრ გამოძიებით ფიქს ქვეშე მოგვითხოს და აღმოჩე-  
ნისათანავე მისებრ სიმართლისა დააკმაყოფილოს ჩვენ მიერ თანაზ-  
მად ვეკსილისა თავადი მიქელაძე, ხოლო ვიდრე დაბოლოვებით გან-  
კარგულებისა მოხეთენამდე და გარდაწყვეტამდის საქმისა უმართლო  
საჩივრისა მის თავადის მიქელაძისაგან თავისუფალ ვიქმნეთ მოთხოვ-  
ნად ჩვენზედ ვეკსილის ძალით ფულისა და შემდგომ გამოძიებისა  
ვამართლებსამებრ ჩვენისა ჩვენი დისწული რაოდენიც წელნი ყო-  
ფილა მისს მიქელაძისას სასამსახუროთ შესახვედრის ქირით დავშ-  
თეთ კმაყოფილი.

ვგონებთ, საკმარისი უნდა გახლდესთ ჩვენის მოსაზრების შესა-  
ზომებლათ აქ მოყვანილი ცნობები, რომ ქართველ ბატონყმობის  
დროინდელ მოახლეებთ უყოფილთ ყმა ქალთა ცხოვრებას იწარე  
წყვედიანით მოცული ისტორია აქეს.

\* \*

თუ სადამდის თავ-აწყვეტილები იყენენ ზოგიერთი მებატონენი  
თავიანთ ყმების ქერივ ქალებზედ და შეილებზედ, ამას ამტკიცებს  
შემდეგი ცნობაც, რომელიც მოიყავს აქ. ნუ დაივიწყებთ, რომ ესეთი  
რბევა და უსამართლობა ხდება 1856 წელს, მაგრამ რას ვიქმთ, ამა-  
ზედ უარესები თვით 1866 წელსაც-კი მომხდარა. აი ესეც ცნობა,  
საჩივარი და გოდება:

ღებაურის მცხოვრების საბატო-  
ნო ყმის აწ გარდაცვალებულის ლი-  
ზარე გორდელაძეს ქერივის მაკო  
შავიშვილის ქალისაგან

თ ბ ი ვ ნ ა.

დროსა ამა ნოემბერსა ჩუნდ წელში ვიყავი მე და მეუღლე ჩემი  
ლიზარე გორდელაძე ბიზნათ სოფელ ძიმიითს კიაზი დათა გუგუნი-  
ვასას და შემეძინა იქ ერთი ასული რომელსაც ამასთანავე წარმოა-  
დგენთ მცირე წლოვანსა ჩემსა ხოლო მეუღლეცა ჩემი გარდაცვალა  
იქვე საბიზარში, რომელიცა გვქონდა დატოვებული ღებაურს ყოვე-





ლი ჩვენი საცხოვრებელი და მეუღლე დავმარბე დიდის ვაჭარის  
სხვის ქვეყანაში და ეხლაცა არაფერს ნუგეშის მკემელი არა ზყავს და  
დავდეფარ სხვა და სხვა სოფელშიდ და ერწები თხოვნითა და ვარჩენ  
შვილსა ჩემსა.

ეხლა ბატონი ჭმრისა ჩემისა აზნაური სვიმონ თაყაიშვილი  
მთხოვს ამ მცირე წლოვანსა ასულსა ჩემსა მოახლედ და ანუ ასს მი-  
ნეთს ვერცხლისას თქვენო აღმატებულედავ. მე საკვირველად მიკვირს  
რომ ის თუ ასს მანეთად ღირს მაშინ გაზრდილი უნდა ღირდეს ათას  
მანეთათ, მაგრამ ნიშნავს დიდს უსამართლობას, ამისთვის უმორჩი-  
ლესად ვთხოვთ რათა მომეცეს მე დედასა შვილი სისახსროდ და მი-  
იღოს ბატონმან ჩემგან შესაფერი ფასი თქვენის მიხედვით რათაც  
ღირდეს და ეგრეთვე მეცა ქვრივს მომეცეს ნება გათხოვებისა ამისა-  
თვის რომ ათას მანეთს ვერცხლისას მეცა მთხოვს თორემ ასე ვერ  
უნდა მივეთხოვო სჯულიერს ჭმარს, რომელიც მე სრულიად მისს ყმის  
შვილი არა ვარ.

### გლეხი კვაჭაძე.

1857 წელს გამოძიებაში იქმნა მიცემული გლეხი გოგია კვა-  
ჭაძე, რომელსაც ხელობით ჰქონია ქართველ ვაჭო-ბიჭების დაყიდვა.  
ამ საქმეს ქუთაისის გუბერნატორმაც მიაქცია ყურადღება და ოზურ-  
გეთის სამაზრო უფროსს 7 მაისს 1857 წელს თხოვნა მისწერა და  
დაავალა, რომ მას ამ საქმის შესახებ მალე შეეკრიბა ცნობები და  
ეცნობებია.

### იანე ჰანტურია.

1850 წელს სოფელ კვირიკის მცხოვრებმა თ. მაქსიმე შალიკა-  
შვილის ყმამ, იასე ჰანტურიათ ცოლად შეირთო ჯორბენაძის ქალი  
თამარი. ამ ქალს კარგი მზითვეიც ჰქონდა. რამდენიმე ხნის შემდეგ  
გლეხი ჰანტურია გარდაიცვალა და მას დარჩა ცოლი და ორი ოზო-  
ლი. ვინელო დრომ და ქვრივმა ისურვა გათხოვება, მაგრამ ბატონი  
ნებას არ აძლევდა, საქვრივოს სთხოვდა. ქვრივმა ქალმა მალე მისცა  
საქვრივოში ძროხა და სხვა და სხვა ნივთები.

რაც შეეხება ამ ქალის ძველს ნივთებს და მზითვეს, იგი-კი და-  
შთა ნამზითვად და ბატონმა წაართვა ყოველივე და თვით დაიტოვა  
იმ პირობით, რომ უჯანსჯელ ამ ნივთებს ჰანტურიას ობლებს გა-  
დავსცემო. საქმე და პირობები ასე იქმნა გამორკვეული. ეს რომ

სწორეთ ასე უნდა ყოფილიყოს, ამას მოწმებიც ექმნენ. კვრივეს ტა-  
თხოვების და სახლიდამ წასვლის დროს, ბატონმა ობლებიც თავის  
სახლში გადიყვანა, დედას არ გაატანა გერთ. ჩემს სახლში დაი-  
ზრდებიან და უკანასკნელ მიმულს და ყოველ მოძრავს საქონელსა  
მათ მიესყემო.

ყმაწვილები დაიზარდნენ. ამ დროს დედა ამითი, მეორე ქმარ-  
ზედ გათხოვილი, გარდაიცვალა. ამ გარემოებით ისარგებლა ბატონ-  
მა და ჯერ კიდევ მცირე წლოვანი ასული გაყიდა იმერეთში და ბი-  
ჭი ესტატე მიჰყიდა დუბაზეს მცხოვრებს გოგია მახარაძეს. ამ დას-  
ყიდვის შემდეგ, ბატონს დავა დაუწყო ობლების დიდ-დედამ და  
მთავრობას საჩივარი მისცა ბატონზედ და ითხოვა შვილისშვილების  
პოვნა და მათთან უკრავ და მოძრავის ჩონების დაბრუნებაც, რა-  
მაც უფრო გაახელა მედიდური ბატონი.

## მ ნ შ ქ ა მ ბ ე ლ ა ქ ე .

1858 წელს სოფელ ქანჭათას მცხოვრები სახელმწიფო და  
საბატონო საზიარო ყმა, ენუქა მგელაძემ თავის ძმის წული ანტონ-  
ნა, შინა ყმათ მისცა ოჯახში სამსახუროდ აზნაურთ გლახუნა, ნიკა  
და ლუკა ცქიტისშვილებს. შინა ყმა ამ ბატონებთან ორ წელსა და  
ნახევარს დაშთენილა და მერე საცალა დაკარგულა. ბიძას ეჭვი აუ-  
ლია, რომ ვაი თუ ჩემმა მოზიარე მებატონებმა ბიძაშვილი გამი-  
ყიდესო, ამიტომ ამას დავა დაუწყია. დავის ატება მისს მებატონე-  
ებს ძრიელ სწყენიათ, ამიტომ ესენი დასცემიან მისს ოჯახს რამ-  
დენიმე გზის და აღნიავებიათ, გარდა ამისა, ცოლშვილიც დასტაცეს  
და განასყიდათ შიერეკეზოდნენ, მაგრამ ხალხი დაწედა გზაში და  
დაატოვებინეს.

## ყმა აზნაურიშვილები.

1859 წელს ბევრს ალაგას ყმა გლეხს მებატონეთ აზნაურის-  
შვილი ჰყენდა, აზნაურისშვილებსაც მებატონეთ თავადიშვილი  
ჰყენდა. საბატონო აზნაურიშვილები საქართველოში მრავლად იყ-  
ვნენ. აზნაურნი განიყოფებოდნენ ასე: სამეფო აზნაურნი, საკათალი-  
კოსო აზნაურნი, საბატონო აზნაურნი, ე. ი. ყმანი რომელიმე თავა-  
დიშვილისა და ხელისუფალი, ანუ თავისუფალი აზნაურნი. იყო მათ  
შორის ასეთი წესი:

ყველა ამ აზნაურებს ყმებიც ჰყენდათ, ბევრს ალაგას, საბა-  
ტონო აზნაურის ყმები ერთსა და იმავე დროს, როგორც თავიანთ მე-

ბატონე აზნაურის შვილს ემორჩილებოდა, ისევე იგი მორჩილად თავის ბატონის თავადის შვილისა. ასე რომ იგი აზნაურსაც ემორჩილებოდა და ხარჯს აძლევდა და თავადი შვილსაც. ერთი სიტყვით, ასეთი გლეხკაცი წელში იყვნენ გამწყდარნი, აზნაურის და თავადის სამსახურს და ხარჯს ველარ ასდიოდნენ. ესენი ერთ-თავად კისერში იყვნენ მოლუნულნი და წელში გამწყდარნი. ერთს მონასორის უფლის მონება ძლიერ აწუხებდა და სჩაგრაედა.

მე ძალიან ბევრი ამბები ვიცი ასეთ ყმათა ცხოვრებიდამ, მაგრამ რა გამოვა ამ ცოდნით—ბევრი არაფერი, მრავალნი ექვსაც დამწამებენ. ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია, რომ აქ ამის შესახებ რამე წერილობითი ფაქტი მოვიყვანო. სამაგალითოდ აი, ესერთი ცნობაც მომიყავს პირდაპირ, რათა მკითხველმა უფრო ნათელი შეხედულება იქონიოს ასეთ გლეხთა ცხოვრების პირობებზედ. ისიც კი უნდა მოგახსენოთ, რომ ძრიელ ბევრს ალაგას და ძლიერაც ხშირად თავადს, ბატონს და მისს ყმა აზნაურს შორის გლეხი ყმის გულისთვის დიდი დავი-დარაბაც ამტყდარა, ჩხუბა და კაცის კვლაც მის გამო, რომ აზნაურს საზიარო მონის ხარჯიდან მხოლოდ თვითონ აულაი და თავად მებატონისთვის კი არა მიუცია რა.

ამის გამო მათში დიდი ძერა-დიდიობა ატეხილა და საბრალო გლეხი თავისს წიაღით მებატონეთა სადავო ზვარაკათ გამბდარა და უკანასკნელთ ვინ იცის იგი როგორ ჭეწიწეკნით. რას ნახავს კაცი ჩვენს ძველს ცხოვრებაში, რომ იმას დიდი ვრცელი ისტორია არ აქენდნენ, მაგრამ მის ცნობების კი ჩვენ ბევრი არაფერი გვაქვს. ამიტომ მოგვყავს ჩვენ აქ შემდეგი პატარა ცნობა, რაც ნათლად ხატავს აღნიშნულ პირთა მონურ ცხოვრების ვითარებას.

V.

გატყუებთა სამეგრელთუი

მასალუბი.

## თავ. დადიანი

ერთი ლევან დადიანი ძალიან თოფის სროლის მოყვარე ყოფილა. ეს მებატონე თოფის სროლისთვის ხანდისხან ისეთ თავისუფლებას აძლევდა თავის თავს, რომ სადმე ხეზედ, ხილის დასაკრეფათ, ან სხვა რამ საქმისთვის გლეხი რომ ასული ენახა, მაშინ თუ მოეწონებოდა და თან მოუნდებოდა, იმ ხეზე ასულს გლეხს თოფს ესროდა, მოკლავდა და მოკლული რომ ძირს ჩამოვარდებოდა, ეს მხოლოდ ერთს ისიამოვნებდა ამით. ამის ერთის სიამოვნებისთვის უნდა სიცოცხლე გასთავებოდა ერთ კაცს.

ასე და ამგვარად, ამ ლევან დადიანს ძირეულ ბევრი შეუწირავს თავის წუთიერის სიამოვნებისათვის. ვინ იყო ეს ლევანი და ან როდის, რომელ საუკუნეს სცხოვრობდა, ამაზე ხალხი არას გადმოგვცემს. ეჭვი კი არ უნდა, რომ მეცხრამეტე საუკუნის იქით არ იქნებოდა, არამედ ეხლა-ხან უნდა ყოფილიყოს, ანუ XIX საუკუნეში.

საქართველოში, მონობა ანუ ბატონყმობა ყველგან იყო, მაგრამ ისე ეს როგორც ქართლსა და სამეგრელოში იყო, ასე დანარჩენს კუთხეებში არ ყოფილა. სამეგრელო ყმათა დევნით და მონებით ცნობილი იყო ისევე, როგორც ქართლი. დასაწყისი ასეთის ნონობისა სამეგრელოშიც XVII საუკ. იწყება, ესე იგი იმ დროს, როცა საქართველოს მოსპობა განიზრახეს ისმაილელის ტომთა. ბატონყმობის მონობას უკან ჩამოურჩა მხოლოდ სამცხე-საათაბაგო და კახეთი. ამის პირობები აი რა იყო.

კახეთი შაჰაბაზმა 1618 წ. ისე აიკლო, ისე ალაობრა, რომ იყმისა და ბატონს შორის სადავო აღარა იყო რა, რადგანაც ორივენი ერთად იწოდნენ და იხრაკებოდნენ მტრის ცხელს ტაფაზედ. კახეთის აოხრება იმოდენა თავზარ-დამცემი იყო, რომ მის გავლენამ მთელს კახეთზედ დღემდე დასტოვა თვისი ნიშან-წყალი. იმავე დროს მოისპო კახეთი, დაცალიერდა ხალხით სოფლები, მოისპენ და ყოველივე მოსპობას ისე მიეცა, რომ იქ ბატონყმობის მახვილმა დაიძინა; მან გაიღვიბა მხოლოდ XIX საუკუნის შემდეგიდამ და თუ კახეთში რამე ბოროტება ხდებოდა—ეს იყო მხოლოდ ახალი კანონების ძალა.

კახეთში ისე მოეწყო საქმე, ადვილმდებარეობანი ისე ობრაით იყვნენ დატოვებულნი, რომ XVII საუკ. ბოლოდამ, იქ იმერეთიდან სახლდებოდნენ სხვა და სხვა გლეხნი და საყოველთაოდ ეძლეოდნენ იქ ცხოვრებას. თითქმის იმავე დროს მოიფინა იმერეთ შორის ამის ხმები, რომ კახეთში თავისუფალი ადგილები ბევრია და ვინც მოვა იქ დასასახლებლად, მებატონენი იმათ სიამოვნებით მიიღებენო. ამიტომაც იყო, რომ ძველიდანვე იმერეთიდან და ნამეტურ სამეგრელოდამ მრავლად მობრბოდნენ სხვადასხვა დევნილ ყაბაღდანი, ზოგნი ზემად, ზოგნი ცაიად სახლდებოდნენ აქ, აქაურ მებატონეებს ეყმებოდნენ და მით სცხოვრებდნენ თავისუფლათ. ხშირად მომხდარა ისე, რომ ამათ აქ ძველი ბატონიც ხლებია და თვისი უფლება დაუწყევია, მაგრამ მით ვერაფერი გაუწყევია, მხოლოდ სამაგიერო მიუღია ყმების და მერე შინ დაბრუნებულა.

მეგრელებს გარდა კახეთში XVIII საუკუნის ნახევრიდან იმერეთის სხვადასხვა კუთხეებიდამც იწყეს გადმოსვლა და მასთან რაჭველებმაც ისწავლეს გზა-კვალი და ბატონთაგან დევნილნი ესენი ადვილად მობრბოდნენ კახეთში. იმერეთიდან ასეთის გადმოსახლებულთ ქართველებს ზოგ ალბას მთელი სოფლებია გაშენებულა. ეს მთელს კახეთში ყველამ იცის, იქ იმერთა ჩამომავლებს გვარებითაც კი გაარჩევს კაცი. მეგრელთ გვარები კი კახეთში სულ ტყეტიურად გადაუკეთებიათ.

სამცხე-საათაბაგოს ბატონ ყმათა პირობებსაც მოველინა ის გარემოება, რომ ოსმალეთმა ეს კუთხე თვის მოხარკეთ ვახადა 1580 წლიდამ. მის მერე 1627 წ. სრულიად დაიპყრო და ათაბაგოვაც მოშალა, მალე ხალხს გაათათრებაც დაუწყეს. საქმე იქ ისე მოეწყო, რომ მებატონეებს ყმების დაყიდვის დრო აღარ აქენდათ, ყველანი ერთად იყვნენ შეჯგუფულნი და ოსმალოს მონობას და გაათათრებას მდგომარად ებრძოდნენ. ამ გარემოებამ სამცხე-საათაბაგოც XVII საუკ. პირველ წლებიდან მთელს იმერეთში ცნობილ ჰყო ისე, რომ იქ მებატონეები თვის ყმებს ისე არ სდევნიან, როგორც იმერეთში სხვადასხვა მებატონენიო. ამიტომ აქეთ მრავლად იწყეს გადასვლა ზემად თუ ცხადად როგორც გურულებმა, ისევე მეგრელებმა.

უმეტესად კი უფრო მეგრელები გადმოდდიოდნენ. ამის მაგალითები ბევრია, მაგრამ ჩვენ მარტოდ ერთს დავასახელებთ, სახელდობრ სამეგრელოდამ, რალაც დანაშაულობის გამო ეჯიბიას გამოქცევის და სამცხე-საათაბაგოში გადასვლის და აქ სოფ. ქოქიას და-



სახლებს, სადაც შემდეგ მათ კათოლიკებსაც შეუერთდნენ და დღეს ფრანგი გოკიელოვები ამის შთამომავალნი არიან. ასეთი დევნილი ყმანი სამეგრელოდამ აქეთ ასობით და ორასობით შორბოდნენ თურმე და არა ხუთი და ათობით. მეგრელთ მონობა ენუ ბატონყნობა უფრო მწვავე ყოფილა, ვინემც გურულების. მეგრელნი მებატონეთ უფრო ემორჩილებოდნენ და გურულები კი ისე არა. ამიტომც იყო რომ მეგრელნი ისე ხშირად გარბოდნენ კახეთს და სამცხეს, რაისა გამო სამერმისოდ მთელი სამეგრელოც ხალხით დაიცალა.

ეს არის უმთავრესად იმის მიზეზები, რომ თვით დღესაც მთელი სამეგრელოს მინდვრები და ტყეები სულ დაცარიელებულია და ჭაობებათ გადატყეული. XVII საუკ. დამდეგამდე კი იგი მჭიდროთ იყო ზოფენილი ხალხით, ისე იყო იქ მეგრელთა რიცხვი გაზრავლებული რომ თქვენ ვერსად ერთს ადგილსაც ვერ ნახავდით ცარიელს. ამ დაცარიელებას ხელს უწყობდა შემდეგი პირქუში მდგომარეობა და მძლავრება მებატონეთა თვის ყმებზედ.

სამეგრელოდამ მონანი ყმანი ნებით თუ უნებლიედ მირბოდნენ კახეთს, სონხეთს და სხვა ადგილებში საცხოვრებლად და იქიდან სამეგრელოში აღარ ბრუნდებოდნენ.

მეგრელ მებატონეებს თავიანთი ყმებისაგან წელიწადში ოსმალეთში 10,000 ყმაწვილი გოგო და ვაჟები გაჰყუანდათ და ჰყიდდნენ იქ ოსმალზედ. მათგან დატვირთული მთელი გემები გადიოდა ოსმალეთში და იქ ქართველთ შვილები სულ იაფათაც თყიდებოდნენ. მებატონენი ჰყიდდნენ არამც თუ მარტოდ გლეხ ყმათა შვილებს, არამედ თვით ყმადა ყოფილ მღვდლის შვილებს და თვით მღვდლებსაც კი.

### აზნაური ოტია ბერიძე.

1865 წ. აზნაური ოტია ბერიძე თავისდროს კაი სვაგი იზნებოდა თავის ყმბის. ეს თურმე მეტად ბევრ ხარჯს აკისრებდა თავის ყმბს. ნამეტურ დაუკისრებია ყმის ეგნატე წიქარაძის და მენაბდესაფია. წიქარაძეს თურმე ისე გადაეკიდა, რომ ჯერ ერთს და მეორე მგორეს მოკვლასაც დაეჭადა.

საბალახე და საძოვარზედ ცხენები ჰყოლიათ ამათ, მებატონენს ეს არ უყაბულნია. ყმობა იშლებოა, საყმო ხარჯს ვარდა საბალახე ცალკე უნდა მომცეთო. ეს ყმბს არ უჭნიათ. ბატონის ყმბითვის ცხენი წაურთმეგია და მისთანვე აურთანელი რაღაც ვალიც დაუკისრებია.



წიქარაძე საღაცა გაქცეულა, საჩივარი ამტყდარა, მაგრამ ბატონის მიხედვით ვერა ვაუწყებია რა. ყმა შიშით გაქცეულა, ბატონმა არ მომკლასო. რამდენიმე ხნის შემდეგ ყმა წიქარაძე შინ ბრუნდება, ბატონი საჩივარს ახსლებს, მაგრამ ვერაფერს აწყობს, რადგანაც ყმები ერთპირ ნაგრა იღვანენ და არ ეპუებოდენ. ყმებმა ბატონს დიდი დაფაც აუტყბეს, რომ ეგ სიკვდილს გვემუქრის და ვითხოვთ ამის ჩვენება ჩანოერთვას. მოკვლა თუ იქნება, ჩვენ სულ გვარბიანათ ამოვსწყვიტავთ ნათს ოჯახშიო.

საქმე სადაეოდ ხდება და ბოლოს დიდის განხეთქილებით ბოლოვდება. წარმოიდგინეთ, რომ ეს ხდება 1866 წ., როცა ქოთლსა და კახეთში ბატონ-ყმობა გადავარდნილი იყო და იმერეთშიაც დანა ყელზედ ჰქონდა მიბჯენილი. ამ გაყრის დროს მაინც უნდა დამტკბარიყვნენ, მაგრამ არა, წესი მებატონეთა სჯულზედ უმტკიცესიაო, უთქვამთ ძველად, და ესენიც ამ გაყრის დროსაც კი უბრალო ერთი ცხენის საბალახოს გამოც კი ყმებს დაეცა უტყბდენ, თორემ რა იყო იმ დროს იმერეთში ბალახი!—არაფერი; აუარებელ ადგილებში ბალახი ლპებოდა უპატრონოთ და აქ კი მებატონე დაეცა უტყბდა თავის მტკირნახულე ყმას ერთი ცხენის საბალახოს გამო.

ეს იყო ჯიბრი და ჯავრი სულ ქართველ მებატონეებისა.



VI.

გატონუმთა აქსრეში

მასალეზი

## ბატონყობა აჭარაში.

ეს ამბები აჭარაში შევკრიბე, ზოგი ოზურგეთის სამაზრო გამგეობის აქტივში, უმეტესი ცნობები-კი ქობულეთში გელა ჰასანიძე კაიკაციშვილის დაახმარებით... როგორც სწინს, XVII საუკუნეებში თურქე განთქმული კუთხე იყო მათ, რომ იქ ქართველ შვილებს ძრიელ კაი გასაფალი აქვდა, მაშინ ყოველი აჭარელი გოთაული იყო.

ეს ხელობა მათ საქებრათ აქვდათ მიღებული. ამის ქებას მიზეზი ის იყო, რომ პირველი: ესენი ქართველთ შვილებთა გაყიდვ-გამოყიდვით კარგ ფასს იღებდენ და მეორე კიდევ ის, რომ მათგან ნაყიდი ქართველთ შვილებს და მერე მათგანვე გაყიდულებს ოსმალეთში ივანი მათ, ქართველთ შვილებს, ისლამს ჰპატებდენ, რაც მათის ზოჯიების და მოღლების ქადაგებით იყო სულის ცხონების საქმე, ჯეენთ-ში (სამოთხე) წასვლა და იქ სიხარული და სულის ცხონების სიკეთე.

ამიტომაც იყო, რომ აჭარლები ძრიელ კარგათ უქასპინძლდებოდენ იმ ქართველთ მებატონეებს, რომელთაც თავიანთ ყმანი აჭარაში გადაჰყენდათ და იქ იმათ აჭარლებზედ ჰყიდენ, გამყიდევებს კარგათ ჰპატებდენ, კარგს ვახშაშა და სადილებს აქმევდენ, სხვა ფრივათაც მათ დიდს პატივს სცემდენ, რომ ასეთის ოსტატობით ქართველ ბატონებს კიდევ ჩაეყვანათ იქ ქართველთ შვილები და ნამეტურ ღამაში ქალები, ამ ბოროტების ეახვიადებაში პირველი ადგილი ქობულეთლებს ეთმობათ. ამათ მიიჩვიეს გურიაში გურიის თავად-აზნაურები, პირველათ გურულებმა ისწავლეს თავისი ყმების დასყიდვის ოსტატობა.

მის მერე ივანი იმისაც კი შეეფიგნენ, რომ მებატონენი თავის ყმათა შვილებს გარდა სხვას ყმებსაც იტაცავდენ ქურდულათ და ჰყიდდენ გურიიდან გატაცებულთ ხან ქობულეთში და ხან აჭარაში. რაც იყო და რაც მოხდა ქართველი ერის დასაღუპათ და ქართველთა შვილების დაჰნევის ოსტატობისათვის, ყოველივე ეს იყო ისლამის მოწყალება. ქართველ ქრისტიანები კი ყოველივე ამის საიდუმლოებას არ აკვირდებოდენ და არას ამჩნევდენ, ამისთვის გურულებს თვალები დაბრმავებული აქვდათ, ეს არავის ეწყინოს.



გურია XVI საუკუნის ბოლოს იყო 600 სოფელი და ქობულეთის 200 სოფელი. შემდეგ დროში ქობულეთის თავდვირთების და სხვათა ამგვარების წყალობით ისე შემცირდა ეს 200 სოფლის რიცხვი, რომ დღეს ქობულეთში სულ 40 სოფელი ღა არის. რა იქნა ეს სოფლები და მისი ხალხი? სულ დაყიდული იქნენ ოსმალებზე და სოფლებიც მიტომ მოისპო. ესევე მოხდა გურიაში. გურიის სოფლების კლება იწყება 1670 წლიდან. მის შემდეგ იგი სულ კლებულობდა და დღეს მთელს გურიაში აღარც 100 სოფელი იქნება, რა იქნა დანარჩენი სოფლები? ხალხი სულ დასყიდულ იქნა ოსმალებზე და სოფლებიც მიტომ მოისპო. ყველა ამ ბოროტებას ჯერეთ ქობულეთელები იდენდენ სათავეში და მათ მერე აქარლებიც, ქართველ ერის დაღუპვის საქმეში აქარა დიდათ ბრწყინავეს. ამ დაღუპვის და ბოროტების აღორძინებაში კიდევ და კიდევ დიდი ადგილი ეთმობა აქარელთ ვათათრებას. აი ესეც ამისი მაგალითი, რომ ამაზედ ჩვენ აქარლებმა ბრალი არ დავედვან.

აქარლები თავიანთ ტყბილის და მოქარგულის ენით, ისე მოქმედებდნენ, რომ იგინი ადვილათ აქეზებდნენ ჯერეთ გურიის თავად-აზნაურებს და მათ მერე სამცხის თავად-აზნაურებს. სიმცხიდან მართოთ ფალავანდიშვალებს, რომელნიც ისლამს დაუკავშირდნენ 1680 წლებში, მათ სამცხის გზით, ანუ ქვაბლიანის გზით აქარაში გადმოჰყვანდათ თავიანთ ყმათა შვილები და იგინი მათ აქარაში ჰყიდდნენ ძრიელ იაფ-ფასებში. ამ გვარის კაცებს რამდენიმე ათასი გლეხის შვილი ჰყავს გაყიდული აქარაში ოსმალებზედ.

ასევე ითქმის სხვადასხვა ასეთ კაცებზედაც, რომლებიც კი სამცხეში სცხოვრობდნენ და ამისივე მაგალითია ისიც, რომ თვით სამცხის თავად ავალიშვალებსაც, რომელთა ვათათრებაც ეკუთვნის 1685 წლებს, ამათაც აქარაში რამდენიმე ათასი გლეხის გოგო-ბიჭები ჰყვანდათ ჩარეკილი და დაყიდული არამც თუ ფულზედ და ოსმალოს ფარაზედ, არამედ ძაფზედ, ნემსზედ, ჭინძისთავებზედ და სხვაც ასეთ რაღაც ფარზეულობაზედ და უბრალო ჩითეულობაზედ, არშინ ორ შაჰრიან ჩითში ესენი აძლევდნენ ორ ყმის შვილს, ერთ ბიჭს და ერთსაც გოგოს. ასე იაფათ ისყიდებოდნენ ქართველის შვილები აქარაში მის მერე აქარლებიც ამ იაფათ ნაყიდს ქართველებს, თავიანთ ქრისტიან ძმებს, ახლათ ვათათრებული და დაბრძავებულნი აქარლები კარგს ფასებში ჰყიდდნენ ოსმალებზედ.

თუ ეს ბოროტება რამდენათ იყო წინ წასული და გაძლიერ-

ბული, ესა სიანს ბევრის ისტორიულის ფაქტებით, მაგრამ ცნობები სულ დაკარგულია, მხოლოდ მოვიყვან ერთ ცნობას, რაც შეეხება თევდორე ავალიშვილის საქციელს და მისგან ნაქნარ საქმეებს. ამ პირის ამბები კარგაით გამოაჩენს იმ ველურობას, თუ ეს ბოროტი სენი, ქართველი ტომის დასაღუპათ, რამდენათ ყოფილა გაძლიერებული.

ავალიშვილის გვარის წევრნი სცხოვრობდნენ სამცხე-საათაბაგოში და შუა გულს ქართლშიაც, ანუ გორის მაზრაში. გორის მაზრაში სცხოვრებდა ერთი ავალიშვილის გვარის წევრი, სახელდობრ თევდორე ავალიშვილი, დიდი ტყისა, მამულების ყმების პატრონი. ეს ავალიშვილი ძრიელ ხშირათ გადადიოდა სამცხე-საათაბაგოში, იქ ეს ესტუმრებოდა ხოლმე თავის ნათესავ და სახლი-კაცებს, ან გათათრებულ ავალიშვილებს, რომელნიც ამ ქრისტიან თევდორეს კარგათ მიიღებდნენ და პატივსაც სცემდნენ.

ამ თევდორე ავალიშვილს თავის ნათესავ გათათრებულ ავალიშვილისაგან სულ კარგათ შესწავლია ყმების შვილების მოტაცების და დასყიდვის საქმეები, მისი შესწავლა ისე მოეწყო, რომ მალე ეს თევდორეც შეუდგა კაციპარია ხელობას, ესეც მალე გახდა ქურდი გლეხის ყმა გოგო-ბიჭების, რომელნიც მას ქართლიდამ სამცხეში გადაჰყვანდა, მის მერე იქიდან აჭარაში და იქ ჰყიდდნენ ამ მოტაცებულ გლეხთა შვილებს აჭარელ ვაჭრებზედ, ანუ „გოთაულელებზედ“; მის მერე ეს აჭარელი „გოთაულეები“ ნაყიდა ქართველთ შვილები ტრაპიზონში ჩაჰყვანდათ და იქა ჰყიდდნენ მათ ოსმალებზედ კარგს ფასებში.

ასეთი ბოროტებით თევდორე ავალიშვილი ისე დახელოვნდა, ისე დაწინაურდა ცოცხალი ხალხის ვაჭრობით, რომ ბოლოს თვით გახდა მისი მონატრე, რომ იგი აჭარაში ჩისახლებულიყოს და ბარემ იქიდან დაეწყო ქართველთ შვილების წაყვანა და დასყიდვა მათი, რაც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა მისთვის. ამის ფიქრები მას სახლი-კაცებმაც დიდათ მოუწონეს და ურჩიეს რომ ეს უფრო კარგი იქნებო, რომ აჭარაში დასახლდე და იქიდან უფრო მრავლათ იშოვნი ქართველთ შვილებს დასაყიდათო.

ასე დაამედეს ავალიშვილი, მაგრამ მას ამისი დიდი შიში აქნდა და მორიდება, რომ ვაი თუ ჩემი ყმები კი არ წამომყვენ იქ და მე კიდევ მათ ძალით ვერ მოვერევი და ვერ წავეყვან იქითაო. ეს შიში მან თავის სახლის-კაცებსაც აუწყა, მათ დახმარება მისცეს



დარიგებით, მერე თვითაც დაეხმარნენ და როგორც იქნა შეიღმა დაიერთგულა თავისი ყმები და ამით მისცეს პირობა, რომ აჭარაში გამოგყვებით და იქ დაესახლდებითო.

მართლაც მალე მოახერხა ავალიშვილმა და გადასახლდა აჭარაში; თან გაიყოლა თავის ყმების შვილებიც, რომელთა რიცხვიც იყო ბევრი—190 კომლი. ყველა ეს ხალხი ავალიშვილმა კარგათ მოხიზლა, და ასე და ამ რიგათ ავალიშვილი გადასახლდა ჯერეთ თვითონ აჭარაში და მის შემდეგ მოძებნა აჭარაში თავის ყმების დასახლებისათვის ადგილები. ესეც მან მალე მოძებნა. ბოლოს მოახერხა ისიც და თავისი ყმებიც გადასახლა იქ. ეს გლეხები სულ დაასახლა მან დანდალოს ხეობაში 15 სოფელში.

ამის შემდეგ ავალიშვილმა სხვების დახმარებით ამ გლეხებს ასწავლა მოხილეობა და ყველა მათ დააწყებინა ქართლიდამ ქრისტიან გლეხების მოტაცება და მათი გადაყვანა აჭარაში და მის მერე იქიდან დასყიდვა მათი ოსმალეთში. ასე და ამ გვარათ რამდენიმე ხნის განმავლობაში, ამ ავალიშვილის ყმანი ისე დახელოვნდნ კაცთა ქურდობაში, რომ იგინი არამც თუ მარტოთ მესხეთიდან, ჯავახეთიდან და ქართლდან იტაცებდნ ქართველთ შვილებს, არამედ მათ აჭარლებსაც დაუწყეს ტაცობა და საცა კი აჭარაში ლამაზ ხალხს ნახავდნ, მათ ოსტატურათ ისე ზუმათ იტაცვიდნ და ჰყიდნ ოსმალეთში, რომ ამათგან მოტაცვის ამბავი არავის ესმოდა.

მალე ესენი აჭარლებმა აღაგმეს მით, რომ მათ ყველას ისლამი მიალებინეს და მის შემდეგ ამითაც თავი გაანებეს აჭარელთა ტაცობას, როგორც მუსულმანის სჯულის ხალხი და ამის ნაცვლათ მათ საქრისტიანო საქართველოს ქართველებზედ გააძლიერეს თვის კაცთპარიობა და „გოთაულობა“.

**VII.**

**გატონუმთა ავსაზეთუი**

მასალები.

## ბატონყმობა აფხაზეთში.

რომაელებმა და ბიზანტიელებმა საქართველოს ხალხზედ ყველა-ზედ მეტათ დიდი გავლენა აფხაზეთზედ იქონია.

ჯერეთ რომის გავლენამ და მათ მერე ბიზანტიისამ აფხაზეთზედ ვერ იქონია კარგი გავლენა. ერთის მხრით, აფხაზები მათგან სწავლობდენ სხვა და სხვა საკულტურო და სახელოსნო სწავლას, მაგალითებრ: ხენა-თესვას და მევენახობა-ბალოსნობას, რგვას, მენას და სხვასაც ბევრს ასეთებს.

მიტომ მის ნაცვლათ, მათი ცხოვრების და სახელმწიფო წყობილების წესები კი ძალიან ცუდათ მოქმედებდა და აფხაზეთში მრავლათ აჩენდა ხალხის ცხოვრების სიღუბჭირეს, მათ გაჭირვებულ ცხოვრების პირობებს, უმრავლესთა ვაებას, მათს დაჯაბნა, დამორჩილებას, ყმობას და მონობას.

მათ შექმნეს აფხაზთა მონობა, გაამრავლეს მათში ყმობა და სხვა ბევრი ასეთნი, ეს ყმობა და მონობა მათში ისე სრული და მძლავრი იყო, რომ როცა დაარსდა აფხაზეთში საქართველოს მეფობა და მის შემდეგ დროს, როცა აფხაზეთსაც ელირსათ თავის სამეფოს დაარსება და თვისი ცხოვრების აღორძინება, მაშინაც კი მათ ვერ შესცვალეს ხსენებული მონობის და დაყმობის პირობები. ერთად-ერთი იქ მოხდა ის, რომ რადგანაც საქართველოს მეფენი აფხაზეთში აშენებდენ უზარ-მავარ ეკლესიებს და ქრისტიანობას აბრწყინებდენ და აღიდებდენ ეკლესიების არსებობით, შოლოდ მაშინ მოხდა ერთი რამ ცვლილება, ეს ცვლილება იყო საწყალი ხალხის ანუ მონათა და ყმათა ცხოვრების პირობების ვითომ და უკეთეს მდგომარეობასა და პირობებში მოთავსება.

ამიტომაც აფხაზთა მონანი და ყმანი სულ ეკლესიების შესაწირაენი ხდებიან და მთელი აფხაზეთის ლარიზ-ლატაკნი, ეკლესიების ყმებათ და საკუთრებათ გახდენ. ამის მაგალითებს ჩვენ იქ ვხედავთ საშუალო საუკუნოებშიაც.

მაგალითებრ, 1470 წ. ისტორიკოსის მოსე ჯანაშვილის სიტყვით ბიჭვინტის ეკლესიას ჰყავდა ყმათ 629 კომლი ყმა, ანუ 4,000 სული.



მეორე გუჯარი ამ 629 კომლს—800 კომლად უწვენებს. ასევე დიდი რიცხვის ყმები ჰყოლიათ სხვა ეკლესიებსაც და ისიც უნდა ვსთქვათ, რომ აფხაზეთში სხვა ეკლესიებიც მრავლათ იყვნენ, რომელსაც ბიჭვინტაზე ნაკლების სიდიდის და სახელის არ იყვნენ და მაშასადამე აქედან უნდა ვიცოდეთ ის უტყუარი პირობები, თუ აფხაზეთში ძველიდან რა დიდი უნდა ყოფილიყოს მონათა და ყმათა რიცხვი და ან ესენი რა პირობებში უნდა ყოფილიყვნენ მოთავსებულნი. შეიძველია რომ ამას მწვავე ისტორია ეწება ამას. ეჭვი არ უნდა.





VIII.

გატყუებთა ტყუთუი

მასალუბი

## ბატონყმობის აგებები ქართლის ოსებში.

ოსეთის ბატონყმობას საინტერესო ისტორია აქვს. სამწუხაროთ მისი ისტორიის მასალები კი სულ არასფერი მოიპოვება, ამისი ცნობები ოსებმა სულ არასფერი იციან, მათში ამ ბატონყმობის ამბების არავის არასფერი ახსოვთ. თუ რამ ცნობები არის მათში დარჩენილი, ესეც ძრიელ მცირეთ. მე მაინც ოსების ბატონყმობის შესახებ აქ ცოტათი შორიდან დავიწყებ ცნობების მოყვანას, ვინაითგან ესეც ერთი განძი იქმნება, ესეც სჯობია სულ არარაობას.

ისიცი უნდა ვსთქვა, რომ ოსეთის ბატონყმობის ცნობები მე მოვიყვანე ოსეთის ისტორიაშიც, რომელ ისტორიაც მე დაებეჭდე 1913 წ. სახელდობრ:—„ოსეთის ისტორია ქართლის ისტორიის წყაროებით“, ტფილისი 1913 წ.

უბსოვარის დროიდან სჩანს, რომ კავკასიის მთების აქეთა მზრის, ანუ ქვემო ქართლის ოსებში ბატონყმობა ყოფილა იმ წესებით და პირობებით, როგორც ეს ბატონყმობა იყო ქართლში, ქართველი გლეხებში. კავკასიის მთების, ანუ ძაუგის იქითა ოსებში-კი, ბატონყმობას ჰქონია ნამდვილი ოსური სახე და წესწყობილება. ძაუგის იქითა მზარეს ოსების ბატონყმობის ისტორიის წესები დიდათ განიჩევა და განსხვავდება ქართლში მცხოვრებ ოსების ბატონყმობის წესებისაგან. ქართლის ოსების ბა ჯონებს აქვს ქართული ელფერი და სახე. ძაუგის იქითა მზრის ოსებს კი პირდაპირ ოსური სახე და როგორც ეტყობა იგი უნდა იყოს ერთობ ძველის ძველი.

მაშ აქ მოვიყვანთ ამ ბატონყმობის მოკლე ისტორიულს მიმოხილვასაც.

ოსების ბატონყმობა და მონება სრულ მწარე წესებით ყოფილა გარემოცული. ოსებში ყმობა ყოფილა მონება, მონები ოსეთში თურმე ისე იყვნენ დამდაბლებულნი, რომ მათში ყმა მონას სულ არასფერი მნიშენელობა აქვდა.

ქრისტეს წინეთ, ვიდრე ოსები ქართველ ერს დაუახლოვდებოდნენ, მინამდის იგინი იყვნენ ნადირის მდგომარეობაში მოთავსებულნი. მათი ცხოვრება იყო ველური. საიდან და როგორ დამკვიდრ-



და ეს ველურობა მათში, ამისი ცნობები ჩვენ არაფერი ვეძებოდით მხოლოდ ის, რომ ვახტანგ გორგასლანი რომ ინდოეთში წავიდა სალაშქროდ, მაშინ მან ოსებიც წაიყვანა თანა, ლაშქარში ოსებიც ერივნენ.

იქიდან მოსული ოსები წარმატებით აღმოჩნდნენ და იმ დრომდის-კი ოსები იყვნენ როგორც ტყის ნადარები.

იმ დროს, ანუ ქრისტეს წინეთ კი, ოსებში ისეთი დიდ-პატარობა უოფილა და ისეთი მონობა, რისა გამო, მონებს მათი პატრონები თურმე ხოცავდნენ, მის მერე მათ ჰკეპავდნენ წვრილათ და იმ მდინარე წყალში ჰყრიდნენ დაკეპილს მონის ხორცს, სადაც მათ მდინარეში თევზები ეგულებოდათ. თევზებს თურმე კაცის ხორცის ჰამა ძრიელ უყვართ და მისგან იგინი თურმე დიდათ სუქდებიან, ისე რომ წყალში ცურვაც კი უძძიმდებათ თურმე.

ამიტომაც ოსების მონების პატრონებმა იცოდნენ ეს პირობები თევზის და მიტომაც ხოცავდნენ თავის მონებს და მდინარეში ჰყრიდნენ თევზების საკმელათ. ამისი ჩვეულება მათში მოისპო ქრისტეს სჯულის მიღების დღიდან, როცა ოსებმა წმ. ნინოსაგან ქრისტე იწამეს. ქრისტე იწამეს, მონობას მოსპობი სახე გამოეცვალა, ოსები მონებს აღარ ხოცავდნენ და სხვაფორე კი მაინც ბოროტად ექცეოდნენ მონებს. თვით საშუალო საუკუნოებში ოსის მონა მათის ბატონისაგან ისუიღებოდა ხუთს მქადში. ეს ნამდვილია და მართალი.

ოსეთის გლეხთა ბატონყმობა უძველესის დროიდან იყო ოსურის სახის და ხასიათის.

XIV საუკუნის დამდეგიდან, ოსეთის ერთი ნაწილი გადმოსახლდა ქართლში. ნახეთ ამაზედ ჩემი წიგნი „ოსების ჩამოსახლება ქართლში“ 1919 წელს. რაკი ამ საუკუნიდან ოსებმა დაპწევა დაიწყეს ოსეთიდან და აქეთ იქით გადასახლება, მიტომ გლეხების ყმობის პირობებმა სხვა და სხვა სახე მიიღო. მაგალითებრ ქართლის ოსებს მიეცათ ქართლის გლეხთა ყმობის წესები, კაკასიის იქათა მხარის ოსებს მიეცათ რუსეთის გლეხების წესები. ასევე სხვა და სხვა კუთხეებში გადასახლებულ ოსებს სხვა და სხვა ადგილობრივი გლეხთა წესები.

თათრობაში გადასული ოსების ბატონი და ყმანი კი ისლამში ორიგინი ერთნი იყვნენ და მათში გარჩევა არ იყო. ქართლის ოსებში, ქართლის წესებით ოსეთის ყმობა და ანუ ბატონ-ყმობა სწნდება XVII საუკ. დამდეგიდან და XVIII საუკუნის ნახევარს კი ეს გა-



რემოცია ერთობ წინ წავიდა, რადგანაც ოსებში იმ დროს მონაღიდი დიდი შიმშილობა, ამიტომ ოსებმა იწყეს აქეთ იქით გადასახლება. მაშინ ქართლში ოსები ჩამოსახლდნენ მრავლათ, მაშინდელი ოსები, რომელნიც ქართლში ჩამოსახლდნენ თავიანთ მონათესავე ოსებთანა და დასახლდნენ, რომელ ოსების ჩამოსახლება ქართლში მოხდა XIV საუკუნის ნახევარს, ეს ახლათ ჩამოსახლებული ოსებიც მიღებულ იქმნენ ოსებთაგან ქართველ მეზატონეთა ნებართვით.

ამიტომაც ამ ახლათ ჩამოსახლებულ ოსებმა ისურვეს ქართველთ წინაშე დაყმობა, და ამათ მიმართეს მალე ქართველ თავად-აზნაურებს და სთხოვეს მათ დაყმობა. მაშინ იყმეს ქართველთაგან ქართლის ერისთავებმა, მაჩაბლებმა, ფაელენიშვილებმა, ფურცელაძეებმა და სხვებმაც. ამ დაყმობილ ოსებმაც ცხოვრების პირობებში მიიღო ქართული ბატონ-ყმობის სახე და მიტომ მის შესახებ აქ არას ვამბობთ.

მოვიყვანთ ცნობებს მხოლოთ ოსთა უძველეს დროის ბატონყმობის წესების შესახებ, რაც არ იქმნება მეტი, რომ ეს ცნობები იქმნეს აქ მოყვანილი.

უძველეს დროიდან, ოსთა მოწინავე რაზმის წევრნი, ოსთა მეფეთაგან მათ განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭების შეუცვლელობის გამო სხვა გვარი უპირატესობა და პატივი მიეცათ, რითაც ისინი ოსთა გლეხთაგანაც საკმარისათ განირჩევიან.

ოსის თავადს ნიშნათ ხმალზე ეძლეოდა ნება მზის დახატვის და ტარების. ოსის აზნაურს ნება აქენდა ისევე, რომ ხმალზედ მთვარე გამოესახა და ისე ეტარებინა.

ოსის ყოველ მეომარს გლეხისთვის დადგენილი ყოფილა ხმალზედ ოსის ვარსკვლავის გამოხატვა და მისი ტარებაც, რაც მასთანვე იგი აღნიშნავდა, რომ იგი გლეხი იყო.

ასე და ამ გვარად ოსის თავადი მზე იყო, ოსის აზნაური მთვარე და ოსის გლეხი ვარსკვლავი. თუმცა თავადი, აზნაური და გლეხი ასეთი კარგი მანათობელი მნათობების მოსახელენი არიან და ამათში ძველადგანვე კარგი მანათობელი წესებიც უნდა ყოფილიყოს მათში დანერგილი, მაგრამ არა, როგორც სჩანს, ოსეთში ბატონყმობა მეტად ბოროტის წესებით ყოფილა დამყარებული.

ოსებში ყმები ყოფილან მონები და ეს მონები ყოფილან ყმანი გლეხებისა. გლეხი იყო აზნაურის ყმა, აზნაური იყო თავადის ყმა და ყველა ამათი, ანუ ამ სამი ბატონის თავადის, აზნაურის და გლეხის

ყმა და მონა იყო ის გლეხი, რომელიც ამ სამს სვავთაგან ბული იყო. უნდა ითქვას, რომ ძაუგის იქით ოსებში ყმათა მონობა მეტათ მძიმე იყო და აუტანელი.

ქართლში მცხოვრებ ოსების ყმობა და ამის წესები გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე თვით ოსების საკუთარი ბატონყმური წესები. ეს რომ მართალი გახლავსთ, ამისთვის ეხლა აქ მოვიყვანთ ოსების ბატონყმობის ისტორიის ცნობებს და თვით ესენი გამოაჩენენ, რომ ნამდვილ ეს ასე გახლავსთ.

საქართველოში და სხვა ტომებშიაც მართალია ბატონ-ყმობა ყველგან იყო და ყველგან იგი იყო ბოროტება, მაგრამ ოსების საკუთარი ბატონ-ყმობის წესები კი გაცილებით უფრო ბოროტი იყო და მონური. ოსებში მონა იყო ის, ვინც, უძლური და მზატე კაცი იყო. უძლურს და გვემულს განა თვისი უძლურება არ ეყოფოდა, რასაც მას ბუნება აძლევდა და საზღვრავდა მას, რასაკვირველია, რომ სწეული-სათვის ესეც კმაროდა. მაგრამ ოსებში ამისი მცოდნენი და გამგონი ვინ იყო?—არავინ. ვინც ჯანსალი და ძლიერი იყო, ის იყო ბატონი, ვინც იყო სუსტი, ის იყო მონა და ამაზედ უფრო უარესი.

ამის მაჩვენებელი გახლავსთ ის მაგალითები, რომ ოსებში ვინც მზატე და უძლური იყო, იმას იტაცავდენ ქურდი ოსები და მის მერე ეს მონატაცი საბრალოები მიჰყვანდათ სხვაგან და იქ ჰყიდდენ მათ ფულზედ და სხვადასხვა ნივთებზედ. ამის საფუძვლად ჩვენ გვაქვს ასეთი ისტორიული ცნობები:

ოსებს თავიანთ მოტაცებულ ოსის გლეხი მონები გადაჰყვანდათ რაჭაში და იქ ამ მონებს ჰყიდდენ თითო ოსის მონა გლეხს ხუთს მკადში.

შეუბრალებლობა შეიძლება ითქვას და ასეთი კი არა, რასაც ოსის გლეხი და მონები განიცდიდენ თვით თავიანთ მოძმე ოსის თავად-აზნაურებისაგან. ოსების ამის წესები მეტათ მწარეა და მძიმე, აუტანელი. იქვე რაჭაში ერთი ოსი იყიდებოდა ერთ შულო ძაფზედ.

ვინც ჯანსალი ოსი იყო, ის იყიდებოდა 10 მკადის ჰურზედ. არის კიდევ ცნობა, რომ ოსები თავიანთ მონა ოსებს ჰყიდდენ თითო ოსს ერთ ფულზედ. რავდენი იყო ეს ერთი ფული, ეს ჩვენ არ ვიცით, ვგონებთ ორი გროში უნდა იყოს, ანუ კაპეიკი, რადგანც ქართლის ძველის ანგარიშით ერთი ფული კაპეიკია.

ოსებს თავის გასაყიდი ოსები რუსეთშიც მიჰყვანდათ თურმე და იქაც ჰყიდდენ მათ.

16735720  
198-3110133

ოსების ქურდები და კაციპარია მტაცავნი ისეთი მარდი  
ოსტატები იყვნენ ქურდობაში, რომ იგინი ქართლში ქართველებსაც  
იტაცავდნენ და ჰყიდდნენ აქეთ იქით უფრო კარგს ფასებში.

ოსები ოსებს ლეკებშიც მრავლად ჰყიდდნენ. 1750 წლებში და-  
ლისტანში დაყიდულ იქმნა დიდძალი ოსის გლეხები: თითო თობში  
გაცვალეს ხუთი ოსი, თითო ნაჯახში ხუთი ოსი, თითო დანაში  
ხუთი ოსი. ასე იაფი იყო ოსების ფასი დალისტანში.

1740 წლებში ოსებმა გორშიც ჩამორაკეს ოსები და დაყიდეს,  
მაგრამ აქ კაი ფასი აქვდათ მათ, მაგალითებრ გორის ფრანგების  
ეკლესიის პატრმა თითო ოსი 25 მანეთათ იყიდა. მის მერე ეს ოსები  
პატრმა ეკლესიის მახლობლად ყარაულად დააყენა და მათ სწავლაც  
მისცა. ზოგმა მათგანმა კათოლიკობაც მიიღო იქ.

ოსეთის საკუთარი ბატონ-ყმობის წესები თუ ასეთი რამ არის,  
მონა ყმა ხუთს მჭადში იყიდებოდა, მიტომ ქართლის ოსეთის ყმათა  
წესები კი სხვა გახლდათ და ამიტომ საჭირო არის, რომ ეს ქართ-  
ლის ოსეთის ყმობის ცნობაც მოვიყვანოთ აქ.

მეთოთხმეტე საუკუნის დამლევიდამ ოსეთში დიდი შემშოლობა  
ჩამოვარდა, მათში მოსავალი აღარ მოდიოდა, მოსავალს ხან ქარი  
აფუჭებდა, ხან წვიმა, ხან სიციხე და ხან სხვა რამ ბუნების სიმძლავ-  
რენი. ამიტომ ოსებმა იწყეს ოსეთიდან აქეთ-იქით გასვლა და მათ-  
ხოვრობით თავის რჩენა. ასევე ოსებმა იწყეს შემოსვლა ქართლში  
და თხოვნით პურის მოგროვება და მის მერე ოსეთში წასვლა და  
მონაგროვის პურის თუ სხვა რამ სურსათის თან წაღება.

ოსეთის ასე შემოსვლა ქართლში XIV საუკ. XVI საუკ. ნახევ-  
რამდის გასტანა. ამ დროს კი, სიმონ მეფის თანხმობით ქართლში  
ოსებთა შემოვიდნენ და დასახლდნენ ქართლის სოფლებში და დაიწყეს  
ცხოვრება, ესენი ამ ადგილებში როგორც იქმნა მოშენდნენ და დაი-  
წყეს ცხოვრება.

მცირე ხანს შემდეგ, ამათ ქართლის თავად-აზნაურებს ხიზნებათ  
მიღება სთხოვეს, ამათაც მიიღეს იგინი ხიზნებათ. გავიდა რამდენიმე  
დრო და ოსებმა დაიწყეს ფიქრი, რომ ვაი თუ ბოლოს ხიზნები  
გავგრეკონ აქედანაო და ამიტომ ჩვენ უნდა ვსთხოვოთ, რომ მათ  
ყმებათ მიგვიღონო. მართლაც სთხოვეს თავად-აზნაურებს, ამათაც  
სიმონ მეფეს შეატყობინეს ოსების თხოვნა. მეფემ ნება დართო, რომ  
ქართლის თავად-აზნაურებს ეს ოსები ყმებათ მიეღოთ.

ოსებს მალე ეუწყათ მეფე სიმონის თანხმობა და ამიტომაც



იგინი თავის ნებით ეყმენ ქართლის თავად-აზნაურებს, ანუ იმ პირებს, ვის მამულზედაც იგინი ესაზღვრებოდა. იმ დროს ოსები ეყმენენ ყმათ თავ. მაჩაბლებს, თავ. ქსნის ერისთავებს, არაგვის ერისთავებს, ამილახვრებს, აზნაურებს: ფავლენიშვილებს, ფურცელაძეებს და სხვა-თაც ასეთებს თავად-აზნაურებს.

რაკი ქართლის ოსები გახდნენ ქართველთ თავად-აზნაურების ყმანი, მის შემდეგ მათ იმედი მიეცათ ქართლში უშიშრათ ცხოვრების და მის მეოხებით მათში გაერცელდა ყოველ ნაირი უკეთურება: ქურდობა, კაცის გატაცება, გაცარცვა და ბევრიც სხვანი ასეთნი. დროის განმავლობის წყალობით იგინი ისე გათამამდნენ, რომ მათ აღარასფრის შიში აღარ აქვდათ, ქურდობაში ისე წავიდნენ წინ რომ იგინი ამისთვის კაცის მოპარვასაც-კი აღარ ერიდებოდნენ.

ოსები წინეთაც კი იყვნენ ჩვეულნი ქურდობას, რაკი იგინი ეყმენ თავად-აზნაურებს მის შემდეგ კი მათში ეს ქურდობა ერთი ათათ წინ წავიდა, ახლა ამ ხანაში მათ აღარასფრის მორიდება აღარ აქვდათ.

ეს ოსები ისე წახდნენ, რომ ამათ აშკარათ დაიწყეს ქურდობა და ცარცვა. ასე თამამათ ისინი მიტომ მოქმედებდნენ, რადგანც მათ გაჭირების დროს მებატონენი უნდა დახმარებოდნენ, ამიტომც იყო რომ ოსები თვით ერთმანეთს შეიღებნაც კი ჰპარავდნენ და მათ ჰყიდდნენ ჩუმათ ოსმალეთსა და სხვადასხვა თათრებზედ. ასე რომ ამითი ქართლის ოსები ბევრათ უკეთეს პირობებში გახდნენ მოთავსებულნი, რადგანც ქართველ მებატონეთა ყმები იყვნენ და ესენი კიდევ ისე-მხნე და აბეზარი ყმები იყვნენ ქართველ მებატონეების, რომ ეს ქართველი თავად-აზნაურები მათზედ მაინცა და მაინც დიდს გავლენას ვერ ახდენდნენ და ხშირათ ვერც-კი იმორჩილებდნენ. თუმც ისიც ვიცით, რომ ხანდისხან ოსთა ყმებსაც იჭერდნენ მათი მებატონენი და ახალციხეში გადაყვანდათ იგინი გასაყიდათ, რასაც ივანე ხელაშვილიც მოწმობს „ქალმასობაში“.

**IX.**

**უძველესი წიგნების**

**მასალები.**



2

### ბ რ ლ ი

28 ნოემბერს, გორის უეზდის სამართველოში თავადის ზაქარია ჯავახიშვილის ვალში გაისყიდება ამისივე ყმის ერთი ოჯახი სოფელს ხოვლეში მცხოვრები ანდრია ქალაღიშვილი. წლიური შესავალი 24 მან. აქვს. დაფასებულია 242 მან.

### ბ რ ლ ი

16 ოქტომბერს, სიღნაღის უეზდის სამართველოში თავად ვაჩნაძეს ვალში გაისყიდებიან ამისივე ყმათა ექვსი კომლი, თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით. წლიური შემოსავალი 136 მან. აქვსთ. ათი წლის შემოსავლის ზედშეკვეცით 1300 მან. არის დაფასებული.

### ბ რ ლ ი

22 აპრილს გაისყიდება სიმონ მაყაშვილის ყმათა ექვსი კომლი. ყველა ესენი სცხოვრობენ სოფ. იყალთოში. დაფასებულია 1550 მან.

## ბ რ ლ ი

გიორგი და პაატა წულუკიძის ვალში აწერილი არიან მათივე ყმათა გლეხნი: 1. ქერივი მარიამა ბუჩუკა კრუაშვილი, შვილი ტიმოთე მამუკოვი, ცოლი ამისი თამაზა. შვილი მათი ნიკოლაი ივანეს ძე მამუკოვი, ცოლი ამათი პეპელა ევთიმოვი. დიმიტრია მამუკოვი. ამათ აქესთ სახლი, ბელელი, პატარა სასიმინდე, დაწნულია. ორი ხარი, ორი ძროხა, ნახევარი ეკუთვნის მეზობელს. ღორი სამი, ცხვარი, სიმინდი 25 კოდი. ქვევრი ორი, ცარიელი ეზოს ადგილი 15 საეენი, ვაზის ვენახი სოფელს ახალსოფელში, წისქვილი წყალ ხოზოტურზე, ეს საერთო სასარგებლოა 8 მოსახლე მცხოვრებთან. შეშის ტყე, რომელი ტყეც საერთოა გლეხებისთვის და ჯერეთ გაუყოფელია. ეს გლეხი კაცის ოჯახი მოვალეა თავის ბატონის ყოველ წლივ რომ შემდეგი აძლიოს: ბიჭი მოსამსახურე, რომელიც ეღირება წელიწადში 15 მანეთად. უნდა აძლიოს საურმის ფული ორი მანათი, ხორბალი ექვსი კოდი ღირებული სამი მანეთი. ღვინო ოთხი კასრი, ღირებული 1 მან. 60 კაპ. ცხვარი ორი, ღირებული 1 მან. 60 კ., გოჭი, ღირებული 30 კ., ხუთი ქათამი, ღირებული 50 კაპ., სულ ყველა ამ შემოსავლით გლეხი დაფასებულია 390 მან. 2-რე ყმანი პაატა წულუკიძესი: ქერივი კაკოლა პაპუნოვი-კრუაშვილი, შვილები ამათი: თამაზა რამაზოვი, ამის შვილი ალექსი, დავით რამაზოვი, ცოლი ამისი ხეხალა ივანეს ასული, შვილები ამათი: იაკობი, ტულუყია, მარია, ნიკოლაი რამაზოვი, ცოლი ამისი ტუტა გლაბუევი, ფედრო რამაზოვი, ცოლი ამისი ხეხალა საფაროვი: შვილები ამათი ხოსია, ვარვარა და მაგდანა. ამათ აქესთ სახლი, მასთან შენობა პირუტყვისთვის, ბელელი, საღორე, სასიმინდე დაწნული, სხვა და სხვა ნაირი ფრინველი და პირუტყვი. ეზო, ვაზის ვენახი სოფელს ახალსოფელში, მეორე უჩასტკაში, წელიწადში ათი კასრი ღვინო შემოაქვს. სახნავე მიწა.

**ბ რ ლ ი**

29 ნოემბერს, რევაზ ზედგინიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, რომელიც სცხოვრებს გორის უეზდის სოფელს ძევერაში. გლეხს აქვს ერთი ვაზის ვენახი. წელიწადში შესავალი აქვს 37 მან. და 50 კაპ. დაფასებულია 375 მანეთად.

**ბ რ ლ ი**

29 ოქტომბერს, ლევან ციციშვილის ვალში გაისყიდება მისივე გლეხ-ყმათა ორი ოჯახი, თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით. ესენი სცხოვრებენ გორის უეზდის სოფელს წრომში და ზვედურეთში. მამულებიდამ შესავალი აქვსთ 32 მან. და 30 კაპ., დაფასებულია 323 მანეთად.

**ბ რ ლ ი**

12 ნოემბერს სიმონ ამირუჯების ვალში გაისყიდება მისივე ყმათა სამი კომლი, რომელნიც გორის უეზდის სოფელს სალოლაშენში სცხოვრებენ. ყველა ეს გლეხნი თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულ არიან 1,178 მანათად.

**ტ ო რ ლ ი**

29 ოქტომბერს<sup>1</sup> ნატალია მესხიევის ვალში გაისყიდება ამისივე ყმის ერთი კომლი, სახელდობრ<sup>2</sup> როსტომ ყაზარაშვილი, რომელსაც აქვს ერთი ვაზის ვენახი და ოცდაათი დღის სახნავი მიწა. სცხოვრებს გორის უეზდის სოფელს ახრისში, საიდანაც წელიწადში 47 მან. აქვს შესავალი. დაფასებულია 443 მან.

**ტ ო რ ლ ი**

1 იენისს, რაქის უეზდის სამართველოში, გაისყიდება ერთი გლეხის ოჯახი, მისის ბატონის წულუკიძის ვალში. გლეხი სცხოვრებს სოფ. ბეგეულში, პეტრე ბეროს ძე როზანაშვილი, თავის უძრავის და მოძრავის ჭონებით. დაფასებულია 138 მან.

**ტ ო რ ლ ი**

28 მაისს, გორში, სამაზრო გამგეობაში შილვა და ბესო ტერიევის ვალში გაისყიდებიან ამათი ყმათა ოთხი კომლი თავიანთიის უძრავის და მოძრავის ჭონებით. დაფასებულია 1258 მან.

**ბ რ რ ღ ი**

30 აპრილს სიღნაღის უეზდის სამართველოში ესტატე ერისთვის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ერთი კომლი, გვარათ გაბრიელ ყარაშვილი, თავის სახლობით, რომელიც ცხრა სულისაგან შესდგება. ამათში ექვსი მამა-კაცია და სამი დედა-კაცი. ეს ყმანი გაისყიდებიან იმ შტრაფის გადასახდელ ფულისთვის, რომელიც ერისთავს უნდა გადახდეს მიტომ, რადგანაც მან თავის ყმათა ყარაშვილის ოჯახი მართველობას უკანონობით მიჰყიდა თბილისის მოქალაქე ზაალ, ზალოვს. დაფასებულია 158 მან.

**ბ რ რ ღ ი**

3 მაისს დიმიტრი ციციანოვის ვალში გაისყიდება მისივე ყმათა ოცდა შვიდი კომლი, რომლიდანაც 18 კომლია აწერილი. ესენი სეხოვრებენ სოფელს დოესში. ყველა ესენი თავიანთ უძრავის და მოძრავის ქონებით დაფასებულია 8,282 მან.

**ბ რ რ ღ ი**

12 დეკემბერს, სიმონ მაცაშვილის ვალში გაისყიდებიან მისივე ყმათა ოთხი კომლი. დაფასებულია 1110 მან.

**ბ რ ა ლ ი**

23 დეკემბერს, თ. იასე ანდრონიკოვის ვალში გაისყიდება მისივე ყმათ ექვსი კომლი, რომელნიც სცხოვრებენ თელავის უეზდის უკანა მხარის ნაწილს სოფელს ზიარაში. წლიური შესავალი ამათ აქვსთ 100 შ. ამის მიხედვით ყველა ეს გლეხნი თავიანთის შეძლებით დაფასებულია 1000 მანათად.

**ბ რ ა ლ ი**

27 ნოემბერს, დუშეთის უეზდის სამართველოში გაყიდულ იქმნება გრიგორი და შალვა ტერიევათა ვალში მათივე ყმათა თუთხმეტი კომლი, რომელნიც სცხოვრებენ სოფ. გრემის-ხევში. ამათ წლიური შესავალი 379 მან. 80 კაპ., დაფასებულია 3,798 მან.

**ბ რ ა ლ ი**

15 დეკემბერს, თ. ქობულაოვის ვალში გაისყიდებიან მისივე ყმათ თვრამეტი ოჯახი თავიანთის ცოლით და შვილებით, თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით, ბატონის ერთი მოვალე უყიდის, ყმებთან ბატონის საკუთარი სახლი და ქონებაც არის აწერილი. დაფასებულია 17,700 მან.

**ტ ო რ ლ ი**

28 მაისს, ივანე ჯორჯაძის ვალში გაისყიდებიან მისივე ყმათა ოთხი კომლი, რომელნიც სცხოვრებენ ყვარელში. დაფასებულია 1600 მან.

**ტ ო რ ლ ი**

12 მარტს, სიღნაღის უეზდის სამართველოში, თ. ვაჩნაძის ვალში გაისყიდებიან ამისივე ყმათა ერთი კომლი, სოფ. კოლაკში სცხოვრებს და სამი კომლი სცხოვრებს უკანაშხარში, დაფასებულია 1460 მან.

**ტ ო რ ლ ი**

19 აპრილს, გორის უეზდის სამართველოში აზნაურს კალატოზოვის ვალში გაისყიდება ამისივე გლეხი პავლე შეკვებაძე თავისს სახლობით, და ძმა მისი გოგი თავის სახლობით თავიანთ უძრავ და შოდრავ ქონებით, სცხოვრებენ სოფ. რუისში. დაფასებულია 294 მან.



**ბ რ ლ ი**

16 თებერვალს, გორის უეზდის სამართველოში, სიმონ ამირეჯიბის ვალში გაისყიდება ამისივე ყმათა სამი კომლი, რომელნიც სცხოვრებენ სურამის ნაწილს სოფელს საგომენიპში, თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით. შესავალი აქვსთ 180 მან. დაფასებულია 1187 მანეთათ.

**ბ რ ლ ი**

1848 წელს, 30 იანვარს, გორის უეზდის სამართველოში გაისყიდება ამილახერის ვალში ამისივე ყმა გლეხი ქვემო ნიქოზში მცხოვრები ნიკოლოზ ბოჩანაძე. ამ გლეხს აქვს ერთი დღის ვენახი და საბნავე მიწა, რომელსაც წელიწადში 18 მან. მოაქვს. დაფასებულია 180 მან.

**ბ რ ლ ი**

1848 წ. 3 თებერვალს, თავად მაყაშვილის ვალში გასყიდულ იქნება ამისივე ყმათა შვიდი ოჯახი, რომელნიც რიყის პირსა სცხოვრებენ და იყალითოში, დაფასებულია 3,600 მან.





**ბ რ რ ი**

21 ნოემბერს, გორის უეზდის სამართველოში გა-  
ისყიდება გლეხი იაკობ ბაბაკაშვილი, რომელიც  
სცხოვრებს გორის უეზდის სოფ. ძვეერაში, დაფა-  
სებულია 700 მან. თავის უძრავის და მოძრავის  
ქონებით. ეს გლეხი ეკუთვნის ბარძიმ ამილახვარს.

**ბ რ რ ი**

16 დეკემბერს, თ. ვაჩნაძის ვალში გაისყიდებიან  
ამისივე ყმათა ექვსი ოჯახი, თავიანთის უძრავის და  
მოძრავის ქონებით. დაფასებულია 1300 მანათად.

**X.**

**ს ს ვ ე ჯ ა ს ს ვ ე**

**მ ა ს ა ლ უ ბ ი .**

## ტყვესა და შიის დაჟიღვის ამბავი

(ივანე ხელაშვილის „კალმასობი“-ს მიხედვით).

მებატონეთა მოქმედება მე-XVIII საუკ. „კალმასობა“-შიაც არის ანუხსული. ეს არის ერთად ერთი წიგნი, სადაც ყმა გლეხთა შვილების ოსმალებზედ დასყიდვა დიდის სიბრალულთა არჩს ანუხსული. სხვა ძველ წიგნებში ამის მსგავსი არსად არაფერი მოიპოვება, არის თითო ოროლა ცნობა, ისიც ისე მოხსენებული, რომ „მებატონეებში იცოდნენ ტყვეს გასყიდვას“. ყველგან ეს ტყვენი არიან მოხსენებულნი, რომ „ტყვენი წაასხეს და დასყიდეს სპარსეთ-ოსმალებსაო“.

ასე რომ თითქოს მებატონეებს ხელში ტყვენი რომ ჩაუვარდებოდათ, მერე თუ მათ ინდომებდნენ ამ ტყვეებს დასყიდდნენ კიდევ. მერე ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეს ტყვენი, ამის ცნობა კარგად არ არის გარკვეული, მოხსენებულია დასაყიდი ტყვენი, ხოლო ვინ იყვნენ ეს ტყვენი, თათრები თუ ქართველები, ეს არ ვიცით. ეჭვი არ უნდა რომ ეს ტყვენი დასაყიდნიც ქართველნი იქნებოდნენ, თორემ თათარ ტყვეს ქართველნი ვერსად დაჟიდდნენ, ამის მაგალითი არც ყოფილა. არც ყოფილა იმის მაგალითი, რომ ქართველთ ტყვეთ პერობილი თათრები ან ლეკები და სხვა ასეთნი მუსულმანებზედ დაეყიდნათ. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ეს ტყვენი უნდა ყოფილიყვნენ ქართველნი, ოსნი ან სხვა ასეთ მთის ხალხნი. ეს რომ ასე უნდა იყოს ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც ამასვე ასაბუთებს თვით „კალმასობის“ ცნობაც, რომ იქ მოხსენებული ქართველთა ტყვენი არიან ოსები, ქართლში დატაცებულნი თუ საცალა ნაშოვნ-ნასყიდნი. ჩვენ ამის შესახებ ჭკეპოთ თვით ჩვენ ცნობის მოვიყვანთ, აქ კი ისევ ტყვეთა ვინაობის ამბავს უნდა შევეხოვდ, თუ ეს ტყვენი ვინ იყვნენ და ან ჭავვარ უნდა ყოფილიყოს ამათი დასყიდვა.

ჩვენ ვამბობთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ და სხვა ძველი წიგნების ტყვენი უნდა იყვნენ პირდაპირ ქართველნი, სხვა არავინ. ეს ტყვენი უნდა გაჩენილიყვნენ ქართველთ შორის იმ დროდამ, რაც საქართველო დანაწილდა, ერთი სამეფო სამად გაიყო, მაგალითებრ კახეთის სამეფო, ქართლის და იმერეთის; მასთან ხუთიუ სამთავრო:



გურიის სამთავრო, სვანეთის, სამეგრელოსი, აფხაზეთის და სამცხე-საათაბაგოსი. ყველაზედ დიდი სამთავრო სამცხე-საათაბაგო იყო, იგი დიდის სივრცით და ბალხით შესდგებოდა.

ვამთა ვითარების წყალობით ხდებოდა ისეთი შემთხვევები, რომ ძრიელ ხშირად კახეთის ბატონი ქართლის მეფეს წაეკიდებოდა, ქართლის მეფე იმერეთის ბატონს, ხან მთავარი—მთავარს ებრძოდა. მოხდებოდა ისიც რომ ხშირად თვით თავადი ებრძოდა თავადს, აზნაური აზნაურს, სულ უბრალო რამეზედ ესენი ერთმანერთს აეშლე-ბოდნენ და ბრძოლასაც დაიწყებდნენ. მაშინ ესენი ერთმანერთს ისე ებრძოდნენ, ერთმანერთს ისე დაეცემოდნენ ხოლმე და ისე აიკლებდნენ, როგორც ხანდისხან მათ ასე უცხო ტომის კაცი უნდა დასცემოდნენ. ასეთ ომის ატების დროს, ეს ერთი ტომის შვილი, ერთი ენის და ქვეყნის კაცი ერთმანერთს ისე ებრძოდნენ, როგორც უცხო ტომის კაცი—უცხოს. მათთვის აღარც ენა არსებობდა, არც ისტორია, არც ქვეყანა, ყოველივეს ჰკარგავდნენ და ივიწყებდნენ თვისი პირადი ინტერესების გამო.

ესენი ერთმანერთს ისე იკლებდნენ, როგორც უცხონი, როგორც დაუძინებელი მტერი, ვინც კი გაიმარჯვებდა მათში, მერე ეს ქართველი დამარცხებულ ქართველის სახლ-კარს იკლებდა, ჰონებას სტაცავდა, საოჯახო საშუალებას უწყავდა. თუ მოახერხებდნენ და ხელთ იგდებდნენ, მასთან მათ მეოპარ მოყმეთა ტყვეთაც დაიპყრდნენ და თავის საბრძანებელში დაბრუნების დროს ყველა ამათ თან წაიყვანდნენ და ამათ თავიანთ საბრძანებელში ინახავდნენ, იგინი თითქმის პატიმრად ჰყვანდათ და სოფლად ტყვეს უხმობდნენ. ასეთი ტყვენი ან მათს მებატონეს, თავადს, აზნაურს, მთავარს, ან მეფეს უნდა დაეხსნა და თუ არ დაიხსნიდნენ, მაშინ ამ ბატონების ხელთ იყო ტყვეთა ბედი, საქმე. ახალი მებატონე თავის ძმა ქართველ ტყვეს ან გაათავისუფლებდა, ან გაასაჩუქრებდა, ან გაჰყიდდა, ერთის სიტყვით რასაც უნდოდა იმას უზავდა, სადაც სურდა იქ ამოუყოფდა მას თავს და გაჰყიდდა.

ეს ასე იყო და ქართველთა ტყვეთა ვინაობა ნიშნავდა ქართველს. თუმცა თანამედროვე მკითხველი ქართველობა ამ ტყვეებს ისე მიიღებს, როგორც უცხო ტომის კაცთ, უცხო, როგორც სხვა სჯულის მექონს, სხვა ენის და არა ქართველს, მაგრამ ეს ასე არ არის, ქართველთა ტყვენი ყოველთვის იყვნენ ქართველნი. ამ ტყვეთა გასყიდვაც ისე იყო დაკანონებული, რაზედაც თვით მეფეც არ იღებდა

ხმის და არავის ედავებოდა, რომ ქართველს შესძლებოდა საგან მონატაც ტყვის გასყიდვა უცხო ქვეყანაში, უცხო ტომზედ; ხმას არ სცემდენ, ვინაიდან მათ ამის ჩვეულება და უფლება კანონად ჰქონდად მიღებული. ამ გარემოების წყალობით მეტად დიდი ძალი ქართველობა უნდა იყოს დასყიდული. ასე და ამ გვარიდ, ქართულს ძველს წიგნებში სადაც კი მკითხველმა ტყვე ამოიკითხოს, რომ ქართველთა ჰყვანდათ ტყვენი, ქართველთ დაყიდეს ეს ტყვენი, ყველა იგინი უნდა იქმნეს ქართველებად მიღებული და არა უცხო ტომის კაცად.

აი ესეც ამის მაგალითი „კალმასობით“. XVIII საუკ. ბოლოს ამ „კალმასობის“ გმირნი ქიზიყიდან მისულან ქართლში და სოფელ ჭალასთან მიახლოვებულთ, თავადის აბაშიძის მეუღლესთვის უცნობე-ბიათ თვისი მისვლა მათს საზრძანებელს. „კალმასობის“ თავადინას ეს მჭადაგებელნი მეკალმასე ბერნი მიუღია თვის სახლში. ესენი მისულან და დაბინავებულან თავადის ოჯახში. მცირე ხანს შემდეგ, ამ პირთ რალაც მწუხარე ღმუილის ხმა შესმენიად, ამაზედ დაფიქრებულან და აქეთ-იქით ყურება დაუწყიათ, მერე დაუნახავთ კარში ერთი კოშკი, საიდანაც გამოისმოდა ეს საზარელი ხმა. შეხედეს ამ კოშკს და ნახეს, რომ მის კარებზედ ერთი ვილაც კაცი დგას და ჰყარაულობს ამ მომბლავ თუ მომპირალ ყმებს. ეს მოჭადაგე ბერნი მალე მისულან კოშკთან და მცველისთვის უკითხავთ:

„უკანასკნელ იხილა კაცი ვინმე წინაშე კოშკისა კარისა მდგომარე და რქვა: ძმაო რაი არს ხმა ესე მწუხარებისა? ხოლო მან რქვა: —მაშაო, ტყვეები არიანო. იოანემ:—სადაურნიო? მან—ოსთავანიო. იოანემ:—რაის შეცოდებისათვისაო? მან რქვა:—გასაყიდათო“. ამ ამბების გამგონე ივანე ხელაშვილი დიდათ შესწუხდა. მცირე ხნის შემდეგ ივანეს მიუწოდეს აბაშიძის სახლში, ეს მალე წავიდა და ავიდა კენიანასთან. მისვლის მცირე ხნის შემდეგ ივანემ მოახსენა კნქინას:—„დღეს ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ ბრწყინვალეებასა ვიახელ, გარნა რომელიმე მწურახება მიილო გულმან ჩემმან“. კნქინა ანნამ ჰკითხა:—„ვინ რა შეგცოდა? იოანემ:—საბრალო ტყვეებმან. მერე კნქინამ მიუგო:—ნუ იზრუნებ, მაგის საქმეს ლ. აბაშიძე განაგებს-სო. თუ დიდი ლ. აბაშიძესავით განაგებს: ღმერთმა შენს მტერს მისცესო“.

ამ ცნობის ახსნა ის იქნება, რომ დიდი ლ. აბაშიძე უფრო მეტი ბოროტი იქნებოდა ტყვეს გასყიდვაში.

აქ „კალმასობის“ გმირის ლაპარაკი მცირე ხანს შეჩერდა. მცირე ხანს კვალად განაახლებენ საუბარს. ივანე ხელაშვილი ტყვეს გასყიდვას ცოდეათ აღიარებს. მერე ანნა აბაშიძისა ეუბნება:—„ნუ თუ ეს ცოდეა არის, რომ ჩვენ ოსებისაგან ვისარგებლოდ და იმათაც სიმზიდრესა და დიდკაცობასა შინა ვიადწიონო“. ამის შემდეგ „კალმასობის“ გმირთ ვახშამი მიართვეს და ღვინო დაიწყეს. ამ თავშექცევის დროს ივანე ხელაშვილმა სთქვა:—„ვინ ჩვენ თავს, ჩვენ ამ განცხრომაში ვართ და ის ტყვენი კი მწუხარებაში“. ამაზე ივანე ხელაშვილს პასუხს აძლევს აზნაური ორჯონიკიძე, რომელიც ტყვეების დასყიდვაში ყოჩაღი ყოფილა. ეს ეუბნება:—„ვინ ჩვენ თავს, ჩვენ ამ განცხრომაში მწუხარებაში“. ივანემ პკითხა:—„ვითარა? პასუხი აზნაური ორჯონიკიძისა:—„ვისირში (ეგვიპტე) მთლად ბეგები ქართველები არიან“. ივანემ მიუგო:—„ივინი ლეკთაგან მოტაცებულნი და დაყიდულნი არიან და არა ქართველთაგან“. პასუხი ორჯონიკიძისა:—„სულ ერთია კაცი ვისგანაც ბედნიერებას მოიპოვებს“. პასუხი ივანესი: „მაგაზე მეტი უბედურება რა იქნება, რომ სულთ უნდა წარწყმდეს და ხორცით, თავის მშობლის მიმულიდგან დაიკარგონ“. ამაზედ ორჯონიკიძე აძლევს პასუხს:—„რომ არ გათათრდენ, ხომ ცხონდებიან, ხოლო თავის თავის მამულის მოშორება ერთი არ არის რა, ყველგან ადგილია კაცისთვის“.

ამაზედ ივანე ხელაშვილი და ორჯონიკიძე შელაპარაკდნენ. ცნობიდან სჩანს რომ ტყვეების რიცხვი სულ ცხრა ყოფილა. ივანე უმტკიცებდა ორჯონიკიძეს, რომ ასეთი წესები დასაღუპია ქრისტიანობის და საქართველოს ერთობისათვისაცაო. ორჯონიკიძე კი უმტკიცებდა, რომ ეს დაყიდული ტყვენი ოსმალში გაბედნიერდებიან და ფაშობასაც იშოვნიანო, თუ ამათი გათათრების გერიდება, მაშინ შენც მათ მიგაყოლებთ თანა, შენისთანა მოქადაგი ეჭირვებათ მათ თანაო, რომ ეგები იქ არ გათათრდნო. მაინც ტყვეთა რიცხვი კენტია, ცხრა არის და შენ მეათე იქნები—ლუწი გახდებიო. ესეთი გარემოება კაცთა, ამ პირმა პირუტყვეთ შეადარა თურმე, შური მათშიაც არისო, ჩვენც კაცნი მათებურად ვიქცევით და თუ რამეს ჩავიდნთ ეს კანონიერი უნდა იყოსო. ესე იგი ტყვეების გასყიდვა, მოტაცება და სხვანო. ასე მართლულობდა თავს არა ეს ერთი ბატონი თურმე, არამედ თითქმის ყველა ისინი, ვინც კი ტყვესა და ყმის გასყიდვაში მოუსვენარი იყვნენ.

ამიტომ ჩვენს ვალდებულებას შეადგენს, რომ ბატონ-ყმობის ის-

ტორიაში ტყვეს გასყიდვას, თუ სყიდვას ცალკე გზა-კვალი მივსვით. ტყვეს გასყიდვა მის მტაცავს თავისუფლად შეგძლო, რომ შინაც გაეცოდნა, მისი მოდავე არაფერ იყო. შინაურ მსყიდველთაგან მერე შეეძლოთ რომ ან ძველს ბატონს დაეხსნა იგი და ან თვით გასყიდულებს დაეხსნათ თავი. ეს მათზედ იყო დამოკიდებული. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ ტყვეს მრავლად ყიდულობდენ შინაური ფეოდალნი კაცებიც, ასეთ ტყვეთა სყიდვაც ისევე სწარმოებულა, როგორც ყმის გასყიდვა და გამოსყიდვა. ხდებოდა ისიც, რომ გაყიდულ ტყვეს პატრონი უწნდებოდა და მერე ამით იხსნიდენ ახალ მყიდველთაგან, რასაკვირველია მოგებით. ოსმალ-სპარსეთში გადარეკილ და დაყიდულ ტყვეთა დახსნა კი ძალიან ძნელი იყო. ტყვეს გატაცება მეტად ოსტატურად ლეკებმა იცოდნენ, მერე ამით ეს ტყვენი დროებით შენახულები ჰყვანდათ, თუ მათ დაიხსნიდენ ხომ კაი, თუ არა და მაშინ ესენი მათ თავს უკრავდენ მუსულმანთა ქვეყნებისაკენ და იქ ჰყიდდენ. ასეთი მავალითები მაშინ ერთობ ხშირად ხდებოდა. ასე და ამ გვარად ტყვეს გაყიდვა ყმის გასყიდვაში არ უნდა აფრიოთ. ორივეს სხვა და სხვა ისტორიული მასალები აქვს.

### ბატონყმობა.

„არამედ კვალად შესძინა როსტომ, რამე თუ სვიმონ მოყიდულთა ტყვეთა წარუფლენდა ყენის. ხოლო ესე გამოიყვანდა მთავართა და აზნაურთა შვილთა ვაჟთა და ქაღთა და წარუგზავნიდა. ამისთა მზილველთა ქართველთა იწყვეს ტყვეს ყიდვა: ქვრივთა და ობოლთა, რამე თუ გამრავლდა სიბოროტე, ვინაიდგან აღარ იყო ზრუნვა სულიერი და არა ზრუნვიდა მეფე სუფევისა. გარნა გაცხრომისათვის ვითარცა წესი არს მოჰმედიანთა.“\*)

ასეთი ბოროტება ხდებოდა როსტომ მეფის დროს, იგივე ხოსრო მირზა. ცნობაში მოხსენებული სვიმონ არ ვიცით ვინ არის? სიმონ მეფე არ უნდა იყოს, არამედ სხვა ვინმე; მაინც ეს იქნება უმალღესი პირი, იქნებ სამეფოც. თუ ასე იყო საქმე დაყენებული, რომ ტყვეებს ასე თავისუფლად იტაცავდენ და ჰყიდდენ, მაშინ ისიც უნდა ვიკითხოთ თუ ეს ტყვენი ვინ იყვნენ, რა ხალხი, რა ტომის და სხვანი, რომ თავიანთ ტყვეობის გარეშე მათ გასყიდვაც ელოდათ, ამ გასყიდვას თავიანთ თვალთ მზერდნენ და მასზედ ხმას არ იღებდნენ და ტყვეთ

\*) „საქრთვ. ცხოვრ.“ 1 ტ., გვ. 14.

მომტაცავნი ვისაც მიჰკიდდენ ამათ, ესენიც მისდევდნენ მკიდველთ სიამოვნებით. იქედამ სჩანს, რომ ყმა გლეხნი ძრიელ დიდს მონებაში ყოფილან.

ესენი იყვნენ ქართველი გლეხები, ქართველთ დიდებულთა ყმანი, რომელთაც ბატონის ხელში სიცოცხლე გამწარებული ჰქონდათ, ესენი მათგან ყოველთვის დევნაში იყვნენ და ამიტომ არჩევდნენ, რომ ჯანდაბას, მოვიშალოთ ჩვენის მიწა მამულიდამ, წაეშავდეთ იქით, თუნდ გავთავრდეთ, თუკი ერთი მაინც მოვისვენებთ სამულდამო ტანჯვისაგანო. ამიტომაც ეს ტყვენი თავიანთ მტაცავთ ხმას არ სცემდნენ და ყოველივე მათ საწადელს ასრულებდნენ. ასეთ რისხიას ყმებზედ ყვილანი ხმარობდნენ, როგორც თავადიშვილები, აზნაურები და მეფენიც. ცნობები არის, რომ თვით მეფენიც კი გზავნიდნენ ხპარსეთში ყვინის წინაშე მოტაცებულ გოგო-ბიჭებს ფეშქაშებათ და ანუ დასაყიდათ. იყო ასეთა წესებიც, რომ ხშირად გზავნიდნენ ყმებს თვით თავიანთ მებატონენიც თავისავე წესით. ასეთ მებატონეს სურვილს ყმა ვერ ეწინააღმდეგებოდა. წინააღმდეგს ვერ ეტყოდა, რომ ნუ მყიდი, ანუ ნუ მგზავნიო, რადგანაც იგი მისი პატრონი იყო და არა ბატონი და ამიტომაც პატრონს როგორც სურდა და საითაც უნდოდა იქით უკრავდა თავს.

ამიტომაც განახევრდა მთელი ქართლის სოფლები: ერთმა ქართველ თავადიშვილმა ერთ სპარსელს კარგი ცხენი უწაბა, ეს ცხენი მას მოეწონა, სპარსელმა უთბრა ერთი ლაშაზი ქალი მომეც და ამ ცხენს მოგცემო. ქართველ მებატონემაც ერთ თავის ყმას ცოლი წაართვა და ამ ცხენში გაუცვალა თათარს. ყმამ ვერაფერი უთბრა ბატონს, წინააღმდეგობა ვერ გაუწია, რადგანაც ბატონმა ისურვა და მის წინააღმდეგ წასვლა დიდი რისხვა იქნებოდა და მასთან ცოდვაც. ასეთი მაგალითი მ. თამარაშვილსაც მოჰყავს კათოლიკობის ისტორიაში. ერთ წარჩინებულ გვარისშვილს თვით თავის დედის გასყიდვა სდომნია სპარსელებზედ თუ ესეც ხდებოდა, რომ კაცი თავის დედას სცვლიდა, ანუ ჰყიდდა, როგორც მ. თამარაშვილს მოჰყავს, რომ ერთმა ქართველმა ერთ სპარსელს თავის დედა გაუცვალა ცხენშიო, აბა სხვებზედ რაღა უნდა ითქვას. ამან მოსპო ქართველი ნაცია საქართველოში და გააოხრა ყოველივე, ცარიელი სოფლებიღა დასტოვა.

აი ასეთი ყმობა და პატრონობა ყოფილა ქართლსა და კახეთში. ეხლა აენუსხავთ ამ ყმობის და პატრონობის პირობებსაც.





## ტყვე და შიშის გაუქმების საქმე.

ქართველ მეფეთა დროს, ვიდრე საქართველო ძლიერი იყო და ქართველებს ერთი-მეფე ჰყვანდათ, მაშინ ყვის გასყიდვა ბატონისთვის ძნელი იყო. ბატონ-ყმობას მაშინ სხეანაირი სახე აქვდა. მაშინ მებატონე თავადი და აზნაური ბედნიერა იყო და სახელოვანი, ვისაც დიდი ყვა და მამული აქვდა, საქმები იყო ის თავადი და აზნაური, ვინც თავის ყმას კარგად ჰპატრონობდა, სადავო საქმეებში ვეჭილობას უწევდა, სახლს კეთებაში ეხმარებოდა, ენაბის გაშენებაში ან სხვა ასეთ საქმეებში.

ენმარებოდა კიდევ ქალის გათხოვებაში, მიცვლებულის დასაფლავებაში, ვალის გადახდაში, ან სხვა რამ გასაკვირში, რაც კი შეიძლებოდა გლეხს მოხდენოდა ცხოვრებაში. ერთი სიტყვით, მაშინ მებატონე იყო ბატონი და მასთან შემომტარველელიც ყვის ცხოვრების. პირველი მოვალეობა ბატონის ის იყო, რომ მისი ყვანი ცხოვრებით კარგათ ყოფილიყვნენ, ცხოვრებაში გაჭირვება არ ჰქონოდათ. შიმშილობის დროს, ან სხვა რამ გასაკვირში უნათუოდ ბატონი უნდა დახმარებოდა. ამის ცნობები სწანს „ქართლის ცხოვრებაში“, „საქართველოს ცხოვრებასა“, და ძველის სიგელ-გუჯრებშიაც, თითქმის ყველა ისტორიულ წიგნებში ეს ასეთი მოხსენებულ განმარტებული.

საქართველოს ერთმეფობის დარღვევის შემდეგ დამ საქმე სხვაგვარ მიმდინარეობს. ერთი მეფეს მაგიერ სწადკა საქართველოში სამი მეფე და ბუთი მთავარი. ყველა ესენი სცხოვრობენ თავთავისთვის, მათ შეზღუდული აქვსთ თავისი საბრძანებელი; სამთავროები თვის ქვეყნის საქმეს განაგებენ თვითონ: ხალხის ცხოვრების ავ-კარგიანობას, სამართალს, სხვაგვარ საქმირო საქმეებს ხალხის ცხოვრებაში იგენი უძღვებიან წინ. ერთი სიტყვით ესენი არიან სრულა ბატონები და პატრონებიც მთელი ამ კუთხეების.

ასეთ პირობებში მოთავსებულ ხალხის ცხოვრება სხვაგვარ სახეს იღებს, მებატონენი ცოტა არ იყოს თავის მოჭმედებას სახეს უცვლიან, ეს გამოცვლა მათის თვითონებისაგან გამომდინარეობს. ეს ვარემოება კარგათ სწანს ძველის ისტორიულის წარსულიდან. მაგალითებრ, მებატონე თუ ავი კაცი იყო, ან ავი ზნისა და ხასიათის მეჭონე, ან სხვაგვარ მაქნე თვისების, რომელსაც ბოროტი ხასიათი აქვდა, მაშინ ეს ბოროტი თავის მახვილს ყველაზე ადვილით ხმა-



რობდა ნამეტურ თავის ყმებზედ. ყმა ამ დროს შეზღუდული იყო ყველაფრით, მისთვის ბატონს რაც უნდა ექნა, როგორც ტანჯვა და წვალება უნდა მიეყენებინა, ყმა მაინც მის გარეშე სამართლის სათხოვრად ვერსად მიდიოდა, სადაც უნდა წასულიყო, მისთვის გზა ამოქოლილი იყო. პირველნი ეტყოდნენ, რომ შენა გყავს შენი ბატონი და მასთან თქვენი მთავარიო.

მთავარი კიდევ ბატონს ძნელად გაამტყუნებდა. მთავარს რომ თავადი და აზნაური გაემტყუნებინა, მაშინ იგი მათ მტრად გაიჩენდა, მტრები კიდევ არც მთავარს დასთმობდნენ უმტროდ, მეორე მთავარს დღეს ერთი თავადი და აზნაური გაემტყუნებინა და ხვალ მეორე, ზევ შესამე, მეოთხე, მეხუთე და სხვანი, ამით იგი მთელ სამთავროში მართალ თავად-აზნაურს ველარ იყოლიებდა. ამას გარდა ყველა თავადს და აზნაურსაც მტრად გაიჩენდა. რადგანც სამთავროს წესებისაკან მათ ცხოვრება გალაღებული აქვდათ, ამიტომ იგინი ძრიელ ხშირად და ადვილად ბოროტებასაც ჩადიოდნენ და ეს ბოროტება ყველაზე ადვილათ მათ ყმა-გლეხებს ხედებოდათ.

ასეთ გარემოებამ მთავარი და თავად-აზნაური ერთად დააკავშირა. მათ ნდომას საზღვარი დიდი მიეცა, ასევე „მაშვიც“ დიდ უსაზღვრო საქმეთ ვაიხადეს. ამით იწყეს გალაღებული ცხოვრება. ყველა სამთავრო იყო კერა თვითნებობის, თვითმმართვეობის, თავად-აზნაურთა მუქთად ყოფნის, არ მუწაობის, კვიფობის, ლოთობის და ბოზობისაც. მათ არაფრის შიში არ აქვდათ, ნორიდება ხომ აღარავის, კანონმდებელნი თვით იყვენ. XV საუკ. შემდეგში იგინი იზრწნებან დიდათ, ეს გახრწნა მათ გარს მძვინვარებს, ეს მძვინვარება პირველად მათ კერას აჭრობს, მათ ცხოვრებას ვნებს, ამიტომ ესენი დროებით თვის ყმათა შევიწროებას თავს ანებებენ. რადგანც მათის შევიწროებით თვით მათ მოსლით ზარალი, ცნება და ნივთიერი სიდუხჭირე. ამიტომ ესენი მისდევენ სხვა გზას.

სხენებულის საუკუნეიდან, რაკი სამთავროთა მებატონეთა ცხოვრება ლალი იყო, ამიტომ მათში მტრობა და ავ-კაცობაც უხვი და ხშირი იყო. ესენი უბრალო რამეზედ ერთმანერთსაც კი აეშლებოდნენ ხოლმე, ერთმანერთსაც კი ლალატობდნენ, იყო ასე რომ თავადი—თავადის სახლკარს ცეცხლს პისცემდა, მით გადაბუჯავდა, ტყეებს დაუწვავდა, ძნებს, ვენახებს და სხვასაც ბევრ რამეს. ასევე სჩადიოდნენ აზნაურებიც. ამას გარდა ხშირად ერთმანერთსაც დაეცემოდნენ, აიკლებდნენ და ყმებთავან ტყვეებსაც მოსტაცავდნენ. ამათ თან წაი-



ყვანდნენ და მერე ეს ტყვეები ოსმალეთში მიყვანდათ და იქ რაღაც  
ლებზედ ჰყიდდნენ. ასეც იყო, რომ ხან ამ ტყვეებს თვის მებატონენი  
იხსნიდნენ, უმათა ნათესავეები. ტყვეს მოტაცება და გასყიდვა ქარ-  
თველებში შემოვიდა ხსენებული საუკუნის ნახევრიდამ, ანუ 1453 წ.  
შემდეგ, რაც ბიზანტია ოსმალთ დაიპყრეს.

საქართველოს სამეფოს დაღუპვის დასაწყის ხანად, ხალხის  
გახრწნის, თავად-აზნაურების წახდენის, მეფეების და მთავრების  
დაუძღვრების და გაფუჭების და ბევრიც სხვა უბედურების, რაც კი  
გარს ეკრა ყოველივეს და რამაც მოუღო ქართველ ტომს ბოლო, მის  
დასაწყისად პირდაპირ XV საუკუნე უნდა ეახსენოდ. ამ ხანიდამ მომ-  
დინარეობს ქართველ თავად-აზნაურებთან ერთმანერთზედ ხში-  
რად დაცემა, ნავარდობა, ტყვეს მოტაცება, მერე ამათი დასყიდვა,  
ამის სწი ისე წავიდა წინ, რომ იგი აშკარად სჩანდა ყველას თვალთ-  
წინ, თუ სულ არ ბრმა, მაშინ ამას ყველა დაინახავდა, უამისობა არ  
შეიძლებოდა.

ხშირად ერთი სამთავროს თავადს, ან აზნაურს ნათესავობით  
უსიამოვნება რომ მოხდებოდა მეორე სამთავროს თავად-აზნაურ-  
თან, მაგალითებრ: ფულის სესხის გამო, ან მამულებია დავის,  
ან ქალის თხოვნის, ვინიცობა არია და ერთ თავადს—აზნა-  
ურს ერთმა ასეთმა ქალი სთხოვა, მაგრამ პირველმა ქალი ამას კი  
არ მისცა, არამედ სხვას, მაშინ ამათში ტყდებოდა ომი და დაუ-  
დგარი ჩხუბი, სისხლის ღვრა, ერთმანერთზედ დაცემა, აკლება,  
ტყვეების დატაცვა, მერე ამათ გასყიდვა ოსმალ-სპარსელებზედ, ან  
ღმკებზედ. ტყვეს მოტაცვა ადვილად მატომ ხდებოდა, რადგანაც  
როცა ერთი მებატონე თავის მტერს ეცემოდა, მაშინ მას თან თა-  
ვის გლეხებიც მიჰყვანდა, ბრძოლაში მათი ყმანიც იხოცებოდნენ მე-  
ბატონეთა წყალობით; ამიტომაც მტრად დავი ზარალ; მოსდიოდა  
ქართველთ გლეხიკაცის ოჯახს.

ტყვეს მოტაცება და გასყიდვა XVII საუკ. იმ ზომამდის ავი-  
და, იგი ქართველ თავად-აზნაურთა ისეთ ხელობათ გადაიქცა, რა-  
საც თვით სამღვდელთებამაც მიაქცია უყოფადლება. ეს ტყვეს მოტა-  
ცვა და გასყიდვა მათ პირდაპირ ეკლესიის სამტროდაც ჩათვალეს,  
რადგანაც ეკლესიას მრევლი აკლდებოდა, ამიტომაც თვით ევდე-  
მოს კათალიკოზმაც კი დასწყევლა მრავალ გზის თვის ქადაგებაში  
ტყვეს გამსყიდველნი. ეს კათალიკოზი სტხოვრებდა XVII საუკ. იყო  
გვირად საყვარელიძე, ირიცხებოდა იმერ-აფხაზთ კათალიკოზათ,



ამის საზე დახატულ იყო გელათში. ნახეთ ჩემი გამოცემა—**გეგმული საქმე**  
ისტორია“. აქაც დავხატე ამის სურათი.

XVII საუკუნის დამდეგიდამ, რაკი საქართველოზედ ოსმალ  
სპარსელებმა მიღავრად იწყეს ამხედრება და გავლენა, რაკი ამ ორ  
სამეფოს სურდა საქართველოს მოსპობა, გაქრობა, ამიტომაც თავად-  
აზნაურებმა ერთმანერთზედ თავდასხმას, დაცემას, აკლებას და ტყვეს  
მოტაცეას თავი დაანებეს. ზოლო ეს თავის დანებება არ იყო კე-  
თილის მექონი დასაწყისი. XVIII საუკუნის დამდეგიდამ, როგორც  
უკვე ვხედავთ ისტორიით, მათ შორის შემოდის უკვე ყმის შეწყუბე-  
ბის დასაწყისიც, ანუ შვილების წართმევის, ოსმალ-სპარსეთში [გარე-  
ყვის, გასყიდვის და სხვაც მრავალ ასეთნი, რაც ხშირად აშკარადაც  
ხდებოდა. ამის წინაღმდეგ არც სამეფო კანონი იყო. იგი ამ სენის  
წინაშე მკვლად არსებობდა. XVIII საუკუნეში რომ ეს სენი კარგად  
მძინეარებდა, ამას ხომ წიგნი „კალმასობაც“ ამტკიცებს. ასე და ამ  
გვარად ტყვეს სყიდვისაგან დაიბადა ყმის გასყიდვა მათ მებატონ-  
ეთაგან.

### ხასების და უკანონო შვილების საქმე.

ჩვენს კურთხეულს ძველს დროში, მართალია საზოგადო საქა-  
ხობები არ იყო. მთელ თფილისში მეფეების დროს არ არსებობდა  
ერთი საქაზმოც-კი. ეს არც იყო საქირო, რადგანაც გლეხკაცის  
შვილებს 18 წლიდამ ცოლს რთავდენ. ასევე მოკალაქენი და ვაქრე-  
ბი საღამოს 8 საათის შემდეგ ყველა თავის სახლში იყო და-  
ლხინობდა. ასე იყო, ზოლო ცხოვრების ასპარესზედ გალაღებულნი  
იყვნენ ზოგიერთნი, ისიც ყველა კი არა, ზოგიერთი, ვინც უფარ-  
გისი იყო, თორემ კეთილი და პატიოსან პირთა რიცხვიც დიდი იყო  
მათში. ვინც ურიგო იყო, იმას ოჯახებში გამრავლებული იყო  
ყმათა შვილების ხასათ წაყვანა. ყმის გოგოს ჯერეთ ბატონი გააფუ-  
ქებდა და მერე ამას სხვებს მიუგდებდა.

იმერეთს და სხვაგანაც, სადაც-კი ურიგო თავად-აზნაურის  
ოჯახს ნახავდით, იქ უსათუოდ ჰპოებდით თითო-ოროლა მათ ყმა-  
თა გოგონებს ხასად დამჯდართ. ესენი მებატონეთ სახლში ჯერეთ  
მოახლეთ ემსახურებოდნენ, თან ბატონის შვილებს ხასობას უწყევდნენ.  
ასეთი წესები ისე იყო გურიაში გაავრცელებული, რომ მარტოდ 1838-  
წლიდამ მოყოლებული 1860 წლამდე რამდენიმე ასი და თითქმის ათა-  
სი ხასის საჩივარიც-კი შემხვედრია და მინახავს. ასეთ ქალების-



მდგომარეობა დიდს სამწუხარო სურათს წარმოადგენდა იმდროინდელი ქალები დევნილნი იყვნენ და პირად ღირსება დაცემულნი. ხასად გახდენის შემდეგ მას ყველა ნაძრახს ეძახდა, მას აღარავენ ირთავდა კანონიერის ჯვარის წესით. ერთის სიტყვით თვის სიკვდილის დღემდე რჩებოდა საბრალო დასაძრახის მდგომარეობაში.

ასეთი უბედური ქალიც-კი, თავის უბედურის სხეულით და დაცემულის ღირსებით მაინც ბატონის მონად შთებოდა, ხასა მებატონეს სახლში ჰყვანდა ვიდრე უნდოდა. მერე, შვილის მიცემის შემდეგ, რასაკვირველია ხასას ადვილათ დაითხოვდა. მის მაგიერ მერე სხვა ახალს მოიყვანდა, ქალწულ ქალს და ასე და ამ გვარათ. ზოგიერთი ბოროტი მებატონე ყოველთვის იცვლიდა ლოგინს ახალ-ახალი ქალებით. გაგდებული, ანუ დათხოვნილი ხასა კი მაინც კიდევ ბატონის მონად შთებოდა და მას არ შეეძლო ამ შემთხვევაში თავის ნებით გათხოვილიყოს, ვიდრე ამ ნძრახ საბრალოსაც ბატონი ნებას არ მისცემდა. ნება დაურთველად მას შეეძლო მხოლოდ შრუშობა, ბოზობა, საკახპოში დაჯდომა. ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ მებატონენი თავიანთ ყმის ქალებს თვით საკახპოებშიც-კი ეძებდნენ და ხარკს ართმევდენ. ამის მაგალითები ხშირად ყოფილა, რომ მებატონე თფილისში ჩამოსულა, თავისაგანვე პირველათ გაფუჭებული გოგო საკახპოში მოუწახავს, საბატონო ხარკი გამოურთმევიდა და მერე წაბძანებული შინ საბრალო ქალისაგან დასაჩუქრებული.

ასეთ ქალებს სიკვდილამდის ყოველთვის დიდი უბედურება ელოდათ და გაჭირება. ამათი ბედი ერთი ის კი იყო, რომ ბატონისაგან ნამუს ახდილს და გაფუჭებულს ხალხი და ნათესავობა არ სდევნიდა, რადგანაც მათ იცოდენ კარგად, რომ მათი ნათესავი ქალი ბატონის ძალადობით იყო ნამუს-ახდილი და გაფუჭებული. ამიტომ გლეხკაცობაში ასეთი საბრალოების დიდი შეგნება და სიბრალული აქენდათ. ეს რასაკვირველია ასეც უნდა ყოფილიყოს. იყვნენ ისეთი მებატონენიც, რომელნიც ასეთ ქალებს ათხოვებდენ თავიანთ გლეხებზედ, რასაკვირველია თვისის წინადადებით და ამ შემთხვევაში, გლეხს კაი საჩუქარს აძლევდენ—მზითევს და ხშირად ყმობისაგანაც ათავისუფლებდენ, უფრო კი მზითევს აძლევდნენ. გათავისუფლება იცოდნენ, მაგრამ იზვიათად. ათავისუფლებდენ უფრო ისეთ გლეხებს რომელნიც სნეულნი იყვნენ და ბატონის ბეგრის გადახდა არ შეეძლოთ. ათავისუფლებდნენ ისეთ სასიძო გლეხს ყმებს, რომელნიც დიდ-

ხან ხასად ნამყოფს ქალს წაიყვანდა ცოლათ და ბატონის  
აღასრულებდა. ათავისუფლებდენ ისეთ გლეხთ, ვისგანაც ადვილათ  
ვერას გამოელოდნენ.

თორემ იშვიათი იყო, რომ მებატონეს გაენთავისუფლებინა  
ისეთი გლეხკაცის შვილი, რომელსაც ბატონის გული შეეჯერებულ  
ჰქონდა და ხარჯსაც ყოველთვის ულაპარაკოდ უხდიდა. ასეთ გლე-  
ხებს ბატონი არამც თუ ათავისუფლებდა, არამედ იგი ასეთებს საყმო-  
თაც ეძებდა, ზოგს ყიდულობდა კიდევ, ზოგს გაბრიყვებითაც იყობ-  
და, ზოგს ძალით და შიშითაც. მე იოდენი საქმეები მინახავს ყმა  
ქალებსა, იმდენი უბედური შემთხვევები ბატონებთაგან მათ-  
ზედ მოხდენილი, რასაც მთელ ტომებშიაც ვერ დავტყუთ. ამის  
ცნობებს შრავლათ მოისმენთ ჯერ კიდევ ცოცხლად ყოფილ ბატონ-  
ყმობის მომსწრე მოხუცებულებთაგან, რომელთაც კარგად ახსოვთ ამ  
ვაების ცნობები. მე აქ ბევრს არას დავასახელებ, მხოლოდ მოვიყვან  
ერთს მხარეს ამ ქალთა ცხოვრების ვაებისას.

მებატონე ქალს რომ წააბდენდა, მერე მან ისიც კარგათ იყო-  
და, რომ ეს ქალი დაორსულდებოდა, ამიტომ ჩემად იგი ქალს ეუ-  
ბნებოდა, რომ ჩემს გარდა, შენ ერთხელ ან ორჯელ სხვა ვინმე გლე-  
ხის შვილიც დაიბალოვეო, რომელიც შენ მოგინდეს და მოგეწონოს,  
ან შენ მოეწონოვო. ხოლო იმას-კი ნუ გააცხადებ, რომ ჩემთან! ყო-  
ფილხარო. როცა შენ შვილი მოგეცემა, მაშინ მე იმას დავაკისრებ  
შენს ნაშობს და შეიძლება რომ შენც ადვილათ შეგერთო მასაო.  
ასეთ ხრიკებს ადგენენ მებატონენი და ამით იგინი არც ტყუედებოდ-  
ნენ, ხშირად მათ თავიანთო ფონიც გაჰყვანდათ და თვისგან დაორ-  
სულბულ ქალთა ბრალს სხვას სწამებდენ, მაგრამ დაწამება უბრალო  
იყო, რადგანც ქვეყანამ იყოდა მებატონეთა ხრიკები და ის გარემო-  
ებაც, თუ ესენი რა ხრიკებს თამაშობდენ თავიანთ სახლში საბრალო  
ყმის ქალების გვერდით და ამიტომ მათს ბრძანებას და ფანდებს  
მხოლოდ შიშით ემორჩილებოდნენ და არა თავიანთის ნებით  
და წადილით. ზოგს ყმას ქალს მისცემდენ და დაჰპირდებოდნენ, რომ  
გაგანთავისუფლებთო, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა და  
შემდეგ არ ათავისუფლებდნენ. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ ხასა  
ქალს მებატონე ვერ ათხოვებდა ყმებში, ვერავის შოულობდა მთხოვ-  
ნელს და ვისაც დაბრალდებოდა ქალის დაორსულება, ისიც რამე  
შემთხვევებით წინეთ მოასწრობდა და ცოლს შეერთავდა. იმ შემთ-  
ხვევაში, ქალს რომ გაისტუმრებდა ბატონი სახლიდამ, თუ პატარა

ჰყვინდა ქალს ყმაწვილები, მაშინ დედას თან გაატანდა აღსაზღვრულად და თუ დიდი იყო, მაშინ თვითონ იტოვებდა შინ მოსამსახურედ. ყმობიდანაც იგი ვერსად წაღვიდოდა, მის საკუთრებას შეადგენდა.

იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ ზოგიერთ ქალის ნაშობს ბატონი სხვას რომ დააკისრებდა, მას რომ მოკვლედ ხდიდა ქალის შერთვას და შვილის მიღებას, მაშინ ზოგი გლეხი ყმა ქალს კი არ შვირთავდა, მაგრა დადგებოდა, მხოლოდ ნაბუშრის მიღებას და გაზრდას კისრულობდა. მაშინ ყმაწვილი ამ ამყვანი მამის გვარზედ იწერებოდა, ხოლო იგიც ბატონის ყმა საკუთრებათ ითვლებოდა. იყო ისეთი პირობებიც, რომ ნაბუშარი ქალი თუ ვაგი საყოველთაოდ მამობილის სახლში რჩებოდა, ნამეტურ ქალის მოვალეობა აწეა მამას კისერზედ და მას ქალი ზუნდა გაეთხოვებინა გაზღვის შემდეგ, ისეც იყო, რომ ვაგი კი დედას დაუბრუნდებოდა, ხან ქალსაც უბრუნებდნენ, ხან თვით დედა დაიბრუნებდა თავის სურვილით. ეს ხდებოდა მაშინ, თუ დედა შეძლების მქონი იყო და მამობილი შეუძლო, სხვა შვილების პატრონიც.

ეს ხდებოდა მაშინაც, თუ მამობილს ნაბუშრების წინაშე რამე ლალატი შეეშინოდა. ზოგმა ასეთმა მამამ იცოდა საბრალო უკანონოდ შობილ ბავშვების ჩუმად ოსმალეთში გადარეკა და დასყიდვა. აქედამ ანაღებ ფულს ბატონსაც მისცემდა და ამიტომ ამ საქმის ვითარება ბატონმაც იცოდა საიდუმლოთ, მის გარდა მას სხვა ვერავინ რას შეიტყობდა. ასეთ შეუბრალებელ მამობილებთაგან ხშირათ დაყიდულან ჩუმათ პატარა ქალ-ვაჟნი. დამყიდვენი ყოველთვის ისე ახერხებდნენ ამას, რომ მათ ვერვინ რას გაუგებდა. შემდეგ ხალხში გავრცელებდნენ, რომ ყმაწვილები დამეკარგნენო. დედა ბევრს იწუხებდა, აქეთ-იქით ეცემოდა და ძებნას დაუწყებდა, მაგრამ რალა დროს და სად, მათ კვალს ველარსად მიაგნებდა საბრალო დედა. ასეთ ქალთაგან ბევრი ცრემლი დადგრილა მწარედ შვილების გულისთვის. ეს უბედურება ისე იყო გახშირებული, რომ მშობლები ყოველთვის ზრუნვასა და ზედამხედველობაში იყვნენ თავიანთ ნაშობებზედ. ასეთ საქმეთა შესახებ მე მრავალი საბუთები მინახავს, დღესაც ბევრნი არიან ცოცხალნი, მაშინდელ მებატონეთა წინაშე ხასად ყოფილნი. ბევრი ნობუცი დედა მინახავს, რომელსაც მრავალი რამ ცნობები უამბუნია ზენი წერალის დასაწერად. ასეთ პირთა რიცხვი დღეს ცოტა არის და შემდეგ მთლად მოისპობა, მათგან ვერ ვისარგებლეთ და ამბები ვერ ვწერეთ. იყვნენ თურმე ისეთი მამობილი გლეხნი, რომელნიც



თავიანთ ნაბუშრებს დედას აღარ უბრუნებდნენ. დედისთვის კვირველია შვილი აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა. მას ვინ ეყოლებოდა ნუგეშად თუ არა ერთად ერთი თავის ნაშობი და გაზდილი შვილი. მამობილი ხშირად ძალასაც ხზარობდა თურმე—არ მისცემდა შვილს. საბატონო კანონი კი ისე ყოფილა, რომ ვაჟი გაზდის შემდეგ დედისა იყო, თუ მამობილთან გაიზდებოდა, მერე თუ დედა მოითხოვდა, მამობილს ძალა არ აქვნდა, უნდა დაებრუნებინა დედისთვის.

ამის მაგალითები ასამდე მინახავს, აქ მოვიყვან მხოლოდ ერთს, რომელიც შეეხება ბახვის ნაწილ სოფელ ქალაში მცხოვრებ ედუკი ქანიშვილის ქალის საქმეს. ეს ამბავი მომხდარა 1847 წ. ქანიშვილები გიორგი ნაკაშიძის ემანი ყოფილან, ქანიშვილის ქალი ედუკი ბატონს შინა მსახურად ჰყოლია, ამ დროს ამ ქალს ვითომც და როსტომ მგელაძესაგან გასჩენია შვილი. შვილი მერე მამობილს წაუყვანია აღსაზრდელად. მოახლისთვის ბატონს ნება მიუცია ვათხოვების და ამიტომ ქალი გაუთავისუფლებია. ქალი თავისთვის წასულა, ვათხოვილა — ეს არ ვიცი, ხოლო 1847 წ. ოზურგეთის უფროსს საჩივარს აძლევს და შვილს სთხოვს. ეს საჩივრის ქაღალდი მე ვნახე, გვერდები მომჰალი აქვნდა, რაც გაეარჩიე არეგ-დარევეთ ის აქვე მოჰყავს:

„მათს კეთილშობილებას ოზურგეთის უეზდის უფროს. თხოვნა ედუკი ქანიშვილის ქალიცაგან.

მე ვიყავი მოახლე კნიაზ გიორგი ნაკაშიძისა და დროსა მოახლოებისა მეყოლა უკანონო შვილი როსტომი მგელაძისაგან და რა გაუბდა შვილსა ჩემსა ოთხი წელი, მე ველარ შევძელ მოვლება ყმაწვილისა, რადგანაც სამსახური უნდოდა, დროებით წავატანე როსტომი მგელაძეს ჩემი შვილი აღსაზრდელად და ტანფების შესაყერაყად. შემდგომ ამის გამანათავისუფლა ბატონმა და ქმრის შერთვის ნება მომცა, ეხლა შევიტყე რომ იგი სცემს მას და არც ტანთ აცმევს, არც ფეხთ აცმევს. მე მრავალჯერ ვსთხოვე შვილი ჩემი მათ, მაგრამ მათ არ დამიბრუნეს. ეხლა ვთხოვ თქვენს მაღალ კეთილშობილებას ჰყოთ განკარგულება ამაზედ და მომცეს შვილი მე, რადგანაც კანონით დედისა არის უკანონო შვილი, ანუ ბატონსა ჩემსა და ნუ ექმნების ნება მას, რომ შვილი ჩემი წამართვას მე. ვითხოვ შვილის დაბრუნებას“. საკვირველი ამ წერილის. ერთი ის არის, რომ „მომჩივანი თავის შეცდომაზედ და უკანონო შვილის ყოლაზედ მთავრობის





წინაშე ეს ჭალი ისე თავისუფლად და მოუკრიდებლად ლაპარაკობს, რომ სიანს ეს ჩვეულება მაშინ ისე ყოფილა მოთენილი, რასაც შორიდება და რიდი არ სდომნია.

### სიტყვა, ანუ სახელწოდება „ნასყიდა“.

ქართლსა და კახეთში, სახელწოდებათ იხმარება „ნასყიდა“. ეს სახელი მამაკაცისა არის, იგი არ არის ძველის ძველი, ანუ ქრისტიანობის პირველ დროის ქრისტიანთ სახელი, რომელნიც საეკლესიო მამებთაგან იყო ცნობილი და თანახმად საეკლესიო მსოფლიო კრებებისაგან დადგენილი და ხალხის საწოდებლადაც მიღებული. სახელი „ნასყიდა“ არც ძველი, ანუ ქრისტიანობის პირველ დროს, ანუ კერპთ-თაყვანისცემის და წარმართობის დროის გახლავსთ. იგი შემდეგი დროსია, უკეთ რომ ვსთქვათ, შემოსული და აღორძინებული იმ დროს, როცა ქართველთ შორის ბატონყმობა გამძლავრდა და მასთან ყმათა გასყიდვ-გამოსყიდვაც ხელობათ გადაიქცა, როცა ყმანი მებატონეთაგან მოუკრიდებლივ ისყიდებოდნენ.

ამის დასაწყისის ხანად ჩვენ მიგვაჩნია მეზიდმეცე საუკუნის დამდეგი, როცა მართლაც და დაიწყო ყმობის—მონობის აღორძინება. ასე და ამ გვარად ჩვენ ვიცით, რომ სახელი „ნასყიდა“ არის მართლაცა და კაცისაგან ნასყიდ კაცის, ანუ ყმის სახელი. შეიძლება ვინმემ იფიქროს ისიც, რომ გასაყიდს ყმას ნუ თუ სახელი არ აქვდა, რომ მას თავის სახელს ვი არ უწოდებდნენ, არამედ „ნასყიდას“ უწოდებდნენ როგორც ნასყიდს, ეს რათ უნდა ყოფილიყოს ასე.

ამაზედ ჩვენ ვიტყვიტ შემიდგეს: მებატონეთაგან ყმების დასყიდვა, ერთ დროს სათაკილო იყო ქართველებში, ამის შორიდება ჰქონდათ მებატონეებს და თვით დასაყიდთაც ერიდებოდათ ეს. ამ დროს მყიდვეთათვისაც არ იყო კარგი და იგი ერთის შვრით იძრახებოდა, რომ ქრისტიანს სულს ბატონისაგან ყიდულობდა და მით იგი ნაყიდის სულსაც ეპატრონებოდა. ამიტომაც იყო, რომ საშუალო საუკუნოებამდის, ყმათა მყიდველნი თვის ნასყიდებს ძრიელ ხშირად ათავისუფლებდნენ თავიანთ სულის გულისთვის, ან ეკლესიას და მონასტერს სწირავდნენ თვის სასახელოდ, მოსაკონად.

ამის ხანამაც განვლო, მოვიდა სხვა დრო, როცა ყმებს ბატონებმა სხვანაირად დაუწყეს მზერა და ერთის შვრით დიდის უფლებით რბევა და დასყიდვაც.



აი ასეთ დროს, როცა ქართველთ შორის, მებატონეთა წინაშე თვის ყმათა დასყიდვის შორიდება დაეარდა, როცა ამის სარცხვილის ფარდა აიხადა, როცა მებატონეებს აღარ რცხვენოდათ ჭვეუნის და თვის მოძმეებს ნადიროვით ჰყიდდნენ, მაშინ მათ გვერდით გასწდნენ ისეთი პირნიც, ისეთი ვაჭრები, მსყიდავნი და მერე გამსყიდავნიც, რომელთათვისაც დიდათ სასახელო იყო ის, რომ მათ რაც შეიძლებოდა მეტი ყმები ეყიდნათ, მეტი დაეყიდნათ და საზოგადოდ ასეთის საქმეებით თავი გამოეჩინათ. ამათვეს სასახელო იყო რამდენიც მეტს ყმებს იყიდდნენ, ამით თავი მოსწონდათ სხვების წინაშე. რომ გამოეჩინათ თავი, ამიტომ მათთვის საჭირო იყო მისი ცნება, რომ ჩვენ ესა და ეს ვიყიდეთ, ეს ჩვენი ნასყიდი ყმა არისო. ამის საცნებლად საკმარისი იყო, რომ მყიდველს თავის ყმისათვის მხოლოდ ნასყიდა ეწოდებინა და ეს „ნასყიდა“ უკვე ნიშანი იყო მის, რომ იგი ნასყიდი იყო ახლად ვინმე მებატონესაგან. თუ ასეთ ნასყიდ ყმათა რიცხვი როგორ ყოფილა ქართველთ შორის გავრცელებული, ამას ასაბუთებს ეს გარემოებაც, ვინაიდან სახელს „ნასყიდის“ გარეშე თვით სიტყვა ნასყიდა გვარადაც არის გადაკეთებული და იწოდებიან „ნასყიდოვით“, ნასყიდაშვილათ და სხვაც ასეთნი.

ნასყიდოვების გვარის წევრნი სცხოვრობენ მესხეთს, სოფ. ვოლეს, ქართველ კათოლიკენი. მასთან ქართლ-კახეთის სომხეთისკენ, ანუ სამშვილდეს, სოფ. ბორბალოს, მასთან თფილისში და სხვაგანაც. აი ასეთია ისტორია სიტყვა „ნასყიდა“-სი. ამ გვარის წევრთა შორის, თუ სადმე რამე ცნობა იქმნება დაშთენილი და ეხსომებათ, უძველესია იქ მათ ისიც კარგად ეცოდინებათ, თუ მათი წინაპრნი როგორ გაყიდულ-გამოყიდულან, ან მათ ძველებთ შორის ნასყიდა სახელად, ან გვარად როგორ დარქმევიათ. ამ სიტყვა და გვარ ნასყიდა, ანუ ნასყიდოვთან დაკავშირებულია მთელი წარსულის ისტორიის ცნობები, რასაც, რასაკვირველია თავისებური ღირსება არასოდეს არ მოაკლდება. ესევე სიტყვა—ნასყიდარი გურიაშიც იხმარება თურმე.

მაგალითებრ, იქ ვინმე ღარიბ-ღატაკი კაცის შვილს თუ ვინიცობა არის ტანზედ საცმელი თუ შემოება და მის მერე ახლის ანუ რიგიანის ღირსი ველარ გახდა და მასთან ამ დაგლეჯილ ტანთ-საცმელის მექონმა თუ ვისთანმე რამე დააშავა, თუნდ სულ უბრალო და უმნიშვნელო, მაშინ მას გაჯავრებულნი ეტყვიან, რომ აი შე „ნახიდარო“, ანუ ნასყიდარო, ამას რას შვრებიო. თვით სიტყვა „ნასყიდა“ იმერეთში არ იხმარება არც გვარად, არც სახელად. ეს მართოდ

ქართლ-კახეთში და ნამეტურ თფილისშია. დღეს ამ სიტყვა ნაყოფიერად წარსული ისტორიულის ვითარების ბევრს აღარაფერი ახსოვთ და თვით ამ სახელის და გვარის მექონთ წარმოდგენაც არა აქვთ მის შესახებ, თუ ამ სახელსა და გვართან რა ისტორიულს წარსულს აქვს კავშირი.

ესევე სიტყვა „ნასყიდა“ მოიხსენება ძველს სიგელ-გუჯრებშიაც.

### ყმების სახის გაუშვება.

აქარაში ერთ ქართველ მაჰმადიანს შეეხვედი, იგი მოხუცი იყო და მასთან ფანატიკი, ქართული ლაპარაკი კარგათ, ზედმიწევნით იცოდა, თითქმის წიგნურად, ბოლო ქართულს წიგნის კი არა ესმოდა რა. ამას ძალიან სძულდა სიტყვა ქარველი, ქართველთან მისი ფიქრით შეკავშირებული იყო უსჯულოება, ასევე ის ცუდი საბაბი და გარემოებაც, რომ თქვენში ბატონიშვილები თავიანთ ყმებს სასტიკათ სჯიანო. ამ მოხუცს გურიაში ხშირად ევლო სავაჭრო საქმეთა გამო, მას კარგა სცნობია ბატონიშვილი მალაქია გურიელი. მიამბო ამ ფანატიკ აქარელმა:

ერთხელ გურიაში ვიყავ სავაჭროთ, გახლდით მალაქია გურიელთანაც. ამ დროს მას ყმამ მოუხარა ლომი, ბატონს რომ მიართვა, ამას არ მოეწონა და ის ცხელი ლომი პირდაპირ სახეზე ესროლა და საწყალს თვალები წაუხდინა. ასეთი საქმენი მას ხშირად ჩაუდენია თავის ყმების წინაშე. ისიც უნდა ითქვას ბატონო, რომ გურიაში ყმებს მართო ეს ზომ არ სჯიდა ასე, სხვები უფრო აწვალდებდნენ, სხვებმაც იცოდნენ ასე ლომის სახეში სროლა და მათგან დასახიჩრებულს ყმებს იქნება დღესაც შეხედეთ გურიაში. ეს დრო იყო 1892 წ. ამავე მოხუცმა მიამბო შემდეგი:

მე თვით ხშირად გამომიყვანია გურიიდან ყმანი და ოსმალეთში გამიგზავნია, იქით წასულან ესინი და მით მორჩენილან ბატონის ყმობას და ტანჯვას. ზოგს ბატონს აქ გადმოჰყვანდა ყმები და ჰყიდდა, როგორც მალაქია გურიელი. მაშინ ჩვენ ძრიელ ხშირად გყიდულობდით და ჩვენის სულისთვის ვათავისუფლებდით და მერე ვათათრებდით, ჩვენი მოლები და ხოჯები ზომ უფრო ყიდულობდნენ. მაგრამ ხდებოდა ისიც, რომ ხანდისხან ბეჩაეები თათრობას უშინდებოდნენ და ამიტომ აქედან იქით მირბოდნენ ისევე. მერე ჩვენში ამათი შესყიდვა მოსპეს და გამყიდავ მებატონებებს ტრაპიზონი მიუჩინეს. იქ იყო დასაყიდი ბაზარი, იქ მიჰყვანდათ და იქ ჰყიდდნენ



თავიანთ ყმებს, იქ თათრებს გარდა ყმებს ბერძენები და სხვანიც ყაღდულობდნენ, იქ დაყიდულები კი ველარ ბრუნდებოდნენ ადვილათ შინისაკენ.

ცხადი საქმეა, რომ აქეთკენ ერთი და ორი ქართველი არ იქნება თათრებს გარდა ბერძენებზე დაყიდულნი. ერთხელ მიიხრეს, რომ ტრაპიზონში მცხოვრებ ბერძენთ შორის არის ქართველი გვარებიც. ერთი ყავახანის პატრონი ბერძენი გვარათ ქართველოვიაო. მაშ რითი შემცირდა საქართველოს ერთ თავის მ-წა-მამულზე თუ არა ასე დაპნევით, როგორც შევატყვე ხსენებულ მოხუც აჭარელს, ვგონებ გურიაში მას მიტომ უვლია, რომ მალაქიასაგან ყმათა შეილები ესყიდნა და მოერეკა აქეთ, ვგონებ ამასვე უნდა ესგზავრებისოს ოსმალეთში ქართველთ შეილების დასასყადად. ვკითხე მე—თქვენც ხომ არ გიყიდნიათ მეთქი. მიიხრა, რომ ერთხელ ერთი კაცი ვიყიდე და გავანთავისუფლეო. მაგრამ არა, ეს ისეთ ამბებს ლაპარაკობდა დაყიდულ ყმათა ცხოვრებიდან, რომ უამისობა არ შეიძლებოდა მისი.)

### გაქცეული, მოტაცებული და გაყიდული ყმანი ოსმალეთში \*)

1860 წ. გურიიდან დაიკარგა გლეხი ბერაძე, ოსმალეთში უყრეს თავი და იქ გაყადეს. მერე ამაზედ გამოძიება ატყდა, გლეხი ვერსად გამოჩნდა. 1884 წ. ნიკოლოზ ბერაძემ ნებართვა აიღო მთავრობასაგან და ოსმალეთში წავიდა, სიძის სამეზნელათ, მაგრამ იქ ვერაფერი ვერ იპოვნა.

აჭარაში ბერაძეები სცხოვრებენ. სოფ. კაპნისთავს მცხოვრებ ბერაძეებში ვაყავი, ვნახე ერთი გოთაულ ბერაძეთაგანი. ეს მოხუცი ძველადგან ყაჩაღობაშიაც ყოფილა განთქმული ოსმალეთში. მან მიამბო, რომ მე ბევრი გოგო ბიჭები მიყიდნია ქურდულათ ქართველებისაგან და ოსმალეთში კაი ფასად დამაყიდნიაო. უმეტესად ამ გოგო

\*) ჩვენან პატოყუქულ ზაქარია ჭიკინაძეს ერთი აბრეხული ჩვეულება აქვს: წერაღის სათაური თვით წერაღის შინაარსს, თიქის სრულად არ შეეფერება. შიგა და შიგ მერე წელი ნაამბობი სხვადასხვა საციობებს უფრო შეეფერება, ვინც ატორის მიერ დარქმულ სათაურს, მარტუხეკათ ამისა, თათარ წერაღის ბის შინაარსი მტუჯ საინტერესოა. ესტოვებთ უცვლელათ. რ გდ.

\*) სამართლიანი იქნებოდა, რომ ამ წერილის მოხსენებულ სათაურის ნაცულათ, სხვა სათაური ჰქონოდა. ესტოვებთ უცვლელათ. რ გდ.



ბიჭებს მათი მებატონენი ჰყიდდენ ჩვენზედო, ხან იტაცავდენ მათ და ხან თავის ნებითაც მოჰყავდათო ჩვენში. გურიიდან ხშირად მოდოდნენ ძმები—ძმების საძებნელად, მაგრამ ვერას პოულობდნენ. უველანი შორს, ოსმალეთის უშორეს ქალაქებისაკენ მიგვეყვანდა და იქით ვყიდდით, რომ მათ ნათესავეებს კვალი არ მიეგნოთო. მომხდარა ისიც, რომ ბატონისაგან დაყიდულს ნათესავი გამოსჩენია და ამას დაუხსნია თავის ფულით და შინ წაუყვანია.

1860 წ., უნდა ითქვას, რომ ერთი და ორი კი არ დაკარგულა ასეთ ყმათა შეილებთაგან, არამედ მრავალნი და ენით უთვალაენი. ზემო ხსენებულ გლეხ ბერაძეს ამბავი მუსულმან ბერაძემ მიამბო: ის ბერაძე აქაც გვეყვანდაო, ჩვენ იგი ოსმალეთის შორს ქვეყნებში წავეყვანეთ, იქ გავათათრეთ და მით დავიხსენით მავნე ეჯისაგანაო. მერე მასი ბიძაც იყო ჩვენში და ეძებდაო, მაგრამ ვერა ნახა რა, ჩვენც არაფერი ვუთხარით, ამიტომ აჭარიდან იგი ისევ გურიას დაბრუნდაო.

თვით ეს მუსულმანი ბერაძე კაპნის თავში ჩუმათ სცხოვრებდა, სახლში იყო, როცა კიბეზედ ავედით, როცა სახლში შევედით, მერე კიბე აიღო, რომ არავინ შემოვიდესო. მე შემეშინდა და თვითონაც ეშინოდა, კაცები არ დამეცნო. შევტყე, რომ ეს მოხეცი მუსულმანი ბერაძე შეტად სახელგანთქმული ყოფილა ყმათა გატაცება-გასყიდვაში არა მარტო ქართველებთაგან, არამედ თვით მუსულმან ქართველთ შეილებსაც იტაცავდა თურმე სილამაზის გამო, ოსმალეთის შორს ქვეყნებში მიჰყვანდა და იქ ოსმალებზედ ჰყიდდა კაი ფასადო.

### მებატონეთა მცირე-წლოვანთ მზრუნველნი \*)

ბატონი რომ გარდაიცვლებოდა, მის დანატოვის მამულის ფლობაში მხოლოდ დროს მიხწეული შეილნი შედიოდნენ, ანუ ასაკოვანი. უამისოდ, თუ ბატონი შეილები მცირე წლოვანი იყვნენ, მაშინ უძრავი და მოძრავი ქონება, ყმები და მათი მამულიც „აბეკის“ ქვეშ რჩებოდა. ბატონის შეილი რომ სრულწლოვანი გახდებოდა, მაშინ მოითხოვდა იგი სხვათა შორის ყმებზედაც უფლებას და ბატონობას.

ამის მაგალითია კნენა ტერეზია თავ. თავდგირიძის ასულის გურიელისა. როცა ამ ქალს მემკვიდრენი გარდასცვლინ, მაშინ იგი მცირე წლოვანი ყოფილა.

\*) მიუხედავად იმისა, რომ სათაფრი შინაარსს არ შეეფარება, ესტოვებთ მცდელობით.



1860 წ. იგი შესრულებულა სრულწლოვანი და ამიტომ მთავრობას სთხოვს რომ ჩემის ყმების ბატონურს მფლობაზედ შემოიკვანეთ და ყოველივე ჩამაბარეთო: ყოველივე უნდა ჩაბარდეს ყმების უნაკლულად და სწორედ, რომელი ყმა მოკვდა, ვინ დაიბადა, ვინ ჯვარი დაიწერა და ცოლი მოიყვანა, ვინ ქალი გაათხოვა და სხვაც მრავალნი ამ გვარნი.

ყმების სიმრავლეს სასტიკად აღეწებდნენ თვალ-ყურს და მათს ყოველს ნაბიჯს ფიზიკად იძიებდნენ. იმას კი არ ატყვევდნენ ყურადღებას თუ ვინ მის ნათესავეთაგანმა მის ყმის შვილთაგანი მოიტაცა და სადმე გაყიდა, ეს უმნიშვნელო იყო, რაშიაც განაყიდის ანაღებიდამ მათაც შეხვდებოდათ მკიოე ნაწილი და ამიტომ ყმის შვილის მოტაცვას მებატონის გვარის წევრთაგან და გასყიდვას კი სიტყვითაც არ ახსენებდნენ. ასე იყო თურმე. მართალია ჩვენ ამ წერილს „მემატონეთა მკირე-წლოვანთ მზრუნველნი“ უწოდეთ და ისიც უნდა ითქვას რომ ხშირად ეს მზრუნველნი რავედენათაც იცავენდენ მემატონე მკირე-წლოვანთ, იმაზედ მეტად და ათასჯერ მრავლად ყმათა შვილების რიცხვს კი ამცირებდნენ და უზრუნველ მტრობას უწევდნენ. ჩუმით ჰყიდდნენ შორეულს ქვეყნებში, მაგალითებრ ოსმალთა მფლობელობის დროს, ზოგი მოპარეა-წარტაცვით ახალციხეს გადაჰყვანდათ, ზოგი ბათუმს, ოსმალთა ქალაქებში და იქ ჰყიდდნენ ოსმალებზედ. მერე ამ განაყიდთა რიცხვს სრულ წლოვან მემატონეთა ჩაბარების დროს სხვადასხვა ღრიკებით რთავდნენ, ზოგზედ სიკვდილს იტყოდნენ, ამისთვის თვით პატრონებსაც დაიყოლიებდნენ და ისე ათქმევინებდნენ, ზოგზედ მღვდელსაც იმოწმებდნენ, ზოგზედ იტყოდნენ, რომ დაიკარგა, ვგონებ კაბეთისკენ გატყუულა, ბევრი ვეძებე მაგრამ ვერ ვიპოვნეთო. ასეთ საქმეებს ხსენებულნი სვაენი უფრო ისეთ გლეხებზედ სჩადიოდნენ, რომელნიც უფრო დაბრიყვებული ჰყვანდათ და დაჩაგრულნი.

### **ბატონშრომის ამგების შედარება ყმებისაგან ქრისტიანობასა და თათრობასთან (ისლამთან).**

ეს შედარება არის დაწერილი ისე, როგორც მართლაც და ქართველი ყმა გლეხები ლაპარაკობდნენ, როგორც ქრისტიანობაზედ, ისევე თათრობაზედ. აქ სულ მართალი და ნამდვილი ცნობები შეკრებილი თანამედროვე დამსწრე პირთაგან.

მართალია, ქართველი ყმა-გლეხი მონა იყო, მას სული ამორთ-



მეული ჰქონდა, იგი მარტო ჩონჩხს წარმოადგენდა, მის შინაურს და გარეულს მტერს რიცხვი არ ჰქონდა, ამ გარემოებამ თითქმის მოსპო ქართველი გლეხის ოჯახი საქართველოში, ამან გააქრო არამც თუ მარტო ეს ყმა გლეხნი და მათი სოფლები, არამედ მთელი გვარი, მთელი ქართველი ნაცია. თუმცა ყმანი ასე იყვნენ დაცემულნი და მათ არავითარი გონებრივი მოსაზრების ძალა არ შესწევდათ, მაგრამ მათ შორის იყვნენ თითო ოროლა ისეთნიც, რომელნიც უყურებდნენ რა თავიანთ ცხოვრებას და მასთან თვის მოსამზღვრე ლეკებს, ოსპალთ, სპარსთა და სხვა ასეთ აღმოსავლეთის მუსულმანთა ტომებს და შეადარებდნენ რა ხოლმე მათ თვის ცხოვრებას და მონებას, ამაზედ სახტად რჩებოდნენ.

ქართველ გლეხებში და თვით თავად-აზნაურებშიაც არსებობდა შეხედულება, რომ თათარი მურტალია, მისი სჯულიც მურტალია, ჩვენ მათის დანაღვი წყლის ლიტრიდამ წყალი არ დაგველევა, გინც იმას დაღვივს, მერე მასა იაზმის წყლით განათლება უნდა, თათრის არაფერი იქმნებაო.

ხომ იცოთ, თათრის გორხანებზედ მთვარიან ღამეში რომ საფლავიდამ პატარა ლეკვები ანოდინ და როგორ წკავიან, როგორ დაცოკამენ საფლავის თხრილში და მერე როგორ ძკრებიან ისევ შიგ საფლავში, საკვირველობა არის ამ ხალხის სიმურტლე და მურტალი სჯულის შენახვა. სიტყვა „მურტალი“ ძველ ქართველებში ისე ხშირად იხმარებოდა, რომ ამის ხმაოების გარემოება თვით თათრებმაც კი იცოდნენ და მათაც მოხსენებოდათ, რომ ჩვენ მათ „მურტალს“ ვეძახდით, იგინი კი ამ სიტყვას „მურტალის“ მაგიერ „მუნდარიას“ იტყოდნენ. ერთმანეთს ეტყოდნენ, რომ ქართველები „მუნდარიას“ გვიწოდებენ და ეს სიტყვა ნიშნავს მურტალს ჩვენს ენაზეო.

ეს გარემოება ხომ სამცხე-საათაბაგოს ქართველ მაჰმადიანებმა კარგად იცოდნენ და იგინი ქართულის წმინდა ენით ლაპარაკობდნენ, რომ ქართველები ჩვენ მატომ გვეჯავრებიან, რომ იგინი თათრებს „მურტალს“ უწოდებენო, ჩვენ კი მურტალი არა ვართ და მიტომ ჩვენც გიაურებს გვიწოდებთო. სხვაგანაც დამიწერია და აქვე ვიტყვი, რომ პარველად აქარაში გავიგე ის ამბავი, რომ ქრისტიან ქართველებმა თავიანთი ქრისტიან ძმები ოსმალზე დაუიდეს, ეს ცოდვით არ მიიდეს, რომ მურტალ სჯულის ხალხს მიუიდეს და იმ დაუიდვის დღეს ხორცი კი არა ქამეს, რომ პარასკევია და მარხვა არისო.

ასეთი საქმის შესახებ ლაპარაკი XVII საუკ. სწანს. ვიცით ისტო-

რიულად, რომ იმერთ-აფხაზთ დომინტი კათალიკოზმა ქართველ-შემატონებს უთხრა: თქვენ ბევრი ბატონი (ქრისტიანი) მიუგდეთ მგლებსაო (თათრებს). ასევე მოხსენებულა თათრებზე ქართველთ ყმათ დასყიდვა სიბრალოლით „კალმასობაში“, მაგრამ იქ დამსყიდველ შემატონეთა პირით წიგნის დაწერი ამბობს, რომ ასეთს მათს დაყიდვას ბოლოს ბედნიერება მოსდევს და იგინი ბოლოს თათრის ფაშებთან და გენერლებთან ხდებიანო. ეს რომ ასე იყო, ამას მტკიცება არ უნდა და ეჭვი.

ქართველ შემატონეთაგან ჩუმათ და ქურდულათ მათი ყმათა შვილები ისყიდებოდნენ მთელს სპარსეთის ქალაქებში ოსმალეთის, ქურთისტანის, დაღისტანს და ვინ იცის საით არა. მათ ყველგან თავის შესაფერი ფაქი აქენდათ დაფებული. მავალითებრ ოსმალეთში უფრო კაა ფასად ისყიდებოდნენ, ვინემ სპარსეთს, დაღისტანს, ქურთისტანს და თვით ოსმალთა საქართველოს ქალაქებს—ბათუმსა, ახალციხეს, ახალ-ქალაქს, არტანს, ართვინს, ოღთისს, ტრაბიზონს და სხვა ასეთ უახლოეს ძველს ქართველთ გათათრებულთ ქალაქებშიო.

ასეთ დაყიდულს ქართველის ქალებით საესე იყო მთელი სტამბოლის საკაბოები 1870 წლამდის, იქ მათ კაი ფასი ჰქონდათ. ნთელი აღმოსავლეთი ოსმალეთის ხალხთა აბანოებიც სულ ქართველ ქრისტიანთ შვილებით იყ ნენ საესე, ჩასაკვირველია გათათრებულების, მიჭისებათ და აბანოს მსახურად სულ ქენი იყვნენ, რადგანაც ესენი სჯობდნენ აბანოს მოსამსახურეობით ნამდვილს თათართ მოსამსახურებს. მაგრამ ეს აქ არ არის საკარო და ამ გვარნი, მე აქ უნდა მოვიყვანო ახლა ის, თუ ხშირად თვით ქართველ აჯამ გლეხნი რას ლაპარაკობდნენ ასე უბედურათ დაყიდულს შვილებსა და ძმებზედ.

1877 წ. ორბელიანთ ყმა მოხუცმა მამამ: ჩენს დროს იტყოდნენ დამაგრულნი ყმათა მამა და დედანი შეკდევს:

თათარი ხომ თათარია, აბა იმინ გაყადოს თათარი ჩვენზედ, ნახეთ როგორ უფრთხილდებიან თავიანთ სჯულის კაცს და ჩვენ კი მათ შურტლებს ვეძაბით.

ბევრ დედას და მამას უტირნია მ სზედ, რომ ბატონმა შვილები დამიყიდა სპარსეთსა და ოსმალეთში, შვილები დამელუპნენ სჯულითაც და სულითაცაო.

იტყოდნენ კიდევ ანდაზასაცებ:—„გაუწყდეს სულიცა და სჯულიც ჩენს ბატონს, აბტალა ამოვიდეს მის სახლში. მაგას, მაგ უჯუ-





ლოს, რომელი თათარი არა სჯობია, რომელ თათარისაგან ვეცდის  
ვგ იმათ ყმებს და ტყეებს, არც-ერთისაგან, ვგ კო, ვგ წყეული თხე-  
ბივით ჰყიდის ჩვენ შვილებს თათრებზე და მით გვიღუპამს ყოვე-  
ლივეს“.

ესეთი სიტყვები ყმათაგან ერთი და ორი კი არ თქმულა, არა-  
მედ ათასი და ორი ათასი, დაუსრულებელი, როგორც მათი შვილე-  
ბის დასყიდვა იყო დაუსრულებელი, ისევე ეს ყვედრება იყო მათგან  
დაუსრულებელი.

ერთმა მოხუცებულმა ბერმა 1877 წ. მიამბო: კახეთში  
1870 წლებში ჩემთან ბევრჯერ მოსულან ყმა-გლეხნი და უთქვამთ,  
რომ ჩვენი ბატონი რათ გვიყიდის ჩვენს შვილებს თათრებზედაო. მეც  
კრძალვით მითქვამს: შვილო, მაგათ ღმერთი და ქრისტიანობა არა  
სწამთ და მიტომ გყიდიან, მეორე, ბატონია, შვალო, და რაც უნდა  
იმას გიზამთ. უთქვამთ კიდევ ყმებს: თუ ქრისტიანები წმინდანები  
ვართ, მაშინ რათ გვიყიდიან ეგენი ჩვენს შვილებს მურტალ თათრებ-  
ზედ, რატომ თათრები არა ჰყიდიან ჩვენზედ, აბა ამ ბატონებმა ერ-  
თი ყმა იყიდონ თათრისაგან. ვერც ერთს ვერ იყიდიან, ისინი ქარ-  
თველებისაგან ათასობით ყიდულობენ და მათგან კი ქართველი ერთს  
ყმასაც ვერ იყიდის.

იტყოდნენ კიდევ ხშირ, ან დროულ ყმა-გლეხნი, სპარ-  
სეთსა და ოსმალეთში ნამყოფ ნაფალნი და მათი ენების კარგად  
მცოდნენი:

თათრებში ყმობა და ბატონ-ყმობა არ არის, ამიტომ თათარს  
ვერაინ გაჰყიდის, ვერც დააგირავებს, ვერც გაამზეთებს, ვერც გას-  
ცელის და ვერც არავის აჩუქებს, ყველა თათარი თავის თავის ბა-  
ტონია.

მეორენი იტყოდნენ:

მაშ ეგენი გვეგობნებიან ჩვენა, მაშ მაგათი სჯული უფრო სუფ-  
თა ყოფილა და წმინდა, ვინეც ჩვენი—ქრისტიანების, ე ბერები და  
მღვდლები მაშ სულ ტყუილად ლაპარაკობენ და თათარს მურტალს  
გებაიან.

ეტყოდნენ მცოდნენი:

საქმე კი ვგრევა და თქვენ როგორც გინდათ ისე სიტყვით, გინდა  
თქვენს ბერს დაუჯიჯეთ და გინდა თქვენს მღვდელს.

იტყოდნენ კიდევ: აბა ნახეთ ახლა თუ ჩვენგან დაყიდულებს  
ისინი რა კარგად, რა ძმურად ექცევიან, როგორ ინახავენ, როგორ



ათათრებენ სიყვარულით და როგორც ასახლკარებენ ბოლოს და ბოლოს თი მოვიდეს იმათგან, რომელიც მათ ქართველებისაგან უყიდნიათ, იქ გაუთათრებიათ და ბოლოს ბედნიერათა დაუნათესავებიათ და დაუსახლებიათ. ესევე მითხრა ლერმონტოვის წსახურმა, რომელიც გაყიდული იყო გურიაში 1820 წელს.

როგორ, განა იქიდან, ან თათრებიდან უკანა ვინმე მიბრუნდებოდა, ან ვისთან უნდა მისულიყო, თავის გამკიდავ მებატონესთან?—ის ხომ კიდევ გაქიდდა, მის ნათესავებთან?—სულ ერთი იყო, არ ამოგინებდა. ასე და ამ გვარად მთელს საქართველოში, ყმა გლეხთა კაცთა თუ დედა-კაცთა შორის ყოველთვის გაიგონებდით ასეთს სიტყვებს 1810 წლამდის.

თათრები, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ ჩვენ ქრისტიან ბატონებს, კაცისა და ქალის გამსყიდევებს, ათას წილად ჯობიან. ჩვენ იმათგან ძალს ვერ ვიყიდით, ძალს. ჩვენი ბატონები კი ჩვენ მარგალიტ ქრისტიან შვილებს თათრებზედ ბაზრებში თხებივით მიწაზედ დაიკვებულენ ჰყდიან. ეს განა ეპატიებათ იმათ, ამას განა თათრები ჩადიან, ჩენის თვლით ვხედავთ, რომ ჩვენ და ჩვენი უდიერი ბატონები ბევრად დაბლა ვდგევართ თათრებზედ, შედარებაც არ შეიძლება ჩვენი ნათთან.

ასეთი სიტყვები და წყველანი ქართველთ ყმათაგან ზღვას გაავსებს, მათა ცრქვლებიც ზღვა იქნებოდა, რომ ერთად დაგროვილიყო. სწორედ ამ გარემოებამ გააძვივლა ის პირობები, რომ 1805 წლების შემდეგ, ქართველ ყმათაგან ხშირად მიბროდენ ოსმალ-სპარსეთში და იქ თავინთ ნებით თათრდებოდენ. ამას შემდეგ ივინი იქ რჩებოდენ, სალდებოდენ, მათ ცოლს რთავდენ, ჩაჰულებდენ ახლებდენ და აწაიურებდენ. ამის მერე ბატონს გინდ რომ მოეძებნა, ამას მას აღარაინ დაანებებდა, მებატონეს სულ კუდით ქვა ასროლიებდენ და ისე გაჰოსტუმრებდენ. რამდენჯერ მომხდარა ისიც და მე თვით ვარ ასეთ კაცთა მომსწრე, რომ ზოგიერთ ბოროტ მებატონეს ყმები სულ შემოქვანტვია, სულ ოსმალ-სპარსეთში და სხვა და სხვა თათრის ქვეყნებში გაქვევინ, იქ ესენი გათათრებულან, მერე ესეთი პირნი ბატონსაც მოუძებნია და სდონნია ყმების უკან დაბრუნება, ან მათში ფულის აღება, მაგრამ მისთვის აღარავის რა მიუყია და ყოველივე სულ დაქვანტვია.

იყვენ თურმე ისეთი ბოროტი მებატონენიც, რომელიც თავინთ ყმებს სასტიკად სტანჯავდენ, ასეთ მებატონეებს ყმები სულ



გაქცევია და შემოჰკუნტვიან, საქმე ისე მოსწყობია, რომ დიდი ყმის პატრონი ბოლოს თავის ბოროტებით სრულიად უყვით დარჩენილა. ასეთ ბატონს ოსმალ-სპარსეთში თავის ყუბუც მოუძებნია, უპოვნია, მაგრამ დაბრუნებით კი ველარა მოუხერხებია რა. ამთგან ხშირად თვით რუსის მთავრობის წინაშე თხოვნებიც ატუბილა, რომ თქენი ქვეშევრდომი და ჩენი ყმანი სპარსეთ-ოსმალეთის ამა და ამ ქალაქებში გათათრებულები სცხოვრებენ და დაგვეხმარეთ, რომ მათმა მთავრობამ ეს ყმები უკან დაგვიბრუნოსო, ან მოგვეცეს ნება რომ იქ ისინა ჩენის ნებით დავეიდოთ იმათ ღ, ვისზედაც გვინდა, რადგანაც მათის გაპარვით ჩვენ ჩენი ყმური სარგებლობა მოგვაკლდაო.

ასე უთხოვნიათ ხოლმე ძრიელ ხშირად, მაგრამ მთავრობას ველარადერი საშველი მიუტია და ერთხელ ბოროტის მებატონისაგან ოსმალ-სპარსეთში გაქცეული ყმა გლეხი და მასთან ილ მთან დაკავშირებული, საქართველოში აღარ დაბრუნებულა. ბატონის ბოროტებით ყმა გლეხი მ.ს.ა.ც დაკარგვია, ველარ უსარგებლნია, მასთან სახელმწიფო ქვეშევრდომობასაც მოსცილებია და თავიანთ სახლკარს და ოჯახს ხომ სამუდამოთ დაკარგვია და მით მოსპობილა მათი რიცხვი ისეც რიცხვ მცირე და ბედშავს საქართველოში. უნდა ითქვას, რომ ასეთ გარემოებათაგანაც, ანუ თავიანთ ნებით გაქცეულ ყმა გლეხებთაგანაც დიდი ძალი ქართველთ გლეხთა ოჯახებია გ.მ.ჭრალი, დიდი ძალი სოფლებია მოსპობილა. ამიტომაც გახლავსთ, რომ ქართველთა შვილებით სავსე იყო ძველად სპარსეთი და ოსმალეთი. სპარსთა შორის ქართველთა რიცხვი მილიონი უნდა იყოს და არა ოცი და ორმოცი ათასი, ამათ ნიშნებს ქართველნი 1830 წლებამდის აშკარად ნახავდენ, თვით დხიზელ ქართველთათვის ეს არც დღეს იჭნება სპარსეთში დაუარული, რადგანაც იქ, სპარსეთთ შორის, ყვ ლა თამამად ამბობს, რომ ჩენი ძველები გურჯები იყვნენ (ქართველები) და ჩენც მ-თი მომდევარნი ვართო.

ასევე მიავბო 1909 წ. ყარ. კაკ-ძემ სპარსეთში მოიკაპრე და ხეტყის სოვდაგარმა, რამელსაც იქ 40 მღე ქართველი მუშა ჰკავს, რომ სპარსეთში ქართველთ რიცხვი მილიონობით უნდა ვეძებოთ და არა ათასობითო. ამის ცნობები იქ მათში კარგად სჩანს ლაპარაკის დროსაო, სპარსელთ თავიანთი მოდგმა სულ ქართველის შვილებით გაუშჯობესებიათო. ასე იყო საქმე და სპარსეთს გარდა თვათ ოსმალეთის ქალაქებიც ასევე იყო ქართველის შვილებით სავსე და იესებოდა კიდევაც უფრო უკეთ იმ დრომდე, ვიდრე საქართველოში ბატონ-



ცნობა გადავიარდებოდა. ასე იყო ესა და ამიტომ ნურც არავის ეწყინება, ქართველი საქართველოში მარტო ომებში და ასეთმა უღელტა-  
 წვეტამ არ მოსპო, ეს მებატონეთაგან დაყიდულთ უმთა დაკლებამ—  
 არა, ამით გარდა თვით უმთავე ნებით გაქცეულთ რიცხვაც საქმა-  
 რისად ვნებდა და აქცარედა ქართველ ტონს საქართველოში. ასეთ  
 გაქცეულთა რიცხვი 1810 წლიდან ისე გაბზირდა, ისე დაწინაურდა  
 და წავიდა წინ, რომ 1817—20 წლებს ამ გარემოებას თვით რუსე-  
 თის ადგილობრივ მთავრობამაც ზიიქცია ყუარადღება და ამით პე-  
 ტერბურ გა უზღლეს მთავრობასაც აცნობეს შემდეგი:

ქართველ მებატონენი თავიანთ ყმებს ისე სდევნიან და სჩავრა-  
 ვენ, რომ გლეხი ყმანი აზას ველარ იტანენ და ამიტომაც იკინი ჩუ-  
 მბლ საქართველოდან საჟღაჟოთ მირბიან ოსმალეთს და სპარსეთს,  
 იქ სახლდებიან, თათრდებიან და ჟუან აღარ ბრუნდებიანო, რის გამო  
 მათს ოჯახებსაც ძრიელ ბევრი აკლდებოო. ამაზედ სხვაგანაც გვიწე-  
 რია და ამიტომ აქ აღარას ვიტყუოთ. ვიტყუით და იძასაც შევნიშნავთ,  
 რომ ასეთი ცნობები ჩვენ სხვა წერილებშიც გვაქვს ნაწერები, ხო-  
 ლო ესეც მითომ დაესწრეთ, რადგანაც ყველა ესენი სხვადასხვა  
 დროს, სხვადასხვა პირთა მოთხრობით და ლაპარაკის ზეგავლნით  
 ვსწერდით და ამიტომაც შეიძლება ერთი წერილს ცნობები მეორე  
 წერილის ცნობებს ჰკვანდენ, უამისობა არ შეიძლება, რადგანაც  
 ჩვენ ესიც კარგად ვიცით, რომ ხზირად ერთი პირის მოათხრობი  
 ბატონყმობის ცნობები, ჰკავს მეორე პირის მონათხრობს, ჩვენ კი  
 ერთიც დაგვიწერია და მეორეც, ვითომ ვარიანტები არის.

აქ დამატებით ვიტყუით, რომ ქართველ ყმათა შორის მღეთისა  
 წმინდანების, ქრისტეს და სჯულის ლანძღვა გინებეს უმთავრეს  
 გამაადვილებელს საბუთებს სულ იმ გარემოებას უნდა ევრცელებინა  
 და ეადვილებინა, რომ ქართველთა ყმანი თავიანთ ქრისტიანეთა  
 სჯულსა და მებატონეთა საქციელში ისეთ უსჯულო და უღეთო  
 საქმეებს ხედავდენ, რომ ქრისტიანთგან მათ შვალეები ერთმეოდათ და  
 ობერ ფასად თათარზედ ეყიდებოდათ, რაც რასაკვირველია მათში  
 ყველა საქრისტიანო ცნების პატივისცემას უნნიშნელოდ ხდიდა, მათ  
 აქ ქრისტიანობის ყოველივე ჰკავდათ, ყოველივეს გმობით უმზერ-  
 დენ და ხშირათ ამათ სწავლას და წესებს თათრის სწავლასა და  
 წესებს ამჯობინებდენ.

მაშ რას უნდა გაეჩინა ყმა გლეხებში გინება ღმერთის, ქრის-  
 ტეჰი, ღვთისმშობლისა, წმინდანების, სჯულის, სიკვილის, სიკოცხ-

ლის, ცხონების, კუბოს ზღვის, საფლავის, ანდერძის, ზარბაზნის, ჯერის, სახარების და მრავალიც სხვანი, რასაც ენა ვერ მოსთვლის. ასეა საქვე და მებატონეებისაგან ყოთა შვილების უღვთოდ დასყიდვამ დანერგა ყოველივე ლანძღვა-გინების ცოდნა და სიადვილეო. გაბრაზებული და შვილებ წარომეული ყმა თავის ბატონის ჯავრს ხშირად თავის ოთხეუხ საქინელზედ ყრილობდა, ხან თავის ცოლ-შვილზედ, თავის საქვეებსა და სახლ-კარზედო და ამიტომაც აგინებდა ყველაფერსო.

ქართული ლანძღვა-გინება და ისეთი გინება, რაც გლებებმა იციან, ესენი გამოწვეულია სულ მათი გამწარებული ცხოვრებისაგანაო. ეს გამწარებული ცხოვრება მათ მებატონეთაგან ჰქონდათ და ამიტომ ასეთი ლანძღვა-გინების მიზეზები პირდაპირ ამაში უნდა ვეძებოთ.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

მე-4 ტომი

გვერდი:

1. რედაქციისაჲნ . . . . .	2
2. შესავალის მაგიერ . . . . .	5
3. დანიელ ჭონჭაძე და მისი დრო . . . . .	7
4. ფ. მახარაძე-წიგნის „დანიელ ჭონჭაძე და მისი დრო“-ს გარშემო ატეხილ დავის გამო პასუხი ქართველ თავად-აზნაურებს . . . . .	107
5. დანიელ ჭონჭაძის გარდაცვალებიდან 50 წელი . . . . .	117
6. I. ბატონყმობა ქართლში:	
7. არსენა ოძელაშვილი . . . . .	125
8. ყმების ყუდვა-გყუდვა ქართლში . . . . .	139
9. ნაბუშრების საქმე ქართლში . . . . .	140
10. ქართლის ძველი ყმობა და ყმათა გასყიდვა . . . . .	142
11. ქართლის ძველი ყმობა . . . . .	143
12. მეჯვრისხევის მებატონე კოტე ერისთავი . . . . .	144
13. არაგვის ერისთავთ ყმათა ამბები . . . . .	145
14. მოახლე და ნაბიქარი . . . . .	149
15. II ბატონყმობა სამშვილდეში:	
16. ბატონყმობა სამშვილდეში . . . . .	153
17. III ბატონყმობა კახეთში:	
18. პაატა ბალაშვილი . . . . .	159
19. IV ბატონყმობა გურიაში:	
20. გენერლის თავ. გრიგოლ დავითის ძე გურიელის ნაამბობი . . . . .	165
21. გლეხი სიბა თევდიშვილი . . . . .	170
22. გლეხნი კუიულაძეები . . . . .	—
23. თავ. ერისთავი . . . . .	171
24. ქაიხოსრო თაყაიშვილი . . . . .	—
25. ალექსი ჭინჭარაძე . . . . .	—
26. ივანე ჭორღანია . . . . .	172



27. ფრიდონ წითლოძე	265
28. სპირ. მ. კეკელიძე	—
29. ყმა ლომიძე	—
30. გურიელები	178
31. მაკ. მეგრელიძე	—
32. გლები ჩხაიძე	—
33. აზნ. კობალაძე	—
34. აზნ. ივ. არონიანიძე	174
35. კოსტ. ჩხეიძე	—
36. თაე. შალიკაშვილი	—
37. იესე გურიელი	175
38. მახარობელა ჩხეიძე	—
39. ქაიხოსრო ლლონტი	176
40. თომა აბაშიძე	—
41. დათა გურიელი	—
42. გოგია ხუკიშვილი	177
43. ირინე ზეკაშვილი	178
44. გურიელი	—
45. აზნ. თეართქილაძე	179
46. აზნ. კონია	—
47. ნაკაშიძეები	180
48. სამსონიას თავგადასაველი	—
49. გიორგი გურიელი	182
50. გოგია კალან დამის თავგადასაველი	183
51. აზნ. ბერიძე	185
52. ლომიძე	186
53. გლები ზენაიშვილი	—
54. კინკლაძეები	—
55. ყმა ვასაძე	188
56. ზაალ ჯაყელი	190
57. გლები კვაჭაძე	196
58. იასე კანტურიია	—
59. ენუქა მგილაძე	198
60. ყმა აზნაურიშვილები	—



61. V ბატონყმობა სამეგრელოში:	
62. თავ. დადიანი . . . . .	201
63. აზნაური ოტია ბერიძე . . . . .	203
64. VI. ბატონყმობა აქარაში:	
65. ბატონყმობა აქარაში . . . . .	207
66. VII ბატონყმობა აფხაზეთში:	
67. ბატონყმობა აფხაზეთში . . . . .	213
68. VIII. ბატონყმობა ოსეთში:	
69. ბატონყმობის ამბები ქართლის ოსებში . . . . .	217
70. IX. ყმების დასყადვა. . . . .	225
71. X. სხვა და სხვა მახალები:	
72. ტყვესა და ყმის დასყიდვის ამბავი . . . . .	237
73. ბატონყმობა. . . . .	241
74. ტყვე და ყმის გაყიდვის საქმე . . . . .	243
75. ხსენების და ჟღანონო შეილები საქმე . . . . .	246
76. სიტყვა ანუ საბელწოდება „ნასყიდა“ . . . . .	251
77. ყმების სახის გაფუჭება . . . . .	253
78. გაქცეული, მოტაცებული და გაყადული ყმანი ოსმალებში. . . . .	254
79. მებატონეთა მცირე-წლოვანთ მზრუნველნი . . . . .	255
80. ბატონყმობის ამბების შედარება ყმებისაგან ქრის- ტიანობასა და თათრობასთან. . . . .	256



# საქართველოს გაბთნებების ფაქტიური მასალები

1. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში  
სამაზრო და საგუბერნიო არხივებიდან ამო-  
ღებული,
2. მომსწრე და თვით ნახველ პირთა ნაამბობი,
3. ხალხში ნაპოენი საბუთებით აღწუხული

ზაქარია შიშინაძის და სხვათა მიერ

ა ტომი.

---

საქართველოს საგანმომცემლო კოოპერატივი „მწიგნობარი“-ს გამოცემა  
შირ. ზუხუნაიშვილის რედაქტორობით.

---

## გატონაშობის ისტორიის შესახებ.

„ძველათ, საქართველოში, ყმას ჰყვანდა პატრონი და არა ბატონი. ამიტომაც იყო რომ, როცა საქართველოში, სადმე ყმა ჯღებს რამე შემთხვევით ბატონი, ანუ პატრონის გვარი ამოუწყუდებოდა და მისი აღზარდინ დარჩებოდა, მაშინ გლეხი ეძებდა ახალ პატრონს, ვინაიდან გლეხს გაჭირვების დროს პატრონი უწყვედა ყოველნაირ მკარველობას.“

(ძველებური ქართული თქმულება.)

ბატონ ყმობას, თუ „პატრონ-ყმობას“ მეტად ძველი ისტორია აქვს. იგი იწყება უხსოვარის დროიდან, უფრო კი კერპათ-თაყვანისცემის დროს, როცა ქართველ ერში დამკარდა ხალხის ცხოვრების წესები, საოჯახო წყობილება, ანუ სოციალური წყობილება, მასთან ქართველების სახელმწიფოებრივი წესება და კაცთა შორის დიდ-პატარაობაც.

ამ წერილის მასალებით მე ვხმარობ ერთ მეტად იშვიათს ხელნაწერ წიგნს, სახელდობრ: „საქართველოს საეკლესიო ისტორიის“, რომელ ისტორიაც მე 1883 წ. მეგონა XVII საუკუნეში დაწერილი და მერე კი იგი აღმოჩნდა 1825 წ. დაწერილი, პეტერბურგში, ცნობილის მწიგნობარის ივანე ხელაშვილისაგან. ამიტომ ამ ივანე ხელაშვილის შესახებ ვიტყვით ორიოდე ცნობას, რომ მკითხველმა იცოდეს ამის ვინაობა.

ივანე ხელაშვილი გახლავთ ცნობილი მოღვაწე და გამოჩენილი მწერალი და გადამწერიც კი ქართული ძველი ხელნაწერი წიგნების, მან გადასწერა 800 ტომზედ მეტი ძველი წიგნები. იგი სწავლობდა პირველად თელავის სემინარიაში, მერე რუსეთში წავიდა და 1812 წ. მოსკოვის აკადემიაში სწავლა დაამთავრა. იგი იმ დროს ბერათ იყო ნაკურთხი, 1813 წ. ივანე ხელაშვილი მოსკოვიდან პეტერბურგში გადასახლდა, იქ იგი დასახლდა და 1824 წ. შეესწრო რუსეთის „დე-



კაბრისტების“ გამოსვლის საქმეებს და ცოტა არ იყოს, გარემოებამ დიდათ დააფიქრა.

ივანე ხელაშვილი დიდათ გულნატყენი იყო რუსეთის მონარქიულ მთავრობაზე და ნამეტურ აღექვანდრე პირველსა და მეფე გიორგიზე, რომ 1801 წ. საქართველოს სამეფო ევროპის ერთა დაუკითხავად რუსეთმა მოსპო და მასთან ქართველი ყველა ბატონის-შვილებიც საქართველოდამ რუსეთში გადაასახლა. ეს გარემოება იყო ივანე ხელაშვილის ნალევა, ამიტომაც ეს მიეცა პოლონელების მსგავსად მამულიშვილობას, ანუ პატრიოტობას და მასთან ზრუნვას მასზე, რომ XIX საუკუნის შემდეგ, რუსეთში მცხოვრებ ქართველებში უსათუოდ დამკვიდრებულის დიდი პატრიოტობა და მის მერე შესაძლებელი გახდებოდა, რომ საქართველო რუსეთის მონარქიული წონობისგანაც განთავისუფლებულიყო.

ეს იყო ივანე ხელაშვილის მცნება, ამას ელოდა იგი და ამის გზაზედაც იქნა იგი დამდგარი. ამ ივანე ხელაშვილმა გამოზარდა სოლომონ დოდაშვილი, კიკნაძე ბერი, ფილადელფოს ლეჩხუმელი და ბევრიც სხვანი რუსეთის მონარქიის მოძულენი. ამანგე—ივანე ხელაშვილმა—დასწერა „ფარული საზოგადოების გეგმა“. ამისივე დახმარებით გაიხსნა თბილისში ქართული სტამბა 1827 წ. ამისივე ფულით დაიწყო სოლომონ დოდაშვილმა ქართულის გაზეთის „თფილისის უწყების“ გამოცემა 1829 წ. ამისივე თაოსნობით—გეგმით და ფულით იქმნა დაარსებული „ფარული საზოგადოება“ 1830 წ. ამავე ივანე ხელაშვილმა დასწერა 60-ზე მეტი თავის თხზულებები და ამასვე დაუწერია ის „საეკლესიო ისტორია“, რომელიდამაც ებლა მეც მომყავს აქ სხვა და სხვა ცნობები.

რაკი მოხდა ის საქმე, რომ 1832 წ. ევსეი ფალავანდოვმა გასცა „ფარული საზოგადოება“ და ამ საზოგადოების წევრები ყველანი დაიპირეს, იმავე დროს ივანე ხელაშვილსაც შეუტყვეს ხსენებული საზოგადოების წევრობა და მიტომ იგი რუსეთის მთავრობამ რუსეთიდან საქართველოში აღარ განოუშვა, იგი პეტერბურგში დარჩა და იქ გარდაიცვალა 1855 წ. ამას დარჩა შიდადარი მუზეუმი საქართველოს ძვირფასი ნივთების და დიდი ძალი ხელთნაწერი წიგნები. ყველა ესენი სულ რუსეთში დარჩა და დაიღუპა უსამართლოთ. ეს ისტორიაც ამ უდიდესი მამულისშვილის დაწერილი გახლავსთ, ამისი მოღვაწეობა და ცხოვრება ვრცლათ მაქვს აღწერილი „ფარული საზოგადოების“ აღწერაში.



ამ ივანე ხელაშვილს, პროფესორმა შალიკო ბერიძემ საბჭოთა  
ლიანათ უწოდა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ერის შოთა  
რუსთაველი. ეს დამტკიცდება მაშინ, როცა მოთვლილი იქნება ამ  
ივანე ხელაშვილისაგან დაწერილი წიგნების სია და მოღვაწეობის  
ცნობები, ამიტომ ამის შესახებ აქ არას ვსწერ.

ეს იშვიათი ისტორია იწყება ქართველი ერის კერპთ-თაყვანისცემის დროის აღწერით და აქედამ სწანს, რომ მისი დამწერი იყო უმაღლესათ განვითარებული ქართველი და კარგათ დამკვირვებელი ხალხის ცხოვრებაში ისტორიული მქერლობის ღირსების. თუ ეს რა უმაღლესათ მონზადებული კაცი ყოფილა, სწანს იქიდაჲ, რომ მასე დაუწერია წიგნი „კალმასობა“, რომელიც მიუთვისებია ივანე ბატონიშვილს და რომელ „კალმასობაც“ ივანე ბატონიშვილის სახელით დაიბეჭდა ქართულს მწერლობაში 1860 წ. ეს „კალმასობა“ 1891 წ. მე გამოცეცი მეორეთ და ეს შეცდომა ვერც მე მოვსვე და ვერ აღუღანიე ივანე ხელაშვილისაგან დაწერილს წიგნს „კალმასობას“ თავის დამწერის სახელი.

ამ კაცის ვასაცნობათ ეს ვიკაროთ ჩვენ, ამიტომ აქედამ გადავღვიარ ივანე ხელაშვილისაგან დაწერილის „საქართველოს ერის საგლეხიო ისტორიის“ ცნობებზედ, ივანე ხელაშვილის სიტყვით და მოთხრობით.

კერპთ-თაყვანისცემის ხ.ნაში, საქართველოს გლეხ-კაცობაში ყოფილა დამყარებული სხვა და სხვა საგლეხო წესები და მასთან მაშინდელ გლეხებში ყოფილა დაარსებული მათი წესებით „პატრონ-ყმობა“. როგორც სწანს, ეს „პატრონ ყმობა“ ყოფილა იმ დროის ქართველ გლეხკაცების ბატონ-ყმობა, სწორეთ აქედანვე წარმოშობილა შემდეგ საუკუნოებში საქართველოს გლეხკაცების ბატონ-ყმობა. ამიტომაც ივანე ხელაშვილის აღწერაში ამ ცნობილს „პატრონ-ყმობას“ ვრცელი აღგლი აქვს დათობილი და იგი ამ პატივის ცემას დიდის თავზით და მოწიწებით სწერს, რის ცნობებიც მას ამოუტყუებია ერთი ძველის ისტორიული წიგნიდან, რომელ ისტორიაც დაწერილა ყოფილა XVII საუკუნეში. ამ ისტორიის სიტყვით, კერპთ-თაყვანისცემის ხ.ნაში, საქართველოს ერი არც ისე დაქვეითებული ყოფილა, როგორც ეს ზოგიერთებს ჰჯონათ, ამის საბუთია ის გარემოება, რომ რომანელების მსგავსათ, საქართველოს გლეხ-კაცობაში არსებობდა „პატრონ ყმობა“ და არა რომაულათ „ბატონ-ყმობა“ და მისი მონური წესები. კარგათ სწანს, ამზობს ივანე ხელაშვილი, რომ

„კერპთ-თაყვანისცემის ხანაში, საქართველოს გლეხ კაცობის რაოდენობა მთლიანად დაკარგა, რადგან მათი უკეთესი და მშვიდი ცხოვრების წესები არსებობდა, ვიდრე შემდეგ დროს, როცა საქართველოში 228 წ. ქრისტიანობა შემოვიდა და დამყარდა.

სწორედ ამ ქრისტიანურ ხანაში დამყარდა „პატრონ-ყმობის“ მთავარი ბატონი ყმობა, რომელმაც თავის არსებობით ჩვენს დრომდისაც მოაღწია თავის სამარცხვინო პირობებით. კერპთ-თაყვანისცემის ხანაში, უნდა ითქვას, ქართველი გლეხ კაცი სრული ყოფილა თავის სულით და გულით, ამის წყალობით მს დაწინაურებული ცხოვრების წესებიც ჰქონია. ეს გარემოება ცხადიატ ჩანს იქიდანაც, რომ როდესაც ქართველებმა ქრისტს სჯული მიიღეს და ამ სჯულის მქადაგებლებიც გაჩნდნენ ქართველ ერში, რომელ მქადაგებლებიც თავიანთ ქადაგებაში სასტიკათ ეხებოდნენ კერპთ-თაყვანისცემის დროის-სჯულს და მას სასტიკათაც ჰქიცხადდნენ.

ეს მათი კაცე-აგმობა გადაჭარბებულის ზომის იყო, რადგანაც, მათ სურდათ, რომ ასეთის მკაცრის კალოთი და ქადაგებით, ახლათ გაქრისტიანებულ ქართველისათვის თავიანთ ძველი კერპთ-თაყვანისცემის დროის სჯულს უსათუოდ შეეჯავრებინათ და შეეზიზღებინათ, რომ მათ აღარა გახსენებოდათ ძველი სჯულის რამე წესები და მისი რამე ჩვეულებანი. აქედან სჩანს, რომ მათ კერპთ-თაყვანისცემის დროის ქართველებზედ მეტათ დიდი ზე გავლენა ჰქონიათ, თორემ უამისოთ, ქრისტის სჯულის მქადაგებლები არც ისე ადვილად დაიწყებდნენ მსჯელობას და კამათს.

მიუხედავად ამისა, მაინც არ მოხდა ის, რაც კი ქრისტიანობის მქადაგებელ მამებს ეინტერესებოდათ, ამის მაგალითია ის გარემოებაც, რომ მათ, ანუ ქრისტის სჯულის მქადაგებლებმა ბევრი რამ მოსპეს ახლათ გაქრისტიანებულ ქართველებში, მაგრამ მათ ეურ მოსპეს ის „პატრონ ყმობა“, რაც ქართველ გლეხებს ადრიდანვე ეყარათ ხელში. ამ „პატრონ ყმობის“ არსებობა ჩანს ისე კარგათ ყოფილა მოწყობილი და იგი ისეთი სასარგებლო ყოფილა ხალხისთვის, თუ ყმებისათვის, რომ მისი მცნება ქრისტიანობის ხანაშიაც მკვიდრად დაშთა და ხელშეუხებლათ. ქართველ ერში ეს „პატრონ ყმობა“ თავის სისრულით გადმოსცა ქრისტიანობის ხანასაც და ამ დღიდამ იგი დარჩა მკვიდრათ და მოაღწია უწყნებლათ V საუკუნის ნახევრამდისაც.

შემდეგ ამისა, მოხდა ისიც, რომ V საუკუნიდამ დაწყობილი

„პატრონ-ყმობამ“ უნებლათ შოალწია X საუკუნემდის და ამის შემდეგ XI, XII და XIII საუკუნემდისაც სჩანდა იგი ხალხში კარგათ და ხელშეუხებლათ. თუ ეს წეს-ჩვეულება ძველ ქართველებში რამდენად ძლიერი ყოფილა და მძლავრო, ესა სჩანს იქიდანაც, რომ XIII საუკუნის შემდეგაც, ამ წყობალების სახეებმა საშუალო საუკუნობამდისაც ადვილად მოახწიეს და ამის შემდეგ XVII და XVIII საუკუნეშიც იგი კარგად სახელოვნებდა, ვინაიდან ამისი მოგონება კარგად ახლოვდათ ქრისტიანობაში მყოფთ ქართველთაც, რომელნიც ტება-დიდებით იტყოდნენ, რომ საქართველოში ყმას პატრონი ჰყენდა და არა ბატონიო“. ესევე გადმოცემა თვით ჩვენი დროის მწერლებმაც განიმეორეს XIX საუკუნეში და სთქვეს, რომ საქართველოში ბატონ-ყმობა კი არ იყო, არამედ „პატრონ-ყმობა იყო“. ამასი რასაკვირველია არც ჩვენი ძველები სტყუიან, რადგანაც ეს გადმოცემა საქართველოში ძველათგანვე იყო დანერგილი.

საქმე აქ იმაში გახლავთ, რომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ უსათუოდ ის გარემოებაც, თუ ეს პატრონ-ყმობა რა იყო ან იგი რა დროიდან არსებობდა საქართველოში. ვიტყვი, რომ „პატრონ-ყმობა“ არამც თუ ჩვენ დროს, არამედ იგი არ არსებობდა XIII საუკუნეში, არც X, XI და XII საუკ. და შეიძლება ის კი ვსთქვათ, რომ „პატრონ-ყმობის“ მცირეოდენი ხსოვნა იყო დაშთენილი მხოლოდ V საუკუნის ნახევრამდის, ანუ ვახტანგ გორგასლანის მეფობის დრომდის. ხოლო ისიც ცხადათ ითქმის, რომ V საუკუნის ნახევრიდან, ამ „პატრონ-ყმობის“ ყოველივე ცნობაც კი უნდა მოსპობილიყოს და მისი მხოლოდ ხსოვნადა უნდა დარჩენილიყო, ისიც სახელის მოხსენებით.

მას შემდეგ კი, როგორც ჩვენი ძველები იტყვიან, საქართველოში „პატრონ-ყმობა“ არსებობდა და არა ბატონ-ყმობაო. ეს არ არის სწორე და მართალი. საქართველოში მონგოლების შემოსევის დროიდან, ანუ XIII საუკუნის ნახევრიდან მკვიდრათ და კარგათ სჩანს, რომ საქართველოში არსებობდა ბატონ-ყმობა, და არა „პატრონ-ყმობა“. ამას გარდა უნდა მოვიყვანოთ სხვა ცნობებიც იმავე იუბელაშვილის ისტორიიდან, რადგანაც ეხლა ამ ისტორიის ხსოვნა და შოვნაც შეუძლებელია, იგი ჩვენთვის სამუდამით დაკარგულია.

ერთად ერთი ეს ისტორია არის, რომელიც იძლევა სხვა და სხვა ცნობებს კერპთ-თაყვანილცემის დროის ქართველ ერის სჯულის შესახებ. მაგალითებრ, ხსენებულის წინიდან კარგათ სჩანს, რომ ამ „პატრონ-ყმობის“ გარდა ქართველ კერპებს სხვაც ბევრი

რამ სანაქებო წესები ჰქონდათ მიღებული, ამისი ცხადი შედეგად  
ბელი საბუთია ის გარემოება, რომ კერპთ-თაყვანისცემის ხანაში ქარ-  
თველებს, ყველას—გლეხებსა და მუშებსაც ნება ჰქონდათ ორი ცოლის  
შერთვის.

კერპთ-თაყვანისცემის დროის მაშასახლისებისაგან ამის სა-  
ქიროება ქართველის კაცისა და ოჯახისათვის საჭიროთ ყოფილა  
მიღებული, როგორც სჩანს. კერპთ თაყვანისცემის ხანაში, ქართველ  
ერს ძლიერ კარგი შეგნება ჰქონია თავის ოჯახის შემადგენლობის  
ღირსებაზედ. ამგვარად, ქართველებში ეს ორი ცოლის შერთვა თურმე  
ისე მკვიდრათ არსებობდა, რომ იგი თვით ქრისტიანობის ხანაშიც,  
III საუკუნიდამ მოყოლებულ V საუკ. ნახევრამდისაც, დაშთენილა.  
მის მერე კი ეს ჩვეულება ქრისტეს მქადაგებლებს მოუსპიათ თავიანთ  
ქადაგების ძალით.

ამ ორი ცოლის შერთვის წესი ასე ყოფილა: მამა-კაცი ცოლს  
ირთავდა 18 წლიდამ, ორს ცოლს, ერთი ცოლი სახლში მუშაკობდა  
და უფლიდა სახლის საქმეს და მეორე ცოლი მამა-კაცს თან დასდევ-  
და, მაგალითებრ ყანაში სამუშაოდ, ვენახში, ტყეში და სხვა ასეთ  
საგარეო საქმეებში. ასეთი გარემოება იმ დროის ქართველთ კაცის  
ოჯახს დიდათ აძლიერებდა და ამრავლებდა თურმე, როგორც ოჯა-  
ხის წევრთა რიცხვით, ისევე ოჯახის ქონებით და ნივთიერის სიმდიდ-  
რითაც. ამ ორი ცოლის შერთვის უფლება აქენდა მამა-კაცს 50 წლის  
მიზწევამდის. მაგალითებრ ამ დრომდის, თუ კაცს ერთი ცოლი მოუყე-  
დებოდა, იგი ერთი წლის შემდეგ ცოლის სიკვდილისა, მეორე ცოლს  
შერთავდა.

ასე და ამ გვარათ იგი შეივსებდა თავის ცოლების რიცხვს.  
50 წლის შემდეგ მამაკაცს რომ ცოლი მოჰკედლომოდა, მის სანაცვლოთ  
მეორე ცოლს ვერ შეირთავდა, რადგანაც კერპთა სჯულის წესით  
50 წლის კაცისათვის ერთი ცოლიც საქმარისა იყო. ერთი ცოლის  
მკვდარ ქმარს თურმე „ქერივს“ არ ეტყოდენ, ჰერივი ეწოდებოდა  
კაცს მაშინ, როცა 50 წელში მისულს ორივე ცოლი მოუყედებოდა,  
მხოლოთ მაშინ აქენდა ნებაარაჲა ჰერივს, რომ 50 წელს გადა-  
სულს მხოლოთ ერთი ცოლი შეერთო. ეს წესები სრულ კარგათ ჰქო-  
ნიათ მათ მოწყობილი. ამსთანვე კერპთ-თაყვანისცემას ხანაში, ქართ-  
ველებს აქენდათ თურმე ასეთი ჩვეულება: მაგალითებრ მოკვდა მამა-  
კაცი, დარჩა მას ცოლები, ეს ცოლები მაშინ გაიყრებოდენ და თავის  
ნაზაბს დედა წაიყვანდა, ქმრის ქონებასაც შუაზედ გაიყოფდენ და

მის შემდეგ იგინი დათხოვდებოდნენ. მათი მძაბველი და დამსჯელი არაფერი იყო თურმე. იმავე დროის ქართველებს აქვდათ ასეთი წესები, რომ არამცა და არამც კაცის არ მოკვლა, ამის ჩამდენი ულაპარაკოთ მაინათვე მოიკვლებოდა, ეს გარემოება სასტიკათ ამცირებდა კაცის კვლას ისე, რომ მთელი წლის განმავლობაში მთელს საქართველოში ერთი კაცოც არ მოკვდებოდა.

კერპი ქართველები იტყოდნენ ხოლმე: კაცს ღმერთი აჩენს, ვინც აჩენს, მანვე უნდა მოკვლას კაცი, ვისაც გაჩენა შეუძლიან, მასვე აქვს უფლება მოკვლის, ვინც ვერ გააჩენს, ან მოაჩენს კაცს, იმას არც მოკვლის უფლება აქვს, ვინც ამას არ შეასრულებს და ამ წესებს დაარღვევს და კაცს მოჰკლავს, მაშინ უნდა მოიკვლას იგივე მკვლელიც იმავე სასიკვდილე მახვილით და მოკვლული და მკვლელი ერთად უნდა იქმნენ დაკრძალულები. ეს წესებიც დიდათ უწყობდა ხელს კაცის კვლის შემცირების საქმეს და მიტომაც ქართველი ხალხის სიმრავლეს დიდათ უწყობდა ხელს ეს პირობები.

ქრისტიანობის იდეის შამანი ძრახვით იტყოდნენ ხოლმე, რომ კერპთ-თაყენისცემის ხანაში ქართველები მკვდრის ხორცს სჭამდნენო. მაგალითებრ, როცა კაცი მოკვდებოდა, ვითომც მას ხარშამდნენ და სჭამდნენო. ანტომაც ვითომც ქართველები ერთმანეთში მკვდრებსაც-კი თურმე სესხულობდნენ და სჭამდნენო. ქრისტიანური მწერალი მამები ამ გარემოებას ხსნიდნენ იმ პირობებისაგან, რომ კერპთ-თაყენისცემის ხანაში, მცხეთის ახლოს მდებარე სოფელ კოდმანელებს სოფ. კარსნელების ხუთი მკვდაცი ემართათო. ეს ცნობა „ქართლის ცხოვრებაშიც“ არის მოყვანილი.

ეს ასე არ გახლავსთ, ამის შესახებ ძველნი მწერალნი ამბობდნენ, რომ საქართველო არის მდიდარი ბუნების ქვეყანა, იგი სავსეა სხვადასხვა მცენარეებით, ხილით და სხვაც ბევრი ასეთებით და შეუძლებელია, რომ ასეთი მდიდარი ქვეყნის კაცს ისეთი მცენარეები დაეტოვებინოს საჭმელათ და მას თავისი მკვდრის ხორცი ეჭამოსო. ეს არის გაზვიადებული ცილი და ჭირი საქრისტიანო მწერალი მამებისაგან მოგონებული, რომ ამ ხერხით მათ თავიანთ ქადაგებით ახლათ გაქრისტიანებულ ქართველთათვის შეუძლებლიათ კერპთ-თაყენისცემის დროის სჯულის წესები.

ამიტომაც იყო, რომ ამ გარემოებას, ერთ დროს, 1850 წლებში, აკადემიკოსმა ბროსემ დიდი ყურადღება მიაქცია და ეს ცილი დაარღვია, ესევე გარემოება დაარღვია ისტორიკოსმა დიმიტრი ბა-





ქრძემ, ნახეთ ამაზედ მისი წიგნი<sup>1)</sup>. ამავე გარემოებას იყენებდა  
 ლის ცნობებშიც ეხება, თუმც იგი ამაზედ არსად ლაპარაკობს, მაგრამ  
 ცნობებში კი ისეა მოყვანილი და მოთავსებული, რომ თითქოს ის  
 ცნობები ამის პასუხათ არის მოყვანილი. საქიროთ მიმართა, რომ ეს  
 ცნობებიც მოვიყვანო აქ.

მაგალითებრ კერძო თაყვანისცემის დროის ქართველებს ძრიელ  
 უყვარდათ ოთხუეხი საქონელი, ნამეტურ მეწველ საქონელს ისე  
 აფასებდნენ, რომ ძნელათ იმ დროის ქართველ კაცს დაკლა ცხვირი,  
 ან თხა, ძროხა, ხბო, კამეჩი და ზაქი. იმ დროის ქართველნი ამ  
 ოთხუეხ საქონლების ნაყოფის რძათა სტკებოდნენ და ნოყიერდებო-  
 დნენ და მიტომ ძნელად, რომ მათ გაეგებნათ და ასეთი ნაყოფიერი  
 საქონელი დაეკლათ და ხორცი ეკამნათ. ამის მაგალითია ისიც, რომ  
 კაცის მოკლა კი არა, თვით ცხვირის, თხის, ძროხის და კამეჩის და-  
 კვლაც კი დიდს ცოდვათ მიიჩნდათ და მაშასადამე რა ძალა უნდა  
 სდგომიყოთ ქართველ კერძო სჯულის ხალხს, რომ მათ თავიანთ ნა-  
 თესავის, მეგობრის და ნაცნობების ხორცი ეკამნათ, ეს ცილი გახლავსთ  
 და საქრისტიანო მამებნისა და მწერლებისაგან მოგონებული.

ამის დასარღვევ ცნობებისთვის ჩვენ შორს არ წაველთ და ვი-  
 ლაპარაკებთ მხოლოდ ერთ გარემოებაზედ, რაც ცხად ჰყოფს იმ  
 მოსაზრებას, რომ კერძო-თაყვანისცემის დროის ქართველთ სჯული  
 არც ისე ბოროტი და ავი ყოფილა, როგორც ამას ჩვენ საქრისტიანო  
 მამები მოგვითხრობენ.

აქ ერთი საკითხი გახლავსთ ის გარემოება, თუ რატომ და რის  
 მიზეზებით არსებობდა ქართველ კერძებში „პატრონ-ყმობა“ და არა  
 „ბატონ-ყმოა“. საქმე ეს არის რომ ვიცოდეთ უხეირო სჯულის  
 დროს, თურმე ქართველებში არსებობდა „პატრონ-ყმობა“ და რაც  
 ქრისტიანობა იქმნა შემოტანილი და განსწვალდა ქვეყანა, მაშინ კი  
 ამ კირგ სჯულის ქართველებში ბატონ-ყმობა დამკვიდრდა. ეს ორი  
 გმრემოება ერთმანეთს სასტიკათ ეჯახებიან და წანაღმდებოდნენ. ამი-  
 ტომ საქიროთ ვსთვლით, რომ ამაზედაც უნდა ვილაპარაკოთ  
 აქ თუნდ სულ მოკლეთ. კერძო-თაყვანისცემის ხანაში „პატრონ-ყმო-  
 ბა“ რას უნდა გამოეწვია გლეხ კაცობაში, ამის გარემოებას ჩვენ  
 ისევ ძველის ისტორიულის ცნობების დახმარებით აფხვნით.

<sup>1)</sup> ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზედ და ქართველი ტომის  
 დასაწყისზედ, გამოცემა 1881 წ. ტფილისი.

კერპო-თაყვანისცემის ხანაში, საქართველოში პატრონ-ყვობა ყოფილა და ამის წესები იყო ისეთი, რომ კერპთ დროის ქართველთათვის არ არსებობდა დადი და მცირე, ყველა ერთი იყო და ტოლნი, მაშინ არც ერისთავები იყვნენ ჯერეთ და არც თავადები, არც აზნაურები, მაშინ იყვნენ მარტოთ მამასახლისები, სოფლის მე-თაურნი და მმართველნი, სხვანი ყველანი მთელი საქართველოს ერთი იყო და განუყოფელი, კერპო-თაყვანისცემა თურმე დიდათ უწყობდა ხელს ქართველ გლეხეკობას, მაშინ ქართველი ერთი თურმე შესდგებოდა ერთი წოდების გლეხებისაგან.

ამიტომაც იყო თურმე მთელი საქართველო სავსე იყო ქართველის გლეხეკებით; არ იყო სადმე მტკაეელი მიწა დატოვებული, რომ ზედ ბალი, ან ბოსტანი და რამე არ ყოფილიყოს გაშენებული, მთელი საქართველო სავსე იყო და მასზედ მჭიდროთ იყო დასახლებული ქართველ ტაში. ეს რომ ცხადია და მარაალი ამას საბუთებს ივ. ხელაშვილიც თავის გამოკვლევის სტატისტიკურის ცნობებითაც, მაგალითებრ:

1. ქართლში იყო, რომლის საზღვრებსაც შეადგენდა მთლათ ქვემო ქართლის ნაწილი, სულ 2800 სოფელი, აქ ამ სოფლებში სცხოვრობდა სულ 6 მილიონი ქართველი ხალხი, სულ გლეხ-ეკობა. მათში სულ იქმნებოდა 50 გვარის კაცი, რომელნიც იწოდებოდენ მამასახლისებით, იგინი იყვენ პატრონნი ყმათა.

2. კახეთში, ალბანით, ანუ ნუხას მაზრის საზღვრამდის იყო კახეთი, სცხოვრებდა სულ 1806 სოფელი, მასში მცხოვრებ ქართველთ რიცხვი ყოფილა 4 მილიონი. მათშიაც სულ იქმნებოდა 30 გვარის კაცი, მამასახლისები და პატრონნი ყმათა.

3. სამცხე-საათაბაგოს, ანუ ზემა ქართლში, იყო სულ 2500 სოფელი, იქაც იყო მცხოვრებნი რიცხვით სულ 6 მილიონი, გლეხეკები, მათში სულ იქმნებოდა 60 გვარი, მამასახლისები და პატრონნი ყმათა. პოელი ეს კუთხე 1580 წ. ოსმალეთმა დაიპყრა, ამის მერე 1625 წ. მათ დამონება დაუწყეს და 1635 წლიდამ ისლამთან დაუკავშირეს. სადღეისოთ აქ ეს 6 მილიონი ქართველი ხალხი სულ გათურქებულია და თურქულათ ლაპარაკობენ. მთელი ეს კუთხე შეიცავს 24 მაზრას, ამ ადგილებში მხოლოთ შევიდმა მაზრის ქართველ მაჰმადიანებმა შეინახეს ქართული ენა, ეს კუთხეები არის: 1. ქობულეთი, 2. ჭვედა აქარა, 3. ზეგანი, 4. მაქსელი, 5. ლაგონის ხევი ანუ მთელი ჭასრის ხეობა, 6. მურღულის ხეობა, სადაც სძევს მდიდარი



მადნები და 7. იმერ-ხევი ეს არის სულ 365 სოფელი, აქ არის დაცული ქართული ენა. ქართული ენა დაკარგა მაშასადამე 2235 სოფელმა.

4. იმერეთი, ზემო და ქვემო, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, ლაზისტანი, სვანეთი, რაჭა და იმერეთი, სულ იყო მაშინ 3600 სოფელი. მთლათ იმერეთში იყო 12 მილიონი ქართველი გლეხაკობა და მათში სულ იქმნებოდა 100 გვარი და კაცი მაშასახლისთა და პატრონთ ყმანი, დანარჩენი იყო სულ გლეხაკობა. ამა ამათთვის რა საჭირო იყო ბატონი ანუ პატრონი, ანუ ბატონყმობა. ასე იყო საქმე და ამას პირდაპირ არც გლეხთა ცხოვრება და სიმრავლე ითხოვდა—ამ ვერაგ ბატონ-ყმობას და მის წესებს, რასაც აქვს შემდეგ მტრათ მწვავე საისტორიო საფუძველი.

რადგან ჩვენ, ქართველებს, ჩვენი წინაპრების სჯულის კერპთ-თაყვანისცემის შესახებ ბევრი არაფერი ცნობები გვაქვს, ბევრი კი არა და არც მცირე, ამიტომ მოვიყვან აქ კიდევ სხვა ცნობებსაც, რომელიც ბევრს რამ ღირსების ცნობებს ვმომს კერპთ-თაყვანისცემისას. ისტორიული ცნობები გვაუწყებენ, რომ კერპთ-თაყვანისცემის დროის ქართველი გლეხნი ყოფილან უმაღლესად მიმდევარნი მიწის მფლობლის. მასთანვე იგინივე ყოფილან შიტომაც ბაზანტიელთაგან „გეორგიანთ“ წოდებულნი, რაც ქართულათ ნიშნავს მიწის მფუკს.

1. კერპთ-თაყვანისცემის ხანაში ქართველი გლეხ-აკობა მქლავრათ მისდევდა მეურნეობას—ხენა-თესვას, მრავლათ სთესავდენ ხორბალს, ქერს, ფეტვს და ბრინჯს. იგინი ყველა ამას მრავლათ სთესავდენ, ამიტომაც იყენენ მაშინდელი ქართველნი სულით ძლიერნი და მამლარნი, მათი ოჯახი სავსე იყო ხორბლით, ქერიით, ბრინჯით და სხვით.

2. იგინივე მრავლათ მისდევდენ მევენახეობას, ამიტომაც მთელი საქართველოს ტყე-ღრეებიც კი წარნოდგენდა ვენახებს, ბაღებს, ბოსტნებს, ყანებს და სხვა ასეთებს. ამის ნიშნები დღესაც არის დარჩენილი, რომ უდაბურს ტყეებში ბევრს ალაგას სდგას ვენახის და ბაღის ხილის ხეები.

ამისივე ცხადი დამამტკიცებელი საბუთი გახლავსთ თვით სამეგრელო. ეს სიტყვა წარმომდგარია სიტყვა „მრგველიდან“, ესე იგი დამრგველი, გადამრგველი, გადმომრგველი და სხვაც ასეთნი, ვინაიდან ბევრი ძველათგანვე მისდევდენ ხეების გადარგ-გადმორგვას და შიტომაც იყო მთელი სამეგრელო სულ ვენახებათ, ბაღებათ და

ბოსტან-ყანებათ გადაქცეული. უნდა შევნიშნოთ, რომ სამეგრელოში ითვისებოდა და მოდიოდა ხორბალი, ქერი და ბრინჯიც, თვით ვენახები და ბაღებიც, ნამეტურ ვაზის ვენახებიც იქ ისე შენდებოდა, როგორც ეს ქართლს და კახეთში იყო. ასე რომ თუ ეხლაც სამეგრელოში პურის დათესვას შეუდგენენ, იქაც მრავლათ და ჩინებულათ მოვა პური და ღვინოც მრავლათ გამოვა იქაურის ვენახებიდან.

ასევე, იმ დროის ქართველობა მრავლად მისდევდა ოთხ-ფეხი საქონლის შენახვას და მის გამრავლების ოსტატობაც მათ კარგათ იცოდნენ. მაშინ ძნელათ რომ ქართველ გლეხს გაემეტნა და ოთხ-ფეხი საქონელი და ძროხა, თხა და ცხვარი ადვილათ დაეკლა; ცხვარს იმეტებდენ დასაკვლელათ და ძროხასაც, ხმოსა და თხას კი ვერ იმეტებდენ, რადგანაც ივინი მწველელეები იყვნენ და ქართველი კაცის ოჯახს რძეს აძლევდენ, ამიტომაც იყო, რომ იმ დროის ქართველი კაცის ოჯახი საფე ყო ყველადურით: პურით, ხილით, ყველით, ერბოთი, კარაჭით, ღვინით და ნართით.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქართველნი კერპთ-თაყვანისცემის ხანაში, ღორების გამრავლებასაც მისდევდენ, თუმცა იმ დროის ქართველნი ღორის ხორცს არ სჭამდენ, მაგრამ ღორებს ამრავლებდენ, რადგანაც მათ ჯაგრისათვის ჰკრეჭავდენ და ჯაგარს ხმარობდენ ნართისთვის. ამიტომაც იყო მაშინდელი ბედელი და მარანი ქართველი კაცისა ყოველთვის საფე იყო ყველადურით.

მაშასადამე ასეთის მძლავრის გლეხ-კაცისათვის რა საჭირო უნდა ყოფილიყო „ბატონყმობის“ შემოღება, რასაკვირველია, რომ არა და სულაც არა, ვინაიდან მაშინ ყველა შრომას მისდევდა, კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზრდა და სხვაც ასეთნი, მათში ჯერეთ ცუდით მოსიარულე არავინ იყო და მასთან არც დიდი არსებობდა, ანუ დიდებული და არც მცირებული, ანუ მცირე და უკეთ რომ ვსთქვათ ბატონი და მონა, ანუ ბატონ ყმობა და მისი წესები. ეს მაშინ არავისთვის იყო საჭირო და ამიტომ იგი გასაგონათაც არსად იყო მთელს საქართველოში. ეს არავინ იუცხოვოს, რადგანაც მაშინდელი ქართველი ერი იყო გადამეტებულათ მიმდევარი ხენათესვის, მვენახეობის და სხვაც ზეგრი რამ საქმეების, რის გამოც, როგორც ზემოთაც ვსთქვით თვით ბიზანტიელებიც მაშინდელ ქართველებს და საქართველოს მიწის მუშას უწოდებდენ, ანუ „გეოორგიანს“.

ასე და ამ გვარათ ყველა აქ მოთვლილი ცნობები უნდა ვიცო-

დეთ, რომ მხოლოთ და მხოლოთ ქართველი ერის  
თაყვანისცემის ცხოვრებისა და არა ქრისტიანულ ცხოვრების ხანისა,  
გინიღვან კარგათ სჯანს, რომ კერპთა თაყვანისცემის ხანის დროის  
ქართველი ხალხი ბევრად მაღლა მდგარა უკეთესის ცხოვრების პი-  
რობებით, ვიდრე შემდეგ დროს, ანუ ქრისტიანულ ხანაში. ამის  
ცხადს საბუთებს გვიძლევს შემდეგი ცნობები:

კერპთ-თაყვანისცემელი ქართველი ვლახი ვერ გაიმეტებდა,  
რომ მას დაეკლა ცხვარი, თხა, ძროხა და ხბო. იგი შეუძლებელი  
იყო რომ ოდესმე ცუდათ დარჩენილიყო და არ ემუშაენა, ქრისტიან-  
ობის ხანაში კი ქართველი კაცი საყდარში დღეში სამჯერ დადიო-  
და დილის ცისკარზედ, წირვაზედ, საღამოს ლოცვაზე და ამ გვართ  
მთელი დღე იგი ლოცვაზედ სიარულს უნდებოდა და აბა მუშაობის  
დრო სადღა ექნებოდა მას. ამას გარდა თვით ოთხფეხი საქონლის  
დაკვლა და ლეთისადმი შეწირვა შემოიღეს ქრისტიანურ მამებმა და  
ამ ოთხფეხ საქონლის დაკვლა სჯულის წესების გაჭინურებისათვის  
მორთეს და ასე და ამგვარად დაამხეს კაცის გონება. ეტყოდენ:  
ილოცეთ, ილოცეთ, ლოცვას ნუ დააკლდებით, ამისთვის სახარების  
სიტყვებსაც ხმარობდენ და ეტყოდენ ყალბის მორთულობით ასე:

ილოცეთ, ილოცეთ, მუშაობა მეორე საქმეა, პირველი ლოცვა  
არის, იგერ შეხედეთ ფრინველებსა, არა სთესავენ, არ მუშაობენ,  
მაგრამ ხომ არ იხოცებიან, თქვენც ასე მოიქეცით ფრინველებივით,  
ილოცეთ ყოველთვის და მის ძალით თქვენ ღმერთი არ დაგამშვეთ.  
კერპთ-თაყვანისცემის დროს კი ქართველებში ასეთების არასფერი  
არსებობდა.

აი რა არის ეს კერპთ-თაყვანისცემა და ნეტა ჩვენ დღეს რაღა  
ვართ, რომ ჩვენგან იცა ასე იძრაზემა, ისინი თუ კერპები იყვნენ,  
ჩვენ დღეს რაღა ვართ, იგინი თვით ღმერთს—კერპებს მიანიც არ  
ჰკოცნიდენ და ჩვენში კი ყველა ტყუილს და უბრალო ხატებსაც  
ეკოცნით. ასე და ამგვარად გამოდის, რომ ჩვენ უფრო მაგარი კერ-  
პები ვართ, ვინემც ჩვენი წინაპრების კერპთ-თაყვანისცემის დროის  
ქართველნი, მაგრამ ჩვენ ისინი გვძულს და ჩვენს თავზედ კი არის  
ვფიქრობთ.

ჩვენ რომ ამაზე არ ვილაპარაკოთ, თვით აქ მოთვლილი  
ცნობები აჩენს კარგათ, თუ კერპთ-თაყვანისცემის დროის ქართველთ  
როგორი ცხოვრების წესები იქნდათ და ან ქრისტიანულ დროის  
ქართველებს როგორი და ან ერთი მეორისაგან რითი განსხვავდებო-



და, ან ერთი შეორეს რითი სჯობდა. სწორედ ეს ბედნიერობაში გახდა მის მიზეზად, რომ ქართველ ერს ძველადგანვე გადაეკიდნ მთელი აღმოსავლეთის ტომთა ბრძოები, რომელნიც ცხოვრების პირობებით ქართველებზედ ბევრათ დაბლა იდგნენ, ასეთი იყვნენ შრავლნი, მაგრამ ივინი ქართველების წინააღმდეგ ვერასფერს აწყობდენ, ხოლო როცა არაბები ავიზღვადდენ VII და VIII საუკუნეებში, ამათ კი გვაჯობეს ჩვენ ბრძოლაში და ხშირათ ვაგმარცხებდენ კიდევ თავიანთი დიდის სიმრავლით.

სწორეთ ამ არაბების შემოსევის დღიდან იწყება ჩვენი უბედურების დასაწყისი, საქართველოს ერში ითესება ბევრნაირი ბოროტება, ჩნდება დიდ-პატარაობა, ჩნდებიან თავადნი, აზნაურნი, ერისთავნი, გლეხები, ყმები, მონები და სხვაც ასეთნი. იმავე დროს ჩნდება საქართველოში მუშათა კლასი, ანუ წოდება, რაც იყო არაბთაგან შემოყვანილ მუშათა, ბელოსანთა, მონების, გლეხების და ყმების მიბაძვა. ყველა ესენი თუ როგორ გაჩნდა და გამრავლდა ამასაც მოვიყვანთ მოკლეთ.

არაბებთან ბრძოლაში ქართველნი ჯგუფ-ჯგუფათ, ანუ დასტად-დასტად გადიოდენ, რადგანაც არაბნი სასტიკად იბრძოდენ და მათ მეტი მომზადება აქნდათ ბრძოლისა. ამიტომ ქართველნი მათთან ბრძოლაში მეტად ფრთხილათ გადიოდენ და მაშინ ყოველ ქართველ მეომარ ჯგუფს, თუ დასტას ჰყენდა თავის მეთაური, რომელიც თვალყურს ადევნებდა მებრძოლთა ჯგუფს და დასტას. ეს იყო ასე მიტომ, რადგანაც არაბნი ისე იბრძოდენ ქართველებთან, რომ ქართველთ ასეთი ბრძოლა იმ დრომდის არ შემთხვევით და არც ენახათ, ეს პირველი მაგალითი იყო და მიტომც გახლდათ, რომ ქართველებაც ხშირობდენ ყოველნაირ ოსტატობას.

ამიტომაც ამ ოსტატურ და გმირულს ომებში, ქართველთ ჯგუფთა და დასტების ზედამხედველნი და მეთაურნი შეიქმნენ საჭირო მეთაური პირები, ანუ მეომართა თავსმდებნი, თავმდებნი, სწორედ ამ სიტყვა თავმდებიდან წარმოსდგა შემდეგ დროში თავადი, თავმდები და სწორედ ამ სიტყვა „თავმდებმა“ გამოიწვია სიტყვა თავადი და მის მცირე ხნის შემდეგ ეს თავმდები, თუ მეთაური, თუ თავადი, გახდა ბატონი, ანუ თავადი იმ ჯგუფის და დასტის, რომელსაც იგი არაბებთან ბრძოლაში წინამძღობდა, ეს მეთაური ჯერეთ ამ თავისი ჯგუფის, თუ დასტის მეთაური გახდა, მას მოჰყვა ბატონი



და მის შემდეგ, მან თავის ჯგუფის, თუ დასტის დახმარებით სხვებსაც მოხვია ხელი და იგი გახდა სხვების მეთაური, ბატონ-პატრონიც.

ასე და ამგვარათ VII და VIII საუკუნოებში დამყარდა თავდად-  
ანაურთა დასაწყისი, მის დამყარებით გაჩნდა ბატონ-ყმური წესები,  
რასაც პირველ დროს მას ეწოდებოდა პატრონ-ყმობა და არა ბა-  
ტონ-ყმობა. მაგრამ მის შემდეგ, ანუ IX, X და XI საუკუნოებში იგი  
ისე გაზვიადდა, რომ მან მიიღო სასტიკი სახე და მძიმე ხასიათი,  
მაგრამ მაშინ ასეთის სიმძლავრით მეთაურნი თავიანთ ხელქვეითებს  
არ აწუხებდნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ მაშინდელი გლეხ-კაცობა  
იყო ძლიერი, სულით მალალი, ახლათ გაჩენილი თავად-ბატონთა  
მძლავრობა მათ ვერ აწინებდა, არც თვით ახლათ გაჩენილი ბატო-  
ნები აწუხებდნენ და არც დიდ ტვირთს ადებდნენ გლეხებს.

ყოველ შემთხვევაში, ითქმის ისიც, რომ ახლათ გაქრისტიანე-  
ბულ ბატონებს უემქველია კარგი მადა ექნებოდათ გახსნილი, რომ  
თავის ქვემდგომის, თუ მონისა და ყმისათვის თავის მუქთაყოფნის  
სამაგიეროთ ხარკი დაედო და აეღოთ კიდევ, მაგრამ პირველ ხანებ-  
ში ეს ახლათ გაბატონებული მებატონენი ამას ვერ ახერხებდნენ. გა-  
ვიდა დრო და XI საუკუნეში კი ეს თხოვნის ნებაც გაუადვილდათ  
მათ, მაგრამ ესეც დიდის მოკრძალებით, შიშით და შორიდებით.

ამის მიზეზი ის იყო, რომ მაშინდელი გლეხების გული და გონება  
დიდის თავმოყვარეობით იყო აღესილი და იგინი ბატონყმურს წე-  
სებს ადვილათ ვერ შეეწყობოდნენ და მას ადვილათ ვერ მიიღებდნენ,  
რადგანაც კერპთ-თაყვანისცემის ისტორიით ვიცით, რომ მაშინდელი  
ქართველი გლეხ-კაცობა იყო სამაგალითოთ თავმოყვარე და თავის  
პირადი თავისუფლების დამცველი.

ამიტომაც იყო, რომ ქართველი გლეხობა თავიანთ ბატონებს  
ისე არ ემორჩილებოდნენ, როგორც ეს მათ ახლათ გაბატონებულ ბა-  
ტონებს სურდათ. ამისთვის ხშირათ მათში ბრძოლაც იმართებოდა,  
ხშირათ ხდებოდა ისიც, რომ ყმები ბატონებს ხოცავდნენ და გასაქან  
გზას არ აძლევენ, რომ მათ თვისი ბატონური წესები ევრცელები-  
ნათ გლეხებზედ. დიახ, მისთვის ჩვენ ვიტყვით მოკლეთ, რომ ქართ-  
ველი გლეხ-კაცი გაუტეხავი იყო ყველას წინაშე და ნამეტურ გარეშე  
მტერთა წინაშე. იგი იყო მკაცრი მეომარი ყველას წინაშე და ნამე-  
ტურ ახლათ გაჩენილ და გაბატონებულ მებატონეთა წინაშე.

ამიტომაც იყო, რომ გლეხნი ყოველთვის მტკიცეთ იდგნენ თა-  
ვიანთ ოჯახის ასპარეზზედ და იგინი ადვილათ არავის ემორჩილებო-



დენ, მათ დასამორჩილებლათ ვინც კი რამეს განიზრახავდა ავს, მის ცნობას თუ შეუტყობდენ, არც მათ აბოგინებდენ და სიკეთეს არ დააყრიდენ. ასე იყო მაშინ ქართველი გლეხი გამედიდებულს და მაგარი და მიტომაც იყო, რომ XI საუკუნიდამ მიეცენ იგინი მებატონეთა მორჩილებას, მათს გამოსაკვებ ხარკსაც სიამოვნებით უბდიდენ, ეს იყო მათგან მორჩილება სახელმწიფო მთავრობის წინაშე.

მართალია გლეხი ემორჩილებოდა სამეფოს ძალით თავის ბატონს, მაგრამ ვმევე დროს, გლეხ კაცი იყო იმოდენათ მაგარი, რომ იგი ბატონისაგან რამე აეობას ვერ მოითმენდა და ბატონის წინააღმდეგ მეფეს ადვილათ მიმართავდა, რადგანაც მაშინ მეფის კარი ღია იყო საბატონო გლეხ-კაცებისათვის. ამის მაგალითს ვხედავთ თვით საქართველოს სამეფო მთავრობის დამბოზის უკანასკნელ წლებსაც.

მაგალითებრ კახეთში, ერთ გლეხ-კაცს, თავის ბატონიშვილმა ერთი გოგო წაართვა, ეს გოგო სახლში ჰყვანდა, იქ ეს დაორსულდა. ორსული ქალი მაშის მიუყვანა და დაუტოვა სახლში და მის მაგიერ ახლა მეორე და წაიყვანა, გასათხოვარი ქალი. ამის შესახებ გოგოების მამამ მეფე ერეკლესთან იჩივლა და ამის საჩივარს მეფე ერეკლემ ასეთი მსვლელობა მისცა:

„კახეთში, ქიზიყის მოურავს მეფე ერეკლემ ასეთი წერილი მისწერა და განაჩენი აუწყა: ამა და ამ თავადის შვილს, იქ სახელი და გვარიც არის მოხსენებული, ეს ჩვენ არ მოგვყვას, მოხსენდეს უბრძანება: ორსული გოგო რომ თავის მამისთვის მიუგდია სახლში, მშობიარობის შემდეგ, ის გოგო გაამზითვოს და ბავშვი თითონ იკისროს და გამოზარდოს, მეორე გოგო რომ წამოუყვანია თავის სახლში იმაზედ დაქორწინდეს და ამიერიდამ მაგ ხელობას თავი გაანებოს, თორემ მანდ ამოვალ და მაგ მამაძილის ოჯახს და ხსენებას დედა მიწის პირიდამ ავგვი“.

ეს ნამდვილი ამბავია და ამიტომაც იყო, რომ ქართველი გლეხი იყო მაგარი და გაუტყებავი, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ იმათ ასეთ ვაკეცურს პირობებს დასასრული მიეცა მაშინ, რაც საქართველოს სამეფო დაეშო და მის მაგიერ საქართველოში რუსეთის სახელმწიფო დაარსდა და აღორძინდა. ამის აღორძინება იყო არამც თუ მართათ გლეხთა ცხოვრების დაღუპვა და დამდაბლება, არამედ იგი იყო მთლათ ქართველი ერის დამბოზა. XVIII საუკუნიდამ რუსეთის მონარქისტები მკაცრათ შეუღვინენ იმის სამზადისს, რომ როგორმე საქართველო დაეჭირათ, ამისი ცდა იწყება პირველათ 1618 წ. მის





მერე ისევ ნელდება, მაგრამ XVIII საუკუნის დამდევადამ, პეტრე დიდის დახმარებით ეს მათი წადილი ისევ აღორძინებას მიეცა და ამის შესაძლებლობა უფრო გააღრმავეს.

პეტრე დიდის შემდეგ ამ წადილის შესრულებას მიეცნენ ყველა წარმომადგენლები პეტრე დიდის, ყველა იმპერატორები და იმპერატრიცებიც. ბოლოს როგორც იქნა ელირსათ მათ წადილის შესრულება და ნხოლოდ 1801 წ. მოხერხდა ამ წადილის შესრულება და ქართველის უნიჭო და სულელის მეფე გიორგის სიფილიდით და ბოროტებით საქართველოს სამეფო შეუერთდა რუსეთის იმპერიის პატრონს პავლე პირველს და ამის შვილს ალექსანდრე პირველს. ამით აღუსრულდათ მათ ნატვრა, მაგრამ მათ ეს თავისი ნატვრა მარტოთ იმ შესრულებით არ იკმარეს.

მის შემდეგ მათ გულში სხვა საქმეების მიდაც გაეხსნათ, ეს იყო მათი წადილის დამატება. აი რა: ქართველი ერი მართმადიდებელი ერია, რუსეთის და საქართველოს ეკლესია ერთი არის, ჩვენი ცდა უნდა იყოს, რომ რაკი რუსების და ქართველების სჯული ერთია, ეკლესიაც ერთი გახლავსთ, ამიტომ საჭირო არის, რომ ჩვენი ენაც ერთი იყოს და ამის გარჩევა ჩვენში აღარ არსებობდეს. ამისი გეგმა და წადილი რუსებს ადრიდანვე ჰქონიათ გაღვიძებული, მაგრამ იგი ჩვენ არ ვიცოდით, იგი ჩვენ შევიტყვეთ მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ. რაკი მათ ასეთი წადილი აქვდათ, ამიტომ იგინი 1801 წ. ამის საშაღისსაც შეუდგნენ. ამისთვის საჭირო იყო მათთვის, კარგი დამხმარე ძალა, რომ ამ დახმარების ძალით რუსებს საქართველოში ფეხი გაემაგრებინა, რადგანაც მათი საქართველოში შემოსვლის გამო ბევრი წინააღმდეგნიც იყვნენ. ასეთი ხალხი ბაღე იპოვეს რუსებმა. ესენი იყვნენ ქართველი თავად-აზნაურები, რომელთა ცნობა რუსეთის მთავრობას ადრიდანვე აქვდა—მათი კარგი ცნობა და კეთილი განწყობილება, მათ ეს წოდება დაიხალოვეს, მათთან გამართეს მხურვალე კავშირი და მათის დახმარებით დაიწყეს ფეხის გამაგრება საქართველოში. მაგრამ მინამ ეს მოხდებოდა, მინამ მათ მოიწადინეს ჯერეთ ამ ქართველ თავად-აზნაურების პატივისცემა, მათი დასაჩუქრება, დაყვავება და მის მერე მათისავე დახმარებით წადილის შესრულებაც. ამ ეშმაკური პოლიტიკის ასპარეზზედ პირველათ აღმოჩნდა გენერალი ლაზარევი, გენერალი კოვალენსკი, ამათ შემდეგ ციციშვილი პავლე, გარუსებული ქართველი



და ამით შემდეგ თითქმის ყველანი, ვინც კი საქართველოში მთავარი მართებლათ მოსულან ხოლმე.

ეს წოდება იპოვნა რუსეთის მონარქიულმა მთავრობამ. მათში ზოგს ლენერლობას აძლევდა, ზოგს პოლკოვნიკობას და ზოგს შეტს და ზოგთაც სხვადასხვა ასეთ ღირსებას და საჩუქრებს. ასე და ამგვარათ მოკლე დროის განმავლობაში მთელს ამ ქართველ თავად-აზნაურებს მოხვედრეს ხელი და მათ არ დარჩა არც ერთი გვარი, არც ერთი ოჯახი, რომ იმ ოჯახში ორი და სამი ქართველი სამხედრო პირი არ ყოფილიყოს. მართალია, ყველა მათ რუსული ენის არაფერი იცოდენ, მაგრამ ეს არ უშლიდა მათ დალოლიავენბას, საქმე თავად-აზნაურების ერთგულება იყო, თორემ რუსულს ენას მათ წინ არაფერი წინაშენლობა აქენდა, საქმე ერთგულება არის, თორემ რუსულს ენას მალე შეიწავლიან. ასე ელოლიავენბოდენ თავად-აზნაურებს და ამაში არ სცდებოდენ ივინი.

ქართველ თავად-აზნაურთა გაერთგულენბის მალამოთ, რუსეთის მონარქიამ კარგი ოსტატობა იხმარა. რაკი ქართველი თავად-აზნაურობა თავის ერთგული ჰყო და ივინი დააფიცეს თვის ერთგულენბაზე, მის შემდეგ აქ ახლად გაერთგულენბულენბს დალოლიენბა დაუწყეს და მის მერე საჩუქრების მიცენბა და ნამეტურ ჩინენბის და ორდენენბის, სხვადასხვა ფერის ალაგენბის, ნამეტურ ზიზილ-პაიილა ექილენბანტენბის, სხვადასხვა ეპოლენტენბის და ათასი სხვა ასეთნი, რაც ქართველ თავად-აზნაურებს სისტიკათ რეენბა და ჰკუთენბდ შლიდა.

თფილისში 1802 წ. შემდეგ, ძრიელ ბერ კაცს ნახავდით ქართულად ჩაცმულ-დახურულს, ქართულის ჩოხათი, ჩერქესკით, ქართულის კაბენბით, რომელ აც გულენბდ აკრული აქენდა გენერლის ლურჯი ან წითელი ლენტენბი და მასთან მთელი გულიც სავსე სხვადასხვა ორდენენბით, რაც ქართველ კაცს ჰკუთენბდ შლიდა. კაცს რომ ენახა ასეთი ქართველენბი და შეეზენბა მათ გულსა და სახენბედ ყველა მნახველი გაჰყვირენბოდა.

ქართველი თავად-აზნაურობა გაზდა დიდი ბენდნიერი, მათ სიხარულს საზლკარი აღარ აქენდა, მათში აღვილათ დაითესა რუსეთის მონარქი სიყვარული და მისთვის გმირულათ თავის დადენბა და სიკედილი. ამის მსგავსი მავალითენბი ქარაველ თავად-აზნაურენბმა ბერა ომენბში გამოჩენეს და რუსეთის ჯართან ერთად მათ ცხარეთ და სასტიკათ იომეს და სისხლი დალვარეს დიდი ერთგულენბით. ეს წოდენბა ასეთის გმირობით რუსეთის ახალ დროის მთავრობას სასტი-

კათ აკვირვებდა და ამიტომ რუსეთის მთავრობაც მათი დღე-მადლობელი იყო და აღარ იცოდნენ რუსებმა როგორ გადაეცა ჩართველ თავად აზნაურებისათვის თვისი სამაგიერო პატივისცემა და სიკეთე.

1804—1805 და 1806 წლებში ქართველ თავად აზნაურებმა აუწყეს რუსეთის იმპერატორს თვისი ერთგულება ასე: ჩვენ ვიქნებით თქვენი ისეთი ერთგულები, რომელთა მკლავითაც თქვენ დაიჭერთ მთელს აღმოსავლეთს, ბაქოს, თაფრიზს, მთელს სპარსეთს, ავღანისტანს, თურქეთს, ბუხარეთს, შირვანს, მარგუშეთს და სხვებსაც ბევრს ადგილებს. თქვენ გახდებით მთელი აღმოსავლეთის ბატონ პატრონი.

შართლაცა და ბაქოს აღების შემდეგ, 1806 წ. რუსეთის მონარქიამ დაიწყო გაცხარებული ბრძოლა აღმოსავლეთის ქვეყნების და ამ ომებში ქართველი თავად-აზნაურობა ყველგან პირველი იყო, იგინი ყველგან თავდადებით იბრძოდნენ და იხოცებოდნენ კადეტ. ქართველ თავად აზნაურების განსაცვიფრებელი გმირობა მოეწი ალმოსავლეთ-დასავლეთში მოიფინა და საქმე ისე მოეწყო, რომ 1810 წლიდან მთელის რუსეთის ჯარის მთავარსარდლებათ სულ ქართველ თავად-აზნაურები გახდნენ. სულ ესენი იყვნენ და სულ ამათის მკლავით და ბრძოლით იჭერდნენ რუსები მთელ აღმოსავლეთის ადგილებს.

ასეთი გმირი წოდება და თავდადებული მსახურნი რუსეთს ბევრი არ ეგულებოდა მაშინ, ქართველნი ყველგან პირველნი იყვნენ ამით. ქართველნი ყველგან დიდის გმირობით ბრწყინდებდნენ, რუსეთის მთავრობა ამითი გაცვიფრებული იყო და ქართველი თავად-აზნაურობის დიდი მადლობელი იყო, მაგრამ მას გული ეთანადრებოდა მასზედ დიდათ, რომ ასეთი გმირი ხალხი იყო ქართველი და არა რუსი და გარდა ამისა, რომ ასეთი გმირმა მეომრებმა არც რუსული ენა იცოდა, ბევრი ფიქრების შემდეგ რუსის მონარქიამ აქას გამოუძებნა წამალი და თვისგან დაჯილდოებული ქართველთ შვილებისათვის, რუსეთის შუა გუბერნიების სამხედრო სკოლებში დახსნასწავლისათვის თავისუფალი ადგილება. ეს ამბავი ქართველთ შალე ეუწყათ, თქვენი შვილებისათვის სამხედრო სასწავლებლის კარი ღიაა, თუ კი შვილებს გაიმეტებთ და რუსეთში გაგზავნით, გასაგზავნი ფული იქნება მთავრობის, გზის ხარჯი, ჭამა, სმა მთავრობის, სწავლა მუქთი, სწავლის ყველაფერი ხარჯიც მთავრობის. ერთი სიტყვით ყველაფერი იქნება მთავრობის, თქვენი ბატონი შვილების გაგზავნა არის საჭირო და სწავლის მიღება და რუ-

სული მის შესწავლა. ესეთი განცხადება ქართველებმა სიბრძნეობით  
პიილს და იქ მალე იწყეს შვილების გაგზავნა, მოკლე დროის გან-  
მავლობაში მთელი რუსეთის სამხედრო სასწავლებლები გაავსო ქარ-  
თველთ შვილებით. იქ ქართველთ შვილებს რუსული ენის უცოდინ-  
ბაობა ძრიელ უჭირვებდა საქმეს, მაგრამ მათ ისე ელოლიავებო-  
დნენ, რომ იგინი ყველაფერს იძენდნენ და სწავლობდნენ იქ. ისიც  
მართალია, რომ მათში ბევრი კვდებოდა კიდევ, იქაურ ცივ ჰაერს ვერ  
იტანდა, მაგრამ მის ნაცვლად ბევრიც ბედნიერდებოდა. ვინც იქ ათა-  
ვებდა სწავლას იგინი იქვე შეჰყვანდათ სამხედრო სამსახურში, მათ  
ერთობ მალე ეძლეოდათ სამხედრო სამსახურის ხარისხები, ჩინები  
და ორდენები და ახალგაზრდა ქართველი საქართველოში ბრუნდე-  
ბოდა სამხედრო სამსახურის ღირსებით და სამხედრო ტანთსაცმე-  
ლით შემკობილი, რაც ერთობ დიდ ზეგავლენას ახდენდა, როგორც  
მათს მშობლებსა და ნათესავებს, ისე სხვა ყველაზედაც, ვინც კი  
ნახავდა მათ, ყველა აღტაცებაში მოდიოდა და ლოცავდა მის დღეს,  
ინან თუ ქართული ენა არ იცოდა და ქართული წერა-კითხვა, ამისი  
არაფის რა აღარდებდა.

ამიტომაც იყო რომ ძველათ კაცი ძრიელ მრავლათ შეხედებო-  
და ისეთ ქართველ სამხედრო პარებს, რომელთაც ქართული წერა-  
კითხვის კი არა და არც ქართული ენა იცოდნენ. იგინი გარუსებულ-  
ნი იყვნენ სულით და გულით და მასთან ქართველების მოძულენაც,  
რაც რუსის მთავრობასაც დიდით ახარებდა ქართველების ასე გა-  
დაგვარება. ამ სენს დიდი ისტორია აქვს. რაკი რუსეთის ერმა ქარ-  
თველი ვრი ასე მიიბირა და თავისი ერთგული გახად, მის  
შემდეგ, იგი ქართველ თავად-აზნაურთა პატივისცემისაგან უფრო  
შორს წავიდა და მას დაუწყო სხვა კილოთი დაყვავება, რადგანც  
იმ დროს რუსეთის მონარქია ლეიებთან იწყებდა ბრძოლას, რომ  
ამათ შირვანი უნდა აეღოთ, ამის აღება მათთვის აუცილებელ სა-  
ჭიროებას შეადგენდა, რადგანც რუსეთის მონარქიული მთავრობა  
აღერბეიჯანის დაპყრობის შემდეგ დაღესტანის დაპყრობაც დაიხატა  
თვალწინ. რუსებმასთვის დაღესტანთან ბრძოლა ძნელი იყო, მაგრამ  
ესენი ქართველთისაგან იმედოვნებდნენ მის დაპყრობას და ამიტომაც  
იყო რომ ამისთვის იგინი ქართველებსაც დიდით ულოლიავებდნენ.

ამ გარემოებით რუსეთის მონარქიის უფროსებს საგანი მიეცათ  
ქართველებთან ასეთის ლაპარაკის:

რუსეთის იმპერატორი ქართველთ თავად-აზნაურობის დიდი



პატივისმცემელია, იგი ქართველებს უაღრესათ აღიდებს, მას იმედი აქვს ქართველი თავად-აზნაურების, რომ მათის იგი დაღესტანსაც აიღებს.

იმპერატორი ალექსანდრე რომ დიდათ გაფასებთ თქვენ, ეს უკვე დამტკიცდა მაშინ, როცა იმპერატორმა თქვენ ვიბოძათ თქვენი საკუთარი ბაიარალი 1802 წელს და მაშინ თქვენც ცნობილი იქნით, როგორც უაღრესად კეთილშობილების მქონენი. თქვენი კეთილშობილება უმაღლესი ღირსების არის არამც რუსეთის კეთილშობილებაზე, არამედ მთელი ევროპის კეთილშობილი თავად-აზნაურობაზე, აი ასე გაფასებთ თქვენ ალექსანდრე პირველი.

ქართველი თავად-აზნაურები რომ ღირსნი ხართ დიდის პატივისცემის და თავაზის, ეს ცნობა ჩვენს კეთილ იმპერატორს ალექსანდრე პირველს ბევრჯერ უთქვამს თავისის პირით და უქია თქვენნი წოდება, თქვენი ამაგი და ღირსება.

თქვენი პატივისმცემელია არა მარტო ალექსანდრე პირველი, არამედ მთელი რუსეთის სახელმწიფო, მთელი რუსის თავად-აზნაურობა და მთელი რუსის ერი.

იმედი არის, რომ ქართველი თავად-აზნაურობაც კებული და დიდებული თავის ისტორიით, თავის წარსულით და ბრწყინვალე მოღვაწეობის ისტორიის შუქით, ამ დაფასებას არ დაივიწყებს და იგი ყოველთვის მზათ იქნება, რომ თავისი პატივისმცემელ იმპერატორი ალექსანდრე პირველის სამსახურში ერთგულებით ყოველთვის მზათ იყვნენ და მას ემსახურონ თავ-დადებით.

დანარჩენის თქვენ ნურაფრის ფიქრი და შიში ნუ გექნებათ, თქვენი ხმის გამცემი არავინ იქმნება, რადგანაც თქვენა ხართ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონები, ეს ქვეყანა თქვენ და თქვენი წინაპრებისაგან არის შენახული და სისხლით დაცული, თქვენ პირველნი ხართ აქ, რუსეთში იმპერატორი ალექსანდრე პირველია და აქ საქართველოში თქვენა ხართ, ეს თქვენი ღირსება რუსეთის იმპერატორმა და მთელმა რუსეთის თავად-აზნაურებმა კარგათ იციან.

ამიტომაც იგინი თქვენს ასეთ ისტორიულ ღირსებას პატივს ცემენ, აღიდებენ და აფასებენ და მამასადამე აქ საქართველოში პირველნი თქვენა ხართ, სხვა თქვენის მეტი აქ ხმის გამცემი არავინ იქმნება რაც ხართ ამ ქვეყნის დიდება, ნხოლოთ თქვენა ხართ და თქვენა.

თქვენი ერთი უბედურება ის არის, რომ თქვენი ასეთი ღირსე-

ბა აქ იქმენს ქვეყანაში კი არავენ იცის და თქვენ ყველა უბრალოს თელოთ ვიყურებთ, ეს გარემოება გამოდის თქვენის გულკეთილობისგან, რადგანაც თქვენ ყველასთან თანასწორათ იჭერთ თავს, ყველის ძმებია და მეგობრები ხდებით, მათთან სხდებით და პურსაც სჭმით და თქვენს პურ-მარილსაც არ აკლებთ მათ, მაგრამ ეს არის თქვენი კეთილ შობილების კეთილი ნაყოფი, ქრისტიანური სიკეთე და ხალხის სიყვარული და პატივისცემა.

ამიტომ ჩვენც ვალდებულნი ვართ და ამას იმპერატორის აღექსანდრე პირველის სიტყვებიც გვიბრძანებს და გვაუწყებს, რომ ჩვენც ვალდებულნი ვართ, რომ თქვენი წოდების პატივისცემა ვასწავლოთ ყველას და ვაცნობოთ მათ თქვენი ღირსების დაუთახება. ამის მოვალენი ჩვენა ვართ, ეს თქვენი ღირსება ჩვენ უნდა შევაგნებინოთ ხალხს შთაფრობის ბრძანებით, თქვენ ერს, ხოლო თქვენც უნდა მხნეთ ბრძანდებოდეთ ამისთვის.

თქვენც ვალდებულნი ხართ, რომ ქართველ თავად-აზნაურთა ღირსება უმაღლესის ღირსებით დაიცვათ ქართველი ერის წინაშე. ქართველი ერიც ვალდებულია, რომ მათ უნდა ახსოვდეთ თქვენი წარსული, თქვენი ამაგი და ის სამსახური, რითაც თქვენი წინაპრები დაჯილდოებულნი იყვნენ მით და რითაც იგინი იცაუდნენ საქართველოს მიწა-მამულს.

ამის შეგნების მოვალეა ყველა ქართველი, ყველამ უნდა იცოდეს ეს თქვენი ღირსება, რომ ეს ღირსება თქვენ ვაჭრობით და ფულის აღებით კი არ გამოვნიათ, არამედ ვაეკაცობით, ომში ბრძოლის გაწევით, სისხლის დაღვრით და თავის გაწირვით, მოვალე არის ყველა, რომ ეს თქვენი თავდადებული შრომა და ამაგი ყველამ იცოდეს, ყველას ახსოვდეს, რომ ეს ქვეყანა თქვენგან არის დასული და დღეს თუ აქ ვინმე ცოცხალი არის და სცხოვრობს, ეს არის თქვენის წინაპრების ნაყოფი, მათი ამაგი და თქვენი გმირული სამსახური ქვეყნის წინაშე. ამიტომაც საჭირო არის, რომ თქვენც, თქვენ ღირსებას უნდა დაუტყრომეილად აფასებდეთ, პატივს სცემდეთ თქვენს თავს თქვენს წოდებას და ვალდებულნი ხართ, რომ თქვენს ქვეყანაში ეს თქვენი ღირსება ყველას აცნობოთ და შეატყობინოთ—ნამეტურ თქვენს გლეხ-კაცობას, რომლებთანაც თქვენ ყოველთვის თქვენ თავს თანაბრად იჭერთ.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ გლეხების წინაზე ისე უნდა იქმნეთ ცნობილნი, როგორც ხელშეუხებელი არსებანი, როგორც უაღრესათ

მაღალი ღირსების და წოდების მქონენი, ამის შეგნებას და აღიარებას თქვენც უნდა პატივს ცემდეთ, აფასებდეთ და აღიარებდეთ თქვენს ღირსებას, ყველას უნდა თამამად აუწყებდეთ თქვენს წარსულს, რომ თქვენი ღირსება არავის ავიწყდებოდეს. ყველანი უნდა აფასებდნენ თქვენს ღირსებას, თქვენს ამაგს და სიკეთეს, ამისი მოვალე არის ყველა ქართველი, ყველა ვაჰარი, ყველა გლეხი და ყველა თქვენი ყმაც, ამიტომ რომ თქვენ ამის ღირსება მოპოვებული გაქვსთ, ამის პატივისცემის ვალდებულია ყველა.

დანარჩენი, რაც შეეხება თქვენს გლეხკაცობას, თქვენს ყმებს, მისი ფიქრი ნუ გაქვსთ, თქვენს წინაშე, თქვენს წინააღმდეგ ხმას ვერაფერ ამოიღებს. ამისი უფლება არავისა აქვს, თქვენს წინაშე ყველა მოწიწებით უნდა იყოს, ყველას მოკრძალება უნდა აქვდეს, ყველა უნდა დიდის პატივისცემით აფასებდეს თქვენს წარსულს და თქვენს წინაპრების ამაგს და თქვენს სამსახურს.

თქვენი გლეხები და ყმები თუ ამის წინააღმდეგნი გახდებიან, თუ ამას ვინმე დაიფიწყებს და არ დააფასებს, თუ ვინმე რამე შეურაცხყოფის მოყენებას გაგიბედავთ, ის შეგიძლიანთ თქვენ დასაჯოთ და ჰკუთხედ მოიყვანოთ.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თქვენი ხმის გამცემი აქ არავინ უნდა იყოს. თქვენ უფლება გაქვსთ, რომ თქვენი ყმები მორჩილი ჰყონ და კრინტი ხმა არასდროს არ ამოაღებინოთ.

თქვენ ამის უფლება მოპოვებული გაქვსთ, თქვენ შეგიძლიანთ, რომ არამც თუ თქვენი ყმები, არამედ თვით სახელმწიფო გლეხებიც კი ვალდებული ჰყონ, რომ ისინიც უნდა პატივსცემდნენ დიდათ.

რაც შეეხება თქვენს ყმებს, მათზედ ხმის გაცემაც არავის შეუძლიან. ყმა როგორც რუსეთში არის ბატონის საკუთრება, ეს ასევე აქაც უნდა იყოს, ყმა თქვენია და მისი უფლება არავის აქვს, არც თვითომ გლეხებს, რომ თქვენ რამეში წინააღმდეგი გაგიხდნენ და სიტყვა შეგიბრუნონ, ამის უფლება მათ არა აქვსთ.

თქვენ შეგიძლიანთ, რომ ეს თქვენი კეთილშობილური უფლება ყველა გლეხზედ განავრცოთ და გააძლიეროთ, ეს ყველამ უნდა იცოდეს და მით უფრო თქვენმა მონებმა, თქვენმა ყმებმა გლეხებმა, რომ თქვენს პატივისცემას იგინი ყოველთვის მორჩილებით უნდა უდგნენ, იგინი ამის ვალდებული არიან.

თქვენ შეგიძლიანთ, რომ თქვენი ყმები ყოველთვის მორჩილებაში გყვანდეთ, იგინი უნდა გემორჩილებოდნენ განუხალღერელის მო-

ნობით, სიტყვის უთქმელად, რადგანაც მათ ამას ავალებთ თვით იმ-  
პერატორის ბრძანებითაც. ყმა გლეხები თქვენი საკუთრება არის და  
თქვენ რაც გესურვებათ, ის შეგიძლიანთ უყოთ მას, იგი შეგიძლიათ  
გაჰყიდოთ თქვენ, დააგირაოთ, გინდ აჩუქოთ სხვას, თუნდ ძალღმედ  
გასცვალოთ, გინდ შაჰფურზედ შესწვათ და შეტამოთ, თქვენი დამშ-  
ლელი არაეინ უნდა იყოს.

თქვენ ისეთი ღირსეულნი ხართ, რომ თქვენ სხვა საქმეების  
უფლებაც გაქვთ რომ იქონიოთ, თუნდ რუსეთის თავად-აზნაურთა  
მსგავსათ პატარძლის პირველი ღამის საქმეც. ამის უფლებაც გაქვთ  
თქვენა, ამის დამშლელი არაეინ უნდა იყოს თქვენი.

აქ ამის მსგავს წამაქეზებელ ცნობებს ჩვენ აღარ მოვიყვანთ,  
ჩვენთვის ესეც კმარა, რომ ვიცოდეთ ქარაველ მებატონეთა დამზო-  
ბის დასაწყისი, რითაც იგინი დაჯილდოებული იქნენ უხვათ და  
მძლავრად.



## ბატონყმობა საქართველოში.

ქართველ ყმათა ვაების ცნობებით დაიწერება ოცდა ოთხი ტომი და არა ერთი და ორი წიგნაკი.

საქართველოში ბევრი თავადი, აზნაური და სხვა ასეთი მებატონენი სცხოვრებდნენ, როგორც მაგალითებრ ყმის მექონე მებატონე გლეხი მოქალაქენიც. მაგრამ ამათზედ იმდენი არა ითქმის რა, რამდენიც მებატონე თავადს, აზნაურზედ და მათ გვარის წევრთა რიცხვზედ, რაც მნიშვნელოვანია ქართველ ყმათა ოჯახის ცხოვრების პირობებისთვის.

1450 წლიდამ მოყოლებული, ვიდრე 1867 წლამდე, საქართველოში, თითო გვარის მებატონეთა წევრთაგან იმდენი ბოროტება იქმნებოდა მომხდარი და იმდენი ყმათა დევნა და შევიწროება დათესილი, რომელთა ცნობებიდამაც ჩვენ დრომდის არც მესეს და მეთათსდეს მოუღწევია. ყმა ყოველს წუთს, წამს, საათს, დღესა, კვირას, თვეს და წელს იტანჯებოდა შეუწყალოდ, შეუბრალებლად. ამის ცხადი საბუთის მომცემია ამ სენის ისტორია.

ძველ საუკუნეებს ჩვენ არ ვახსენებთ, ჩვენ ვიწყებთ მარტოდ საუბარს იმ დღიდან, როცა ერთ სამეფო საქართველო, სამ სამეფოდ განსქდა და ხუთ სამთავროდ. როცა ყოველს ბატონიშვილს, თავადს, თუ აზნაურს მიენიჭა დიდება, ძლიერება, ძალა, უფლება და ბატონობა არა მარტო თავის უძრავ ქონების დაფრვაზედ, მამულების მიჯნების გამაგრებაზედ, საგვარეულო ციხის, თუ კოშკის აშენებისა, შენახვისა და თავის ყმებით მტერთან შებმაზედ.

არა, მათ მიეცათ დიდი უფლება თვით თავიანთ ყმათა სულიერს მხარეებზედაც. ამ დღიდან ყოველი ბატონი თავის ყმისა იყო ბატონიც, კანონიც და პატრონიც, ერთის სიტყვით ყველაფერი. ეს იყო ასე მიტომ, რადგანაც თითო მებატონე თავადი, თუ აზნაური იყო სრული მეფე თავის ხეობის, თავის საბრძანებლის და გამკვე არა მარტო თავის საკუთარის საყმო ყმების, არამედ სახასო გლეხთაცა.

ამიტომაც გახლდათ, რომ ესენი ხშირად ერთი მეორეზედ აღიძვრებოდნენ ერთ უბრალო უსიამოვნების გამო, ხეობა—ხეობას ებრძო-



და, თავადი-თავადს, აზნაური—აზნაურს, ბატონი-ბატონს, ცეცხლ-  
ხეს, კოშკი—კოშკს და ყველა ამ ბრძოლაში-კი უმეტესად გლეხ-კაცობა  
წვებოდა ძირს, ამ ძირს დაწოლის მიზეზად ხდებოდა ის გარემოება  
მებატონეთა, რომ ჩემს სახლის შვილს, სხვის სახლის შვილმა რათ  
მოსტაცა თვისი სამიჯნური ქალი და სხვაც მეორე ასეთი და სხვანიც.

აი ამ დროიდან იწყება ქართველთა გლეხ ყმათ დამონების და-  
საწყისი. ამ დღიდან იგინი მებატონეებს ემონებიან მონურად, ანუ  
განუსაზღვრელის ყმობით, იგინი ამ დღიდან ხდებიან მათ წინაშე  
ცარიელ უსულო ჩონჩხად, მკვდარს დამონებულ არსებათ; ამიტომ მე-  
ბატონნიც დავობენ მათზედ და იწყებენ მათს ხმარებას ყველა ნაი-  
რი საქმისთვის.

მინამდის ქართველთ ერთი მეფე ჰყვანდათ, გლეხი მაშინაც  
იყო ყმა მეფის, თავადის, აზნაურის და საყდრის, იგინი მაშინაც მონუ-  
რად ცხოვრებდნენ, მორჩილებით, მონობით, ვინაიდან ერთ მეფო-  
ბას ამის საკანონო წესიც აქვდა. მეფეს თავადი ემონებოდა, თავადს-  
აზნაურნი, მასთან სახასონი, ანუ ხელისუფალნი, ოჯახის შვილნი და  
ყველა ამათაც უნდა დამონებოდნენ გლეხნი. ყმანი-ბატონ თავად-აზ-  
ნაურების, ყმანი და სახასონი—სამეფოს, საყდრისანი—საყდარს, ბერს  
და მღვდელს და ბოგანონი, ანუ პროლეტარნიც ყველას და ყველა  
მბძანებელს.

ასეთი იყო კანონი მონობის, ხოლო ერთი რამ აქვდა მას საუ-  
პირატესო ღირსება რაის ძალითაც გლეხნი ცოცხალი მიინც სარგებ-  
ლობდნენ. ეს გარემოება იყო ერთი მეფე, ერთი ძლიერი კაცის ძალა,  
ხმა, კანონი და სხვანი, ვისაც ემორჩილებოდნენ ყველანი და ვისი მო-  
რიდებაც აქვდათ როგორც მონებს და ყმებს, ესევე ამით მებატონე  
თავად-აზნაურთ. ამ დროს ესენი თვის ყმებს ისე ვერ სღვენიდნენ,  
ისე ვერ სტანჯავდნენ, როგორც შემდეგ დროიდან, როცა საქართვე-  
ლო ერთი სამათ იქცა და მერე ეს სამიც ხუთ ნაწილათ დაირღვა და  
სულ სამთავრ-საბატონოთ დაიყო. ამ დღიდან იწყება გლეხთა და-  
მონების და დაყმობის ხანაც; რასაკვირველია ამას გარეშე შტერთა  
აზვავებაც აჩენდა ადვილათ და უფრო მეტად.

მინამდის კი, მას თუმცა ჰქვლობდნენ შრომის ძალით, ნაყოფის  
ჩამორთმევით, ერთგულებით, მორჩილებით, დიდ-პატარაობის პატი-  
ვის ცემით, გარეშე ამის მათზედ ბატონთ არ აქვდათ მეფური  
მბრძანებლობის მსგავსი უფლება, იგინი ყმათა და მონათა პიროვნე-  
ბის ღირსებას ვერ შეეხებოდნენ, ვინაიდან ბატონს ეკავა ხელში

მხოლოდ ყმის მოვლა-პატრონობა, ყურება, ნაყოფის გამოკრეკა, ანუ ადგილებს ფასის გადახდა, რადგანაც მაშინაც მიწა ბატონის იყო, საშინაო მსახურის გამორთმევა, ერთი სიტყვით, ყველა იმ სამაცხოვრებო ძალების წართმევა, რითაც-კი მებატონე ირჩენდა თავს და სცხოვრობდა.

ბატონის მთელს კაპიტალურს მიმობვრას მისი ყმა შეადგენდა. მიწა, მამული სახნავე, სათესი, ტყე, ვენახი, ბალი, ბოსტანი ბატონის საკუთრება იყო, ყმებიც ამისი იყვნენ, ხოლო ყმებს უნდა ემუშავნათ, მოეყვანათ ყოველივე ნაყოფი, მოეტანათ შეშა, ნახშირი, გაეყვანათ წყალი და სხვაც ამგვარნი. ამათ უნდა ეცხოვრებინათ თვისი მებატონენი და თითონაც უნდა ერჩინათ თავი. ამის გარეშე მათ ერთად ერთი მხოლოდ სამეფო სამსახური იყო სავალდებულო, მაგალითებრ ლაშქრად წასვლა, „მღვერობა“ და სხვაც ასეთნი. ეს იყო მათი სულიერი ვალიც და ხორციელიც.

ყველა ამათ შრომის, ხარკის გადახდის, ბატონის მორჩილების და სამეფო სამსახურის სანაცვლოდ, მათს ცხოვრების კანონიერს წესებზედ, შინაურს და გარეულს საქმეებზედ, მტერთა თავდასხმისაგან, ნათესაეობაში უქმაცოფილობაზედ: სასიძოთა შოვნაზედ, ქალის გათხოვებაზედ, შეილებს აღზრდაზედ, ერთის სიტყვით მთელს საოჯახო გლეხის საქმეებზედ, ბატონს უნდა ეზრუნა, მას უნდა სცოდნოდა ყოველი ავი და კარგი თავის ყმისა. ესეთი დამოკიდებულება არსებობდა მათში. ერთნი შეორეს ასე ემსახურებოდნენ და ასე ემორჩილებოდნენ იმ ტამად, ესეთი მდგომარეობა და დამოკიდებულება იყო ქართველ გლეხთა, ყმა და აზნაურის შორის იმ დრომდის, ვიდრე საქართველო დანაწილდებოდა. ქართველ ზოგ მწერალთ და მეისტორიეთ სწორედ ეს გარემოება აქვსთ სახეში მიღებული და საქართველოს ერის ბატონყმობასა მამაშვილობას უწოდებენ, ანუ ბატონ-პატრონობას ერთის მეორისაგან და არა მონებას და იმას, რასაც ჩვენ ვხედავთ თვით ჩვენის ცნობებით.

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი სწერს, რომ ბატონყმობა მე მონებად მიმაჩნიაო, მაგრამ საქართველოში ეს ასე არ იყო-ვო, ბატონყმობა მამა-შვილობა იყო-ვო. ასევე სწერს პოეტი ვახტანგ ორბელიანი, ძმა ალექსანდრესი, რომ საქართველოში ყმის პატრონი, მფარველი, ყმა და ბატონი ერთნი იყვნენ და ერთს ძალას წარმოადგენდნენო. ამავე აზრის არიან სხვანიც ბევრნი. ჩვენ რასაკვირველია ამის წინააღმდეგი ვართ, ხოლო იმას ანუსხვა უნდა, გაცნობა, ვაგება

მას თუ მართლაც ეს ასეა თუ არა, და თუ იყო იგი როდის იყო და ან რაწაიარა. ამაზედ გარკვევა საჭიროა, რადგანაც ზემოხსენებული საპატიო პირნი ასე მოგვითხრობენ, ასე ხატავენ ამ გარემოებას XIX-ეუკანასკნელ საუკუნოების განმავლობაში. ბატონთაგან ნამოქმედარ საქმეთა ცნობები კი სულ სხვას გვეუბნება, სხვა ისტორიულ მასალებს გვიშლის თვალიწინ. შეიძლება ოდესმე ძველად ისეც იყო, რომ ბატონყმობა „მამა-შვილობა“ იყო, ხოლო იგი მერე შეიცვალა. ვინ იცის, ესეც შეიძლება.

ეს რომ ასეა და სწორე, ამის მიგალითებს ჩვენ ვხედავთ მწერლობითაც დატოვებულს ცნობებით, თვით ჩვენს ძველის სიგელ გუჯრებშიაც მოიპოვება ისეთი ცნობები ბევრს ალაგას, სადაც თუმცა ბატონის განუხსაზღვრელი ბძანება და მონობის ძალა ყმაზედ კარგად არა სჩანს, ხოლო ის კი ნათელია, რომ ბატონი მის შრომას ჰფლობს მძლავრად, ართმევს ბევრს მუშაობის დროს, ართმევს ბევრს ნაყოფს ართმევს ხშირად სახლში მოსამსახურედ შეიღებს, ერთი სიტყვით ჰფლობს ისე, როგორც სურს, ერთია—მხოლოდ შეიღებს არ უყიდის, არც პირველი ღამე სჩანს, არც სხვა ბევრა ამგვარნი, მიგალითებრ ვალახვა, ანუ ცემა, ოჯახის მოთხრა, დარბევა და სხვანი.

ამაების შესახებ ცნობები არც იმ სიგელ-გუჯრებში არის, რომელნიც დღემდე აღმოჩნდნენ და დაიბეჭდნენ, არც „ქართლის ცხოვრებაში“, არც ასეთ სხვა ისტორიულს წიგნებში და არც კიდევ სხვა ისტორიულს სამეფო დავთრებში და ბარათებში. მცირე რამ ცნობები მოიხსენება ბატონთაგან ყმებითა დავის შესახებ მხოლოდ XVIII საუკ. ნახევრიდან. ისიც აქა იქ კანტო-კუნტად, მხოლოდ ალღოთი უნდა ვიცოდეთ კი, რომ ხსენებულ დროს მებატონესა და ყმათა შორის გამწვავებული უნდა ყოფილიყოს ცხოვრების გამო ურთიერთ დამოკიდებულება.

შეიძლება ითქვას, რომ X საუკ. შემდეგ, ვიდრე XV საუკუნის გასვლამდე, მართლაც არ იყო ყმათა დევნა და სულიერად და ბორციულად შევიწროება, როგორც იგი XV საუკ. გასვლიდან დაიწყო. ამის საფუძვლად ჩვენ ვსთვლით X საუკუნეიდან დაწყებულ ქართველთა სასულიერო წოდების გაძლიერებას, ბერ-მოღონების წინსვლას, მონასტერ-ეკლესიათა მშენებლობას და სხვაც მრავალ ამ გვარნი, რაც სასულიერო მოძრაობას დიდათ აწინაურებდა, მის მოძღვრებას მძლავრს სახეს აძლევდა და მონა და უფალს მღვთის წინაშე ერთ არსებათ აღიარებდა. მაშინ რასაკვირველია, რომ ასეთ მამანი არც



პირველ ლამის უფლებას მისცემდნენ უფალოთ, არც გლეხის დასახლება, ოჯახის მოთხრას, შვილების წართმევას და დასყიდვას, ვინაიდან ეს იქმნებოდა პირდაპირ ქრისტიანობის ლალატი, მისი მოძღვრების გამოა და აბა ეს როგორ იქმნებოდა, ამას იმ დროს საეკლესიო განვითარება და მონასტერთა ხელოვნურად შენება და სიმრავლე ვერ აატანდა.

ქართველთა სამღვდლოება მისდევდა ერთის მხრით ქრისტეს სჯულის ვრცელებას ქართველს ერში, მის მკნების მტკიცედ დანერგვას ყველა კაცში, მათს პატრონობას ჩემობდა როგორც სულიერად ისევე ხორციელად. მეორეს მხრით ესენი მისდევდნენ ისლამის და სხვა ასეთ სჯულთა წინაშე მკაცრად დგომას და არამც და არამც მათკენ არც ერთი ქართველის მიდრეკას, მაშინ რომ ქართველი გათათრებულიყო ისე, როგორც ეს XVIII საუკ. პირველ წლებიდან დაიწყო, ეს ყოველად მოუფიქრებელი იქმნებოდა, ამას ვერაფერს გაბედვდა, რადგანაც მაშინ ქართველ სამეფოს ძალა მძლავრად პატრონობდა ქართველ ერს და სასულიერო წოდებაც სჯულის და პაროვნების მხრით მკაცრად ფარგლავდა მშვიდობიანის მყოფობით, ერთსაც და მეორესაც ქართველი ერის სიმრავლე აკენდათ მიზნათ დასახული, ვინაიდან უამისოდ ვერც მეფე იმეფებდა და ვერც ეკლესია იღვრებოდა.

ეს ასე უნდა ყოფილიყო და ამასვე გვისაბუთებენ იმ დროის ნაშთებთ-ნაშენთ ისტორიული ცნობები. შეიძლება მაშინაც იყო ბოროტება, ვინ იცის, ხოლო ჩვენ მათ ცნობა არ გვაქვს და ამიტომ მასზედ ვერც ვიტყვი რამეს. შემდეგ საუკუნოებში კი ესეთი გარემოება ყმათა იცვლება. დაეცა ერთსამეფო საქართველო, ერთი მეფობა გასქდა სამ სამეფოდ და სამი სამეფო ხუთ სამთავეროდ. ამ დროიდან კი დაწერილმანდა ქართველ გლეხის ყმის პაროვნების ღირსებაც. ამ დღიდან იწყება მისი დამდაბლება, დამონება, ცარცვა, გლეჯა, წართმევა და სხვანი. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ არც ამ საშუალო საუკუნოების შემდეგ დროის ბატონყმობის ვითარების ცნობების ვიცით რამე. არც ამ დროთა შემდეგ ყმათა გარემოება სჩანს ნათლათ, ჩვენ მათი ცხოვრების არც ავი ვიცით, არც კარგი.

სჩანს მხოლოდ ის, რომ XV საუკუნის დამდეგიდან ყმას ჰყავს პატრონი, ანუ ბატონი, თავადი, აზნაური, ეკლესია, მეფე, ბატონი-შვილები, სახელმწიფო და შეძლებულ მოქალაქენი. გლეხ-ყმანი გაიყოფოდნენ ოთხ ნაწილად: გლეხ ყმანი სახისონი: ოჯახისშვილნი,



ცოტა შეძლებულნი, გლებ ყმანი, შეუძლო გლებნი, გლებ ყმანი ნელის უფალნი, მცირე რამის მექონნი და გლებ-ყმანი ეულნი, ბოგანონი. იყვნენ კიდევ საბატონო ყმა გლებნი: ყმანი ოჯახისშვილნი თავად აზნაურთ და ეკლესიისა. გლებ ყმანი მცირედ შეძლებულნი, გლებ ყმანი და ცოტა რამ ქონების პატრონი და გლებ-ყმანი ბოგანონი, ოთხივე მებატონის მონანი იყვნენ. ბატონის ხელში, ბოგანოდ მაშინ ხდებოდა ყმა, როცა მას ამოუწყდებოდა ყველა ნათესაენი, ამ ამოწყვეტის გამო მამულეებიც ჩამოერთმეოდა ბატონისაგან, თვით ქერიც კი წაერთმეოდა და ქერივ-ოხერი კაცი და ქალი დარჩებოდა მარტოდ-მარტო უბატრონო. ამას აღარც ბატონი საქარობდა და მის ყმობას ბატონიც თავს ანებებდა. ასეთ ბოგანოს ხელში საცერი ეჭირა და სხვა და სხვა ყანებში დადიოდა, პურის, ქერის და სიმინდის მარცვლებს აგროვებდა და მით ირჩენდა თავს.

ასეთ ბოგანოებს მაშინ კაცი ყველა სოფელში ნახავდა, ლამისობა არ იყო და ყოველ ეულს, ახტალა ამოსულს, ბოგანობა ელოდა, ჩვენ აქ ბოგანოთა შესახებ არ გვინდა ლაპარაკი. ხოლო ის კი უნდა ითქვას, რომ საქართველოში ბოგანო ყოველთვის სჩანს. ამათი ცხოვრება იმოდენად თვალთ საჩინო ყოფილა, რომ მათ შობისხენებენ ხშირად თუ არა იშვიათად მაინც ძველს, საშუალო საუკუნოების და ახლო დროის სიგელ-გუჯრებშიც.

როგორც სჩანს, მებატონეებს ძრვიელ სწყყინდათ თვის ყმებში ბოგანოს გაჩენა. ბოგანო ბატონს აღარ გამოადგებოდა, იგი მას ვერც საბატონო ხარჯს მისცემდა, ვერც ემსახურებოდა. ცოლ-შვილ და ნათესავ ამოწყვეტილი კაცი ძრვიელ ადვილად დაბეჩავდებოდა ხოლმე. იგი ეცემოდა სულით, ხორციით, ქონებით და სხვათი. „ახტალა ამოსულ“ კაცს ბატონი უსარგებლოდ სთვლიდა და თუ რამ აქენდა ასეთს კაცს, ამასაც ყოველივეს ბატონი არათმევდა. მერე ეს სრულიად ფუჭდებოდა და ეცემოდა. ბატონს სულ არ ედარდებოდა, თუ მის ყმას ამოუწყდა ყოველივე. ერთით ერთი იგი ფიქრობდა თვის ხარჯის მიცემის მოსპობაზე ყმათაგან. მეორეს შხრით გულს იჯერებდა მისის დარბევით, მამულს ართმევდა და უკანასკნელ მოახერხებდა იმასაც რომ ამ ბოგანოს ან გაჰყიდდა, დაავიჩავებდა, ან სხვა გვარ ასეთ საქმით გამოიყენებდა.

როგორც სჩანს, საქართველოს დაუძლეურების შემდეგ, როცა მებატონებმა იწყეს გამძლეაერება ყმებზედ და მეფის აღარ ეშინოდათ, მაშინ მათ პირველად განადირება თვის ყმა ბოგანოებზედ იწყეს,

პირველად ამით დაუწყეს დარბევა და დასყიდვა. ამით დასწყობდნენ ბაზარს ხელი შეუწყო ოსმალთაგან სამცხე-საათაბაგოს დაპყრობამ და ისლამის ვრცელებამ. ქართველი მებატონენი მე-XVII საუკუნის დამდეგიდამ ოსმალეთში ჰყიდდნენ თვის ბოგანო ყუმებს, რომელთაც ყიდულობდნენ ოსმალთა ხოჯები, მოლები და თავიანთ სულის საცხონებლად მერე ამ ბოგანოებს ისლამს უკავშირებდნენ და ცხოვრების სახსარს აძლევდნენ. ასევე ყიდულობდნენ ბოგანო ყუმებს დალისტნის ლეკებიც და იგინიც მერე ამ ნაყიდებს ისლამს უკავშირებდნენ თვისი სულის გულისთვის. ასევე ყიდულობდნენ სპარსნი, ესენიც ისევე უკავშირებდნენ თვის სჯულს, ყიდულობდნენ ქრისტიანებიც, როგორც სომხები და ამით მერე ეს ნასყიდი გადაჰყვანდათ თვის სჯულზედ და მით იფარავდნენ მას ცხოვრების უკუღმართობისაგან. ასევე ყიდულობდნენ კათოლიკის შობღვარნიც და ბევრიც სხვანი.

ამის მაგალითებს ჩვენ ვხედავთ ისტორიულს სიგელ-გუჯრებში და მასთან მიხეილ თამარაშვილის წიგნშიაც.

ყმისა და ტყვეს სყიდვა სჩანს XVII საუკუნეში. მაგალითებრ ამ საუკუნის ერთმა მღვდელ-მთავარმა, იმერთ-აფხაზეთის კათოლიკოსმა ევდემოსმა თავის ქადაგებაში შეაჩვენა ის პირნი, რომელნიც ყუმებს, ტყვეს და ან მონებს მუსულმანებზედ ჰყიდისო. ქრისტიანებზედ დასყიდვის შესახებ კი მას არა აქვს რა ნათქვამი თვის ქადაგებაში.

ამავ საუკუნის ბოლოს და უკეთ რომ ითქვას, მე-XVIII საუკუნადმდეც წლებს, მაღაქია კათოლიკოსმაც იქადაგა ტყვეს და ყმის დაყიდვის გამო და შვიდთა მამაკვდინებელთ ცოდვათა შორის კაცის ცხოვრებაში, ტყვესა, ყმისა და მონის გასყიდვა აღიარა.

ამავ საუკუნის (XVII) განმავლობაში, საქართველოში ხშირად ქადაგებდნენ კათოლიკის ბერები და ყოველთვის აფრთხილებდნენ მეფეს ყუმების სყიდვის საქმეებში, აუწყებდნენ, რომ მებატონეებს აუკრძალეთ ყუმების გასყიდვა, თორემ ეს გარეშობა თქვენს ქვეყანას დალუპავსო. მეფენიც რასაკვირველია უშლიდნენ მებატონეებს ყუმების საღმე გაყვანას და დასყიდვას.

მებატონენი თუ ვერ დაიშლიდნენ ამას, მაშინ იგინი თავიანთ ყუმებს ქურდულად, მოტყვილებით წაიყვანდნენ ოსმალ სპარსეთის ქვეყნებისაკენ და იქ დაჰყიდდნენ ჩუმად. იქიდან თუ მოვიდოდა ყმა საქართველოში და მეფეს შეატყობინებდა, მაშინ მებატონეს მეფე გაიკიცხავდა, ამაზედ დავაც ატყდებოდა და ხშირადაც ატეხილა ხოლ-



მე, რადგანაც მაშინ ყმას ადვილად შეეძლო მეფესთან მოსვლა და ჩივილი.

ამის მაგალითია შემდეგი: კახეთში, ქიზიყის მოურავის ძმისწულმა თავის ყმას ჯერ ერთი გოგო მოსტაცა და დაფორსულა, მერე ეს ორსული შინ დაუბრუნა და მის მერე მეორე ქალი, ამ გოგოს დაც წაიყვანა და სახლში დაისო. ამაზედ გლეხი ძრიელ დაღონდა, წამოვიდა თფილისში და 1798 წ. მეფე გიორგის შესჩივლა, ყოველის ფერი უამბო. მეფემ მოისმინა საჩივარი და მაშინათვე ქიზიყის მოურავს დიშ. ანდრონიკაშვილს წერილი მისწერა ასე: „შენს ძმისწულს უთხარი, რომ მაგ ხელობას თავი გაანებოს, ამ გლეხ ყმას ჩამოეხსნას, პირველი გოგო თვისგან დაორსულებული ვისმეზედ გაათხოვოს და მეორე, რომელიც შინ ჰყავს ხანათ, იმაზედ ჯვარი დაიწეროს, დღეის შემდეგ ასეთი ხაქმე აღარ ქმნას, თორემ ამოვალ მანდა და მაგ მამაძაღლს დედამიწის პირიდან ავგვი.“

ასე უმზერდენ მეფენი ყმათა საქმეს, ხოლო მათ ხშირად არც დიდი ძალა აქვანდათ, ზოგი მებატონე არ ეპოებოდა მეფეს, არ ეშინოდა მისი და მიტომ რაც უნდოდა იმას შერებოდა. ასეთნი იყვნენ ნამეტურ გურიის მთავარი, აფხაზეთისა და სამეგრელოსი. ამის მაგალითია შემდეგი: კათოლიკის მოგზაურ მისიონერები მოგვეთხოვნენ, რომ XVII საუკუნეში, მთავრად ყოფილ ჩიქოვანმა, თავის სამთავროში გამოაცხადა, რომ ამა და ამ დღეს, ამა და ამ ეკლესიაში, წირვა უნდა გადავიხადო და მღვდლებს ვსთხოვ რომ მოვიდნენ საწირათაო. მღვდლები მართლაც მოვიდნენ დანიშნულ დროსაო, ამ მთავარმა ყველა მღვდლები პატიმარჰყო, მერე გაკრიჭა იგინი და ყველა ოსმალეთში გაგზავნა დასაყიდათაო.

ასეთი ცნობები ამ მისიონერებს ხშირად უგზავნიათ რომის ტახტის წინაშე და უცნობებით ვითარება ბედკრულ მონათა და ყმათა ცხოვრების შესახებ. ასეთ ცნობებს ჩვენ ამითში ვხედავთ XVII საუკ. დამდეგიდან, მაგალითებრ, როგორც ზემოდ მოყვანილი ცნობა სამეგრელოს მთავრის შესახებ აწერილია მისიონერის ლამბერტისაგან „სამეგრელოს აღწერაში“. ჩვენ ასეთის საქციელის შესახებ არას ვიტყვით, თან საკვირველი კია ის გარემოება, რომ ქრისტიან მთავარმა მღვდლებს აკადრა ასეთი საძრახისი საქმე; მიიტყუილა, ჯერედ გააკრიჭინა და მერე ოსმალეთში გარეკა დასაყიდათ. ვინ იცის, შეიძლება მართალიც იყოს, აქ გასაკვირი არაფერია.

ამ მისიონერთა ცნობების შესახებ ჩვენ მკითხველს თავს არ





შევაწყენთ, ამ ვრცელის წიგნიდამ მოვიყვანთ მხოლოდ ოთხნიოდ ცნობას, რაც კარგად ხატავს XVII საუკ. ქართველ ყმათა და მონათა მდგომარეობას და პიროვნების ფასს. ასეთი საყურადღებო ცნობები გაფანტულია მთელს წიგნში, ჩვენ მხოლოდ ჩვენი აზრის საბუთად მარტოდ ესენი მოგვყავს, რომელიც შეეხება მხოლოდ XVII საუკუნეს.

წინა დროის ყმათა და მონათა ცნობები ჩვენ არაფერი გვაქვს და მიტომ მასზედ ჩუმადაც ვართ, თითქოს მართლდება ამით ის ჩვენი აზრი, რომ სეკართველოში, ქართველ მებატონეთა შესახებ ყმათა და მონათ დარბევის და შევიწროების ხანა XVII საუკ. იწყებაო. ეს სწორედ ასეც უნდა იყოს და სწორედ ამ საუკუნეიდან უნდა მივიღოთ სახეში ქართველ ყმათა მონების პირობების გაფართოების საქმე და უფლებანი.

XVII საუკ. ნახევარს, საქართველოში ბატონთაგან ყმების დასყიდვა იმ ზომად გამწვავებული ყოფილა და მასთან ფულის გამსესხებელ მეფეზშეთაგან დიდი სარგებლის აღება, რაისა გამო 1664 წ. პატრმა თვალისიდან რომის ტახტს შეეკითხა და თან ამ საქმეთა შესახებ თვისი მსჯავრი-დადგენილება სთხოვა. კაპეციენტის აზრი ის იყო თურმე, რომ თუ მებატონეები მაინცა და მაინც ყმების დასყიდვას არ დაიშლიდნენ, მაშინ იგინი ქრისტიანებზედ მაინც დაეყიდნათ.

1665 წ. 20 დეკემბერს, პროპაგანდო სწერს წერილს და ბრძანებას ამ პატრს და თან აუწყებს: „ყმები არც ქრისტიანებს უნდა მიჰყიდონ და არც მაჰმადიანებს, რადგანაც ესეთი ვაჭრობა დიდათ დამამცირებელია კათოლიკის სარწმუნოებისა, ამიტომ ასეთი ვაჭრობა აკრძალულიაო. საცა კი შემთხვევამ მოგცეთ, საქაროა ეცადოთ თქვენის ამხანაგობითურთ მოსპოთ ესრეთი მავნე და ბოროტი ჩვეულება და რა მოსპოთ, უფრთხილდით, ხელმეორედ არ განაგრძონ ასეთი ჩვეულება“.

მცირე ხანს შემდეგ, ესევე პატრი კარლო სწერს რომის ტახტს თავის ვედრებას, რომელიც სხვათა შორის ყმათა საკითხის საქმესაც შეხება, აი მისი სიტყვები: „იესო ქრისტეს წყლულების პატივისათვის გვედრებით, შეეწიეთ ამ მისიონს (საქართველოში) რადგან თუ არ თქვენი შემწეობით, შეუძლებელია აქ ცხოვრება: სიღალახაკის გამო აქ ყმებს ჰყიდნიან და მით სცხოვრებენ. უკეთუ ინებებთ და მოიღებთ თქვენს მოწყალებას ქართველ ერზედ, თავს ესდებ სამუდამო საცხოვრებლად საქართველოში, რადგან მხოლოდ იმას ვნატრობ აქ ვიმსახურო“.

ვეგონებთ ეს სიტყვები უცხო იტალიელის ბერისაგან ჩვენს წინაშე  
ნის ყმათა ისტორიის ცრემლებათ უნდა მივიღოთ. არა მგონია რომ  
ასეთი ვულპურვალე თანაგრძნობა სხვა ქართველ ეპისკოპოსებს  
აღმოეჩინოთ, როგორც პატრი კარლო არის. ეს პირი რომის ტახტს  
საქართველოს ერის შესახებ თითქმის ცრემლით ევედრება.

შორიდან მუდარებას და წერილების წერას არ კმარულობს და  
1667 წ. თვით მიდის თფილისიდან რომში, გზით გაიარა სამეგრელოს  
მისიონერებში, მათში დაჰყო რამდენიმე ხანი, თითონელების ძმების  
მისიონერებმაც გაატანეს თვისი მოხსენება, ეს მივიდა რომში და  
თვისი მოხსენება კარდინალებს მოახსენა ასე: „მთელი საქართველოს  
უმთავრესი ქალაქი თფილისია, რომელშიაც 70 ანუ 80 ათასი ქარ-  
თველი სცხოვრობს. იტაურების ჟრიგო ჩვეულება ეს არის, რომ თა-  
ვიანთ ქრისტიან ქვეშევრდომებს თათრებზედ ჰყიდიან. ამის უმთავ-  
რესი მიზეზი მათი გლახაკობაა. ამის წამალი არის ნელნელა შევაგ-  
ნებინოთ თავიანთი შეცდომილებათ“. ეს პირი ატყობინებს კარდი-  
ნალებს რომ ქართველები თათრობასაც უკავშირდებიან, რომ ამით  
ასიაშოვნონ სპარსეთის ყენის და ოსმალეთს და მით თვითონ ისარ-  
გებლანო. საქართველოდამ ეს პატრი კარლო ორჯერ წასულა რომ-  
ში. ამ პატრის თხოვნის ძალით რომის ტახტმა 1669 წ. საქართვე-  
ლოში გამოგზავნა შვიდი ნასწაველი პატრი.

პატრი კარლოს წინედ და შემდეგაც ქართველ ყმათა გარემოე-  
ბის შესახებ ცნობებს გვაძლევენ სხვადასხვა მისიონერები და მათ  
შორის პატრი ამბროსიო ავეუსტიანელიც, რომელმაც კარლო პატრზე  
წინედ 1640 წ. გორიდან რომის ტახტს მისწერა ეს: „ქართველებს  
დიდი სიმძულვარე აქვსთ სომხების სარწმუნოებრივის მხრივ, გარნა  
როდესაც მათი ყმებთ ზღებთან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წეს-  
ზედ. ჩენი მონოზნები ამ ქრისტიანებში დიდ სიკეთის ქმნას შეს-  
ძლებდენ რამდენიმე სოფლის სყიდვით“.

აქ ცხადია, რომ პატრი ამბროსიო ამბობს, რომ სომხები ქარ-  
თველ ბატონთაგან ყმებს ყიდულობენ, მერე ეს ნასყიდნი მათ სჯულ-  
ზედ გადადიანო. ჩვენც რომ ასე ვიყიდოთ ხოლმე ქართველ მებატო-  
ნეთაგან მათი ყმანი, მაშინ ჩვენ მათ დავიხსნით ამით და კათოლიკობა-  
საც შეუერთებთო. სომხთაგან ქართველ ყმათა სყიდვა ნამდვილი  
ფაქტი უნდა იყოს, ვინაიდან მთელს ქართლსა და კახეთში აფარე-  
ბელი ქართველ ტომის გლეხნი არიან, რომელთაც ყოველივე სახის  
ცნობიერების ქართული აქვსთ, მხოლოდ სარწმუნოება მიუღიათ თა-

ქართული  
ენების  
მეცნიერება

ვიანთ მსყიდველის ბატონის და ამ სახით იგინი სჯულს გამოეცადა  
გვარსაც დამორჩილებიან და დღეს თავი სომხის გვარის კაცად  
მოაქცესთ. ასეა მავალითებრ ქართლში, ერთ სოფელში მთელი მცხოვ-  
რებნი არიან ქართველი გლეხნი გიგაურები. ესენი XVII საუკ. ამ  
გზით სომხის სჯულს დაკავშირებიან და ამიტომ დღეს თავიც მოდგ-  
მით სომხათ მიანიათ.

ასევე სჩანს პატრი სერაფიონის ცნობით, რომ 1674 წ. თფი-  
ლისში, „ერთ ქართველს ცხვირი მოუჭრია კათოლიკე სარწმუნოების  
გამო, რათა იგი სპარსეთის ყაენთან აღარ გაეგზავნათო“. ეს წერი-  
ლი პატრი სერაფიონისაგან დაწერილია 19 ოქტ. 1674 წ. ამ ცნობის  
ახსნა ჩვენ ასე ვიცით: რადგანაც ხშირად მებატონენი თავიანთ სა-  
ხიერ ყმაწვილებს სპარს-ოსმალეთში უფრო კაი ფასად ჰყიდდენ, ამი-  
ტომაც ხდებოდა ისიც, რადგანაც ყმათა შვილები ამ გაყიდვ-გამო-  
ყიდვაზედ დიდი უკმაყოფილონი იყვნენ, მატომ ძრიელ ხშირად და  
ძრიელ ადვილად სახეს იშაბინჯებდენ, რომ მის საშუალებით ეკები  
ბატონისაგან თავიღამ ასცუნოდა შორს გადაკარგვა და თათრებ-  
ზედ დასყიდვა. ასე დაუსახიჩრებიათ სახე არა მარტო ვაყებს, არა-  
მედ ქალებსაც, რაისა გამო ბატონსა და ყმათა შორის უსიამოვნებაც  
ჩამოვარდნილა.

ასეთ ლამაზ ქალ-ვაჟთა გასყიდვას აღმოსავლეთის ქვეყნებში  
ძრიელ კაი ბაზარი ჰქონდა, იგინი ქართველ ლამაზ ქალ-ვაჟთ ერთობ  
კაი ფასებში ყიდულობდენ და მერე მით ამშვენებდენ თვის მო-  
დგმას. მთელი სპარსეთის შავი, მაიმუნთან ფეხით და ცხვარით აზ-  
ლო მდგარი ხალხი სულ ასეთ ქართველთ შვილებით არის გამშვე-  
ნებული და გასუფთავებული. ქართველებთან ერთად ძრიელ ხშირად  
იყიდებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში ოსთა გოგო-ბიჭებიც, ჩერ-  
ქეზების და სხვათაც. ამათ ყმებს თვით სპარსთ და აღმოსავლეთის  
ვაჭრები ადგილობრივ სყიდულობდნენ. იგინი უფრო უარეს მონებაში  
იყვნენ ჩავარდნილნი, ვიდრე ქართველი ყმანი. ქართველების ბატო-  
ნების კიდევ იმოდენი შიში აქვანდათ, რომ ამათ ადგილობრივ გა-  
ყიდვას ვერ უბედავდენ. მყიდველსაც ეშინოდა, რომ ვაი თუ მერე  
ნასყიდის ნათესავები დამეცენ, ნაყიდი წამართონ და მით დაგარ-  
გო ყოველივეო.

პატრი სერაფიონი დიდათ შეწუხებული ყოფილა ქართველ  
ყმათა ცხოვრებისაგან და ამას პირველი წერილის შემდეგ მეორე  
წერილიც გაუგზავნია და რომის ტახტისთვის უცნობებია, რომ მე



დავიარე მთელი აღმოსავლეთის ქვეყნები, ინდოეთი და სხვანი, ვინაჲ ყველგან ზენ მისიონერთა ძმობანი და მათი საქმენიო და ყველაზე უკეთესად ზენი მისიის საქმე საქართველოში არის, რადგანაც საქართველო საქრისტიანო სამეფოა, იგი ოსმალეთის და სპარსეთის შუა სძევს, აქ ქრისტიანები ეკლესიებს თავისუფლად აკეთებენ, ზარებსაც რეკავენ, ერთის სიტყვით აქ ყველაფერი ქრისტიანობის სასარგებლოდ არის მიმართული, ხოლო აქაურებს აქვსთ ერთი ცუდი ჩვეულება, ეს ჩვეულება არის ყმათა დასყიდვაო. ამას სწერს 10 დეკ. 1675 წ. აი თვით მისი სიტყვები:

„უმიანკო ბავშვებს, თუ ვაეებს და ქალებს, სავაჭრო მიედანზედ ჰყიდნიან ოხერ ფასად, რათა მით დააკმაყოფილონ ოსმალეების უწმინდური მილა. გვესმის და ვხედავთ მათს ელავილს და ტირილს: ამ დროს ზოგი მდინარეში ვარდება, ზოგი თვალებს ითხრის და ზოგიც ცხვირს იჭრის, რათა ურწმუნოებმან აღარ იყიდონ და წმიდა სარწმუნოება არ დაატოვებინონ... ნაყოფის გამოღება ადვილია, შეიძლება ამ მონათგან სულთა შესყიდვა და გაგზავნა იმისთანა ადგილას, საცა შეეძლოთ ქრისტიანურად ცხოვრება და სიკვდილი. რადგან, ვინც უნდა იყოს მყიდველი, ოსმალო, ბერძენი, სომეხი, თუ ევროპიელი, კმარა, რომ მომეტებული ფასი მისცეს და იმ.ს. დარჩეს. თითოს ჩვეულებრივი ფასი არის 25 ან 30 რომაული სკული. ეს საზიზლარი ჩვეულება იმიტომ გავრცელდა ასე ადვილად, რომ ბატონები უღმრთონი და მრავლად არიან, რადგან საქართველო საგსეა თავადებით, რომლებსაც ზენში ბარონებს ვეტყვით. ამ:თ განუსაზღვრელი უფლება აქვსთ, რომ თავიანთ ქვეშევრდომებს რაც უნდათ ის უყონ, ასე რომ დამშლელი არავინ ჰყავსთ. ბატონების ხელშია ყმათა ქონება, სიცოცხლე და ნამუსი. ამიტომ ყოვლადის სიადვილით, როგორც უბრალო რამე ნივთს, ოსმალებზედ ჰყიდნიან. ქართველები არას დროს არ ყოფილან მოვაჭრენი (ყმათა), აქ უცხო ვაჭრებო მოდიან.“

ეს ცნობებიც კმარა, ამაზედ მეტის მოყვანა მისიონერთა წერილებიდან საქირო არ არის, ესენიც ასაბუთებენ, რომ საქართველოში ყმათა გასყიდვა არსებობდა. ხოლო ამის ცნობანი მკაფიოდ სჩანს მხოლოდ XVII საუკუნის დამდეგიდან, მის წინა საუკუნოებში კი ყმათა გასყიდვის ნაცვლად ტყვეს გასყიდვა მოიხსენება. ასე და ამ გვარად ვიცით, რომ ქართული ისტორიულის წყაროებით, საქართველოში, ქართველთ შორის, მებატონეთ ტყვეს დასყიდვა იკოდენ.

საქართველოს ერთ მეფობის განუთქის და განაწილების დროიდან და ევროპიელთ მისიონერთ ცნობებით კი სჩანს, რომ ქართველთ მებატონეთ ტყვეს გასყიდვაც სცოდნიად და ყმისაცა, რის დასაწყისი ამათში მხოლოდ ხსენებულის XVII საუკ. სჩანს. დიან, ყოფილა საქართველოში წესად და მებატონე თავადი თუ აზნაური, როცა მოისურვებდა, მაშინ გაჰყიდდა თავის ყმის შეილებს, ამ გასყიდვისთვის მათ აქენდათ განუსაზღვრელი უფლება, რაც სურდათ, ყმებს მას უზავდენ, როგორც სურდათ ისე დაჰყიდდენ.

თავად-აზნაურ მებატონეთაგან გაჩაღებული იყო ყმათა გასყიდვის ვაჭრობა. ქართველთ შეილებს სპარსეთს, შირვანს და სხვა ქვეყნებში ჩარდახიანის ურმებით მიერეკებოდენ და ჰყიდდენ იქ კი ფასად. ამათი გასავალი ბაზრები არსებობდა სპარსეთში თავრიზს, თეირანს, ხოსროვს და სხვა ასეთ უშორეს ადგილებში. ოსმალეთს არსებობდა ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ კონსტანტინეპოლს, ქურთისტანს, დიარბეჭირს, შამს და სხვა ადგილებში; მის მერე სამცხე-საათაბაგოს ოსმალთაგან დამორჩილების შემდეგ ქართველთ შეილების სავაჭრო ბაზრები დიმიართა ტრაპიზონს, ბათუმს, ართვინს, არტანს, ლაზისტანს, ახალციხეს და თვით ასეთ ახლოს მდებარე ქალაქებში, რომელნიც ოსმალთ ეკავათ და იგინი საქართველოს მფარველობის ქვეშ აღარ იყვნენ.

ბათუმში რომ ყმათა დასყიდვის ბაზარი იყო ეს ცხადი საქმეა. თვით ასეთ ყმათა მყიდველთ თავიანთი საკუთარ სახელიც კი ერქვათ, სახელდობრ — „გოთაულეები“. გოთაულობა—ყმების გაყიდვ-გამოსყიდვაა. იქ ქართველ ყმათა დასყიდვის გამო აი რასა სწერს საბა ორბელიანი, როცა ეს ევროპიდან დაბრუნდა საქართველოში და 1715 წ. თან რომიდან 12 კათოლიკეს ბერი მოიყვანა. ესენი ბათუმში რომ მოსულან და ხმელეთზედ გადმოსულან, იქ მათ კარგათ გაუგონიათ დიდი გოდების და ტირილის ხმა, რომელიც გამოისმოდა ერთის დატვირთულის გემიდან. კათოლიკის ბერებს ამ ტირილის ამბავი უკითხავსთ. საბასაც მალე შეუტყვია. სწერს იგი თავის „მოგზაურობაში“: შევიტყვე, რომ ის მომტირალნი თურმე იყვნენ ყმანი მებატონეთაგან დასყიდულნი, რომელნიც უყიდნიათ ოსმალთა ვაჭრებს და ახლა ამ ნასყიდებს მიერეკებიან ოსმალეთში დასაყიდათა, ამიტომ ეს გასყიდულნი რადგანაც შორდებიან და ესალმებიან თავიანთ ქვეყანას, მიტომ ტირიან და მოსთქვამენ გაოდებასაო. ამ ამბის შეტყობით საბა ორბელიანს დიდათ შერცხენია, უცხო მისიონერთათვის



არ უთქვამს სისწორით. სწერს: „შემრცხვა, როგორ ვეტყვოდნენ ქართველმა ქართველები დასყიდეს ოსმალებზე“.

აქ ყველაფერი ცხადად სჩანს, რომ ქართველთ ყმათა დასყიდვა წარსულს, ანუ ქართველთ მეფობის დროსაც სკოლინად. ხოლო ისიც კი უნდა ითქვას, რომ მებატონენი ნაეზადობდნენ უფრო მაშინ, როცა მათ მეფედ ჰყვანდათ უძლეური ვინმე, მათი ზნისა და ხასიათის ამყოლი, მათგან შემონებული, როცა ეს ასე არ იყო, მაშინ იგინი ამას ვერც ზედადდნენ. საერთოდ კი ქართველთ ყმათა დასყიდვის ხანა იწყება იმ დღიდან, როცა საქართველოს ერთ სამეფო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ განსქდა. ნამეტურ ეს სენი მათში აღორძინდა უფრო და დაწინაურდა იმ დღიდან, როცა ოსმალები გაძლიერდა და როცა მათ სამცხე-საათაბაგოც სრულიად დაიმორჩილეს, ესე იგი XVII საუკუნ. დამდეგიდამ. მაინც ჩვენ ამაზედ არ ავხიბდებით, შეიძლება ეს სენი ქართველებში ძველის ძველიდანვე იყო, ხოლო ამ სენის ისტორიული მასალები კი იწყება ხსენებულის საუკუნიდამ.

ვიტყვი, რომ ყმობა ყველგან იყო, რუსეთს, ევროპას და სხვაგანც. ყმათა დევნა ყველგან იყო. თვით რუსეთში, მაგალითებრ არის ისეთი ცნობა, რომელიც მე გერცენის „კოლოკოლში“ წამიკითხავს შემდეგი ამბავი: რუსეთის ერთ რომელიღაც გუბერნიაში, ერთს მებატონეს ლეკების მყოლი ძეკნა მოკდომია, ლეკებს ქნავილი დაუწყიათ, ამიტომ ბატონს თავის საყმოში ერთი მაწოვარი რუსის გლეხის დედაკაცი მოუძებნია, რომელიც ამ ლეკებს ძეძუს აწოვებდა. ამის ცნობა გერცენის „კოლოკოლში“ 1857 წ. არის დაბეჭდილი. ამას გარდა მათში ყმების დასყიდვაც იყო, დევნაც, ცემაც და ტყეპაც, ერთის სიტყვით ყოველისფერი ის, რაც კი ჩვენში იყო, ხოლო ჩვენი უარესობით სჭარბობდა მათსას მით, რომ იქ ხშირად ყმებს მებატონე რუსთაგან, მებატონე რუსი გლეხნი ყიდულობდნენ, ან ვაქრები და მით რუსეთს რუსის ხალხი ძეძუებდნენ არ ეგლოჯებოდა, არ უშვირდებოდა ხალხთა რიცხვი. აქ კი უბედურება იყო იმაში, რომ ქართველ მებატონენი თავიანთ ყმებს ჰყიდდნენ ოსმალ სპარსელებზედ, ასევე სხვა უცხოელებზედაც, რომელნიც თავიანთ ნაყიდებს რეკავდნენ იქითკენ, საითაც უნდოდათ და ამიტომ ქართველ ყმანიც აკლდებოდნენ საქართველოს, ქართველობას, რაის გამო მკიდებოდა საქართველოში ქართველობა და რამაც მართლაც დასცა იგი და შეამცირა დიდათ.

თუმც ჩვენ ვსთქვით, რომ როცა ქართველებს ძლიერი მებრძოლი ჰყვანდათ, მაშინ მებატონენი ვერ ბედავდნენ ყმათა დარბევად-დაყიდვასო. მაგრამ ამის წინააღმდეგია შემდეგი: ყველამ ვიცით, რომ XVIII საუკუნის გასვლამდის, ქართლსა და კახეთში მეფობდა ძლიერი ერეკლე მეფე, მაგრამ როგორც სჩანს, თვით ამ ძლიერი მეფის დროსაც ყოფილა ყმათა შეწუხება და დასყიდვა, ამის მაგალითია წიგნი „კალმასობა“, სადაც დამწერი ამ წიგნის ერთ ალავას ასე ლაპარაკობს ყმების შესახებ: ივანე ხელაშვილს, „კალმასობის“ გმირს, მგზავრობა მოუხდა საციციანოში, იქ მან ნახა თავადის ციციშვილის სახლში, ერთ ბოსილში დამწყვედულნი ყმათა შვილები, რომელნიც თურმე სასტიკად ტიროდნენ და ბლავოდნენ.

ეს ამბავი ივანე ხელაშვილმა გამოიკითხა და გაიგო ყოველ-სფერი. მერე ვახშამზე ციციშვილის კნენიას შეელაპარაკა ივანე ხელაშვილი, რომ ჩვენ აქ ასე ვლხინობთ და იქ კი ყმანი ისე ტირიან და გოდებენო. ამ სენმა დაგვლუბა და ამიტომ ვითხოვ მათ გათავისუფლებასო. კნენიამ მოისმინა და პასუხი ასე მისცა:

რას ამბობთ, ეგენი დაისყიდებიან და მავით დიდ ბედნიერებასაც მიალწევენ, მისირს და ოსმალეთს მთლად რაც დიდი ფაშები არიან, სულ აქედამ არიან ვაყვანილები და დასყიდულებიო. ეს ბედნიერება არის მათთვისაო. იგ. ხელაშვილმა პასუხი აგო, ეგეთი ბედნიერება რაღა უნდა იყოს—არაფერიო, როცა კაცი თავის სამშობლოს მოშორდებაო, უსამშობლოდ კაცის ბედნიერება არაფერი საღირაალიაო. ამაზედ ლაპარაკი მოუხდათ და გამოირკვა, რომ ამ ციციშვილების ყმათა საქმე მინდობილი აქვს თავ. აბაშიძესაო, რომელსაც კარგად სცოდნია ყმათა ვაჭრობის საქმე ოსმალეთში, მათთან მგზავრობა, მაზანდა და სხვანი. ლაპარაკი ისე დამთავრებულა, რომ ივანე ხელაშვილისათვის უთქვამსთ თავ. ციციშვილებს, თქვენ ჩუმათ იყავით, თორემ იმ ყმა დასაყიდ ქრისტიანებს თან მღვდელი და დიაკვანიც ეჭირებათ და მიტომ თქვენც თან გაგაყოლებითო. მერე ესენი გაუფრთხილებიათ, ლაპარაკს თავი გაანებეთ, თორემ თქვენც იმ ყმებს მიგაყოლებენ ოსმალის ახალციხეში დასაყიდათო. ისე გათავ-ბულა საქმე.

მინც ერეკლეს მეფობის დროის ბარათებიდან კარგათ სჩანს, ამ მეფის მეფობის დროს, საქართველოში მებატონენი თავიანთ ყმებს ამზითებდნენ კიდევ, მასთან ჰყიდდნენ, აგირავებდნენ და გაასაჩუქრებდნენ კიდევ. XVII და XVIII საუკუნეები ასეთ საქმეთა მოწამეა.



საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

და ამას უარს ვერაინ ჰყოფს, ხოლო სამწუხაროდ ყმათა გასწორების  
შესახებ კი ბევრი ცნობები არ გვაქვს და გამზითვების, შეწირვის,  
განსაჩუქრების შესახებ კი მასალები ბევრი რამ არის დაშთენილი.  
XIX საუკუნის დამდეგიდამ კი ამ სენის საქმე უფრო სასტიკდება,  
იგი უფრო ბოროტებით იმოსება, მეტატონეთ ეძლევა განუსაზღვრე-  
ლი უფლება, იგინი იკრებენ დიდ ძალას და შემძლებლობას და ყო-  
ველივე ამას-კი ისე არავის წინააღმდეგ ხმარობენ მარტოდ, როგორც  
თავიანთ ყმების, მონების და სხვანი. ეს რომ ასეა და ნამდვილი, ამას  
ასაბუთებს თვით ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობებიც, რომელნიც მოგ-  
ვყავს აქ და რომელნიც შეკრებილნი არიან დიდის კდით და შრო-  
მით. ყველა ესენი დაწერილია თანამედროვე კაცთა ნაამბობის ცნო-  
ბებით, სხვადასხვა ძველის ბარათებიდამ, სხვადასხვა საჩივრების დ  
სადავო წერილებიდან.





## ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ა .

ალ. ორბელიანი სწერს: „საქართველოში ბატონყმობა მამა-შვილობა იყო“. ამ მამა-შვილური ბატონყმობის სიკარგესა და სიკეთეზე ჩვენ აქ მისივე ალ. ორბელიანის სიტყვით არაფერს მოვიყვანთ. მხოლოდ ჩვენით კი დავძენთ შემდეგსაც:

კაცი სულ მოუმზადებელი და უსწავლელი უნდა იყოს, რომ სთქვას: საქართველოში მებატონენი სულ ბოროტები იყვნენ, ან სულ კეთილნიო. ბატონყმობა ყველგან იყო, მთელ ევროპას და აზიაში. ამ წყობილებას დიდი ისტორია აქვს. მებატონეთა შორის, ყველგან, მთელს დედამიწის ზურგზედ ზოგი ეშმაკი იყო და ბოროტი, ზოგი ანგელოზი და კეთილი. ასევე გახლდათ ჩვენშიაც. ჩვენშიაც ზოგი მებატონე ბოროტი იყო თავის ყმების წინაშე და ზოგი კეთილი. ჩვენ ამის უარს არ ვყოფთ, ხოლო სადაც კეთილი იყო, იქ მათ გვერდით ბოროტებიც გახლდნენ. ჩენი წიგნი ეხება მხოლოდ ასეთ ბოროტების ნაწილს, მხოლოდ ასეთ დაწყვეტილ პირებს და არა მთელ თავად-აზნაურობის წოდებას.

ჩვენ წიგნში ეს ასე გახლავსთ მით უფრო, რადგანაც ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ქართველ მებატონეთა შორის იყვნენ ისეთი მებატონე თავად-აზნაურები, რომელნიც მართლაც თავიანთ ყმებს საკმარისად უფრობილდებოდნენ.

თავად-აზნაურთა შორის იყვნენ ისეთი პირნი, რომელთაც თავიანთ ყმათა უბედურება თვის უბედურებათ მიაჩნდათ. ამიტომაც ყოველ უბედურების დროს, ესენი თავიანთ ყმების დიდი მოსარჩლენი იყვნენ.

თავად-აზნაურთ შორის იყვნენ ისეთი პირნი, რომელთაც თვისი ყმის სიხარული და ბედნიერება თვის ბედნიერებათ მიაჩნდათ, ამიტომ ესენი ყოველ გლეხის სიხარულს თვის სასიხარულო საქმედ სთვლიდნენ.

თავად-აზნაურებში იყვნენ ისეთი პირნი, რომელნიც თავიანთ ყმათა გაჭირვების დროს სახლში მოვიდოდნენ და ნახავდნენ, მაგა-



ლითებრ აყადმყოფობის დროს, ან თუ სხვა რამ ამგვარი შედეგები ექნებოდათ.

თავად-აზნაურებში იყვნენ ისეთი პირნი, რომელნიც თავიანთ ყმა აყადმოყოფ გლეხს ექიმს მიუყვანდენ, წამლის ფულს მისცემდენ, ექიმს ამკურნალებდენ, სახლში თუ რამ მარაგი აკლდათ, ყოველთვის გაუჩინდენ.

თავად-აზნაურებში იყვნენ ისეთი პირნი, რომელნიც შინშილობის, ანუ მოუსაველობის დროს, როცა მათ ყმებს ჰური შემოაქლდებოდათ, მაშინ ბატონი უშოვნიდა მას და მისცემდა ან სესხათ ან საჩუქრათ.

თავად-აზნაურებში იყვნენ ისეთი მებატონენი, რომელნიც თავიანთ ყმებს ქალებს გაუთხოვებდენ, თუ ზითევი არ აქვდა, მაშინ ზითევს მისცემდენ, ზოგჯერ გლეხს თავის მიწა-მამულზე შეიყვანდენ სიძეთ და დაასაზღებდენ.

თავად-აზნაურებში იყვნენ ისეთი მებატონენი, რომელნიც თავიანთ ყმებში რომ ტიტლიკანა ან ფეხშიშველი ენახათ ვინმე, იმათ მაშინათვე შემოსავდენ.

თავად-აზნაურებში იყვნენ ისეთი პირნი, რომელნიც თავიანთ ყმებში რამე საქონლის ნაკლი რომ ენახათ, მაგალითებრ ყმას ცხენი მოუკვდა, ან ძროხა არ ჰყვანდა, ან ხარკ-კამეჩი და ასეთნი, მაშინ მას ყოველივე ასეთებს ბატონი აძლევდა.

თავად-აზნაურებში იყვნენ ისეთი მებატონენი, რომელნიც თავიანთ ყმებს ყოველ სადავო საქმის დროს ჰპატრონობდენ. ვისთანმე დაჟა ექმნებოდათ, ან ჩხუბი რამეზედ მოუვიდოდათ, ან სხვა ასეთი რამ საქმეების გამო საჩივარი ექნებოდათ, მაშინ ბატონი იყო მისი ვეჭილი და ყველგან იგი იცავდა ყმასა და ჰპატრონობდა.

თავად-აზნაურებში იყვნენ ისეთი მებატონენი, რომელნიც თავიანთ გლეხებს ყოველ დიდს გასაჰირში გვერდს უდგენენ, მაგალითებრ ცეცხლმა გადასწვა, ან დაისეტყვა, ან მტერმა აიკლო, იგი ამით გაღატაკდა, დაკაროიელდა, მაშინ ამას ბატონი ჰპატრონობდა და დაცემულს, დამწვარ-დადაგულს, აღდგენას უხერხებდა და ოჯახის მოწყობას.

თავად-აზნაურებში იყვნენ ისეთი მებატონენი, რომელნიც თავიანთ ყმათ ქორწილშიაც დაესწრებოდნენ, ასევე ნიშნობაში ან სხვა რამ წვეულებაში და ამითი იგინი ყმებს დიდს საპატიო ვალს სდებენ ხალხის წინაშე.



თავად-აზნაურობაში იყვნენ ისეთი მებატონენი, რომელნიც თავიანთ ყმათა დასაფლავებაში და ტირილშიაც დაესწრებოდნენ და მასთან წასაბურავსაც მიუტანდნენ და თუ გლებს აკლდა რამე, ამასაც მისცემდნენ. ასეთ მწუხარების დროს ყმის ოჯახში ბატონის მთელი საბლეთლობა დაესწრებოდა.

თავად-აზნაურობაში იყვნენ ისეთი მებატონენი, რომელნიც თავიანთ ყმათა შვილებს ზრდიდნენ, ჰპატრონობდნენ და არაფის აჩაგვრინებდნენ, ნამეტურ დედა რომ გათხოვილიყო მეორე ქმარზედ ან კაცს შეერთო მეორე ცოლი, რომ ამათის წყალობით ობლები არ დაჩაგრულიყვნენ, შით ხელიდამ არაფერი დაჰკარგოდათ.

თავად-აზნაურობაში იყვნენ ისეთ მებატონენი, რომელნიც თავიანთ ყმათა შვილებს ხელოსნობაზედაც აბარებდნენ შაგირდათ და ხელოსნათ ზრდიდნენ, იგინი ხელოსნებათ გამოჰყვანდათ.

თავად-აზნაურობაში იყვნენ ისეთ პირნი, როგორც კაცნი, ისევე დედაკაცნი, რომელნიც თავიანთ ყმათა შვილებს, გოგო ბიჭებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდნენ და კითხვაში ამზადებდნენ.

თავად-აზნაურთა ოჯახებში იყვნენ ისეთ მებატონეთა ცოლნი და ასულნი, რომელთაც კარგად იცოდნენ ჭრა, კერვა, ქარგვა, ქსოვა და თვით საქმელების მოხარშვაც. ამიტომ ყოველივე ამებს იგინი თავიანთ ყმათა გოგოებსაც ასწავლიდნენ და ამზადებდნენ ყოველივე ცოდნით.

თავად-აზნაურობაში იყვნენ ისეთ მებატონენი, რომელნიც თავიანთ გლებებს ყმაწვილებსაც უნათლავდნენ, ყმათა ოჯახში მირონი შეჰქონდათ.

თავად-აზნაურებში იყვნენ ისეთ მებატონენი, რომელნიც ყმას სახლის კეთების დროს, სოფლის ხალხით ეხმარებოდნენ, ამას გარდა მასალითაც დახმარებას აძლევდნენ, ასეთ დახმარების გარდა მათ ყმის დივალანების დროს ვალსაც უხდიდნენ.

თავად-აზნაურობაში იყვნენ ისეთი მებატონენი, რომელნიც ყმათა საოჯახო საქმეს ყურადღებას აქცევდნენ და თუ ოჯახში ვინმე ბოროტი იყო ნათესავთა შორის, ან ლოთი კაცი იყო, მოიხუბარი, მოურიდებელი, ზრბი შვილები, ან ცუდი ყოფა-ქცევის, მპარავი, ან სხვა რამ ასეთ ნაკლის მქონი, ყველა ამას მებატონე სპობდა მათში და ყველაფრის დარიგებას აძლევდა, დამშვიდებას, ყოველივე აურზაურს, შურს და მტრობას სპობდა მათში.



თავად-აზნაურობაში იყვნენ ისეთი მებატონენი, რომელმაც გლეხებს დღესასწაულებში სახლობით ესტუმრებოდნენ და დროს ატარებდნენ.

ჩვენ ეს ოცი მხარე დავასახელოთ ქართველ თავად-აზნაურთა კეთილ მოქმედების და თვისების. ესეც კმარა ამის საბუთად, ხოლო ისიც ითქმის, რომ აქ მოთვლილ საქმეთა გარდა სხვებიც ბევრი რამ კეთილი დამოკიდებულება არსებობდა ქართველ თავად-აზნაურთ და გლეხთა შორის.

ამას ითხოვდა თვით ჩვენი შინაური პოლიტიკური ცხოვრებაც, ქრისტიანური სჯული, მაჰმადიანთ მტრობა, აზავება, თავდასხმა და ომები, როცა მტრის წინაშე, ბრძოლის ასპარეზზედ, ბატონი და ყმა ერთ ტაფაზედ იყვნენ, ერთად ომობდნენ, ერთად ღვრიდნენ სისხლს, მათი უბედურება საერთო იყო, მათი ზარალი, დამარცხებაც საერთო ვაება იყო და საერთოთ ოჯახის ვაებაც. ეს ისტორიულად ცხადი არის და ჭეშმარიტი.

ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ თქვენნი მტერი, ჩვენი საქმე იქნებოდა, მაშინ ქართველთა ერთი მტკაველი მიწაც აღარ დარჩებოდა, საქართველოში ერთი ქართველი კაციც აღარ იქნებოდა დღეს ცოცხალი. გვითქვამს და კიდევაც ვიტყვით, რომ ძველად, ქართველთ შორის, თავადი, აზნაური და გლეხი, ერთ ქართულ, საქართველოს ძალას წარმოადგენდა. ეს ერთობლივობა რომ არ ყოფილიყო, უამისოთ არც ჩვენ ვიქნებოდით დღეს. ასე იყო მოწყობილი ჩვენი ერის საქმე.

I.

გაბონუმება კარტლუი

მასალეზი.

1431

## სოფ. ურბნისის ბატონის ამბავი.

ამ ამბის მომთბრობმა სახელი არ იცოდა არც ურბნისის მებატონის და არც სხვათა, არც მომხდარი ამბის დრო ახსოვდა, ანუ წელიწადი, ამიტომაც ჩვენც ასე უთარილოთ ვსწერთ. ამ ამბავს.

სოფ. ურბნისის მებატონე დაჩვეული იყო პირველ ღამეს. ეს მებატონე ერთხელ ერთ გლეხს ჰკითხავს შემდეგს:

— კაცო, შენი შვილი უკვე 25 წლისა არის და რატომ ცოლს არა ირთამს?

გლეხმა აუწყა ბატონს შემდეგი:

— მე ჩემ შვილს შევეკითხე ამის მიზეზებსაო. ამის მერე გლეხმა კაცმა ჰკითხა თავის შვილს მისი მიზეზები ასე:

— შეილო ჩემო, რატომ შენ ცოლს არ ირთამ, შენი დრო უკვე მოსულია და რასა ფიქრობ ამაზე!

შვილმა მოისმინა მამის კითხვა და რჩევა და ასეთი პასუხი მისცა:

— მე ცოლს შიტომ არ ვირთამ, რადგანაც მე ჩემს ცოლს პირველ ღამეს ჩემს ბატონს არ დაუთმობ.

გლეხმა მოისმინა შვილის სიტყვა და მიზეზები და შიტომ მას აღარაფერი უთხრა.

ეს ამბავი გლეხმა თავის ბატონს უამბო ისე, როგორც მას შვილმა უამბო, თუ ცოლს რატომ არ ვირთამო.

ბატონმა პირობა მისცა გლეხ კაცს ასე:

— ოღონდ შენმა შვილმა ცოლი შეირთოს და მე პირობას გაძღვეთ, რომ პირველ ღამეს მე მას ცოლს არ წავართმევო.

ეს პირობა გლეხმა თავის-შვილს უამბო. შვილიც დარწმუნდა პირობაზე და საცოლეთ ქალსაც დაუწყო ძებნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ საქმე მოეწყო, ბიჭმა საცოლეთ ქალი იშოვნა. მალე ცოლიც შეირთო. ამ დროს ბატონმა გლეხს შარი მოუდო და ცოლის თხოვნა გაუძნელა გლეხს, მაგრამ გლეხი მაგრა დაუდგა. ამის გამო ბატონმა ცოლის მოტაცება ვანიზაბა და ერთ



ლამეს ყმის სახლისაკენაც წავიდა, იქ ბატონს დახვდა გლეხი, უმარავესა  
ქალისა.

გლეხსა და ბატონს ლაპარაკი მოუხდათ, გლეხს თანა ჰქონიყო  
გატენილი დამბაჩა, ამ ბატონს ესროლა დამბაჩა და აქვე შიშით  
დასჭრა. დაჭრილი ბატონი არ მოკვდა, მორჩა. იმ დღიდან ბატონმა  
პირველ ლამის მიმდევრობასაც თავი დაანება, იმასაც ამბობდენ,  
რომ დაკოდის ბატონს გლეხმა პირობა ჩამოართვა ასე:

— ბატონო, თქვენ დაჭრილი ხართ და სიტყვა მომეცი, რომ  
ამიერიდან პირველ ლამეს თავს დაანებებ, თორემ ეხლავ აქვე მოგ-  
კლავ და გაგათავებ.

ბატონმა პირობა მისცა ასე:

— ოღონდ ნუ მომკლავ და პირობას გაძლევ ფიცით, რომ ამიე-  
რიდამ მე მაგას აღარ ვიზამ.

მართლაც ბატონმა იმ დღიდან ამ პირობებს თავი დაანება  
და მის შემდეგ მან კიდევ იცოცხლა კარგა ხანს.

### სოფ. წვერის მებატონეთა ამბავი.

სოფ. წვერის მებატონენი არიან ავალიშვილები, ამ ბატონის  
სახელი ამ ამბავს მომთხრობს აღარ ახსოვს.

ამ სოფ. წვერის მებატონის ამბავიც, რასაც სიტყვით სიტყვას  
ვსწერ:

სოფ. წვერის მებატონეს ჩვეულება აქვდა პირველი ლამისა.

ერთმა გლეხმა კაცმა ცოლი შეირთო და ბატონის ბრძა-  
ნება არ შეასრულა, ამიტომ ამ გლეხს ბატონი გადაეკიდა. ერთ  
დღეს ბატონმა გლეხს ასეთი წინადადება მისცა:

რადგანაც შენ ჩემს ბრძანებას არ ასრულებ, ამიტომ მე შენ აი  
რას გეტყვი: მე ეხლა მუშა მყავს, შენ ამ სამ დღეს ჩემს მუშებს  
პური აჭამე და იყოს შენი ნება, შენგან ამის მეტი არაფერი მიწადა.

გლეხმა კაცმა პირობა მისცა და საქმე ასეთის პირობით გა-  
თავდა.

ეს გლეხი იყო გვარად პასანაძე. ეს შეუღდა მუშების გამოკვების  
სამზადისს, ამასა ჰყვანდა სამი ხარი.

დღეში თითო ხარს ჰკლავდა და მუშებს აჭმევდა, მუშები ისე  
დიდი რიცხვის იყო, რომ მათ დღეში ერთი ხარი არა ჰყოფნიდა.

სამი დღის განმავლობაში გლეხმა პასანაძემ დაკლა თავისი სა-

მი ხარი, ამასთან მას პურიც ბევრი დაეხარჯა, ისე რომ დღემდე მათონე პური ცხვებოდა მთელ დღეს და ესეც ძლივს ჰყოფნიდა მუშებს. ამას გარდა რაც კი ღვინო ჰქონდა მარანში, ისიც სულ დაუხარჯეს. სამი დღის შემდეგ მორჩა ამ პირების საქმეც და გლეხი პასანაძეც დარჩა ცარიელი და აღარაფრის მქონე სახლში.

ამის მეოხებით გლეხ კაცის ოჯახი ძრიელ დაეცა და გაღარიბდა, ნამეტურ მის ცხოვრებას უჭირებდა ის გარემოება, რომ მას ხარები აღარა ყვანდა და ამიტომ ხარების მავიერობა ამ გლეხს უნდა გაეწია თავის ზურგით.

ამიტომ გლეხი ამაზედ დიდათ გაბრაზდა, მაგრამ ამ გაბრაზებით რას იზამდა—არასდერს. მის გაქარვებას შველა არსაიღამ ეძლეოდა, ლელავდა მით უფრო, რომ ხშირად მთელს დღეებს მშვივრები აღამებდნენ. აღარც ხარები ჰყვანდა, აღარც ღვინო ქვევრებში და აღარც პური აქვდა. ესეთი გარემოება გლეხს სასტიკად აღონებდა.

ერთ დღეს, ეს გლეხი თავის ბატონს დაეცა კარავში, იმ დროს ბატონს ეძინა, პასანაძემ თავის ბატონს უცბათ ხანჯლით თავი მოსჭრა, მას შემდეგ თითონაც გაიქცა ახალციხეში და იქ შეაფარა თავი.

ეს ამბავი უნდა მომხდარიყოს 1828 წლებზედ წინეთ, რადგანაც ახალციხე 1829 წლამდის ოსმალებს ეკავათ და ქართლიდამ გაქცეულნი იქ აფარებდნენ ოსმალოს მფარველობის ქვეშ 1828 წლებამდის. ახალციხე რუსებმა აიღეს 1828 წ. შუა რიცხვებს და მიტომ მის შემდეგ იქ ქართველთ გლეხებთა და სხვა დამნაშავეთა რიცხვიც მოისპო მის შემდეგ.

გლეხი პასანაძე ახალციხეში დარჩა, ცოლიც იქ გადიყვანა და მის მერე იგი იქ გაათათრდა თურმე. გვარათ მას პასანაძეც უწოდეს.

## 2. შაფხე მარისტავი და მისი შვა გლეხი შაჩალი მინა ნუქრაძე.

ქართველის მწერლის, სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვით, გლეხი მინა ნუქრაძე, ისეთივე ისტორიული პირია, როგორც თავის დროს არსენა ოძელაშვილი. ერთ დროს ეს მინა ნუქრაძე სხვადასხვა ბოროტ ბატონების წყალობით ყაჩაღთ გავიარდა.

ყაჩაღობდა ძრიელ ოსტატურად, იგი სდევნიდა მხოლოდ ავ-კაცებს, ნამეტურ ავ-მემატონეებს. ერთხელ ეს მინა ნუქრაძე, სოფელ



კვარხითის წყაროზედ მივიდა, იქ იმ დროს ერთი ქალი წყალს იღებდა, ეს ქალი ამ მიზა ნუკრადეს ძრიელ მოეწონა, ამიტომ ამ ქალს ნუკრადემ ვინაობა ჰკითხა, ვისი ქალი ხარო.

ქალმა უამბო თავისი ვინაობა. ამ დროს ქალს თავის დედა ეძახოდა სმა მალლა:

მალე მოდი და წყალი მოიტანეო.

ამ ქალმა წყალი მალე წაიღო შინისაკენ და თავის მამას ამბავი უმბო, რომ წყაროზედ ნუკრადე ვნახე და ჩემი ვინაობა მკითხაო. ამ ამბავმა გლეხი ძალიან დააფიქრა, ეს მაშინვე ნუკრადესკენ წავიდა, ნუკრადეს სიყვარულით სალამი მისცა.

ნუკრადეც მიესალმა. ამათ ლაპარაკი დაიწყეს და მერე ნუკრადე გლეხმა თავის სახლში მიიწვია. ნუკრადეც წავიდა მასთან სახლში, რადგანაც იცოდა, რომ წყაროზედ მისგან ნახული ქალი ამ გლეხის შვილი იყო. ესენი მალე მივიდნენ სახლში.

გლეხის ცოლმა მალე მოამზადა საქმელი, ერბო-კვერცხი, ქათამი, ლენო, ყველი და სხვანიც, მალე გააწყვეს სუფრა. პურის ჭამის დროს, გლეხს სახლში ბატონის კაცები მოუვიდნენ და აღუწყეს, რომ ბატონმა შემოვიტოვალა, რომ შენი ქალი ეხლავე აქ გამოგზავნიო.

გლეხი კაცი და მისი ცოლი ამაზედ ძლიერ შეშინდნენ, მიზა ნუკრადემ უთხრა ბატონის კაცებს ასეთი სიტყვა:

წყლით და ბატონს უთხარიო, რომ ეს ქალი ჩემი ცოლია და ამიტომ ამას მე მას არ ვანებებო. საქმე ისე მოეწყო, რომ ნუკრადე ამ ქალზედ მალე დაქორწინდა. ეს ამბავი შამშე ერისთავმა არ დასთმო და შემდეგ მოახერხა ისიც, რომ ერთ დროს მიზა ნუკრადეს ცოლი მოსტაცა სახლიდამ.

ეს ბოროტება ნუკრადემ არ დასთმო, ერთ ალაგას ბატონს დავა და მოკლა. მის შემდეგ ეს უკვე გახდა აშკარა ყაჩაღი და სახელიც გაუფარდა, რადგანც მან მოკლა ბოროტი ბატონი, ამ ბატონისაგან მთელი მისი სოფლის გლეხები შეწუხებულნი იყვნენ. ამავნე ნუკრადე მიხამ მოკლა რევან ამილახვარიც, რომელიც სასტიკი, ბოროტი და მდივნიელი იყო გლეხკაცობისა.

### რევან ამილახვარის ამბავი.

რევან ამილახვარი იყო სოფ. კვარხითის ბატონი, იგი იყო ბოროტი კაცი, იყო ავხორცი, ბევრის ავობით სავსე გლეხკაცებზედ. ამან დიდათ შეაწუხა თავის გლეხები, იყო დიდათ მიმდევარი პირველი ღამის.

ამილახვარს ჰყვანდა ძმებიც: ივანე, ოთარი და კონსტანტინე. ყველა ესენი სცხოვრობდნენ ოთარაშენს და ტინის ხიდში, დიდი ლიახვის პირად, გორიდან ორ ვერსზედ. რევაზის ავ-კაცობამ დიდათ შეაწუხა გლეხ-კაცობა. ამ ბოროტის დროს, მის საყმონში ვერც რძალს მოიყვანდა ვინმე და ვერც ქალს გაათხოვებდა, რომ მისთვის ბატონს არ ევნო პირველის ღამით.

იმ დროს ქართლში ყაჩაღათ გავარდნილი იყო გლეხი მიხა ნუკრადე. ქართველი მწერლის სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვით, ეს გლეხი მიხა ნუკრადე ისეთივე ისტორიული გმირია, როგორც თავის დროს, არსენა ოძელაშვილი. ერთ დროს, ეს მიხა ნუკრადე სოფ. კვარხეთის ახლოს იფარავდა თავს. ამის ყაჩაღათ გავარდნის მიზეზი ის იყო, რომ მან მოკლა თავის ბატონი შამშე ერისთავი, ამის მოკვლის მიზეზი. კი ის იყო, რომ ერისთავმა ნუკრადეს ცოლი წაართვა, თავის ყმის ქალი, ეს ერისთავი სცხოვრობდა სოფ. კარალეთში, ძველი ნაქარმაგვეი.

ერთხელ სოფ. კვარხეთელეებმა მიმართეს მიხა ნუკრადეს და შესჩივეს თავიანთი მწუხარება და ბატონის ავ-კაცობა, დაავალეს ბატონის მოკლა. ნუკრადემ შეისმინა გლეხების თხოვნა და დაჰპირდა მათ დავალების აღსრულება.

ამის შემდეგ კვარხეთელეებმა ნუკრადეს უჩვენეს ბატონის სახლი. ნუკრადე ჩავიდა სოფ. კვარხეთს, მან ბატონის სახლი ნახა, დაათვალიერა. იმ დროს ზაფხული იყო და ბატონი კარში იძინებდა, აივანში. ნუკრადემ გლეხებს უთხრა:

შე თოფს არ დავაცდენ, ისეთ ალაგს მოვარტყამ, რომ სიკვდილი აუცილებელი იქნება, მაგრამ რევაზ ამილახვარს ვაეკაცათ აქებენ, თუ ვინიკობაა, ერთი ტყვიით ვერ მოვკალ, ის ჩემსკენ გამოიწივს, მანამ მე თოფს მეორედ გაფტენ, თქვენ უნდა ცულებით შემოცვივდეთ აივანზე და უნდა დაჩხოთ.

ამის შემდეგ ნუკრადე შეუდგა საქმას სამზადისს, თოფი გატენა და რომ მომართა, იმ დროს თურმე ნუკრადემ ამილახვარს შესძახა ასე:

— ამილახვარო, ნუკრადე ვარო.

ამის თქმა და სროლა ერთი იყო. ამილახვარი დაიჭრა, არ მოკვდა, იატაკზე დაეცა თურმე, წაჩოქილმა თურმე ხმალს სტაცა ხელი და გამწარებულმა აივანის ბოძებზე იყარა ჯავრი და ეს ბოძე-



ბი სულ დაჩება თურმე, ამ დროს, გლეხებიც აცვინდენ ცულელებით და სულმობრძავე ამილახვარი სულ დაჩებეს ცულეებით.

ამის გამომთავრობამ სოფლის გლეხები დაიჭირა და ბევრი მათგანი ციმბირში გადასახლეს ცოლშვილით. ეს ამბავი 1876 წელს სოფრომ მგალობლიშვილმა სოფ. მეჯვრისხევის სკოლაში გლეხებს მოთხრობასავეით წაუკითხა, გლეხები ალტაცებული დარჩენ, იქ თურმე კვარხეთელი გლეხებიც ერივნენ.

## ბატონყმობა ქართლში

(ფაქტიური შესწორებანი სოფ. მგალობლიშვილსა).

ჩემი პირველი წიგნის „ბატონყმობის ფაქტიურის მასალებში“ დაბეჭდილი ერთი ეპიზოდის შესახებ ასეთი გასწორება მომცა ცნობილმა მწერალმა, პატივცემულმა სოფრომ მგალობლიშვილმა, რომელსაც აქ ვათავსებ და მით ვასწორებ ჩემს შეცდომას:

პირველი შესწორება: ზაქარია! შენს წიგნის მასალებში შეცდომებია ალბად ეს ცნობა სწორე ვერ გადმოქცეს, ვასწორებ ამას და შენც შეასწორე შემდეგ ტომებში.

„რევაზ ერისთავი და მის ყმის ცოლის ამბავი“.

სოფ. კვარხეთის ბატონი იყო არა რევაზ ერისთავი, არამედ რევაზ ამილახვარი, აშორმაზი, ავბორცი, ახოვანი. ამას ჰყავდა ძმები: ივანე, ოთარი და კოსტანტინე, რომლებიც სცხოვრობდნენ სოფ. ოთარაშენს და ტინის ხიდში, დიდი ლიხვის პირად, გორიდან ორს ვერსზედ.

იგი მოჰკლა მიხა ნუკრადემ, ეს ნუკრადე ისეთივე ისტორიული პირია, როგორც არსენა ოძელაშვილი. კვარხეთი საამილახვროს სოფელია, ერისთავს აქ წილი არა აქვს, კვარხეთელები ვერც რძალს მოიყვანდნენ, ვერც ქალიშვილს გაათხოვებდნენ: პირველი ღამე ბატონი ამილახვრისა იყო.

შესწუბდა ხალხი, ამ დროს ნუკრადე ყაჩაღათ იყო გავარდნილი შალიკა (შამში) ერისთავის მკვლელობისათვის. ამ შამშემ მას ცოლი მოსტაცა, თვისი ყმის შვილი. ეს ერისთავი სცხოვრებდა სოფ. კარალეთში (ძველი ნაქარმაგვეი). აი, ამ კვარხელებმა მიმართეს ამ ნუკრადეს საშველად. ნუკრადე ჩავიდა კვარხეთს, თითონ გვერდისძირელი იყო. გვერდის ძირი ჰქვიან, იკორთიდან დაიწყობილ სოფლებს სოფ. ვანათამდე. (ორტევამდე).



კვარხელებში აჩვენეს ბატონს სახლი; ზაუბულია, ბატონი  
ვანზედ განისვენებს, თავით ტახტთან იარალი აქვნდა ჩამოკიდებუ-  
ლი. ნუკრადემ კვარხელებს უთხრა:

— მე თოფს არ ავაცდენ, ისეთ ალაგას მოვირტყამ, რომ სი-  
კვდილი აუცილებელი იქმნება, მაგრამ რევას ამილახვარს ვაქცაათ  
აქებენ, თუ ვინიცობაა, ერთი ტყვიით ვერ მოვკალ, ის ჩემსკენ გა-  
მოიწევს, მანამ მე მეორედ გაატენ თოფს, თქვენ ცულებით შეცვი-  
ვდით აივანზედ და დაჩებეთო.

სალამოს ეამია, ნუკრადე დაუპირდაპირდა ამილახვარს აივანზედ,  
გადმოიგდო და თოფი ამილახვარს შესძაბა თურმე:

— ამილახვარო, ნუკრადე ვარ.

ამის თქმა და თოფის გავარდნაც ერთი იყო. ამილახვარი ია-  
ტაკზედ დაეცა, წამოიჭრა. ეცა ხმაღს, წაიქცა, წამოჩოქალმა შემოპ-  
კრა და სულ მისჩება აივანის ბოძები; მეტი ვეღარ შესძლო; აცვი-  
ვდენ კვარხელები ცულებით და სულთ მობრძავე ამილახვარი ლუ-  
ქმა-ლუქმა აჩებეს ცულებითა.

ამ საქმის თავობაზედ რამდენიმე-კაცი ციმბირს გაგზავნეს. ეს  
ინბავი მე 1876 წ. მეჯვრის ხევის სკოლაში, წარმოდგენის შემდეგ,  
მოთხრობისამებრ წაუკითხე გლეხებს, რომელთა რიცხვში კვარხელები  
იცუნენ, ყველას დიდათ მოეწონათ.

ასე და ამ გვარათ, ამილახვარის მკვლელი იყო ნუკრადე მიხა და  
არა ნიკრადე, როგორც თქვენა გაქვსთ. 2. წერილში „თავადი ამი-  
ლახვარი“ არის ნათქვამი, ვითომ ის იყო სოფ. ბელოთელი, სოფ.  
ბელოთი საამილახვაროში, არც საერისთავოში არ არის. აქ უნდა ვი-  
გულისხმოთ ორი სოფელი: ბელოთი, ან „ბერბუეთი“ ბელოთში არ  
იქმნებოდა ეს, ვინაიდან ბელოთი სძევს პატარა ლიახვის ზეობაზედ  
და საერისთავო მამულია, ან სოფ. ბერბუეთი. ეს უფრო ნამდვილია,  
ვინაიდან ბერბუეთი საამილახვაროა, სოფ. კვარხეთზედ ახლოს  
მდებარე.

მეორე შესწორება: 164 გვერდზედ, ამბობთ. თქვენ:

რომ მამამზე ერისთავი მოჰკლესო. ეს არ მოუკლავთ, თავის  
დღით მოკლდა. ის მოკლა, ჩემ მიერ დასახელებულ ჯალღა ერისთავმა.  
მამამზე არ იყო „პირველი ღამის“ მიმდევარი.

იყო კი საშინელი სასტიკი მტანჯველი, გამყიდველი გლეხებისა  
ძალღზედ, მახსოვს, 1862 თუ 1863 წ. გაჰკიდა ერთი კომლი ქვე-  
შელი გლეხის ოჯახი ორს მწევარს ძალღში. მე ამაზედ მაქვს მო-  
თხრობა:—„მაგრამ შენც მოგივა დრო“.

II.

გატონფურჩი ურთიერებება ქარ-  
თველ ებრაელებუი

მასალეუი.

## ბატონყმობა ქართველ ებრაელებში.

ისტორიით ვიცით, რომ საქართველოს სამეფოს დაუძღვრების შემდეგ ქართველ ურიათა გლებ კაცები თითონ ეძებდნენ ქართველ ბატონებს და მათ ყმობას სთხოვდნენ. მიზეზი ის იყო, რომ იგინი ვაჭრობის მიმდევრები იყვნენ, ამიტომ იმედი აქვდათ, რომ ქრისტიანი ბატონები მფარველობას გაგვიწვევენ და მტრები არ აგვიკლებნენო.

ისიც უნდა ვსთქვათ, რომ საქართველოში ურიათა ყმა გლეხები მრავალათ ჰყვანდათ ყმებათ ქართველ თავად-აზნაურებს, ნამეტურ ქართლში. მარტო ზაზა'ა და ციცი, ანუ ციციშვილებს ქართლში ჰყოლიათ 6000 ურია ყმა. ასევე ფაველენიშვილებს, ავალიშვილებს, იმერეთში წერეთლებს, დადიანებს და სხვათაც ასეთ მებატონეებს.

რა იქმნენ ყველა ეს ყმანი, ჩვენ მათი კვალის ბეჭდი არაფერი ვიცით, მხოლოდ ის კი სჩანს, რომ ქართველი მებატონენი, მეფენი და სხვანიც ძრიელ ხშირად და უხვად სწირავდნენ სხვადასხვა ეკლესიებს მრავალ ურიათა ყმებს, ასევე იცოდნენ მათ ზითეფში გატანება, გააქუქება, დაგირავება და დაყიდვაც.

გაყიდვაში ურიებს ერთობ კარგს ფას აძლევდნენ თურმე. 1738 წელს დომენტი კათოლიკოზმა თავის ვალში, რომელიც მას საბერძნეთის პატრიარქის და ფრანგების ვაჭრების ემართა, ამ ვალში მან გაუგზავნა 17 ურია ყმა თვისი და იქ ეს ურიები თურმე თითო კაცი 25 მ. გაიყიდა. ეს ფული თურმე კაი ფასი იყო იქ, სხვა სჯულის ყმანი ასე არ იყიდებოდნენ.

მე ვფიქრობ, რომ სულ ეს კაი ფასი უნდა იყოს იმის მიზეზით გამხდარი, რომ საქართველოს მებატონეებს ურიათა ყმები ასე შეუმცირდათ, ალბათ იგინი სულ ჰყიდდნენ ამ ურიათა ყმებს, რადგანაც მათ კარგი ფასი აქვდათ; ან რათ აქვდათ ამათ კარგი ფასი, ამისი არასფერი ვიცით.

ქართველ ებრაელთა ყმობა იწყება საქართველოში იმ დროდამ, როცა იგინი მოვიდნენ საქართველოში. ისტორიიდან სჩანს, რომ ბა-

ტონ-ყმობა ებრაელებს ურიასტანშივე ჰქონიათ იმ დროს, როდესაც სჩანს, ურიასტანის ხალხის ბატონ-ყმობა მეტათ მკაცრი და სასტიკი წესებით ყოფილა დამყარებული. მას ცოტათი რომელებს ნიშან-წყალიც სცხია, ამას საქართველოში გადმოსახლებულთ ურების ყმათა ცხოვრების პირობებიც გვაჩვენებს.

ურიასტანიდამ საქართველოში მესამე წყება ურებისა მოდის 2100 წლის წინეთ ანუ ქრისტეს დაბადების 70 წლის წინეთ. ამ დროს მოსული ურები დასახლდნენ ფანასკერტში და მის მიდამო ადგილებში. ფანასკერტში დასახლდა ურიათა ორი მოწინავე პირი, სახელდობრ მებატონე ურიათა გლეხების ზაზა და ციცი, ამათში თითო ურისა ჰყავდა 3000 ყმა ურია.

მცირე ხანს შემდეგ ეს ფანასკერტელი ურები აიყარნენ იქიდან, წამოვიდნენ ქართლში და დასახლდნენ იქ, სადაც დღეს არის ქარელი, აქ დასახლდნენ ეს ურები, ამათი მოწინავე იყო თავადი ურიათა ზაზა და ციცი, რომელთაც თან მოჰყვა თითოს 3000 ურები; ესე იგი თავისი ყმანი.

აქ საკვირველი ერთი ის არის, რომ ამათ ურიასტანიდამ გამოვლეს იმდენი გზა, ბევრი მგზავრობის შემდეგ იგინი საქართველოში მოვიდნენ და ამ მგზავრობაში რა დიდი მწუხარება და პირი ნახეს მათ, მაგრამ ყველა ამითი მათი ბატონ-ყმობა მაინც არ დაიძლეა და ქარელში დასახლებული ურები მაინც იმავე ბატონ-ყმობის წესებით აღმოჩნდნენ, როგორც იგინი ურიასტანში სცხოვრობდნენ. ამ ურიათა დანაშთნი არიან დღევანდელი ქარელში მცხოვრები ურები და მათ ბატონის ზაზა და ციცის შთამომავალნი არიან დღევანდელი ქარელის მებატონე თავადნი ციციშვილები.

ასე და ამგვარათ ჩვენ ვხედავთ, რომ ციცი ურია ბატონი რჩება ქარელში თავის ყმა 3000 ურებით და ზაზა კი გადმოდის მცხეთისაკენა. ერთი სიტყვით მოკლეთ ითქმის, რომ საქართველოში მცხოვრებ ქართველ ურია გლეხთა და ყმათა რიცხვი ძველათგანვე დიდი არის და აქაც მათ, ქართველთ შორის, არა სცილდება ყმობის მახვილი, ხოლო ის კი ხდება, რომ საქართველოში მათი მებატონენი ისპობიან, ქრებიან, ქრისტიანდებიან თუ არა, ამისი ცხოება არ გვაქვს.

ხოლო ურიათა ბატონობის შემდეგ, ურიათ მებატონეთ ქართველი ქრისტიანი მებატონენი ხდებიან, ამათ ხელშიაც ურიათა გლეხნი რჩებიან მებატონეთა მტკიცე ყვებათ და ხშირათ ამათ რიცხვს

მებატონე იცვლიან სხვა და სხვა პირზედ, ხან აგირავებენ მათ, ხან თავიანთ შვილებს მზითვეში ატანენ, ხან ქართულ ეკლესიებს სწირავენ და ხან ვინ იცის რა გარემოების მსხვერპლათ ხდიან საბრალო ურიათა გლეხებს.

ამის ვრცელს ცნობებს მე არ გავყვები, რადგანაც ქართველ ებრაელების ისტორია ცალკე წიგნათ გამოვეცი 1904 წ. და იქ მაქვს ანუსხული. ეხლა აქ მოვიყვან რამდენსამე ცნობას, რაც შეეხება მხოლოდ ურიათ ბატონ-ყმობის ისტორიის დახასიათებას და ესეც საკმარისი იქნება იმის საფუძელათ, რომ მკითხველმა გაიცნოს ქართველ ებრაელ ყმათა პირობები. საქართველოს სამეფოს დაუძღურების დროდამ, ქართველ ებრაელნი მზურვალეთ ეძებდენ ქართველთ მებატონეთა ყმობას, რადგანაც ვაჭრობაში მას ყოველთვის ბატონი ეყოლებოდა მფარველათ. ასე უმზერდენ ურიები თავის ბატონს და მიტომ ასეთ თავის ბატონს ყოველთვის დიდს პატივს სცემდენ და გადასახადებსაც უზდიდენ უკლებლივ. ესევე გარემოება ხდებოდა მის მიზეზათ, რომ ურიები ქართველთ მებატონეთა წინაშე განუსაზღვრელის მონებით ეძლეოდენ ყმობას და მებატონეთა ბრძანებასა და სურვილს ყოველთვის მოწიწებით ასრულებდენ.

ისიც კი უნდა ითქვას, რომ ხშირათ ყმა ებრაელი მათ მებატონისაგანაც ხშირათ უწყალოთაც იღვენებოდა. ესეც აი ამ დღენის მაგალითები: 1785 წ. საქართველოდამ საბერძნეთში გაძევებულ იქმნა დომენტი კათოლიკოზი, ამან იცხოვრა ტენდოსის პალაქში. იქ ამ კათოლიკოზს ფრანკუზის ვაჭრების და საბერძნეთის პატრიარქის ვალათ დასდებია 5500 ლევი. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს კათოლიკოზი საქართველოში დაბრუნდა და ამ ვალში გააგზავნა თავის 17 ურია და ერთიც ოქროს თასი, ყველა ესენი დაფასდა 4000 ლევად—400 მანეთად. ასე თავის ვალს დაჰკლებია 1500 ლ. იქ თურმე ურიის კაცი 25 მ. გაყიდულა.

მე მიკვირს, რომ 17 ურიამ 400 მ. როგორ ვერ იშოვნეს და თავი ვერ გაითავისუფლეს და მის გამო საქართველოც დაკარგეს, მაგრამ სწანს, რომ მათაც სურდათ იქით წასელა. ყველას რომ ეკადრა, დომენტი კათოლიკოზს, რომელიც ძმა იყო ვახტანგ მეექვსესი, ამას არ უნდა ეკადრა თავის ყმა ურიების დასყიდვა, თითო კაცის 25 მანეთში, ისიც საბერძნეთში. მეორე მაგალითი ურიათა ყმობის: იმერეთის მეფე სოლომონ პირველი თავის სიკოცხლესი გელათის მონასტერს





სწირავს თავის ყმა ურიების სამს კომლოს, რომ ამის ნაცვლათ შეფე  
გელათში იქმნეს დასაფლავებული.

1793 წ. სოლომონ შეორის მეფულზე, მარიამ დადიანის ასულმა  
საეკლესიოთ შესწირა ერთი ოჯახი ურიისა.

1792 წ. ფალავანდიშელს ყმა ურიები მოუტაცნაით და წაუყვა-  
ნიათ იმერეთში. XVII საუკ. ბოლოს, ლევან ქართლის მეფემ იერუ-  
სალიმის მონასტერს შესწირა 80 კომლი ყმანი გლეხნი ურიებისა.

სხვა მასალებს მე აქ არ მოვიყვან, ხოლო კარგათ კი სჩანს ის  
გარემოება, რომ XI საუკუნეიდან მოყოლებული ქართველ ურია ყმათა  
შვილები სულ იაფათ და სულ ადვილათ იპნეოდენ აქეთ-იქით და  
ვინ იცის საით და სად არ იგზავნებოდენ. არის ცნობები, რომ სულ  
ხშირათ ქართველ ურიათ დედები თავს იხოცავდენ შვილის წარ-  
თმევით და უცხო ადგილებში გაგზავნიათ.

ასეთი ყოფილა საქართველოში ქართველ ურიათ ყმობის ისტო-  
რია, მათ ემტერებოდენ ყველანი: სპარსნი და ოსმალნი, როგორც ვაჭ-  
რები, ქართველები, სომხები და სხვანი, როგორც ოსები და ასევეც  
სხვა ყველანი და მიტომაც იყო რომ ქართველ ურიათ ყმანი სრული  
დაჩაგრული და დამონებული იყვნენ ყოველთვის. ისიც კი უნდა ითქვას,  
რომ ქართველ ყმა ურიათა თურმე საქართველოდან უცხო ქვეყანაში  
წასვლა, გასყიდვა და იქით გამგზავრება დიდათ აღონებდათ თურმე  
და აწუხებდათ.

III.

# გატონუმთა გურიაჲ

მასალაჲ.

## თავ. მაქსიმეიშვილი.

1864—66 წლებში თავ. გიტო მაქსიმეიშვილის ცოლს შინა-ყმა მოსამსახურედ ჰყვანდა გლეხის გაბრიელ დონაძის შვილი—ფრიდონი. ამ ყმას, სახლში მსახურების დროს, საქმეს დიდათ უჭირებდნენ, ისე რომ მოსვენებას აღარ აძლევდნენ, უბრალო დანაშაულობის გულისთვის სცემდნენ, თოკით აბამდნენ, ხან ხეზედ თოკითაც ჰკიდებდნენ. 1866 წ. ეს ბიჭი ფრიდონი რამდენსამე დღეს მებატონეებს ხეზე ჰყოლიათ მიბმული. ყმის მამას გაბრიელს დონაძეს მიუმართავს და უთხოვნი ბატონისათვის—ბატონო, აპატიეთ ჩემს შვილს და ახსენით ხიდაბ, მაპატიეთ მე, შენი ქირიმე, თორემ მოკვდება იგი.

მერე რა იქნა, ახსნეს ეს ბიჭი თუ მოკვდა, ამის არავინ რა იცის, ხოლო 1866 წ. მებატონე ჰკითხავს ყმა გაბრიელ დონაძეს თავის შვილსა, მასთან სთხოვს შვილის პოვნას და სახლში მიყვანას.

— თუ ამას არ იქმ, მაშინ მე შენ ჩემს მსახურად მეორე შვილს წაგართმევ და ვიდრე ფრიდონს არ მომიყვან, მანამდის ამას არ გამოუშვებ.

გლეხი ყმა ამაზედ დიდათ დაღონდა და ბატონს პასუხი ასე მისცა:

— მე არ ვიცი, ბატონო, სად წავიდა, იქნება მოკვდა კიდევ, ვინ იცის. მოვძებნი და თუ აღმოჩნდა სადმე, მაშინათვე შევიპყრობ და წარმოგიდგენთ.

მამამ შვილი ვერ იპოვნა, ვინ იცის იქნება მოკვდა კიდევაც, ვინაიდან ერთ დღეს ხეზედ თოკით ჩამოკიდდულიც ჰყოლოდათ რალაც დანაშაულობისათვის. ამიტომ თავ. მაქსიმეიშვილი გადაეკიდა ყმას და მეორე შვილს სთხოვდა, მაგრამ ყმა გაუძალიანდა და შვილს არ აძლევდა, ამ საქმის გამო დავა აპტყდარა, გლეხმა ოზურგეთის სამართველოში იჩივლა 16 აგვისტოს 1866 წ. და ითხოვა სამართალი და დაფარვა მეორე შვილის წართმევისაგან და დაკარგულის შვილის მოძებნა.

გამოძიების დროს აღმოჩენილა, რომ ბავშვი თოკით ხეზედ მიბმის გარდა ჩამოკიდულიც ყოფილა, იქნება ხეზედაც დაიხრჩო, მება-



ტონეებმა იგი სადმე ჩაუღლეს მიწაში და ეხლა შიშას ედაგებოდა. მით დაუარონ თავიანთი ბოროტებაო. ასე ფიქრობდენ თურმე მიტომ უფრო, ვინაიდგან ბევრი სძებნეს, მაგრამ არსად რა კვალი აღმოჩნდა.

უნდა ითქვას, რომ 1866 წ. ესეთი სასჯელი მემატონისა ყმაზედ და ისიც მცირეწლოვანზედ მეტოდიური უნდა იყოს. საქართველოში, კაცის თოკით დაბრძობა არ იყო სამეფო კანონისაკან მიღებული. სიკვდილით დასჯა იკოდნენ თავის მოკვეთით, სხვადასხვა ასოების მოჭრით, ცეცხლში დაწვაც იყო მიღებული. თავს სჭრიდენ და ცეცხლში სწვავდენ მხოლოდ მეფეების მოლაღატეებს და მკვლელებს, გინდ რომ არ მოკვლათ და თუნდ ამის განძრახვა შეეტყოთ, მაინც მათ სიკვდილით სჯიდენ.

### აზნაური თენიეშვილი.

1855 წ. აზნაურ ქაიხოსრო თენიეშვილს ყმები გაეჭკნენ თავის სოფლიდამ. სხვათა შორის ყმებში ერიდნენ გლეხ ყმანი ოთარ და მისი ძმა ლლონტი. ბატონმა ყმების წამქეზებლად გუგუნავს ცოლი ქენინა ელისაბედი იცნა. საქმე სადავოდ გადიქცა. მემატონე ყმებს ეძებდა, ამაში მთავრობაც ეხმარებოდა. ყმა გლეხები ვერ დააჭირა, ამ ძებნაში ის კი მოხდა, რომ ყმა გლეხებმა თავიანთ ბატონის უმკროსი ძმა თენიეშვილი გზაში მოკლეს. მკვლეელი ყოფილა ყმა დათიკო ლლონტი. ეს მალე დაუჭერიათ, ამის შემდეგ ოთარიც და მისი ძმაც მოძებნეს და დაიჭირეს, დათიკა ქუთაისის ციხეში ჩასვეს და ოთარა თავისი ძმით მიაბარეს გურიანთის მცხოვრებ ქარიგს თაყაიშვილისას ასპიროზ გუგუნავას ასულს.

მემატონეთ ამაზე ჩხუბი მოუხდათ, რომ კაცის მკვლელის ძმა მფარველობის ქვეშ რათ მიიღეთო. გარემოება ისე მოაწყვეს მემატონეთა, რომ თენიეშვილის ყმის ლლონტის მოსაკვლელად შეისყიდეს თვით გლეხის შემნახველის ასპიროზ გუგუნავას ყმა მამლომამე და ამას მოაკვლევინეს ოთარ ლლონტი. გლეხ-ყმის ერთი ოჯახის წევრი ციხეში იჯდა, მეორე მოაკვლევინეს და ასე და ამგვარად ოჯახი აოხრდა. მის შემდეგ მემატონე თენიეშვილმა დაუწყო ძებნა დაწარჩენ ოჯახის წევრთა, რადგანაც ოთარ ლლონტს თან წაიყვანა ერთი დაი, ერთი ძმა და ერთიც ძე. გოგო მემატონე გუგუნავას სახლში უნახავს, გოგოს დაბრუნება სთხოვა მემატონემ, მაგრამ გუ-



გუნაიამ რალაც მიზეზით არ დაუბრუნა. გოგო სხვაგან გუგუნაიამ მიქელაძის ქალს მისცა. ეს გოგო არ დაუბრუნეს, ბატონმა ამაზედაც დაეა ასტეხა, მაგრამ საქმე არ დაბოლოვდა, გოგო სადავო გახდა და მინამდევ თუ მას ერთი ბატონი ჰყავდა, მის შემდეგ სამი ბატონი გაუჩნდა. თენიეშვილი, გუგუნაივა და მიქელაძე.

საქმე ისე აიწეწა და ლლონტების ოჯახი ისე დაიქცა, რომ გლეხების ერთი სახლიც კი 70 მ. ღირებული მ. გუგუნაიამ თავის სახლში გადიტანა. ამ გარემოებაშიც დიდი თავზარდამცემი გარემოება იქონია ბატონზედ და საჩივარი თვით ქუთაისის გუბერნატორს და მთავარმართებელსაც მოახსენა გურიაში მგზავრობის დროს. ამ მებატონეთა დავის გამო რამდენიმე გლეხი დაიჭრა და მოკვდა უწყალოდ. გოგო კი მაინც არ იქმნა მებატონემ ვერ დაიბრუნა დი სალაცა იქმნა გაპარებული. მებატონემ მთავრობას მიმართა უკანასკნელად და სთხოვა მდარეულობა და გუაუნაივის დასჯა, 'ვისის წყალობითაც გლეხები გამეცნენ, ამინჯანყდენ, ძმა მომიკლეს და ჩემი ყმის გოგოსაც არ მაძღვეენ და საცალა მალავენო. მოტაცებულ გოგოს მებატონემ მართებულის წესით ითხოვდა დაბრუნებას. ასე ამგვარად მოისპო ლლონტების ოჯახი მებატონეთა დავიდარაბის გამო.

### დათა გურიელი.

1856 წ. სოფ. შუხუთის მცხოვრებს, საეკლესიო გლეხს ვაბრიელ იმნაიშვილს, ცნობილმა დათა გურიელმა დაეა იუტეხა, თქვენ ჩვენი ყმანი ხართო. ამ გვარის გლეხები კი უარს ეუბნებოდნენ მას. ერთმა ამ გლეხთაგანმა ცოლი შეირთო. დათა გურიელს ეს ამბავი ძრიელ ეწყინა. დაუპირა ახალ სიძეს დაჭერა და დასჯა, მასზედა თუ ჩემს ნება დაუტყველად ცოლი რად შეირთეო. ლანჩხუთის საყდარში მოასწარეს, ახალი სიძე დაიპირეს დათას კაცებმა და ნაბატონარს მოჰგვარეს და საპატიმროში ჩააგდეს. გლეხი უარს ეუბნებოდა — მე თქვენი ყმა არა ვარო. ნაბატონა-მა გლეხი ძლიერ სტანჯა, მაგრამ ვინ რას უზამდა, გამოძიების დროს აღმოჩნდა, რომ ნაბატონარის მამას ეს გლეხი კაცის ოჯახი 1825 წ. ჯუმათისათვის შეეწირა ყმათ. მას შემდეგ ეს გლეხი საეკლესიოდ ირიცხებოდა. მაგრამ მძლავრებით ნაბატონარმა ეს პირობა დაარღვია და გლეხები იყმო ძალით, მერე ამათ რალაც მისცეს და თავი დაიხსნეს. ამაზედ სასულიერო გამგეობამაც მოაქცია ყურადღება.

1856 წ. აზნაური ყენია თავის ყმებს ასწავლიდა ქურდობას, ცხენების პარვას და ყველა ნიუთებისას, რასაც კი მოახელებდნენ. 1856 წელს ამის მოხერხებით გაძარცულ იქმნენ სოფ. ქვემოხეთის მცხოვრებნი: ხარითონ უმაია, კიკოლა ბოლქვაძე. დავა ატყდა ამ გლეხის გაძარცვაზე და გლეხმა დაამტკიცა, რომ ყენია თვისის მძლავრობით არამც თუ მართოდ თავის ყმებს ასწავლის ტაცვას, არამედ სხვათა ყმებსაცაო. ჩემგან მოპარული ცხენი გლეხი ზაქარიაშვილისაგან, მე ყენიასაგან დავიხსენიო 10 მანათადო. ასევე სჩადის სხვადასხვა ნიუთებზეცაო სხვადასხვა პირებთან და აშკარად მტაცებლობსო.

### ყარამან თავდგირიძე.

1850 წ. 15 იანვარს, სოფ. აკეთში მცხოვრებმა თავ. ყარამან თავდგირიძემ და მისმა მეუღლემ კენინა მარიკა დადიანის ასულმა თავდგირიძისამ გაყიდეს თავიანთი ყმის ქალიშვილი თამრო. ეს გოგო იყიდა კენინა სოფიო თავდგირიძისამ 140 მ. ვერცხლის ფულათ. იმ დროის კვალათ ერთ გოგოში ძრეელ კარგი ფასი გახლავსო. აქედამ სჩანს, რომ გოგო ძალიან ლამაზი იქნებოდა. თორემ მაშინ გოგოები ბათუმში 7 მ. ფასობდნენ, ანუ თათრულ ერთის ოქროთ, რომელიც ლამაზი იყო, ის 5—7 ოქროდ ფასობდა და ძრეელ ლამაზი, მზეთ უნახავის მსგავსი 100—140 მ. აქიდან სჩანს, რომ ეს გოგო კარგა ლამაზი იქნებოდა.

გოგოს გაყიდვის დროს, გამყიდვათ—მყიდველთ ბარათიც მისცეს მასზედ, რომ მათ მიჰყიდეს თვისი ყმის გოგო და მასში 140 მ. აიღეს. ეს გოგო ამ ახალ ბატონი კენინას სახლში მცირე ხანს დაშთენილა. მალე ამ კენინამც ისურვა მისი გასყიდვა, ზოლო რასაკვირველია მეტ ფასათ, მოგებით, ამიტომ ამან ეს გოგო გადასცა თავის ყმის მაიკო (!) დოლიძის ცოლს, აზნაურის ჯაშის ასულს დესპინეს, რომელიც გლეხ დოლიძეზედ ყოფილა გათხოვილი.

ყმის გოგოს ამ გათხოვებ-გამოთხოვების მიზეზები შეუტყვია, მის მახლობლათ გამოჩენილან ვილაც შემბრალე პირნი და აკეთში შეუტყობნებიათ ამ გოგო თამროს ნათესაუებისათვის. მისი დედ-მამა და ძმები ერთი კვირის შემდეგ აზ ხლათ გაჩენილ ბატონის სახლში თამროსთან გაჩენილან. ამათმა ახალ ბატონის სახლში ერთ კვირას დაჰყვეს, მეორე კვირას ამათ მამა ივანე ჩაყირავამ თან მოიყვანა აკეთიდან

თავისი ორი ნათესავი კაცი. ყველა ესენი თამროს მახლობლი კაცები  
თნენ და მყიდველს დაეა აუტეხეს და გაყიდვ-გამოყიდვა კალმათ  
აღიარეს. ჩვენ ამას განვასაჩივრებთ, ერთიც კალბი გასყიდვა ყოფი-  
ლა, მეორეც და მესამეცაო.

თამროს მამა, დისა და სხვათა დახმარებით მოხერხდა ის, რომ  
თამრო ახალ ბატონის სახლიდან ერთ ღამეს გააპარეს და თავიანთ  
სოფელს აკეთში წაიყვანეს. ეს გაპარება ძრიელ ჩუმათ და ოსტა-  
ტურად მომხდარა, იგი ვერავის გაუგია, აკეთში სულ საიდუმლო  
გზით უტარებიათ. ეს გოგო თამრო შინისკენ მიმავალი უნახავთ  
ასკანელ გლეხებს დათიკო ჯაგელადეს და დიონოსე ჩხიძეს. ეს მომ-  
ხდარა 17 აგვისტოს 1850 წ. სოფელში მიუყვანიათ და ეს ამბავი  
ყარამან თავდგირიძესთვისაც უცნობებიათ. ყარამან თავდგირიძეს  
გაყიდვაზე უარი უთქვამს, ფული არ ამიღიანო, ამიტომ გოგოს მფარ-  
ველობაც დაუწყაო.

თამრო კი ნამდვილ გაყიდა და ფულიც აიღო. რა კი თამროს  
სოფელში დედ-მამასთან ყოფნის ცნობა კნენია სოფიო თავდგირი-  
ძისამ გაიგო, ამან მაშინათვე ოზურგეთის სამაზრო უფროს მიმართა,  
აუწყა ყოველისფერი, თუ როგორ იყიდეს მათ ყარამან თავდგირი-  
ძისაგან, მერე ვის ვადასცეს და ბოლოს საცა თამრო იყო, იქ რო-  
გორ მოვიდა თამროს დაი, მერე მამა და ორი კაცი და ან 17 აგ-  
ვისტოს თამრო როგორ ჩუმათ გააპარეს თავიანთ სოფლისაკენ. მოა-  
ხსენა ისიც, რომ ყველა ამ საქმეში ყარამან თავდგირიძეც ურევიანო.  
ამიტომ ეს კნენია ითხოვს, რომ მთავრობამ ძალა დაატანოს ყარამან  
თავდგირიძეს, რომ ამაზედ დავის გაუგრძელებლად ის ჩემი ნასყიდი  
გოგო ჩემსას მოიყვანოსო.

ახალმა ბატონმა აუწყა ყარამან თავდგირიძის აკაკობაც და  
თამროს გაპარებაში მონაწილეობის მიღება, ვინაიდან, მის წინეთ,  
ყარამან თავდგირიძის ყმის ასათიანის ცოლი ფეფია ჩემი ყმის მარი-  
კო დოლიძის დედას, ნინო შავარდენაძის ქალს უთხრა თამამად, თამ-  
რო გოგოს უსათუოდ მისი ნათესავები მოიტაცებენ და გარდა ამისა  
შსყიდველს ამისთვის ძმასაც დაუკარგავენო. კნენია ევედრება მთავ-  
რობას, რომ ყარამან თავდგირიძის ყმამ იგანე ჩაქირავამ ჩემი ყმის  
დოლიძის ოჯახი მოთხარა, ყმა გოგო წაართო და ახლა თქვენ გვიშ-  
ველეთ და ჩვენი ყმა ჩვენვე დაგვიბრუნეთო.

ამ გარემოებამ დიდი დავა ასტება მებატონეთა შორის და გა-  
მოირკვა, რომ თამროს მიასწრეს და უპატრონეს, თორემ მას მალე



აბდიდნენ ფარდას. ალარ სჩანს, თუ მერე როგორ გათავდა მეზატონის დავა ერთმანეთში. ამათი უკანასკნელი დაუთავებელი 1851 წელსაც სჩანს. გავიმეორებთ, რომ 1850 წ. ერთ გოგოს ფასად 140 მ. მეტად კაი ფასია. კნენინა სოფიომ ისიც კი სთქვა, რომ მე ამ გოგოში 140 მ. მივეცი, რომ იგი ნიჭიერი სჩანდა ხელსაქმეში, მერე ხელსაქმეს ისწავლიდა და ჩვენს ოჯახსაც გამოადგებოდა დიდთო. მაგრამ ეს ასე არ აღმოჩნდა. გოგო ლამაზი იყო და ყოველივე ბოროტება ამისაგან სწარმოებდა თურმე.

### დათა გურიელი.

1851 წ. ოქტომბრის 9-ს თავ. დათა ვახტანგისძე გურიელმა გასყიდა თავის ყმის შვილი, ფირანა ჯორბინაძე, ეს ყმა იყიდა სამეგრელოს სოფელს ცაისში მცხოვრებ თავადმა მეზატონემ 140 მანათად. ეს ფული იმ დროის კვალად კაი ფასი არის. ამ ბიჭის გასყიდვაში უდალალნაით აზნაურს ბაგრატ ანთაძეს და სამეგრელოს მცხოვრებს გიორგი ქორთუას. ამ ბიჭში მყიდველს გარდა 140 მან. სხვა სამსახურიც გაუწევია.

თვით ეს დალალები ბაგრატ ანთაძე და გიორგი ქორთუა გამოჩენილი პირნი ყოფილან ყმათა გასყიდვის საქმეებსა და დალალობაში, ესენი თურმე ერთის ბატონის ყმას ჰყიდდენ მეორეზედ, მეორეს მესამეზედ და ასე და ამგვარათ ხშირათ ამთ გურული ბიჭებიც გადაჰყვანდათ სამეგრელოში და იქ ჰყიდდენ, მეგრელები გურიაში გადმოჰყვანდათ და აქ ჰყიდდენ, ასევე იმერეთში და სხვა კუთხეებშიც გადაჰყვანდათ დასაყიდათ, ამათ გარდა ოსმალეთშიაც რეკავდენ და ჰყიდდენ მრავლათ. ასეთ დალალების რიცხვი მაშინ თურმე დიდი იყო.

გამსყიდავმა ბატონმა დათა ვახტანგისძე გურიელმა მეგრელ მეზატონეს თურმე გასყიდვის წერილიც მისცა და მასთან ფულის მიღებისაც. ეს გასყიდვა ისე ოსტატურად და ჩუმათ მომხდარა, რომ გაყიდვის ცნობა არც გასაყიდს შეუტყვია და არც ამის ნათესავებს. მაინც თურმე მაშინ გასყიდვა ისე ჩუმად და ოსტატურად ხდებოდა, რომ მას ვერავინ გაიგებდა.

მაგალითებრ: მყიდავი მეზატონე, ან სხვა ვინმე, ვინც იყო, მოვიდოდა გამსყიდავ მეზატონესთან სახლში და აქ იგინი გაშართავდენ ჩაის დაღევას, ან ხილის ქამას, ღვინის სმას, ამ დროს გასაყიდს





ბიქს, თუ გოგოს ბატონი დაიბარებდა და რაჟე საქმეს დასაწყისად  
რასაც სყიდავი კარგად ნახავდა და გაიკნობდა. მერე ფასის მორი-  
გებაც მათი საქმე იყო, ბატონი რაც მეტს აიღებდა ის იყო მისი  
სანატრი.

რამდენიმე ხნის შემდეგ, გაყიდულ ყმის ნათესავეებმა შეიტყვეს,  
რომ ფირანა ჯო-ბინაძე მას ბატონს გაუსყიდნია და მასში ფული  
აულია, ამიტომ 1859 წ. მათ სამეგრელოს სამაზრო სამართველოში  
უჩიველეს მსყიდავ ბატონს და მოსთხოვეს ნაყიდის გათავისუფლება.  
სამართველომ მსყიდავი მებატონეც დაიბარა და ნაყიდი გლეხიც.  
ორივე გამოცხადდენ ესენი სამართველოში. მსყიდავმა ნასყიდ ყმას-  
თან ერთათ წარადგინა დათა გურიელისაგან მიცემული პირობის წე-  
რილიც, გაჰოძიება იქმნა, აღმოსწინდა ბევრ ნაირი ცნობებით გასყი-  
დულის სასარგებლოდ.

მსყიდავს ნასყიდი ჩამოერთვა და დათა გურიელს დაევალა, რომ  
მას ამ მსყიდავისთვის უნდა უქან დაებრუნებინა 140 მანათი, ამან არ  
დაუბრუნა ეს ფული, მის მერე მსყიდავმა იჩივლა სამეგრელოს სამა-  
ზრო გამგეობაში და მოწმე დაასახელა, რომ ჩემგან სყიდვა მოხდა  
თავისუფლად და მე 140 მ. მივეცი ვერცხლის ფულიო. ეს საქმე და  
ფულის მიცემა კარგად იცის გურიელის ქვრივმა ქნიატა (1) და-  
დიანის ასულმაო. ამას გარდა ჭკითხეთ წერილით აზნაურს ბაგრატ  
ანთაძეს, გიორგი ქორთუას, პირობის დამწერს ბეკო ჭყონიას და  
მოწამეს მიქია ჭყონიას, ყველა ესენი იტყვიან, რომ მე იმ ბიჭში  
140 მ. მივართვი დათა გურიელს. თუ საჭიროდ იქმნეს, მაშინ გამო-  
ძიება მოხდეს სოფ. ცაიშიცაო.

მსყიდავი სამართველოს ასე მიტომ ავიღებ, რმდგანაც გამ-  
სყიდავი თურმე ამას ჰკრავდა, რომ მაგდენი არ ამიღია ფულიო.  
ამის დავამ მეტად დიდხანს ვასტანა. მსყიდავი ამოწმებდა, რომ თავ-  
დათა გურიელი ასეთ შარებს ჩვეულა, იგი თურმე ასე ხშირად სწა-  
დის და ერთს გლეხს ორჯერ-სამჯერ ჰყიდის და ხან თვით გაყიდუ-  
ლებსაც იამხანაგებს და ხრიკებს ახერხებსო. მებატონემ ყმა გაან-  
თავისუფლა. თუ საით წავიდა, ამის ცნობა არ არის.

### მალაქია გურიელი.

1845 წ. მალაქია გურიელმა თავის ყმის შეიღების დასყიდვა  
ოსმალეთს გარდა ქართლსა და კახეთშიც დაიწყო, მაგალითებრ იგი  
თფილისშიაც კი ვავიდა სხვა და სხვა დროს და თავისაგან ნასყიდ



ყმებს მერე იგი თფილისში ჰყიდდა კაი ფასათ. ამას გარდა მათვე  
და თავის ყმის შვილების გასაჩუქრება სხვა და სხვა რუსის მთავ-  
რობის მოხელეებზედ, ბევრის რუსის მოხელე აფიცრისთვის უჩუქებია  
მას თავისი ყმის შვილები და მერე ყველა ეს ნაჩუქრები პატრონს  
რუსეთისაკენ წაუყვანია და იქიდან ესენი აღარ დაბრუნებულანო.  
ასეთ გაყიდვას და გასაჩუქრების გარეშე, მანვე იცოდა თავის ყმათა  
შვილების გათავაზება, ამით პატივისცემა, და მიტომ მას ქართლსა და  
თფილისშიც სულ ხშირად გამოუკზავნია თავის ყმათა შვილები  
თავაზად.

ასე გათავაზება სხვა მებატონეებმაც ხშირათ იცოდნენ და ერ-  
თნი მეორეს ხშირათ უთავაზებდენ თვის ყმათა ლამაზ შვილებს. ასე  
და ამ გეგარად მალაქია გურიელის და მის ამხანაგებისაგან ძრიელ  
ხშირად უყიდნიათ ყმები თფილისელ ვაჭრებს ხან ფულით, ხან ფარ-  
თალსა და სხვა ასეთ რამე ნივთებშიაც გაუცვლია. მერე ამ ვაჭრებს  
ეს ნაყიდი ყმები იქვე სხვებზედ დაუცვლიათ ან გაუთავისუფლებიათ,  
ან თფილისში ჩამოუყვანიათ და აქ გაუთავისუფლებიათ. ასე დაყი-  
დულთ, გაცვლილთ, თფილისის ვაჭრებისაგან თფილისში მოყვანილთ  
და მერე გათავისუფლებულ ყმებთაკანი მე თვით მინახავს.

### აზნაური კობალაძე

1865 წ. ჩოხატაურის მკობერებ აზნაურ ნიკო კობალაძემ ცო-  
ლად შეირთო თავ. ვახუშტი შალვაშვილის ქალი, რომელსაც მზით-  
ვად გააყოლეს ყმა ივანეკა გუნდაშვილი, გუნდაშვილი მოსახლეობდა  
სოფ. ვანს; იგი მებატონეს აძლევდა წლიურად გარდასახადს ამ  
გლეხს სახლში მოსწორებული ქალიშვილიც ჰყვანდა, ამ ქალს მე-  
ბატონემ თავის სახლში გაყვანა დაუწყო მოახლედ. ეს ამბავი მის  
მამას ძლიერ ეჯავრა, ამიტომ მან თავის ოჯახი მიმალა და ბატონის  
წყილობით ყოველივე დაღუწა და გააბნია. ქალი სხვაგან წაიყვანა  
და დამალა. ამის გამო ბატონმა მთავრობასთან იჩივლა და გლეხის  
ურჩობა თავ. მაქსიმე შალიკაშვილს დააბრალა და თავის ყმას შეი-  
ლის გაყიდვა—ქალის, ანუ დაძალვა; თუ გაყიდული არა ჰყავს, მა-  
შინ გამოაჩინოს შვილი თვისიო, რათა ამით ესარკებლა და გოგო  
თავის სახლში წაეყენა მოსამსახურედ. მთავრობას სთხოვეს, რომ  
დამეხმარეთ და ყმა მომიძებნეთ და თავის ქალით დამიბრუნეთო.  
ჩემი ხარალის სამ-გვიეროც თავ. შალიკაშვილს დააკისრეთ, რადგა-  
ნაც იმან გამოირგულა ჩემი ყმა გლეხი თავის ცოლშვილითო.



1850 წლებში, ლანჩხუთში კარგათ ცნობილი იყო აზნაური ალექსანდრე კვიციანი. გლეხების დეენა და ჩაგვრა მასთვის სასახელო საქმეს შეადგენდა. ზოგი ყმა გლეხი უთმენდა, ზოგი არა. ოჯახი დაუმხო თავის ყმა მაქსიმელა გოგიას ძე ხუბუნაიშვილს. საქმე გაუჭირა, აღარა შეარჩინა რა. დარბეულმა გლეხმა მთაერობას მიმართა და იჩივლა, თან ბატონისაგან ნამოქმედარი უღაერობა წარადგინა და აუწყა, რომ მე სასულიერო წოდების შთამომავალი ვარ და ადრე გათავისუფლებულიო, ეხლა ნაბატონარი ჩემი მედავების ყმობასა და ამ ყმობის დაეასა და ფლობასა ხელს უწყობს ნაბატონარს აზნაურს მისი ბატონი თავადი მიხეილ გუგუნიავაო. კვალად შესწივის მთაერობას: ჩემმა ნაბატონარმა დამარბია და რაც მან დამაკლო და ვერ შეისრულა, ის მისმა ბატონმა თავ. მიხეილ გუგუნიავამ მყო დაკლებულიო.

ნაბატონარს მთაერობამ აზნა მოსთხოვა, ბატონმა თავი იმართლა და ერთს თხოვნაში უჩასტყის უფროსს ასეთი მოხსენება მისცა:

თანამღებობის აღმასრულებელს უჩაატკოვის ნაზალნიკისა უფალს კლდიაშვილს.

ლანჩხუთის მცხოვრების აზნაურის ალექსანდრე გიორგის ძის კვიციანიასაგან.

პ ა ს უ ხ ი

მოთხოვნასა ზედა თქვენის კეთილშობილებისა მაქვს პატივი პასუხის გებად, რომელ ყმა მაქსიმელა გოგის ძე ხუბუნაიშვილი აწ მყო მომზივანი ჩემზედ, ვითომც დაჭირვისათვის და მიყენებისათვის მასდამი შეეფწროებისა, არის წინაპირით კუთვნილი გლეხი ჩემი, თუმცა იგი უწოდებს თავსა თვისსა სასულიერო წოდებით, გარნა მე არ ვგოვებ მას კანონიერად, რადგან მამა მისი გიორგი გარდამავლობის მოქმედებისათვის იყო მოკლებული ეგრეთის წოდებისაგან, ხოლო რაიცა შეეხება დაჭერვას და შეფიწროვებასა მისსა, მე მართალია ერთად მებატონისა ჩემისა კნიაზ მიხაილ გუგუნიავასა შევხედით მას ხსენებულ მაქსიმე ხუბუნაიშვილს, არა თუ მიმევაღს ეხლად ბლადოჩინის სვიმონ ქიქ-ძისთან, არამედ მხოლოდ მასა, რომელსაც მიჰქონდა საპალნე მღვდლის ბლადოჩინის ქიქოძისა, მართალია, ამისათვის დავაბრუნეთ ის ბიჭი მაშინ, ხოლო ტვირთი იგი წავატანეთ მეორეს მხლებელს მის ბლადოჩინის ბიქს, ხოლო ის მო-



ვიყვანეთ თავის საცხოვრებელზედ და მივეცი თ მას და ჩემს მამას, რადგან მაზედ მიწყია მე კანონიერი საჩივარი, მან ვიდრე დაბოლოებითის გადაწყვეტამდის საქმისათვის ოჯახი არა წაახდინოს და იმყოფებოდეს ოჯახსა შინა თვისა, რადგან მას არა აქვს იმოდენი ცოდნა შეიყვანოს თავი თვის სასულაეროს წოდებასა შინა, სხვა თვინიერ ამისა, არცა მე და არცა ზემო გათამაღებულ მებატონესა ჩემსა არავითარი სამსახურის პირობა არა მოგვითხოვია მისგან, არცა დაგვიფიცებია და არავითარი შევიწროება მისდა არა მიგვიყენებია, არაზედ აწმყო საჩივარი მისი არის სრულიად მოკონებული თანა და ვისმინებ რომელ ხსენებული მაქს იმედია მოყვანისათანვე ჩვენ მიერ მას საცხოვრებელზედ, მაშინვე განტოლფილიყო და იმყოფება რადენ ჩემ დაუწყებელ არს სამეგრელოს სამთავროის სანაევარდოს მცხოვრების აუანასი ჯანელიძის სამსახურშიდ, რომელსამე და პატივი მაქვს მოხსენებად. აზნაური აღექსანდრე კვიციელია.

შემდეგის თხოვნით ყმა აღწერს და მოახსენებს თავის სიმართლეს და იმ უბედურობას, რაც ბატონს და ბატონის ბატონს ამისათვის მოუყენებიათ:—მებატონე ჩემა და მისი ბატონი სტყუიან ჩემთანაო. მე დამცეს მათა და ისე მცემეს რამდენ გზისმე, რომ სადღეისოდ აღარ ვარგივარო, ძალას მატანენ, რომ სთქვი შენი ყმა ვარ, ვიქნები და ხარჯსაც მოგცემო. მამა ჩემმა მათ კაი ფული მისცა ერთ დროს და ეხლა რაღას გვემართლება, ეს მე არ ვიცი, ხოლო ის კი სჩანს, რომ მათ მოტაცება უნდათ ჩვენი მამულისა და ჭონებისაო. მთავრობის წინაშე თავს მართლფლობს პატიოსნებით და აქ კი ძირს მითხრის და სახლეფლობით მაწიოკებსო. ყოველივე ტყუილია მისი და არ დასაჯერებელი, ვინაიღგან მისი ზოროტება ყველამ კარგად იცის და ისიც უწყის ყველამ, თუ ან მე რა მიყვეს და ან როგორ მჩაგრამენო.

IV.

სსპმ ღმ სსპმ

მასალები.

## საქართველოში ბატონ-ჟოჯის გადავადნის სა- მზადისი და მისი გამოცხადება კ. თბილისში

(იაკობ პეტრეს ძე ისარლოვის დამოწმებით).

ამ დამოწმების შესახებ სურვილი მაქვს, რომ მკითხველს ჯერეთ იაკობ ისარლოვი გავაცნოთ და მის მერე მისი დამოწმებაც მოვიყვანოთ. იაკობ პეტრესძე დაიბადა 1838 წ. თბილისში, სწავლა თფილისის გემნაზიაში დაამთავრა. 1860 წ. იგი უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა.

იმ დროს პეტერბურგში მრავლათ სცხოვრობდნენ ქართველ სტუდენტები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი, ნ. ნიკოლაძე, კირ. ლორთქიფანიძე, ნ. ლოლობერიძე და ბევრიც სხვანი. ყველა ისინი იყვნენ მზურვალეთ გატაცებულნი იმ დროის რუსეთის 60 წლების იდეური მწერლების და მათის რევოლუციონურ იდეის, ამათივე წევრი იყო იაკობ ისარლოვიც.

1867 წ. პეტერბურგის ქართველ სტუდენტების ერთი ჯგუფი დაპატიმრებულ იქნა და ამათში მოჰყვა იაკობ ისარლოვიც. ამ პატიმრთა ჯგუფის სურათი, ციხეში გადაღებული, დაიბეჭდა გაზ. „ციხის ფურცელის“ დამატებაში 1905 წ. რამდენიმე ხნის ტყვეობის შემდეგ ტუსაღები გაათავისუფლეს, მათთან ერთად გათავისუფლდა იაკობ ისარლოვი. 1862 წ. უკვე ყველა ესენი საქართველოში დაბრუნდნენ და აქ დაიწყეს ცხოვრება, იაკობიც დასახლდა თბილისში თავის დედასთან.

როგორც რუსეთში მისდევდა იაკობ ისარლოვი (ბერხაძე) მოქმედებას, იგი ისევე დიდის ტრფიალებით იყო საქართველოში და უფრო მზურვალე თანაგრძნობით ეკიდება ქართველ ერის საქმის კულტურულათ მარმატებას.

1860 წ. ილია ჭავჭავაძისაგან ეურნალ „საქართველოს მოამბის“ დაარსებას სიხარულით შეხვდა. მის სიხარულს საზღვარი არ აქვდა. ასეთივე ალტაცება იყო მისი შემდეგაც. მაგალითებრ 1860 წ. უკვე დასაბუთებით გაისმა მისი ხმა და მთავრობის საბუთებიცა,



რომ შემოდგომაზედ თეილისში გამოცხადებულ იქმნება გლეხკაცების ბატონყმობისაგან განთავისუფლებაო. ამის სიხარულით იყუსო იაკობ ისარლოვი.

აგერ მოვიდა 1864 წ. შემოდგომაც და ამ ბატონყმობის გადავარდნის დღეც გამოცხადდა და მთავრობა და ხალხი მის სამზადისსაც შეუდგა. ამ სამზადისს იაკობ ისარლოვი სიხარულით უმზერდა და თითქმის მუდამ დღე ღმერთს ავედრებდა, რომ ეს ბედნიერი განთავისუფლება მალე მომზდარიყოს.

აგერ მოახლოვდა დანიშნული დღეც და ამ დროს თეილისში გაისმა ხმები, რომ გლეხები წინააღმდეგნი არიან და იგინა უბატონოთ ცხოვრებას არ შვებებიანო, ამბობენო, რომ ჩვენ უბატონოთ ვერ ვიცხოვრებთ, შიტომ ბატონყმობის გადავარდნა არ გვინდა ჩვენაო, ყმობის გადავარდნის დღეს გლეხები ბუნტს აპირებენო. ასეთი ხმები დიდათ იყო გავრცელებული, იყვნენ ისეთნიც, რომელთაც ეს ამბები უხაროდათ.

ღვითთ, როგორც იქნა განთავისუფლების დღეც მოახლოვდა, ამისათვის თეილისში მოსული იყვნენ დიდი ძალი გლეხები და სოფლის გლეხთა დეპუტატები. სთქვა იაკობ ისარლოვმა: ჩვენ კი დიდათ გვეშინოდაო, აგერ გათენდა ეს დღეც.

— მე დილით ადრე ავედქი და წავედი ჩვენს შუბაზრის კათოლიკეთ ეკლესიაში, იქ დილის ლოცვა ვილოცე და ღმერთს ვსთხოვე, რომ იმ დღეს ყმობის განთავისუფლებას მშვიდობით ჩაეგლო და გლეხებს ბუნტი არ ექმნათ. ლოცვის შემდეგ კარში გამოვედი, ეკლესიის გაღვენჯნ ხალხი იყო და ლაპარაკობდნენ, რომ დღეს გლეხები ბუნტს აპირებენო. მე ნალვლით ავივსე, შევშინდი, აღარავის რა ვუთხარი და იქილამ კუკიაში გავიქეცი, ილია ჭავჭავაძესთან.

ილია ჭავჭავაძეთან მალე მივედი. იმასთან დამხედენ ილია წინამძღვრისშვილი და გიორგი ჩიქოვანი. მე მათ უამბე ჩემი დარდი და ისიც, რომ კოხტებში ხალხი გროვდება და ამაზედ ლაპარაკობენ თქვა. იმათ მოისმინეს, ილია წინამძღვაროვმა თქვა შემდეგი:

— არაფერი იქმნება, მაგას სულ პოლიციის მოხელეები ავრცელებენ, რომ მათ გუბერნატორმა კარგი საჩუქარი მისცეს ამ დღისათვის. გიორგი (გენერალი) ჩიქოვანი სადღაც წავიდა, ერთი საათის შემდეგ მოვიდა და ასეთი ამბავი მოიტანა:

— სულ ტყუილი არის, არასფერი იქმნება, ეს სულ პოლიციის მოხელეთა ეშმაკობა არის.

ჩვენ მაშინათვე სამნი ჩქარა წავედით და იქ მივედით, სადაც გლეხების დეპუტატები იყვნენ ჩამომხტარნი, ჩვენ მათ მივმართეთ ასე:

ძმებო, რადგანაც ღმერთმა დაგვასწრო ამ დღეს და დღეს ზღე-  
ბა თქვენი განთავისუფლება, ამიტომ თქვენ დღეს ყველანი ჩვენი  
სტუმრები ბრძანდებით, სადილი თქვენთან უნდა ვჭამოთ, დრო გავა-  
ტაროთ და თან მოვილოცოთ თქვენ თქვენი თავისუფალი ცხოვრება.

გლეხებმა გულახდით მადლობა გვითხრეს და მოგვეცეს პირო-  
ბა, რომ სადილზედ მოვალთო, მათაც დაგვიმოწმეს, რომ სულ ტყუი-  
ლი არის და ჭორებიო. ჩვენში ერთი კაციც არ არის, რომ მაგ უკუ-  
ღმართი აზრის იყოსო. ჩვენ დაურწმუნდით მის შემდეგ, მათ პირობა  
ჩამოვართვით სადილზედ დასწრების, მათ ფიცი მოგვეცეს, პირობა,  
ჩვენც დაურწმუნდით მათ და გული დაგვიმშვიდდა.

მის შემდეგ ჩვენ წავედით, ვიყიდეთ ხორავი, ნაზარბეგოვის  
ბაღში მოვამზადეთ და მართლაც იმ დღემ მშვიდათ ჩაიარა და ჩვენც  
გვეღირსა ქართველ გლეხკაცის განთავისუფლების ნახვა.

## ქართველ ყმათა დასუიღვის და დახსნის შესახებ ქათოლიკეთ მისიონერების დამოწმებით XVIII და XIX საუკუნეში.

ამ უბედური სენის შესახებ, ქათოლიკის, ანუ ლათინის მისიონერები, რომელნიც საქართველოში სცხოვრობდენ და აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში, იგინი ბევრ რამ ამბებს გვაცნობებენ ქართველთ ყმათა დასუიღვის შესახებ. ასეთი მისიონერების რიცხვი შესდგება თითქმის ყველა ორდენის მისიონერთაგან, ყველა ესენი სცხოვრობდენ საქართველოში და იგინი მზურვალედ აღევენებდენ თვალყურს ქართველთ ყმათა დასუიღვის საქმეებს.

ასეთ მისიონერთა საქმეებს ვხვდებით ჩვენ 1760 წლიდან 1850 წლამდის, ვიტყვით იმასაც, რომ ამ მისიონერებთა რიცხვი შესდგება სულ ქართველთა ტომის შვილებთაგან, რომელთაც სწავლა ყველა მათ რომში აქვთ დამთავრებული.

ანტონ თუმანიშვილი სწავლობდა ვენეციას და მის მერე რომს, იქ გაათავა სწავლა, იქვე აკურთხეს იგი ლათინის ტიბიკონით, მერე უმღვდლია ვენეციას, კონსტანტინეპოლს, ტრაპიზონს, ბოლოს ბა-



თომში ჩამოსულა, ბათუმიდან ახალციხეს, ყოფილა ყირიმშიაქაშტონ თუმანიშვილი ყოფილა კარგათ მცოდნე საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობის და ქართველი ერის ცხოვრების ავ-კარგინობაც კარგა სცოდნია. ეს გარდაიცვალა 1860 წ. ახალციხეს, ამისი მოღვაწეობის ცნობებში, დაწერილი თვით მის დროსვე, გაუწყებს, რომ ანტონ თუმანიშვილი ყოფილა დიდათ მოყვარე ქართველ ყმათა და შემბრალე და მას თავის მღვდელმოქმედების დროს, კონსტანტინეპოლს დაუხსნია 60 ქართველი, ყველა ესენი მერე თავის ფულათ საქართველოში დაუბრუნებია, ტრაპიზონში ყოფნის დროს, მას უყიდნია და საქართველოში დაუბრუნებია 30 კაცი, ყირიმშია ყოფნის დროს დაუხსნია 15 კაცი, ყველა იგინი კათოლიკებს შერთებთან, სხვაგანაც ბევრი ჰყავს ასე დახსნილები მას.

გრიგოლ მეფისოფი, ანუ მეფისაშვილი, ე. ი. ამათი ძველი მეფისე ყოფილა. გრიგოლ მეფისოფმა სწაყლა დაამთავრა ვენეციას და რომს, იგი იქვე რომში იქნა კურთხეული. ეს გრიგოლ მეფისოფი ყოფილა დიდათ მოყვარე ქართველ ყმათა დახსნის. ამას უმღვდლია ზეერ ალაგას, კონსტანტინეპოლს, იქ მას დაუხსნია ასი კაცი ტყვე ქართველი, მათ მებატონეთაგან დასყიდული ოსმალებზედ. ტრაპიზონში ყოფნის დროს, იგი უფრო შრავლათ ყიდულობდა ქართველთაგან დაყიდულ ყმებს და ყველა მათ ანთავისუფლებდა.

ამ გრიგოლ მეფისოფს, ქართველთ ყმების დახსნაში დიდათ ეხმარებოდა კონსტანტინეპოლის ეპისკოპოზი ვიცენჩი ქორეიზენი, ის უგზავნ: და თურმე ტრაპიზონში მეფისოფს ფულს და ესეც ამ ფულთ იხსნიდა ხოლმე ქართველთაგან დაყიდულ ყმებს.

ამ გვართ გრ. მეფისოფს ეპისკოპოსი ვიცენჩის დახმარებით ასი კაცი კონსტანტინეპოლს დაუხსნია, ტრაპიზონში 120 კაცი დაუხსნია, ტრაპიზონიდან ბათუმს მოსულა, აქაც ჰქონია შემთხვევა ყმების დახსნის. ბათომიდან ახალციხეში გადასულა, აქაც კარგა ხანს უმღვდლია ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, აქ თურმე მთელ ახალციხის კათოლიკებს ავედრებდა ქართველთ შვილების დახსნის სიყვარულს და პატივისცემას. ამის ცხოვრების აღმწერი სწერს, რომ ახალციხეში ისე შრავლათ იხსნიდა ქართველთ ტყვეებს, რომ მათი ანუხხვაც კი ძნელი იყოვო. გრიგოლ მეფისოფი გარდაიცვალა 1843 წელს ახალციხეში.

ივანე მამულაშვილი ალაზარდა ვენეციას, მერე რომს, ნაქურთხი იყო სომხურ კათოლიკის ტიბიკონით. ამანვე კარგად იყოდა სა-

ქართველოს ისტორია, ქართული მწიგნობრობა და ქართული ენა  
დაც განსწავლული იყო. ესევე ივანე მამულაშვილს კარგათ იცნობდა  
საქართველოს მეისტორიე მარი ბროსე და სენ მარტენიც. სენ მარ-  
ტენის დავალებით, ამ ივანე მამულაშვილს ქართულს ენაზედ წიგნების  
თარგმნაც დაიწყო და ეს თარგმანები შემდეგ დროს ვენეციის და  
კონსტანტინეპოლის ქართულ სტამბებშიც დაბეჭდეს, ესევე ივანე მა-  
მულაშვილი ერთ დროს მსახურებდა კონსტანტინეპოლს, პათომს და ბო-  
ლოს ახალციხეშიაც, უმღედლია ოზურგეთს, ქუთაისს და გორშიაც  
ყოფილა. სადაც კი ყოფილა ეს ივანე მამულაშვილი, იგი ყოველგან  
მრავლათ იხსნიდა ქართველ მებატონეთაგან დასყიდულ თავიანთ ყმა  
გლეხთა შვილებს. ახალციხეში ამისი სახლი ყოველთვის საესე ყოფი-  
ლა დასყიდული ქართველებით. ეს ივანე მამულაშვილი ოსმალებზედ  
დასყიდულ ყმებსაც კი იხსნიდა ხოლმე.

აბატი პეტრე სარქიხაშვილი ცნობილი პირი და გამოჩენილი  
მოღვაწე ქართველ ერისა, ქართული სტამბების დამხსნელი ვენეციის,  
ფრანციას და კონსტანტინოპოლს, სადაც მან ქართული წიგ-  
ნების ბეჭდვაც დაიწყო. ესევე თავის შეძლების და გვარად კონ-  
სტანტინეპოლს იხსნიდა ქართველთ დასყიდულ ტყვეებს და ყველა მათ  
აბრუნებდა საქართველოში და თან ყმებს იმასაც არიებდა, რომ  
თქვენ ბატონებს ოსმალეთში ნუ მისდევთ დასაყიდათაო, წინააღმდეგი  
გაუხდით, ნუ დაემორჩილებით და ნურც გამოჰყვებით აქეთაო. ამი-  
საგან დახსნილ ყმების რიცხვი მარტო კონსტანტინეპოლს 500 კაცზე  
მეტე ყოფილა.

იაკობ საბაშვილი გაზრდილა ვენეციას, მერე რომში დაუმთავ-  
რებია სწავლა, იქვე კურთხეულა მღვდლათ, იქიდან იგი დაუდგენიათ  
მღვდლად კონსტანტინეპოლს, ლათინის ტიბიკონით. კონსტანტინე-  
პოლს ეს კარგა ხანს დარჩენილა, ის მისულა 1781 წ. ახალციხეში,—  
მას დიდძალი მრევლი ჰყოლია და იმათგან აღებულ ფულებს იგი  
თურმე სულ დასყიდულ ყმების დახსნას ანდომებდა. იაკობი მრევლ-  
შიაცია აგროვებდა ფულებს და ამ მოგროვილ ფულს ასახელებდა,  
რომ ეს ფული ქართველ სულეების დახსნას უნდა მოვანდომოვო, ამი-  
ტომაც იგი ასეთის ოსტატობით დიდს ფულებს აგროვებდა და მერე  
მით სულ ქართველ მებატონეთაგან დასყიდულ ყმა ტყვეებს ყიდუ-  
ლობდა და ანთავისუფლებდა ოსმალთა ხელიდან. იაკობ საბაშვილი  
გარდაიცვალა 1778 წ. ახალციხეში. იმ დროს მისი სიკეთე დასყი-  
დულ ტყვეთა დახსნის გამო ყველასაგან ქებული იყო და დიდებული  
საბაარდისით.



ანტონ ხუციშვილი, ხიზაბაერელი, ქართველ კათოლიკე-კაპუცინთა ძველი გვარი ყოფილა ოსაძე. სწავლობდა ჯერეთ სტამბოლს, მერე ვენეციას, მხითარისტებში და ბოლოს რომშიაც მიიღო სწავლა. გარდაიკვალა 1859 წ. ერთ დროს, ეს ანტონ ხუციშვილი ინდოეთშიც იყო კალკუტასა და მადრასეში და იქ ქართველ კათოლიკებს ემსახურებოდა, იგივე იყო დიდი მწიგნობარი კაცი და ყოველივე ამებთან იყო დიდათ კაცთმოყვარე და უჭონელი ხალხის ქომაგი.

1811 წ. ჯავახეთს ოსმალებმა სასტიკათ დაუწყეს დევნა, ამ ქვეყანაში დიდი უბედურება დატრიალდა, ნამეტურ ოსმალთაგან ესენი მრავლათ იტაცებდნენ ტყვეებს, ზოგს ფულითაც ყიდულობდნენ და ყველას სასტიკათ არბევდნენ. საიჩის, ანუ ტყვის ტაციობა და ყმების გასყიდვაც კი იმ დროს დიდათ გავრცელდა ჯავახეთსა და მესხეთში. ამგვარი სენის სასტიკი წინააღმდეგი გამზდარა ანტონ ხუციშვილი და მას მრავლათ უთავისუფლებია ოსმალთაგან ქართველთაგან ტყვეთ წაყვანილი ქაღნი და ახალგაზრდა ქალები და ვალები. ამ გარემოებას ვინმე მესხი ასე მოგვითხრობს ანტონ ხუციშვილის ამავს და ხალხის სიკეთეს:

„ჯავახეთი დიდს უბედურებაში ჩავარდა, ოსმალები სასტიკად სტანჯავდნენ ჯავახელებს, იტაცებდნენ ქალ-ვაჟთა, ყიდულობდნენ მრავალ ტყვეებს და ხალხსაც სასტიკად სტანჯავდნენ, ამათ წინააღმდეგ დაირაზმა მღვ. ხუცთაანი ოსაძე ანტონა. ეს თავის საფასით ანთავისუფლებდა ტყვეებს, დახმარებას აძლევდა ქვრივ-ობლებს და მით ყველას უწევდა დიდ ქომაგობას და დახმარებას, მრავლათ ათავისუფლებდა დაყიდულ ყმა ტყვეებსაც“.

ამ ტყვეების, ანუ ყმების დახსნისაგან, ანტონ ხუციშვილს ვალები დასდებია, მერე იგი ლივანაში წასულა, ფულის მოსაგროვებლად, რომ თავის ვალები ვადაეხადნა. იქ მართლაც ფულა მოუგროვებია და დაბრუნებულა. ართვინიდან, ლივანაში რომ გამოუვლია, იქ მას მაჭახელები დახვედრიან და გაუძარცვამთ, გაძარცვის დროს კინალამ მოუკლამთ. ამ გარემოებას ანტონ ხუციშვილი ასე მოიხსენიებს თავის წერილში:

„ლივანაში წავედი ფულის მოსაგროვებლად, რომ ჩემი ვალები გამესტუმრებინა, მოვაგროვე, წამოველ, წამოვიღე, მაგრამ მაჭახელებმა გამძარცვეს, კინალამ მომკლეს, მერე ფსიკაურელებს წავართმევინე“.

სოფ. ფსიკიური შავშეთში სძევს, იქ გასომხებული ქართველი კათოლიკები ცხოვრობენ. ანტონ ხუციშვილი მისულა თავის ქვეყა-



ნაწი და მას თავისი კეთილი საქმეები კვალად განუგრძია. ვამეცხუაძე

სწერს:

„ლივანიდამ დაბრუნების შემდეგ, მაინც დაიწყო ტყვეების დახსნა, ოსმალში მიმავალ ლეკებს გზაში უზედებოდა და მათგან იხსნიდა ქართველთა ტყვეებს, რომელნიც მათ ზოგი ნასყიდები ჰყოლიათ და ზოგნიც ქართლიდამ გატაცებულნი. ამ ლეკებისაგან ქართველთა ტყვეებს სოფ. ხიზაბავრელების დახმარებით იხსნიდაო. ასე რომ ამ ანტონ ხუციშვილს რამდენიმე ასი სული ჰყავს დახსნილები და სამშობლო საქართველოში დაბრუნებულნიო“.

ივანე გარსევანაშვილი იყო შავშეთის სოფელ ოქრობაგელი, სადაც ცხოვრობენ სულ ქართველი კათოლიკენი, ხოლო ენით დღეს გასომეხებულნი. ეს ივანე აღიზარდა ვენეციას, შეისწავლა სომხური ენა და იმავე დროს მას არც ქართული ენა დაავიწყდა, ამ ივანე გარსევანაშვილს უმსახურნია სხვადასხვა სოფლებში და ბოლოს ოქრობაგეშიც ყოფილა. აქ ყოფნის დროს, 1760 წ. შავშეთში ლეკებს გზათ გაუტარებიათ დიდძალი ქართველთა შვილები, რომელნიცა ზოგნი მათ მოტაცებული ჰყოლიათ და ზოგნიც ფულით ნაყიდი. ამ ლეკებს დახვედრია ივანე გარსევანაშვილი და მათგან მოტაცებული ტყვეები გაუნთავისუფლებია და მეტატონეთაგან ნასყიდი ყმებიც ფულით გაუნთავისუფლებია. ასეთ საქმეებით ივანე გარსევანაშვილი ქებული ყოფილა, იგი მუდამ იხსნიდა თურმე ქართველთაგან დაყიდულ ყმათა ტყვეებს.

ამ კეთილი საქმის ჩვეულება ივანე გარსევანაშვილს სრულ ჰქონია გაცხოველებული. ამის დროს ქართველთა მეტატონეებს ჩვენდა სამარცხვინოთ ქართლიდამ თურმე შავშეთშიაც ჩაჰყავდათ ქართველი ტყვეები დასასყიდათ, ანუ თავიანთი ყმები. ასეთ ქართველებს ხვდებოდა გზაში და მათგან დასაყიდს ყმებს ყიდულობდა და იხსნიდა თავის ფულით და მერე მათ ათავისუფლებდა და უკანვე აბრუნებდა სამშობლოში.

ეს პატიოსანი პირი და მფარველი ქართველთა გლეხთა ტყვეების მოწამვლით მოკლულ იქმნა ნ თებერვალს 1779 წ. ეს მოუწამლაეთ იმავე სოფლის სომხის მღვდლებს, რომელთაც დიდი პტრობა ჰქონიათ კათოლიკების.

ანტონ აღუშოვი არის წარჩინებული, გონიერი კაცი, გაბრდილი ჯერეთ ვენეციას და მერე რომს, იგი იყო დიდათ მოძულე მუსულმანთა წეს-ჩვეულების და ისლამის უკეთურობისაც. იგი მღვდლო-



ბით მსახურებდა კოსტანტინეპოლს, ტრაპიზონს, ბათუმს, ახალციხეს და იყო მკერმეტყველი, დიდი მჭადაგებელი და მასთან აშკარად დაპირუფყრით მზრახველი ქართველ მებატონეების, ეკლესიაში ჭადაგების დროსაც კი იცოდა ქართველთ მებატონეთა ძრახვა და წყევლა, რომ თქვენ ნუ ჰქიდიით თქვენს ძმებსა, ნათესავეებსა და შვილებსაო.

ანტონ ალუშოვი თვის დროის კვალათ იყო უდიდესი ზამულის-შვილობით ცნობილი, მხურვალეთ მოსარჩლე ქართველ გლეხების და ყმების, პატრონიც იყო. ეს სახელოვანი ქართველი, ერთის მდიდარის ქართველის კათოლიკის ვაჭრის დახმარებით დიდძალ ქართველ მებატონეთაგან დაყოფულ ტყვე ყმებს იხსნიდა და ათავსუფლებდა, ამასვე თურმე ერთი მდიდარი ფირმაც აძლევდა კოსტანტინეპოლიდამ დიდს დახმარებას, რომ მით ქართველთ ტყვეები დაეხსნა ოსმალთაგან და სამშობლოში ებრუნებინა ხოლმე. ამ შარად მოსაგონარ კაცის ერთი სიტყვა მე ვნახე 1881 წ. სოფ. ხიზაბავრის ეკლესიის, ქართველ კათოლიკეთ მღვდელ ვინმე მესთან ივანე გვარამაძესთან. ეს სიტყვა ანტონ ალუშოვის საჯაროთ უთქვამს ქართლის თავად-აზნაურებისთვის. ეს სიტყვა უთქვამს მას 1823 წ როცა მას ქართველთ მებატონესაგან 23 გლეხთა ყმათა შვილის ოჯახები გაუთავისუფლებია, ამ სიტყვიდამ მე მოვიყვან მხოლოდ ერთ ადვილს:

„კეთილშობილხო თავადნო და აზნაურნო, შეიგენით და დააკვირდით თქვენს კეთილშობილს ღირსებას, რომ თქვენ არ შეგუფრით თქვენი ყმების ასე დევნა და მათი დასყიდვა ოსმალებზედ და მით გაქობა მათის ოჯახების, კეთილშობილხო მოდით გონებას, შედით ადამიანის გრძობასა და ძიებაში და ნუ შერებით ღვთის სანუკვარ საქმეს და ნუ აჩენთ საქართველოს ისტორიაში მღვრიე და ქუშქიან ლაფებს, მოერიდეთ ამ ქვეყნის დასაღუპს და თქვენის ღირსების შესარცხვენს ლაფს, თორემ ბოლოს დიდს სინანულში ჩავარდებით თქვენა, რადგანც თქვენი გლეხების ოჯახების დაღუპვა არ შეგრჩებათ და დაიღუპებით, გაუწყებთ და გაფრთხილებთ, რომ ამ საწყუვარ საქმეს თავი გაინებოთ“.

ივანე ოცხელი, ლაზარიანი, სწავლა დაამთავრა პარიზის ლაზარისტების აკადემიაში და მიტომ უწოდეს მას ლაზარიანი. 1881 წ. ეს ლაზარიანი მე მისი გვარი შეგონა და მიტომ მის ბიოგრაფიის აღწერაში შეცდომებიც დაუშვი. მერე კი ყველაფერი შევიტყვე, როცა მისი ცხოვრების ცნობები ახალციხის ივანე ნათლისმცემლის



ეკლესიის ძველს წიგნების არქივში წაიკითხე. ივანე მკვდრის ძეგლი ოცხელი გარდაიცვალა 1837 წ. ახალციხეს.

ივანე ოცხელი იყო კარგათ მკოდნე ფრანგული ენის, ლათინურის, იტალიურის, ბერძნულის, ოსმალურის და სომხურის, ქართული ენა ყველაზედ უკეთ იცოდა. იგი ახალციხეში მღვდლათ მივიდა 1780 წ. მას კარგა ბევრი ფული მოჰყვა თანა. თავის მღვდლობის დროს, როცა ამან ახალციხის ბაზარზედ ნახა ქართველთა ტყვეები, რომელნიც მათ მებატონეებს ჩაეყვანათ და ოსმალებზედ ჰყიდდნენ, ნახვის დროს ივანე ოცხელმა ტირილი დაიწყო თურმე, ეს რასა ეხედავ. რომ ქართველი ქრისტიანი თავის ძმა ქრისტიანს ოსმალს თათრებზედ ჰყიდის ფულისთვისაო. ჯერეთ სცხვენოდა და ქართველ მებატონეებთან ვერ მიდიოდა ქართველთა შვილების საეპქოთ, შერე მას სიტყვა უთბრა და გააბედვინა თავისუფალი მისვლა ქართველებთან და მათგან დასაყიდ ყმებზედ ეპქობა. გაბედა ივანე ოცხელმაც და მივიდა ეპქრებთან და ჰკითხა კრძალვით ფასები, მათ მალე მისცეს პასუხი ფასების შესახებ, ოცხელს არ ეძვირა, ყმების სყიდვაზედ თანხმობა განუცხადა მყდველებს და ცოტა დაცდა სთხოვა, წაიღო მამინეე სახლში, ფული ჩაიტანა—იყიდა ის გლეხები და გაანთავისუფლა.

ეს ამბავი უნდა მომხდარიყოს 1790 წ. ამის შემდეგ ივანე ოცხელს ძრიელ ხშირათ უყიდნია ხოლმე ქართველი ტყვეები და უგზავნია უკანვე თავიანთ სამშობლოში. იგივე ყოვილა დიდი მქადაგებელი, მისი ქადაგების ორი ტომი, ხელთნაწერი წიგნების, თვით მისგან ნაწერი, ინახება ახალციხეში. ამანვე აღწერა აღა მამაქადაგანის მოსვლა თბილისში და თფალისის აოხრება 1795 წ. ეს აღწერა ამას იმავე დროს დაწერიდა. ივანე ოცხელი მიიცივალა 30 იანვარს, 1837 წ. ახალციხეს.

სტეფანე მეფისოვი, პაველ მაჭულიანის თანამედროვე, რომში გაზრდილი და თავის დროს გამოჩენილი პროპაგანდისტი ქრისტიანობის იდეის, ეს სტეფანე იყო მდიდარი კაცი, ეს კაცი თურმე თავის შეძლებას სულ ქართველთ დაყიდულ ყმათა დახსნის საქმეებს ანდომებდა. ამ სტეფანე მეფისოვს ბევრი ხალხი ჰყავს ტყვეობიდან დახსნილი და საქართველოში დაბრუნებული. ამ სტეფანე მეფისოვის სიკედილის შემდეგ, მთელი მისი კონება მის ძმა ბაღდასარა მეფისოვს დარჩა, ეს კაცი ვენეციის მათორისტებში ბერათ შევრდა და თან შეიტანა ფულათ 45 თუმანი და

მის გარდა სხვაც ბევრი ძვირფასი თვალ-მარგალიტ ნივთიერება  
ეს იქ შეტანილი სიმდიდრე ქართველი კაცის მხითარისტებს დარჩათ  
საკუთრებათ. თქმულება არის, რომ ასეთი სიმდიდრე ქართველ კათო-  
ლიკებს ძრაველ მრავლად დარჩენიათ ხოლმე მხითარისტებს, ეს  
პირველი მაგალითი არ გახლავს.

**პეტრე ბუციშვილი.** მაშასადამე ამათი ძველი გვარი უნდა იყოს  
ოქცე, როგორც ამას თვით ანტონ ბუციშვილიც სწერს. ეს პეტრე  
ბუციშვილიც აღიზარდა რომს, საქართველოში ჩამოვიდა 1795 წ.  
პირველად ეს იღვა ლათინის ტიბიკონზედ, მერე, ანუ 1810 წ. გადა-  
ვიდა იგი სოცხს ტიბიკონზედ, იყო დიდი მჭადაგებელი და მასთან  
მღვდელ მოქმედებით დრდათ საყვარელი პირი თავის მრევლის. მი-  
ტონ მას შესავალიც დიდი აქვდა. ამ დიდს შესავალს იგი არასფერს  
საქმეებს არ ამზარებდა, გარდა ქართველის ტყვეების დახსნისა და  
იგი ყოველთვის იხსნიდა ქართველთ შემატონებისაგან დაყიდულს  
ყმებს მათ შემატონეთაგან.

**ივანე ხოჯივანაშვილი.** იგი ვინმე მესხის სიტყვით გარდაიცვა-  
ლა 1801 წ. ანან სწავლა მიიღო ჯერეთ კონსტანტინეპოლს, მერე  
სწავლობდა მხითარისტებში, იქილამ რომში გადავიდა, იქ დაამთავრა  
სწავლა, იქვე რომში კურთხეულა მღვდლათ ლათინის ტიბიკონზედ,  
შეიღვ დროს იგი საქართველოში დაბრუნდა, ერთ დროს იყო ახალ-  
ციხეს, მერე ქუთაისს, გორს და თფილისშიაც ყოფილა დროებით, წი-  
ნეთ ტრაპიზონშიაც ყოფილა ერთ დროს.

ეს ივანე ხოჯივანაშვილი ქართულს მწერლობასა და ისტორია-  
შიაც მამზადებულა, ქართულს ენაზედ სხვადასხვა ენებილამ წიგნე-  
ბოც უთარგმნია და მასთან მასვე დაუწერია ქართულს ენაზედ მე-  
სხეთ ჯავახეთის შესახებ ისტორიული წერილებიც, ვინმე მესხის სი-  
ტყით მას დაუწერია აი რა გვარი ისტორიული წიგნები: 1, ისტო-  
რიული აღწერა მესხეთ ჯავახეთისა 1763-1806 წლებში, ანუ „მისიო-  
ნერული დღიური“. ეს წლები გახლავსთ ის დრონი, როცა მესხეთ-  
ჯავ ხეთში და ნამეტურ ახალციხეში ქართველებს თავიანთი შვილე-  
ნი და ძმები მრავლათ გადაჰყვანდათ და იქ ჰყიდდენ ოსმალებზედ.  
2, ისტორიული აღწერა მესხეთ-ჯავახეთის და ახალციხის თაშების  
მოქმეებისა და ქართველთ ტყვეთა დასყიდვის ამბები. 3, აღწერა  
ახალციხის ვაჭრების, ხელოსნების, მუშების და სხვაც ასეთი აღწერა-  
ნი. 4, სხვადასხვა ისტორიული წერილები საქართველოს შესახებ. 5,  
სხვადასხვა ისტორიული წერილები, ქართლისა და იმერეთის მეფეებ-

ზედ და ასევე სხვა ნ, სხვადასხვა ცნობები ქართველთაგან თავიანთ ყმების დასაყიდვაზედ, ასევე მათს დახსნაზედ, მათს შინ დაბრუნებაზედ.

მოკლეთ უნდა ითქვას, ამ ივანე ხოჯივანაშვილის ნაწერები ყოფილა იმ დროის მესხეთისა და ჯავახეთის კარგი სარკე, მე ეს ხელთნაწერი ვერსად ვნახე, ვნახე მარტოდ მისი „მისიონერული დღიური“, სადაც მოხსენებული არის ის ცნობებიც, თუ ივანე ხოჯივანაშვილი მესხეთსა და ჯავახეთში, ბათუმს და ტრაპიზონშიაც ქართველთაგან დაყიდულ ყმებს როგორ იხსნიდა ხოლმე ოსმალთაგან. ასე რომ ამ გარემოებასაც ივანე ხოჯივანაშვილის ცხოვრებაში კარგი ადგილი უკავია და ამიტომ ჩვენც ავრუსხეთ აქ, თუმცა ამისაგან დახსნილ ტყვეთა რიცხვის ცნობა კი ვერსად ვნახეთ, რიცხვი არ არის მოხსენებული, მაგრამ რომ იგი იხსნიდა ტყვეებს, ეს კი მოხსენებული გახლავსო.

ვინმე შესხის სიტყვით ამ ივანე ხოჯივანაშვილის ნაწერები მის სიკვდილის შემდეგ სულ გაბნეულან ახალციხიდან მის ნათესავეებში. 1818 წ. მე ვნახე ეზოლოდ ამისი ერთად ერთი „მისიონერული დღიური“. ისიც თვით ვინმე შესხისაგან გადაწერილი.

პატრი ფილიპე, ტომით იტალიელი, არის მომსწრე და თანამედროვე ქართველ ბატონიშვილებსა. სცხოვრებდა თფილისს, მღვდლობის გარდა იცოდა ექიმობაც, აქვანდა შესწავლილი ქართული ენა, ღარიბ ხალხს უფასოთ მკურნალობდა, ესევე პატრი ფილიპე იყო თფილისში ქართველი დასაყიდ ყმებთა დამხსნელი და მის მერე მათი გამანთავისუფლებელიც, იგი ზოგს მებატონეს მკურნალობაში ფულის მაგიერ ყმებს ართმევდა და მის მერე მათ ანთავისუფლებდა. პატრი ფილიპეს ასეთი საქციელი მთელმა თფილისის ხალხმა იცოდა და ამიტომ მისაც ყველა აქებდა ამისთვის.

მამა გრიგოლ კრუხიჭაშიანთ ვიკარი ახალციხისა. ეს იყო ახალციხის თემის ვიკარი და ბაროხი, თავის დროს გამოჩენილი და ცნობილი პირი და სახელოვანი, როგორც ზურასიძე ისარლოვის გვარის წევრი. ამ მღვდლის ნათესავეები იყვნენ ოსმალთს მთავრობის ისარლ დასებში, ანუ ახალციხის ქალაქის ციხის კარის მცველას, მიტომ დაერქვათ ისარლი ალასი. ამიტომ ამ გრიგოლ ისარლოვს დიდი გავლენა აქვანდა ოსმალთს მთავრობაზედ და მიტომ იგიც ამ თავის გვაროვნულ სახელის და გავლენის დახმარებით ოსმალთს მთავრობის ხელიდამაც-კი ხშირად იხსნიდა ხოლმე ქართველთაგან დაყიდულს





ყმებს. ამის დაყიდულ ტყვეების რიცხვის ცნობა არა სჩანს წყნარ  
ძველის წიგნების ცნობებში.

ამიტომაც უნდა ითქვას, ქართველ კათოლიკეებში თითქმის ჩვეუ-  
ლებათ იყო გამზადარი, რომ ყოველ მათს მღვდელს, პატრს, მისიო-  
ნერს თუ სხვა ვისმეს უსათუოდ უნდა დაეხსნათ ხოლმე მონა ყმები.  
ამათის მიზანძვით, ამისავე ჩვეულება გავრცელებული იყო თვით მო-  
ქალაქეებში, ამის მაგალითია შემდეგი:

ფრანცისკე ზუბალაშვილი სცხოვრებდა XVIII საუკუნეში, ამ  
ფრანცისკე ზუბალაშვილს ჩვეულებათ აჭენდა საბატონო ყმების შე-  
სყიდვა და განთავისუფლება, ამას უყიდნია მთელი სოფლის გლეხები  
და გაუნთავისუფლებია ხოლმე თავის ბატონების ყმობისაგან. გორში  
ამას ოსებიც ბევრი უყიდნია და გაუნთავისუფლებია. ამისაგან გან-  
თავისუფლებული ოსები ზოგიერთნი გორის კათოლიკეების ეკლესი-  
ის ყმებათაც ჰყუანდათ 1810 წლისათვის, მის მერე კი ეკლესიამ  
ყველა ყმები განთავისუფლა.

### ქართველანისება.

ქართველი ერის მონობის ამბავი კარგათ სჩანს იმ დროდამ,  
რაც რომის იმპერატორი პომპეი საქართველოში შემოვიდა და იგი  
მცხეთაშიც მოვიდა, სადაც მტკვარზედ ხილუც გააკეთა, რომელ ხი-  
ლის საძირკველზედ დღესაც სდგას მცხეთაში ხილი და რასაც ხალხი  
აქამდის ამ ხილს პომპეის ხილს უწოდებს.

იმ დროს, როცა პომპეი შემოვიდა, მცხეთაში თურე იყო ცხრა  
ათასი მონა. ეს მონები იყო ქართულის მამააბლისობის წეს-წყობი-  
ლების ნაყოფი. ამათ გარეპოებას პომპეიმ უკრადლობა მიაჩქია და იგი-  
ნი სულ მოკრიფა საქართველოში, ასე რომ მათგან თურემ ორი მი-  
ლიონი მონა მოგროვდა, მაშინ თურემ მონა ჩალს ფასათ ღირდა.

პომპეი რომ საქართველოდამ წავიდა, ეს მონებიც მან თან  
წაიყვანა. ისტორიაში მოხსენებულია, რომ პომპეიმ ერთ დღეს ორი  
მილიონი ხალხი გაყიდაო.

ეს ორი მილიონი ხალხი, რომელიც პომპეიმ გაყიდა, იგინი იყ-  
ვნენ ქართველები.

ივანე ხელაშვილის საქართველოს საეკლესიო ისტორია მოწ-  
მობს, რომ პომპეიმ 9 ათასი მონა მცხეთას მოკრიფა, ათი ათასი მონა  
უჯარმას, ასევე სხვაგან და ასეთებისაგან პომპეიმ შეადგინა 2 მილიო-



ნი ხალხით. მერე ეს ხალხი თან წაიყვანა და იგინი დაუიღბაძე. **საქართველო**  
 დაც მათ გასავალი აქენდათო.

აქედამ უნდა ვაგულისხმოთ, თუ საქართველოს ერი კერპ-  
 თაყვანისცემისში, რა ზომის და რიცხვის უნდა ყოფილიყოს, ეს ცხადი  
 საქმე არის და უტყუარი.

ისიც უნდა ითქვას, რომ მონანი ყმებზედ უფრო მწარე მდგო-  
 შარეობაში უნდა ყოფილიყვნენ და მიტომაც ბრძანებს შოთა რუს-  
 თაველი: „ანთ-ვისუფლე მონანიო“.

## ბატონყობის აზრები ქართველთა მონათმშობლის ხა- ნაში.

საქართველოს უძველესის დროიდან, ანუ კერპთაყვანისცემის  
 ხანაში, ქართველ ერში არსებობდა ეჭვის წოდება. მეიჭვესე წოდება  
 იყო ის ხალხი ანუ ის გლეხნი, რომელთაც პატრონი არ ჰყვანდათ.

მაშინ ასეთი გლეხი ყმა იყო მონა. მაშინ მრავალი იყვნენ, ვი-  
 ნაიდგან თურმე მაშინ მრავლათ იყვნენ უპატრონო მონა მოხუცე-  
 ბულნი, უბედურნი, გვემულნი, დაავადებულნი და სნეულნი, ყველა ასე-  
 თებს მაშინ თურმე პატრონი არ ჰყვანდათ, ვინაიდგან იგინი უკვე  
 დაავადებუ ნი და დასნეულებულნი, კერპების აზრით მღვთის სამართ-  
 ლიანს გზაზედ იყვნენ დამდგარნი. მოხუცებულის და დაავადებულის  
 სიცოცხლესთან სიკვდილს აქენდა ძმობა და კიჳშირი, იგინი ამხანა-  
 გები იყვნენ ამით.

აპიტომაც საქართველოში, კერპების აზრით, ასეთი გლეხ-მო-  
 ხუცებულთა, დაავადებულთა და სნეულთათვის არსებობდა მონობა,  
 იგი იყო მონა ღვთისა და მასთანვე მონა კერპის პატრონისა. ამისი  
 მსგავსი ჩვეულება იმერეთში კარგა ხანს იყო დაშთენილი, იგი განაბ-  
 ლებულ იქნა XV საუკ. შემდეგ იმერეთში. მიტომაც იყო, რომ იმერთ  
 ბატონები და თვით მეფენიც იტყოდენ: „მონა ღვთისა, ყმა ხონთქ-  
 რისაო“.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მონები ისე ყოფილა მაშინ გამრავ-  
 ლებული, რომ მართლთა მცხეთაში ყოფილა ცხრა ათასი მონა. ასე  
 და ამ გვარათ უნდა ვიცოდეთ რომ კერპთაყვანისცემის დროის ქარ-  
 თველებს „ბატონ-ყმობა“ არ აქენდათ. მათში იყო „პატრონ-ყმობა“.  
 ვინც იმ დროს უპატრონო იყო, ის თურმე მონა იყო და მონის პატ-  
 რონობა ღარაფის შეეძლო, რადგანაც მონა ნახევარ კაცი იყო და  
 იგი ნახევრათ მღვთის გზაზე იყო დამდგარი.



## ქართვლთ შიშის სოფლშის დასუიღვა უცხო ტომის ხალხზე.

ამ გარემოებას მეტათ მდიდარი ისტორია აქვს. ეხლა უსათუოთ ამაზედ მე უნდა ვილაპარაკო ვრცლათ, რადგანაც ეს კითხვა დღეს ჩვენს ისტორიულს მწერლობაში პირველათ შემოდის. საქვე აი რაშია: ეს გარემოება გვაცნობებს იმას, თუ ქართველი ყმები ისყიდებოდენ არამც თუ კომლობით, არამედ მთელის სოფლებითაც.

მეორე საყურადღებოა ისიც, რომ ქართველთა ყმათა სოფლის მყიდველები არიან სხვა ტომისანი და ესენი როცა ყიდულობდენ ქართველთ ყმებს რის მერე იგინი მიჰყვანდათ და ასახლებდენ იქით საითაც მათ სურდათ. ასე და ამგვართ, ქართველებს ხელიდამ ეცლებოდა დიდი ძალი ხალხი და მის მერე ეს ხალხიც სრულიათ იკარგებოდა ქართველის ტომისთვის, რაც ხდებოდა ქართველ ტომთა შემეცირების უმთავრეს მიზეზათაც.

ამ გარემოებამ ქართველ ტომზედ იმოქმედა დასაღუპათ, ქართველი ერის ოჯახის დასაქცევათ და მოსასპობათ, ეს რაიმ მართალი არის და ცხადი, ამისი ცნობები ჩვენში მრავალიც არის დაწთნილი, ხოლო მათ გამოქვეყნებას კი არა ეშველა-რა. ეხლა მე ვაქვეყნებ ამ ცნობებს და იმეღია, რომ ქართველები ამისთვის თვალებს გაახლებდენ და ამ გარემოების მიზეზებსაც ღრმათ ჩაუვიკრდებიან, ეს გარემოება სახუმარი საქმე არ არის ჩვენის ტომისათვის.

ქართველების დაბრმავება შეიძლება, მაგრამ ასე კი არა, როგორც ამ საქმეში არიან დაბრმავებულნი. ამის მიზეზები ალბათ ის იყო, რომ იგი შეეხებოდა ქართველთაგან დაყოფულ გლებთ ყმათა სოფლებს და მათს რიცხვს. ასე ვფიქრობთ ჩვენ ამაზედ, თუმც ისიც არ შეიძლება ითქვას, რომ ქართველთ ამ უბედურებას სულ ვერ გრძნობდენ, ვინ იცის, იქნება კარგათაც ხედავდენ და ამ უბედურების შესახებ სწერდენ კიდევ, მაგრამ მათმა ნაწერებმა ჩვენამდის სულ ვერ მოაღწიეს, ვინ იცის, ესეც შეიძლება, მაგრამ არა გვეგონია, ამის შესახებ ჩვენს წინაპრებს რომ ეწერათ რამე, ბევრი თუ არა, ჩვენს დროამდის ცოტა რამ ნაწერები მაინც მოაღწედა, მაგრამ არა მგონია, უფრო კი არ აქცევდენ ამ გარემოებას ყურადღების და მიტოვაც მოხდა, რომ ჩვენთვის ასეთი ამბებიც სულ დაიკარგა და მისი ცნობებიც; ამის მიზეზი უიჭველია ის იყო, რომ იგი შეეხებოდა გლებებს და ყმებს. ეხლა აქ მოვიყან ერთ ანბავს, რომელიც პატრის მიხეილ თამარა-



შვილს მოჰყავს თავის წიგნში („კათოლიკობის ისტორია სსრკ-ში“, 1906 წ. თფილისი).

რომის მისიონერთა დამოწმება ქართველთ ყმათა დასყიდვის შესახებ:

გორის პატრი სერაფიონი რომის პაპს წერილს სწერს 1620 წლებში და ატყობინებს შემდეგ ამბავს:

„ქართლსა და კახეთში, ქართველთ გლეხთა და ყმათა ბატონები თავიანთ ყმებს, ხშირათ მთელს სოფლებსაც კი ჰყიდიან ხოლმე, მათ ყიდულობენ მთელის სოფლებით სომხები და მერე მათ ეს ნაყიდი ქართველი ყმები გადაჰყავთ თავიანთ სჯულზედ.

ჩვენს ძმებს რომ აქენდეთ აქ ამის შეძლება, მაშინ ჩვენც სომხების მსგავსათ ვისყიდდით ქართველთ სოფლებს და მასშა მცხოვრებ ქართველ გლეხებს და ყმებს და მის მერე ყველა ამათაც ჩვენს წმინდა სჯულს შეუერთებდით, მაგრამ ჩვენ ამის შეძლება არა გვაქვს და ამიტომაც ჩვენ ამას ვერ ვახერხებთ“.

ამ გარემოების შესახებ პატრის მიხედვით თამარაშვილს წერილები მივწერე და ცნობები შეგვეკითხე, რამდენამე ხნის შემდეგ მან გამოგზავნა წერილი და რომწერა სხვა და სხვა ცნობები ქართველთ ყმების დასყიდვის შესახებ. ეს ცნობები აშოკრებილი არის რომის არქივებიდან. ეხლა მომყავს აქ ერთი წერილის ცნობა. ზოგი ამისი ცნობები დაიბეჭდა 1916 წ. კუთაისის გაზეთ, „სამშობლოში“. ეხლა მომყავს პირდაპირ ძველი ცნობები, რაც რომის არქივებში არის დატოვებული პატრი სერაფიონის ცნობების დასამტკიცებლათ, რომ რაც მას ცნობები მოჰყავს 1625 წ. რომ იგი ყველაფერში მართალი არის, რომ საქართველოში და ნამეტურ ქართლსა და კახეთში მრავლათ ყიდულობდნენ ქართველებს, ამის დასამტკიცებლათ აქ მოვიყვანთ მეორე ასეთ ცნობასაც, რომელიც ამავე ქართველთ დასყიდვის საქმეს შეეხება და რაც ცხად ჰყოფს, რომ პატრი სერაფიონის ცნობა უნდა იყოს მართალი.

ეს მეორე დაწერილი არის 1640 წელს, იგი რომში გაუგზავნია ავგუსტინელების ორდენის ძმა ამბროზის „კონგრეგაციისათვის“. იმ დროს, თვით წერილი ამბროზის:

„ჩვენი მონოხნები, (ე. ი. ლათინის) ამ ქრისტიან ქართველებში დიდს სიკეთის ქმნას შეიძლებდნენ, რომ მათ შეძლება ჰქონდესთ ქართველთ სოფლების სყიდვის იმ გვარათ, როგორც ამას სომხები ჩადიან, თუმცა ქართველებს სომხების დიდი სიმძულვარე აქვსთ,



ნამეტურ სარწმუნოების მხრივ, გარნა როდესაც სომხებმა უკვე დაიწყეს  
ხლებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზედ, ქართველები უე-  
ჭველია დიდის სიამოვნებით მიიღებენ ლათინის წესსა, თუ ზენი  
ყმები გახდენ“.

ამ ცნობიდან სჩანს, რომ ჯერეთ სომხები ქართველი ყმებს ყი-  
დულობდენ ხოლმე და მის მერე იგინი თავის სჯულზედაც გადაჰყვან-  
დათ. არის ისეთი ცნობებიც, რომ ზოგი ქართველნი სომხებს შეს-  
ყიდვის უმაღვე გადაჰყვანდათ სომხის სჯულში. ამის გარდა არის  
კიდევ შემდეგი ცნობა სხვა პატრებისაგან დაწერილი, საქართველო-  
დამ რომში 1675 წლებში, სადაც დამწერი რომის ტახტს ატყობი-  
ნებს სომხებისაგან ქართველი ყმების შესყიდვას და მასთანვე იმასაც  
სწერს, რომ ამ ქართველთა შესყიდვისთვის ფულებს ემპიაძინი აძ-  
ლევს მათაო, ესე იგი სომხის მღვდლებით.

ეს საყურადღებო უნდა იყოს ჩვენთვის, ვინაიდან ემპიაძინის  
სინოდს, როგორც ვეცნობით, რომ მათ მთელი ქართლისა და კახე-  
თის ხალხი ვერ შეისყიდეს და ვერ გადაიყვანეს სომხის სჯულში, იგინი  
უფრო ყველაზედ ადვილათ ქართველთ ყმებს ყიდულობდენ და მის  
მერე სხვებსაც.

ცნობები არის დატოვებული, რომ ემპიაძინს ძველადგანვე  
ამისთანა საქმეებისათვის დიდი შეძლება ჰქონიათ შექმნილი და ამ  
ქონებას თურმე იგინი პირდაპირ ქართველის შესყიდვის და გასომ-  
ხებისათვის ხარჯავდენ.

ეს რომ მართალი და ცხადი უნდა იყოს, ამას მოწმობს კიდევ  
აი რა პირობები:

ხსენებულს საუკუნეში, ანუ XVIII საუკ. ნახევარს, ემპიაძინის  
დახმარებით აი რა საქმეები მოხდა და ქართველთ ყმათა შესყიდვა.

თელეთის ეკლესიამ შეიძინა 15 სოფელი ბორჩალოს მაზრაში.  
მერე ყველა ეს ხალხი გადაიყვანეს სომხის სჯულში და ყველანი გაა-  
სომხეს.

ფეთხიანმა შეიძინა 28 სოფელი და მის მერე სოფლის ხალხი  
სულ გაასომხეს, სომხის სჯულზედ გადაიყვანეს.

ჩვენ აქ სჯულზედ გადაყვანას ყურადღებას არ ვაქცევთ, საქმე  
ის გახლავსთ, რომ მაშინ იგინი ახერხებდენ ამოდენა ქართველ  
გლეხთა სოფლების შესყიდვას. საქმე ეს არის და ეს გახლავსთ ჩვენ-  
თვის საყურადღებო და საოცარი, რომ ასეთ ოსტატობას სომხები  
როგორ ახერხებდენ, რომ ამოდენა ქართველთ სოფლებში მცხოვ-



რებ გლეხებს სყიდულობდენ, მაგრამ ცნობილი არის ის, თველები ჰყიდდენ თავის სოფლებს და მასში მცხოვრებს თავის ყმა გლეხებსაც სომხები ყიდულობდენ, თავის სჯულზედ გადაჰყვანდათ და მერე მათ აქეთ-იქით აწვედენ საქართველოს სოფლებში საქადაგებლათ და სომხის სჯულის გასაფრცხლებლათ.

ამ გვარათვე ემზიადანის შეძლებით კახეთში იყიდეს 80 სოფელი და ჰართლში 100 სოფელი და ყველა ამ სოფლებში მცხოვრობდენ ქართველი ყმანი, გლეხები და ესენიც სულ სომხის სჯულს დაუკავშირეს მათ.

პატრი სერაფიონი თუ ასეთ ცნობებს იწერება 1625 წ. მიტომ მის შემდეგ სხვა პატრები სხვებს იწერებთან მე-XVIII საუკუნეში. სხვათა შორის 1760 წ. პატრი ჯერმანე და ემანუელი სწერენ შემდეგ ცნობასაც თავიანთ წერილებში.

ქართველი გლეხთა ყმებს, რომელთაც კი ყიდულობენ სომხები, მათ ეს საქმე დიდათ უხარისთ, იგინი სიხარულით მისდევენ სომხებს და მათ სჯულსაც სიხარულით უერთდებიან, რადგანაც მის შემდეგ მათ თავიდან ასცდებათ სხვადასხვა დევნა, რომელსაც მათ თავზედ აყენებენ მათი მეპატონენი და ხშირათ მათ უსჯულო თათრებზედ და ლეკებზედაც ჰყიდიან, ამიტომაც არის, რომ ქართველთა ყმა გლეხებიც ასე სიხარულით სცილდებიან თავიანთ ძველს ბატონს, მათს მონობის დევნას, დასყიდვას და სხვაც ბევრს ასეთებს, რაც მათში ეს ერთობ ხშირია.

სომხის სჯულში გადასვლის შემდეგ კი ქართველი გლეხთა ყმანი თავისუფლდებიან ყველა ასეთ დევნა-ტანჯვა-წვალებისაგან.

ვაი სირცხვილო და ვაი ნაშუსო, ამას ამბობენ ლათინის მისიონერები, უცხო ტომის მჭადაგებელნი და ნეტავი იმ დროს, ქართველი სამღვდლოება რაღას აკეთებდა, მთელი საქართველო საესე იყო ქართველი ეპისკოპოსებით, ქართველი მიტროპოლიტებით, კათალიკოზით, ბერებით, მღვდლებით და ყველა ესენი რაღას აკეთებდენ და რათ აძლევდენ ნებას, რომ ქართველ გლეხთა ყმანი ისე ისყიდებოდენ და ეკარგებოდენ მათს სამშობლო ქვეყანას. მაგრამ როგორცა სჩანს, ყველა ამებისათვის იგინი დაბრმავებულები იყვნენ, რადგანაც ყველა ამ ქართველთა ყმათა გამყიდავ მდევნელნი იყვნენ მათი ნათესავენი, ზოგი კათალიკოზის ნათესავეი იყო, ზოგი მიტროპოლიტის, ზოგი ეპისკოპოსის, ზოგი ბერის, ზოგი მღვდლის და ამა ყველა ესენი თავიანთ ნათესავების წინააღმდეგ ხმას როგორ ამოი-



ლებდენ, როგორ რას ეტყოდენ მათ, რომ ეს სამარცხენიო მსჯელობა არ ჩაედინათ.

ამ სამარცხენიო საქმეების შესახებ, რაც ჩვენი წინაპრების საკუთრება გახლავს, მიხეილ თამარაშვილს ორჯერ შევეცითზე წერილობით და მისი სინამდვილე გკითხე. მან ყველასფერი სიმართლეთ აღიარა და მოიწერა ასეთი სიტყვებიც:

„მისიონერები ტყუილს არ დასწერდენ, რაც ხდებოდა ჩვენს წინაპრებისაგან, მისიონერებაც ყველა ამბებს თავის თვალთ ხედავდენ და მიტომაც სწერდენ იმას, რასაც მათი თვალი უყურებდა, ტყუილს ამბებს აქ ილაგი არა აქვს, ჩვენი წარსულის შესახებ ჩვენ ცნობები არა გვაქვს, თორემ მაშინ ამაზედ უარესებიც იქნებოდა, მისიონერების ცნობები ეს არის წვეთი ზღვაში, მეც კი მრცხენიან ამისი, როცა მათი წაკითხვა მიხდება, მაგრამ რას ვიზავთ, არასფერს, უნდა ვეცადოთ და გავიკეთოთ, რომ ესეთი ბოროტება ჩვენს ქვეყანაში, ქართველთ შორის აღარ განმოვრდეს. მე ჩემის სირცხვილის წყალობით ჩვენის წინაპრების ბევრს ბოროტ ცნობებს არც კი ვამბობ და ვტოვებ უყურადღებოთ.“

მე დავაკვირდი ამას და მეც ავივსე დიდის მწუხარებით და ჩვენის წინაპრების სირცხვილით. მინდოდა სირცხვილის გაქარება და ამისთვის წამლის ძებნა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ ჩვენს წარსულში ჩვენის სირცხვილის გასაქარებლათ ვერაფერი ვპოვე.

შეოლოთ ერთათ ერთი მასალა ვიშოვნე, ესეც დიდის წვალეზით და ბევრს ძველის წიგნების კითხვის შემდეგ. ამასაც მოვიყვან აქ.

მე-XVII საუკ. ნახევარს, სცხოვრობდა ერთი მღვდელ-მთავარი, იმერ-აფხაზეთის კათოლიკოზი ევდემოსი, ეს ევდემოსი იყო მქადაგებელიც. ეს მღვდელ-მთავარი თურმე ხშირათ, ქადაგებდა და ქადაგებაში იგი ეხებოდა თურმე იმ დროის მებატონეებს და მათ ძრახავდა და სწყველიდა მასზედ, რომ მათ ბევრი ბატკანი და ქრისტეს ზეარაკი გადაუყდეს მგლებს შესაქველათაო, ესე იგი მათ ბევრი ქრისტიანი ყმა გააყიდეს თათრებზედაო.

ერთათ ერთი ეს ევდემოს კათოლიკოზი სჩანს მე-XVII საუკ. ნახევარს, რომელიც ასე ძრახავდა ქართველი შვილების გამსყიდავ მებატონებს, დანარჩენი კი სულ არასფერი სჩანს და ყველასფერი ამ ქართველის ტომის უზედურების, მოსპობის და გაქრობის შესახებ არსად არასფერი მოიხსენება, ეს არის ერთათ ერთი ცნობა ევდემოს კათოლიკოზის და ვკონებ ესეც საკმარისი უნდა იყოს ჩვენი ბრწყინვალე წარსულის დროის ცხოვრების წინაპრების შესახებ.



## ხანაგას აგზავნი.

„ხანაგა“ არის სამართბოერო სახლი, სადაც საქართველოს მეფეების დროს შეუძლო ხალხთათვის ამ „ხანაგას“ აკეთებდნ და აქ ათავსებდნ ღარიბს ხალხს, მასთან იმავე „ხანაგას“ ჰყვანდა თავისი გამგეობა და ზედამხედველნი, რომელნიც ამ ხანაგას თვალყურს ადევნებდნ და კარგს მფარველობასაც უწყევდნ. ასეთი ხანაგა არსებობდა უსათუოთ ქალაქებში და ზოგს დიდრონ დაბებშიაც.

როგორც სჩანს, ეს „ხანაგა“ უნდა იყოს მეტათ ძველის დროის ქართველი წეს-ჩვეულების, უფრო კერძო-თავყვანისციემის დროის. მითომ რომ „ხანაგას“ ქრისტიანურ წესების არაფერი აქვდა, თვით ეს სიტყვა „ხანაგაც“ არის ძველის ძველი სიტყვა. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ „ხანაგას“ ხმარება ისპობა და მის მაგიერ ვრცელდება „სამართბოერო“, „საგლახავო“, „თავშესაფარი“, „ვრდომილთა შესაფარი“ და სხვა ასეთი სიტყვები, რაც ნიშნავს ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარ ბინას ანუ სახლს.

„ხანაგას“ შოთა რუსთაველიც ახსენებს „ვეფხისტყაოსანში“. ასეთ ხანაგათა სახლში ინახავდნ ისეთ ღარიბ-ღატაკებს, რომელთაც დაკარგული აქვდათ შრომის უნარი და მასთან იყვნენ უნათესაფონი და შეუძლონი, რომელთაც სულ არასფერი შეძლება აქვდათ, ასეთი შეუძლონი უმეტესათ გლეგებისაგან გამოდიოდნ და უფრო კი ყმებიდამ, ისიც ისეთები, რომელთაც აღარასფერი შეძლება აქვდათ, ნათესაფები არ ჰყვანდა, არც უძრავი და არც მოძრავი ქონება აქვდათ, ასეთი ღარიბ-ღატაკნი უმეტესათ გლეგებთაგან ჩნდებოდნ და უმეტესათ ყმათ ყოფილნი და ვაღატაკებულნი. ასეთ ღარიბ-ღატაკნი იყვნენ მაშინდელი პროლეტარ ყმა გლეგნი და მათი თავშესაფარი ბინაც „ხანაგა“ იყო. ასე და ამ გვარათ „ხანაგა“ იყო უმთავრესათ გლეგ ყმათა მსაზრდოებელი ბინა, ხანაგათა მთხოვნელნიც ყმანი იყვნენ, სხვა არაფინ.

## მელიქ აქოზიანის (რაზი) მოწმობა ქართველ ყმაების შესახებ.

რაფი სწერს თავის ისტორიულს მოთბრობებში ასეთ ამბავს: ერთმა ქართველმა თავადისშვილმა კარტის თამაშობაში წაავო თავის ყმების 50 კომლი. ეს ყმები მას მოუგო ერთმა სომეხმა, ამის მე-





რე ამ სომეხმა ეს 50 კომლი ქართველი გლეხები სომხეთში გადმოიყვანა და თავის საბრძანებელში დაასახლა. ეხლაც ახსოვთ იქ ქართველებს, რომ იგინი მათმა ბატონმა კარტის თამაშობაში წააგო.

მადლობა ღმერთს, რომ ამას რაფი გადმოგვცემს, ეს არის ერთი ამბავი, რომელსაც ვიცნობთ ჩვენ და უძველესი რამდენი სხვა ასეთები იქნება მომხდარი, ეს ვინ იცის, რიცხვი არ იქნება, მაგრამ სამწუხაროთ ჩვენ მათი ცნობები არა გვაქვს.

რაკი ამაზედ მოვიდა სიტყვა, ამიტომ მოვიყვანთ ერთ ასეთ ცნობასაც. 1840 წლებში, ერთმა თავადისშვილმა კარტის თამაშობაში წააგო რაც აქვდა თითქმის წაღებიც კი, ისე რომ თამაშობის შემდეგ, დილით ფაიტონი მოუყვანეს და ფაიტონში კალოშებში ჩაადგა ფეხები და ისე უწალო და უშარვალო გაემგზავრა თავის სახლში. ამ ამბავზე არა ნაკლები ამბავი გახლავსთ შემდეგი, რაც ეხლა მოგვყავს: 1840 წლებში ერთმა თავადისშვილმა კარტის თამაშობაში წააგო ფული, ყველასფერი ნივთები, საათი ოქროს, ქამარი, ბეჭდები და სხვაც ბევრი კიდევ ასეთნი და ბოლოს საქმე იმაზედ მივიდა, რომ მან თავის-თავის სამარცხვინოთ თვის ცოლიც კი წააგო იმ თამაშობაში.

**ცნობილი ისტორიკოსის, ვინემ მესხის (ივანე გვა-  
რამაძე) ნაამბობი 1881 წ. სოფ. ხიზაბავრაში.**

ძველის მღვდლებისაგან დარჩენილია შემდეგი გადმოცემანი: რაკი მესხეთ-ჯავახეთის ქართველ თავადისშვილები აღრევე გაათათრეს ოსმალთა ძალით, მის შემდეგ ფალაქანდიშვილები, ავალიშვილები, ათაბაგნი და ბევრი სხვანი არ დაადგნენ კარგს გზას.

იგინი ძალით ათათრებდნენ თავიანთ ყმებს, მაგრამ ყმებში იყვნენ ისეთი მტკიცე ქრისტიანებიც, რომელნიც ადვილათ არ თათრდებოდნენ. ასეთ ყმებს გათათრებული ბატონი სასტიკათ ეპყრობოდა და ყოველნაირ ზომებს ხმარობდნენ ყმების დასაჯაბნათ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ჯავახის და მესხის გლეხ-კაცნი იყვნენ მძლავრნი, შეუპოვარნი და გმირნი და ამიტომ არც ეს ყმანი უვარდებოდნენ თავიანთ ბატონებს.

ამიტომაც ასეთი ბატონები, თავიანთ ყმებს ჩუმათ ჰყიდდნენ აქეთ-იქეთ, მაგრამ როგორ? ისე კი არა, როგორც დასაყიდი ყმები ახალციხეში ჩამოერეკათ და გაეყიდნათ, არა მაის, ყმებს ვაჭ-



რებს ადგილობრივ სოფლებში ჰყიდდნენ, მაგალითებზე მყიდველი ვაჭარი მებატონესთან მივიდოდა და იქვე ადგილობრივ მოჭრივდებოდა ბატონს და იყიდდა ყმა გლეხს, ზოგს ალაგას მთელის სოფლის მცხოვრებელ ყიდულობდნენ ხოლმე.

არის ცნობები, რომ XVIII საუკუნის ნახევარს, აქეთკენ, ანუ ჯავახეთსა და მესხეთში, ეჩმიაძინიდან, ერევნიდან და ასეთს სხვა სომეხთა კუთხეებიდან გადმოდიოდნენ სომეხთა მდიდარი ვაჭრები და ქართველ გათათრებულ თავად-აზნაურებისაგან მათს ყმებს ყიდულობდნენ და ნაყიდ ყმებს თავიანთ ქვეყნებისკენ მიიყვანებოდნენ. ამ გარემოების შესახებ მაშინაც უწერია სხვა და სხვა წერილები მისიონერს ივანე ხოჯივანაშვილს, ეს მისიონერი გარდაიცვალა 1809 წ. თვით იყო მომსწრე თურმე, თავის თვალთ ხედავდა ქართველთ ყმათა დასყიდვის საქმეებს.

სამწუხაროთ ამის ნაწერები სულ დაიფანტა და დაიკარგნენ ოსმალთა მფლობელობის დროს. ოსმალთა ხელში მაინც ქართული წიგნები და ისიც ხელთნაწერები დიდათ იღვევებოდნენ. მაინც ჩვენ ვიცით ამ მისიონერ ივანე ხოჯივანაშვილის ცნობებით, რომ 1760 წ. მესხეთსა და ჯავახეთში სომხის ვაჭრებს ავალიშვილებისა და ფალავანდოვებისაგან უყიდნიათ 400 კომლი ქართველი ყმანი და მის მერე ყველა ეს ნაყიდები მათ თავიანთ ქვეყნებისკენ წაუყვანიათ.

1764 წ. ათაბაგისაგან (ჯაყელი გვართ) 100 კომლი იყიდა მის ქართველის ყმები სომხის ოჰანეს ეპისკოპოსმა და ყველა ეს ნაყიდი წაიყვანა თავის ქვეყნისაკენ.

1765 წ. ერევნელ სომეხთა კარაპეტ ეპისკოპოსმა ჯავახეთში იყიდა 200 კომლი ქართველი ყმა გლეხების და ყველა იგინი გარეკეს თავიანთ ქვეყნისაკენ.

1766 წ. სომხეთიდან მოვიდა ერთი ვართაპეტო, მან თამ მოიტანა ოთხი ურემი პური და ამ პურით მან იყიდა დიდძალი ქართველთ ყმა გლეხნი მათს მებატონე გათათრებულ თავად-აზნაურებისაგან. ასეთი ამბები მაშინ თურმე ყოველთვის ხდებოდა, ყოველ კვირას და ყოველ დღესაც.

1750 წ. ერთს სომხის ვაჭრისაგან ხიზაბავრელებმა დაიბნენს 20 კომლი ქართველი ყმა გლეხნი, რომელნიც ათაბაგს დაეყიდნა, ამ მყიდველს თურმე საღაც მარცხი მოუხდა და მიტომ ველარ წაიყვანა ეს ნაყიდები სომხეთისკენ, მის მერე მოხდა ის, რომ ეს გათავისუფლებული ქართველი ყმა გლეხნი ართვინს წაიყვანა ერთმა

ფრანგის მღვდელმა და იქ ყველა ესენი კათოლიკობაში შემდგომად და იქვე ართვინში დასახლდნენ.

ამის მერე მესხეთ ჯავახეთში ჩვეულებით შემოვიდა, რომელი მებატონეც იყო ბოროტი და იგი თავის ყმებს აწუხებდა, ეს შეწუხებულნი ყმანი აქედან შირბოდენ ართვინს, იქ კათოლიკის სჯულს უერთდებოდენ და მის შემდეგ იქვე ეძლეოდენ ცხოვრებას. იმ დროს ართვინი პატარა ქალაქი იყო, მაგრამ იქ ქართველი ქრისტიანი ყმა გლეხები იმდენი წავიდნენ აქედან და ჩასახლდნენ იქ, რომ ართვინი მოშენდა და ქალაქი გახდა.

მცირე ხანს შემდეგ, საქმე ისე მოეწყო, რომ ახალციხეში შემცირდა ყმების დასყიდვის საქმეები და ამის ნაცვლად ქართველ ყმათა „საჯარო ვაჭრობის“ ბაზარი ართვინში მოეწყო და ვისაც კი ქართლიდამ აქ თავისი ყმები გასაყიდათ მოჰყავდა, ეს ყმები ახალციხიდან მათ ართვინში გადაჰყვანდათ და იქა ჰყიდდენ მათ ოსმალთა ვაჭრებზედ.

ამისთანა ამბებს მეტად დიდი ისტორია აქვს, ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენ კი ამის შესახებ სულ არაფერი ცნობები გვაქვს შეტყობილი, ივანე ხოჯივანაშვილის ცნობებიც სულ დაიფანტენ აქეთ-იქეთ და დაიკარგენ სულ.

### რვაჯერ გაყიდული ქართველის ამბავი

ამ რვაჯერ გაყიდული ყმა გლეხის ამბავი მოთავსებული არის ერთს ძველს აღაპში, რომელიც მოთავსებული აქვს პატიცემულს პროფესორს ნიკ. იაკობის ძე მარს და რასაც ეწოდება:— „აღაპნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა“ გვ. XX—XXI.

ეს ცნობა იმდენათ საყურადღებო არის, რომ აქ საჭიროთ ვრაც ამისი ცნობებუ მოვიყვანო თავისის ძველის დედნის სიტყვებით, რომ ეს გარემოება ვისმეს მოგონებულ ქორად არ ეჩვენოს, რომ ყმის გასყიდვა განა შეიძლებოდა რვაჯერ, საკვირველება ეს გახლდათ და სწორედ ეს არის საჭირო, თორემ ყმის გაყიდვა რომ იყო, ეს ჩვენ ვიცით კარგათ და იგი არავისთვის უნდა იყოს გასაკვირველი; ხოლო რვაჯერ გასყიდვა-კი ერთ და იმავე გლეხი-კაცის წარმოდგენელი უნდა გახლდეს.

აი ესეც სიტყვები ამ აღაპისა, როგორც დაბეჭდილია:  
„ღმერთო: მიხსენ: და შეიწყალე მართლ: მადიდებელნი: კახელნი: მეცა: მონა: ღვთისა: ფრიად: ცოდვილი: თუშაით თუშის შვი-

ლი: მოქცეული: კახეთს: ალავერდის: წმიდის: გიორგის: მონასტერს  
ში: და ფრიადსა: ცოდვისაგან: ცოდვისაგან: და ლეკისაგან  
რვაჯერ გასყიდული: ლეკისაგან და თათრისაგან და მერმე მრავალ:  
მოწყალისა: ქრისტესაგან და იერუსალიმს მოყვანილი, ექვსა წელსა  
მონა რვაჯერ გავისყიდე. ძმანო, ბევრი ქარი: ვნახე: უმაწვილი ვი-  
ყავი: შენდობა ბრძანეთ ჩემს ცოდვილისათვის“.

ცნობა არის, რომ ეს რვაჯერ გასყიდული ლეკთა და თათარ-  
თაგან ყოფილა გვართ ენდრონაკაშვილი, კახელი იქნებოდა, თა-  
ვადიშვილი. აქ საკვირველი ის არის, რომ ლეკთაგან საღ იქმნა ეს  
ქართველი გასყიდული, იერუსალიმს თუ საქართველოში, მისი გამ-  
ყიდავი ლეკა მას საღ ჰყოიდა, ამისი ცნობა არ სჩანს, არც ისა  
სჩანს, თუ თათრებმა საღლა გაჰყიდეს ეს ქართველი.

იქვე მოხსენებული არის 12 გვერდზედ:—„მიეცა ასი მარჩილი  
და ერთი ბიჭი, ჯვარის მონასტრის ყმა ბიჭი“.

გვ. ნან:—ქრისტიანი დედაკაცი ტყვე მოკვდა, ელენე ჰქვიან,  
უშველოს ღმერთმან შეილთა და თავადთა და ვილოცვიდეთ ვინცა  
ვიყავით ჯვარისანი“.

აქ საინტერესო ის არის, რომ ეს ცნობა შეეხება იერუსალიმის  
ჯვარის მონასტერს, სადაც ქართველთ შეილები იქაც ისყიდებოდნენ  
თურმე, ისიც ეპესჯერ და რვაჯერ.

ბევრი ამბები და ცნობები გამოიგონია და ამიწერია და ეს ამ-  
ბავი კი მეტად იწვიათა, თუ ნეტა ეს როგორ მოხდა რომ ქარ-  
თველი კაცი რვაჯერ გაისყიდა. ეს გასყიდ-გამოსყიდვა ისე ხდებო-  
და, რომ გასყიდული ერთ დროს იერუსალიმშიც იქმნა გასყიდული  
და ჩაყვანილი და მის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულა, იგი  
კახეთში ჩასულა და ალავერდის ეკლესიას ჰყმობია.

სჩანს, რომ ამ ქართველი კაცის მერვე გამყიდველი ქართველი  
ყოფილა ან სხვა ქრისტიანი და იმას ეს მერვე გასყიდული ქართვე-  
ლი გაუნთავისუფლებია და მიტომ იგიც საქართველოში დაბრუ-  
ნებულა.

ისიც კი სჩანს, რომ პირველათ ეს ლეკებს ჰყოლიათ ტყვეთ  
შეპურობილი, თუ ნასყიდი, მის მერე ლეკებს იგი ოსმალთს თათრებ-  
ზედ გაუფიქრებიათ, მიტომაც ეს წაუყვანიათ ოსმალეთში და მის მერე  
იგი იერუსალიმს ჯვარის მონასტრის მხარეშიც ჩაგარდნილა.

## ყვების მომხრე და მფარველი მესხეთ-ჯავახეთის სოფლები.

(დაწერილი 1881 წ. ზეპირის ცნობებით ს. ხიზაბავრს)

ისეთი სოფლები მესხეთ-ჯავახეთში იყო რამდენსამე ალაგას, სადაც მცხოვრებთ დიდი სიბრალოლი აქენდათ ქართველ ყვების იმ დროს, როცა ამ ყნებს თავისი ბატონები ოსმალებზედ ჰყიდდნენ. ეს გამსყიდავი ბატონები საითაც უნდა წასულაყენენ და რა გზითაც უნდა ევლოთ მათ თავიანთ დასაყიდ მონა ყმებით, იგინი მაინც მესხეთის სოფლებს უდეს, არალს და ვალეს მაინც არ ასცდებოდნენ, აქ უნდა მისულიყენენ და თავიანთ დასაყიდი ყმებიც იქ უნდა მიეყვანათ, რადგანაც მაშინ ოსმალეთის საზღვარი სოფ. ვალესთან იყო 1828 წლებამდის.

იდრე, ანუ 1880 წლებამდის, ამ სოფლებში სცხოვრობდენ ისეთი მოხუცებული ქართველები, რომელთაც ბევრი რამ ახსოვდათ ქართველ ყმათა ვაებით სავსე ცხოვრების შესახებ. სოფ. ვალეში შიამბეს შემდეგი:

ჩენი სოფლის ხალხი ოსმალებს იდრიდანვე ჩაბარდა, ოსმალოს საზღვარი ვალეს სამხრეთით იყო და საქრისტიანო საქართველოს საზღვარი ვალეს ჩრდილო მხარეს. ქართველი შერცხვენილი და ლაფ-დასხმული კაცები ვისაც კი მოიტაცადენ თავიანთ ყმებს და ოსმალებზედ გასასყიდათ მოიყვანდენ, ისინი აქ ჩვენთან, ამ სოფელს ვალეს უნდა მოეყვანათ და აქედამ უნდა დაეწყათ ვაჭრობა და ოსმალებზედ დასყიდვა თავიანთ ყმების.

ჩვენ, როგორც ოსმალოს ქვეშევრდომი ქრისტიანეი ქართველ გამსყიდავებს აბა წინააღმდეგს რას ვეტყუადით, არაფერს, თორემ პირქუშა ყმათა გამყიდვი ქართველი ბატონები მაშინათვე ოსმალებთან დაგვაბეზლებდენ, ამიტომ მათს წინაშე ჩუმათ ვიყავით და დასაყიდ ქართველ ყმებს კი ჩენს დახმარებას არ ვაკლებდით. დამსყიდავი ქართველნი თავის ყმებით მოვიდოდნენ ჩვენს სოფელში, ჩვენს სახლებს იჭირავებდენ და ლამე აქ ჩვენთან დარჩებოდენ, დაძინების შემდეგ ზოგი ჩვენთაგანი ჩუმათ მიეპარებოდა გასაყიდ ქართველ ყმა გლეხებს, ჩუმათ მათ თოკებს შეხსნიდენ ხელებიდან, ფეხებიდან, ყელიდან, ჩუმათ გამოიყვანდენ აქეთ და ეტყოდენ:

— აბა ჩქარა თავს უშველეთ, თქვენს გამსყიდავ ბატონებს დალაღისაგან ღრმათ სძინათ.

რომელ დასყიდული ყმებიც იყვნენ ბატონისაგან შეშინებულნი, ისინი ვერ ბედავდნენ გაქცევას, ეშინოდათ, ზოგს ისეთი ბოროტი ბატონი ჰყვანდა, რომ ერთის მხრით მას გასყიდვაც უხაროდა, რომ ამ გასყიდვით ჩემი ბატონის-საზღადამო ტანჯვას მოვრჩები და მოვიხსენებო. ასეთ ყმებს ჩვენ იქვე ჩვენს სოფელში ვმალავდით.

ზოგნი ვალეს ეკლესიის სამალაევებში აგვყვანდა და იქა ვმალავდით, ზოგს ბორბლის ორმოებში ვსხავდით და ვმალავდით. ზოგნიც ჩვენებურს მიწის დარნებში შეგვყავდა და იქა ვმალავდით, ზოგსაც სხვა ასეთ ადგილებში.

გათენდებოდა დილა, ბატონი გაიღვიძებდა, ნახავდა, რომ მისი ყმები იქ აღარ იყვნენ, დაიწყებდა ტორტმანს, ლაპარაკს თუ ჩემი ყმანი სად წავიდნენ. ჩვენ ვეტყვოდით ხოლმე:

ღმერთმა ნუ იცის იმათი თავი სად წავიდნენ, ჩვენც გვეძინა და იგინი არ გვინახავს, როგორ და სად წავიდნენ.

ბატონი იტყოდა გაბრაზებული:

— მათ თოკები ვინ დაუჭრა, ან მათ ამის დასაჭრელი დანა ვინ მისცა, ან ვინ ათხოვა მათ ეს?

— თვენ როცა წამოიყვანეთ სახლიდამ მაშინ იგინი დაბას, ან სხვა რამეს ჯიბეში ჩაიდებდნენ და თან წამოიღებდნენ, წამოყვანის დროს თქვენ მათი ჯიბეები უნდა დაგეშინჯათ.

ასეთის ოსტატობით ვატყულებდით გამსყიდავ ბატონებს, ამისათვის ჩვენ ტყვილ ფიცსაც ვიღებდით და ყველასფერ შრომას ვკისრულობდით, რომ გამსყიდავ ბატონისაგან მათი დასაყიდი ყმები დაგვეხსნა.

ასეთი მებატონენი ხშირათ დაღონებულები დაბრუნდებოდნენ უკან, თავის სოფლისაგან წასულან და მის მერე ჩვენც ის გასაყიდი ყმა-გლეხები დაგვიყენებია გზაზედ და მათ დარიგებასაც ვაძლევდით ასე:

ძებო, თქვენ ათი, ოცი კაცო ხართ თქვენი გამსყიდავი ბატონი კი ერთი, თქვენ რის გეშინიათ მათი წინააღმდეგი გახდეთ, დემუჭრეთ ცემით, მოკვლით და ის შეშინდება, თქვენს გასყიდვას თავს დაანებებს.

სამაგიეროს მიღებას ჩვენ დასაყოფ ყმებთაგან არას ველოდით, არამედ იმედი გვქონდა, რომ მის ნაკიერს საკეთეს ჩვენ მოგვივლენდა ჩვენთვის ჯვარცმული ქრისტე ამით ვიყავით აღვსილნი და გა-



ხარებულნი, რომ ჩვენის ცდით და მოქმედებით ჩვენს ძმა ქრისტიანულ მოსახლეობას ქართველებს ტყვეობისა და გაყიდვისაგან ვიხსნიდით და ამის სამაგიეროს მიღებას ჩვენ მღვთისგან ველოდით.

ასე და ამგვარად ვალელები იტყოდნენ ძველათ, რომ ჩვენს სოფელ ვალეს ერთობ დიდი ამაგი და სიკეთე აქვთ ასეთ ქართველთა ყნებზედ დახარჯულიო. ბევრი ყმები დაგვისხნია ასეთის ტანჯვისაგანა და გაგვითავისუფლებია იგინი.

სხვა წერილმან ცნობებს ჩვენ აქ არ მოვიყვანოთ, თუმცა ვალელების სიტყვით, ყოველი მათი წერილმანი ცნობებიც კი სავსეა დიდი ტრალიკის ცნობებით.

### სოფელი უღე.

სოფელი უღე ვალეზედ მოშორებულია, მაგრამ ხშირად იმდენი მგზავრები მოდიოდნენ ქართლიდან, რომ მათ მარტო ვალე სოფელი არა ჰყოფნიდათ, ამიტომ იგინი სოფ. უღეშიაც გადადიოდნენ და იქ ეხიზნებოდნენ. უნდა ითქვას, რომ სოფ. უღელებიც არ აკლებდნენ თურმე თავის ქომავლობას და ბევრს ყმებს იხსნიდნენ ტყვეობისა და თათრებზედ დასყიდვისაგან.

მოხუცებულებმა სთქვეს შემდეგი:

ჩვენი ძმების ქართველ ქრისტიანების დახსნაზედ ჩვენ ბევრი მწუხარება და შეწუხება გვანახავს, ბევრი გამბედავი მებატონე დაგემღოღრებია, ჩვენში უსიამოვნებაც მომხდარა, ჩხუბიც, მაგრამ ჩვენ ყველაფერი დაგვითმენია და მისი სამაგიეროს მიღება ქრისტეს მაღლისაგან გვქონია იმედი. რაც ასეთი ყმა გლეხების დახსნაზედ ჩვენ შრომა მიგვიღია რომ ვიამბოთ ყველა, ამ ამბებს ორ დღეში ვერ გავითავებთ. ისკი უნდა ითქვას, რომ ჩვენის სოფლისაგან დიდძალი გლეხობა არის დახსნილი გასყიდვისა და გათათრებისაგანაც.

ქეშმარიტება არის მოწამე, რომ ქართლის თავად აზნაურთა ყმებიდამ ჩვენ უღელებს ბევრი ტყვენი და დასაყიდი ყმანი გვყავს დახსნილი. ამიტომაც ჩვენგან დახსნილ გლეხთა ყმებს მშვილობა და კარგათ ყოფნა და ჩვენც, მათ სიკეთის მქნელთ, კარგათ ყოფნა.

### სოფელი არალი.

სოფელი არალი ვალესა და სოფ. უღეს შუა სძევს. ამ სოფელს ძველათ გათათრებული ბეგები ფლობდნენ, ამით მოდავეთა მომხრენი



იყენენ გათათრებული ფალავენდისშვილები, ავალისშვილები, მუხრანის  
 ქვაბლიანის მებატონენი, რომელნიც სულ გათათრებულები აქედან  
 უნდა ითქვას, რომ ეს ქართველი გათათრებულები ისეთი მტკიცე,  
 მაგარი თათრები იყვნენ, რომ იგინი ნამდვილს თათრებს აჭარბებდნენ  
 თავიანთის თათრობის ავობით და თათრულის ბოროტებით, ქართ-  
 ველი ქრისტიანები ისე ნამდვილ თათრებს არ სძაგდათ, როგორც ამ  
 გათათრებულ ქართველებს.

ჩვენდა სამწუხაროდ ამ შეჩვენებულ ფალავენდიშვილებმა და  
 ავალიშვილებმა შეიტყეს სოუ. არაღლელების საქციელი, რომ იგინი  
 ქართველ გლეხთა ყმათა ქრისტიანებს ქომავობას უწევდნენ და მათ  
 იხსნიდნენ იგინი და ამ გასაყიდ ყმებს ათავისუფლებდნენ. ამიტომ  
 ამათ ჯავრი იქონიეს გულში არაღლელების და იგინი დააბეზლეს  
 ოსმალის მთავრობასთან და მის შემდეგ ოსმალს მთავრობამ და-  
 გვიწყო მზერა და ჩვენც გვეშინოდა მათი.

### მებატონეების წამება-შიკვინება XVII საუკუნეში.

იმერეთ-აფხაზეთ კათოლიკოზი იყო იმერი, იგი აფხაზეთში გა-  
 ნაგებდა იმ დროდამ, როცა იგი კათოლიკოზის ტახტზედ იქნა აყვა-  
 ნილი. აფხაზეთში მან კარგათ ნახა, რომ აფხაზეთა მებატონენი და  
 მეგრელები თავიანთ ყმა მონებს ოსმალებზედ 1615 წლიდამ უკვე  
 ათასობით ჰყიდდნენ, ასე რომ ამ ნასყიდებისაგან მთელი გემები იესე-  
 ბოდა და ოსმალეთში მიდიოდა. სამეგრელო თუ წლიურათ ოსმა-  
 ლეთს ათას გოგოსა და ათას ბიჭს აძლევდა ხარკათ, მიტომ მის მა-  
 გიერ მებატონენი ორ აძლენს კიდევ ოსმალს ვაჭრებზედ ჰყიდდნენ,  
 რომელთაც სულ ოსმალს ვაჭრები ყიდულობდნენ და თვითონ ამ ვა-  
 ჭრებს გაჰყვანდათ ეს ნასყიდი ქართველთ შვილები ოსმალეთში.

ფიქრობ, რომ უეჭველია აფხაზეთში უფრო ღარესობა იქმნე-  
 ბოდა, რადგანც იქ უფრო მძლავრი იყო ყმათა მონობა და მეგრე-  
 ლები თუ წელიწადში ორი ათას გოგობსა და ბიჭებს ოსმალს  
 მთავრობას აძლევდნენ ხარკათ, მიტომ ოთხს ამოდენას კიდევ მეგრ-  
 ელთ მებატონენი ჰყიდდნენ წლიურათ მეგრელთა შვილებს ოსმალს  
 ვაჭრებზედ, ასე რომ სამეგრელოს, ლევან დადიანის დროდამ, უკვე  
 წელიწადში ათი ათასი გოგო და ბიჭები ეკარგებოდა ოსმალეთში.  
 ამაზედ ნაკლები ტვირთი და ყმათა გამსყიდობა აფხაზეთში არა ნა-  
 კლებ იქნებოდა.





ვეტიკრობთ, რომ ასეთი უბედური სურათები ევდებოს. ლიკოზმა თავის თვალთ ნახა, ნახა ეს ყოველივე მებატონეთა წესებისაგან, ჩამოდიოდა ყმაწვილ კაცობა, იკარგებოდა და იღუპებოდა. კათოლიკოზმა ეს გზა ასეთი ბოროტება ვერ დასთმო და კიდევ მიტომ შეეხო თავის ქადაგებაში ამ უწყისო ბოროტებას ასე:

„წყვეული და შეჩვენებული იყოს ის ბატონი და ის კაცი, ვინც თავის ყმა ძმებს ასე ბოროტათ მოექცევა, ვინც ქრისტეს ბატონებს ეშმაკის მგლებს მიუგდებს შესაჭმელათ. ასეთი ბატონი არ ცხონდება, ასეთი მტერი ბატონი არის მტერი ქრისტიანობისა და ქრისტეს ვენახისა, იყავ წყვეულ და შეჩვენებულ, იყავ გარისხული ქრისტესაგან და არ ნახარს სულმან შენმნ შევება და მოსვენება. შეგაჩვენოთ ღმერთმა თქვენ, ვინც ამ ავკაცობას არ დასტოვებთ და ქრისტეს ვენახის ბატონებს არ გაუფრთხილდებით და არ მოუვლით. ასეთი მტერი და ბოროტნი არ ცხონდით თქვენ და იყავით უკუნითი უკუნისამდე წყვეულ და შეჩვენებულნი“.

ვეტიკრობ, რომ ევდებოს კათოლიკოზს, როგორც იმერს, იღბათ ატუხაზეთში ვინმე ნათესავეები არ ჰყვანდა: თავადნი, აზნაურნი და ან სხვანი, თორემ იგი მაშინ ამისთანა წყველას ვერ განუდევდა ატუხაზეთში.

### საქართველოს რომაელთა მფლობელობის დროს პატონ-ყმობის და მოწევის ამბავი.

რომაელთა კეისრის დროს, საქართველოში გლეხ-კაცობა გაიყოფოდა სამ წყობათ, პირველი იყო ოჯახიშვილი გლეხნი, მეორენი იყვნენ გლეხნი, რომელნიც იყვნენ ყმანი და შესამენი იყვნენ ყმათა ყმანი, ანუ მონანი.

ყმას მაშინ პატრონი ჰყვანდა, ასეთ გლეხებს რომაელთა მთავრობა ხელს ვერ ანულებდა, მათ ვერსად წაიყვანდა, ვერც გაიტაცებდა, ვერც გასყიდდა მათ, ვერც სხვა რამ დამციობებას მიაყენებდა, ერთი სიტყვით მაშინ ყმას პატრონი ჰყვანდა და მიტომ მისი ხელის შემეხველი არავინ იყო.

ყმას ვერაფერ გასყიდდა, ვერც მოიტაცებდა, ვერც დაგირავებდა, ერთი სიტყვით გლეხი თუმცა გლეხი იყო, მაგრამ მას პატრონი ჰყვანდა და მიტომაც მისი ხელის ხლება ვერაფერს შეძლო. ეს ძველი გარემოება ჩვენის პატრონ-ყმობისა, ქრისტეს სჯულის მიღების შემ-

დგე, ანუ 227 წლიდან ბატონ-ყმობაზედ შეიცვალა და კერპთა წინააღმდეგობის „პატრონ-ყმობა“ დარჩა სამახსოვროთ და სახსოვრათ მის, რომ ვითომც ეს „პატრონ ყმობა“ ქრისტეს სჯულის შემდეგაც არსებულა საქართველოში. ასე და ამ გვარათ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოში, ერეკლეს დროს, არსებობდა „პატრონ-ყმობა“.

მონა იყო ის ვისაც პატრონი არა ჰყვანდა.

პატრონიან გლეხს ყმობა, ანუ მონობა არ შეიძლებოდა. როგორც სწინს, ქართველებში თურმე მონობა და მონა დიდათ იძრახებოდა, ყმა კი ისე არა და „ყმას“ გავონებაც არ იყო თურმე მაშინ. მონა კი იძრახებოდა მიტომ, რადგან იგი მონა იყო, მაგრამ ისიც-ი უნდა ვსთქვათ, რომ მონა იძრახებოდა სიბრალულით და არა გმობით და რისხვით-ჩაგვრით.

ამ სიბრალულს იწვევდა ის გარემოება, რომ მონა იყო უძლური, უპატრონო და ამას გარდა იგი იყიდებოდა ცხვარზედ უფრო იაფათ, ამას გარდა საბრალო იყო კიდევ მით, რომ როდესაც მათ რომელები ყიდულობდნენ, მის მერე ეს საბრალო გლეხთა მონანი თავის ქვეყანაში მიჰყვანდათ და მათ იქა ჰყიდდნენ.

ასე და ამ გვარათ, კერპთთა-ყმობის წინააღმდეგობის ხანაში და ნამეტურ რომელებთა მფლობლობის დროს, საქართველოში, ქართველის დიდი ძალი მონები იყიდებოდა თურმე, სამწუხაროთ ცნობები არ არის მაიი, თუ ეს გამყიდვეები ვილა იყვნენ და ამ მონებს ვინა ჰყიდდა, ის კი უნდა ითქვას, რომ ამ მონათა დამყიდველნი უნდა ყოფილიყვნენ ის ბატონები, რომელნიც „პატრონათ“ იწოდებოდნენ და რომელთაც თავის საკუთარი ყმა გლეხებიც ჰყვანდათ და სწორეთ ეს საპატრონო გლეხთა გლეხნი, თუ მონანი უნდა ყოფილიყვნენ, რომელნიც მათ მუპატრონე ყმა გლეხებისაგან ისყიდებოდნენ.

ქართველთ ასეთ მონებს მრავლათ ყიდულობდნენ როგორც რომელები, ისევე ბიზანტიელებიც. მიტომაც გახლავსთ, რომ ციცერონ ბრძენი იხე შედიდურათ ბრძანებზე, რომ ჩემის გამგეობის დროს, ერთ დღეს, კილიკიაში (სომხეთი) რამდენიმე ათასი კაცი გავყიდეთ, რომელ კაცნიც იქვე ერთს ხალხისაგან ჩავიგდეთ ხელშიო.

აქ მარტივათ ვიტყვი, რომ კილიკიის ახლოს ყველაზედ უფრო საქართველოა და მამასადამე, ეს ხალხიც, რომელიც მით ჩაუვარდათ ხელში, უმძველია იყვნენ ქართველები. ისიც კი უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ეს ხალხი მათ მუქათ ჩავარდნიათ ხელში, ალბათ ომიანობის დროს, ანუ მათზედ დაცემის დროს, ასე უნდა იყოს. როგორც



უნდა ითქვას, ყოველის მხრიდამ კარგათ სწანს, რომ რომელიმე და  
 ბიზანტიელების მფლობელობის დროს, საქართველოში გლებ-კაცობა  
 და გლებთა ყმანი და ამ ყმათა ყმანი და უმეტესათ ამითი მონები  
 ისე იტანჯებოდენ, როგორც ბატონ-ყმობის დაარსებისას და მის  
 შემდეგ საბატონო გლებნი და ყმანი.

საჭიროა რომ ეს გარემოებაც ვიცოდეთ, თუ რომელების და  
 ბიზანტიელების დროის ქართველი გლებ-კაცობა როგორ სცხოვრობ-  
 და და მათ ან რა გარემოება საზღვრავდათ და ეკრათ გარს.



# ს ა რ ჩ ე ბ ი

მე-5 ტომისა

83

- |   |     |
|---|-----|
| 1. ბატონყმობის ისტორიის შესახებ . . . . . | 269 |
| 2. ბატონყმობა საქართველოში . . . . .      | 292 |
| 3. ბატონყმობა . . . . .                   | 308 |

**I. ბატონყმობა ქართლში:**

- |   |     |
|---|-----|
| 4. სოფ. ურბნისის ბატონის ამბავი . . . . .                         | 315 |
| 5. სოფ. წვეერის მებატონეთა ამბავი . . . . .                       | 316 |
| 6. შამში ერისთავი და მისი ყმა გლეხი ყაჩალი მიხა ნუკრადე . . . . . | 317 |
| 7. რევან ამილახვარის ამბავი . . . . .                             | 318 |
| 8. ბატონყმობა ქართლში . . . . .                                   | 320 |

**II. ბატონყმური ურთიერთობა ქართველ ებრაელებში:**

- |  |     |
|--|-----|
| 9. ბატონყმობა ქართველ ებრაელებში . . . . . | 325 |
|--|-----|

**III. ბატონყმობა გურიაში:**

- |                                  |     |
|----------------------------------|-----|
| 10. თავ. მაქსიმეიშვილი . . . . . | 331 |
| 11. აზნაური თენიეშვილი . . . . . | 332 |
| 12. დათა გურიელი . . . . .       | 333 |
| 13. აზნაური ყენია . . . . .      | 334 |
| 14. ყარამან თავდგირიძე . . . . . | —   |
| 15. დათა გურიელი . . . . .       | 336 |
| 16. შალაქია გურიელი . . . . .    | 337 |
| 17. აზნაური კობალაძე . . . . .   | 338 |

**IV. სხვა და სხვა მასალები:**

- |   |     |
|---|-----|
| 18. საქართველოში ბატონყმობის გადაეარდნის სამზადისი და მისი გამოცხადება ქ. თბილისში . . . . .                    | 343 |
| 19. ქართველ ყმათა დასყიდვის და დახსნის შესახებ კათოლიკეთ მისიონერების დამოწმებით XVIII და XIX საუკუნე . . . . . | 345 |



20. კერპთყვანისცემა . . . . . 354

21. ბატონყმობის ამბები კერპთაყვანისცემის ხანაში . . . . . 355

22. ქართველ ყმების სოფლების დასყიდვა უცხო ტომის ხალხზე 356

23. ხანაგას ამბავი . . . . . 361

24. მელიქ-აკოფიანის (რაფი) მოწმობა ქართველ ყმების შესახებ —

25. ცნობილი ისტორიკოსის ვინე მესხის (ივანე გვარამაძე) ნააბ-  
ბობი 1881 წ. სოფ. ხიზაბაგრაში . . . . . 362

26. რვაჯერ გაყიდული ქართველის ამბავი . . . . . 364

27. ყმების მონაზრე და მფარველი მესხეთ-ჯავახეთის სოფლები . 366

28. მებატონეების წყევლა-შტრეენება XVII საუკუნეში . . . . . 369

29. საქართველოს რომაელთა მფლობელობის დროს ბატონყმო-  
ბის და მონების ამბავი . . . . . 370

# საქართველოს განათლების უწყისობის განცხადება

1. შეცხადებენ საუკუნის მეორე ნახევარში  
სამაზრო და საგუბერნიო არხივებიდან ამო-  
ღებულნი,
2. მომსწრე და თვით მნახველ პირთა ნაამბობი,
3. ხალხში ნაპოენი საბუთებით აღწესხული

ზაქარია ზიზინაძის და სხვათა მიერ

გ. ბ. ში.

---

საქართველოს საგანმომცემლო კოოპერატივი „მწიგნობარი“-ს გამოცემა  
მირ. ხუხუნაიშვილის რედაქტორობით.

---

I.

# გაბონეშვიტა კარტლუი

მასალეზი.

## თავადი თუმანიშვილი.

თავად თუმანიშვილებს თბილისში ძალიან ბევრი ყმები ჰყვანდათ, ამ ყმებთ შორის, ერთი ქვრივი დედა-კაცი ჩვენს უბანში იდგა, მთაწმინდაში. ამ ქვრივ დედაკაცს სამი ობოლი ქალი ჰყვანდა. ბატონმა ჯერ ერთი ქალი წაართო, შემდეგ მეორეს წართმევაც დააპირა, მაგრამ აქ კი მოასწრო დედამა და ორივე ქალი სოფელ ნათლუხს გააპარა დასამალათა. იქ რამდენიმე დღეს დირჩენილან, იქიდან სოფელს წალასყურს წაუყვანიათ, წალასყურიდან თფილისში ჩამოუყვანიათ. ამის შემდეგ ბატონს შეუტყვია მათი ამბავი და ამიტომ კაცები გამოუყენებია. ამ დროს დედას ეს ორივე ქალი წყნეთში გაუპარებია, რამდენიმე ხნის შემდეგ სოფელ ნახშირგორში აუყვანიათ. ბატონს რა შეუტყვია ყველა ეს ამბები, დაუბარებია იმ ქალების დედა და უთქვამს:

შენ, ეი, ქოფაკო! ე ნუგუზალივით რომ გაშავებულხარ, წადი, მოიყვანე გოგოები აქ. თორემ მამა არ წამიწყდება ისეთ დღეს დაგაყენებ, რომ გონი ნახშირგორი-კი არა და შენი თავიც აღარ მოგაგონდეს.

დედაკაცს მიუვია:— ქალები დაენიშნეო.

ომ ახლა ამაზე ასტეხია ერთი ალიაქოთი, ვაი და ვაგლახი.

— დახედეთ ამ ჯგინშობებს, მე დავნიშნავ მათა.. შეუყვირნია ბატონს და სამოიდე სახრეც მიურტყავს. დედაკაცს ტირილი დაუწყია, ტირილზე ბატონი უფრო გაჯავრებულა და ამიტომ ჩაუყეტია კარები და ისე უცემნია, რომ სულ ცხვირპირი ჩაუმტვრევია, ცემის შემდეგ გამოუგდია კარში.

მეორე დღეს ბატონს თვითონ გაუგზავნია თავის შინა ყმა კაცები სოფელს ნახშირგორში და თავადის ბებუთაშვილის შემწეობით უპოვნიათ და წამოუყვანიათ ბატონის სახლში.

ეს ამბავი შეიტყეს თუ არა მისმა ნათესავებმა, მაშინათვე დაქართამეს ერთი მიკიტანი და მიგზავნეს ბატონთან, რომ ეგები ის ქალები მოგყიდოსო. ბატონებმა მიკიტანს გოგოებში მისაცემი ფასიც დაუნიშნეს, მიკიტანი გამოეცხადა თ. ბ—ვებს.



- აი ბატონი აღდგერძელა ღმერთმა, მიესალმა მიკიტანმა და დაატანა,
- გაგიმარჯოს ღმერთმა, მიუფო ბატონმა და თანაც დაატანა, უსაქმით არ გაირჯებოდი.
- დიახ საქმე მაქვს, პოლკში მიკიტნის დუქანი გავხსენით და ორიოდ გოგოა საჭირო, რომ იქ ეყიადიოთ, თუ გყავთ ვინმე, მოგვყიდეთ ბატონო და რასაც უქვენი ბრწყინვალეობა ითხოვს, იმას მოგართმევთ.
- მყავს, მიუფო გალიმებით ბატონმა.
- როგორ გვიბოძებთ ბატონო, ჰკითხა მიკიტანმა.
- წყვილში თერთმეტს თუმანს გამოგართმევთ, ბაჯალლო ოქრ.
- კარგი ბატონო, მოგართმევთ, ეს კია რომ წინეთ კი მაჩვენეთ.
- ძალიან პატიოსანი, მიუფო თავადმა და დააბარებინა ქალები. მიკიტანმა ჯერეთ ქალები სახელებით იცნა, შემდეგ იმ სახის ნიშნებით, როგორათაც აუწყერეს მისმა ნათესაებებმა. შემდგომ ამის მიკიტანმა მისცა ფული და ქალები წაიყვანა თავისკენ, რასაკვირველია პატრონს ჩააბარა, მაგრამ საუბედუროთ, არც ერთმა მათგანმა დიდბანს ვერ იცოცხლა და მალე დაიხოცნენ, რადგანაც ბატონის დევნისა და შიშისაგან სულ კანკალებდნენო და უკანასკნელ როცა ისიც შეიტყუეს, რომ მიკიტანი გყიდულობს ბატონისაგან და თავისს სამიკიტნოში უნდა წაგვიყვანოსო, მაშინ სულ ცოცხლივ დახოცილან.
- ასე იცოდა ხოლმე განადირება თავის გლეხებზე ამ პატიუკ-მულმა თავადმაო. მრავალ ქალს დაუმხო ნამუსი და სიცოცხლეო. ამ ბატონზედ იმასაც პოძანებენ, რომ იგი მოღეჭსეც იყოფო და ხშირად ლეჭსებაც სწერდაო. დიახ ეს ასე აღმოჩნდა და იგი ჩვენს ძველს მწერლობაში ცნობილ მელექსეთ ითვლება.
- ამ მებატონეს ნაქნარ საქმეთა ცნობებით მთელი ტომი დაიწერებოდა, მაგრამ სად არის ცნობები და ან მის მომგონნი, დღეს აღარავინ არის ამის მცოდნე და როცა იყო, მაშინ კიდევ არც მის ამწერნი იყვნენ და არც არავის მის მოგონება ეპიტნავებოდა. გარდა ამისა ყოველივე ამას ცოდნაც უნდოდა და მოგონებაც. ეს ერთი ამბავი, ვისგანაც ეს დავსწერე, იმან სხეაც ბევრი რამ იცოდა ამ მე-ბატონეზედ, მე-კი აღარ მიაბო, ერთდებოდა და სცხვენოდა.

ივრის ხეობაზე, თადია ჩოლოყაშვილმა თავის ყმის ერთ დედაკაცს ფეხის გულები დაუჭრა, ჭრილობაზე თაფლი წაუსო. შემდგომ თმებით ხეზე ჩამოკიდა. ჭრილობაზე თაფლი მიტომ წაუსვია, რომ ბუხები მალე დახვოდა.

დღედა-კაცი ხეზედ ორ დღეს ყოფილა ჩამოკიდული და მძიმედ დღეს მომკვდარა. ვერ შევიტყუე, თუ რა იყო მიზეზი ასე დასჯისა. ამ ამბის მოპოონი დღესაც იქნებთან ივრის ხეობაზედ. ამავე მებატონეს მეტად დიდს უდიერად და ხალხის მტანჯველად ასახელებენ.

## დიდი გ. ერისთავი.

დიდმა გ. ერისთავმა დაიკვება, რომ ჩემს სიცოცხლეში (ახალგაზრდობაში) ოცდა ათი მარტო მარამები მყოლია პირველ დანესაო. ეს დიდი გ. ერისთავი ის მამულისშვილი გახლავსთ, რომელიც ქირთულად ლექსებსაც სწერდა და მისი ერთი ლექსი წოდებით „ახ ივერნო ისინეთ“ დაბეჭდილია 1832 წ. ქართულს ეფრნალს „თფილისის უწყებაში“. ეს ამბავი გადმომცა მისმა ნაყმევმა მეღეჭე იოსებ დავითაშვილმა. ამავე პირმა მებატონის უდიერებაზედ ბევრი ამბები იცოდა.

## თავ. ამილახვრები.

ქართლში ბარძიმ ამილახვარი დიდი ყმისა და მამულის პატრონი იყო. პირველი ღამე ამანაც იცოდა, ამას გარდა მეტის მეტი ბინძური კაციც იყო. სიბერემდის თან გაჰყვა თავის ახალგაზრდობის სისამაგლე და სიბერეში რომ ვეღარა შვრებოდა, ყმის გოგოებს დაარჩევდა, რომელიც მოეწონებოდა შეიყვანდა თავის ოთახში, გაატიტვლებდა დედის შობილასა და ჯერეთ ისე უტკეროდა და შემდგომ ხელებით დაუწყობდა წვალეებისა და შეურაცხყოფასა. ამ ბატონიშვილის სიცოცხლე 1840 წ. ყოფილა. ამას გარდა ამავე ბარძიმ ავ—რმა იცოდა ყმების ტანჯვა, წამება, წვალეება და დარბევაც. მისი უდიერობა ისიც იყო, რომ თავის ყმათა შვილებს მარჯვნევ და მარცხნივაც ჰყიდდა. სწორედ ასეთივე იყო ამ პირის თანამედროვე, თანამბაძველი და თანაზოსახელე ბარძიმ ერისთავი.

1850 წლებში, თ. ამ—რის შვილი გაზაფხულის გასულზე, სანადიროთ გაემგზავრა. სანადიროთ თან რამდენიმე შინა ყმა კაცები გაიყოლა, ამათ გარდა მთელი ჯოგი მეძებრებისა. სოფლის ბოლოს რომ ჩაიარა, ერთ ილაგას ვენახიდან გლეხი-კაცი გამოვიდა, გლეხმა ბატონი დაინახა თუ არა, მაშინათვე კლდი მოუხადა, მიუახლოვდა და სალამი მისცა:

— ბატონი აღღეგრძელა ღმერთმა, მიესალმა მოწიწებით.



— ბიჭო, დღეს, დილით, რატო ბალი ადრე არ ამავითანე? **მე ვინაა?**  
 მაძალო შენ, ხომ იცი, რომ მე ბალის ჭამა ადრე მიყვარს. **შენ ხომ იცი?**

მოსარწყავი მქონდა გენახი შენი ჭირიმე და იმაზე დამიგვიანდა, იმ ეხლა თოვცალე, უნდა დამეკრიფნა და მომერთვია.

— შე წუწუკო, რატომ არ იცი, რომ ბატონის სამსახურისთვის თავი ქვას უნდა ახალო, ბატონის ვალი-კი უნდა აღასრულო, არ იცი, რომ მე ბალი ძრიელ ადრე, დილით მიყვარს?!

— როგორ არ ვიცი, შენი ჭირიმე, მიღვო ყმამ.

— გაშ რათ დაგავიწყდა?

— მაძატივე შენი ჭირიმე! მომტყევე, დამნაშავე ვარ.

— როგორ თუ დამნაშავე ხარ, შე მაძალო შენა?

გლებ-კაცს ასე უბრალო ლანძღვისაგან ჯავრი მოუვიდა, იმ წამშივე ისურვა, რომ გაქველდოდა და ბალი მოეტანა ბატონისთვის.

### მამამზე პრისტავი

(მელექზე იოსებ დავითაშვილის ნაამბობი)

მამამზე ერთსთავი გლებებს ისე სტანჯავდა და ისე აწვალებდა რაისა გამო ერთხელ თავის მონა გლებს ასე უთხრა:


ბიჭო! თქვენ ჩენი ისეთი ყმანი ხართ, რომ ჩვენ, შამშილის დროს, თქვენი ნახევარი გვერდიც-კი გვეჭებოა. ამ ძლიერი მებატონის ბოროტების შესახებ მთელი ტომი დაიწერებო, მაგრამ საიდან მისი მომგონებელი აღარავინ არისო.

### მელიტონ ბარათაშვილი

(ივ. კერეხელიძის ნაამბობი)

მელიტონ ბარათაშვილი მეტის მეტი სასტიკი კაცი იყო. მის წინაშე გლებთა ღირსება ჩალის ფასით ღირდა. გლებებს ისე უცქეროდა, როგორც მეტს ბარგს, ძაღლებს ანუ უკეთ რომ ვსთქვათ უფრო მონებს. თავის დროს გლებებზედ მელიტონს ისეთი გავლენა ჰქონდა, რომ თბილისში მისის შიშით ვაჭრები და ხელოსნები თავის ღუჭის წინ სკამზე ჯდომასაც ვერც-კი გაბედავდნენ, როცა კი მელიტონი თბილისის რომელიმე ქუჩაში გაივლიდა, ისეთი ყოფილა იგი. ამის სისასტიკე ცნობილი იყო არა მარტო თბილისში, არამედ მთელს საქართველოში.

ამის სახლში ბუდამ დღე ისეთი სადილები იმართებოდა და



იგი ისეთი მკამელი მებატონე იყო, რაის მეოხებით მას მუდამ დღე დაღამდობის სახელი უნდა ეწოდებოდა. იგი ყმა კაცი ჰყვანდა დაბანდებული მარტო თევზის საჭრის სახელით. ესენი ორთაქალისკენ მუდამ დღე დადიოდნენ და ახალ თევზს იჭერდნენ. თქვენი მტერი, როცა-კი ესენი თევზის ჭერას ვერ მოახერხებდნენ, ვაი მაშინ მათს სიცოცხლეს და ცხოვრებას, შიშით სახლში ველარ მოვიდოდნენ, თორემ ცეშით მოჰკლავდა. მელიტონი სასტიკი იყო არა მარტოდ თავის მონებში, არამედ თავის სახლობაში და თავისი ამხანაგებშიაც, მეფლესაც კი სტანჯავდა თურმე. პოეტის დედას.

ერთი იმის ყმის ქალი, ერთმა მდიდარმა სომეხმა შეირთო. მისი ყმის ოჯახი მეტად ღარიბი იყო, გარეთუბანს, ერთს მიწურს ქოხში იდგნენ და სიძე-კი შეძლებული კაცი იყო, მასთან ნასწავლიც, ქორწილში ჩვენც დაგვატიყეს, ჩვენთან იმ დროს ტფილისის ყველა სასწავლებლის მასწავლებელნიც, ზოგიერთი თავადიშვილებიც, სხვათა შორის იმათში ერია ალ. ორბელიანიც (პუპლია) და მისთანანიც სხვანი.

ქორწილის დროს მე ყიყავი მეთაურად. მდიდარმა ქვემო ქვეყნელმა სომეხმა მე დამავალა ქორწილის სამზადისის მოგვარება, რაისთვისაც ფულიც მომცა წინათვე. მე დავიჭირავე მუსიკა, საზანდარი, საქორწილო სახლიც, მაშინდელი კომერციული სკოლა, რომელიც შუაბაზარში იყო. ყველაფერი მოვამზადეთ დიდის დიდებით. საქორწილოთ ქალი თავიანთის ქოხიდან გარეთ უბანს სხვის სახლში ავიყვანეთ, რადგანაც მათს ლატაკ ქოხში საქმროს სტუმრებით მისვლა შეუძლებელი იყო. სხვის სახლში უნდა მოერთოთ პატარძალი და იქიდან უნდა წამოეყვანათ ქალი.

დანიშნულს დროს, მეფე და მისი სტუმრები დროშეებით წავიდნენ ქალის წამოსაყვანად. მივიდნენ თუ არა, ამათ ქალიანთ კარებზედ კომბლებით კაცები დახვდნენ და ყველა ესენი არაუშვეს ქალიანთ ოთახში. ბევრი საუბრის შემდეგ გამოიძრკვა, რომ ქალი მელიტონ ბარათაშვილის ყმა არის და ვიდრე ბატონისაგან ნებართვას არ მიიღებთო, მინამ ქორწილი შეუძლებელია, ამის წინააღმდეგი ვინც იტყება, ჩვენ იმათ ამ კომბლებით დავტყვიავთ და ქალს კი არ მივცემთო.

სახლში დიდი ზოჩქოლი შეიქნა, ყველა ქართველს სწყინდა, რადგანაც მთელი ტფილისის მოწინავე მასწავლებლები იქ იყვნენ დაპატიებულნი, ამის გარდა ქართველ თავადის შვილების რიცხიც დიდი იყო მათში, ბევრი წარჩინებული გვარის შვილნიც ერივ-



ნენ, გარდა ამისა სამარცხვინო იყო ეს მით უფრო, რადგანაც მათ  
 თველ ნებატონის ლატაკ ოჯახის ქალს შეძლებული და მასთან  
 წავლი კაციც ირთავდა. ბევრი ლაპარაკის შემდეგ, ალ. ორბელიანს  
 დაავალეს, რომ იგი წასულიყო მელიტონ ბარათაშვილთან და ქალის  
 ჯერის წერის ნებართვა აეღო, მაგრამ ალ. ორბელიანმა ასეთი დავა-  
 ლება არ მიიღო. მან სთქვა:—ნუ გამგზავნით, ნუ დამავალებთ თქვე-  
 ნი ქირიმე, თორემ იმ გვარის შემარცხვენელს სისხლს შევამთხვევ, მე-  
 ვერ წავალო.

ბევრი თათბირის შემდეგ მელიტონთან წასვლა ისევ მე მარ-  
 გუნეს და მღვდელს მელითაურს, ბატონიშვილების წინამძღვარს\*) ამ  
 დროს უკვე 10 საათი იყო. ჩვენ ორნი წავედით. მაშინ მელიტონ  
 ბარათაშვილი ანჩისხატის ეკლესიის პირდაპირ, თავის საკუთარ სა-  
 ლში იდგა, სადაც დაიბადა ნ. ბარათაშვილიც. ამ დროს პოეტი  
 ცოცხალი აღარ იყო. მაშ ეს იქნებოდა 1850 წელში. ჩვენ მალე მი-  
 ვედით ბარათაშვილისას, ჯერეთ მე შეველი, მღვდელი მელითაური  
 აივანზედ მიცდიდა. მელიტონი ჩიბუხის წვეით გამოვიდა დარბაზში,  
 მომესალმა და მისულის მიზეზები მკითხა, მეც მოვახსენე. მან იუარა  
 და მასთან ისეთი ლანძღვა-გინება დაიწყო, რომ მღვდელმა ვიღარ  
 მოითმინა და პირდაპირ დარბაზში შემოვიდა და მელიტონს კიცხვა  
 დაუწყო ასე:

— რა ღმერთი გიწერება, არ გცხვნიან, რას ჩადიხარ შე უღ-  
 მერთოვ, შენა.

— რათ უნდა მცხვენოდეს, ყმა ჩემია და მე ჩემსას ვთხოვლობ,  
 ასეა ჩემი ბრძანება, მომცემთ ჩემსას—ზომ კაი, არ მომცემთ და ვერც  
 არას ჩემგან მიიღებთ.

— რა მოგართოთ? ვკითხუთ ჩვენ.

— 1000 მანეთი, მოგვიგო მან.

ბევრი ლანძღვა გინების შემდეგ, როგორც იქნა 500 მან. მოე-  
 რიგდით. მაშინათვე მღვდელი მელითაური გაექანა საქორწილო  
 საბლში საქმროსთან და საქმე შეატყობინა, საქმროს მაშინათვე მიე-  
 ცა 500 მან. ეს ფული მალე მოიტანა, ბარათაშვილს ჩაებაბრეთ,  
 მხოლოდ ამის შემდეგ მოგვცა მან ნებართვა ჯერისწერის და ქალის

\*) ამ მოხუცებულს მღვდელს მელითაურს, რომელიც ოდესმე ყოფილიყო  
 მეფე გიორგის და მის შვილების დროს მეთაურად და შემდეგ მოძღვრათ, მეც მო-  
 ვესწარ კარგა ხანს. იგი გარჯაიციდა 1876 წ. 94 წლისა.

წყევანის, რაის გამო ბარათიკ დაგვიწერა ასე რომ ამ დროს თითქმის შუა ღამე იყო, ქალი და ვაჟი, დიდი ძალი სტუმრებით განზადებულნი ეკლესიაში უცდიდნენ მელიტონ ბარათაშვილის ბრძანებას. როგორც იქნა, ჩვენ მიველით ეკლესიაში და ჯვრის წერაც შეასრულეს.

უნდა ითქვას, რომ მღვდელს მელიტაურს და ბარათაშვილს დიდი უსიამოვნება და გმობა-კი მოუხდათ ურთიერთშორის. მღვდელი სასტიკათ ჰკიცხავდა და იგი კიდევ მას დიდით ემუქრებოდა. გამეორება ამ ღანძლვა გმობის მე არ ძალ-მიძს, გავევირდი მათს სიტყვებზედ. მელიტონ ბარათაშვილმა მეტად ცუდი სიტყვები დახარჯა. სთქვა მანვე—ამბობდნენ მრავალნი, რომ პოეტს ნ. ბარათაშვილს სწორედ ასეთ საქციელისა გამო დიდი უკმაყოფილება ჰქონდა გართული თავის მამასთან. იგი ისეთ უკვან წესებს ვერ ეთვისებოდა და მიტომ არც ენატრებოდა მამასთან ცხოვრებაო. მიზეზი ეს იყო, რომ მათს ოჯახში ყოველთვის განხეთქილება არსებობდაო. მეტის მეტი ბოროტი იყო მელიტონი, მრისხანე, კნტოჯური გინების მკოდნე, დესპოტი, გლეხების დამრბვეი, გლეხების მცემელი და თვით მცირე წლოვან გლეხთა შვილების მტანჯველი და მწავგრელიც იყო. სრული სახე იყო არსენას დამრბვეის ზაალ ბარათაშვილის. იგინი ნათესავებიკ იყვნენ ერთმანეთის.

### ივანე ქერესელიძის ნაამბოგი.

ერთხელ „ციცკრის“ რედაქტორ ივანე კერესელიძესთან საუბარი მომიხდა დ. ჭონქაძის შესახებ. მისგან დაწერილ მოთხრობა „სურამის ციხე“-ზედ საუბარში მე შევებე ქართველ ბატონყმობის ხანას, დავგმე იგი, როგორც მანებელი წესწყობილება და საქართველოს ერის შემასუსტებელი, თითქმის დამლუბველი ძალი. გარდა ამისა ვახსენე ზოგიერთი ისეთი ქართველ მამულიშვილ მწერლებიკ, რომელნიც თავიანთ ყმეს სასტიკათ სდევნიდნენ და აწუვალებდნენ. ივანე კერესელიძეს ჩემი შეჩვენება და ცნობები ეწყინა, ამიტომ შემდეგი მიამბო:

— დრო ისეთი იყო, რომ ქართველ მოწინავე კაცებს სულ არ ჰქონდათ ყმების ვითარების გაგების შეგნება, თქვენ იმათ თქვენის დროის თვალით კი ნუ მზერთ და ისე სჯით, არამედ ისე განსაჯეთ, როგორც რიგია და ზაშინ შეიძლება, რომ იგინი თქვენ ისე არ გაკიცხოთ, როგორც ჰკიცხავთ.



ჩვენ ამასზედ ცხარე საუბარი მოგვიხდა, მე ჩვენი პარტიველ მებატონეების მამულისშვილობა სრულიად უარყვავი, ამ უარყოფით მე ბეგრის პიროვნებასაც შევებე და ივინი ყოველნაირის მხრით სულ უმნიშვნელოთ ვალიარე. ი. კერესელიძემ მაინც თავისი არ დაიშალა და კვალად აი რა მიამბო:

— მოითმინეთ, აი, რას გეტყვი: ალექსანდრე ორბელიანი დიდი პარტიველი კაცი იყო, გლეხების შემბრალებ და გლეხებას მოწყალეც; ჩემიც კარგი მფარველი იყო და ნამეტურ ჩემი ჟურნალ „ციცქარის“, საქართველოს დიდათ მოყვარე. გზაში რომ მათხოვარს ნახავდა, ჯერე ფულს აჩუქებდა და შერე მისის სიბრალულით იტირებდა. აი ასეთი კაცი იყო ალექსანდრე ორბელიანი, მეფე ერეკლეს ქალის თეკლეს ძე. ყოველგან ქებული იყო ეს კაცი და დიდებული, მაგრამ აი ამანაც რა ჰქნა ერთხელ ქართლში: ერისთავი ცნობილი იყო ვითარცა თავის ყმათა გამსყიდავი. ერთხელ ამ ერისთავისაგან ალ. ორბელიანმა ერთი გლეხის ოჯახი 150 მან. იყიდა; ოჯახი შესდგებოდა ქმარის, ცოლის და ორი შვილით—ქალ-ვაჟით. ყველა ესენი ტფილისში ჩამოიყვანა და სახლში ჰყვანდა დროებით დაკავებული, შერე მოგებით განიზრახა მათი დაყიდვა. გლეხებმა ტირილი შექმნეს და ვედრება დაიწყეს, ალ. ორბელიანს ევედრებოდენ:

— ბატონო, ცალ-ცალკე ნუ გავყიდვი. გვიმსახურეთ თქვენს მონათ, თქვენს ფეხის მტვრად და ნუ დაგვაპნევთ.

ეს გლეხები ჩვენი გვეცოდებოდა ძრიელ და ჩვენს გარდა მთელ უბნის ხალხსაც ძრიელ ებრალებოდა. ალ. ორბელიანი ჩემი ნათლია იყო, მე მაშინ გიმნაზიაში ვსწავლობდი და ერთხელ მეც კი ვსთხოვე და შევხვეწე, რომ ეს გლეხები მას არ დაეყიდნა ცალ-ცალკე, არამედ თვის ყმად დაეტოვებინა და თუ მაინცა და მაინც დაჰყიდდა, მაშინ ერთად დაეყიდნა. ესეთი თხოვნა სხვებმაც დაავალეს, მაგრამ საქმე სულ სხვაფერ დატრიალდა. ქმარი კახეთში გაყადა, ცოლი სომხეთში, ბიჭი ერევნელ სომეხს მჰყიდა და ქალი კი შინ დაიტოვა გოგოდ და როცა თავისი ქალი დარია გენერალ ჭობულოვს მისცა, მაშინ ეს გოგო მის მზითველში გააყოლა. შემდეგ ეს მოახლე გოგო ჭობულოვს მემუღღემ გაათხოვა, ერთ პარტიველ პარტნოვს მისცა. ესლა შვილებიც ჰყავს, ერთი მისი კარგი ვაგი ტელეგრაფში მსახურობს, კარგი უმაწვილი კაციც არის. ახლა აბა რას იტყვი შენ ალექსანდრე ორბელიანზედ?

— კარგს არადფრს, აქამდის მე მასზედ სხვა შეხედულება მქონდა

მას მე ვთვლიდი გულშემატკივარ ქართველ მამულისშვილად და დღეის შემდეგ კი მისზედ შეხედულებას შევიცვლი. მისი პარტიზანული მამულობა მწამს და არც საქართველოს სიყვარული, როცა თავის გლებთა ოჯახებს ასე ყიდულობდა და ჰყიდდა მოგებით და ამ მოგებისათვის საბრალო ოჯახების ერთობასაც უსამართლოდ არღვევდა და მის წევრთაც აქეთ-იქით აზნევდა.

სწორე მოგახსენოთ, მე ძრიელ მეწყინა კერესელიძისაგან ასეთი ამბების გადმოცემა, რადგანაც ალ. ორბელიანზედ სხვა შეხედულება მქონდა და სწორეთ მისი წყალობა იყო, რომ აღრიცხა ალ. ორბელიანის ნაწერებიც და ვებუქდი — ტრაგედია: „მეფე ერეკლე მეორე“, „დავით აღმაშენებელი“ და სხვა ისტორიული ნაწერებიც ცალ-ცალკე წიგნათ გამოვეცი. ეს ალ. ორბელიანი დეიძლი ძმა იყო ვ. ორბელიანისა და ამან უფრო გამაგულისა. ვსთქვი: ჯერეთ, რომ ასეთი კაცი ისეთი თვისებას ყოფილა და გლებთა მდევნელი, აბა სხვებზედ რაღა უნდა თქულოყო. მთელი XIX საუკუნის შემდეგი დრო, ქართველ გლებთათვის მე ვიცანი სრულს მონების დროთ. მთელი საუკუნე ერთ უმეცრების დარგათ ვაღიარე. ივ. კერესელიძე ამაზე უფრო გაგულისდა და დაიწყო ალექსანდრე ორბელიანის მართლება ასე:

— მართალია, ის კაი ქართველი კაცი იყო, მაგრამ რასაც თქვენ დღეს ფიქრობთ, მის მოფიქრება მაშინ იმას არ მქონდა. გინდ რომ მქონიყო, მით რას იზამდა, არაფერს. აგერ 1860 წ. „სურამის ციხეს“ დაწერი ჰქონქაძე კინაღამ კუკიის ხიდიღამ გადაადგეს მტკვარში, აბა რას ლაპარაკობ ჩემო ზაქარია, ეს როგორ შეიძლება, რომ რასაც თქვენ დღეს ჰაზრობთ, ის თქვენ 60 წლის წინად ყოფილ კაცებს მოსთხოვოთ.

სანწყობაროდ, მე ველარ შევიკავე თავი და ალ. ორბელიანი და მის დროის ყველა ქართველი მებატონეები სასტიკად ვკიცხე და ვგმე. ივ. კერესელიძემ რა ნახა ჩემი ალღელება, მან სხვა ამბების აღარა მითხრა რა, თუმცა ესეც კი სთქვა:

— ასეთ ამბებს სხვა მწერლების და თავადისშვილების ცხოვრებიდამაც ვიამბობ, მოითმინე.

მე კი მოვითმინე და დავწყენარდი, მაგრამ მან აღარაფერი მიამბო, ნამეტურ ისეთი ცნობები, რაც ქართველ მწერალთ თავადისშვილთ მამებს მოემოქმედებინათ თავიანთ გლებებზედ.





## ✓ აზნ. კობიაშვილი.

(სოფელ ხაგურამოს მცხოვრების გლეხის ყანდაშვილისაგან ნაამბობი).

აზნაური კობიაშვილი თავის ყმა გლეხს ერთ ხეს აბარებს მოსაველედად და თან ასე ეუბნება:

— ამ ხეს მოჟარე კარგად, არ გახმეს, თორემ შენც ვაგახმოზ.

ყმა უელის ხეს კარგად, მაგრამ უკანასკნელად ხე რაღაც მანქანებით ხმება. ბატონი ამისთვის ყმას სდევნის სასტიკად. ყმას კისერზედ აჯდებოდა და ისე დადიოდა აქა-იქ. ამ გლეხს იმე აცლიდა ქანცს, რომ იგი ხშირად ღრიალებდა კიდევ.

ერთი გლეხისთვის ოსტატური უნაგირიც გაუკეთებია, ტანზედ დაუღვამს და ზედ ისე ჯდებოდა თურმე. ასე და აზნაირად სტანჯავდა ყმებს. ყმების ტანჯვამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ უკანასკნელ ეს აზნაური კობიაშვილი თავის ერთმა ყმათაგანმა შორიდან თოფით მოჰკლა. მკვლელის კვალს ვერაეინ მოიგნო, ვერა შეიტყვეს რა. ყველამ კი იცოდა კარგად, რომ იგი ყმის მოკლული უნდა ყოფილიყო. ეს მებატონე ისეთი სასტიკი ყოფილა, რომ დუშეთის მაზრაში, თავის ყმებს გარეშე, არც სხვის ყმებს აყრიდა კეთილსაო. მიტომ ლოცავდნ თურმე მებატონის მკვლელს გლეხები საერთოდ.

### ესტატე ციციშვილი.

1830 წლებში, საციციანოში, თავად ესტატე ციციშვილმა თავის ერთ ნაყმეგთაგანი კალოში შეაბა, თვითონ დაჯდა კვერზე და დაუწყო სახრით ცემა და კალოზე შემორეკა. რამდენიმე ხანი გლეხი მარდათ დადიოდა, დაღლილ დაქანცული თუ შეტერდებოდა, ბატონი მაშინათვე სახრეს გადაუშვივლებდა და უყვირებდა, როგორც ცხენს, ან ვირს: „აიცი შე მაშაძალო“. პირველ დღეს, გლეხმა, როგორც იქნა დაღამა, საღამოზე ბატონმა გლეხი სახლში გაუშო და თანაც ასე დაეშუქრა: „შენისთანა მაშაძალებს ასე მოვარჯულებ“.

მეორე დღეს გლეხი ავით გახდა, რამდენიმე ხანი ლოგინათ ჩავარდა, შემდეგ ცოტა მოკეთდა, კარგად გახდა, კარგათ გახდომის რამოდენიმე ხნის შემდეგ ბატონს ტყეში მიმავალს დახვდა და ხანჯლით აკოწია. ეს შიმა ხევე ვერაეინ ნახა, მაგრამ ყმას მაინც შინებია და ამიტომ იგი ვაქცეულა ახალცხეს, აქიდან ართვინს გასულა



და იქ თავი შეუფარებია. ციციშვილის ნაყვები გლეხებისაგან ნაწი-  
რად გამიგონია ამ ესტატეს შესახებ შემდეგი:

იმ ამოსაწყვეტმა ბატონმა, განა ერთი კაცი შეაბა და მოინა-  
რიკლა, არა, თითქმის მთელი სოფლის გლეხ-კაცებსა ასეთივე შწარე  
და შავ დღეს აყენებდა. ნამეტნავათ ყველაზე უარესად უფრო ისეთ  
ოჯახს აწიოკებდა, რომელნიც ცოტა შეძლებულნი იყვნენო, მაგრამ  
მუდმივ აწიოკება და ბატონის დევნა მათ ბოჯანოთ ჰხდოდა და ოჯა-  
ხობით სულ მიწასთან ჰსწორდებოდნენ. სულ რომ მოეყვით ჩვენი ბა-  
ტონიშვილებისაგან ნაქნარ საქმეებს ათს წელიწადს ვერ გავაითავებთ.

ესტატე ციციშვილი სხვაც იყო, ერთი იყო მეფე ერეკლეს ქა-  
ლის ნაშობი, იგი იყო დეისტვატ. სტ. სოვეტნიკი, მოკვდა ნიჟ ნოვ-  
გოროდში. ეს იყო ქალაქ თბილისის მოურავი რუსების მოსვლის  
დროს, იყო დიდი ყმა და მამულის პატრონი. პ. იოსელიანის. სიტ-  
ყვით ეს ესტატე ქართულ მწერლობაში დახელოვნებულიც ყოფილა.  
ხალხის გადმოცემა ვის ებება, ამ ესტატეს, თუ სხვა ვინმე ესტატე  
არის, ამის ჩვენ არაფერი ვიცით. გადმოცემით კი ეს ცნობილი ეს-  
ტატე ციციშვილიც დიდი დესპოტი და ბოროტი ყოფილა. ყმებში,  
ამავე ესტატე ციციშვილს, თვალისის დღეინდელი დიდი ქარვასლის  
ადგილი, თვალისის გამგეობის პირდაპირ, თამაშმოვისათვის ორ დო-  
შის ფასში, კულაში და ორს საკაბეში მიუყიდნია.

### თავ. გიგუთაშვილი.

1825 წლებში, თავად ბებუთაშვილს სწევდია ერთი ვილაჲ მი-  
კიტანი, ეს ამბავი ყოფილა საადღგომოთ თუ სახალწლოთ.  
მიკიტანი ნაყმევი ყოფილა, მაგრამ ბატონს არ სცოდნია და ვერც  
უცნია იგი, რადგანაც მიკიტანი გამდიდრებულა. მისულა სახლში  
და უნახავს ბატონი, რომლისთვისაც მთულოცნია.

— ბატონი აღდგომელა ღმერთმა! პატივი სცა მოწიწებით.

— აი გადღეგრძელოს ღმერთმა, ნიუგო ბატონმა.

— თქვენი პატივი და დიდება, თქვენი პურ მაროილი უელში ამომ-  
დის, ამის გამო განვიძრახე, რომ გზლებოდით და სადღესასწაულოთ  
პატივი მცეა, მიტომ გიახელით კიდევ. მე დიდათ მობარული ვარ,  
რომ თქვენ მე, ე. ი. თქვენი ყმის შეილი ასე კარგად მიპიღეთ. რა-  
კი თქვენი სიყვარული ასეთი უხვია და გაუზოგელო, მე მოგართმევთ  
შემდეგ ნიუთებს:

ამოულაგებია და დაუწყვია ბატონის წინ ოქრო-ვერცხლის თები. ბატონი გაკვირვებულა ნივთების რიცხვისაგანა. უმას ეს ნივთები იმ აზრით მიუტანია, რომ ეგები გამანთავისუფლოსო. ბატონს მიუღია ნივთები და შემდეგ ამისა გამოუკითხავს დაწვრილებით მისი ცხოვრების ამბები. მიკიტანსაც მოუხსენებია ყველაფერი დაწვრილებით, შემდეგ თავისუფლებაც უთხოვინია, რაისა გამო ერთი თუ ორი ასიგნაციაც მიუროთქევია. ბატონს რასაკვირველია გახარებია ესენი და შემდეგი მიუგია მისთვის:

— მე დიდათ მეწყინა, რომ შენ განთავისუფლების თხოვნა გამიცხადე, განა მე დირსი არა ვარ, რომ შენისთანა მიკიტანი ბიჭი ყმათმყვანდეს. რიგი არ არის, განთავისუფლება რომელია.

ჩვენ რა ფულებით გვიშოვნია ყმები. ჩვენ სისხლი გვიღვრია მეფეთა სამსახურში და ისე გვიშოვნია. განთავისუფლება რომელია, კაცი მჭამლები ხომ არა ვართ, თავს ხომ არავისა ვჭრით.

მიკიტანს ჯავრი მოსვლია და გადუწყვეტია, რომ ფულს შევაძლევ და ეგები მაშინ მაინც გამანთავისუფლოსო.

ამის გამო განუშვორებია:

— ბატონის მზემა, რომ აქ საწყენი არაფერია, მე განთავისუფლებას გთხოვ, მაგრამ თქვენ მის შემდეგაც თქვენს ერთგულ ყმათმიგულეთ.

— მაშ რაღათა მთხოვ შე კაი კაცო, თუ საქმე ეგრეა?

— თქვენი შვილების სადღეგრძელოთ გამანთავისუფლეთ ბატონო, ვითომც ტყვეთ ვყოფილვარ და მოვსულვარ თქვენთან. გებგეწები შენი ჰირიძე, ნუ მეტყვით უარს, ბატონის სამსახურში მე ყოველთვის მზათ ვიქნები, რომ გემსახუროთ, ემუდარა მიკიტანი. ბატონი განრისხებულა ამაზე და მიუგია:

— ნუ მიბედავ მაგას, თორემ მე მეწყინება.

— ბატონო თქვენი ღვთის გულისთვის ნუ მომკლავთ კაცს.

ამ დროს ამოიღებს ჯიბიდან ოქროს რამოდენიმე ფულს და დაუწყობს წინ, რომ ეგები ეხლა მაინც მომხედლოსო.

ბატონი ეტყვის:

— ეგ ნივთები და ფული შენი ნებით რომ არ ამოგელო, მე ძალით ამოგალეზინებდი. კიდევ კარგი, რომ შენვე ამოალაგე.

ამ დროს მიკიტანი გაჯავრებულა და დაუწყვია ხმა მალლივლაპარაკი. ამ ლაპარაკზე ბატონს ჯავრი მოსვლია დაუბარებია ბიჭები, მიკიტანი გაუყვანიათ ბოსელში, გაუტიტვლებიათ და იმდენი

უცემიათ, რომ ცხვირ პირიდან სულ სისხლი სდინებია. ცემის შემდეგ სხვა მისი საკუთარი ნივთებიც წაუღრმევიან, გაყიდვასაც დაუჭრებია. მიკიტინისაგან თავის თავის ზეარაკათ შეწირვის მიზეზი შემდეგი გარემოება გამზდარა. იგი თურმე სხვა ქალაქში იღებდა სამიკიტნოს, უნდა წასულიყო, სადაც დარჩებოდა კარგა ხანს. ბატონის კი ძრიელ შინებია ვაი თუ შემიტყოს და მერე ხელ-ფეხ შეკრული მომიყვანოსო. სჯობს წინათვე ვსთხოვ განთავისუფლების ქალაქსაო, მაგრამ მის წადილს ამით ჩაუვლია და თავისუფლების ნაცვლათ თავ-პირის მტვრევა მიუღია და უსამართლოდ გაგლეჯ-გაცარცვა. ამ ბატონიშვილზე და მთლათ მათს მეგვარეებზედ ძველად ბევრი ამბებია დაშთენილი. თფილისში მათ ყმები მრავლად ჰყოლიათ, უმეტესი ნაწილი ყმების ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ თურმე, რომელთაც ხშირად სჩაგრავდენ და დიდს გადასახადსაც ახდევინებდნენ. ამ ბატონის და მათი მეგვარეთა ქალები შევიდოდნენ ხოლმე თავიანთ ყმა გლეხთა სავაჭროებში და რომელ საქონელსაც მოიწონებდნენ, იმას მაშინათვე აიღებდენ და წაიღებდნენო, მათი დაშლა ან ჟარის თქმა ყმას არ შეეძლოვო. ასეთის წაღებ-წამოღებით ძრიელ ხშირად სხვადასხვა ახლათ ფეხ-ადგმული ვაჭრები უცებვე ღარიბდებოდნენ ხოლმეო, ყმა ვაჭრები ასეთს გარემოებისაგან დარბეულები იყვნენო.

### აზნაური გაბაშვილი.

1830 წლებში ვილაცა აზნაურს გაბაშვილს ერთი გოგო შეიდ მანათათ გაუყიდნია. ვერელ მიკიტანს უყიდნია, მიკიტანი ახალ-გაზრდა ყოფილა. გოგო დაუფორსულებია. რამდენიმე ხნის შემდეგ, ქალის პატრონებს შეუტყვიანთ, რომ გოგო ბატონს აღარ ჰყავს სახლში, ვილაცა მიკიტანისთვის მიუყიდნია, იმ მიკიტანს დაუფორსულებიაო. პატრონებს დაუწყვიანთ ძებნა და მოუძებნიათ მიკიტანი. მინამდის გოგოს ნახავდნენ და საქმეს გამოიკვლევდნენ, გოგო სალაც მიმალეს, ველარა იპოვეს. ჰაი აქეთ, ჰაი იქით, მაგრამ ჩაიყლაპა. ამ ცივს ჟარზე არც ბატონი წასდავებია და არც მაშინდელი მთავრობა.

გოგო კი უმიზეზოდ, შეუნიშნავად დაკარგულა და დაღუპულა საბრალო. ზოგნი იძახდნენ მოკლესო, ზოგნი იძახდნენ, რომ მიკიტანი მოკლა და ქურხანების დახურულ ქაში ჩაავდოვო. ამის მიზეზი უფრო ის ყოფილა, რომ გოგოს ცოლათ მომამხვევენ თავზეო და



მე სომეხი ვარ და გოგო ქართველიო. პატრონებს ბევრს უყვარდათ რეზიანთ, მაგრამ ვერას გამზადარან. ბატონისთვისაც უკითხავთ, რომ ჩენი გოგო რა უყავიო. ბატონს მიუყვია, ერთ კარგ კაცს რუსეთში მოახლეთ გავატანეო. ნიკიტისთვის მე არ მიმიყიდნიაო და ან როგორ ვიზამდი მაგასო.

### მელექსე ზაალ ბარათაშვილი.

მელექსე ზაალ ბარათაშვილი, ძრიელ სტანჯაედა თავის ყმებს. მრავალთ ისე უღმერთოთ და უსინიღისოთ აწვალენდარომ ვინ იცის, ან ვინ მოიგონებს იმ ტანჯევებს. პირველ ღამეობით, ხომ გარყვნა მთელი სოფელი თავისი საყმომ, მრავალი პატიოსანი ოჯახები ისე დასცა ზნეობით, მრავალი შეძლებული ოჯახის ვაჟ-კაცის შვილებიც ისე დააღატაკა, ისე დააწიოკა და დაღუპა, რომ ბოლოს ამ პატივემულმა მამულიშვილმა მელექსემ ღირსეული სამავიერო სასჯელი მიიღო.

ეს სასჯელი გახლდათ ის, რომ მის ყმის შვილის ხელით სიკვდილით სიცოცხლის აღსრულება მიიღო. 1810 წ. ღამე, ლოგინში მწოლარ ბატონს დაეცა თავისი ყმა და სულ ლუკმა-ლუკმა აკუწა. ამკუწავი ახალციხეში გადავარდა და შემდეგ ყაჩაღობა დაიწყო, ყაჩაღობდა თრიალეთს, ახალციხისკენ და სამშვილდეს. ეს პირი არსენასაც მოესწრო. არსენას ბატონიც ხომ ზაალ ბარათაშვილი იყო, ხოლო ეს სხვა ბარათაშვილია. როგორც ეტყობათ ორივენი ერთი აზროვნების ყოველანთ თავიანთ ყმების დევნაში ერთი გვარისშვილი სახლი კაცებიც.

### კარკოს თაქთაქიშვილისაგან ნაამბობი.

სოფ. წვერის მებატონე აბელ კალატოზიშვილმა, 1850 წ. ჩაიღინა შემდეგი საქმენი:

ამისმა ყმა გლებმა მექვაბეშვილმა შეირთო ცოლი. ჯერის წერის დღეს, ბატონმა გაუგზავნა კაცი და შეუთვალა:

— ცოლი უჩემოთ არ იხმარო, პირველი ღამე ჩემიაო.

მექვაბეშვილი უარზე დადგა და შეუთვალა:

— ბატონო! მე ამას ვერ ვიზამ. შენ ჩემი ბატონი ხარ და არა ჩემი ცოლისა; რითაც და რაშიაც გნებავთ, საბატონო ყოველივე საქმესა მუშაობაში მე გემსახურები და არა ჩემი ცოლი.



ბატონი ამაზე ძლიერ გაჯავრებული და შეუთვლია: **ბატონო, რატომ**  
— როგორ თუ მიზედავ შენ მაგას? მე შენ გიჩვენებ...

ბატონი ძალაზე დადგა, მაგრამ შექვაბუთში არ მისცა ცო-  
ლი, თავის სიტყვა გაიყვანა. ბატონმა ამის გამო აყრა დაუპირა და  
დარბევა. მაგრამ დროებით თავი დაანება ამას, უკმა ძრიელ მაგრა  
დაუდგა და შეუთვალა:

— რასაც შენ დამიპირებ, მე უარეს გიზამ, რადგანაც ჩვენ, გლე-  
ხნი უფრო მრავალნი ვართ თქვენზედ—ოქვენ დაწყენარდით, თორემ  
სულ ამოგწყვეტავთო.

ცოტა არ იყოს ასეთმა წინადადებას მებატონე შეაფიქრა.  
სიტყვის მრავალთა—მართლა გლეხები ჩვენზედ მეტნი არიან და პირი  
რომ შეგარან, მაშინ თქვენი მტერი, რასაც იტყვი ჩვენ გვიზამენო,  
მაგრამ არა უშვებს რა, კანონი დასჯის შათაო.

### თავ. მაჩაბელი.

1855 წ. მაჩაბელი, თამარშენში მცხოვრები, გადაეკიდა ერთ  
თავის ყმის ცოლს—დამმორჩილდიო. ქალმა თავის ქმარს შეს-  
ჩივლა. ქალი წყალზე წავიდა, ბატონი თან დაედევნა, ქალს წყალ-  
ზე თხოვნა დაუწყაო. ქმარი შორი-აბლოდან უმხერდა. ქმარმა ესრო-  
ლა თოფი და იქვე მოკლა ბატონი. ამის შემდეგ გლეხის ოჯახი ამ  
სოფლად აყარეს ბატონის მგვარებმა და შთლათ აიკლეს და და-  
არბიეს, მაგრამ არც თვითონ დაადგათ კარგი დღე. ასეთის საქმისა-  
გან ხალხი მათ ყოველთვის. სძრახავდა და ერთი წუთაკი თავადის  
გულისათვის, სხვა მის მგვარე პატროსან თავადის შვილებსაც ჰგმო-  
ბდა ხალხი ყოველთვის. ამ მებატონეს დიდათ მტრობდენ ოსებიც.

### ღუფეთში შეპრებილი ამბავი

ქართლში, ერთმა ვილაცა ნაოსარ ქართველმა ერთი კაცი მოკ-  
ლა, მკვლელი ოქროს კარიანი სამებისაკენ გაიქცა და იქ იფარავდა  
თავს. ამ კაცს გზათ შეხვდა ერთი მეცხვარე მთიული, ერთმანეთს  
ლაპარაკა დაუწყეს, უკანასკნელ ნაოსარ ქართველმა უთხრა შემდეგი:

- მე აქეთ თავს ვიფარავ, ამ ეკლესიის გარშემო დავდივარ.
- მიზეზი რა არის? ჰკითხა მთიულმა.
- კაცი შემომაკვდა, მიუგო ნაოსარ ქართველმა.



— ოო, კაცი შემოგაკვდა?! და იძრო სატევარი, მინამ ამოიღებდა, მინან ნაოსარ ქართველი გაეჭვა, უკან მთიული უღვა, მაგრამ ვერ დაეწია, უვნებლათ გადაჩა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ტყეში მოსიარულე კაცის მკვლელი სხვა ოსტატურს გზას დაადგა. იგი ჩავიდა თფილისში და მეფის სასახლეში რაღაც სამსახურის ალაგი იშოვნა. სამსახურით მეფეს ძრიელ მოეწონა. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფემ ამ მსახურ კაცს უპირატესობა მიანიჭა. საქმე ისე წაუვიდა, რომ ამ კაცს მეფემ აზნაურის შვილობაც მიუბოძა და მასთან დღუშეთის მაზრისკენ მამულეებიც აჩუქა. ამ კაცის შთამომავალნი არიან დღეინდელი აზნაურები გვართ ტერიფვი, ანუ ტერიაშვილები.

უკანასკნელ, როცა ამან მეფის ბოძებული მამულები ჩაიბარა, ამ მამულეებზედ მთიულნი აღმოსჩნდენ მცხოვრებლებათ და მათთან ის მთიული მეცხვარეც, რომელიც ზემოხსენებულს კაცს დაეჭადა მოკვლას.

უკანასკნელ, მამულეების დასაკუთრების მეოხებით მებატონე თავის საბრძანებელში სრულ მებატონეთ გამოცხადდა და მასთან გლეხებსაც დაპატრონებოდა, თითქმის ყმობა დაუწყო.

ამაზედ გლეხ-კაცობა სასტიკათ აეწინააღმდეგა, მამულეების დასაკუთრების და ყმობის დიდი უარი განაცხადეს, მებატონე მამულეებთან ერთად მათს ყმობასაც ითხოვდა, მაგრამ გლეხნი არ ემორჩილებოდნენ. უკანასკნელ მის წინააღმდეგ რამდენიმე კაცი შეითქვენ. შემთქმელთ მის მოსპობა ეწადათ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს და იგინი კი დაიჭირეს. ყველას ცემა მიუსაჯეს. ამ ცემის საშუალებით ფიჭობდენ მათს დამორჩილებას, მაგრამ გლეხნი თვის ცემის დროსაც კი ყვიროდნენ ასე:

— ჩვენ, არც ვყოფილვართ მაგის ყმა და არც ვიქნებითო?  
ზოგი-კი თანახმა განხდარა. მაინც ახალ ბატონმა თურმე ვერ იყმო ვერავინ, ყველა წინააღმდეგი იყო მისი და არც ეყმნენ.

### არსენ კალანდაძის მიერ ნაამბობი

არსენ კალანდაძე ქართული წიგნების გამომცემელია, გორში სტამბა და წიგნის მაღაზიაც აქვს. ქართლიდგან ამასთან სხვათა შორის ხშირად დაიარებოდა ერთი მოხუცებული მღვდელი, ამ მღვდელს ხშირად უამბნია შემდეგი:

ქართლში, ყოველს ობას, ნამეტურ დიდს დღესასწაულებში  
მაგალითებრ უსანეთობას, გერისთობას და სხვა ასეთ ხატობას, ყო-  
ველთვის ეკლესიის მახლობლად ბაზრობაც იმართებოდა. სხვათა შო-  
რის ქართველთა თაჲდ-აზნაურებს აქ მოჰყვანდათ თაჲიანთი ყმების  
გოგო-ბიჭები, ყველა ამით ერთ ალაგას ამწყრივებდნენ და ჰყიდდენ.  
გასაყიდ გოგო-ბიჭების ფასი ყოველთვის მაზანდასავებ არსებობდა,  
ვინც რა ხნის იყო, იმას თაჲის ფასი ედო. ასეთ ვაჭრობაში, ანუ  
ყმების დასყიდვაში მეტად ცნობილნი იყვნენ ერისთვის შვილები, ყვე-  
ლაზედ მრავლად ამით გადმოჰყვანდათ თაჲიანთ ყმის შვილები და-  
ყიდდენ, ნამეტურ ოსის გლეხის შვილებს. გოგო-ბიჭებს ყიდულობდენ  
ყველანი, გინდ თათრებსაც რომ ეყიდნათ და ნაყიდნი სათათრეთში  
გადაეკარგათ, მაინც მათი შოდაგენი არავინ რქმნებოდა. იყო კიდე-  
ვაც ასეთი მაგალითები ბევრი. რუსის მთავრობაც არ უწლიდა მათ.

საკვირველი აქ ერთი ის არის, რომ ოსები ძველადგანვე მაღლა  
იდგნენ ყაზლობით და ბატონის არ მორჩილებით, მაგრამ გარემოე-  
ბისაგან ესენიც ისე იყვნენ დაჩაგრულნი, რომ იგინიც კი ემორჩი-  
ლებოდნენ ბატონის შეუწყალებელს მახვილს. მოთხრობილია, რომ  
ასეთ გაყიდვ-გამოყიდვის შესახებ 1840 წლებში მეტად ბევრი იმბე-  
ბი მომხდარა მებატონესა და ყმათა შორისო. ყველა ამ ბოროტებას  
რუსის მთავრობა გულგრილათ უმზერდა.

### ივანე მუხრან-ბატონი

ივანე მუხრან-ბატონი მეტად წუწკი, ბოროტი მებატონე იყო,  
ყოველთა უკეთური და მურტალიც, მისთვის ყმების დარბევა  
და დაწიოკება გროშის ჟასად ღირდა, რაც ამას ბოროტება ჩაუდღე-  
ნია გლეხების წინაშე, ყველა იგინი რომ აინუსხოს, ვგონებთ ერთ  
ტომში ვერ მოთავსდეს. საუბედუროთ აღარც ასეთ ამბავთა მომგო-  
ნებელნი არიან, იგინიც განვიდნენ ამ სოფლიდამ; დასახატავათ მის,  
თუ ეს სეჲვი ბატონი რა მეზი უნდა ყოფილიყოს თაჲის ყმა-გლეხე-  
ბის, ამას გამოაჩენს შემდეგი ამბავი.

მუხრან-ბატონს (ივანეს) ჩვეულებად ჰქონდა—რომელ გლეხის  
შემუშავებულს ბაღს, ვენახს ნახავდა თუ არა, იმას მაშინათვე დაეას  
აუტებდა და წაართმევდა. ამისთანა ოსტატობით შეადგინა მან თა-  
ვის მილიონიანი ქონება დილომს, მუხრანს და სხვაგანაც, ხოლო  
ამის შედგენისთვის მისგან ბევრი ოჯახი დარბეულა და უკანასკნელ



სილარიზის მეოხებით მოსპობილან კიდევ. ივანესი ერთს გლენს 200 მან. ემართა, ეს გლენი ვარდაიკვალა და მის შემდეგ ფულის სარგებელში მიცვალებულის ვაჟი ემსახურებოდა ივანეს სახლში და მის მეოხებათ მხოლოდ ფულის სარგებელს აქრობდა, თავნი კი უკვდავთ შთებოდა. ბატონყმობაც გადავარდა, მაგრამ გლენის შვილი ივანეს წინააღმდეგ აბა რას გააწყობდა. ბატონი რასაც უბრძანებდა, ისიც ისე უნდა მოქცეულიყო და ამიტომ გლენის შვილი 200 მანეთის სარგებელში ბატონს უფულოდ ემსახურებოდა.

სწორეთ ამავე დროს, მუბრან ბატონი ერთს გლენს კაცსაც ეღვეზოდა ვენახს, ამასაც წართმევას უპირებდა. გლენი უარზედ იდგა, ბატონს არც ვაყიდვით აძლევდა და არც სხვაფრივ მამულის გაცვლაში. გლენი მებატონემა რომ ვერ დაიყოლია, მერე მისმა ადვოკატმა საჩივარი აღტება, გლენს აქა იქ სამართველოებში ათრევდნენ, მაგრამ მაინც ვერ იმორჩილებდნენ, გლენი მახვილ-გონიერი კაცი იყო და ბატონის ყოველთვის უარს ეუბნებოდა. იგი გადაჰყვა ბატონის დაეას, მაგრამ მაინც ვენახი არ დაანება ბატონს.

ამ დავამ იმდენ ხანს გასტანა, რომ ბატონყმობაც მოიშალა, გადავარდა, ახლა ბატონმა უფრო სხვა ოსტატური ემშაკობით დაიწყო მოქმედება და ადვოკატებსაც მიმართა, გლენის ანიავება უსათუოთ გადასწყვიტა. ამ დროსაც გლენი არ დაუჯარდა მას და ასე ეუბნებოდა:

— ბატონო რას გადამეკიდეთ, არ მოგყიდით, არც ვაგიცვლით. ერთი გოგოს მეტი სხვა აღარაინა მყავს. ჩემს სახლსა და ვენახში ზედ სიძე მინდა შემოვიყვანო, ყოველივე მას მივსცე, რათა ჩემს ოჯახში სამთელი არ გაქრეს. რას მემართლები, რა გინდა, რას გადამეკადე შენი ჭირიმი, თქვენნი ხომ არაფერი მმართებს.

ბატონი მაინც ჯიბრზედ იდგა და თავისი გაჰყვანდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ბატონის დაეისაგან გაღატაკებული გლენი გარდაიკვალა, სახლში მას დარჩა ერთი გასათხოვარი ქალი, მის მეტი სხვა არაინ. ბატონმა (ივანემ) გლენის ვარდაიკვალემა მალე შეიტყო, ახლა კი მას მზე ამოუფიდა და ახლა მიეცა მის ფიჭოს თუ როგორ წაერთმია ვენახი ობოლი ქალისათვის, ამიტომ ამან უკანასკნელ მოიგონა ასეთი ოსტატობა: ვინაითგან ბატონყმობაც გადავარდა, მიცვალებულის გლენის ნათესაებებს შორიდან კაცი შეუჩინა, რომ თქვენი გოგო გაათხოვეთო, ერთ ჩემს მსახურს მიეცითო. გლენებს გაჯარ-



დას, იფიქრეს, ალბათ ბატონს ჩვენზედ გული მობრუნებდნენ ამბავი ბატონმაც შეიტყო, ამან საჩქაროთ თავის მოურავი დაიბარა და უთხრა ასე:

— მოურავო, მოდი ერთი და ე ბიჭი, (ვინც 200 მ. სარგებელში ენსახურებოდა) ი კაცის ოჯახზედ ზედ სიძეთ შევიყვანოთ, იქმნება ბოლოს როგორმე ჩავიგდო ხელში ის ვენახი.

— ბატონო! ამ ბიჭს ქალს ვინ მისცემს, ტანზედ არა იცვია რა და ფეხზედ.

— აი წაიღე ფული, ერთი ჩოხა უყიდე, ერთიც შარვალი, ჩუსტები და შემოსე.

მოურავი წავიდა, ჩოხა უყიდა, შარვალი და ჩუსტები. მესამე დღეს ტანისამოსით შემოსილი ეს ბიჭი ბატონმა დაიბარა და უთხრა რომ ცოლი შეირთეო. ბიჭი უარზედ იყო ასე:

— ბატონო! რა მეკოლება შენი ქირიმზე, რითი ვარჩინო მერე, თქვენი ვალი კისერზედ მაწეც და აბა ეს როგორ იქმნება. ვერ ვიზავ ამას.

— მიჰქარავ, მე რასაც გეუბნები ის გაიგონე, თორემ დედამისის პირიღამ აგანიავებ, დაგარბევ, ჩემი დარიგება გაიგონე, მე შენთვის სიკეთე მსურს, რასაც გიბრძანებ, ის შეასრულე, რადგანაც მე შენი სიკეთე მსურს, მე მინდა რომ დაგასახლო, გაგაბედნიერო. შენ უნდა შეასრულო ჩემი ბრძანება.

ბატონი დაემტკრა კიდევ, გლეხის ბიჭი დაფიქრდა, ბევრის ფიქრების შემდეგ ბატონისათვის, მეტი გზა არ იყო, პასუხი უნდა მიეცა. ძალა უნებურათ თანზობა განუცხადა. ამის შემდეგ მუხრანსკიმ ქალის ნათესავებს მაჰანკლათ თავის მოურავი გაუგზავნა და სასიძოს ამბავი აცნობა. ქალის პატრონებსაც დიდათ მოეწონათ, თანხმა გახდნენ, მალე ქორწილიც მოახერხეს. ქორწილის შემდეგ ბატონმა უთხრა თავის ყმა-გირაო ბიჭს:

— ბიჭო მამის შენის ვექსილის ვადა ვათავდა, ეხლა სხვა ახალი ვექსილი უნდა დაიწეროს, აი ახლად ვაწერინებ და ხელი უნდა მოაწერო. კარგს იზავ თუ შენი ცოლიც მოაწერს ხელს.

— კეთილი ბატონო, ორივე მოვაწერთ ხელს, თქვენი ყმები არ გახლავართ, ძალიან კარგი ბატონო.

ეს ბიჭი ნაბატონარის ეშმაკობას ვერ მიხვდა, ვექსილზედ ორივემ მოაწერეს ხელი. ვექსილში 200 მ. მაგიერ სარგებლებით 600 მ. იყო გამხდარი, 300 მ. ნეუსტოიკა და სხვა რალაც დანა-



ხარჯები. ვეჭვილის ვადა მოვიდა, საქმე სამართალში გაიზარდა, შეესაბამებოდა ლეგს არაფერი გააგებინეს, ყოველივე გადაწყდა ბატონის სასარგებლოთ ისე ოსტატურათ, რომ პრისტავი და ადვოკატი გლეხის ქონების აწერასაც შეუდგნენ, ბატონმა მოაწყო ისე ეშმაკური ოსტატობით, რომ უცბათ ბიჭის ცოლი საცალა გაგზავნეს, მის შემდეგ ტორგი მოახდინეს და სახლი და ბაღი 1100 მანეთში მუხრანსკის დარბაზს, იმ წუთშივე ლობეები გადაეცა, გლეხური სახლი დააქციეს და მუხრანსკის დიდს ზეარს შემატეს. გაყიდვის შემდეგ პატრონები აქეთ ეცნენ, იქათ ეცნენ, მაგრამ ველარაფერი გააწყეს. მუხრანსკიმ ეს ბიჭი სახლიდან მაშინათვე გააგდო, მთლათ მოშალა ცხოვრებიდან, სახლ-კარიდამ და ვენახიდამაცა, იყარა მათი ჯავრი, ამ დროს, ამ გლეხის ცოლს ერთი ქორთვა ყმაწვილიც ჰყავდა. გლეხმა ბიჭმა სოფელს თავი გაანება და თფილისში ჩამოვიდა და აქ დასახლდა, ორთაქალისკენ ერთი ოთახი დაიქორა და იქ მიეცა ცხოვრებას. დიღმიდამ თფილისის ბაყლებს ხილს უზიდავდა, მაგრამ დიდს დარდში კი იყო. მცირე ხნის შემდეგ ცოლი მეორე შეიღზედაც მოლოგინდა, მშობიარობის დროს გაცივდა და ამიტომ მცირე ხნის შემდეგ ეს ქალი გარდაიცვალა, მალე მოკვდა მეორე ქორთვა ყმაწვილიც. უფროსი ბავშვი ძიძას მისცა, მაგრამ უღედობის გამო ვერც მან გასძლო დიდ ხანს, ძიძის ხელში იგაც მოკვდა, ამდენ ვეარბს ველარც ბიჭმა გაუძლო. ზეარა-ქვერათ ციება დააწყებინა და რამდენიმე ხნის შემდეგ ესეც მოკვდა ავანთყოფი და სიღატაკში ჩავარდნილი.

ასე და ამგვარად, მუხრანსკის მეოხებით ამოწყდა მთელი ოჯახი. რამდენი სხვა ასეთი ოჯახები ამოწყვეტილა მისგან, რამდენი დარბეულა, ამას რიცხვი არა აქვს, მისი ანუსხვა ძნელია.

გლეხებს ტყავს აძრობდა, მამულებს ართმევდა, სტაკებდა, არბევდა და ვინ იცის რაებს არ უწერებოდა. რაც ამას თავის ყმებისთვის ოინები უქნია, მის ანუსხვას ჩვენ ვერ შევსძლებთ. აი ეს ერთი ამბავიც კმარა. ერთ სოფელში ნმ კომლი გლეხის ოჯახი იყო ძალით, მერე ყველა ივინი დაარბია. სოფ. ნაქულბაქავის გლეხებს ისე გაუჭირა საქმე, რომ სოფლიდან მთლათ აიყარნენ და აქეთ-იქით დაიქსაქსენ.

ამ ცხოველის ნაქმნარი საქმეები მთელს ქართლში კარგად იციან, უბედურება ის არის, რომ ასეთ ამბებს არავინ სწერდა. გლეხებს გარდა ეს პირი არბევდა თვით აზნაურის და თავადისშვილებ-

საე. ამის მიზეზი იყო, რომ ერთხელ თვით სულდენი პალატის მდივანმა თავადის შეილმა მამულის წართმევის გამო დაშაბა დაიკა. თუმც ეს ამბავი ბატონყმობის გადავარდნის პირველ წელს მოხდა, ხოლო ჩვენ აქ მოვითავსებთ მიტომ, რომ იგი ბატონყმობის გადავარდნის წინეთ არის დაწყობილი და მეორე ეს არის ნიშნში მის, თუ მებატონე რა ბოროტი და ეშმაკურის მოხერხების ყოფილა.

ივანეს მამა, კონსტანტინე მუხრანის ბატონი, დიდი ბოროტი კაცი იყო. მისგან დარბეულ და დაყიდულ გლეხთა რიცხვი თფილისში ერთ დროს ერთობ დიდი იყო, მისგან ირბევოდა ყველა, გლეხებს მუხრანსკი სულას შეტს მათ სხვას არას არჩენდა. ყოველს სიხარბესთან იყო დიდი ბოროტი და შეუბრალებლად მცემელი და მჩაგვრელი თავის გლეხების. ისეთი ბოროტი იყო ეს ცხოველი, რომ მისის შიშით გლეხ-კაცი ყოველთვის ქუდ-მოხდილი უნდა მდგარიყო. ბატონს რაც გინდ ეცემნა, ეტანჯნა, იგი ხმას ვერ ამოიღებდა, თორემ იგი უბრალო რამის გამო აბრჩობდა კიდეც. თავის სახლის ეზოში ერთი დიდი კაკლის ხე ედგა და ვისაც კი გადაეკიდებოდა თავის გლეხებს და უკანასკნელ დასჯასაც გადასწყვეტდა, მაშინ ამ ხეზედ აღრჩობინებდა მათ. ყმას ელოდა დაბრჩობა ყოველთვის, რომ თუნდ ბატონის მცირე ბრძანებაც კი არ შეესრულებინა. მართოდ კონსტანტინეს რამდენიმე ასი კაცი ეყოლება დაბრჩობილი, აკლვბული, ანიაგებული და მამულებ წართმეულნი.

ასეთი დასაღუპი საქმეები მისგან ათასობით ხდებოდა, არ ინდობდა თვით მცირე წლოვან ასულთაც. სიბრალულს მის გულში ადგილი სულ არ ჰქონდა დათმობილი. სცემდა და სტანჯავდა თვით მოხუცებულ დედაკაცებს და კაცებსაც, ყმის შეილებს სცვლიდა თვით ძალღებზედაც.

ისეთი ბოროტი იყო ეს კაცი, რომ მას საქართველოში ამით ბევრი ვერ შეედრებოდა. როგორც თვითონ თავია გახლდათ, მისი შეილი კიყო ასეთი ბოროტი იყო, მოურდიებელი, რაც მამამ დააკლო ხალხს ბოროტება, ის საწყალ ხალხს მისმა შეილმა შეუსრულა. გლეხებს ისე გაუჭირა საქმე, ისე შეაწუხა, რომ გლეხებმა ელარ აიტანეს მისი დენა და 1864 წ. როცა საქართველოში მთავარპირთებელი მიხეილი რომანოვი მოვიდა, მაშინ კიკოსაგან დარბეული და დატანჯული გლეხების რამოდენიმენი ერთათ შეიკრიბნენ, თფილისში ჩამოვიდნენ და მთავარმართებელს გზაში ფაიტონის წინ, ცხენ-



ბის ფეხებ ქვეშ ჩაყვინდნენ და თან ხელში ქალაღდი ექირანს. მანულის ტონის ბორცტებას შესჩივოდნენ, ამიტომ მათ ყურადღება შეამჩივს. საქმე გამოსაძიებლად გარდაეცა, მაგრამ გამომძიებლებმა შებატონეს მზარე დაიკავეს. ეს ამბავი გადასხვაფერებით თვით კიკო ჩოლოყაშვილსაც აქვს მოქცეული თავის ავტობიოგრაფიაში, რომელი წიგნიც 1904 წ. ცალკეც გამოიცა და ესეც წიგნი ამავე წლის ოქტომბრის თვეში „ცნობის ფურცელშიც“ იქმნა გარჩეული.

მეტად გულ საკლავია და სამწუხარო ის გარემოება, რომ ჩვენს გლვებკაცობაში არ იყვნენ თითო-ოროლა ისეთი პირნი, რომელთაც თავიანთის გაჭირებულის ცხოვრების ამბებისათვის თვალყური ედევნებინათ და ყოველივე საყურადღებო თავ-გადასავალნი კალმით აენუსხათ. ეს რომ ყოფილიყოს, მაშინ ჩვენ აუარებელი მასალები გვექმნებოდა დაშთენილი. დღეს ჩვენ თვალთ წინ ბევრი იქმნებოდა საყურადღებო ცნობებს გაცნობილი და ბევრს კეთილ მოღვაწე პირს საფუძველი აღარ ექმნებოდა იმის ძახილის, რომ საქართველოში ბატონყმობა მამაშვილობა იყო, ანუ იმის თქმა, ეს ტყუილია და ის კი მართალიაო. ეს არის ჩვენის გლვებკაცობის უბედურება, რომ მთელს ჩვენს წარსულში ერთი კაციც არ გამოსჩნდა ისეთი, რომელიც მწიგნობარი ყოფილიყოს, თუნდ სულ მცირედ და თვისის ცხოვრებიდამაც საჭირო საყურადღებო ცნობებიც ეწეროს.

სამწუხაროა, სამწუხარო კეშმარიტად, რომ ჩვენმა გლვებკაცობამ ასე მკვდრად განვლო თვისი დღენი, ასე ღარიბათ დასტოვა თვის ტანჯვა-ვაგების ისტორიის მასალები და მისი ნნიშვნელობა. ეს არავის შეჭფერის და ნამეტურ ჩვენს წარსულ დროის გლვებკაცობას, მაგრამ რასა ვიქმთ, მათ არა გაემტყუნებათ რა, ივინი ისე იყვნენ დაცემულნი და მიწაზედ გასწორებულნი, რომ თვით თავიანთი მონობის და ტანჯვის შეგნებაც კი არ აქენდათ და ყოველ ბოროტ თავად-აზნაურის წინაშე თავს იხრიდნენ.

VI

ს ს ვ ე ჯ ს ს ვ ე

მასალები

## თავადი აუხაზი

თავად აუხაზმა დაიჭირა რამდენიმე საეკლესიო უპატრონო გლეხნი და ძალის-ძალით იყმო. გლეხები ბატონს აუჯანყდნენ ამაზე და არ ემორჩილებოდნენ. ბოლოს საჩივარმა მთავრობამდის მიაღწია მთავრობამ საჩივარი უყურადღებოთ დასტოვა. ამ მიზეზის გამო აუხაზმა განიზრახა გლეხის კვერში შებმა. ბატონმა შეება კიდევ და თვითონ კვერზედ დაუჯდა და სახრის ცემით უყვიროდა:

— სიტყვი, რომ შენი ყმა ვარო, თორემ მოგკლამო.

ამაზე გლეხი უარს ეუბნებოდა და ყვიროდა:

— შე შეიძლება მოგვკდე და იმას-კი არ ვიტყვი, რომ ჩემი შეიღები დაველუპო. ჩვენ არც ვყოფილვართ თავადის შეილის ყმათ და არც უნდა ვიყოთ.

ამაზე თავადი უფრო გასჯავრებია და უკანიდამ მიუწნავს და მიუწნავს სახრეები და დაუწყია ყვირილი:

— წადი, შე მამაძაღლო და ნუ გატყდები, რომ ჩემი ყმები ხართ ამ სახრის ქვეშ ამოგახდენ სულსა და ვნახო ვინ გიშველის.

— დე ამოვიდეს სული და ჩემს გვარს კი არ გავხდი შენს მონათ.

აუხაზი გლეხს გაუძალიანდა, ბოლოს პირში და კბილებშიაც კი დაუწყა ცემა, საქმე იქმდის მიიყვანა, რომ საბრალო გლეხს ცხვირ-პირიდან სისხლი წავარდა და დასისხლიანდა, დაეცა ძირსა და იქვე მოკვდა.

## თადია ჩოლოყაშვილი

1840 წელს თავადმა თადია ჩოლოყაშვილმა ერთი დედაკაცი თონეში ჩააგდო და სამი დღე და ღამე იქ შეინახა დაბზულნი უპუროთ და უწყლოთ. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ყმა დედა-კაცი ბატონს შეეწინააღმდეგა და უთხრა—ჩემს ქალებს შინა ყმათ ვერ მოგცემო, ბატონმა უბრძანა:

— აბა თუ ვერ მომცემ და ვნახავ, ვინ რას იზამს. გლებ დედას უთქვამს:—ბატონის შეილის სადღევრძელოდ, ორივე ცოდვის შეიღები არიან და გებეწებით, უნდა დამითმოთ თქვენის პაპის სულისთვის.



— მე არ ვიცი, წადი წაეთრიე და მორეკე, თორემ სულ თმებით გათრევიანებ შე ქოფაკო.

აქ დედაკაცი ბატონს მუხლებში ჩაუფარდა და დაუწყო ხვეწნა და მუღარა:

— ბატონო თქვენის სიყმის სადღეგრძელოთ, თქვენი შვილებისა, ნუ მიზამ ამას, ჩემი სახლის შვილებიც ისინი არიან, ვაეი არ გვყავს და სხვა. ეფიჭრობდით პირველ გოგოს გავათხოვებდით, ვისმე მარტო ხელს ვიშოვნიდით და ზედ სიძეთ შევიყვანდით. მეორე გოგოსაც შემდეგ გავათხოვებდით.

— გასწი, გაეთრიე აქედამ, პანღური ამოკრა დედა-კაცსა და თანაც გააყოლა ბიჭები, წადით და ი გოგოები მორეკეთ აქა. ბიჭები წავიდნენ და გოგოები გამოირეკეს, დედაც უკანიდამ დაედევნა ღრიალით და დაიწყო მოთქმით ტირილი:

— ვაიმე შვილებო, ცოცხლები მეკარგებით, ახ, ღმერთო, რატომ არ დაიქცევა შენი სამართალი და კანონი! ეს რა უბედურება და რისხვა არის გლეხკაცის თავს.

დედის ტირილზე გოგოებმაც დაიწყეს კვეთინი და მდღღრეობით ტირილი. ბატონის კარამდის დედა გაჰყვა თანა. ბატონთან რომ მიიყვანეს, გოგოები ბალკონის წინ გააჩერეს და შეატყობინეს, რომ მოვიყვანეთო, დედა ამ გოგოებისა იქვე შორი-ახლოს დამდგარიყო და ტიროდა თავის ქალებს.

ბატონი გამოვიდა კარში და შეხედა გოგოებს, ცოტა შორი ახლოთ მდგომი მათი დედაც დაინახა მტრალი და მაშინათვე მიმართა:

- ი ქოფაკი რისა ტირის?
- შინილამ აქამდის ტირილით წამოეთრია, მიუგეს ბიჭებმა.
- წადით დაიჭირეთ და მოიყვათ აქა, მე უჩვენებ მაგას, თუ როგორ უნდა ტირილი.

ბიჭები გაიქცნენ, დაიჭირეს დედა-კაცი და მიუყვანეს ბატონს. ბატონმა დაუწყო მუქარება, ერთი ორი წიხლიც ჩაკრა და ბოლოს ის განკარგულემა გასცა, რომ რაკი თავის გოგოებზე ტირილი დაიწყო, სამი დღე და ღამე თონეში ჩააგდეთო.

დედა-კაცი თონეში ჩააგდეს, ქალებზე კი თითონ ინავარდა, თფილისში წაიყვანა და ვილაც ვაჭრებზედ დაყიდა. ასეთი დევნა ბატონმა უფრო უპატრონო ქვრივ-ობლების იცოდეთო. მის დროს, დიდი, პატარა, მოხუცი და ქვრივ-ობლები სულ მის ლანძღვასა და





წყველაში იყვნენ და ყველა ეხვეწებოდა ღმერთს, რომ ეს ნოროტი  
კაცი დამხოზილიყო.

თვითონ თადია ჩოლოყაშვილი ყოფილა დიდი ყმა და მამულის  
პატრონი. მასთან მეტათ ბოროტი, უდიერო, ანჩხლი და მოურიგებელი  
ყველასთან, გლეხებს თურმე სულ დღეს უმწარებდა და მათ სისხლს  
სწომდა თურმე, ისე ეჯავრებოდა იგინი.

„ქ ა ლ მ ა ს ო ბ ი დ ა ნ“.

ერთი გურამიშვილთაგანი, თადეოზ გურამიშვილის ძმა, რომლის  
სახელი არ ვიცით, ყოფილა მეტად ბოროტი და ავი სული, ამის სა-  
ხის მსგავსი თავად-აზნაურებით სავსე იყო ერთ დროს ქართლი.

ქართლის ყმათა ტანჯვა აღემატებოდა საქართველოს ყველა  
კუთხის ყმათა ტანჯვას და დაწიოკებას. თადეოზის და მისის სახლის-  
კაცებთაგან ყმათა ტანჯვის და წვალების შესახებ მთელი ტომი და-  
იწერება. კაცი ვერ ანუსხავს ამათგან ჩანადენ ბოროტებას. თადეო-  
ზის ხსენება ყოველ მათს ყმათაგანს წიშს ჰკვრიდა და კანკალ-ცახ-  
ცახს. მისი ბოროტება ყმებზედ იყო უსაზღვრო, ამიტომ მას მტრობ-  
დენ არა მარტო მის საკუთარ ყმა გლეხნი, არამედ სხვანიც. იგი  
მტერი იყო თვით მოქალაქეებისაც კი, ნამეტურ მათი, ვინც მის ყმა-  
ნი იყვნენ. სიკვდილის შემდეგ, მის ყმანი, მოქალაქე ყმებში წაახალი-  
სეს, გვამი ამოაღებინეს საფლავიდან, ასო მოსჭრეს და პირში ჩაუ-  
დეს. ეს ამბავი ბრალდებოდა მოქალაქე მირზაშვილს, მაგრამ ამოდ.  
ყმა გლეხებს ექმნათ ეს სასჯელი, იგინი თურმე შეწუხებულნი იყვნენ  
ბრავალნაირად და მიტომაც ისურვეს ისე დასჯა მისი.

გურამიშვილებში ბოროტი მებატონენი მრავლად იყვნენ, მაგ-  
რამ იგი აქარებდა სხვებს. გლეხ ყმებთაგან ამისთვის ღვთის წყალობა  
ღვთის რისხვას შეადგენდა. გლეხ-კაცის წელში გამართვა და ან ქო-  
ხის გაკეთება მას არ ახარებდა. იგი კმაყოფილი იყო მაშინ უფრო,  
როცა გლეხ-კაცი ყოველივეს მას აძლევდა ხარჯათ და თვით კი მწიე-  
რი შთებოდა. ყმის შვილს არ შეეძლო რომ ძხალი ჩოხა ეყიდნა  
და ჩაეცვა. ბატონი დაუნახავდა და ცნობას ჰკითხავდა, რითი იყიდო.

ამის ყმა შაშით ვერ გაიკეთებდა სახლს და ამიტომ გლეხნი  
ერთავად სოროებში ეყარნენ. სახლის გაკეთების დროს, თადეოზი  
ჰკითხავდა: რითი აკეთებთო? მე ჩემსას არ მაძლევთ და თქვენ კი  
სახლს იკეთებთო. ყმის სახლის კეთება მისი თვალის დაბნელება იყო



და ამიტომ ყოველთვის გლვებებიც ერიდებოდნენ ახალი სახელმწიფოებრივი ბას. ერთთავად სოროებში ეყარნენ.

თადეოზის შიშით ყმას არ შეეძლო, რომ ხარი ან კამეჩი ეყიდა, ბატონის ეშინოდა. ყოველივე ამ ჭირს უნდა დაჰკითხებოდა, ვინც ამას, არ იზამდა, იმას დარბევა და წართმევა ელოდა.

ყმის ცოლს, ან ქალს არ შეეძლო რომ ერთი ახალი უბრალო-თავშალი ეყიდნა. იგი არაფერ კანონს არ ემორჩილებოდა, კანონიც თვით იყო, დიამბეგიც და აღმსრულებელიც.

ახალგაზრდობაში არც „პირველ ღამის“ გაზღდათ ხამი, ისეც უამისოდაც კი ჩადიოდა ბოროტებას და ყმის ქალწულ ქალებს აფუჭებდა და მერე მათ თფილისის ვაჭრებზედ ჰყიდდა საკახპოდ. ეს ამბები დღესაც კარგად ახსოვთ საგურამოს გლეხებს, აქკალელთ და სხვათაც, თუ მის ნაყმევთ თუ სხვებს. ერთის მხრით ეს ბოროტებაც გაზღდათ მის ცოდვის მიზეზათ, რომ სიკვდილის შემდეგაც კი, მისი სხეული საულავიდან ამოიღეს, ასო მოსჭრეს, პირში ჩაუდეს და ისე დააგდეს საულავზედ. ამ გარემოებამ დიდათ აღაშფოთა იმ დროის მებატონენი.

დღედაკაცებს ხეზედ ჩამოჰკიდებდა თმებით, დააბამდა თოკით, ნიაკრავდა ხეზედ, ცემა იცოდა დაბმულების კეტით, წკეპლით, მათრახით და სხვ. მოხუცებამდის არ მოასვენებდა დღედაკაცებს და ყოველთვის სტანჯავდა მათ. ვინც ძრიელ გააჯავრებდა, იმას კევრში, ურმებში აბამდა და ყირამალაც ჰკიდებდა, ამ დროს, თადეოზს პატიობას ვერვინ სთხოვდა. ყველას ეშინოდა. რაც ამას თავის ყმათა-კოლების, ქალების და თვით მოხუცებულთათვისაც ტანჯვა მიუყენებია, ამას ენა ვერ მოსთვლის.

მამაკაცებს და თვით ბაღლებსაც გზავნიდა სამეშაოდ თითქმის განუწყვეტილად, სტაცებდა მათ ყველაფერს: მამულს, დედულს, ოთხფეხს, ფრინველს, რაც კი მოეწონებოდა. თვით შვილებსაც კი და ამით მრავლად ჰყიდდა აქეთ-იქით. ვინც გააჯავრებდა იმათი ცემი-იცოდა, დამწყვედვა ოთახში, მშვიერის შენახვა, კალოში შებმა, საძნე ურემში, ხეზე გაკვრა, ყირამალა ჩამოკიდება, გამათრახება და გაროზგვა. მისი მათრახის ქვეშ ბევრი დაოსებულა, ყირამალა ჩამოკიდვისაგან ბევრს თვალები და სახე დასიებია და კაცი თუ დღედაკაცი ხშირად მომკვდარან, ამას ასახელებდნენ მის მიზეზათ, რომ თადეოზს შვილები სულ უხეიროები გამოუვიდნო, ვაყები გაუგიგდნ და ისე ამოუწყდნ უკოლშვილოდ, უძეთო, ზოგი დაუბრძავდა, ზოგი და-



უყრუედაო. თადეოზი სულ წააგვანდა თადია ჩოლოყაშვილს, ორივე  
მყოველად ბოროტები იყვნენ და ყმებზედ უსაზღვროდ ბოროტების  
თესველნიო. შეძლებაც რასაკვირველია მთლად წანატაცავი აქვდათ,  
წანართმევი. გლეხებს გარდა იგინი არბევდენ თვით მემამულე აზნა-  
ურიშვილებსაც და მამულებს სტაცავდენო. შთელი სიცოცხლე თადე-  
ოზმა ბოროტებით ატარა და ბოროტებითვე მოკვდაო.

III

# გატყუებლბა იმერეთში

მასალები

## ბატონყმობა იმერეთში.

რუსებმა რომ იმერეთი დაიმორჩილეს და აილეს, ალექსის შემდეგ რუსეთის ჯარი შევიდა იქ და მოიფინენ აქეთ-იქით. ამ პირველ წლებში იმერეთის მებატონეები დღეში ათობითა და ოცობით ჰყიდდნენ ლამაზ გოგო-ბიჭებსაო. ერთ ფრანკულ მოგზაურს რამდენიმე გოგო-ბიჭები უყიდნია, თითო ოთხას მანეთად და ადესისკენ წაიყვანაო. ამავე დროებში, ერთ თავადის შვილს რამდენიმე მოსამსახურე ბიჭები გააყიდნია, მიუყიდნია ერთი რუსის აფიცრისათვის, აფიცრის ის ბიჭები რუსეთში წაუყვანია და იქ დაუჭრდია. ერთი იმათგანი დღეს თფილისშია მოსული, მაგრამ გარუსებული. ამ პირმა მიამბო, რომ იმ დროს, მთელს იმერეთში აშკარად იყიდებოდა ყმათა შვილები და მათ ყიდულობდნენ თვით ურიებიც და მერე იგინი თავიანთ სულის გულისთვის ათავისუფლებდნო. ქუთაისში ყმათა დასაყიდი ბაზარიც იყოო.

1829 წ. რუსეთის და ოსმალის ომის დროს, როდესაც ახალციხე აილეს, ყარსი და სხვა ქალაქები, ბრძოლის დროს, ოსმალის რამდენიმე ფაშები რუსებს ტყვეთ ჩაუვარდათ. რუსებმა ფაშები ქუთაისში გამოგზავნეს, ქუთაისის გუბერნატორთან. გუბერნატორმა დიდის პატივით მიიღო და მისცა სადგომი ბინა. ფაშები ქუთაისში უნდა დარჩენილიყვნენ, სანამ სახელმწიფოთა შორის საქმეები გათავდებოდაო.

რამდენიმე დღის შემდეგ ფაშებს გუბერნატორისთვის მოუკითხავთ გურიის ერთი სოფლის მცხოვრებნი, უთხოვნიათ, რომ იმ სოფლის მცხოვრებლებთან ჩვენ საქმე გვაქვს და თუ შეიძლება მთელი სოფლელები დაგვიბარეთო, მაშინათვე გუბერნატორს ხსენებული ხალხი დაუბარებია. მთელი სოფლის ხალხი მალე ჩასულან ქუთაისს, ესენი მალე წამდგარან ფაშებთანა.

ფაშებს სოფლის ხალხთან ქართულად დაუწყიათ ლაპარაკი, ბევრი რამ ძველი ამბები გამოუკითხავთ, სოფლელების ნახევარი ერთ მხარეს დაუყენებიათ— ნახევარი მკორე მხარეს. ერთ მხარეს მდგომთათვის უთქვამთ:



„გასწით, დაიქარგენით აქედამ თქვე კაცის გამყიდველს, გასწით“.

ესენი ყოფილან იმ სოფლის თავადის და აზნაურის შვილები.

მეორე მხარეს მდგომთ სოფლელებისათვის კი ბევრი რამ ცნობები უქითხავთ. ამათში ბევრნი ისეთი გლენიცი აღმოჩენილან, რომელნიც ზოგნი იმ ფაშების ბიძაშვილებათ ყოფილან და ზოგნი უფრო ახლო ნათესავებათ. შემდგომ ამის ფაშებს უთქვამთ მათთვის:

„თქვენი სოფლის მებატონეებმა ამა და ამ დროს რომ თავიანთ გლების პატარა ბიჭები სტამბოლში გაჰყიდეს, ის ბიჭები ჩვენა ვართ, მაგრამ ჩვენ თათრები. ვართ და თქვენ ქრისტიანები. წილან რომ ზოგიერთები გავრეკეთ აქედამ, ისინი ჩვენ ვიცანიით, რომ აზნაურის და თავადის შვილები იყვნენ და ისიც იმ გვარის, ვინც ჩვენ დაგვყიდეს. მითომ გავაძევეთ აქედამ“.

ფაშების და გლებების საუბარი დიდხანს გავრძელებულა. ფაშებს გლებები ათათი ოქროთი დაუსაჩუქრებიათ და ისე გაუსტუმრებიათ. ამ ამბის შემდეგ შეუტყვია ხალხს, რომ ეს ფაშები, გურიის გლების-კაცის შვილებთაგანი ყოფილან, მაგრამ ამ საუქუნის დასაწყისს, გურიის მებატონეებს სტამბოლში გაურეკიათ და დაუყიდნიათო. ერთი იყო მუშირ-ფაშა და მეორე ქერიმ-ფაშა. ორივემ მშვენივრად იცოდნენ ქართული, გურიის ამბებიც კარგად ახსოვდათ. გურიის თავად-აზნაურებს ესენი ძრიელ ემდურებოდნენ, განთავისუფლების შემდეგ ესენი კონსტანტინეპოლს გაემგზავრნენ. ეს ამბავი მიაშბო რუსის პოეტის ლერმონტოვის მსახურმა გურულმა მოხუცმა ქრ. სანიკიძემ.

თვით ეს სანიკიძეც პატარა გაუყიდნია მათ მებატონეს ოზურგეთში. იგი უყიდნია ვილაც რუსის აფიცერს და რუსეთში გადაუყვანია პატარა, იქ გაზღლიდა და მით გარუსებულა კიდევ. მერე უმაღლეს რუსის ოჯახებში მსახურად ჩავარდნილა, ერთ დროს ლერმონტოვთანაც ყოფილა მსახურად, მოკვლის დროს. მერე მთავარმართებელს ვორონცოვთან უმსახურია. ამ პირმა ძრიელ ბევრი ამბები იცოდა ბატონყმობის შესახებ.

**IV**

**გატყუებთა სპანეთუი**

მასალეუი

## ბატონყმობა სვანეთში.

ბატონყმობა სვანეთში ისე იყო, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აქაც ისე იკოდნენ მებატონეებმა ყმის მოპყრობა, ხოლო გაყიდვით კი სვანს უცხო პირზე არ ყიდდენ. გასყიდვა, გაცვლა, გასაჩუქრება, გამზითვება და სხვანი ამგვარნი სულ ერთმანეთში, ადგილობრივ იკოდნენ. უცხოს სვანი გაყიდვით არ გაჰყვებოდა, ამას არც მისი ბატონი იზამდა. ასე იყო წინედ იქ, შერე რა იქმნებოდა ეს არ ვიცი. მეფეების დროსაც ასე იკოდნენ და მათ შემდეგაც, როცა ივინი ჯერ თავისუფალ სვანებად იწოდებოდენ და მერე რუსის მთავრობას დამორჩილდნენ.

ყმათა სასჯელიც იკოდნენ სვანეთში, ყმებს აპატიმრებდენ, გზებში აბამდენ რკინებით, რომ გამვლელ-გამომვლელს ენახა და ამით მით შერცხვენოდათ, რკინით დაბმულს ერთს მჭადს მისცემდნენ და წყალს.

სხვა სასჯელიც იკოდნენ სვანეთში, რასაკვირველია დანაშაულის კვლათ და თანახმად. რაც შეეხება ბატონთაგან ყმათა ქალების დევნას ანუ პირველ ღამეს, ეს ამათში არ იყო გავრცელებული, ამას მათი საჭიროება არ მოითხოვდა, ვინაიდან დაკეტილი ცხოვრება აქვნდათ და ბატონის თუ ყმის ცხოვრება და დამოკიდებულება ერთს საოჯახო მსგავს არსებობას წარმოადგენდა.

ვიტყვი იმასაც, რომ მე მაინც ერთობ ცოტა რამ ვიცი სვანთა ბატონყმობის შესახებ და მიტომ აქ არც ვლაპარაკობ მათ კარგს თუ ავს წესებზედ. ყველგან კი ბატონყმობა—ბატონყმობა იყო და აქაც რომ ეს მკვიდრათ იქმნებოდა, ამას ფიქრი არ უნდა, რადგან აქ ყმობის გარეშე, სვანთა სრული მონობაც იყო და მათი მონაწილე არსებობდნენ. ასე იყო საქმე.



VI

სსპმ ღმ სსპმ

მასალები



### პირველი ღამის ამბავი.

პირველი ღამე რუსეთის მებატონეებსაც სცოდნიათ, ასევე სხვა ქვეყნის ბალბებშიაც. ეს სენი ჩვენშიაც იყო. ყველგან, სადაც კი არსებობდა იგი, საგმობი იყო და საწყენი. არავინ იფიქროს, რომ ეს სენი მართო საქართველოში იყო.

ამ სენის შესახებ ჩვენ წერილობით არაფერი ცნობები არა გვაქვს. ამის შესახებ ერთი მაგალითიც არ არის სადმე ნაჩვენები. ბევრი რამ კანონები ვწინავეთ, მაგრამ იქ ამაზედ ვერა ეპოვეთ რა, თვით ქართულ ძველსა და ახალ სიგელ-გუჯრებშიაც ამის შესახებ არაფერი მოიპოვება.

მაგრამ საქართველოში, მეზატონეთა შორის, რომ იყო პირველი ღამის ჩვეულება, ეს მტკიცდება იმ გარემოებით, რომ თვით დღესაც, ამ XIX საუკუნის ბოლოს, თიბქმის ყველა ქართველმა გლეხმა კაცმა, ხნიერმა, ახალგაზრდამ, თუ პატარამ კარგად იცის ის ხმები, რომ ქართველმა მებატონეებმა პირველი ღამე იცოდნენო. დღეს თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ ქართველ კაცსა და ქალს, რომ იმან ამ სენის შესახებ რამე ცნობა არ იცოდეს, ამიტომ ვიტყვით, რომ ეს სენი არ ყოფილყოს მაშინ, უამისოდ მისი ცნობები არც ისე მოიფინებოდა ქართველ ერში საერთოდ, ცოტა რამ სატიკვარ და სენის შესახებ ისე არ მოიფინება საერთოდ ხმები ყველგან, როგორც ამ პირველ ღამის შესახებ არის მოფენილი.

ეს რომ მართალია და ქეშმარიტი, ამას ეპვი არ უნდა, რადგანაც ჩვენ მოვესწარით ისეთ მოხუკებულებს, რომელთაც ამ საქმეებზე ცნობები კარგად იცოდნენ, თვით იყენენ მნახველნი და მოსწონენი მისი და მაშასადავე მათ ამის შესახებ ყოელივე დაეჯერებათ, თვით თავიანთ თვლით უნახავთ ეს საქმენი და ნახულებს გარდა სხვათაგანაც მოუსმენიათ ამის ცნობები, უფრო ხნიერ, დროულ პირთაგან, რომელთაც ასეთი საქმეების ერთობ ბევრი ამბები სცოდნიათ. ასეთ პირთა ამბების მცნობნი ჩემს გარდა სხვანიც არიან დღეს ცოცხალნი. თუ კი ვინმე ისურვებს და ამის გაცნობას და ანუტხვას მოიწადინებს, ის ბევრს რამე მსალებს ჰპოვებს, ვინიდან



დღესაც, ამ XIX საუკუნე დასრულდა (1886 წ.) კადე სჩანან აქა-იქ თითო-  
ორიოლა ცოცხალი პირნი.

მაშ ჩვენ დავიწყებთ ისევ ამ თანამედროვე ცოცხალ მატრიანეთა-  
სიტყვით და მოთხრობით, აენუსხავთ ამ კითხვების მხოლოდ სამს  
ცნობას და დანარჩენიც ამ სამმა მავალითმა დაასაბუთოს, რომ რო-  
გორც სხვა ტომთა შორის და თვით რუსეთშიაც, ჩვენშიაც იცოდნენ  
პირველი დამე, რაც მართალია და ნამდვილი და რასაც უნდა მივს-  
ცეთ შესაფერი ისტორიული მიმართვა. ამიტომ ამის უარყოფა ვის-  
განმე შეუძლებელი უნდა იყოს და უადგილო. სიყალბე და სიმტყუ-  
ნეს აქ ალაგი არ ექმნება, რასაც ვილაპარაკებთ, სულ ნამდვილ ცნო-  
ბების გარეშე იქმნება შემოვლებული. შეიძლება ბევრისთვის ეს  
დაუფერებელიც იყოს, ვინ იცის, ესეც შეიძლება, რადგანაც ისტო-  
რიულად ჩვენ ისე ვართ დაქვეითებულნი, რომ ასეთ დროის ამბები-  
კი არა, თვით ისიც არ ვიცით, ჩვენს ცხოვრებისა და მწერლობის  
ასპარეზზედ ამ 20 წლის წინედ რა მოხდა და აბა ასე შორეულ ამ-  
ბავთა არ ცოდნაში ვილა უნდა იყოს გასამტყუნი. ნათქვამია:— „არ  
ცოდნა, არ ცოდვა არისო“.

ესთხოვ მეკითხველს, რომ ამ ამბების წლებს უსათუოთ ყურა-  
დღება მიაქციოს და სახეში იქონიოს ყოველ ბოროტების დრო და  
ეამი, ეს არის უმთავრესი გაამართლებელი საბუთი.

დიდმა გიორგი ერისთავმა 1860 წ. მედიდურად დაიტრიაბა:  
„ჩემს ახალგაზრდობაში, პირველ დამეებს ჩემი ყმის გოგოები იმდენი  
მყოლია, რომ მარტო 50 ქალს მარიამი ე-ქვაო. სხვა სახელის ქა-  
ლები კიდევ სხვა იყო“. ეს სიტყვები ნამდვილია, სწორე და მარ-  
თალი და მოთხრობილია ისეთი პირისაგან, რომელიც თვით ამ თავა-  
დის ნაყმიფა იყო და მის ხელში დაბერებული. ესევე ცნობა დაასა-  
ბუთა 1878 წ. მეღვქვე იოსებ დავითაშვილმა, რომელმაც ასეთი  
ცნობები ძრიელ ბევრი იცოდა.

თ. გიორგი ერისთავი მეფე გიორგის მთავრობაში იყო ფლი-  
გელ-აღიუტანტი. რუსეთის მოსვლის დროს, იგი ახალგაზრდა გახლ-  
დათ, ახალმა მთავრობამ მას გენერლობა მიუბოძა. მის შემდეგ ორ-  
დენებით დაწინაურდა, ქართულ ტანისამოსს იცვამდა. უკანასკნელ  
მან მიადწია სახელმწიფო რჩევის წევრობამდე (членом совета),  
თვით ამის მეუღლეც კი დაწინაურდა, იგი იყო „დამა კავალერიისა“,  
ქართველ ქალებში თითქმის ერთად ერთი მაგალითი, პირველი და



უკანასკნელი. არც ქმარმა და არც ცოლმა რუსული ლაპარაკით  
ტათი მტვრევაც კი არ ეცოდნენ.

გ. ერისთავი მწუფნობარი კაცი იყო, იგი ლექსებსაც სწერდა  
ქართულს ენაზედ და თვით სოლომონ დოდაშვილის ეურნალს „თფი-  
ლისის უწყებაში“ დაბეჭდილია ამის ერთი ფართო ლექსი, სახელ-  
დობრ „ახ ივერჯნა“. ამ ლექსის დანწერი ქართველთ ურჩევს ზამუ-  
ლის დაცვას, მის მფარველობას და სხვებსაც ამ გვარებს. ეს პირი  
მაშინ მელექსეობით კარგად იყო ცნობილი მთელს ქართლსა და  
კახეთში. ახლა უნდა ვსთქვათ საგულისხმოთ მრავალთა, აუფ ასეთი  
ქართველი მწერალი, ქართველი პატრიოტი და ქართველთაგან მა-  
მულისა და ზნე-ხასიათების დაცვის მალაღებელ-მჭადაგებელი პი-  
რიც კი ასეთი თვისების იყო, რომ მან თავის სიცოცხლეში იმდენი  
ქალები იხმარა და ამას არც მალავდა და აშკარად ლაპარაკობდა,  
აბა რა უნდა ითქვას, თუ სხვა მისი თანამედროვეები რალა იქნებო-  
დნენ, რომელთაც არც წერა-კითხვა ეცოდნენ და არცა-რა მწიგ-  
ნობრობას მისდევდნენ და მამულისშვილობისაც ხომ გაგება არა  
ჰქონდათ.

ამავ პირის დროს სცხოვრებდა მეორე ერისთავი, სახელდობრ  
მამაშვი, ხოლო რომელი ერისთავი, რომელი მამის შვილი და რომე-  
ლი ოჯახის წევრი, ამის ხსოვნა აღარაგის აქვს, ხოლო ამ სახელის  
მატარებელი ერისთავები ერთსა და იმავე დროს რამდენიმე პირი  
იყო. ერთი ამითგანი თავის ახალგაზრდობიდან პირველ ღამეებს ისე  
ყოფილა დაჩვეული, რომ მოხუცებაში შესვლის დროს, როცა ჯანით  
და გონებით დასუსტდა, იგი დიდათ გაბრაზებულად ყოფილა და  
მის გამო ვინ იცის რა ბოროტებას არ ჩადიოდა.

უკანასკნელ ამან მიიღო პირველ ღამეზედ უფრო ცუდი, საგმო-  
ბი და მურტალი ჩვეულება. სადაც კი ამას ყმის გოგო მოეწონებო-  
და, იმას მაშინათვე წაიყვანდა სახლში და ღამე ხელით აწვალებდა  
და სტანჯავდა. დასომდა ტახტზედ და ლაჯებში ხელს შეუყოფდა და  
მით აუპატიურებდა ქალს. ასეთის საქმეებით იგი ქალებს დიდათ  
სტანჯავდა, აწვალებდა, მაგრამ ვინ რას ეტყოდა. რაკი ხმარებით  
ველარ ხმარობდა და მარტოდ ხელებით ჰბილწავდა, ამიტომ ხშირად  
ქალებიც მალავდნენ ასეთ შეურაცხყოფას და არაგის ეუბნებოდნენ,  
ხოლო ასეთის საძაგლობისაგან კი დიდათ იყვნენ დასჯილ და წვა-  
ლებულნი, პირველ ღამეზედ უარესად შეურაცხყოფილნი, რადგანაც

ასეთის სასჯელით ბატონი გოგოს ერთხელ და ორჯელ ხომ ვალეზდა, არამედ მთელი თვეები და ხან შეტაც.

ერთმა ასეთმა დასჯილმა და გაწვალემწულმა ყმის გოგომ ველარ ნოითმინა და თავის ძმას შესჩივლა ყველაფერა.

— მიშველე რამე, ან შენ მომკალ და ან მოშველე, თორემ მე ბატონის სახლში ველარ შევალ, მტანჯავს, მაწვალებს და მიჩრევნია მოგვცდენ და ასეთ წვალეზას კი მოვჩჩე.

ეს ამბავი აი როგორ გამოქვეყნებულა. გოგო ბატონის სახლში ყოფილა დაკავებული. იმ დღიდან, როცა ბატონმა ეს გოგო ასე დასაჯა, მერე, ანუ სასჯელის შემდეგ, გოგო წვალზედ წავიდა. წულის მოსატანად, რომ მის შემდეგ ხელ-პირი დაეძანა ბატონს. იმ ამ დროს, გოგომ თურმე თავის ძმა წყაროზედ ნაბა და იქ შესჩივლა ყოველივე და შესტარა, რასაც თურმე ძმამაც მხურვალეთ მიატკობ უწრადღებდა, დის მდგომარეობაში შევიდა და მასთან დაჰპირდა დახსნას.

ერთ ღამეს, როცა გოგოს წვალეზის შემდეგ ბატონს ჩაეძინა, ამ გოგოს ძმა შევიდა ბატონის ოთახში და ღრმად ჩაძინებულს ბატონს ერთს წუთში, ანაზღაოთ ისე მოსჭრა თავი, რომ ბატონმა ხმის დაძვრაც ველარ მოახერხა. მერე წაიყვანა თავისი და და სადღაც გადაიკარგნენ. თავადის ნათესავეებმა მდივარი გამოიყვინეს, მაგრამ ევრსად ნახეს. გლეხები დიდი მადლიერნი დარჩნენ ამ ბიჭის საქციელით, რადგანაც იმ მურტალი თავადის მოკვლით ბევრი ყმის გოგო დაიხსნა საძაგელი ტანჯვა-წვალეზისაგან.

ეს ამბავი უნდა მომზდარიყოს არა უკვიანეს 1825 წლისა.

ბარძიმ ამილახვარი პირველ ღამეებს ისე იყო შეჩვეული, რომ ძნელად რომ თავის საყმოში ვინმე საქორწილო გოგო გადარჩნოდა. ამის გამო გლეხებს ძლიერ ეჯავრებოდათ. მისგან ნახმარი გოგონები მეტად დიდი რიცხვი ყოფილა. უკანასკნელ ამასაც ვასცლია ჯანის სინსილა და ისე დაუძღვრებულა, რომ გოგოების ხმარება ველარ შესძლებია, ხოლო მისი ნდომა კი ძრიელ ჰქონია. ამიტომ იგი უკანასკნელ სხვა გზას დასდგომია. ეს გზა აი რა ყოფილა, რაც ნამდვილი არის და სწორე და რის მნახველი და ასეთ ამბების გამგონე კი არა და თვით მომქმედ პირთა მოთხრობითაც არის დასაბუთებული. აი ასე დახატა ერთმა პირმა, რომელსაც ეს საქმე გადახდენოდა ბატონის სახლში.

ჩვენმა ბატონმა იცოდა ასეთი საქმენი: სოფელში რომ გავიგებოდა, რომ ესა და ეს ბიჭი ამა და ამ გოგონედ დაინიშნაო, იმათ აღარ დააქვოდა ქორწილს. ჯერეთ გოგოს დაინიშნებდა, მერე ბიჭს, ამათ ორივეს ერთად შეჰყრიდა, მის მერე მათ შერეკავდა ერთ ოთახში და ბიჭს დაჟუჯირობდა:— „ეხლავე, აქვე, ჩემ თვეღწინ მიდი შენს საცოლენედ, თორემ დედას გიტირებ, დედა მიწის პირიდან აგგვიო“. მეტი რა გზა აქვინდა, ბიჭსაც უნდა შეესრულებინა ეს, თორემ თქვენი მტერი, შეუსრულებლობის შემდეგ ვინ იცის რა დღეს არ დააყრიდაო. ახლაც საკითხავია ის თუ ესეთი საქციელი ბატონისათვის რად იყო საქცირო და ამას მით რა ემატებოდაო. თვით ამ საქმეში გამოვლილმა სიტყვა:

ბატონი ასეთ საქმეებისაგან სიბერეში ძრიელ დასუსტებულიყო, მას ამისი აღარა შეეძლო რა, ხოლო როგორც ჩვეულს, იმის ხურუში, ანუ წადილი დიდი აქვინდა და როცა გოგო და ბიჭი დაიწყებდნ მოქმედებას, იგი შორიდან სიამოვნებით უყურებდა და სტკებოდაო, თან ბიჭს რაღაც გასაბნევებელს სიტყვებს უყვიროდაო. თვით ბატონს რომ აღარა შეეძლო, მიტომ სხვების ყურებით სტკებოდაო. ამასვე ისიც აქვინდა თურმე ჩვეულებად, რომ გინდ ჩუმიად სადმე დაეწერა ჯვარი, მაინც თუ შეიტყობდა, მაშინათვე დაქორწინებულთაც მიიხმობდა თავის სახლში და ყოველივე იქ უნდა მომხდარიყო პირველადო, რისთვისაც ბატონს უნდა ეყურებინაო. ბატონს თურმე პირველი ლამეების ყურება უყვარდა, თორემ სხვა დროის, ანუ ხანში შესულთ საქმეს ეს ყურადღებას არ აქცევდაო. იტყოდნ ხოლმე იმასაც, რომ გაბედულ ბიჭს, ანუ რომელიც ბატონის წინაშე თამამად ასრულებდა მის სიტყვას და გოგოს იმორჩილებდაო, იმას ეს ბატონი საჩუქარსაც აძლევდა და ვინც მძიმე იყო მას კი არაფერს აჩუქებდაო. ასეთის საქმეებით აქვებდა ეს ბატონი თავის გლეხებს.

მკითხველმა რომ ეს ჩვენი სამი ამბავი არ მიიღონ ვისიმე პიროვნების და წოდების შეურაცხყოფად, ამიტომ აქ მოვიყვანთ მეოთხე ამბავსაც, რომელიც ნაამბობია გიორგი ოქროპირის ძე გორდაძის მიერ, რომელიც ხელობით მეხალე იყო, იგი ემსახურებოდა ვასილ და გრიგოლ ბებუთოეებს. ეს მოხუცი გარდაიცვალა 1883 წ. 75 წელს შიხწყულს.

თავ. ბებუთაშვილები არიან მებატონენი სოფ. წყნეთის და სხვა სოფლებისაც. იგინი სცხოვრობდნ მარტო ს. წყნეთს და თფილისს,



სადაც მათ კარგი ბაღებიც ჰქონდათ სოლოლაკზე და განჯის ყოფილ  
იქით, კრწანისის ველის მახლობლად, სადაც ეს მეზაღე ემსახურებო-  
და მათ. გენერალ-ლეიტენანტი ვასილ იოსების ძე ბებუთოვი და მისი  
მამა გრიგოლ ძრიელ გაწუწუებული იყვნენ თავის ყმათა შვილების  
გახრწნაში.

ვასილ და გრიგოლ ბებუთოვებს დიდი ყმა და მამული ჰქონდათ,  
მათი ყმა გლეხები თფილისშიც მრავლად სცხოვრობდნენ. ამ პირებს  
ჩვეულება ჰქონდათ—თავიანთ ბაღებში მოვიდოდნენ, და იქ მათი მო-  
ურავი ყმა გლეხების რჩეულ ქალებს ნობათად მიართმევდა ბოლმე-  
მებატონენი ჯერ იქეიდებდნენ, კარგა შეზარხოშდებოდნენ და მერე  
გარყენილებით იქცევდნენ თავს. ქალებს საჩუქრებს მისცემდნენ და  
სახლში გაისტუმრებდნენ.

ამ ბატონების წყალობით ბევრი ყმის ოჯახი დაიქცა და გაუ-  
ბედურდა. ასე და ამგვარად, ყოველ ამ მეზატონეთა ბაღში მოსვლას  
და ქეიფს მოსდევდა სულ ახალ-ახალი ქალების მოყვანა და ლაზღან-  
დარობა. თუ არა ყმის ქალები, მაშინ, 1840 წელში, სხვა ვინმე ბო-  
ზებს ანუ კახებს თფილისში ადვილად ვერ იშოვნებდნენ. თუ კახა  
იყო ვინმე, ის იქნებოდა მაშინდელ ჯარისკაცთა კახები, უხვიროები  
და მათ კიდევ ეს ბატონიშვილები არ იკადრებდნენ. ასე ამ გვარად  
ამ ბატონებისა და მათი სტუმრებისათვის ყოველთვის მათივე ყმის  
ნამუსიანი ქალწული ქალები მოჰყვანდათ და როცა ეს უძნელდებო-  
დათ, მაშინ ლაშაზი ქვრივების და ქმრიანი ქალების მოყვანაც იყო-  
დნენ. ასე და ამ გვარად ამ ვასილი და გრიგოლ ბებუთოვებისაგან  
ძრიელ ბევრ ქალწულ ქალს ახდია ნამუსი, მათის წყალობით ბევრი  
ქმრიანი ქალიც გაცუღლუტებულია და ბოლოს გაფუტებულია—ქმრის  
ჩუმიად გაკახებულია.

ამავე მეზატონეებმა გოგოების წყალობით თეთრი დუქნისაკენაც იყო-  
დნენ, სადაც ბაღები იყო მაშინ. როცა ესენი იქ ქეიფობდნენ, მათთან  
არავის შეუშვებდა მიკიტანი, მარტოდ მათ უნდა ექეიფნათ, ყმის  
გოგოებს ესენი სულ ბალახებზედ აგორავებდნენ. ამათთან ხშირად  
შოსვლა და ქეიფი იცოდნენ ივანე მუხრან-ბატონიშვილმა, ილია ორ-  
ბელიანმა და სხვათაც, მაგრამ ყველას ვინ მოიგონებს.

1840 წლებში კარგად ცნობილი იყო თ. ილია ორბელიანი, ძმა  
პოეტი გრიგოლ ორბელიანისა, ბიძა პოეტი ნ. ბარათაშვილის, რო-  
მელსაც პოეტი თავის ლექსს „მერანს“ უღუნის და სწერს თავის წე-



რილში, რომ „ილიკოს ლეკების ტყვედ ჩავარდნაზედ ისე აელეღდი, რომ ეს ლეკები „მერანა“ მასზედ დაეწერო“. ამ ილიას ერთი მისი ნაყმევიც აქებდა, ვინაიდან მან და პოეტმა გრიგოლმა ვორონცოვის დროს საბრძოლველად დამიხსენესო.

ილია ორბელიანი მეტად ჩვეული ყოფილა თავის ყმის ქალებთან ქეიფს, მათ ხმარებას და მისი სახლისკაცებიც ძრიელ ხშირად ეწეოდნენ ამ გეშოვნებასა და როგორც ვასილი და გრიგოლის ამხანაგი და მეგობარი, მათთან ხშირად მოდიოდნენ საქეიფოდ და ამ ქეიფისათვის მათს მოურავებსაც მათივე ყმის ქალები მოჰყვანდათ ბალებში საქეიფოდ და სასუნებლად. ილიას გაფუჭებული გოგოების რიცხვი ერთობ დიდი იყო, მაგრამ ყველას ვინ მოივონებო. მხოლოდ ერთს მაგალითს მოვიყვანთ, რომელიც ცხადს ჰყოფს დანარჩენთა საქმეებსაც. ილია ორბელიანი მათ ორთაქალისაკენ, ბებუთიანთ ბაღში, ერთად სხვა მოქეიფე თავადისშვილებთან, ერთ თავის ყმის გოგოს ნამუსი ახადაო, იმ დამეს სხვა თავადებმაც სხვებს ახადესო. ილიას ყმის ქალი კოდელი იყო, ძრიელ ლამაზიც. ეს ქალი ბაღში რამდენიმე ხანს შეუნახავთ და მას თურმე ილიას გარდა სხვებიც სუნადენ ხოლმე.

მერე ეს ქალი საჩუქრით გაუსტუმრებიათ შინისკენ, შემდეგ ეს გოგო ბატონების დახმარებით თელისში ერთ მეზამბეს, ანუ ბამბის მკენტაეს შეურთავს. შერთვის შემდეგაც, როგორც ლამაზ ქალს, თურმე არ ასვენებდენ და ხშირად ეპატიებოდნენ ბაღში. ეს გარემოება მისმა ქმარმა—მეზამბემ შეიტყო, ამას ძრიელ ჯავრი მოუვიდა, ცოლი გაუტყდა მასში, რომ ჰირველ დამეს მე ილია ბატონთან ვიყავ და იმან მიხმარაო. ესენი მაშინ განჯის კართან მდგარან, ქმარს ახალი შერთულ ცოლისთვის თავი დაუნებებია, ვერაზედ გადასახლებულა, იქ მაშინ თურმე აგურის ქურახანები კეთდებოდა აგურის საწვავად, თავის ხელობის ნაცვლად აგურის მიწის თბაზედ დაუწვია მუშაობა, ასეთ მუშაობის დროს, ერთ ალაგას ფლატო ჩამოწოლილა და ის მეზამბემ იქ მომკვდარა. ამით მოშლილა ის ოჯახი. ასე და ამ გვარად ილია ბატონის წყალობით ბევრ ყმის ქალს ახდია ნამუსი და ბევრიც დაღუპულა, მით ბოლოს ზოგი ქმარს გაჰყრია, ზოგი ველარ გათხოვილა და მის მეოხებით შემდეგ დროებში გაუბედურებულან—ან გაკაბებულან. ამავე პირმა სთქვა, რომ ილიასთან საქეიფოდ თვით გრიგოლ ბატონიც ხშირად მოსულაო, თვით მისთვისაც ხშირად მოუყვანიათ სხვადასხვა ყმათა ქალებიო. ამ პირის შესახებაც ბევრი რამ





ამბები უამბიათ ჩემთვის, მაგრამ მე აქ ამის შესახებ არას  
კობ, ის კი ითქმის, რომ რაც ერთი ძმა იყო, რა თვისებისა და გზა-  
საც ეს აღდა, იმის, უტყველია, არც მეორე ძმა იქნებოდა ხამი, იგიც  
აღვილად მიეკედლებოდა ძმის თვისებებს; ნათქვამიც არის: „ფერი  
ფერსა, მადლი ღმერთსა“-ო. იქნება ამ პირის შესახებ სხვებმა დას-  
წერონ ოდესმე რამ ცნობები.

თავ. ივანე მუხრან-ბატონს დიდი ყმა და მამულები ჰქონდა.  
ნისი მამულების და ყმათა რიცხვი მთელ სამეფოს შეადგენდა; ივანე-  
საც დიდათ ჰქონდა გახსნილი მადა თვის ყმა გოგოების გაბრუნისა.  
ეს ივანეც ხშირად მოდიოდა ვასილა ბებუთოვთან და ქეიფობდა  
ბალში თავის ყმის გოგოებით, ხანდისხან ამან თეთრ ღუქნისკენაც  
იყოდა გასეირნება და იქ ბაღებში ქეიფი. ამას ჩვეულება ჰქონდა,  
რომ, როცა მოურავი გოგოს მოჰყვანდა, მის მერე გოგოს ძალით  
ღვინოს დაალევიჩებდა, აბაზებს მისცემდა, ჯერეთ თვით გაეთამაშე-  
ბოდა, მერე როცა გოგო ეშხზე მოვიდოდა, მაშინ მას გაატიტვლებ-  
და და სულ თვის ირგვლივ ათამაშებდა, ხან მუხლებზედაც დაისომდა  
და ასე და ამ გვარად ნელ-ნელა ისე მიეპარებოდა და იხმარდა ქალ-  
წულ გოგოსო.

ცოლის მოყვანამდის და ცოლის შემდეგაც, ამას ეს ხელობა არ  
დაუტოვებია და თითქმის თვე არ გავიდოდა, რომ ბატონს თავის  
ყმის გოგოსთვის ნამუსი არ აეზადნაო. ხშირად ქალწულებს გარდა,  
თვით ლამაზი კმრიანი ქალებიც მოჰყვანდათო. ამიტომ სოფლის ხალ-  
ხი, ნამეტურ დიღმელები და მუხრანელები, სასტიკად სწყევლიდნენ  
ივანეს ოჯახს, ავინებდნენ მის დედ-მამას და ხმა მალა ამბობდნენ:  
ღმერთმა ამოსწყვიტოს ჩვენი ბატონი კოტეს ოჯახი და მის შვილს  
ივანეს არ მისცეს სიკეთე და მის შვილებსო. მუხრან-ბატონიშვილ ივა-  
ნეს მსგავსი მებატონენი სხვანიც იყვნენ თურმე, რომელნიც ამ ხე-  
ლობას მისდევდნენ. ისიც უნდა შეინიშნოს, რომ ასეთ საქმეთა მიმ-  
დევართა თავადიშვილები თითქმის ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და  
თითქმის მათი ამქარი არსებობდაო. ორთაქალის ბაღებში და აბანოში  
ლხინები სულ ამათგან იყო გაჩენილი, ასეთ გოგოების ხმარების წყა-  
ლობითო.

თავად ბებუთაშვილების, ორბელიანების და მუხრან-ბატონის  
ამქარს დიდათ ამშვენებდა თურმე დათიკო ბებუთოფი, ძმისწული თუ

ზიდაშვილი ვასილის და გრიგოლ ბებუთოეების. ლოაურად ვამბობ  
ლი, თვით ისეთი არშიყი იყო, რომ თავის საყმოში ერთი ყმის  
ლაშაზი გოგო არ გაუშვია გაუფუჭებელი. მთელი ამისი სიცოცხლე  
სულ ასეთ ქეივებში წაუვიდა და თავის ყმათა გოგოების დევნაში  
დაღია სული. სადაც კი ვინმე მოეწონებოდა თავის საყმოში, მწელად  
რომ „მას დაეტოვებინა მოუტაცავი, ან ნამუს აუხდელი.

ბატონყმობის გადავარდნის დროს, ამას ერთს ყმის ქალზედ  
თვალი სჭერია, მაგრამ ვერ ჩაუგდია ხელში, ვინაიდან ღრო გამო-  
ცვლილი ყოფილა, ბატონური უფლებაც. საქმე ისე მოხერხებულა,  
რომ ეს ლაშაზი ქალი ერთს მეზურნეს შეურთავს, თვით დათიკო  
ბატონაც კი ამ მეზურნეს მეგვარედ გაჰყოლია. ეს გაჰყოლა მას  
მოუხმარია თავის სასარგებლოდ და იმ ლაშაზს, როცა ვახშაზედ  
ღვინის სმაში შესულან, მაშინ დათიკო ბატონს ეს პატარძალი სახ-  
ლიდან გაუტაცნია და წაუყვანია. მის შემდეგ, პატარძალი მხოლოდ  
რამდენიმე დღის შემდეგ აღმოჩენილა და ქმრის სახლში მოუყვანიათ.  
ასეთ საქმეებს დათიკო ბატონი ერთობ ხშირად სჩადიოდა, ხან  
ახერხებდა იმასაც, რომ იგი თავისაგან ნახმარ გოგოს საქმროს  
უშოვნიდა და თავის მზითვით ათხოვებდა.

რაც ამ დათიკო ბატონს ამ გვარად ყმათა ქალები უფუჭებია,  
მას ვერაფერ დასთვლის. ყმების ქალების გარეშე იგი არც უტხო  
ყმათა და მოქალაქეთა ქალებს ერიდებოდა, მათს მოსატაცავათაც  
ყოველთვის მზად იყო თავის ამხანაგებით. მასთან იყო დიდი მო-  
ქეფე, დარდიმანდი და მოთაზაშე. ამან მთელი თავის სიცოცხლე  
ასე გაატარა. უკანასკნელ კი გატყდა, 1877 წ. რუსეთ-ოსმალთა  
ომში წავიდა, იქ მოკლეს.

მისგან ნაქნარ ბინძურ საქმეთა მომთბრობნი მათ საყმოში  
დღესაც მრავლად იქნებიან ცოცხლები. ყველა მათგანი თავიანთ  
ყმის გოგოებს ისე უმხერდენ, როგორც თვის საკუთრებას, თვის  
ზეზაჯს და შესაქმელს ბატონს ანუ საკნატუნებელს ხობობს.

ასეთ ბატონთაგან ბევრს ყმის ქალს ახდია ნამუსი და ბევრიც  
გასყიდულა ავღაბრის საკანაჰებში „გლახის ნაამბობი“-ს თამროს  
მსგავსად.

ყველა ამ პირთა საქმენი და ცნობები ცხადათ გვისაბუთებენ,  
რომ საქართველოში მებატონეთა შორის, შეურყვევლად და ქეშმა-  
რიტად არსებობდა პირველი ლამე. ითქმის ისიც, რომ იმ დროის  
ასეთ წუნკალ პირთა შორის, იყვნენ თითო-ოროლა ისეთი თავად-

აზნაურნიც, რომელნიც ასეთ პირქუშ ხელობას არ მისდევდნენ და  
თუ მისდევდა ვინმე, იმასაც ყოველთვის შიში ჰქონდა, ვინაიდან  
მას ძლიერ ადვილათ სპობდნენ მათი მოყმენი: ასე დახოცილან ხში-  
რად სხვადასხვა ბოროტმოქმედნი, ხოლო სამწუხაროდ ასეთ და-  
ხოცილთა ცნობებმა ჩვენ სრულებით არა გვაქვს.

ერთის მხრით ზოგს მეებატონეს ასეთი მომავალი აშინებდა და  
ამიტომაც იგი შორს იდგა პირველი ღამისაგან და ამის გარეშე  
იგი არც თანაუგრძნობდა იმათ, ვინც კი მას მისდევდნენ.

როგორც სწახს, ეს ბოროტება ჩვენში აღორძინდა მის შემ-  
დეგ, როცა საქართველოში შემოვიდა რუსეთის მთავრობა.

ყოველივე ბოროტება ამ თავ-აწყვეტის დროს უნდა მომხდა-  
რიყოს, თორემ წინედ, ვიდრე სახარების მცნება ქართველთ შორის  
მტკიცედ იყო დანერგილი, მინემ•ეს არ იქნებოდა, ვინაიდან ეკლეს-  
სია ითხოვდა ქორწინებას ქალწულთა, რათა ლოგინი მათი ყოფი-  
ლიყო ქალწულებრივ დაკავშირებული, რაც იქნებოდა სუფთა,  
წმინდა, რაზედაც შესაძლებელი იქნებოდა, რომ მღვდელს თვით  
სახარება და ჯვარიც კი დაესვენებია ამ ლოგინზედ, რისაკვირე-  
ლია ეს თუ საჭირო იქნებოდა სადმე.

რაკი სახარების სწავლის ძალით ქართველთ შორის ქალწულთ  
ლოგინი ასე იყო დაცული, ასე აშალღებული, ამიტომ ქართველთ  
შორის პირველი ღამე არ იქნებოდა მიღებული იმ დრომდე, ვიდრე  
მათში სახარების მცნებას მკვიდრათ აქენდა ფესვი განჯდარ-გამა-  
გრებული.

როცა დავარდა ქართველთ შორის საჩუმეობების სისუფთავე,  
როცა ქართველთ შორის თარეშობამ იწყო აზვირთება, როცა მე-  
ებატონენი დაირაზმნენ განუსაზღვრელის უფლებით და ბოროტებით  
არა მარტო ყმებზედ, არამედ თვით ქალწულ ქალებზედაც, როცა  
მათ გაუსეავდათ მუცელი და ჯიბე და თავიანთ ყმათა შვილებსაც  
კი უწყეს მარჯვენავ და მარცხენავ ფანტვა და დასყიდვა (მათ ამის დამ-  
შლელიც არაივნ ჰყვანდათ), მაშინ კი მათ თავი აიწყვიტეს და უპა-  
ტრონოდ დამონებულს გლებთა გოგომებზედ ნაეარდობა იწყეს და  
მისის წყალობით პირველი ღამეც წესად გაიხადეს. ამ სენის გავრცე-  
ლების და აღორძინების ხანად ჩვენ მიგვაჩნია XIX საუკ. დასაწყისი

საქართველოში საზოგადოთ და ტფილისში კერძოდ, XIX საუ-  
კუნის 1830 წლებამდე საკახოები სულ არ იყო, ხოლო ამ წლიდან

კი აქა-იქ გაჩნდა საროსკიპოები. მაშინდელ საროსკიპოებში იშვიათად ნახავდით ქართულ ან კახელ ქალს. უფრო იშვიათი ქალები იყვნენ, ისინიც რასაკვირველია ბატონთაგან დასყიდულნი.

ქართულ ანუ კახელ ქალს თუ ნახავდა ვინმე საქაბზოში, ის უსათუოდ იქნებოდა ბატონისაგან ნახმარი, პირველ ღამეს ყოფილი ბატონთან, რისა გამო ის აღარავის შეურთავს და უკანასკნელ ბედ-შავი საქაბზოშიაც ჩაეარდნილა. იყო ისიც, რომ პირველ ღამეს ბატონთან ყოფილ ქალს საქპრონიც თხოვლობდნენ, მაგრამ ეს ხდებოდა უფრო მაშინ, როცა ქალს კარგი მზითვევი ექნებოდა, თორემ უამისოთ არა იქნებოდა რა, რადგანც ყველა ერიდებოდა ბატონისაგან ნახმარ ქალს.

ცოლ-ქმართა კავშირი დაურღვევლათ მაშინ შეიძლებოდა მხოლოდ, როცა მებატონე თავის ყმა კაცისაგან ჯვარდაწერილს ცოლს წაიყვანდა, მაშინ აღარა იქნებოდა რა. მაშინ ქმარი ჩუმად უნდა ყოფილიყო, თორემ მიუხედავად ცოლის პირველი ღამის საზოგენებისა, თვით საქპრო-ყმასაც დასჯიდა და კაი წვეპლებსაც მიაწნადა. ამიტომ იგი ჩუმად უნდა ყოფილიყო, ხმა ჩაეკმინდა და თავის ცოლის წინააღმდეგ სიტყვა არაფერი ეთქვა.

იყო ისეთი მავალითებიც, რომ ბატონს თუ ქალწული ქალი მოეწონებოდა და ამას იხმარდა, მერე ამ ქალს საქაბზოთ გასყიდდა და ამაში ანადები ფულის ძალით ქალის მშობლებს გაათავისუფლებდა. ასე ქალწულ ქალებს თურმე ძრიელ ადვილად ხმარობდნენ ქალაქ თფილისში და მის ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრები მე-ბატონენი, იგინი ყველაზე უფრო ადვილად აბერებდნენ როგორც ყმათა ქალების ხმარებას, ისევე მათ დასყიდვას თფილისის საქაბზოების შენახავ მიკიტნებსა და სხვა ასეთ ვაჭრებზედ და მერე მათის ფასით ათავისუფლებდნენ გაკახბებულების ნათესავეებს, მშობლებს და სხვათა ასეთებს.

იცოდნენ ისიც ზოგ მებატონეთა, რომ გასაკახბებლად ჰყიდდნენ ძვით ქალწულ ქალებსაც, რაშიაც რასაკვირველია მათ უფრო მეტ ფასს აძლევდნენ, ვიდრე თვისგან ნახმარებში. ასე და ამ გვარად 1840 წლებამდე, თფილისის და ნამეტურ ავლაბრის საქაბზოებში კაცი ძრიელ ხშირად ნახავდა ისეთ კახბებს, რომელნიც მათ მებატონეთაგან ყოფილან დასყიდული. ასე დაღუპულთა რიცხვის ქალებს ძრიელ სტყვენოდათ თფილისში დარჩენა და ამიტომ იგინი თფილისიდან უფრო სხვადასხვა ქალაქებისაკენ მიჰყვანდათ ქალებს.



მისავე ნატურით, სადაც მით თავიანთი ნაცნობი არავენ შეხედუ-  
 ბოდათ. მეტად ძნელად და იშვიათად, რომ მაშინ ქართველი ქალი  
 გაკახებულყოფოს, ეს არ შეიძლებოდა არას დროს, რადგანაც ეს  
 მეტად სათაკილო იყო და მაშინ არც აქვნდა მიზეზი, რომ ჩადრ-  
 წამოსხმული საქართველოს ქალი გაბოზებულყოფოს. მას ამისთვის  
 არც ქმრის ბოროტება და დევნა აწუხებდა, არც შოშვითი ან სახ-  
 ლის ქირა და სხვა ასეთები, რითაც დღევანდელი ქალი დაჩაგრუ-  
 ლია დიდათ. მაშინდელი ქალის გაკახების მიზეზათ ხდებოდა ან  
 პირველი ღამე და ან მძლავრებით გასყიდვა და მით საყოველთაოდ  
 დაღუპვა მონა ადაშიანის.

ასე და ამგვარად საბატონო ყმის ქალი ერთის მონობიდან  
 იხსნიდა თავს და მის მერე ვარდებოდა უარეს, სხვა საწყევლარს მო-  
 ნობაში, სადაც მას ბოლო ეღებოდა ოდესმე ბატონის წყევლა-შეჩვენ-  
 ნებით.

ყოველივე ეს მე დამაწერინა „პირველი ღამის“ გახსენების  
 საჭმემ. ძველად პირველი ღამე იყო ქებული, რომ მას თავისუფ-  
 ლად ეთვისებოდნენ თვით ქალაქის მოქალაქე ვაჭრებიც, თვით ესე-  
 ნიც კი ხშირად დამბრძანებოდნენ მაშინდელს ვერისა და ორთაქა-  
 ლის ბაღებისაკენ, იქ იგინი შოულობდნენ სხვადასხვა საბატონო ყმა-  
 თა გოგონებს ფულით და პირველ ღამესაც ისრულებდნენ, ანუ ქალ-  
 წულობას ართმევდნენ. ასეთ ქალებს თფილისის ვაჭრები შოულობ-  
 დნენ ადვილათ მებატონეთა სხვადასხვა მოურავებისაგან. მოურავი  
 რასაკვირველია გოგოს პყიდდა ბატონის თანხმობით, გოგოში აღე-  
 ბული ფული მის ბატონისათვის უხდა მიეტანა.

შეიძლება ცოტა თვით მოეპარა, სრულიად კი ბატონს ვერ  
 წაართმევდა. რადგანაც ყოველივე დასყიდვა-გასყიდვა და ისიც ქალ-  
 წული ქალების ბატონის ნება-დაურთველად არ მოხდებოდა, რად-  
 განაც ამის არც ქალის მშობლები დასთანხმდებოდნენ, ამ თანხმობა-  
 საც თავისი პირობები აქვნდა და გოგოში ანაღებ ფულის სანა-  
 ცკლოდ, როგორც ვსთქვით ზემოთაც, ბატონი ათავისუფლებდა გო-  
 გოს ნათესავებს. ასეთებმა თვით ჩვენს დრომდისაც კი მოახწიეს,  
 ისეთ პირთ, რომელნიც ასეთის საშუალებით ყოფილან დახსნილნი და  
 გათავისუფლებულნი ბატონყმობის მონობისაგან. 1870 წლებამდის  
 თფილისი სავსე იყო ასეთის ყმა გლებთა შთამომავალთა რიცხვით,  
 რომელთაც ბევრი რამ იცოდნენ ამ საყურადღებო საქმეთა ცნობე-  
 ბის შესახებ, ნამდვილ-მომხდარი უტყუარი ამბები. ასეთი პირნი  
 დღესაც სცხოვრობენ თფილისში თითო-ორიოლა.



უნდა ითქვას სისწორით, რომ ასეთ საქმეებში, ანუ პირველ ლამის გემოვნებაში ქალაქის ხალხიც კარგად დახელოვნდნ და ამითაც გაიხსნეს გემო და მადა საწყალ სოფლის ყმა გლეხთა გოგოებზედ. ქალაქის შეძლებულ ვაჭრებმა რაკი ერთხელ გაიციეს ყმათა გოგოების შესყიდვის ოსტატობა, მის მერე მათ ერთგულად დაიწყეს ამის უკან დევნა, ყოველ კვირა თფილისის ვაჭართა შეილები გაბრძანდებოდნ ქალაქის განაპირას მდებარე ბაღებსა და სოფლებში და იქ ეძებდნ ყმათა შეილებს სასყიდათ, ეძებდნ ესენი ასეთ სასყიდელთ და იქ ჰპოვებდნ კიდევ ადვილად.

ყმათა გოგოების დასყიდვის ასპარეზზედ თფილისის მოქალაქეებს და ნამეტურ მათ ახალგაზრდა შეილებს კაი სამსახური მიუძღვით. ამის წყალობით მათ ბევრი შეჩვენება მიეძღვნებათ. პირველნი იყვნენ მხმარებელნი და მეორენი კი მსყიდველნი. 1830 წლებამდის კიდევ იყო ისეთი ჩვეულება, რომ პირველ ლამის მეტონ ქალს ადვილად ათხოვებდნენ, ხსენებულ წლებს აქეთ კი ასეთი გათხოვებაც გაძნელდა, დროსა და გარემოების წყალობით ყველას ეთაკილებოდა ასეთ ქალის შერთვა.

მაშასადამე პირველ ლამიანი ან მოტყუილებით უნდა გაეთხოვებინათ და ან სხვა რამე ღონისძიებით, მაგრამ ერთიც და მეორეც შეტად ძნელი იყო. თუ ვინმე ბატონი ისურვებდა და თავის ნახმარ გოგოს საჩუქარს მისცემდა საშუთიფოთ, მაშინ იქნება მომხდარიყოს რამე, როგორმე გათხოვებულყოს საბრალო გოგო, მაგრამ უკანასკნელ აღარც ამ ზითვის სიხარბით ირთავდენ ასეთ ქალებს.

ასეთ ქალებს მერე ან სხვა და სხვა მოქალაქეთს სახლებში მონებათ აძლევდნ, ან შეილების აღმზრდელად მუქთ მოსამსახურედ ან არა და საკახოთ უნდა გაეყიდნათ თუილისის ვაჭრებზედ. ასე და ამ გვართ, გლეხთა გოგოების რიცხვი იმოდენი იყო პირველ ლამოვანი, რაისა გამო იგინი თფილისის ვაჭრებს საკახპოთაც ჰყოფნიდათ და სახლში მისაღებ მოსამსახურე მონებათაც. ძველად, თფილისში ვერ ნახავდით სადმე მოქალაქის სახლს, რომ იქ ერთი ქართველი ქალი მუქთ აღმზრდელ ან მონად არა ჰყოლოდესთ. ასეთ პირთაგან დაშთენილ მოხუცებულთ რიცხვი დღესაც კიდევ არის ზოგს ოჯახებში დაშთენილი.

ადგილობრივ ქართველ ყმათა ქალებს მაშინ უფრო მიეცათ ბაზარი, როცა თფილისში ტრაბტირები დაიხსნა, დროშეები გაჩნდა და მასთან საქეიფო და საკახპო ოთახებიც მოაწყეს. ამით გაჩაღდა



ბინა ისეთ ვოგოთა საკახოების, რომელნიც ბატონთაგან ნახვარა წყალღებნი იყვნენ, ასეთ ქალთა საქროება თფილისში ნელ-ნელა თავს იჩინდა და მათი გამჩენელი იყვნენ ჩენი მებატონენი და მათგან წესად დადგენილი პირველი ღამენი. უნდა შეინიშნოს ისიც, რომ პირველ ღამეს ჩვეულებამ 1850 წლიდამ კი ნელ-ნელა იკლო მებატონეთა შორის, ამ კლემის დაეხმარა ქალაქ თფილისის გაფართოება და ცოტათი გლეხთა თვალის გახელაც, რომელნიც პირველ ღამეს ვერ ეწყობოდნენ და მებატონეთ ხმა მაღლა ეწებებოდნენ, რომ თუ ყმანი გახლავართ, მაშინ ყ ათ გვიმსახურეთო და ცოლის საქმეს კი თავი გაიანებეთ, ამის ნებას არ მოგცემთო.

ყმათა უჯათობას ხშირად თვისკენ დიდი ყურადღებაც მიუპყრია და მათ ამის მოზრენი და მფარველნიც გამოსჩენიან, რომელთაც მებატონეთა სიბინძურე ხმა მაღლა გმობით უნხილებიათ და მასთან მუქარებაც მრავალი გამოწვეულა ყმათა გულში. რაც იყო და რაც კი გლეხის ვოგოები პირველ ღამეს იხმარებოდნენ, ან მიკიტნებუდ ისყიდებოდნენ, ან აქეთ იქით ვაჭრები ყიდულობდნენ და მერე ესენი ამით ან ხასებათ ინახავდნენ, ან საქ.ხმოებზედ ჰყიდდნენ, ან სახლში მონებათ და შეიღების აღმზრდელად სტოვებდნენ.

ყოველივე ამის რიცხვის სიმრავლე წინ მიდიოდა 1850 წლამდის, მის მერე კი იკლო ამან. თქმულება არის, რომ 1850 წლამდის ყმათა ვოგოების საქმე ისე იყო გაიანებული და საშოვნელად გამზადარი, რომ თფილისში ვიდრე რომელიმე ქვირივი ვაჭარი და ან სხვა ასეთი დაქვივებული ცოლს შეირთავდა, მინამდის ის ქართველ მებატონისაგან რამდენსამე იახმარ გოგოს რყიდდა და იხმარდაო. ეს ჩვეულება ისე ადვილი და იაფი იყო თურმე, რომ მას უხვათ მისდევდნენ თვით თფილისის ქართველთა და სომეხთა მღვდლები და თვით ესენიც კი ყიდულობდნენ მებატონეთაგან მათ მიერ ნახვარ ვოგოებს და მერე თვით ხმარობდნენ ჩუმადო. ზოგს თურმე სახლშიაც შეჰყვანდა აშკარად და ვითომც შეიღების აღმზრდელად ინახავდა, მაგრამ ნამდვილად კი ხასა იყოვო. ასეთი სულს მამები მაშინ თფილისში თურმე თვალსაჩინოდ იყო.

შალვა ერისთავს, სოფ. კარალეთელ მებატონეს, ძალიან უყვარდა პირველი ღამე, უამისოდ მის საყმოში ძნელად, რომ გათხოვილიყო ქალი. ერთმა გლეხმა ცოლი შეირთო, მღვდელი ბატონის ნება დაურთველად ჯვარს არ სწერდა, მღვდელს ძალა დატა-

ნა ამ გლეხმა და მისთან კაი სასყიდელიც მისცა, ამიტომ მღვდელმთავრის  
ჯვარი დასწერა. ეს ამბავი ბატონმა მალე შეიტყო, მაშინათვე ყმა  
კაცის შეილი დაიბარა და მუქარება დაუწყო:

— შენ, ჩემს ნება დაურთველად ცოლი შეირთე, მე გიჩვენებ  
საქმეს შე მამაძაღლო, თუ მე ვინა ვარ და რა ძალა მაქვს.

ასეთი ლანძღვა გინების გარეშე ყმა კარგადაც გალაბა წიხლით.  
ამის შემდეგ მღვდელი დაიბარა, და ჰკითხა ჯვარის წერის ნება-  
რთვის მიცემის საქმე. მღვდელმა თავის გამართლება დაიწყო:

— რა გქნა, ღვინოს იყენენ ნასომი, ძალა დამატანეს, დამემუქრენ,  
შემეშინდა რომ არ ეცემნათ ან არ მოვეკალი, მთვრალი კაცი ყვე-  
ლას იქმს, ბატონო, და აი ამიტომ მოხდა ეს საქმე.

ბატონმა ეს არ შეისმინა და მღვდელიც დასაჯა ასეთის თვით-  
ნებობისათვის, მღვდელს დაემუქრა:

— თუ კიდევ გაგიბედნია ასეთი საქმე, იცოდე, რომ მე შენ ავა-  
ნიავებ, მოგსჯობ ჩემს საბძანებელში.

მღვდელმა პირობა მისცა ფიცით და ხვეწნა შედარებით ასე:

— დღეის შემდეგ, ამოწიწყდეს ყველაფერი, თუ თქვენი წინააღ-  
მდეგი გაებუდო რამე, თქვენმა ყმებმა გინდაც რომ მომქლან, მე მათ  
მანც ჯვარს არ დაესწერ.

მღვდლის ასე შეშინების შემდეგ ხელ-ახლა გლეხს მისწვდა და  
დაუწყო სასტიკად დენა და ანიაგება. ერთხელ ყმამ უთხრა შემდეგი:

— ბატონო რა დაგიშავე, რა ვქენი თქვენი საწყენი, რა წაგიბ-  
დინე, რა გაგიფუქე, რა მოვიტაცე, საქმე და ბრძანება არ შეგას-  
რულე? ჩემს ცოლთან რა გესაქმება ბატონო, მე ვარ თქვენი მონა, მე  
მიმსახურეთ, მიბრძანეთ და ყოველივე დანაშაულის მაგიერს გადა-  
გიხდით.

მანც გლეხმა ვერ დაადინჯა ბატონის გული, თუმცა კაი ძღვე-  
ნიც მიართვა, საქორწილოც, მაგრამ მანც არ მოისვენა და დღე და  
ღამ სულ იმის ჯავრსა და ფიქრში იყო, რომ ერთ ღამეს ამ მამა-  
ძაღლის ლამაზი ცოლი მე უნდა ვიყოლიოო. ეს ამბავი ყმამაც იყო-  
და და იგი ამაზედ უკმაყოფილო იყო და არ ეთანხმებოდა. ერთხელ  
ბატონმა ეს ყმა გლეხი ძალიან გალანძღა, სცემა და ზოგი რამ სახ-  
ლის ნივთებიც წაართვა. მის გამო, რაკი მის ცოლს ველარ ხელთაე-  
და, ვერ ხვდებოდა, საქმე გაჭირდა და ბატონსა და ყმას შორის გამ-  
წვავდა. გლეხს ჩარა გაუწყდა, მობეზრდა მასთან ბრძოლა, ამიტომ  
გადაწვეიტა ბატონის მოკვლა და დაუწყო ამას ყურება და ლოდინი.



ერთ დღეს ბატონი საცალა სოფლად გაემგზავრა, ყველა ამბავი ყმაში წინათვე შეიტყო, ამიტომ ეს საჩქაროთ წავიდა იმ გზის ტყე-საკენ, საითაც ბატონს უნდა გაეგლო. მალე მივიდა ამ ტყეში, ერთ ალაგას ხეებს მოეფარა და თან მომართა თოფი, მალე ბატონმაც გამოიარა, მიმალული ყმა ამან ვერ დაინახა, ყმა მომართა თოფი და ბატონს ესროლა, ტყვია გულში მოხვდა, ცხენიდან გადმოვარდა და იქვე მოკვდა. მკვდარი სოფ. ფლავს ჩაიტანეს და იქაურ ეკლესიაში დამარხეს, მკვლელს კი ვერ მიაგნეს, ვერ აპოვნეს, ამახედ მთელი იქაური თავადობა გაბრაზებული იყო.

ასე და ამ გვარად, ამ პირველი ღამის გულისთვის ბევრი ბატონი გაფუჭებულია, ბევრი წამხდარა და სიცოცხლეს გამოსალმებია, ასეთ პირთ რიცხვს კაი დღეები კი არ ადგათ, იგინი ყოველთვის ყმების დევნისა და ძაგებაში იყვნენ, მაგრამ თავიანთ ხელობას მაინც არ იშლიდნენ, რაც ასეთ საქმეთა გამო იგინი დახოცილან, ამას ვინ ანუხსავს, ან სად რაღა ვის ახსოვს და სად ვილა არის დარჩენილი ამ ამბების მომგონი.

თითო-ოროლა ცნობები თუ არის, ესეც კი უნდა კმაროდეს ჩვენთვის. თუ ზოგიერთებს ასეთ პირებს არა ხოცავდნენ და იგინი სიბერემდის მისდევდნენ ამ ხელობას და ბოლოს ბუნებრივის სიკვდილით იხოცებოდნენ, ეს იყო ყმების დაბრიალება, ყმების უძღურება, ისიც კი უნდა ითქვას, რომ მეზატონენიც ხშირად ასეთ საქმეების გამო ფრთხილობდნენ და ვისაც კირკიტ საქმროთ იცნობდნენ, იმის გულს პირველი ღამის შემდეგ რამე ნივთიერ საჩუქრით შეიჯერებდნენ და მის გამო შთებოდნენ უვნებლად, მეორე თვით ყმანიც სასტიკათ ჰყვანდათ დამოწმობილებული და შეშინებულინი. ქართლის და კახეთის გლეხთა შორის ყმობა კი არ არსებობდა, არამედ მონება, დიდი მონება, აქ ყმათ სულის სუნთქვის მნიშვნელობის შეგნებაც არ აქვანდათ, მათი პიროვნება მიწასთან იყო გააწორებული და სული ამოცლილ და გამძვრალი აქვანდათ.

## საქართველოს ერის დაუძინებელი მტერი პავლე დიმიტრის-ძე სიცოცხელი

ვიდრე პავლეს ბოროტების ანუხსავს შეუდგებით, მანამ გვინდა, რომ ამ გარუსებულ მოლაღატის ვინაობის ცნობებიც მკითხველს გავაცნოთ. პავლე დიმიტრის ძის პაპა იყო ოტია ციციშვილი. ოტია

იყო ვახტანგ მეფის თანამედროვე და ეს ოტია ციციშვილი ვახტანგ მეფეს, როგორც რჩეული თავადის შვილი, რუსეთში გადაჰყვა 1728 წ.

მის მერე ოტია საქართველოში აღარ დაბრუნდა, იქ დარჩა თავის ცოლით და რუსების სამსახურში შევიდა სხვა გადასახლებულ ქართველებთან ერთად. ამ ოტიას რუსეთში დაებადა ერთი შვილი დიმიტრი, რომლის შთამომავალიც გახლავთ ეს პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი.

პავლე ციციშვილი დაიბადა 1754 წ. მოსკოვს. სწავლობდა რუსულის სამხედრო სკოლებში. სწავლის დამთავრების შემდეგ, იგი შესულ იქნა სამხედრო სამსახურში, წინეთ მსახურობდა პრეობრაჟენსკის პოლკში, მის მერე იგი გადავიდა პეტერბურლის გრენადერის პოლკში.

მონაწილეობა მიიღო რუსთა და ოსმალთა ომში, რომელიც მოხდა 1786 წ. ხოტინთან, ამ ბრძოლაში იგი დიდის გმირობით აღმოჩნდა და მიტომ მისი სახელიც გავარდა დიდით მთელს რუსეთში, ამის შემდეგ პავლემ მიიღო მონაწილეობა პოლონელების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელ ბრძოლასაც ეწოდება „ვარშავის დილა“. ამ ცხოველმა ჩააქრო თურმე პოლონელების ბრძოლა.

ამ ბოროტების მოქმედებით ამ ცხოველმა ისეთი სახელი დაიმსახურა პავლე სეავის წინაშე, რომ პავლე სეავი ერთს თავის „ბრძანებაში“ სწერდა ასე:—„იბრძოლეთ ისე, როგორც იბრძვის კნიაზ ციციანოვიო“. ეს ბრძანება მერე ასევე, ამ სიტყვებით სუგოროვმაც გამოსცა და მიმართა მით თავის ჯარს.

პოლონელების დამარცხების გამო, პავლე ციციშვილს მისცეს ნიშანი ვლადიმერ მ ხარისხისა, ყელზედ სატარებელი „გიორგის ძეწვი“, ოქროს შპაგი და 1,500 დესეტინა ადგილები. ამ ბედნიერების შემდეგ, პავლე ციციშვილი გრავ ზუბოეთან ჩნდება სპარსეთისკენ და იბრძვის ბაქოში, აქ ეს თურმე ბაქოს ხანსაც დაუახლოვდა.

ამ გვართ, პავლე ციციშვილმა განვლო რამდენიმე ომს და ბოლოს პავლე იმპერატორის დროს, სამხედრო სამსახურიდამ გასულ იქნა შესაფერისი პენსიით. ამის შემდეგ განვლო დრომ, პავლე სეავი გარდაიცვალა. მის მაგიერ გამეფდა მისი შვილი ალექსანდრე დესპოტი. ამ დროს, პავლე ციციშვილი საქარო ზდება რუსეთის ტახტისთვის, ალექსანდრე პირველი იხპობს თვისკენ ციციშვილს.

11 სექტემბერს 1802 წ. ციციშვილს უცბათ აძლევენ გენერალ ლეიტენანტობას და მას ნიშნავენ საქართველოს პირველ მთავარ მარ-

თებლად, მოკლე დროის შემდეგ ჩვენი მტერ-მოყვარე გადაგვარებული ქართველი ჩამოშავდა საქართველოში, ამის შემდეგ ტახტზე ბოდა საქართველოში და მოქმედებდა იმ გეგმით, რაც მას მიცემული ჰქონდა ალექსანდრე პირველ სვავისაგან.

1806 წ. 2 ივნის, ბაქოს აღების დროს, იგი მოკლულ იქნა ბაქოში. სწერენ, რომ ციციშვილს თურმე ბაქოს ხანმა თავი მოსჭრა, მოჭრილი თავი სპარსეთში ყაინს გაუგზავნა, როგორც ისეთის ქართველის, რომელიც მოღალატე ყოფილა საქართველოსი და მასთან გარუსებულიც არისო. ციციშვილის ტანი კი დაასაფლავეს ბაქოს სომეხთა ეკლესიაში. ექვსი წლის შემდეგ, ანუ 1812 წ. საქართველოს მთავარ მართებელმა მარკოზ პაულიჩმა გვამი ციციშვილისა გადმოიტანა და დაასაფლავა სიონის ტაძარში მარჯვენა მხარეს.

ამის ქვემოდ აღწუსებამთ ახლა პავლე ციციშვილის და მის იმ საქმეებს, თუ იგი როგორ მოქმედებდა საქართველოში. მის საომარს საქმეებს ჩვენ არ შევებებით და ეს არც ჩვენი საქმეა. ჩვენ გვაქვს სახეში მარტო მისი აღწუსება, თუ ეს მოსყიდული ცხოველი როგორი ერთგული იყო თავის ხელმწიფის და მისის ბრძანებით როგორ მტრობდა საქართველოს, ქართველ ერს და საქართველოს საქმეებს. ჩვენთვის მარტოდ ეს არის საჭირო და სხვა მის ავს, ანუ კარგს კაცობასთან საქმე არა გვაქვს.

საქართველოს პირველი რუსის გენერალ-გუბერნატორი, ქორინგი პავლე ციციშვილს თურმე კარგად იცნობდა იმ დროსაც, როცა პავლე იმპერატორიც იყო და ამ დროს პავლე ციციშვილიც გენერალ-მაიორის ჩინის გახლდათ, საბედრო სამსახურშიც იმყოფებოდა.

აღბათ ქორინგმა იცოდა ისიც კარგათ, თუ პავლე ციციშვილი გადაგვარებული და ქართველების მოძულე ცხოველიც იყო, ამას ეჭვი და ფიქრი არ უნდა, ვინაიდაგან პავლე იმპერატორის სიკვდილის შემდეგ, ალექსანდრე პირველს იმპერატორთან ქორინგი მივიდა, კარგათ გააცნო პავლე ციციშვილი და ისიც აუწყა მან თავის პროტექციასთან, რომ მართალია პავლე ციციშვილი ქართველია, მაგრამ იგი დიდი ერთგული იყო თქვენის მამის პავლესიო.

ამიტომ იგი თქვენი ერთგულიც არის და მასთან ისიც ვიცი, რომ იგი ისეთი კაცია, რომ ჩვენს დავალებას ყველასვერს კარგად და ადვილად შეასრულებს, თქვენ ასეთ ერთგულს კაცს არამც ქართველებში, არამედ რუსებშიაც ვერ იპოვნით ადვილად. ამიტომ ეს გენერალი უნდა იქნეს იქ გაგზავნილი, საქართველოს გამგეთ.



ციციშვილი იქ უნდა იქმნეს საქართველოს მთავარ მართველად დადგენილი და არა გუბერნატორად; მთავარ-მართველობის ხარისხით იქ იგი ყველაფერს საქმეებს გააკეთებს. მის დროს, მე იქ საჭირო ძლიერ ვიქნები და არა სხვა ვინმე ჩემ გვარ სამხედრო გუბერნატორები.

ასეთი დარიგება მისცა კნორინგმა ალექსანდრე იმპერატორს, ამიტომ ალექსანდრე კნორინგის დიდათ მადრიელიც გახდა, ვინაიდან ციციშვილი თვალთ წინ დაუდგა ალექსანდრე სევას ისეთ კაცათ, რომელიც ჩვენს სამსახურს მშვენივრად შეასრულებს და მე თუ შევიერთე საქართველო და ამით ქართველებს სამარე გაუთხარეო, ახლა ციციშვილი საქართველოს ამ სამარეში დამარხავს და წით მართლმადიდებელი საქართველო რუსეთი გახდება, ქართველებიც გარუსდებიანო. ასე ფიქრობდა ეს სევაი.

ალექსანდრე სევამა ასეთი დასკვნა გაუკეთა კნორინგის პროტექციას და მიტომ იგი მის სისრულეში მოყვანასაც მალე შეუდგა. მეორე დღესვე მოსძებნეს გენერალი ციციშვილი და მას აუწყეს ცნობა, რომ ალექსანდრე იმპერატორი გიბარებთო. ციციშვილი ამ ცნობაზე სახტად დარჩა, ხან ეწინოდა, ხან უხაროდა, არ იცოდა თუ საქმე რაში იყო, შეშინებული ციციშვილი დანიშნულ დღეს დიდის შიშით და ცახცახით წავიდა ალექსანდრე პირველ სევათან.

ამ დღეს ციციშვილი შემთხვევით გზაში შეხვდა გენერალ კნორინგს, ერთმანეთს სალაში მისცეს, მერე ციციშვილმა კნორინგს შესჩივლა ასე:

გენერალო, მე დღეს დიდს ხიფათში ვარ ჩაეარდნილი, ჩვენმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დამიბარა, არ ვაცი რისთვის. მივდივარ, მაგრამ ფეხები უკან მრჩება, შიშით გულიც მიცახცახებს, ვაი თუ პენსია უნდა მომისპონ, გენერალო იქნება შენ დამეხმარო რამით, რომ მე უღანაშაულო კაცი არ დავისაჯო.

კნორინგმა მოისმინა ციციშვილის გოდება და მის შემდეგ ციციშვილს უამბო ყოველივე სამზადისი საქმისა და ისიც აუწყა, რომ შენ არხეინად წადი იმპერატორთან და მეც მალე მოვალ იქაო.

ციციშვილი ამით სახტად დარჩა და კნორინგს კინალამ ფეხებზე აკოცა. ამის შემდეგ ესენი ერთმანეთს გაშორდნენ, ციციშვილი გახარებული გაუდგა თავის გზას, ეს მალე მივიდა ალექსანდრეს სასახლეში და ნახვასაც მალე ეღირსა. კნორინგიც მალე მივიდა. ციციშვილი ამით აღფრთოვანდა.



მალე იმპერატორიც გამოვიდა მათთან, ციციშვილმა თავი დაუკრა, სალაში მისცა. ამის შემდეგ, ციციშვილს ალექსანდრე სვავი ასე მოექცა—ეს საჩქაროთ გაემართა ციციშვილისაკენ, ხელი მისცა და თან ასეთი სიტყვა უთხრა:

კნიაზო, თქვენ ჩვენთვის საჭირო კაცე ბრძანდებით. აბა გენერალო, თქვენ უაზრეთ ყოველივე კნიაზს, რომ შეიტყოს საქმე რაშიც გახლავით. ყველაფერი გააცნონ კარგად.

ციციშვილი კნორინგმა მეორე ოთახში გაიყვანა და უამბო ყოველივე, რაც ციციშვილს ევალეზოდა და რაც ციციშვილს უნდა აესრულებინა. ციციშვილი გახარებული დარჩა, კნორინგს ყველა დავალების შესრულებაზე პირობა მისცა, დაჰპირდა, რომ ყველაფერს შეეასრულებ დიდის სიფრთხილით და თავაზითო.

ამის შემდეგ კნორინგმა ალექსანდრე სვავს აღუწვა, რომ მე ყველაფერი გადავეცი კნიაზს და მან თანხმობა განაცხადა, ყველაფერს დიდის ერთგულებით შეეასრულებო. კნორინგის და ალექსანდრეს დარდიც ეს იყო. ამათი ფიქრი მის გარშემო ტრიალებდა, რომ ვაით თუ ციციშვილმა თანამდებობა იკისროს და ჩვენი დავალება კი არ შეეასრულოსო. საქმე და ამათი დარდი ამის გარშემო ტრიალებდა.

ეს დარდი იმპერატორს და კნორინგს მალე გაუქარწყლა ციციშვილმა და მათ მისცა პირობა, რომ მე თქვენს დავალებას ისე შეეასრულებ, რომ მას ჩემის მხრით გადავაქარებუ კიდევო. ამითი გახარებული იქმნა კნორინგი, ვინაიდან ამის მაგიერ კარგს სადალალოს აიღებდა ალექსანდრესაკენ.

ალექსანდრე სვავიც ამით დადინჯდა დიდათ და ახლა კი მას საქართველოს შენარჩუნების შიში აღარ ჰქონდა, საქართველო მათ ადვილად შერჩებოდათ, რომელთაც ამ შენარჩუნებისათვის კარგი მკურნალი ციციშვილიც იშოვნეს.

ამიტომაც პირველ დღესვე პავლე ციციშვილს ალექსანდრე სვავმა გენერალ მაიორობა აღარ აკადრა და მას მიუბოძა გენერალ-ლეიტენანტობა. ამ ბედნიერებამ რასაკვირველია ციციშვილიც დიდათ გაახარა. ამ ცხოველის და საქართველოს ერის მტერს თავისი საშობლო საქართველოს წყალობით ორი ბედნიერება ერთად ეწვია.

ქართველობის სხენების წყალობით პირველად იგი გახდა გენერალ-ლეიტენანტი და მის შერე კიდევ საქართველოს მთავარ-მართებელი, ერთი სიტყვით, საქართველოს ხალხის მეფე. ასე გაბედნიერდა პავლე ციციშვილი მის გამო, რომ იგი ქართველი იყო და ვითომაც მან ქართული ენაც იცოდა.

ის კი არა და მან არც ქართული ენა იცოდა, გადაგვირჩეული იყო სრულიად და რუსოფილობით ბევრს რუსებს აჭარბებდა, ამას გარდა იგი იყო დაუძინებელი მტერი თავის სამშობლო ქვეყნისა და მის დასამცირებლათ და ალექსანდრეს სასიამოვნოთ ყოველ ნაირს ზომებს იზმარდა, რომ საქართველო გამჭრალიყო, ქართველი ერიც მოსპობილიყო.

ასე და ამ გვარათ გაიწალდა პავლე ციციშვილის საქმე და იგი გაბედნიერებულ იქმნა ერთ დღეს ორი დიდებით. უღირსი შვილი გაბედნიერდა საქართველოს წყალობით.

ციციშვილი გახდა გენერალ-ლეიტენანტი და მასთან საქართველოს მთავარ მართებელი, მეორე ალექსანდრე ანუ მეორე იმპერატორი რუსეთისა, რომელსაც უნდა ეზოდოს საქართველო. რაკი ეს ბედნიერება ეწვია ციციშვილს, იგი მალე შეუდგა სამზადისს და სულ მოკლე დროში წაარუდგა ალექსანდრე სეაფს და შეატყობინა, რომ მე მზათა ვარ წასასვლელათო.

ალექსანდრე დესპოტმაც გასცა ბრძანება, რომ გენერალ ციციშვილს მიეცეს ყოველივე და იგი გასტუმრებულ იქნეს საქართველოშიო. ესეც მალე მოხდა, ციციშვილს გაუბნეს ზაზინა, მისცეს ყოველივე და დიდის დიდებით, მეფურის სახით გამოისტუმრეს ეს საქართველოს დაუძინებელი მტერი საქართველოში.

1802 წლის გაზაფხულზე ციციშვილი უკვე იმყოფებოდა ტფილისში დამკვიდრებული, მან მალე ჩაიბარა კოვალენსკის და ლაზარევისაგან მართვა-გამგეობა. იგი მალე შეუდგა თავის სამსახურს. ამ ეშმაკმა მართლაც ალექსანდრეს დავეალებინ შესრულება დაიწყო.

ციციშვილმა თავის მინდობილობის შესრულება დაიწყო, თავის იმპერატორის დავეალებინ ასრულება თქვანკრათ ისურვა და ეს თავანკრათ შესრულება თუ მისი მშობელი ქვეყნის წინააღმდეგი იქნებოდა და დამამზობელი, ამასთან ციციშვილს საქმე და დავა არ ჭონდა.

პავლე ციციშვილი ერთგული კერპი იყო თავის იმპერატორის და უმეცარი ადამიანი, მასთან გადაგვარებული და გარუსებული. მისი მცნება გახლდათ ის, რომ მას უსათუოდ უნდა შესრულებინა თავისი მთავრობის და ხელმწიფის დავეალება და იგი თუ ქართველი ერის წინააღმდეგი იქნებოდა და დამმარბველი, მასთან პავლე ციციშვილის საქმე არ ჭონდა, იგი ამ შხამს ანგარიშს არ უწედა, ეს ნამდვილი და მართალი არის, ვინაიდან ალექსანდრე პირველმა სეაფმა



1789 წ. მეფე ერეკლეს ტრაქტატი გააუქმა, საქართველოს სამეფო გააუქმა და რუსეთის საკუთრებათ გამოაცხადა საქართველო და მასთან კნორინგის დარიგებით საქართველოს დაუნიშნა ისეთი ქართველი გარუსებული კაცი, რომელიც დაუძინებელი მტერი იყო საქართველოსი.

ამიტომაც იყო, რომ ალექსანდრე სვავისაგან გაბრიყვებულმა პავლე ციციშვილმა, თავის მოშაგების დღიდანვე დაიწყო საქართველოს დასაღუპათ მოქმედება. ამ გადაგვარებულმა მტერმა, თავის ბედშავი სამშობლოს წინააღმდეგ დიდი ბოროტება და რისხვა გამოიჩინა და მით რასაკვირველია თავის იმპერატორის კი დიდი ერთგულება.

ამ ბოროტის წადილი ისე იყო გაზვიადებული, ისეთი აშკარა იყო და მძლავრი, რომ მას ყველა შეაძინებდა თურმე და ამ ეამათ მოღალატე მტრის მოქმედებას ქართველებმა ხალე შეუტყვეეს ეშმაკობა და ბოროტების წადილი. უამისობა არც შეიძლებოდა, რადგანაც ეს ცხოველი ნელნელა ქართველების ყოველივეს სპობდა.

ამისი მოწყალეობაც იყო ერთის მხრით რომ თფილისში, ერთ დროს უარყოფილ იქმნა ქართველი კათოლიკეები და იგინი შერაცხილ იქმნენ სომეხ-კათოლიკებათ.

ამისივე ბოროტი მოქმედება იყო, რომ რუსეთის მთავრობამ საქართველოს კათალიკოზის მოქმედებას მტრულის თვალთ დაუწყო ყურება.

პავლე ციციშვილი იყო ისეთი დაუძინებელი მტერი ქართველის ერისა, რომ რასაც იგი ვერ მისწვდებოდა და თავის კბილებს არ ჩაავლებდა, იმას უსათუოდ მტრობას გაუწვებდა და ბოლოს თავის იმპერატორის საამებლათ, ამასაც უსათუოდ მოსპობდა.

ქართველის კაცის ბოროტება შეიძლება და ისეთი კი არა, როგორც ეს ცხოველი იყო. ეს იყო დიდათ დაშამული და აყეფებული ქართველს ერზედ, ეს სამაგალითოა და საყურადღებო ჩვენთვისაც თუ ის წყეული რამ მოშამა ასე მტრათ თავის. სამშობლო საქართველოზედ.

საქართველოში მოზვაებულს ბოროტ საქციელს პირველ ნახვის უმალვე ალოო აართვა მეფე გიორგის მეღლემ, მარიამ დედოფალმა. დედოფალს ძლიერ ესიამოვნა ციციშვილის მისეგა და ნახვა, თუმკა დედოფალმა მაშინათვე შენიშნა ციციშვილს, რომ ეს არ უნდა



იყოს კარგი კაციო, ამას აშკარათ ეტყობაო, რომ იგი ქართველი ერის ცხოვრებაზედ რუსულის თვალებით უნდა იყოს მიაყურებელიო...

დედოფალი ამაში არც მოსტყუვდა, მალე საქმე აღსრულებას მიეცა და ციციშვილმა ქარველი ბატონიშვილების რუსეთში გადასახლება აუწყა. ამ განცხადებას ბატონიშვილები ძლიერ მაგრა დაუხედნენ, ამიტომ ციციშვილმაც თავისი კბილები უფრო მაგრა ჩასჭიდა მათ და მალე დაუწყო გადასახლება. ამისთვის მან ზოგი ფულით შეისყიდა, ზოგი დალოლიებით და ზოგიც შიშით, ამიტომაც ზოგიერთები უკვე გადაასახლა რუსეთში.

ამ გარემოებას სასტიკათ ეწინააღმდეგა მარიამ დედოფალი და ამისი დედამთილი, მეფე ერეკლეს ქვრივი მეუღლე, დარეჯან დედოფალი, მალე ესეც დაიყოლიეს შიშით და გადასახლება აუწყეს. მარიამ დედოფალი კი წინააღმდეგი გახდა და უარი უთხრა, მე ვერსად გადავსახლდებიო.

ამის შემდეგ, ვიღაცას დაუბეზლება დედოფალი, რომ ვითომც იგი თუშ-ფშავ ხევსურეთში იპარება და მერე მისი იქიდან ჩამოყვანა ძნელი იქნებაო. ამიტომ ციციშვილმა დედოფლის სახლს გარშემო რუსის სალდათები შემოაკრა და ასე დაპატიმრა იგი, რომ არსად გაიპაროსო. ამ დაპატიმრების შესახებ არის ერთი ცნობა, რომელიც მომყავს აქ უცვლელად.

ერთს ძველს ხელნაწერ ლექსების კრებულში, რომელიც ინახება „ქართველთა შორის წერა კითხვის სამკითხველოში“ ერთ ალავას არის მოთავსებული ერთი ლექსი, რომელიც თურმე ეს ლექსი იმ დროს უთქვამს მარიამ დედოფალს, რადგანაც მას ლექსის წერაც სცოდნია. ამ ლექსს დაწერილი აქვს შემდეგი ცნობა:

„როცა გარუსებულმა და ქართველი ერის მტერმა, პავლე ციციშვილმა, მარიამ დედოფლის სახლს გარს რუსის სალდათები დაუყენა ყარაულათ და მარიამ დედოფალი დაპატიმრებულ იქნა, მწუხარებით აღესილმა მარიამ დედოფალმა ეს „გაფი“ მაშინ სთქვა“.

რამდენიმე ხნის წემდეგ ციციშვილმა დედოფლის სახლს ყარაულები მოხსნა, ამ გვარათ მცირე ხანს დედოფალი თავისუფალ იქნა, მერე კი ისევ განახლდა გადასახლების საქმე.

ერთ დღეს ციციშვილმა დედოფალს მიუსია გენერალ ლაზარევი და ნება მისცა მასზედ, რომ თუ დედოფალი თავის ნებით არ გამოვა და არ წავა რუსეთში, მაშინ ძალით გამოათრიეთ კარში, თან ბარგი-ბარხანაც ჩაუყარეთ და ძალით გაისტუმრეთ რუსეთშიო.



ასე ქნა გენერალ ლაზარევი. ერთ დღეს შეატყობინა დედოფალს, რომ ხვალ მზად იყავი, დილით მე მოვალ და უსათუოთ რუსეთში გაგაგზავნიო. დედოფალმა ამ ამბავს ყურადღება არ მიაქცია.

მეორე დღეს ლაზარევი მივიდა დედოფალთან და წასვლა აუწყა, დედოფალმა უარი უთხრა, მაშინ გენერალმა ხელი წაავლო დედოფალს და დაუწყო კარში გაყვანა, ეს საქციელი დედოფალმა ვერ აიტანა და იქვე თავის მიმფერობაშს ნიკ. ხიმშიაშვილს სატყვეარი სთხოვა და მით დედოფალმა მოკლა ლაზარევი, უცბათ.

ამის შემდეგ კი დედოფალი მეორედ დააპატიმრეს და ციციშვილის ბრძანებით იგი მალეც გადაგზავნეს რუსეთში თავის წვრილი შვილებით, ამასთანავე ერთად გადაასახლეს მეფე ირაკლის მეუღლე დარეჯან დედოფალი მოხუცებულა.

დედოფლის გადასახლების შემდეგ, ქართველ სხვა ბატონიშვილებსაც დაუწყეს მრავლად გადასახლება, მოკლე დროის განმავლობაში ყველანი გადასახლეს ისე, რომ ბაგრატიონების გვარის წევრთაგანი აღარავინ დასტოვეს საქართველოში.

ამ საქმის შესრულებით, პავლე ციციშვილმა შეასრულა თავის იმპერატორის აღექსნადრესაგან მიცემული გეგმის პირველი მუხლი. ეხლა აენუსხნავეთ შემდეგ მუხლს, ანუ ხსენებული გეგმის მეორე მუხლს.

პავლე ციციშვილს საქართველოში მოსვლის დროს, ტფილისში დახვდა საქართველოს გამყიდვეი გარსევან ჭავჭავაძე, ციციშვილმა გარსევან ჭავჭავაძე დიდის სიხარულით ინახულა და დაუქმებობრდა. ამათ შორის მთარგმნელის საშეალებით ლაპარაკი ჩამოვარდა, ციციშვილის ბრძანებით ტფილისში იქმნა დანიშნული ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საკრებულო. ეს პირველი მაგალითი გახლდათ.

ამ საკრებულოს მარშლად ციციშვილისაგან დანიშნულ იქმნა გარსევან ჭავჭავაძე. გარსევანს ამის საქმის მართვა გამგებობის ოსტატობა ციციშვილმა ასწავლა, ამ ოსტატობით ციციშვილმა მთელი ქართლისა და კახეთის თავად-აზნაურობა გაიერთგულა. თუკა თავად-აზნაურებში ციციშვილს მძაზველნიც ბევრნი ჰყვანდნენ და ყველა იგინი ციციშვილს არ უყურებდენ კარგის თვლით.

ზოგნი იტყოდნენ ასეც: რაც მაგის მამა დიმიტრი იყო, ის ეს შვილი გამოსულა, არც ის იყო საქართველოსთვის გულკეთილი და არც ეს არის. რაც მამა იყო, ის დღეს მისი შვილი გახლავსთ.

ზოგნი ასე იტყოდნენ და გარსევან ჭავჭავაძის დახმარებით კი მაღლობელნიც ბევრნი ჰყვანდნენ, გარსევანმა იმეცადინა და პავლე



ციციშვილს მთელს ქართლისა და კახეთის თავად-აზნაურებში სახელი და ღირსება დიდათ გაუქცია, გარსევან ჭავჭავაძემ მთელ თავად-აზნაურობას ციციშვილის სახელი ღმერთად მიაღებინა, ისე შეაყვარა ეს ცხოველი მტერი მათ. ციციშვილსაც ეს უნდოდა, ციციშვილმა დაივალა გარსევანს, რომ შენ იმეცადინე და თავად-აზნაურებში სახელი განიკეთე და შეაყვარე მათ ჩემი სახელით, მე მათი სიკეთე დიდათ მენატრებაო. გარ. ჭავჭავაძეც ასე ლაპარაკობდა ციციშვილის შესახებ ქართველ თავად-აზნაურებში.

ეს ასე იქნებოდა უსათუოდ, თორემ უამისოდ პავლე ციციშვილი თავის ვალს ვერ შეასრულებდა ალექსანდრეს წინაშე, ანუ უკეთ, რომ ვსთქვათ, კნორინგისაგან შედგენილი გეგმის მეორე მუხლის შესრულება ციციშვილს ძრიელ გაუჭირდებოდა. ეს ასე იქნებოდა, რადგანაც ციციშვილს თვისი სიყალბე მალე გაუგეს ქართველებმა.

მაგრამ რაკი გარსევან ჭავჭავაძემ ეს მოახერხა და ქართლ-კახეთის თავად-აზნაურებს ციციშვილი კეთილ კაცად აცნობა, თავად-აზნაურთა მომხრეთ და გულშემატკივრათ, ამის შემდეგ ციციშვილის საქმეც გაიწაღდა, ამის კოჭი აღჩეს დაჯდა. ყველა ეს და გარსევან ჭავჭავაძის შრომა ციციშვილის სასარგებლოდ თვით ამანაც შეიტყო და ამის შემდეგ კი ციციშვილიც შეუდგა თავის გეგმის შესრულებას.

აი ესეც ციციშვილის მოქმედების დასაწყისი: მალე მოაწყო საქმე და მთელს ქართლისა და კახეთის თავად-აზნაურებს დაუგზავნა მოწვევის წერილები, წერილი გარსევან ჭავჭავაძემ გაგზავნა და სთხოვა ყველა თავად-აზნაურებს, რომ ისინი დაესწრონ თავად-აზნაურთათვის დაარსებულს საკრებულოში, სადაც იქნება ოაგემჯდომიარეთ, ანუ მარშლად გარსევან ჭავჭავაძე. ამ კრებას დიდის პატივისცემით დაესწრება ქართველის ერის დიდი მომხრე პავლე ციციშვილიცო.

ამიტომაც დიდ ძალ თავად-აზნაურობამ მოიყარა თავი ტფილისში და ყველას უხაროდა, რომ პავლე ციციშვილს ჩვენთვის დიდებული რამ საქმეები დაუარსებიაო. მოხდა ისიც, რომ ცოტა წინეთ თუ ქართველები კიცხავდნენ ციციშვილს, ახლა ქება დაუწყეს და დიდება, და ყოველივე ბრალდების მოხსნა.

ყოველ „სიკეთესთან“ ერთად ციციშვილმა საქართველოში შემოიტანა „პირველი ღამეც“.

ამას ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ თვით ქართველი მეფენი, რომელთაც შეეძლოთ ადვილათ შეენახათ სახელი და თუ კი იყო მათში „პირველი ღამე“ ამათაც ჰქონიყო ესა. მიუხედავად ამისა, ასეთ ბოროტებას სულ არ მისდევდნენ და როცა მეფეს ცოლი უკვდებოდა, მაშინ იგი მეორე ცოლს ირთავდა და ხასას კი არ შეი-



ყვანდა სახლში, ან „პირველი ღამეები“ როგორ უწოდებოდნენ მათში მომხდარყო.

ამის მაგალითს ამტკიცებს შემდეგი პირობები: მეფე ერეკლეს პირველი ცოლი რომ მოუკვდა, მისგან დარჩა ორი შვილი და ამან ამის შემდეგ შეირთო მეორე ცოლი. განვლო მცირე დრომ, ეს მეორე ცოლიც მოკვდა, ამისგანაც დარჩა მას შვილი, ამის შემდეგ მან შეირთო მესამე ცოლი. ასევე იყო ამისი მამა თეიმურაზ მეფე, პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ შეირთო მეორე ცოლი. ასევე გახლდათ ერეკლე მეფის შვილი გიორგი მეფე. ამას პირველი ცოლისაგან მიეცა შვილი. მეთერთმეტე შვილის შობიარობაზედ ცოლი მოუკვდა.

მერე რა მოხდა, ათი შვილის მამამ და ექვსი თვის ჭვრივმა შეირთო მეორე ცოლი, ამ მეორე ცოლისაგან მეფეს მიეცა ათი შვილი, სულ კი ორივე ცოლიდან 21 შვილი ჰყვანდა. ამათში 3 მკვდარი იყო და 18 ცოცხალი. მერე ყველა ამიტომ რა მოხდა ქართველი ერის ოჯახში, კარგი არასფერი, მეორე და მესამე ცოლისაგან გერები წნდებოდნენ და ხშირად ყოველთვის სამეფო ოჯახიც მუდამ არცვდარევისა და შულღში იყო ჩაყარდნილი.

საქართველოში რომ „პირველი ღამე“ რუსეთის შსგავსად ძველთაგანვე ყოფილიყო მიღებული, მაშინ ქართველი მეფენი მეორე და მესამე ცოლებს არ შეირთავდენ, იგინი „პირველ ღამეს“ გაჰყვებოდნენ, ან ხასების შეყვანას დაიწყებდნენ და მის საშუალებით იგინი თავიანთ ოჯახში არც გერებს გაიჩენდნენ, რომელნიც ბოლოს ქართველ სამეფო ოჯახსაც ღუპავდნენ, რომელთაგანაც ითვისებოდა ათას ნაირი ბოროტება.

მაგრამ გვითქვამს და ვიტყვი, რომ საქართველოს ერში არ იყო ეს სენი გავრცელებული და ამიტომ მას არც ქართველი მეფეები მისდევდენ. ამათის ფიქრით ასე იყო დადგენილი საქმე, რომ დაქორწინებული ქალის მოყვანა ოჯახში ყოველად შეუძლებელი გახლდათ.

ასეთი იყო ქართველი ერი, თვით ქართველი მეფენი და თავდააზნაურებიც და ამიტომაც გახლდათ, რომ მათში „პირველი ღამის“, გაგონებაც კი არ იყო და მასთან არც ხასების მიყვანა იცოდნენ ოჯახში. ეს სენი ქართველებმა პირველად რუსეთიდან შემოიტანეს 1809 წ. ამის შემომტანი გახლავსთ პავლე დიმიტრის-ძე ციციშვილი და ასევე ამის შემდეგ დროის მიმდევარ მთავარ მართებლები, რომელნიც საქართველოში განაგებდნენ და მოქმედებდნენ. ამ სენის პირველ მამამთავრად ითვლება გარუსებულ ქართველი, რუსეთში



დაბადებული და აღზრდილი, რუსული „პირველი ღამის“ ჩვილებში ში მონათლული. თვით ეს გმირი ეტრფოდა თურმე „პირველი ღამის“ როგორც რუსეთში, ისევე საქართველოშიაც.

ამ წოდებისა და ამ ბოროტების შესახებ ვიკაროთ ეს და ეხლა გადავალთ იმაზედ, თუ ესევე პირი რას ნერგავდა, როგორ ირაზმებოდა ქართველ თავად-აზნაურების წინააღმდეგ, ამისათვის ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ნიმუშს, რაც მოთხრობილია მთარგმნელის ქანანოვისაგან და იგი ასევე შემოწმებულია ალექსანდრე ორბელიანისაგან და ამისივე ხელით გადაწერილიც 1830 წლებში.

აი ესეც ნიმუში ციციშვილის იმ ქადაგების, თუ იგი როგორ რაზმავდა გლეხებს თავად აზნაურების წინააღმდეგ.

— თქვენ ძმანო ქართველ გლეხაკებო, თქვენა ხართ თქვენი ქვეყნის და თქვენი ბატონების მარჩენელნი. თქვენ ინახავთ და ჰკეცხავთ თქვენს ბატონებს, თქვენი შრომით სცხოვრობენ თქვენი მებატონენი და იგინი მაინც თქვენი მაღლობელნი არ არიან, თქვენ აქმევთ და ასმევთ მათ, თქვენ ინახავთ მათს ოჯახებს, მათ ცოლ-შვილს, იგინი კი სულ თქვენ მტრობაში არიან და სულ იმას მაეალებენ მე, რომ ვსთხოვო ჩვენ ხელმწიფე იმპერატორს, რომ მან ნება მისცეს თქვენზედ დიდის უფლების, მამულების ჩამორთმევის, შვილების წართმევის, თქვენი უძრავი და მოძრავის ყოველივე ქონების, თქვენი შვილების დასყიდვის და თქვენი პატარძლების წაყვანის ქორწინების დღეს ჰმრებთაგან, მათ სურვილი აქვთ, რომ თქვენ თქვენს მამულებიდან აგყარონ და გაგრეკონ იქით, სადაც თქვენ გზას მონახავთ და წახვალთ.

თქვენ კი ასეთ თქვენს მტრებს გვერდზედ უსხდებით, მათს ოჯახებში შედიხართ, თქვენს ღარიბს ჰობშიაც ჰპატიუბთ მათ, პურს აქმევთ და აქეიფებთ, ეს თქვენი დამცირება არის, თქვენი უბედურება, რომ თქვენ არც თქვენს მტრებს იცნობთ და არც მოყვარეებს. იგინი თქვენი მტრები არიან და თქვენ კი მათი პატივისმცემლები ხართ. ეს არ შეიძლება.

ეს წინააღმდეგია ჩვენი ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებისა და კანონების, ხელმწიფე იმპერატორი თქვენი მომხრეა. იგი თქვენს ბატონებს ხებას არ აძლევს, რომ მათ დაგზავრონ თქვენა და თქვენ კი თქვენს მზავრელებს ვერა სცნობთ და მათ ემორჩილებით ისე, როგორც ადრე ქართველ მეფის დროს ემორჩილებოდით.

დღეს მაგათი მორჩილება თქვენ აღარ შეგეფერით, რადგანაც

საქართველოს  
ისტორიის  
მუზეუმი

დღეს რუსეთი არის საქართველოს პატრონი, აქ ჩვენი იმპერატორი სათვის თავადი, აზნაური და გლეხკაცი სულ ერთია, იგი არავის არჩევს ერთმანეთისაგან, იგი ყველას მამა არის და მფარველი, ხოლო თქვენც უნდა ეცადოთ, რომ ხელმწიფის ასეთი მფარველობა იცოდეთ და მას ჯეროვნათ აფასებდეთ.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თქვენის ბატონებისაგან შორს უნდა იდგეთ, მათ აღარ დაგიბრიყვონ, არამედ თქვენ არ უნდა ემორჩილებოდეთ მათ და ხშირათ მათის უსამართლობის წინააღმდეგაც უნდა გახდეთ და ყველასფერში მონურად არ უნდა ემსახურებოდეთ. ამის შიში თქვენ არ უნდა გქონდეთ, რადგანაც ხელმწიფეც თქვენი მომხრეა.

თქვენ ნურავის შიში ნუ გაქვთ, თქვენ იყავით მხოლოდ თქვენი მფარველი რუს ხელმწიფის, რომ ჩვენმა ხელმწიფემ გაიმარჯოს ყივლგან და თქვენ თქვენი მებატონეების შიში ნუ გაქვთ, ივინი თქვენ ბუხსაც ვერ აგიფრენენ, ვერაფერს გიზამენ, თქვენ მხოლოდ მათ მონურად ნუღარ ემორჩილებით, გეყოთ მონობა მათით.

სხვა ნიმუშებს ჩვენ აქ არ მოვიყვანთ, ეს ვიკმაროთ ჩვენი საგნის გასაცნობათ. ასე და ამგვარად, პავლე ციციშვილმა დაშხამა ქართველი თავად-აზნაურობა და მის შემდეგ იგი შეუდგა გლეხების დამშობასაც, ესეც შესძლო მან, ქართველი გლეხების გულიც ასე მოხიბლა და მოწამლა, რომ ამათ ცხოვრებასა და ოჯახშიც ჩასახა თავისი გესლიანი შხამი და მით დაღუპა მთელი ქართველი ერი და დაამხო მთელი ქართველობა—თავადი, აზნაური და გლეხიც, ესენი ერთმანეთს გადაკიდა და მით შეასრულა რუს იმპერატორის დავალება.

ციციშვილმა მიიღწია თავის საწადელს და მან 1805 წ. უკვე ნახა თავის მოქმედების ნიშნები ქართველ ერში, რომ თავად-აზნაურსა და გლეხს შუა უკვე დანგრეული იყო ხიდი მისი ქადაგების მძლავრი შხამით, რაც უეჭველია რამდენადაც ხანი გადიოდა, იმდენად ეს შხამი უფრო გაზვიადდებოდა ქართველ ერში, რადგანაც მისი მომხრე და მფარველი იქნებოდა მთავრობაც.

ამგვარად შეასრულა პავლე ციციშვილმა თავისი დავალება და ენორინგის გეგმით აღექსანდრე პირველსაც დიდათ ასიამოვნა და მოუგო გული.

VI

ს ს ვ ე ჯ ა ს ს ვ ე

მასალები

## რუსეთის მესამოცე წლების მოღვაწეთა ღვაწლი საქართველოში ბატონ-ჟმოგის გადავარდნაზე.

(დაწერილი 1882 წ.)

რუსეთში ბატონყმობა გადავარდა 1861 წ. და საქართველოში კი 1864 წ. მართალია ის, რომ 1861 და 1864 წლებს შორის დიდი განსხვავება და მანძილი სძევს, მაგრამ მიუხედავად ამისა ის, რაც მოხდა რუსეთის ბატონყმობაში 1861 წ., სწორედ ამანვე გამოიწვია ის გარემოება და მისი საშინაისი, რომ 1864 წ. საქართველოშიც მოხდა ეს საუკუნოებისაგან დამკვიდრებული წესების მოსპობა.

ამიტომ ჩვენ ქართველები ვალდებულნი ვართ, რომ ამ მონობის გადავარდნის საშინაისის ისტორია თუ არ ვრცლად, მოკლედ მაინც ვიცოდეთ და მეც ვალათ ვსთელი, რომ ამისი ისტორია საქართველოს მუშებს და ხელოსნებს, რომელთა უმეტესი ნაწილი ამ მონობისაგან დამონებულნი იყვნენ, რომ მათ მოუთხრა ამ სენის ისტორია და მის მეთაურ მოამაგეთა რუსთა მოღვაწეთა ცნობები.

რუსეთის მწერლობაში, რუსთა გლეხ ყმათა წესების გადავარდნაზედ, ყველაზედ წინეთ ლაპარაკი 1850 წლიდამ დაიწყო, მისი წარმომადგენელი იყო მაშინ რუსეთის გამომჩენილი სწავლული მწერალი ნიკოლოზ ვასილისძე ჩერნიშევსკი. ამ კაცმა ამ სენის შესახებ პირველმა ამგვარათ წერა დაიწყო რუსულ ჟურნალ „სოვერემენიკში“, რომელიც მაშინ ერთი საუკეთესო იდეური ჟურნალი იყო მთელს რუსეთის მწერლობაში.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ სახელოვანი იდეური ჟურნალის რედაქტორი ვახლდათ იმ დროს კარგათ ცნობილი და რუსეთის სოციალურ რევოლიუციონერი პანაევი. თავმოწონებით უნდა ვაცნობო ქართველ მუშებს, ხელოსნებს და გლეხებს, რომ რუსთაგან ეს პანაევით წოდებული განათლებული რევოლიუციონერი ვახლდათ ქართველი კაცი, იგი იყო გორის მაზრის, ლარიბი აზნაური ფანიაშვილი, რომელმაც უმაღლესი სწავლა რუსეთში მიიღო, მის მერე იგი იქვე დარჩა, სამშობლოში აღარ დაბრუნდა და 1855 წ. ნ. ჩერნიშევსკისთან ერთად შრომა დაიწყო რუსულს მწერლობაში და მოკლე



დროში იგი ისე დაწინაურდა, რომ მალე იგი გახდა რუსეთის ერთ-ერთი იმ დროის საუკეთესო იდეური ჟურნალ „სოვრემენიკის“ რედაქტორი.

ვინც რა უნდა სთქვას და მეტი სასახლოთ მიმაჩნია, რომ ერთ დროს, რუსეთის საუკეთესო ჟურნალ „სოვრემენიკის“ რედაქტორათ გახლდათ ქართველი, გორის მაზრის მცხოვრები პ. ფანიაშვილი და არა პანაევი რუსი. სწორედ ამ გარემოების მიზეზით ვხსნი იმ წარმატებას, რომ ამ ჟურნალ „სოვრემენიკში“ იმავე დროს დაიბეჭდა ერთი წერილი, ჩვენს ისტორიულს ასპარეზზედ კარგათ ცნობილი, ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის წერილი და ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ეს წერილიც თუ რაზედ იყო დაწერილი, რის შინაარსიც სრულ უახლოვდება „სოვრემენიკის“ იდეურს მიმართვას.

ეს წერილი გახლდათ დაწერილი შესახებ საქართველოში მცხოვრებ მთიულ გლეხებზედ და მათ ყოფა-ცხოვრებაზედ, მაგალითებრ: ფშაველეებზედ, ხევსურებზედ, თუშებზედ, მოხვევებზედ, გუდამაყრელებზედ და მთლათ საქართველოს ასეთ მთის ხალხებზედ, სადაც ძველადგანვე მათში ბატონყმობა არ არსებობდა. არ არსებობდა, რადგანაც ამ არსებობის აქ არ ქონებას აქვდა თავის ისტორიული მიზეზები\*). ჟურნალ „სოვრემენიკმა“ რუსეთის ერსა და მთავრობის ნაწილის წინაშეც ძრიელ მალე განითქვა სახელი და მთელს დროის განმავლობაში იგი გახდა ბელადი რუსეთის ერის სოციალურ რევოლუციონურ მიმართულებისა.

აი სწორედ ეს ჟურნალი გახლდათ უმთავრესი იარაღი იმ გარემოების და წყარო, ვინც დაისაბა თავის ზრძოლის დევეზით ბატონყმობის შესახებ გადაეარდნაზედ წერა და შრომა, რათა ამ ცდით რუსეთში მალე მოსპობილიყოს ეს საუკუნოების განმავლობაში არსებული მონების ბატონ-ყმობა. ამ გვარ გმობის ბელადათ ჟურნალ „სოვრემენიკში“ თამამათ გამოვიდა ნიკოლოზ ვასილისძე ჩერნიშევსკი. ნ. ჩერნიშევსკიმ მალე მიიპყრო მთავრობის და ხალხის ყურადღება თვისკენ და მის წერილებს „სოვრემენიკში“ ყველა კითხულობდა დიდის ხალისით და ყურადღების მიპყრობით.

მთავრობის მოხელეებს კი ამის გამო გული უსქდნებოდათ და არ იცოდნენ რა ექნათ, ამიტომ რუსეთის მონარქიულმა მთავრობამ

\*) ეხლა ვალად ვსთვლი, რომ ამ გარემოების შესახებ, საქართველოს მთიულთ ხალხის შესახებ, წერილი დაეწერათ და აეხსნათ იმ გარემოების პირობები თუ რა იყო მისი მიზეზი, რომ მთიულ ხალხში ბატონ-ყმობა არ არსებობდა ძველადგანვე.



იმ დროის ცენზურა გააძლიერა და „სოფრემენიკში“ ბატონყმობის შესახებ წერილის ბეჭდვას თითქმის სპობდა. ამ გარემოებამ ბატონყმობის კითხვებს ისე მოუსპო გზა და კვალი, რომ „სოფრემენიკში“ აქარც ერთი წერილი აღარ იბეჭდებოდა, რომ ის წერილი ცენზორს არ შეეკრიჭა. სწორეთ ამ პირობებმა გამოიწვია ის გარემოება, რომ ნიკ. ჩერნიშევსკი 1859 წ. დაუახლოვდა ლონდონის რუსულ სოციალურ რევოლიუციონურ გაზეთ „კოლოკოლის“, რომელ გაზეთში ლონდონში იწყო გამოსვლა 1857 წ. დამდეგიდამ იმ დროს კარგად ცნობილის გერცენის რედაქტორობით.

ამიტომ ვიტყვით მოკლეთ—გერცენის შრომას აქვს ჩვენთვისაც დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან მისი „კოლოკოლის“ წერილებით როგორც იმუხრებოდა რუსეთის ერის ბატონ-ყმობის წესები, იგი ისევე მუსრავდა საქართველოს ერის ბატონ-ყმობის წესებს და მასთან რუსეთის მონარქიულ მთავრობასაც ეძლეოდა წივი ცნობები, რომ რუსეთის გარდა საქართველოს ერშიაც არის ბატონ-ყმობა, რომელიც ასევე რუსეთის კვალით ელის მოსპობასაო. სულ ამ გაზეთ „კოლოკოლის“ და ნ. ჩერნიშევსკისთანა კაცების მოღვაწეობა იყო, რომ ბატონყმობის გადავარდნა მოხდა 1861 წ. და საქართველოში კი—1864 წ. „კოლოკოლის“ და ნიკ. ჩერნიშევსკის შრომა რომ არ ყოფილიყო, მაშინ საქართველოს ბატონყმობის გადავარდნა საქართველოში 1864 წ. არ მოხდებოდა.

მოხდა ეს მიტომ, რადგანაც „კოლოკოლი“ მეტათ მძლავრის კილოთი ებრძოდა რუსეთის ხავსმოკიდებულ მონარქიულ მთავრობას და ამ ბრძოლაში, რასაკვირველია, ჰგმობდენ იმ კაცებსაც, რომელიც ამ ბრძოლას აძლიერებდენ. ჯაშუშებმა კარგათ იცოდნენ, რომ ლონდონური „კოლოკოლის“ ბელადი გერცენთან, ავარიოვთან და ბაკუნინთან ერთად, იყო ნიკ. ჩერნიშევსკიც, რომელიც რუსეთში სცხოვრობდა და გერცენ ბაკუნინთან რუსეთიდან არსად მიდიოდა.

ამიტომაც მოხდა, რომ ნიკ. ჩერნიშევსკისაც მოდეს შარი და 1863 წ. იგი დაპატიმრეს და მას მიუსაჯეს 20 წლით დაპატიმრება, რის მიზეზათაც ვახლდა ის გარემოება, რომ 1863 წ. იანვრიდამ „სოფრემენიკის“ ნომრებში ბეჭდვა იქმნა დაწყებული ნიკ. ჩერნიშევსკის ცნობილი სოციალ რევოლიუციონური რომანის—„ჩტო დელატ“. ეს რომანი იყო მაშინ რუსეთის ერის გაღვიძების და გაფხიზლების ზარის რეკათ. ზოლო ისიც კი უნდა ითქვას, რომ ხავსმოკიდებულ მონარქიამ მიზეზი უპოვნა ნიკ. ჩერნიშევსკის დაპატიმრებას, თორემ



მის დაპატიმრების იმდენი მიზეზი „ჩტო დელატს“ არ დენიც იმ გარემოებას, რომ ნიკ. ჩერნიშევსკი რუსეთის მონარქიის წესებს და ბატონყმობის არსებობას სასტიკათ მუსრავედა და მიწასთან ასწორებდა.

სხვათა შორის ეს გამახსენდა ნიკ. ჩერნიშევსკის დაპატიმრების ოქმიდამაც, სადაც მოხსენებულ იყო, რომ ნიკ. ჩერნიშევსკის დაპატიმრების მიზეზათ გახდა ისიც, რომ მისი წერილები ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მრავლათ იბეჭდებოდა გაზ. „კოლოკოლში“. იქ მართალია წერილებს გვარი და სახელი არ აწერია ნიკ. ჩერნიშევსკის, მაგრამ ჩვენ ვიცით ეს გარემოება იმ ცნობებით, რომ რის დაბეჭდვის ნებას ცენზურა „სოვრემენიკში“ არ აძლევდა ნიკ. ჩერნიშევსკის, მის შემდეგ ის წერილებს ბატონყმობის შესახებ გაზ. „კოლოკოლში“ ბეჭდავდა.

**თფილისის ვაჟბარ-მოქალაქენი, როგორც შმის გყიდველნი და გამანთავისუფლებელნი.**

ბევრს იქნება ეს ცნობა არც კი გაუგონია, რომ საქართველოში და ნამეტურ ქალაქ თფილისში, შეძლებულ მოქალაქე ვაჭრებს ჰყვანდათ ყმები. ვაჭრების უმეტესი ნაწილი სომხები იყვნენ და მასთანვე შეძლებულნი. ეხლა ჩვენ აენუსხავთ იმ გარემოებებს, თუ ესენი მებატონეთაგან ყმებს და მათ შვილებს როგორ ყიდულობდენ, როგორ იგირავებდენ და სხვანი.

მოქალაქეთაგან ყმების სყიდვა XVIII საუკ. სჩანს, მასთან დაგირავება და გაჩუქებაც არის მოხსენებული.

XIX საუკუნეში კი მოქალაქეთაგან ყმების შეძენის საკმენი აშკარად სჩანს. იქნება მოქალაქეთ ყმათა შეძენის სურვილი არც კი აქვენდათ, ვინ იცის, ზოლო ძრიელ ხშირად მებატონეთა ვალის არ გადახდა, უეჭველია იძულებულს გახდიდა ვაჭარს, რომ მას თავის ნისია-ვალში მებატონისაგან ან მამაული აელო და ან ყმანი. ესენი პირველად მამულებს მისდევდენ და მამულებს უფრო ეტანებოდენ, თუ მებატონეს მოხდენილს, მათთვის სარფიან ალაგას ეს არ აქვენდათ, მაშინ მეტი გზა არ იყო, ვალის აულეზლობას, ისეც ყმების ჯამორთმევას მოჰნდომებდენ, თუმც ეს ბევრს არც ეპიტნავებოდა თურმე...

ქართველ მებატონეთაგან თფილისში თავიანთ ყმათა შვილების აშკარად სყიდვა იწყება 1810 წლიდამ. 1820 წელს ყმათა დასყიდვის

განცხადებასაც კი ბეჭდავდნენ, რომ ამა და ამ დროს, ამა და ამ პატრონის ვალში გაისყიდებიან მისივე ყმათა ამდენ-ამდენი კომლიო, რომელნიც დაფასებულნი არიან ამა და ამ ფასადანო. ასე ვალში დაყიდვის გარეშე, მებატონენი თავიანთ ნებითაც ჰყიდდნენ. ამისთვის მაშინ თურმე დალაღებიც იყვნენ, რომელთაც დაახლოვებული კავშირი აქვდათ როგორც მებატონესთან, ისე ფულის პატრონ ვაჭრებთან. მაშინდელ თფილისის ხალხში მდიდრებად, ანუ ფულის პატრონებად ვაჭრები იყვნენ, სხვა არავინ. თავად-აზნაურებს ფულის მხრივ ტყავი ჰქონდათ გამძვრალი, რასაკვირველია ცხოვრების არ ცოდნით. ამათ ფული ტუტუტუკურის ცხოვრების წყალობით ერთობ ხშირად სჭირდებოდათ. მარცხნივ და მარჯვნივ ატარებდნენ კაცებს და საქეიფოდ ფულს ეძებდნენ სესხად. ოღონდ ეშოვნათ, თორემ მანათში მანათის მისცემდნენ სარგებელს. აი ასეთ პირთ უჩნდებოდნენ ფულის მიმცემ-მიმისხებლად ქალაქის ვაჭრები. გუშინ, თუ ამ ვაჭართან მებატონე ლაპარაკს არ იკადრებდა, დღეს მის წინ დაჩოქილი იდგა და ფულს ევედრებოდა, მამულებს უვირავებდა ოხერ ფასად, დიდის სარგებლით, ისიც ხეყწით.

ასეთ მებატონეებმა ჯერით შექამეს და დაყიდეს თავიანთი უძრავი მამულები ქალაქ ალაგას, მერე დაყიდეს თვით თითო თავშესაფარი სახლებიც. საქმე იქამდე მივიდა, რომ მთელს თფილისში ქართველ მემამულე-მებატონენი სამთლით საქმეებანი გახდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართლ-კახეთის რუსეთთან დაკავშირების პირველ წლებს მთელი თფილისი სულ ქართველ მებატონე თავადის-შვილების იყო. ერთის სიტყვით, მთელი თფილისის მამულების პატრონები ესენი იყვნენ, მთელი ქალაქის ბაღები ამათი იყო, აბანოები და ბევრ ალაგას დუქნები და ქარვასლებიც. ყოველივე ესენი გაფლანგეს მათ და მერე 1830 წ. თფილისიდან სოფლად იწყეს გადახვეწა და თუ ხანდისხან თფილისში ცხოვრება მოუხდებოდათ, მაშინ მათ სახლი ქირით უნდა დაეჭირათ.

ასეთ პირთ სოფლის მამულებიც მისდიოდათ ხელიდამ და რჩებოდნენ ცარიელნი. მერე ესენი უძრავ ქონებისაგან დაცარიელებულნი მოძრავ ქონების დასყიდვას იწყებდნენ, ესე იგი ყმების დასყიდვას და იმათაც ივინი ისეთ ხელსაყრელ ფასად ჰყიდდნენ, რასაც არც ერთი ვაჭარი უარს არ ეტყოდა, ამ ცოცხალ საქონლის სყიდვაზედ. ერთის მხრით მოხდა ისიც, რომ 1830 წელს სასახელო იყო, რომ ვინმე მოქალაქეს თავადის, ან აზნაური მებატონეთაგან ყმები ეყიდნა. მომბ-



დარა ისეთი შემთხვევებიც, რომ ყმებს მებატონეს შევედრებოდნენ, ამ დასაყიდლებს ვაჭრობაშიაც აგდებდნენ და საქვეყნოდაც აცხადებდნენ. ამის მაგალითებს თვით ამ წიგნში ნახავთ. ჩვენ მაინც მოვიყვანთ სათითაოდ აქ ყოველ შემთხვევას ყმის გასყიდვაში.

ვაჭრისაგან მებატონე ფულს სესხულობდა, დროზედ ვალს თუ ვერ მისცემდა, მაშინ მოვალე მას ჯერ უჩივლებდა გადასახადის უფლებას ჯარიმებით და მერე გაუყიდდა მამულებს და თუ ეს არ აღმოჩნდებოდა, მაშინ გაუყიდდა თავის ყმებს მათი ოჯახობით, შეილებით. ერთი სიტყვით ყველაფრით და მით გათავდებოდა საქმე.

მებატონეს უნდოდა ვაჭარ-მეწვრიმალისაგან ჩიი, შაქარი, ყავა, სანთელი, ზეთი და სხვა ასეთნი, რაც მიჰქონდათ ნისიით. ნისიის დაწერა თვით ვაჭარზედ იყო. რამდენიც უნდოდა და როგორც უნდოდა—ვაჭარი ისე სწერდა ამ ნისიას. თვით ქართველ მებატონეთ არც დაწერის თავი აქნდათ და არც ნისიის დახსოვნების. ისინი ჭამაში და ნისიაში იყვნენ ყოჩაღები. ასე წვრილად წალებულ ნისიისაგან რამდენიმე ხნის განმავლობაში დასდებია დიდი ვალი, ბოლოს ეს მას ველარ გადაუხდია ადვილად, ვაჭარს უჩივლია მებატონისათვის და თუ მამულები არ აღმოჩნია, მაშინ მას დაუსყიდნია მისი ყმები.

წვრილმან საბარჯავ საქონელთ გარდა ქართველ მებატონეთათვის საქირო იყო სხვადასხვა ფართალიც—ჩითი, შიტკალი, შოვი, გლასი და სხვა ასეთნი. ამისთვის მათ შეპირებული ჰყვანდათ ძველადგანვე თფილისის ვაჭრები, ბაზაზები და სხვანი, ამათგან მიჰქონდათ მათ ყოველივე ნისიად და შემდგომ ვალის მოგროვებისა, მათ მოსავლით, მამულით, ან ყმებით გადაუხდებდნენ სამავიეროს.

მებატონეთ აქნდათ ხშირად ისეთი შემთხვევაც, რომ თავიანთ ვალებს გამო თვის ყმებს ჰყიდდნენ და მით იცხებდნენ თვის ნაკლს. იცოდნენ მათ ყმის დაგირავებაც. დაგირავებული ემსახურებოდა იმ დრომდე, ვიდრე მას ბატონი დაიხსნიდა, თუ თვით მოახერხებდა და იხსნიდა თავს, მაშინ ესეც შეეძლო მას. ასეთის დაგირავება და გასყიდვ-გამოსყიდვის გამო მთელი თფილისის მოქალაქენი აივსნენ ქართველთ მამულების შეძენით და ქართველთ ყმებით. სოლოლაკზე არ იყო არც ერთი მდიდარი მოქალაქე, რომ მას ასობით არა ჰყოლოდა ქართველ მებატონეთაგან ყმები ნასყიდი, მე გვარებიტაც კი დავასახელებ ასეთ მოქალაქეებს, მაგრამ ეს რა საჭიროა აქ, როდესაც ყოველივე მართალია. ქართველთ მებატონეთაგან მდიდარი ვაჭრები ოხერ ფასებში იძენდნენ მათ უზარმაზარ მამულებს, სახლ-კარს

და სხვა ასეთ შეძლებას და ნუ თუ მათ ქართველთ ყმების სყიდვად არ შეეძლებოდათ, ეს შეუძლებელი იყო, თფილისში ქართველ ყმათა შეილებს თფილისის მოქალაქენი სულ ოხერ ფასებში ყიდულობდენ.

ყველამ კარგად ვიცით, რომ 1820 წლიდან თფილისში ძალიან დაწინაურდა ყომარბაზობა. ძველ ქართულ ბითურ ცხრას, ყომარს და ასეთ სათამაშოებს მიემატა ევროპიული ბილიარდები, კარტი და სხვა ასეთნი. ამ სათამაშოების ბუდეთ გაჩდენ მაშინდელი საჩაიეტრახტირები. აქ იკრიბებოდენ თფილისის კეთილშობილთ შეილნი და დღე და ღამ ყომარბაზობაში ატარებდენ თავიანთ დროს. ამ თამაშობაში აგებდენ ყველაფერს, ფულს, ოქრო-ვერცხლის ნივთებს, მამულებს და ბოლოს საქმე იქამდის მიუვიდათ ხოლმე, რომ იგინი კარტში აგებდენ თვით თავიანთ ყმა გლეხის შეილებს. ასეთ წაგებულთა რიცხვი ძველად იმოდენი ყოფილა, რომ 1850 წლებში თფილისი საესე იყო თურმე ასეთ დაყიდულთა რიცხვით. იყენენ როგორც კაცნი, ისე ჭალნი. ასეთ პირთ მეც მოვესწარ და მქონია მათთან ლაპარაკი და თვისი მებატონე ასეთ გაყიდვის გამო გმობით მოუხსენებია. ასეთ ყმებს ყიდულობდენ არა მარტო თფილისის ვაქრები და მდიდრები, არამედ მათ ყიდულობდენ მრავლად ერეენის, განჯის და სხვა ასეთ კუთხის სომეხი ვაქრები და ამ ნასყიდებს მიერეკებოდენ იქით, საითაც მათ სურდათ.

ასეთ ყმებს მებატონეთაგან იძენდენ ყველა ტომის ერნი და მერე ესენი ამ ყმებს ზზავნიდენ იქით, სადაც მათ სურდათ, თუნდ მოგებით გაყიდდენ, ამის დავა მათთან არავის აქვენდა. სომეხთ მწერალ რაფის ერთი ცნობა აქვს ამის შესახებ მოყვანილი. აი ეს ცნობა: ერთა თავადის შეილმა ყომარბაზობაში წაავო 60 კომლი გლეხი. ეს გლეხები მას მოუგო ერთმა სომეხმა, რომელმაც მერე ეს გლეხები სომხეთისაკენ გადასახლა, სადაც ყმანი სიამოვნებით გაპყენენ ახალ მებატონეს, რომ მის საშუალებით თავი ეხსნათ მტარვალ ბატონის შევიწროებისაგანო. რაფის ეს ერთი ცნობა მოპყავს და ჩვენ ბევრს მოვიყვანდით, მაგრამ ეს არ არის საქირო, ვინაიდგან მკითხველი ამითაც დაგვერწმუნება, რომ ქართველი მებატონენი თავიანთ ყმათა შეილებს თფილისში მარჯუნივ და მარცხნივ მდიდარ ვაქრებზედ ოხერ ფასად ჭყიდდენ და გაყიდვის გარეშე ყომარბაზობაშიაც მრავლად აგებდენ.

ყმათა დასყიდვა კი არა და იყო დრო და იყენენ ისეთ კარაფშულა მეფენი, რომ თვით თავად-აზნაურების წოდებასაც კი ფულ-



ზე და სხვადასხვა ფეშქაშებზედ სცელიდნენ-ჰყიდდნენ მსხუნიკეებს თავადობა ზოჯი. მინასოვებმა, მადათოვებმა, ამბელიქმა, ბებუთა-შვილებმა, ამატუნმა, ზაფრივემა და მრავალთაც სხეებმა. ასევე ნაყიდი აქვსთ ეს ღირსება მრავალთ ქართველთაც, ადრე თუ ამ წოდებას სისხლით შოულობდნენ, უკანასკნელ უგვან მეფეთა წყალობით ფულებით და ნივთებით შოულობდნენ.

ამ გარემოებამ დასცა ქართლ-კახეთის ერი და ამ დაცემის სრული მიზეზი და ნიშან-წყალი ერეკლე მეფე ვახლავსთ და მისი პედანტიური მეფობა და მოქმედება. დალოცვილი თავის მეფობას ხმარობდა ბოროტად და აჩენდა ისეთ პირებს, რომელნიც ქვეყანას მტრობდნენ ღიდათ, ბოლო თვით მეფეს კი უბრალო რამ სამსახურით და ნივთებით გულს უგებდნენ. ამის ამავი მაუძღვის ჩვენის ქვეყნის წინაშე ერეკლეს.

თიფლისში ყმათ გასყიდვის ბაზარი ისე ცხადი შეიქმნა 1810 წლიდამ, რომ მისი ცნობა და პირობები ყველამ იცოდა, ვინაიღვან ყმანი მუდამ დღე იყიდებოდნენ აშკარად. თუმცა ეს დრონი შორს არ არის, სულ ერთი საუკუნე არის მას შემდეგ გასული, რაც თფილისში ამის ბაზარი გაჩაღდა, ბოლო ამ ბაზრის და აღებ-მიცემის საქმე ჩვენთვის კი იმოდენად მიმჭრალია, რომ დღეს მის წარმოდგენაც არ გვაქვს, იქნება ბევრმა ეს არც კი დაიჯეროს, რომ ამ 100 წლის წინედ, თფილისში ქართველთ ყმათა გასასყიდი აშკარა ბაზარიც მოიწარათა.

მეტეი გვა არ არის, ჩვენ ისევ ჩვენს ზეპირ ცნობებს უნდა მივმართოდ და მოვიყვანოდ ყოველივე ის, რაც კი ამ ჩვეულების და ვაჭრობის შესახებ რამე ვიცით. ამიტომ მოვიყვან აქ ისევ თანამედროვე მოხუც კაცთაგან თხრობილს, რომელთაც თვით გამოუცდიათ ასეთი საქმენი, თვით ყოფილან ყმანი და გაყიდულ-გამოყიდულან კიდევ ასე. ასეთ მომთბრობნი იყვნენ ხელოსნები, კალატოზი, დურგალი, ხარაზა და სხვანი, რომელნიც ტყუილს არაფერს იტყოდნენ და ეს მათთვის არც იქნებოდა საჭირო.

ერთის ნაამბობი: (კალატოზი, თავ. ილია ორბელიანის ყმა)

— ჩენი ბატონი ილ. ორბელიანი ყმებს პატიოსნათ უყურებდა და უვლიდა. მისი ყმისთვის რომ ვისმეს ხელი ეხლი, ეცემათ, ან სხვა ასეთი რამე ექმნათ, ის ამას იწყენდა და იტყოდა, რომ „ჩემი ყმის ცემა ეს ჩემი ცემა არისო“, ასეთი სხვა ბატონებიც იყვნენო. მე 1850 წ. დაბრძობა მჭინდა გადაწყვეტილი კაცის კელაზედ და საბრძობელადამ ამ ჩემმა ბატონმა და გრ. ორბელიანმა დამიბნესო.

იყვნენ ისეთი ბატონებიც, რომელნიც ასეთ მეზობლებს ჩვენი ჰგვანდნენ და ესენი თავიანთ ყმებს ცუდათ ექცეოდნენ; ყმის ბიჭებს ხშირად ჰყიდდნენ, ამათგან ძალიან ხშირად ყიდულობდნენ სხვა და სხვა ვაჭრები და ამ ყმებს თავიანთ სულის გულისთვის მაშინათვე ანთავისუფლებდნენ, ან ხატს შესწირავდნენ, ასეთი ყმების მყიდველები მაშინ ძალიან ხშირი იყო და თურმე ყმის მსყიდავსა და გამანთავისუფლებელზედ ხალხი ქებას ლაპარაკობდა, პატივით ახსენებდნენ ასეთ საქმეს და იტყოდნენ თურმე, რომ ამა და ამ პირმა ესა და ეს ყმა დაიხსნა, იგი გაანთავისუფლა და მით მან თავის სულისთვის უქრობელი სანთელი აინთოვო. იყვნენ თურმე ისეთი კაცნიც, რომელნიც სახალხოდ ფულს აგროვებდნენ და მერე ამ შენაგროვით ყმა ბიჭს, ან გოგოს იხსნიდნენ.

მეორეს ნაამბობი.—ასეთი კაცი ძრიელ ხშირად იყვნენ მაშინდელ მოქალაქეებში. იცოდნენ თურმე კიდევ იმ დროის სხვა და სხვა ხელობის ხალხში ფულის მოგროვება და მით ხელოსანის განთავისუფლება, ნამეტურ ცოლშვილიანების. ამქარში ეს ჩვეულება ისე იყო გავრცელებული, რომ მის სასარგებლოდ თითქმის ამქარი ყოველთვის სცდილობდა და თავის ხელობის ყმა ხელოსნებს ამქარში მოგროვილის ფულით ათავისუფლებდა. იცოდნენ ისიც, რომ ამქარი ამოირჩევდა ორ სამ საპატიო პირს, ამათ მიუგზავნიდნენ რომელიმე მეზობლს და სთხოვდნენ ყმის გათავისუფლებას, ხანდისხან ასეთი პირნი ბატონს ნობათს, ფეშქაშს რამეს მიართმევდნენ და ბატონიც ამ თავაზის გამო თავის ყმის ამქრის ხატრით გაანთავისუფლებდა.

ხელოსანს და ნამეტურ ვაჭარს ძრიელ ეთაკილებოდა ბატონის ყმობა. ყმა ხელოსანს და ვაჭარს თფილისის მოქალაქე და ხელოსნები საცოლოდ ქალსაც არ მისცემდნენ თურმე. ხანდისხან ისიც მოხდებოდა, რომ ხელოსანი, ან ვაჭარი თავის ყმობას დამალავდა და ცოლს ისე შეერთავდა. მერე ეს ყმობა გამოუაშკარავდებოდა და მაშინ თქვენი მტერია თუ ქალის პატრონები როგორ შეშინდებოდნენ, იტყოდნენ მაშინათვე:—„ყმა ყოფილა, ბატონი ჰყოლია, მოსვლია კიდევ, აი დაუდგეს თვალი“. ამიტომაც ცოლის შერთვის დროს, სადმე ქალის გასარჩევლად მაჭანკალი რომ გაჩნდებოდა, პირველ ლაპარაკის დაწყებისთანავე იკითხავდა, რომ „ბატონი ხომ არა გყავსო“. მომხდარა თურმე ისიც, რომ ძრიელ ხშირად ქალისა და ვაჭრის გარეგნული საქმე ამ ყმობის გამო დაშლილა. ხდებოდა თურმე, რომ

ძრიელ ხშირად სასიძო შერთვის დროს ანაღებ ფულს (დრეკინფუტს) ბატონს აძლევდა და მით ითავისუფლებდა თავსაო. შიხლინიძე

მაგალითებრ მონხდარა თურმე ხშირად ისეც, რომ რაკი ქალსა და ვაჟს ერთმანეთი მოსწონებიათ, მორიგებულან, ხასიათით შესწყობიან და მათი დედმამაც თანახმანი განხდარან, მაშინ საცოლოსაგან აღებული ზითევი და ფული პირდაპირ ბატონის სახლისაკენ წაუღიათ და ბატონსაც მით გაუთავისუფლებია თავისი ყმა. ხშირად ბატონი ასეც ურიგდებოდა თავის ყმის შვილს, რომ მე შენ გაგათავისუფლებ, ხოლო ცოლის შერთვის ზითევი და ფული მე მომეცითო. ასე რომ ძალიან ხშირად პატარძლის ზითევი და ფული ბატონის სახლში იიპქონდათ და ცარიელ ქალს ვაგი წაიყვანდა ჯვარის დასაწერად, ჯვარის წერას მღვდელიც ვერ გაბედავდა, ვიდრე მის ბატონის ნებართვის ბარათი არ ექნებოდა.

ზოგს მებატონეს განათავისუფლებაში მარტოდ ზითევს აძლევდენ, ზოგს ფულს, ვინც როგორც მორიგდებოდნენ, მოხდებოდა ისიც რომ ხანდისხან ასეთ ყმის გოგო და ბიჭისაგან ანაღებ ზითვის მოგროვილის ავეჯით თხოვდებოდა მათი აზნაური ბატონის ქალიო. ისიც ხშირი იყო და თითქმის განუწყვეტელი, რომ როგორც ვაჟის ყმობა იყო სათაკლო, ისევე ქალისაო, რადგანაც ყმა ქალს ვაგიც ურიდებოდა შესართავად და ამიტომ ხდებოდა ისიც, რომ ქალის პატრონები ვაჟს უმაღაღდნენ თავიანთ ქალის ყმობას, ან შოფლობდნენ რამე ღონისძიებას და ჯერედ ქალს გაანთავისუფლებდნენ ბატონის ყმობის და საჩექმესაგან და მერე გაათხოვებდნენო, ასე უფრო ადვილად ათავისუფლებდენ ბატონები და ყმის გოგოებში ბერს ფოლს არ იღებდნენო. ზოგნი დიდ ფასად ათავისუფლებდნენ და ზოგნი სულ მცირე ფასადაო—ხან საჩექმის ფასად, ხან ასეთის რამე თავაზითაო. ხან ისიც ხდებოდა, რომ ასეთ ქალებს სხეანი ყიდულობდნენ და გასათხოვრად ათავისუფლებდნენო. ასეთი თავისუფალი ქალნი თურმე უფრო ადვილად თხოვდებოდნენო. ისიც იყო, რომ ხანდისხან თვით ბატონიც გაათხოვებდა თავის ყმის გოგოს და მას ზითევსაც მისცემდაო. ასეთნი კი ხან ბატონის ყმათაც შთებოდნენ, ზოგთ ათავისუფლებდენ კიდევცო.

იყო ისეთი წესიც, რომ ყმის ქალი გაათხოვების დროს გათავისუფლდებოდა მაშინ, თუ მის ბატონს სურვილი ექნებოდა პირველი ღამისაო. იყვნენ ისეთი მებატონენი, რომელნიც პირველი ღამის გამო ათავისუფლებდნენო, ხოლო ყველა კი ასეთი არ იყო, ზოგს





ეს პირველი ღამე სძულდა კიდევ დიდათაო. ხდებოდა ისეც, <sup>სადაც ნაპოვნია</sup> ზოგი მებატონის გოგო პირველი ღამით სხვაზედ გაიყიდებოდა <sup>მეტი</sup> ბატონის თანხმობით, ამის ფულს ბატონი იღებდა, ამით ყმა გოგოს ბატონი ათავისუფლებდა და მერე თხოვდებოდა ქმარზედ თავისუფალიო. რაც უნდა კაი ღამაში ქალი ყოფილიყო, ის მაინც ნი მან. ზეთ არ გაიყიდებოდა, ხშირი იყო 20 ან 30 მან. ხან მეტ-ნაკლები. მსყიდველები ყოველთვის ბევრი იყო, ყიდულობდნენ თფილისის მოქალაქენი, მათი შვილები და სხვა და სხვა უცოლო მოხელენიც. ხან ასეთ გოგონებს ქვრივ სომხის და ქართველის მღვდლებიც ყიდულობდნენ და ზოგი ისეც ახერხებდნენ, რომ ქვრივი მღვდელი საყოველთაოდ თვით ისვამდა ასეთ გოგოს სახლში ხასად, ისე კი რომ მას ვერაფერს შეამჩნევდა ხასობას, მოსამსახურესავებ ჰყვანდათო.

მაინც უნდა ითქვას, რომ მთელი თფილისის მოქალაქენი საესენი იყვნენ ქართველთ ყმებით. ვერ ნახავდით ვერც ერთს მოქალაქეს, რომ მას ქართველდ ყმები არა ჰყოლოდა, რასაკვირველია ნასყიდნი, ზოგნი ასეთ სყიდვით სახელოვნებდნენ კიდევ, ვინაიღგან მათ ჩვეულება აქენდათ ასეთ ნაყიდ ყმების განთავისუფლებიას. ასეთი ყოფილა ადამ ფორაქაშვილი. 1840 წლებს, ერთს მოქალაქეს თფილისელ სომეხს, თავ. ჩოლოყაშვილისაგან მთელი სოფლის ხალხი დაუხსნია და გაუთავისუფლებია ბატონის ყმობისაგან. ამის გათავისუფლების მიზეზი კიდევ ის ყოფილა, რომ ბატონი ყმებს თურმე დიდათ აწუხებდა და სტანჯავდა. მოქალაქეებმა ასე გათავისუფლებაც ხშირად იცოდნენ სხვა და სხვა დევნილ ყმებისო.

ხდებოდა ხშირად ისიც, რომ თფილისის ხელოსანთ და მოქალაქეთ შორის, რომელნიც ყმანი იყვნენ მებატონის, ესენი ზოგიერთ დაბადებულ შვილებს მალავდნენ, სხვის გვარზედ ნათლავდნენ და მით იხსნიდნენ ბავშს მომავლის ყმობისაგან. ეს ხდებოდა უფრო იმ მებატონეთა წინაშე, ვისაც სასტიკი ზედამხედველობა არ აქენდა თავის ყმებზედ და მან არ იცოდა, თუ მის ყმათა კოლებში ვინ როდის ირსულდებოდა.

ასეც იცოდნენ: ზოგიერთ კოლშვილიან ყმას ბატონი რომ ბინას გაუგებდა და ეწვეოდა სახლში ყმას, მის კოლშვილის რიცხვის შესატყობათ, თუ ამას ყმა წინედ შეიტყობდა, მაშინ ბატონის სახლში მისვლამდე, თუ სამი ყმაწვილი ჰყვანდათ, მაშინ ერთს დამალავდნენ, თუ ოთხი მაშინ ორს, თუ ხუთი, მაშინაც სამს და ბატონს ყოველთვის ნაკლებს უჩვენებდნენ. ასეთ დამალვისაგან ხშირად საოჯახო წვერთა რიცხვის ცნობები საკმარისად დამახინჯებულა.



ყოველივე ასეთი დამალვა ყმაწვილების უმეტესად მებატონეებში ხდებოდა, უფრო ხელოსან, ვაჭარ თ და მუშათა შორის. ზოგი მებატონე თავის ყმებს შვილების გამო არც კი ედავებოდა, მაგრამ რაკი ყმანი შეშინებული იყვნენ, ამიტომ ყველა გაუბოდა ბატონის-შვილს და მალავდა თვის შვილებს. ნამეტურ პატრონები მალავდნენ ლამაზ ყმაწვილებს, რადგანაც ბატონმა რომ ნახოს და მოიწონოს, ვაი თუ იგინი ადვილად წაგვართოსო.

დღესაც სცხოვრობენ თფილისში ისეთი კაცნი და ქალნი, რომელნიც ქორწინების დროს გათავისუფლებულან ბატონისაგან და რომელთაც ბევრი რამ ცნობები ახსოვთ ასეთის ამბების, ხოლო ბევრი რამ ცნობები კი დაკარგულ-დავიწყებული არის.

ესეთივე ამბები დედა ჩემმაც ბევრი იცოდა. თვით მამაჩემს რომ შეურთავს ცოლი, მასაც კი დაუმალავს, რომ შე ბატონი მყავსო. მერე კი, როცა თფილისში ბატონი სწევვია რაქიღამ, მაშინ დიდათ შეწუხებულია დედაჩემი და მისი ნათესავეები და შვილების ჩვენების დროს, ორი ყმაწვილი სარდაფში დაუმალავსთ. ხშირად მომბდარა, რომ ასეთნი ყმანი თაიდანთ შვილებს სხვა პირებზედ გაასაჩუქრებდნენ, ნამეტურ ყმობისაგან გათავისუფლებულს ვაჭრებსა და ხელოსნებზედ, მაგრამ ყოველივე ეს ჩუმიად უნდა მომბდარიყო, რომ სადმე თუნდ მათ მეზობელ აზნაურს, თავადს არ შეეტყო, თორემ მერე მის ცნობას ერთი მეორეს გადასცემდა.

ქართველის გლების ცხოვრება მებატონის ხელში იყო წამება, ტანჯვა, შეურაცხყოფა, დაჩაგვრა, დამდაბლება. გასყიდვა და სომეხთაგან სყიდვა იყო მათი ბედნიერება, თავისუფლად ამოსუნთქვა და ადამიანური ღირსების მოხვეჭა. ქართველ ყმას სომხის ვაჭრის ხელში მონობა უფრო მოსწონდა და ენატრებოდა, ვიდრე ქართველის თავადის ხელში ყოფნა და სამსახური. ასე იყო საკმე დაყენებული, გლენხნი ისე იყვნენ შეწუხებული მებატონეთა მონობისაგან, რომ მათთვის საცხოვრებლად ყველა ტვირთი იქმნებოდა ნატვრით აღებული და შესრულებულ, ოღონდ მით კი ბატონის მონობისაგან გათავისუფლებულიყვნენ.

აი ამ გარემოებამ შეამცირა საქართველოში ქართველის გლების ოჯახი, ამან მოსპო იგი, გააქრო მათი რიცხვი სადღეისოდ, ჩაყლაპა მთელი გვარი, მთელი ნაცია ქართველთა. არ შეიძლება მოიძებნოს ისეთი თავადი და აზნაური, რომელსაც საქართველოს ერის წინაშე აუარებელი ცოდვები არ ექმნეს დადებული. ცნობები არ

არის, რომ ცნობები ძველადგანვე ეწერათ და ენუსხათ, მაშინ მათ  
დღეს აუარებელი ცნობები გვექნებოდა და ეს ცნობები გამოაჩენდა  
ერთს თავ-მოდგმულ ჩირქს და წარსულის დროთა უმეცრებას ქარ-  
თველ მებატონეთა. მართალია, მათში ყველა ცუდი არ იყო, ზოგი  
კარგიც იყო, მაგრამ ესეთების რიცხვი ცოტა იყო, რაც იყო  
და სჩანდა, ეს იყო ცუდის რიცხვი და ბოროტება, რასაც დიდა ის-  
ტორიაც აქვს.

ამ წოდების ბოროტების დასამტკიცებლად კმარა დავასახელოდ  
თუნდ მართოდ ის ცნობები, რაც მათ თავისი ოჯახები თფილისის  
სომეხთ ვაქარზედ აქვდათ დაყიდული.

თფილისის მოქალაქეებს ყმები მრავლად აქვდათ ნასყიდი და  
ზოგთ გათავისუფლებულიც.

შადინაანთ სოლოლაკელ მდიდრებს აქვდათ ნასყიდი და  
გათავისუფლებული ყმანი მრავლად.

ქიშმიშაანთ აქვდათ ნასყიდი და გასყიდულ გათავისუფლებულ-  
ნი ქართველთა ყმანი.

მირზოაანთ აქვდათ ნასყიდ და გათავისუფლებული დიდი ძა-  
ლი გლეხობის, ასეთი ყმათა შვილები დღესაც ემსახურებიან მათ  
სახლში, როგორც მათი ყმის შთამომავალნი.

არშაკუნმა იყიდა 12,000 მან. მთელი სოფელი და გათავისუფ-  
ლა ყველა ესენი გარეთ კახეთისაკენ.

მელქუმოვებს ნასყიდი და გასყიდული ჰყვანდათ ქართველთა  
ყმების საქარისი რიცხვი.

ამირალოვებს ნასყიდი და გათავისუფლებულნი ჰყავდათ ყმანი  
მრავლად.

ყალამქაროვებს ნასყიდი და გასყიდული ჰყვანდათ ყმანი  
მრავლად.

იზმიროვებს ნასყიდი და გასყიდული ჰყვანდათ მრავლად სხვა-  
დასხვა დროს ქართველი გლეხნი და ყმანი.

ბაბანასოვებს ჰყავდათ ნასყიდი და გაყიდული ყმანი მრავლად.  
ხურგულოვებს ჰყვანდათ ნასყიდი და გასყიდული ყმანი მრავ-  
ლად.

ხალათოვებს ჰყვანდათ ნასყიდი და გასყიდული დიდი ძალი  
ყმები, ამათვე აქვდათ ნასყიდი თვით მეფე გიორგის შვილის ყმები  
და ბოლოს ყველა ესენი გათავისუფლებულნი იქმნენ მათგან.

წოვიანოვებს ნასყიდი და გასყიდული აქვდათ გლეხნი მრავ-  
ლად.

ანანოვებს ჰყვანდათ ნასყიდი და გასყიდული მრავალნი მუნთოვებს ნასყიდი და გასყიდული ჰყვანდათ მრავლად.

თამაშოვებს ჰყვანდათ აუარებელი ყმები ნასყიდი, მერე სულ გათავისუფლებულნი ფულით.

ჩვენ აქ ყველა გვარებს ვერ მოვსთვლით. თფილისში შეძლებულ ვაჭართ რიცხვი დიდი იყო. აქ მათი რიცხვი ათასობით შესდგებოდა და ჩვენ კი 15-მდე ვახსენეთ. ყველას მოთვლა შორს წაევა, ისკი უნდა ითქვას, რომ ამ დიდ რიცხვ გვარის ვაჭართ შორის არ იყო არც ერთი კომლი, რომ მათ ნასყიდი ყმები არა ჰყოლოდათ, მარტოდ ერთ ვაჭარს ფრანგს ზუბალაშვილს რაჭაში 400—500 კომლი ჰყავდა დღემდე ნასყიდი, დღესაც აქვთ მათ იქ მამულები და მოხარკე ყმანი. მეორე ქართველ ფრანგს ისარლოვს ძირულისაგან აუარებელი მამულები და გლეხები ჰყვანდა. აქ ამისაც შერჩა დღემდე ეს მამულები. ასეთი დიდრონი შემაშულე ვაჭართ რიცხვი ვინ იცის სად არ იყო საქართველოში, მარტოდ გორის მაზრის სოფ. ახალქალაქის წვრილ ვაჭრებს ვინ იცის რამდენი რა არ აქვანდათ შესყიდული, ასევე დუშეთის მაზრის სოფ. ახალგორის ვაჭრებს, ზოვიერთს პატარა ვაჭარს რამდენიმე სოფელი აქვანდა მთლად შესყიდული. თელავს, სიღნაღს და ასეთ ქალაქებსა და დაბებში მცხოვრებთ ვაჭრებს ჩვენ არ ვახსენებთ, რომელნიც ქართველთაგან ერთობ ბშირად ყიდულობდენ მათ ყმებს.

თფილისში სადღა არიან ორბელიანთ ოჯახები და ყმანი, ბარათაანთ, ციციანთ და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვათა, ყველანი გაჭრნენ საღლეისოდ, მათი მამულები დღეს სულ თფილისის სომეხ ვაჭართ საკუთრებას შეადგენს. ასე ყოფილა ეს სოფელი! აქ მამულები კი არა და საქმე ქართველი ყმებია, ამ მძლავრ მებატონეთაგან ისყიდებოდა არა მარტო თფილისის მამულები—საკუთარი სადგომ სახლ-კარი, არამედ მთელი სოფლები, ტყეები და მასთან თვით ქართველი გლეხები და მერე როგორ?— მთელი სოფლებით, გლეხებით თვით თავიანთის ავლა-დიდებით და საყდრებითაც კი. ასეთ დაყიდულ საყდრებს ჩვენ აქ არ მოვთლით მით უფრო, რადგანაც იგი სხვაგან გვაქვს მოთვლილი, აქ მარტოდ ყმა-გლეხთა გასყიდვის დასამტკიცებელ მაგალითებზედ გვაქვს ლაპარაკი და ისიც გაკვრით და მიტომ ასე ვჭრით.

ქართველ მებატონეს არ აქვანდა თავის თავმოყვარეობა, იგი ბეცი იყო ამაში. სყიდდა თვით თავის უკანასკნელ სადგომ-საცხოვ-

რებელ სახლ-კარსაც კი, ვენახებს, ნივთებს და ბოლოს ვინ იტყობს არ აგირავებდა—ბეჭედ-ძეწვე და სამაჯურებსაც. როცა საქმე ასეთ ნივთებზედ იყო მისული და იგინი არ იშურებდენ მათ დაგირავება-დასყიდვას, აბა მათ საკუთარ ყმებზედ რაღა უნდა ითქვს, ეს ცოცხალი ნივთები ხომ უფრო ადვილად გირავდებოდა და ადვილად იპნეოდა მარჯვნივ და მარცხნივ. ამ გლეხთა დასყიდვა ნურავის გაუკვირდება. ქართველ თავად-აზნაურებმა შესჭამეს თფილისში თვით თავიანთი ოჯახები, თავიანთი თავი, ქონება და გლეხებს აბა ესენი რაღა კეთილს დააყრიდნენ. მართოდ გეურქ-ალა არწრუნმა შეისყადა ნახევარი სოლოლაკი ციციშვილებისაგან.

არწრუნნი გეურქ-ალა ქვემო ქვეყნელი კრუა იყო, ღარიბად მოსული თფილისში, მაგრამ ვაჭრობით იზოდენა შეძლება შეიძინა, რომ ბოლოს შთელი თავადიშვილების მამულებსაც კი ყიდულობდა. ასეთი უცხონი რომ ამას ახერხებდნენ, აბა ძირეულ აქაურ მცხოვრები ვაჭრები რას არ იზამდენ. ამიტომაც არის, რომ დღეს თფილისის შუაგულ ადგილებს მამულ-დედულები სულ ასეთ ტომთა ვაჭართ საკუთარებას შეადგენს, აქ ქართველთა სახლი სანთლათ არის საძებარი. იღუთ თუნდ მაგალითი, მთელს სოლოლაკზედ, სადაც რამდენიმე ათასი სომხის მდიდარ ვაჭართ სახლკარი არის, იქ მათ რიცხვში თქვენ ქართველისას სულ ოთხ თუ ხუთს კაცის სახლს ნახავთ, ისიც პატარებს. ადრე კი ყველა ეს ადგილები ქართველების საკუთარებას შეადგენდა.

მაგრამ ქართველთა ბედშავმა გარემოებამ ყველა ესენი გასყიდა, შეჭამა და იყიდეს ისეთ სომეხ ვაჭრებმა, რომელთაც გუშინ გუშინწინ ტყავი ჰქონდათ გამძვრალი, პირში სული ამოხდილი. ნათქვამია: „მზენ იყავ და გაძლიერდიო“. ასე იყვნენ სომეხთა ვაჭარნი, ჩვენ ვისხედით ცუდათ, ვჭამდით, ვსომდით და მასთან ვყიდდით ყველაფერს, ყოველივე გასავალი გქონდა და შემოსავალი კი არსაიღამა, რასაკვირველია ასე მოგვივლოდა. ასე ვიწმინდებოდით თფილისის ძირეულ სარჩოებიდამა და ასე ვჭრებოდით. რაც შეეხება სყიდვა-გაყიდვას, ესეც ჩვენი ბრალია, სომეხს რომ არ ეყიდა, მაშინ, სულ ერთია, ურია, თათარი, რუსი, ან სხვა ვინმე იყიდდა. ჩვენ ვყიდდით, ვსჭამდით და მასთან ცუდათ ვისხედით და სომეხთა ვაჭრები კი მზნენი იყვნენ, დოვლათის შემძენი და ჩვენი ქონების კი არა და თვით ქართველ ყმა-გლეხთა მსყიდველნიც.

ამიტომაც გახლავსთ, რომ დღეს თფილისში ასე აწმენდილია

როგორც ქართველ კეთილშობილთ რიცხვი, ისევე მათ რიცხვიც, ყოველივე ერთად აიწმინდენ თფილისიდან, ერთად აღი-  
გავნენ თფილისის ასპარაზიდან. დღეს თუ რომ ქართველთ ცხოვ-  
რების რამე ნიშან-წყალი სჩანს, ეს სულ ამ ახალ დროის ქართველთ  
მოსახლეთა ძალას შეადგენს, რომელნიც ბოგანოების მეოხებით ეხლა  
იკრიბებიან თფილისში. აქამდის კი გამჭრალი იყო ყოველივე ეს-  
მაგალითად დავაბოლავებთ ამ წერილს, 1860 წლებამდის, მთელი  
გარეთ ჟბანი—ყაბახით, სულ ორბელიანთ უზარმაზარ სახლებითა იყო  
სავეც და მათის ქართველ ყმებით. დღეს კი მთელს ამ კუთხეში  
თქვენ ქართველთ ზუთის ხსენებასაც ველარ ნახავთ, ყოველივე სხვა  
ტომთა რიცხვს ეკუთვნის, ყოველივე დაისყიდა ქართველთაგან და  
შეიჭამა, უღვთოდ, ასე დაისყიდა როგორც ქართველთ დიდებულთ  
მამულები, ისევე მათი ყმანი და ყოველივე ყმათა ქონებანიც.

## სასულიერო წოდების ყმათა უფილები და მათი მღვდლები

1859 წ. გლებ ყმა კაცის შვილები სასულიერო წოდებაში შეს-  
ვლას ასე მოახერხებდნენ ხოლმე: რომელიმე მონასტერში, ან ვინმე  
სასულიერო პირი, ან ვინმე ასეთი მოსამსახურეთ ვინმე ყმა კაცის  
შვილს დაიჭერდა, ან მოზღებოდა ისიც, რომ ბატონი თავის  
ყმის შვილს რომელიმე საყდარს, მონასტერს, ბერს, ან მღვდელს  
შესწირავდა, რათა ყმის ბატონის სულის საოხათ ემსახურნა მონას-  
ტრისა ან ეკლესიისთვის. ამისთანა შემთხვევით ისარგებლებდა ყმის  
შვილი და თუ მას ნიჭი ჰქონდა, იგი მაშინ მონასტერს, ან საყდარ-  
ში სასულიერო პირთაგან წერა-კითხვას ისწავლიდა და ბოლოს იგი  
ბერობას ან მღვდლობასაც მიიღწევდა. თორემ ბატონის ნება დაურ-  
თველად სასულიერო წოდებაში წასვლა კი არა და თვით ქართული  
ანბანის სწავლების ნებაც არ აქვნიდათ. ვადრე ყმის სწავლის ნება-  
რთვა ბატონისაგან არ ექნებოდა, მიწამ მას თვით ქართულ ანბან-  
საც არავე ისწავლიდა. აი ასე იყო საქმე და მხოლოდ ასეთ შემ-  
თხვევების წყალობით სწინდებოდნენ გლებთაგან სასულიერო წოდების  
პირნი. გლებთა ყმათაგან სასულიერო პირნი სულ ასე არიან.

1859 წ. სოფ. ბახვის მცხოვრებ გლებ ანთაძეები იყვნენ თავ-  
ქაიბოსრო ერისთავის ყმანი. ერთ ამ ყმა ანთაძეთაგანმა მღვდლობა-  
საც მიიღწია, ამიტომ იგი ბატონმა ერისთავმა ყმობისაგან გაათავი-



სუფლა. განვლო დრომ და ამ მღვდლის შვილიც მღვდელი გამოვიდა და, ხოლო ამ მეორე მღვდელს კი შვილი ივანიკა ერის კაცად და მღვდლად არ წაივდა.

ბატონმა ქაიხოსრო ერისთავმა ამაზედ დავა ასტეხა და თავისაგან გათავისუფლებულ მღვდლის ანთაძეს შვილის—მღვდლის შვილს, ივანიკას, ერის კაცად დაშთენილს, დავა დაუწყო, დავაში გაიპარჯვა, ივანიკა ანთაძე იყმო და მერე ეს ახლად ნაყმევი ყმა მისყიდა გოგია და ქულა ჩხატარევიშვილებს. ამ ახალ მებატონის ხელში ყმა რაბდენსამე ხანს დაშთა და მალე ამ ახალმაც ვაჟყადა, იგი მიჰყიდა სახელმწიფო ყმებს გოგია და ლაზარე ქელიძეებს თუ ჩელიძეს. უკანასკნელ მებატონის ხელში ივანიკა ანთაძე დარჩა რაბდენსამე ხანს.

თვით გლეხ ანთაძეები ქაიხოსრო ერისთავს მძღაერებით მიეთვისებია და უყნია, თორემ ესენი მის, ერისთავის საკუთნებელი ყმები არ ყოფილან, ნაკრამ მძღაერს მებატონეს ასეთი მითვისება თურმე არ გაუჭირდებოდა, თუ კი იგი ისურვებდა ამას. მღვდელს ანთაძეს ივანიკას გარდა სხვა ვაჟიშვილებიც ჰყოლია. ესენი ყოფილან ივანიკას შემდგივი ძმები: გოგია და მეორე—იესე. ანთაძე მღვდელს მარტო ივანიკას გაყიდვა არ აკმარა, მეორე მამა თავის შვილით მისყიდა აზნაურს ბეკო მესხს და მე აქე ძმა მიჰყიდა არონიშიძეს. მერე ამათი ძენიც გასყიდა და მიჰყიდა შორაპნის მაზრაში მცხოვრებ აზნაურს ავალიანს.

პირველის დღიდანვე ბატონმა ესენი თავიანთ შვილებით ასე დააპნია და დაქაქა. ივანი და გოგია ანთაძეს არ აკმარა დასყიდვა და შვილებით დაქაქვა, 1857 წ. 19 დეკემბერს მუბტა ივანიკა ანთაძეს და წაართვა კოლშვილი, თვით ივანიკა შერა თოკით და სამ დღე და ღამე ისე შეკრული, უკელ-უსუელი დააგდო ოთახში. ყველა ამაებს ბატონი ჰადიოდა მიტომ, რომ მის და მის ძმებსაც შორჩალება უნდა ერთგულათ გაეცხადებინათ და თავი თვისი ეყმოთ.

ამიტომ ივანიკა და გოგია ანთაძემ მთავრობას მოახსენეს ოზურგეთს ჩივილით, რომ გვიშველეთ რაჟე და გავუწყეთო, თუ ბატონს ნება აქვს, რომ მღვდლის შვილის შვილები დასყიდოს სხვადასხვა პირებზედო, მაშინ არც ჩვენ ამოვიღებდით ხმასო. თუ ბატონს არა აქვს გათავისუფლებული მღვდლის შვილების დაყიდვის ნებაო, მაშინ ნურც ჩვენ ვიქნებით ასე მოთხრილნი და დარბეულნიო.

ამ ახალ-ახალ მებატონეთა ხელში ახალ ნაყმევ ყმებს ხშირად კვი შევიწროებაც გამოუფლვიათ, მაგალითებრ 1857 წ. გიორგობის-



თვეში, სალამოთი გოგია და ივანე ჩელიძენი მიუხტნენ სახლში და სარბევით, როგორც ავაზაკები ისე დაეცნენ ამ ახლად ნასყიდის ყმის ოჯახს და აიკლეს ყველაფრით, ამის ცოლშვილი, თვით ყმაც თავიანთ ოჯახში გადიყვანეს და იქ გირავოდ დაიტოვეს, თან სამაგიეროს თხოვნა დაუწყეს და მასთან შევიწროებაც მთელს ოჯახს. თვით ამ ყმამ იქ გლეხ ბატონის სახლში ველარ დადვა და გადხვეწა საცალა, ბატონს გაეჭკა, თავის ცოლშვილს შორიდან უყურებდა და თან მათის საცოდავობით იწვოდა, რომ ყმებს მებატონენი ასე აწვალენდნენ. ამან ოზურგეთის უფროსთან დავაც დაიწყო შორიდან და ისიც დასძინა, რომ ჩვენ ამათგან ყალბათ ვართ ყმათ შეძენილებიო. ბევრი დავა ატყდა, მაგრამ ყმათა გარემოებას მაინც არა ეშველა-რა.

თუმცა ყმის გასყიდვა მებატონეთათვის ადვილი საქმე იყო, მაგრამ ამას ზოგი მისდევდა და ზოგი კი არა, ზოგს ეს სენი ქირივით სძულდა და ზოგს სიხარულად მიაჩნდა. იყვნენ ისეთი მებატონენიც, რომელთაც სყიდვაც და გასყიდვაც დიდს ცოდვად მიაჩნდათ. იყვნენ ისეთი მებატონენი, რომ მათი ყმის შვილი რომ მღვდლობას ან ბერობამდის მიაღწევდა, მაშინ მათ ბატონი ათავისუფლებდა სიამოვნებით, რადგანაც სასულიერო პირის ყმობა ცოდვა არისო. იყვნენ ისეთი მებატონენიც, რომელნიც მღვდელს თუ ბერს უფრო ბოკავდნენ და იტოვებდნენ ყმას მაგარის წესით და არ ათავისუფლებდნენ მათ, რადგანაც მათგან, როგორც სასულიერო პირთაგან, უფრო კაი ხარჯს აიღებდნენ.

ასე და ამ გვარად მებატონეებში ერთნიც იყვნენ და მეორენიც. იყვნენ ისეთი პირნიც, რომელთა ხელობასაც შეადგენდა გლეხ ყმათა სყიდვა-გასყიდვა, დარბევა მათი და სხვანი. სწორედ ასეთი პირნი ყოფილან გოგია და ქულა ჩხატარეიშვილები, აზნაურები, რომელზედაც აქ მოვიყვანეთ ცნობები მის შესახებ, როცა მათ მისყიდა ბატონმა თავ. ერისთავმა თავის ნაყუვეის ნამღვდლარის შვილები და რომელ ნასყიდთაც პირველად დაუდევს საფუძველი გაყიდ-გამოყიდვის. ებლა მოვიყვან მეორე ცნობას, თუ ეს აზნაურის შვილები როგორ სთხრიდნენ და როგორ იტაცებდნენ ხალხს და ჰყიდდნენ ოთხსაე კუთხიე.

ხსენებულ გლეხ ანთაძეების მებატონეს ქაიხოსრო ერისთავს ისე მოუხერხებია, რომ თვისი ყმა თავის შვილებით გიორგი და ქულა ჩხატარეიშვილებისათვის ჩუმად მიჰყიდნია. ეს გასყიდვა ყმას არც კი სცოდნია, ზოლოს მსყიდველთ ბატონის ნებართვით დაუტაცნიათ და






წაუყვანიათ თვისკენ. ვიდრე გლებ ანთაძენი ამ მოხერხებას ვაიკებდნენ, მინამ მათ ოზურგეთის უფროს ესეთი მოხსენება მისცეს. მან ვარ მღვდლის შვილი და ესცხოვრებდი გურიაშიდ, სოფელს საქარისთავსა, მე მომეტაცა მცხოვრებმა სოფელს შემოქმედის აზნაურმა ქულა და გიორგი ჩხატარეიშვილებმა და მიმყიდეს აზნაურს ბეკო შესბს სალომინაოს მცხოვრებს უსაბუთოდ. გარნა შვილები მომაკალა და .ვისყიდა აზნაურმა ჩხატარეიშვილმა სხვადასხვა პირთ უკანონოდ, შვილები — ვაყები ივანე და იესე და ქალები — მარიაში და ხვარა-წზე, ამისათვის ცნობასა ამასა მოვაწვდინებ თქვენის აღმატებულეებისადმი და ვსთხოვ ღმორჩილესად ქნაით განკარგულება და შეიტყოთ ჩვენი სიმართლე უბრალოდ მოტაცების და გასყიდვის ჩემისა და ცოლშვილისა ჩემისა და შემდგომ აღმოჩენისამებრ ჩემისა სიმართლისა ნუ მოვაკლდებით და ვიქმნეთ გათავისუფლებულ ზემორე თქმულის ჩემის შვილებით თქვენის აღმატებულეებისაგან, რომელიც მოველი ჯეროვანსა განკარგულებასა“. ხელს აწერენ მთხოველი ყვანი და რიცხვი 1858 წ. უზის.

ბოლოს გამოიჩვენა საქმე, რომ ეს ყვანი ბატონს ჩხატარეიშვილებისათვის ჩუმიდ მიუყიდნია ისე, რომ გაყიდულთ არც კი სცოდნიათ, თორემ მსყიდველს ბატონისაგან მიცემული ნასყიდობის პირობაც ჰქონია, ახალ მებატონეებს ამ პირობის ცნობა ჰქონიათ ხელში და მიტომ დაუყიდნიათ იგინი სხვადასხვა პირებზედ. რაკი საქმე ასე გამოიჩვენა ყმათა წინაშე, მაშინ მათ იმეცადინეს და ჩხატარეიშვილებისაგან მისყიდულ მებატონე ჩელიძესაგან თავი დაიხსნეს, ვინაიდან ეს მებატონეც თურმე მათ სულ ძირიან ფესვიანათ სთხრიდა და დღეს უმწარებდა.

ეს ჩელიძე თუ კელიძე, უფრო კი კელიძე, კარგად მომზადებული ბოროტი ყოფილა, ხელობათ „გოთაულობა“ ჰქონია და მასთან თავის ნაყმევთ ოჯახებში ისე ურბევია, რომ ბევრი მისის წყალობით სრულიათ დანაშაულია. ამათვე ჰქონიათ შრო და ოსტატობა მისი, რომ ლამაზ გოგოებს რუსეთისაკენაც მიმავალს ვაჭრებზედ ჰყიდდნენ და მერე ეს ვაჭრები ამ დაყიდულებს რუსეთის გუბერნიის ქალაქების საკაბაჟოებში ასაღებდნენ. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგში ქართველი ქალების წაყვანა რუსეთში და რუსულს საკაბაჟოებში დასყიდვა ძრიელ ძნელი იყო, შემდეგ კი, ანუ 1860 წ. ეს ბოროტება ძრიელ გაადვილდა და ქართველი მებატონეთაგან დასყიდული გოგოებიც მრავლათ მიჰყვანდათ მათ მსყიდველშს და ესენი

---



მათ ჰყიდდნენ იქ კარგ ფასათ სხვადასხვა საკაზპოებში. 1860 წელს  
დამ იმერთ ვაჭრებმა ძრიელ მრავლად იწვეეს ყმა გოგონებს შვიბს  
ტონეთაგან სყიდვა და თვით აღდესი. აქნაც წაყვანა და იქ ური-  
ებზე მეტად კაი ფასებში ჰყიდდნენ თურმე.

ქელიძესთანა ოსტატ ვაჭრებით სავსე იყო თურმე 1860 წ. ქუ-  
თაისი, ფოთი და სხვა ასეთი ქალაქები, ესენი დიდის მადით იყვნენ  
გახსნილი, რომ რაც შეიძლებოდა ბევრი კარგი ლამაზი გოგონები  
ეყიდნათ, მასთან რაც შეიძლება იაფათ და თვით კი კაი ფასებში დაე-  
ყიდნათ. ასეთ ხელობას მისდევდნენ იგინი თვით ბატონყმობის გა-  
დავიარდნამდე.

---

## VII

ჩვენი დროის მოქალაქეთა დასტური

გაბორეშვილის შესახებ

## რედაქციისაზანი:

ყველა ის წერილები, რომლებიც ამ განყოფილებაში არის მოთავსებული, ეკუთვნის ისეთ გლეხებს, რომლებიც ბატონყმობის ეპოქაში თვით ყმებად იყვნენ, ბატონებიც ჰყავდათ და წარმოადგენს ეგრედ წოდებულ მათ თავგადასავლის მოთხოვნას. 1924 წელში შესრულდა 60 წელიწადი, რაც საქართველოში ბატონყმობა გადაეარდა, ასე რომ 80 წლის ზედაველ გლეხს თავისუფლად შეუძლიან მოგვეცეს ესა თუ ის ცნობა ამ სენის შესახებ. ამით ეხელმძღვანელობდით ჩვენ, როცა ამ განყოფილების შექმნა განვიზრახეთ. მართალია, ამ მხრივ სხვა და სხვა საპატოო მიზეზების გამო ბევრის გაკეთება ვერ შევსძელით, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ საილუსტრაციო ცნობებს მაინც ვიძლევით, თუ რამდენად არის ეს საინტერესო, ამის განსჯა თვით მკითხველს მივანდოთ.

## ჩემი ბოლოსიტყვაობა.

სანამ სტამბას გადავსცემდე „ბატონყმობის მასალების“ უკანასკნელ ტომს, რათა ათასობით გამრავლებული, შეიქრას ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში და მოუთხრას არც იმდენათ შორიწარსული ჩვენი ქვეყნის ხორცმეტი ხალხის „რაინდობისა“, უნდა ერთხელ კიდევ გადავავლო თვალი ამ შრომას და მის 'ხოგად შეცდომებზე, თუ გაუნაღლებელ სურვილებზე ვილაპარაკო.

ვიმედოვნებ, რომ საშუალება და გარემოება ხელს შემიწყობენ ამ რამოდენიმე წლის შემდეგ მაინც, უფრო დინჯათ და საფუძვლიანათ დაუბრუნდე ამ საკითხს და სხვა ამის თანამზგავს მასალებითაც შეიარაღებული, (რომელთა შორის ნაწილი გამოცემულია, ნაწილი მუზეუმებში და არხივებში ინახება, მაგრამ გაცილებით უფრო მეტი სოფლად და ქალაქად არის გაპნეული), შევეცდები უფრო დალაგებული აზრი წარმოუდგინო საზოგადოებას იმ ეპოქის შესახებ, რომელსაც ჩვენში ბატონყმური ხანა ეწოდება.

ვინ იცის, იქნებ ხელმარდი ვინმე, ჩვენი ქვეყნის მოქირანახული, უკვე სწერს ამ ეპოქის ისტორიას, რომ ნათელი მოჰქინოს მას, რაც იყო სინამდვილეში და რასაც ხელს აფარებდა ნახევრად გონზე მოსული ბიუროკრატიული აზროვნება...

ყოველ პატიოსან მოქალაქეს, უნდა გაუხარდეს ასეთი შრომის გამოქვეყნება.

მე არ მინდა აქვე შევეხო, თუ რამდენად მიუძღვის ღვაწლი მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის (?) მწერლობას... დეე, ეს ასწონდასწონოს და შეათვასოს მომავალმა ისტორიკოსმა, ჩვენ ერთი რამ მტკიცეთ და ურყევათ შეგვიძლიან განვაცხადოთ: **ბატონყმურ ურთიერთობის განკლებიხა და გაუქმების ხფეროში, მათ არაფერი გაუკეთებიათ.**

ეს ჭეშმარიტებაა... თვით ბატონყმური ურთიერთობის ეპოქა, დღემდე საკრძობლათ გაუცნობელი გახლდათ. იგი ამავე მდგომარეობაში დარჩება თითქმის, თუ ერთგვარი ფხიანობა არ გამოვიჩინეთ.

არ კმარა მარტოოდენ ამ მასალების გამოქვეყნება. მან სასწავლებლის კარებში უნდა შერგას თავი, მაგრამ ვერ მოიტანს ჯეროვან

სარგებლობას, თუ ამ (და სხვა ამ გვარ) მასალებიდან, ტიურ სხეულს არ შეეკმნით და ამ სახით არ გადაესცემთ სკოლას.

საჭიროა გარკვეულათ დასაბუთდეს:

ა) პირველი ღამის უფლება და პრაქტიკა,

ბ) ყმების კევრში შებმის საკითხი,

გ) ყმათა ყიდვა-გაყიდვა და დაცლა,

დ) დაროზგვა და მრავალი სხვა შინაგანი ცხოვრების საკითხები.

ამ სენთა გარშემო უამრავი მასალები მოიპოვება. საჭიროა მათი საფუძვლიანი დახასიათება.

სოფლათ, დღესაც უამრავი მასალები არის, ერთი მხრით მრავლად ცოცხლობენ ყოფილი ყმები, რომელთა შორის, ზოგიერთ მათგანს თავიანთი თავგადასავალიც აქვს ეწერილი. ერთს ასეთს თავგადასავალს აქვე ვათავსებთ. ცოცხალ ობიექტებში თქვენ შეხედებით გლესს, რომელსაც გამოუვლია: პირველი ღამის „მშენიერება“, კევრში გაბმა, პირუტყვებზე გადაცლა, გაროზგვა და ათასი სხვა გვარი ვაი-რბედურება.

მე გულწრფელათ მინდოდა ასეთი მასალების საფუძვლიანი გამოკვლევა და ვნანობ, რომ უდროობის და ავადმყოფობის გამო ბევრი ვერაფერი გავაკეთე.

ამ მასალების დაკრძების დროს, კურონოზულ შემთხვევებსაც ვხვდებოდით: იანვრის შუა რიცხვებში გავიგე, რომ ს. წითელ ქალაქში ცხოვრობს 150 წლ. მოხუცი ქალი მამასახლისოვისა. ნამკერების გამო, მხოლოდ ცამეტ თებერვალს მიველ ადგილობრივ და, ჩემდა სამწუხაროთ, ის საწყალი მოხუცი ქალი, ორი დღით წინ გარდაცვლილიყო.

ეს, რასაკვირველია, შემთხვევაა. ასეთი პირები დღეს დღეობით, ჩვენს სოფლებში, საკმაოთ ცხოვრობენ და ურიგო არ იქნება, თუ მათი ცნობებით ვისარგებლებდით.

ამას გარდა, პროვინციაში მე აღმოვაჩინე, (რასაკვირველია ადგილობრივ ამხანაგების დახმარებით, რისთვისაც მათ გულწრფელ მადლობას უძღვნი) ხუთი ისტორიული საბუთი, მათ შორის ერთი რვეული, რომლებიც საქართველოს მუზეუმის საკუთრებათ დარჩება.

ამ გზითაც შესაძლებელია საკმაო დიდი საბუთების შექმნა, თუ ზომები იქნება მიღებული.

და ბოლოს, რომ ერთი და იგივე, სხვა და სხვა ადგილას ჩემ მიერ (შენიშვნებით თუ წერილებით) გამოთქმული აზრი და სურვი-



ლები არ გავიშვებო, მინდა, როგორც რედაქტორმა, ვსთქვა, არც მე ვარ კმაყოფილი ამ წიგნებში მოქცეულ საბუთების დაწესების დაწყობით.

თუ საქართველოში დაერჩი და მასთან ამ შრომამ ხელმეორე გამოცემა მოითხოვა, შევეცდები ეს დანაკლისი გამოვასწორო, მასალების დაწყობის თუ სხვა მხრივ, მანამდე კი—უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რაც არის.

მირ. ხუბუნაიშვილი

15 თებერვალი 1925 წ.

# შაქარო წვერიანდვის

## ავტოგრაფიონი

(1902 წელს მარიაშობის თვის 1 დღეს)

ვიწყებ და შევთხოვ მე ზაქარ იოსების ძემ, იგივე შაქარა, წვე-  
რიანოვმა, სიყრმიდგან სასჯელები ჩემი მებატონეზისა ჩემისაგან, ესე  
იგი, თავადი ესტატისა და ძისა მისი ლუკა თარზან-მოურავებისაგან.

### პირველი წაყვანა მოსამსახურეთა

ვიყავით ათას რვათა ოცდა ათიდგან დაწყებული დავაში, ოცდა  
თორმეტი კომლი თავისუფლების მაძიებელნი და ამ მიზეზებისა  
გამო მოიხმარეს ძალა და იძულება უმეტეს ჩემის საცხოვრებლისა  
წახდენა სხვადასხვა მიზეზებითა და ამისათვისა დავწერ ჩემს სასჯე-  
ლებსა.

წამიყვანეს მოსამსახურეთა ცამეტის წლისა. დავრჩი ვიდრე  
ექვსი თვე. როგორათაჲ ყმაწვილს შემემთხვა წაქცევითა ჭურჭლის  
დამტვრევა და რა გაიგონა ქალბატონმა, სოფიო ციციანოვის ქალმა  
ხმა დამტვრევისა, გამოვარდა, გაშფოთდა, დამიჭირეს და ამკიდეს  
ერთს დიდს ახმახს კაცსა, დამიჭირა მაგრა მკლავები ამ კაცმა და  
მომდგა ეს ქალბატონი კარგა რბილის ჯოხითა—დამიწყო ცემა.  
შეუბრალებლათა ვტირი, ვყვირი, ვიქნევ ფეხებსა, მაგრამ სად არის  
შებრალება. როდესაც გული იჯერა, ჩამამხსნეს და ტირილით მივეგევი  
ზერის კარებთან. როდესაც დასხდნენ სადილზე, გავძვერი ამ ზერის  
კარებიდგან და მოვეკურებლე შინისაკენ და რა მივედი სახლში და-  
ვიწყებ ტირილი და უამბე ეს ჩემი შემთხვევა ბებია ჩემსა და იმ  
შემთხვევესა გამო უთხრა ბიძა ჩემმა ანდრიამ მამაჩემსა იოსებსა:  
ძმავ ეგ ბიჭი წაიყვანე სადმე, მოაშორე, თორემ ეგენი აღარ მოგვა-  
სჯენებენ, აქედან მოაშორეო. მაშინ მამაჩემმა წამიყვანა ქალაქში და



ერთ ნაცნობ ჭონს მიმცა შევირდით ხელობაზედ, ოთხი წლოვნიანი  
შემდეგ მომიკითხეს ისევ მსახურათა. უპასუხეს—თქვენის გალანხეთა  
შვილი დავკარგეთ, არ ვიცი თუ საით გაიქცა. ეტყვის ბატონი: ან  
იპოვნეთ ანუ ათი თუმანი გადიხადეთ. კაცების შეყენებითა მაინც  
ხუთი თუმანი მისცეს და კიდევ მაინც მეძებდნენ და მეც ძალიან  
გაფთხილებული ვიყავი, როდესაც შემხვდებოდნენ და თვალს შევასწ-  
რობდი იმათ მოსამსახურეებს ქალაქში, ვემალებოდი.

ამ ოთხ წელიწადში დაერჩი ჭონთანა. ჩვეულება ჰქონდა ჩემი  
ოსტატის ცოლსა, როდესაც აბანოში წავიდოდა, ბოხას წაუღებდა  
და ვყარაულობდი იმათ ტანისამოსებსა. ერთ დროსაც წამიყვანეს  
აბანოში და როდესაც გაიხადეს, შევიდნენ და მე როგორც ყარაული  
ტანისამოსისა, დავჩი, აბა რას მოვიფიქრებდი, თუ ჩემი ქალბატონი  
აქ აბანოში ბძანდება. უბანია და გამობძანდა თეთრ-წითლათ ვალვი-  
ბული, შევხედე, ეს ჩემი ქალბატონია, თან მოახლე ახლავთ და, რა-  
საკვრელია, ამეშალა ბალანი, მაგრამ მეც კი გამოცვლილი ვახლავარ  
ამ ოთხი წლის განმავლობაში. როდესაც ჩაიცივეს, დამიწყეს ცქერა  
და ისინი რომ მე მიყურებენ, მე სხვა ბიჭებს ველაპარაკები სომხუ-  
რათა, —ქართულს სრულებით არ ვიჩენ. ეს ქალბატონი და მოახლე  
ერთმანეთს ელაპარაკებიან: რა ვქნა, ეს ბიჭი ჩვენ შაქარასა გავს,  
მოახლე ეუბნება—ის არ ვახლამთო. თუმცა ბიჭებს ველაპარაკები,  
იმათაც შელიასავით ყურს უკლებდი. მე მეგონა თუ ესენი, რაკი  
ჩაიცივეს, ჩქარა წავლენ. თურმე რასა ბძანებთ! ჯერ ჩაი შემოოტანეს,  
მიართვეს, შემდგომ სადილსაც იქ აპირობს. ვნახო, ვიდრე ჩვენები  
იბანებენ და გამოვლენ, ამ ჩემს ქალბატონს ფურნეში შემწვარიც  
მოართვეს. ერთი მოსამსახურე ჰყვანდა, ქალაქელი ქულქჩი ზაქარა,  
იმანაც კარგი ღვინო და სხვა საქმელები მოართვა, სადილი იქ  
მიირთვეს, როდესაც ეს ჩვენებიც გამოვიდნენ—ჩაიცივეს და წავედით.  
უამბე ეს გარემოება ჩემი ოსტატის ცოლსა. ამაზედ მიპასუხეს—რომ  
ეტნოთ რას გიზამდნენო?—მსახურათ წამიყვანდნენ.—როდი დაგანე-  
ბებდითო. ამ გეარათ გადავჩი.

### მოსვლა ჩემი ქალაქიდანა.

მეხუთე წელიწადსა გავალე ახალქალაქში, ჩემს საკუთარსა მა-  
მულში დიდ სახემწიფო გზაზედა, დუქანი—სამიკიტნო. გავმართე  
დიდი კანუშნა და ოთახები მგზავრებისათვისა, რომელიცა იყო იმ  
ჟამათ ჩალვადრების დროება და რა ნახეს ეს ჩემი კარგი ვაჭრობა



მებატონეთა, ჩემს საკუთარ მამულში, მაშინ დამიბარეს და მეცხადეს ჩემო წვერიანაშვილო, იცი რისთვის დაგიბარეთ?— გვიბძანეთ ბატონო—შენ უნდა დუქნიდან დაგვასარჯო და ყოველივე დასწერო.—რა მეტი გზა მაქვს. ამათ აღწყვეს პირი და რაც კი გვეპოებოდა დუქანში: თევზი, ხიზილალა, შაქარი, ბრინჯი, საპონი და სხვადასხვა, რაც კი გვეპოებოდა, მიჰქონდათ. გამოგზავნე ბატონმაო, გამოგზავნე ქალბატონმაო—ეს „გამოგზავნე“ არ თავდებოდა და მეც ვწერდი, ვიდრე ერთა წელიწადი, იქამდინ ვიდრე შეუღლებოდათ თხუთმეტი თუმანი მეტი. შემდგომ დამიბარებდნენ, დაეთარიც თან წამოიღეო. ავიტანდი და უანგარიშებდი. მიბძანებდნენ: აი ჩვენო წვერიანაშვილო, ეხლა ფული გვაქვს გაწერილი და შენ გაწერია ათი თუმანი, რაც დარჩება, იმასაც გავიბირებთო. ეს ფულის გაწერაც ხშირათ იცოდა—სხე წელიწადში სამჯერ ათ-ათ თუმანს შემაწერდა. გარდა ამისა ორჯერ სარწყავისა, სამკალის ფული, ხაბაზის ფული, აგრეთვე ბეგრის მუშა. უკეთუ ერთს დღეს მუშა არ გამგზავნა, სალაპოზე გამოგზავნიდა მსახურს და ან ერთი მანეთი იმ დღისათვისა, ანუ ერთი ლიტრა ქონის სამთელი უნდა წაეღოთ და ეს გამოგზავნაც დუქნიდგან არა თავდებოდა, იქამდისინ წელიწადში შემიდგებოდა ორმოცდა ათი თუმანი. ესე რამდენიმე წელიწადი ვიყავი ამ ვაებაში. შემდგომ ამისა იწყო საზღვრის შენება და ერთი კაცი და უღელი ხარით გვამუშავებდა ჩვენის პურითა, ეს დაგვიმატეს—და რა ვნახე იმათი გარემოება, შემდგომ დაწერა რა საჭირო იყო. ამასთანვე ფუტკარი გვყანდა კარგი გაძლიერებული და ნათქვამი ვახლავთ: „შიში შექმნის სიყვარულსო“ და ერთხელ ახალწელიწადსა დღესა ოაფლი მივიართვით და მიულოცა ახალწელიწადი მამაჩემმა იოსებამა. იმ ეამათ მადლობა უბძანა ამ თაფლისათვის, მეორე წელიწადსა თითონ მოიკითხეს: ჩემო იოსებ, რათ დაგვივიწყე და თაფლით არ მოგვილოცეო. კიდევ გაუგზავნეთ. ფუტკარიც მოგვპარეს და დაგვიწილდა. მესამე წელიწადსაც მოიკითხა—ჩემი თაფლი გამოგვიგზავნეო. მოვახსენეთ—ბატონო ფუტკარი მოგვპარეს და სრულებით დანელდა და თაფლი რისა ვახლდებათ, პასუხი მიუტანა ბატონსა მოსამსახურემა. მაშინ უბძანებს მოურავსა, რევაზა ქვიან, ოსსა და გამოგზავნის ერთი სხვა მოსამსახურითა და უბძანებს:—უკე თუ თაფლი არ მოგცესთ ერთი ლიტრა, დარბიეთო. როდესაც თაფლი აღარა გვქონდა, ვერ მივიართვით და მაშინ დაგვარბიეს, დაგეტაცეს სამი საკმლისა ქვაბი და შერჩათ.



ამისათვის იყენენ ამ გვარის წახდენის ფიქრებით, რადგან ვისუფლების მძაბებელი გახლდით, რომ ყოველი საცხოვრებელი დაგვეცალ-ნ, იქამდისინ რომ აღარ გვეუნდეს ღონის ძიება დავისა.

ამასთანავე ერთს დროსა—გამოელთა პური ესტატე თარხანოვსა და რადგანაც ვეკ-ობაში გახლდით, გვაძულებდა პურსა და შეგვაწერა ოცდა ხუთი კოდი პური. რასაკერეღია ვნახეთ და მოვახსენეთ: —ბატონო, ჩვენ, კარვით მოგეხსენებათ, ხვნა-თესვა არა გვაქვს და პური რისა გვექნება. ამაზედ გვიპასუხა:—ეგ ლაპარაკი და თოვნა შენთვის შეინახე, ჩემო წვერიანაშვილო, მე გიბძანებთ, გინდა იყიდე და გინდა შენახული პურიდგან მოგვეციო, მე გიპოვნით სადაცა გაქვსთ შენახულიო. იმასა ჰყ ანდა ჩვენთან დაახლოებული მეზობელი შპიონათა—კონა ნაზარაშვილი, ამათი დიდი საყვარელი და ყოველთვის მეთვალყურე, სად რა გვეპოებოდა სულ იცოდა. აგრეთვე ჩვენ მოჩივარი, თავისუფლების მძაბებელი ოცდა თორმეტი კომლთაგანი ბევრჯელ მოვახდენდით ყრილობასა და დაგაწყობდით საქმესა, თვით მე და გრიგოლ ფირალოვი ვაკონებდით ჩვენ დამარწმუნებელ ხალხსა ს.ჩივირისა არბ.ბისათვისა და ხარჯებისათვისა.

საჭირო ფულს შეკრეთასა და ამ გვარს საქმეებისათვისა ამიებინ დიდი ფეხილობა ჰქონდა იმათ შპიონსა—კონა ნაზარაშვილსა და ყოველთვის ამ ჩვენს გარემოებას დაუთვლიდა ლუკა თარხანოვსა. ამ პურის შემწერაზედა დაეხიზნეთ პურიცა და ლეინოებიცა დაითა სიახლოვესა კაკოლა და გიორკის მარანში. პური საწნახელში და ლეინოები ქვერებში. მაშინ როდესაც ძალა დაგვატანეს იასაულეებითა, ორმოებო და ქვევრები გაჩხრიკეს და ვერა იპოვნეს რა, დიანბეიცი იქა ბძანდებოდა ნანუკოვი. მაშინ ეტყვის კონა ნაზაროვი სეკრაჯათა—მანდ ტყვილათ ეძებთო, ანიშნა—აი, იმ მარანში აქვსთ დახიზნულიო. მაშინვე დიანბეგმა ის მარანი დაბეჭდა ლუქითა. პატრონი გიორგი გალუსტოვი იყო ქალაქში წასული საეაქროთა. რა მოვიდა, ნ.ხა თავისი მარნის კარები დაბეჭდილი ლუქითა, ამაზედ დაგვიწყო ჩხუბი—თქვენის მიზეზით ჩემი მარანი დაუბეჭდილათო. მაშინ იყო პურის ძვირობა და კაცების შეყენებით აუტანეთ შეიდი თუმანი ფული და აუხენთ კარები.

ამასთანავე ოთხი თვის განმავლობაში შემაწერა ათი თუმანი ფული, აუღია ბძანება ნაჩალიკისაგან და ჩაგვიყენა ორი იასაული ცხენებით,—კუდა მშვირი ახნაურები, ტატო მაღალოვი და მერე იოსებ თაზიშვილი და რასაკერეღია დარჩნენ ოთხი დღე და ღამე. იმ

ქამათა გვეყავდა შვიდი სული საქონელი და ერთი ცხენი, დაიწყო მისი  
მაკციანთ ბოსელში განშორებითა და ვართ გაფთხილებულნი. ერთ  
დღით ჩამოვიდა იმ ბოსლის პატრონის ბიჭი და გვითხრა:—შაქარო,  
ბიჭი გამოგზავნე, რომ საქონელს დაუყაროსო. ამ დროსა ეს იასაუ-  
ლები დუქანში არიან, ამათ ყური მოჰკრეს და ამ ყმაწვილსა ბიჭსა  
ტყბილათ დაუწყეს ლაპარაკი და ჰკითხეს:—პატარა ბიჭო, ვისი  
ხარ?—მაკციანთი ვარო.—ამათი საქონელი იქ თქვენთან არისო?—იქ  
არისო, რა იცის ამ უგუნურმა ყმაწვილმა.—აბა გაგვიძეხი და გვა-  
ჩვენეო. ჩვენ გადაუსხვადფერეთ, მაგრამა იმათ არ დაიშალეს, გაჰყენენ  
ამ ბიჭსა და უთხრეს—აბა რომლები არის იმათი საქონელიო. აჩვენა-  
გამორეკეს ეს შვიდი სული საქონელი და ერთი ცხენი, დაირკეს და  
წაასხეს. დღესაც შერჩათ. კიდევ ვაძლიეთ ათი თუმანი, მაგრამ  
აღარ დაგვანებეს..

ამაზედ ვადგენ ამ ჩემსა შეწუხებასა და თავდადასავალსა, რად-  
განაც მოჩივარი გახლდით, ყოველთვის იმ ფიქრებში იყენენ—თუ რა  
მიზეზი უპოვნოთ და საცხოვრებლისაგან დავცალოთო. შემდგომ ამი-  
სა ილიკო თარხანოვი ეტყვის ლუკასა: ლუკა, შენ ვერ ჩადიხარ კაი  
საქმესა.—თუ როგორ, ბიტონო?—ასე რომა, იცი მე მაჩიოდნენ ვგ-  
რე თავისუფლობაზედ—დურგლის შვილებიო, ავდექა, ისინი სულ  
ავიკლე საქონლიდგან და ყოველი საცხოვრებლისაგან სულ დავცალოო,  
რომ აღარა შევარჩინე რაო და როდესაც აღარა ჰქონდათ რა, მაშინ  
დაანებეს დავას თავიო. შეემაძინებულო, მოჰყოლიხარ და შენ  
წვერიანაშვილები გაგისუქებიაო და რასაკვირველია ისინი დავას არ  
შოვიშლიანო. შენც ისე უნდა აიკლო და ყოველი საცხოვრებელისაგან  
დასცალო და მაშინ ველარ იდავებენო, შენც ასე უყავიო.—რასა-  
კვირველია ეს ილიკოს სიტყვა ამას დიდათ მოეწონა და გულში  
ჩაიდო ლუკამა. ახლა ფიქრობს, თუ რა მიზეზი უპოვო, რომ იმ მი-  
ზეზით ისე ავიკლოო და უმიზეზოთ ვერა ბედამა. დიდ მარხვის ბო-  
ლოს კვირა არის, დაუწერია წიგნი, დაუბეჭდია და ჩამოგზავნა მსა-  
ხურის ხელითა და გვითხრა:—ეს წიგნი უნდა წაილოთო ხვედურეთ-  
ში, ივანე ციციშვილთანა და იმისი პასუხაცა ჩქარა ჩამოუტანოთ,  
ბატონმა ასე გიბძანათო. რა უარის თქმა შეკვეძლო, როცა ვიცოდით  
ყოველთვის მიზეზს ეძებდა. არა გვექნდა მოცალეობა და ჩვენი მოჩი-  
ვართაგანი კაცი დავიჭირეთ ჰირითა და გავგზავნეთ ეს წიგნი  
ხვედურეთში. იმ ქამათ ივანე ციციანოვი შინ არ დახვედროდა,  
უთხრეს ქარელში არისო და უნდა მოუცადო მოსვლამდის, რომ პა-

სუბის წიგნი გაგატანოსო, მეტი რა შეეძლო, მოუცადა ვიდრე ორი  
დღე, მოზძანდა და პასუხიც დაუწერა და გამოგზავნა. რადგანაც  
იგვიანა ამ კაცმა, აღდგომის შაფათი არის და წირვაც დარეკეს, ამ  
დროს გამოგზავნის მსახურსა იოსებს—წიგნის პასუხი რათ დაგვიკვი-  
ანეთო. მამა ჩემმა უთხრა, ესტატე ხუციშვილის ხელით გავგზავნეთ და  
ჯერ არა გხლებიათ, გიახლებათ და მოგართმევთო. მაშინ განმეო-  
რებით გამოგზავნის მსახურსა-თუ ბატონმა აქ ამოდიო. რა იცის სა-  
წყალმა მამა ჩემმა, თუ რა დღეში ჩავარდება. როდესაც წავიდა ერთი  
ლიტრა ქონის სამთელი შეჯავნული თან წაიღო და მივიდა და მიუ-  
ლოცა. უთხრა განრისხებითა—იოსებ წიგნი რათ დაგვიანდა. კიდევ  
მოახსენა—ბატონო ესტატე გავგზავნე და ჯერ არა გხლებიათ და  
მოგართმევთო. მაშინ გაწყურება, შეგინებს—შე მამაძალლო, ესტატეს  
მე ვერ ვიცნობდი, ისიც ჩემი ყმა არ არის, გაუშალა, შემოჰკრა იმ  
მოხუცებულსა კაცსა, წააქცია, ის ქონის სამთელიც სულ ზედ დამ-  
ტვრია, შედგა წიხლით, ისე გახადა, რომ თავიარი სისხლით შეუ-  
ლება. რომ გული იჯერა, დაუძახა ბიჭებსა: ჩქარა, ორი ურემი შეა-  
ბით და ამით დუქანში რაცაა ჩამოიტანეთო.

ეს საწყალი ნიციეი კაცი წამოხტა, რომ გაიგო ასაკლებად მო-  
დოსო და სხვა გზაზედ გამოიქცა, რომ ეგება დუქნიდგან გადავარ-  
ჩინო რამეო. რა დაინახა ეს ნიციეი კაცი გაჩქარებულნი, მაშინ თი-  
თონაც გაშფოთებული წინდებით გამოიქცა შუა სოფელზე და რა  
ნახეს ბაზრის ხალხმა, სთქვეს—ეს რალაცა ანბავიო და მრავალი ხალ-  
ხი დაედევნა—და მე იმ ეჟამდ რა ვიცი, ჩემი დუქნის სიახლოვისა,  
თომა ვალუსტოვის დუქან წინ, მივედი და მიულოცე ამ თომასა ქრი-  
სტეს აღდგომა. ვნახოთ ეს გამოქცეული ბატონი მეცა და ერთი გა-  
მწარებით შემამკრა, ისე რომ თვალთ დამიბნელდა, თავი შევიმაგ-  
რე, ვეცი გამწარებული, შემოვიგდე მოგვერდზედ, წავაქციე და წაუ-  
კირე ყელში. ახლა რა ვიცი, თუ ამას ასე სწრაფათ რამოდენი ხალ-  
ხი მოსდევს, ახლა ნახეთ ჩემი უბედურობა და წაქცევა ჩემი: დამე-  
სიენენ მოსამსახურეები და თითონ ისე გამხადეს, მამაჩემზედ უარე-  
სი დღე დამაყენეს. ურემებიც მოვიდა. შევარდა ამ გამართულს დუ-  
ქანში კეტითა, შემოჰკრა და რაც შეშეული იყო სულ ეღრიალით  
ძირს დაუშვა შეშეული, მოუყენეს ორი ურემი, გამოზიდეს სულ,  
რისაც მქონე გახლდით, დაცალეს ერთი ყუთი, შიგ ფული მქონდა  
და ვერცხლეული იყო, ესე ვიდრე ოცი თუმნისა, ესეც გაიტანეს, და-  
უდეს ამ ორ ურემსა და დუქანსა კლიტე დაადეს, რომელიცა იწვი-



რეთ სულ, წაღებული და წანახდენი, ორმოცდა ხუთი თუხმისა იყო. სხევებს აღდგომის სიბარული ჰქონდათ, ჩვენ კი ვიყავით გაღახული და მწუხარენი, ღმერთმ ნ ყოველს ქრისტიანს გაშროსთ იმისთანა უბედურება. ამაზედ ბევრი იტყვის— ამ შემახვევაში ხალხი არ იქნებოდაო, თუმცა ხალხი ბევრი იყვნენ და აგრეთვე სხვა თავადებიც ამ აკლებახედა და ეუბნებოდნენ:— ბატონო ისე რათ გინდა რომ წაახდინო შენი გლეხი, რომ ველარ იცხოვროს და შენი სამსახურიც აღარ შეძლოსო, მაგრამ ვისი გააგონა! იმას ისე სურდა— ილიკოს დარაგება შესრულდებინა.

ამ სასჯელის დროს კნიაზ ვარანცოვი ახლათ ერთის წლის მობძანებული არს და მე თითონ, შაქარამ, გამოცხადე გორის ნაჩალიკსა, იყო რუსი სერებრიაკოვი. ბაბა ჩემი და ჩემი ამხანაგი გრიგოლ ფირალოვი წაიღნენ ჰალაქში და ეს უბედურობითა შემთხვევა ყოველივე დაუთვალეს თავისუფლების მძიებლებმა— აღდგომის დღეს აკლება. რა წაიკითხა კურთხევით განსვენებულმა ვარანცოვმა, რომ ქრისტეს აღდგომის დღეს აუკლია მებატონესა თავისუფლების მძიებელი გლეხო, ეს ჩემი ხელით უნდა განვიძილო და გადაეწყვიტოვო. მაშინ მისწერა გორის რეზდის ნაჩალიკსა გაჯავრებით: შენ რის ნაჩალიკი გდებარ მანდა, რომ აღდგომა დღეს თავისუფლების მძიებელი კაცი აუკლიათო. მაშინ მისწერა ნაჩალიკმა: მე ველარ შევიძელი, თუმცა კიდევ გამამიცხადეს, მაგრამ მეტაო წინააღმდეგნი არიან თავად თარხანოვნი და უკეთუ ინებებთ წი ათ მაგათი მოურავის კვალათ არს სულისაკან გადაწყვეტილი სამსახურისა, წარმოგიდგენთო. მაშინ მისწერა ნაჩალიკმა და წარუდგინა ჩვენი სიმართლე. რა განიბილა ვარანცოვმა, რომ ჩვენი ძველი სამსახურისა მოურავს კვალათ, ასე ხუთი მანეთიდან ათ მანეთამდინ კომლზე, და ამ გვართ გადასწყვიტა ვიდრე სენატიდან დასრულდებოდეს ამათი საქმეო, იმ დროს ჩვენი საქმე სენატიში წარმოებდა, მაშინ კურთხეულმა ვარანცოვმა გამოგზავნა გადაწყვეტილობის უქაზი და უბძანა გორის ნაჩალიკსა ამ უქაზის ძალით შეჰყარე ხელის მოწერითა თავადნი და გლეხნი, რომ ხუთი მანეთიდან ვიდრე ათ მანეთამდინ, მეტი შეწუხება ვერ გაბედონ თავად თარხანოვებმა, აგრეთვე ვერ შესძლოს ვენახებიდგან კულუბების წართმევაო, ვიდრე ამათი საჩივარი დასრულდებოდესო. მაშინ გამობძანდა ნაჩალიკი, დაიბარა სულ თარხანოვები და აგრეთვე ჩვენ გლეხნი და გამოაცხადა გადაწყვეტილობა და ხელიც მოაწერინა, როგორათაც თავადებსა, აგრეთვე ჩვენცა. ასე ამ კვალათა



ხუთი მანეთიდან ვიდრე ათ მანეთამდინ ვეშახურებოდით ვიდრე ერთი მანეთი წელიწადი, მაგრამ მაინც არ მიხედეს ამ გადაწყვეტილებას და მძლავრობდნენ, ვენახებიდან კულუხების წართმევასა.

შემდეგ ამისა ვიდრე დასრულდებოდა სენატიდან და მოისპობოდა დავა ამ დასრულებამდინ იწყეს კულუხების წართმევა და იღარ მიხედეს გადაწყვეტილობასა. მაშინ ჩვენ, გლეხებმაც დავიწყეთ მძლავრობა იმ გადაწყვეტილობის ძალითა და გავებდეთ ბრძოლა როგორათაც ჩვენი მოჩივარი ხალხის ყრილობითა: ასე რომა, რომელთანაც მივიდოდნენ კულუხების წასართმევად, მრავლობით კეტებით ვიმძლავროთ—და იყო თანხმობა ჩვენი და კიდევ გავებდეთ.

პირველათ მე, შაქარას, მამიბტნენ—ესტატე თარხანოვი და ორიც სხვა დავითი და იასონი თარხანოვები თავიანთ მოურავითა და ათი სხვა—გლეხებითა, იმ დროს, როდესაც არის ვენახი მოკრეფილი, საწნახელი სამსე, ხოლოთ მარანი დაკეტილი არის, მაშინ გვიბძანა ესტატემა, კარების ვაღება მარნისა და მოვახსენეთ: ბატონო გასაღები იქ არ გახლამთ და აგერ გავგზავნით და მოვატანინებთო, ისინი არხენით არიან, იმათ ის ზომ არ იცოდნენ თუ როგორი გახალები მოუფიქრდათ. არის იმ დროსა შაფათი სალამო, ჩვენი მოჩივარი ხალხიცა შეკრეფილი იყო ეკლესიაში და წინათვე ჰქონდა ცნობა, როდესაც გამოვიდა ლოცვა, ამ გასაღების მომტანმა უთხრა ამ ჩვენს ხალხსა. მაშინ დაერჩივნენ ვიდრე ასი კაცი, ჩამოიარეს ორლობეში, გადაცინდნენ ვენახებში, დავლოჯეს მაგარი სარები და გაიმართნენ კარგის კეტებითა და მიადგნენ ამ ესტატე თარხანოვსა მარნის კარებზედა. რა შეუბდა ამ ხალხის შემზადებასა, სთქვა: ეს კარგი გასაღები მოიტანეთო. წავდექით და მაგრა დაუწყეთ ლაპარაკი: ბატონო რათა ხართ წინააღმდეგნი მთავრობისა, ან რათ სწყუხდებით და ანუ რათ გვაწუხებთ, დავემორჩილნეთ მთავრობის ბძანებასა, უკეთეს იმძლავრებთ, იცოდეთ აქედგან ერთი ვერ წახვალთ ცოცხალი. მაშინ ველარ გაბედეს, მოტანილი რუმბები აიკიდეს და წავიდნენ დიდის მუქარობით და შევიდნენ თავიანთ შპიონი კონანაზაროვის ოთახში იმ განზრახვითა, რომ ამათ ეს ხალხი მოშორდება, მაშინ დავეცემით და წაეართმევთო. ის ზომ არ იცოდნენ თუ ჩვენი განზრახვაც როგორი იყო. ამ ხალხსა დაუკალით ერთი კარგი თხა და ერთი კოკა ღვინოცა გამოუტანეთ და გათენებამდისინ სიმღერით დრო გაატარეს, როგორც დღეობას ხალხი და ყურძენიც სიმღერით დავწურეთ.







ათის განმავლობაში მობრძანდა გრიგოლ თარხანოვიც რვა კაცი, მკვლავებით, რუმბებით გაპართულნი და რა დამინახეს—მიბრძანა გრიგოლ თარხანოვმა: წვერიანა შეილო, შენ აქ რას აკეთებო. მე მოვახსენე—თქვენ რილასა ვის მობრძანებულხართ. შენ რაში გიკითხებაო და აიშხირა შემოსაკრავით. თურმე გიგოლასაც ეყურება ეს ჩვენი ლაპარაკი და იმ დროს კიდევ გადავძახე:—გიგოლი!—აქა ვარო, ამოვიდა. ხელა მაგრა დაუწყეთ ლაპარაკი, აშ დროს ერთი შემოკრა გიგოლას და კიდევ გადავძახე ხეა მალლიე:—ბიჭიბო! სწრაფათ გადმოცვიფდნენ მტრედებზეთ ეს თხუთმეტი კეტინანები, დაერივნენ, მე ვიცი გრიგოლსა და ამოვიდე ქვეშა, ხანჯალი დავაგლიჯე და ვაზებში ვისროლე, გიგოლამ დამიძახა: შენ ეგ არ აღშვავო, დაეაწიე მაგრა, ხელზედაც მაკბინა, მაგრამ არ აღშვი, ვიდრე ესენი ომობენ. დასძალეს ჩვენებმა, სულ თავებ დამტყუენი გაიქცენ, ეს გრიგოლიც აღშვი და ამანაც იკადრა გაქცევა. დავიჭირე მკვლავები, წავარათით რუმბებო, თუნკი, ღაბრი, სხვა და ვენახებში ვისროლეთ. ეს ვაქციულები თქმის პირამდინ ცემით ვარბენინეთ. მაშინ, ამ შემთხვევაში პატრონი ქულოვი იქ არ არის თურმე, ასულა ბატონთან და ეხვეწება ბატონსა: თხუთმეტი კოკა სულ არ მომივიდაო და ცოტას დამჯერდიო, მებატონესაც არ უქნია, არ შეიძლებაო და იქიდვან დაბრუნდება ეს გიორგი ქულოვი და როგორც ჩამოვა ხევში, ეს ჩვენგანით ნაომარი და დამარცხებული ხალხი შეხვდებიან ამ ხევში, წააქცივენ ამ საწყალს კაცსა, სცემენ და აყვირებენ. ეუბნება—რას მემართლეთო, ესენიც ეუბნებიან:—შე მამაძალლო, თქვენ გულისათვის კინადამ დაგვბოცესო. ამ შემთხვევაშიც ასე გაიარა. ვიდრე ხუთი წელიწადი ამ გვართ შევიზაგრეთ.

როდეს კურთხეული ვარანკოვი ვაბრძანდა, შემდგომ მურალოვი მობრძანდა და მოგვიმატეს შეწუხება და აღარ მიხედეს ვარანკოვის გადაწყვეტილობასა. მაშინ გავაკეთეთ არზა სიჩვირისა მურალოვთან და მოვეშაღენ თ მე და გრიგოლ ფირალოვი ქალაქში წასვლას ცხენებითა. როდესაც მე—შაქარა უნდა შევედღე ცხენზედა, ამ ცხენმა წიხლები იქნია და არ მძღვეს ნებას შეჯდომისას, მე ჩემი არ დავიშალე—შევექი და ნახეთ ღეთის განგებასა და ამ ცხენის მეცნიერებასა, რომ ვერ ვიგრძენით თუ ის დღე რა უბედურებას მოასწავებდა. როდესაც გავიარეთ სამი ვერსი, მე სწრაფათ ავით გავხდი, იქ რომ ლამის ცხენიდან გადმოვარდე. უთხარი:—ძაო გიგოლი, დაებრუნდეთ, თორემ გზაში მოგვკვდები. ეს იმედს მაძღვეს:



რა დაგემართა, კარგათ გახდებიო. როგორც შევიძლეოდა  
 ძეგვეში მარქარა სოლოლოვის დუქანში. რა მნახა ესე მძიმე ავთამყოფი,  
 მაშინვე სწრაფათ ნეკში სისხლა გამამიშვა, მაგრამ მაინც აღარა  
 მქონდა ღონისძიება ქალაქში წასვლისა, კიდევ უთხარი: გიგოლი  
 დავბრუნდეთ, თორემ ერთს უბედურებას შევემთხვევით, ანუ გზაში  
 მოვკვდები, ნიჟურებ როგორი ავთამყოფი ვარ, დავბრუნდეთ. ამან  
 არ დაიშალა—მე წავალო და შ.ნ დაბრუნდი, მე მივართმე არხა-  
 სო. წავიდა ეს გიგოლა, ვიდრე ხუთ ვერსსა გაივლის და როგორც  
 ჩავა წოდებულსა სანგირის ხევში, იმ დროს ზაქათალიდან მოდის  
 ილიკო თარბანოვი და თან ახლავს ერთი მსახური თათარი, სახე-  
 ლათ მურთუხალა, შეიარაღებულნი. ამას ამ ხევში შეხედებიან. მა-  
 შინვე ეს გიგოლი ქუდს მოუხდის—ბატონს გაუმარჯოსო. უბძანა: გიგო-  
 ლი სად მიხვალ?—ქალაქს გიხზლებიო.—რისთვის?—შვილი მყავს ავთ  
 და იმის სანახავათ გინზლებიო.—მოიცადე, ეგ შენი საქმე არ არისო,  
 შენ საჩივრელათ მიდინარო. ამას გადმოაგდებს ცხენიდგანა, მისდგე-  
 ბა შეუბრალებლათ, ასე გახდის—სიკვდილზედ მიახწევიანებს, აღარ  
 უჩანს სახე სისხლისაგან, მერე გადაუღებს ყელსა და ამოიღებს ხან-  
 ჯალსა, ყელი უნდა გამოსკრას, როგორც საქონელს. მაშინ მივარდა  
 სწრაფათა ეს მურთუხალა თათარი და მკლავი დაუჭირა—რას ჩაი-  
 ხარ, მე თათარი ვარ და შენ ქრისტიანი და რათა ჰქლამ ამ კაცსა,  
 ეგ ცემა არ ეყოფაო, მაინც ხომ ველარ იცოცხლებსო. მაშინ დაანება  
 ამ კოცხალ-მკვდარს კაცსა თავი, შესხდნენ-ცხენებზედ და წამოვიდ-  
 ნენ და ეს კაცი კოცხალ-მკვდარი გდია. ამ ხევში, ამ დროს მოადგე-  
 ბიან ქალაქიდგან მომავალნი მეტეხელები, რომ დაინახეს კაცი გდია,  
 ჯერ მკვდარი ეგონათ, ნახეს კოცხალია, ამას ჩასძახეს—კაცო, ვინა  
 ხარ, ვერ იცნეს სისხლისაგან თავპირ შეღებილი, ხმა ამოიღო:—მე  
 ვარ, გიგოლა ფირალოვი, რასაკვირელია ყველაც იცნობდნენ. ამას  
 მოასწლიერებენ. გონებაზედ მოივანენ, თავპირს შეუბგვეენ, შესვა-  
 მჭ ცხენზე და ყოველივეც უამბო მეტივეებსა. რომ ჩაივინა ქალაქში  
 ეს თავპირ სისხლიანი და შეხეული, პირდაპირ შევარდა ვასილ ბე-  
 ბუთოვთანა გამწარებული, შეხედა ბებუთოვმა:—ვინა ხარ, კაცო?  
 მოახსენა ყოველივე თითუღათ: მე გახლავართ ახალქალაქელი, გრი-  
 გოლ ფირალოვი, ოცდა თორმეტი კომლის თავისუფლების მძიებელი  
 ხალხის პოვერნიაო და უამბო ილიკოს მოკმედება, სწრაფათ დობ-  
 ტურტიკ დაიბარა და შეამოწმებანა და უბძანა: შენ წადიო და ჩვენ  
 დავიბარებთო. ეს ილიკო დაიბარეს, სამი თვის განმავლობაში, მანამ



ამას თავი მოუტრია შეუყენა, კაცები ილიკომა და შერიგება მოახდინეს, მაგრამ მაინც ზაქათალიდგან, ნაჩალიკათ იყო, გამოორიქეს სამსახურიდგანა.

ამაზედ ვიფიქროთ ლეთის განგება, მოწყალეობა და მფარველობა ჩვენი: პირველი, რომ ის ცხენი იმ დღეს არ შაძლებდა ნებასა შევლდომისასა. მეორე, რომ სწრაფათ გაცხელი ავითა და ველარ შევიძელ წასვლა ქალაქში. მესამე, რომ უკეთუ ორივე ერთად შევმთხვეოდით, ჩვენ გვქონდა თითო ხანჯალი და ისინი თოფ-იარაღით გამართულნი იყვნენ. თუმცა ჩვენც ხელს გამოვიღებდით, მაგრამ ორივეს დაგვხოცდნენ და კიდევ მადლობა ღმერთსა, თუმცა ჩემს ამხანაგს ის შემთხვევა მიეცა, მაგრამ ბოლოს უფნებლად გადაარჩა და მეც იმ სწრაფი ავითმყოფობისაგან მშვიდობით გადავარჩი.

ერთხელ მე თითონ მამასწრო ლევან თარხანოვმა. ასე რომ საქმე მქონდა აპრესა ტერ-აზაროვთანა და დღლით ვიკითხე სახლში, მითხრეს სახლობამა—აგერ აქ ლევანის ბაღში არისო, იქვე სოფლის პირში. წავედი ამ ვენახში, კარებიდგან დაუძახე და ვერ ვაიგონა, მერე შევედი ამ ბაღში, თურმე ბოლოში სხლავდნენ და რას მოვიფიქრებ თუ ისე აღრე ლევანი ამ მუშებთან იქნებოდა. რა დამინახა მიბრძანა: წვერიანაშვილო, შენ აქ რა გინდაო. მოვახსენე: აგერ ამ აპრესასთანა მაქვს საქმე.—ეხლავ-გასწიო. მეც სწრაფათ გამოვბრუნდი. მერე რაღაც იფიქრა, ორი მოსამსახურეც ოპნ ახლდნენ, დაუძახა ამათ, საჭაროთ დაიჭირეთო. რა ვაევიგანე, მეც გამოვიქაცი და ის მოსამსახურეებიცა. ის ოხერი ვენახი მეტათ გძელი იყო. როგორც მოვატანე კარებსა, მაშინ დამიჭირეს, წამაქციეს, ამან-გადიძრო შინელი, უჭირავს ერთი ხელკეტი. წელზევით დამაწუნენ. მომდგა ამ კეტითა და შეუბრალებლათა დამიწყო ცემა. ყვერი, მაგრამ ვის შეუძლიან შემოშველება. ვიდრე გული არ იჯერა და სისხლი არ გადმომსქდა ტანიდგანა, ისე რომ წელ ქვევით ლუჯი ზოლები შეიღება სისხლითა, მაშინ ამიშვეს ცოცხალ-მკვდარი. ამ შემთხვევის გამო ოთხი თვე კენესით ვავატარე, თუმცა იმ ვამათ დობტურსაც შევამოწმებინე, მაგრამ იმან სხვა პასუხები შეიტანა და შერჩა. ეს მეორეთ გადაარჩენა ჩემი სიკვდილისაგან.

მასამეთ გადაარჩენა ჩემი სიკვდილისაგან შემდგომ ასეთი შემთხვევისაა: ერთის წლის განმავლობაში ერთს მკედელსა ემართა ჩემი რვა მანეთი და ვერა გამოვიტანე—რა იმისგნითა. ნათქვამი მქონდა ჩემი ბატონისათვისა ეს-მართებულობა და მოვახსენე:—მე ვერა ვა-



მოვიტანე—რა ამ დავითა მკედლისაგან და შენ მაინც გააკეთებდი რაღაც და ისარგებლე. მხოლოდ იმ დავითა მკედლისა ერთი პატარა სასწორო მქონდა, ღირებული ერთი მანეთის, წასულა ის დავითა მკედელი და უჩივლია ლევანასთან:—ჩემი სასწორო აქვს შეპარასა და არ მადლევსო. მაშინ გამოგზავნის მსახურსა სოლომანა მანძულაშვილსა, რომ ბატონმა—დავითა მკედლისა სასწორო გქონია და მიეციო. მე უთხარი ამ სოლომანასა—ბატონისათვის ნათქვამი მაქვს, რომ ჩემი რვა მანეთი მართებს და შენ მაინც ისარგებლე მეთქი. მაშ არ მადლევო?—ესე მოახსენე მეთქი. გამოვარდა დუქნიდგან ეს სოლომანა, ერთი აქეთ ჩამოიკრა ხელი საყელოდგან, მეორე ხელითაც ისე და საყელო და გულის პირი სულ დაიხია საშაროთა და გაიქცა. რა ენახეთ ამისი ესე საშაროთ მოქმედება უძახით: მოდი სასწორო წაიღე, მაგრამ აღარ დაბრუნდა, ავიდა ბატონთან, შეხედა ეს ბატონმა ამ კაცსა, გულის პირი სულ ჩაქოხილი აქვს, უთხრა:—ბიჭო, რა ამბავია?—რაღა ამბავია ბატონო, შენი ჭირიმე, არც სასწორო დამანებეს, ბევრიც მცემეს და ესე ტანისამოსიც დამანიეს. ნათქვამი-გახლამთ—წინ მაჩივარი ბატონს მართალი ეგონაო, მაშინვე სხვა მოსამსახურე გამოგზავნა, დაჰიბარა, ეხლავ ბატონმა აქ ამოდიო. მეტი რა ძალა მქონდა, ავედი, მოვასსენე: ბატონო, ესე გახლდათ, თავისი ხელით საშაროთ ჩამოიგლიჯა, ავერ-სხვანიც გახლავან მნახელი. რას გაგიგონებს, მიუყურებს კარგი ტყავი და ჩოხა მაცვია. ხელათ გამხადეს, წამაქციეს. მამდგა ერთი მაგარი კეტითა, თავს ის მანძულაშვილი დამაწვა, და მიშინა ეს კეტი და ყოვლის შეუბრალებით მცემა იქამდინ რომ წელქვევით სულ ლუჯი ზოლები დამასხდა. ამ დროს დაინახა გრუზინსკის მოურავმა ეს ჩემი უბედურობა, რომ უღმერთოთა მცემს და ვყვარი, საქაროთ ააშეგბინა, ეს ვალახული კაცი ამაყენა, ეს ჩემი ტყავი და ჩოხა ამ სოლომანა მანძულაშვილს ჩააცვა და ტანისამოსი გაუახლდა, მე ახალუხა ჩამოველ სახლში. ვიდრე ეს ნაცემიც გასიფდა და ღმერთმან ყველას გაშოროთ რა დღეშიაც მე ჩავარდი, სამი თვე მეტი ვაეზით გავატარე და სოლომონამ ჩემგანით ტანისამოსი გაიახლა, მაგრამ ბოლოს იმ მანძულაშვილსაც მალე ჰკითხა ღმერთმა, მალე მოკვდა უბედურებითა, სპადლოთ დამარბეს ცუდი მოხსენებითა და გინებითა, რომ იყო საშინელი ცუდი და მამუზლარი კაცი ბატონთან ხალხისა.

ამ ზემოთ მოხსენებულმა სასჯელებმა გაიარა წინათ, ვიდრე დასრულდებოდა საჩივარი ჩვენგნით წარმოებული, რომელიცა ამ

დავამ გასტანა ოცდა ათი წელიწადზე მეტი. ასე რომა გორის  
მა განგვათავისუფლა. სუდის პრავამ ყმათ მიგვეცა, ვადავიტანეთ სე-  
ნატში. სენატმა განგვათავისუფლა და გადაიტანეს გოსუდარსტენი  
სოვეტში და იმ დროსა ბარათინსკიმაც მოუსწროთ და მიეცათ დი-  
დი სიხარული და იმედი, ამისათვის რომა კოსტანტინე და ბარათინ-  
სკი ყოფილიყვნენ ერთათ აღზრდილნი და დაახლოვებული მეგობარ-  
ნი და იმ დროსაც იგი ოსების მეჯვარეც იყო და რასაკვირველია  
თავიანთი ყოველივე საქმეებიც ჩააგონეს და მოახსენეს არზითა.  
კოსტანტინემ თუმცა დაუშალა და უთხრა: ძმაო ალექსანდრე მაგ-  
დენ ხალხის ცოდვას ნუ მადებო, რომელიცა შენი ერთი კომლი  
ურევია, მაგდენ ხალხში ერემაშვილიო—და ამისათვის ნუ ინებებ  
ამდენი ხალხის ცოდვასო. ალექსანდრემ უპასუხა: თამარს რაღას  
ეუბნებო, რომ იმას ეგოდენი ყმა ჩამოერთვას, ხომ ჩვენი შესანახი  
გახდებო, თამარი იყო იმათი და. არზა მითხრეს ამ გვართ: ასე  
ბატონო, მამაჩვენი გადაიცვალა ოთხმოცდა ათის წლისაო, აგრეთვე  
პაპაჩვენი ასის წლისაო და რომელიცა მაგათგანი კიდევ გაგვიყიდნია  
და თავიც ბერს დავახსნევინეთო და ჩვენი დავა არა ყოფილაო  
და დღეს ტყვილათ მთაყობას აწუხებენ და ატყუებენო. მაშინ  
ჰკითხა ბარათინსკიმა კონსტანტინესა: შენმა ძმა ალექსანდრემ არზა  
მომართვაო და შენ უნდა გკითხო და სწორეთ მარწმუნოვო, უბეში  
ჰქონდა, ამოულო და წაუკითხა. ამაზედ კონსტანტინემ უპასუხა:  
ბატონო თქვენ მაგისათვის ნუ წუხდებით, ჩვენ ყოვლად მოწყალე  
ხემწიფისაგან სრული გახლავართო. და ეგენი დიდი საჭირონი არ  
გახლავანო.—არა მაინც გკითხამ, ეგ საქმე როგორ არისო. მაშინ  
მოახსენა როგორც არზაში დასწერეს—ჩვენი მამა-პაპათ ყმობა და  
მათგნით თავის დახსნა. მაშინ უბძანა ბარათინსკიმ კონსტანტინესა-  
მაგისათვის ნუ შესწუხდებით, რახან ეგრე არის საქმე, მე მივწერ  
ხემწიფესა, რომ ეგენი ყმათ დაგრჩეთო. მაშინ მისწერა ბარათინსკიმ  
ხელმწიფესა:—ასე, რომელიც დავა გახლამთ თავად თარხანოვებისა  
და გლეხებისა, ესენი სულ გამოვიკითხო, რომ ისინი ყოფილან მამა  
პაპით ყმანიო და ვრაცხამ ხაზინის სასარგებლოთა, რომ ეგენი დარ-  
ჩნენ ყმათაო. მაშინ რა შევიტყუეთ ეს იმათი გარემოება, ჩვენც დავწე-  
რეთ არზა ჩვენი სიმართლისა და მივართვით ბარათინსკისა. დახედა,  
ცოტა წაიკითხა და უკანვე დაგვიბრუნა და გვიბძანა თქვენი საქმე  
მე გავათავეო და ჯერ არ გამოგცხადებიათ, მალე გამოგცხადებათო,  
რომ იცოდა ხემწიფე ბარათინსკის თხოვნას შეასრულებდა და რასა-

კვირელია წამოვედით გულ შეწუხებულნა მე და გრიგოლსა და დიდი ხანიც არ გაიარა, მოვიდა უკანა ყუმბათ ჩაბარება და წაღება ჩამოვთვალათ ჩვენი უბედურობით ცხოვრება და დიდი მძიმე სასჯელები.

მობძანდა დიანბეგი დავით ვაჩნაძე, რომ შეგვეყარონ ეს მოჩივარი ხალხნი და თავადებიცა, რომ უნდა ჩაგვაბარონ და კიდევ დაგვლაზონ პოვერნიები და რამდენიმე სხვები როზგებითა. მაშინ იმ ქამათ მე პოვერნია და ერთიც სხვა მოსე ოქრუაშვილი გავიპარენით და დავიმაღენით სოფელსა ქაზვრელში და იქაური კაციც გამოვგზავნეთ ამბავისათვის, რაც მოხდებოდა ჩაბარებაზედა. სულ თვითუღლათ გვიამბო: გალახეს გრიგოლ ფირალოვი და ოთხი სხვანი გვკითხულობენ და გვეძებენ ჩვენა, რომ უმეტესათ ჩვენ უნდა გავგვლაზონ, რადგან იქ აღარ ვიპოვებოდით, მაშინ დაავალეს დიანბეგსა, სადაც შეგხვდეს უეჭველათ უნდა ძლიერ დალაზოვო. იმანაც დაჰპირდა, უეჭველათ თქვენ თხოვნას შეგვასრულებო, ისე რომ ტყავეებს დაეაძროფო, ამაზედ მე და ოქრუაშვილი შევედით დიდს ფიქრებში. ნათქვამი ვახლამთ—ხერბი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო, მაშინ ვიფიქრე და უთხარი: ძმა მოსე, ჩვენი ასე დამალვა არ შეიძლება, როდემდინ. ამიტომ ჩვენ უნდა კარგი ძღვენი გავაყეთოთ, წავიღეთ და დიანბეგი ვნახოთ, თორემ ცემას ვერ გადავრჩებით, ეს ძალიან შეშინდა. უთხარ მოსე ნუ გეშინიან, თუშეცა გვეშინიან, მაგამ რა, მეტი გზა არა გვაქს. იმ ქამათ აქ ქაზვრელში იყო ღალაქი აეთანილია, კარგი მებადურე. უთხარი, ოსტატო, ჩვენი საქმე ასე გახლამთ და თუ შეიძლებოდეს ამაღამ უნდა ბადით წახვიდე და რაც ღმერთმა მოგცეს ჩვენს იღბალზედ თევი მოგვიტანო და ერთი მანეთიც მივეცი. ამ კაცმაც ახსენა სახელი მღვთისა და იმ ღამესა თერამეტი კარგი კაპუეტები ეშოვნა. გათენდა დილა და მოგვიტანა ამასთანვე ერთი კარგი ტიკჰორა ღვინოცა. ავკიდე ამ მოსიასა და ისევ ღამიანათ წავედით, ვიდრე გათენებამდის, ხიდისთავში მივედით, დიანბეგიც ახლათ ამდგარა, ეს კუხნაში შევიტანეთ, ერთი გამძელი ჰყვანდა, ეს თერამეტი კაპუეტები და ტიკჰორა შეიტანა. დიანბეგთანა, შეხედა დიანბეგმა, უთხრა—ესე აღრიანათ ვინ აგვაშენა, მოახსენა—ორი ახალქალაქელი კაცი გახლავან და იმათ მოგართვესო. ისინი ისევ კუხნაში შეიტანა და გვითხრა—აქ შემოვიდნენო. ამ ჩემს ამხანაგ მოსიასა შიშისაგან მუხლები აუკანკალდა, ვეუბნები—ნუ გეშინიან, კარი გავაღე და შევედით, შემოგვხედა და ერთი შემო-



გეიტია, თქვე მაშენიკებო, სად იყავით, რომ კარგა ტყავები არ გეძინებო  
 გაბერეთო. მერე მე მოვახსენე: უფალო დიანბეგო, როდეს ზეზინებო  
 მაინებელი ღრუბელი წამოვიდეს სეტყვისა და იმ დროსა კაცი  
 შეეფაროს და უწებლათ ვადარჩეს, ის რა წინააღმდეგი იქნება  
 ლეთისა და ანუ კაცისა, ვიდრე ის ღრუბელი გადიგლიდეს მეთქო.  
 ამ სიტყვებზედ დაგვიტება და გვიბძანა: ჩემო წვერიანაშვილო, რო-  
 მლებიც დავლახე, ისინიც დიდად მებრალეზოდნენ, მაგრამ მოწერი-  
 ლობაც ისე მჭონდაო და თუმცა დამავალეს თქვენი დალახვა, მაინც  
 ასე სთქვით, რომ დიანბეგი შეგვხვდა ხიდისთავში და ორივე დაგვლა-  
 ხათქო. შემდეგ უბძანა ბიკსა—ესენი კუხნაში შეიყვანე და კარგი  
 საუშმე აქამეო, ჩვენ მადლობა მოვახსენეთ, კარგი პურიც ვიახელით  
 და გალახვასაც ასე მშვიდობით გადავჩიით.

როდესაც ვიახელით ქაზერელიდან, დაგვიბარა ბატონმა ლუკამა,  
 ავედი, თავი დაუქარი და იმასთანა ბძანდება კონა ნაზაროვი. მიბძა-  
 ნა ბატონმა—ახლა ჩემო წვერიანაშვილო, რომ ჩამივარდით რასა  
 ბძანებთ?—მე ამას მოვახსენებთ—თავისუფალი როდის გახლდით და  
 ანუ რა სამსახური დამიკლია თქვენთვისა. ბატონმა—ის წინანდელი  
 სამსახური არაფერიო და იცი თქვენს დავაზედ რამოდენი მაქვს  
 დანახარჯიო და მე ასე გიბძანებ, ბევრს ნუ ილაპარაკებო. ვადმოი-  
 ლო ქაღალდი და საწერელი—შენის ნებით ეხლავე უკანასკნელი ოცდა  
 ათ-თუმანზედ ნაკლები არ ვაბედო ხელის მოწერაო. მე ფიქრისაგან  
 ფერმა გადამკრა და გულმა წუხილი დამიწყო და ესთქვი ჩემს გულში,  
 ლმერთო, ამ სატანჯველათ რათ გამაჩინე, ოცდა ათი წელიწადში და-  
 ვაში ვიყავი და ამათ გაიარა და დღეს, ამ უბედურობაშიაც ჩავარ-  
 დი, მე ამ ფიქრებში ვარ და მიბძანა კიდევ: რას უყურებ, კალამი  
 აიღე და შენის ხელით მოაწერეო, წყრომით მიბძანებს და ამ  
 კონა ნაზაროვმა ერთი კიდევ ჩაიკინა. უყურებ, რომ არ მეშვება,  
 ავიღე კალამი და ხელის კანკალით ათი თუმანი მოვაწერე და ამაზედ  
 დიდათ გამიწყრა და კონამ მიპასუხა—შაქარო, შენ რომ ათ თუმან-  
 ზედ ხელს აწერო, თათანაშვილები ოროლ თუმანზედ მოაწერენ. უთ-  
 ხარი,—შაო კონავ, მე რავარ სხვაზედ მეტი, ჯერ შენი გვმართებს  
 ორმოცი თუმანი და რამდენი სხვის და რატომ მებრალება არა გა-  
 ქვს ჩვენი.—ნეტავ სულაც გაჩუქოს. ეს ბატონი კიდევ გაჯავრებით  
 მიბძანებს, ჩქარა ვაათავეო. ავედი და თხუთმეტე თუმანი გავუხადე  
 და ტირილიც მამივიდა და ცრემლებით თვალები ამევსო და ქაღალ-  
 დზედაც დაეცა ცრემლები. რა დანახა, მაშინ დამჯერდა თხუთმეტ



თუმანსა და მივართვი დიდის მადლობით. ახლა ამ ჩვენმა ბატონმა ორი თვის განმავლობაში უნდა კიდევ გააწეროს და რაც დავაში დაუხარჯავს, ისევ ამ ყმებისაგან შეისრულოს და იმას არ კითხულობს, რომ არც იმათი სამსახური დაგვიკლია და დავაშიაც რამდენი იმათზედ მეტი გვექონდა დახარჯული და მაინც კიდევ გასწერა მთელს საყმოზედა. მე კიდევ ათი თუმანი დამაწერა და ამაზედ ერთათ ყრილობით ხალხმა უთხარით: ბატონო ასე ხშირათ ფულის გადახდა არ შეგვიძლიან, ჩვენ ფულის მომჭრელნი ხომ არ ვახლავართ, ამ გვართ ერთხმით მოვახსენეთ და უარი ვყავით. იმან თავისი არ დაიშალა, წავიდა და დიანბეგი გამოიყვანა იასაულეებითა, დაგვიბარა საყმო ამ დიანბეგმა, გვეკითხა ვისაც რა გვაწერია, ჩვენც მოვახსენეთ ჩვენი ესოდენი სამსახური და შეწუხება. ამაზედ გვიძძანა დიანბეგმა, რომ ბატონის წინააღმდეგობა არ შეიძლებაო, იცით სული მღვთისა არის და სულს შემდგომა მებატონისაო და მე რავექნა, თითონ არ გიბრილებსო და მეტი ღონე არა გაქვსთ უნდა მისცეთო. ვნახოთ ამ ხალხმა ძლევა დაუწყო. მე დიდი უარი ვყავი, რადგან აღარცა მაჭქს ღონისძიება მიცემისა და ვარ იმ უამათ ყოველი ცხოვრებისაგან მოკლებული, ვალით სამსე და არ არის მათგნით შებრალება. ამაზედ ვფიქრობ იქამდინ, რომ უმეტესათ ერთს უბედურებას უნდა შევემთხვიო რასმე. ამ უარყოფობისათვის მოვიდნენ ივანე ბესარიონის შვილი და ერთი გლებიცა და იმ ჩემი ბატონის განძრახვას მელაპარაკნენ. ასე რომა—ეგ სხვა ხალხსაც ამიბუნტებსო და უნდა აქედან გადავკარგოვო და ამისათვის წარვადგენ ოცდა ხუთ მანეთს კარმოვოი ფულსა და შამახიაში გავგზავნიო, ასე გიპირობსო. მე ამაზედ უპასუხე: უმჯობესი იქნება ჩემთვისა, რომ გავგზავნოს და მე მაგისი ხმას და ესოდენი შეწუხებას მოვშორდე მეთქი. მიუტანეს ეს პასუხი და მაშინ წარუდგინა დიანბეგსა ოცდა ხუთი მანეთი და უნდა გამიკრან ხელები და თავისი ნება შეასრულოს. ეს დიანბეგიც მზათ ბძანდება და მიბრძანებს: ნუ ხარ უარის მყოფელი, თორემ ამ ქვეყნიდან გკარგამსო. არც იმან დაიშალა თავისი და არც მე დავიშალე ჩემი. მაშინ მოიტანეს თოკი და სამი კაციც შეამზადეს. უთხარი, ერთი ჩემ სახლში მივალ, ცოლშვილს გამოვესალმები და მე თითონ მსურს ამ ქვეყნიდგან გაშორება და შეგვეკლია იქაც მზე ამოდის და უმჯობესი იქნება მეთქი. წავედი სახლში და უამბე და გამოვესალმე სახლსა და ერთი ყმაწვილიც აკვანში იწვა, ვაფი გერასიმო, ამას პირს გადავხადე, დავკოცნე და უთხარი, ვინძლო ამ ყმაწვილს გაუფთხილდეთ და კარ-



გათ გამიზარდოთ და დაიწყეს ყველამ ტირილი. შემდეგ მივედინ ჩვენი  
დიანბეგთან, სამი კაციც თან მყვანდა, როგორც ტუსაღს, გამიკრეს  
ხელები და ამ სამ კაცს უბძანა დიანბეგმა ხიდისთავში მიიყვანეთო.  
როდესაც გამამგზავრეს, დიანბეგიც გზაზედ მოგვეწვია და კიდევ უთ-  
ხრა, ამალამ იქ მოიყვანეთო. როდეს მიმიყვანეს, იმ ღამესა დიანბეგმა  
ნაცვალა ჩამაბარა. ის დღე ვახლამთ, რომ მეორე დღეს შობა თენ-  
დებო. უბძანა ნაცვალსა—ეს კაცი სამი დღე უნდა შეინახოთ და მე-  
რე ნაჩალიკთან უნდა წარვადგინოვო. მაშინ წამიყვანა ამ ნაცვალმა  
და ერთ ჩემს კარგს მეგობარის ბოსელში მიმიყვანა, ანდრია ლაშქა-  
რაშვილთანა. რა დამინახა ანდრიაჲმა გაეხარდა და მითხრა: კაცო, რა  
ქარმა მოგიყვანაო.—მე უთხარი, ძმაო ანდრი, ამისთანა ქარისაგან  
ღმერთმან დაქითვაროს. მკითხა და უთხარი ესე ჩემი ვარემოკება. დი-  
დათ შეწუხდა, მაგრამ მაინც იმედი მომცა და იმ ღამეს კარგი პატი-  
ვით, ქვეშაგებით შემინახა. მეორე დღეს შობა გათენდა და დიანბე-  
გი უბძანებს ნაცვალსა: ის კაცი რომ ჩავაბარე, მშვიერია არ შეინახო-  
თო. მოახსენა—ბატონო კარგათ ვიცნობთ ჩვენ შაქარა წვერიანოვ-  
საო. მაშინ ეს ნაცვალიც თავის გზირს უბძანებს—წავიდეს კარგს ოჯა-  
ხებში და უთხრას, ესა და ეს კაცი არის ტუსაღათაო და იმისათვის  
გთხოვთ ძღვენი მოგვიტანეთო. რა შეიტყეს, კარგი სამი ძღვენი შემო-  
იტანა, მერე თითონაც მოჭიდნენ სანახავათა, რომ მიცნობდნენ, გა-  
შალეს სუფრა იმ შობა დღესა, რა გნებავს: ინდოურის ხორცი, გო-  
ჭის, კარგი პურები, თეთრი თუ წითელი ღვინოები, თითონაც გვერ-  
დზე მომისხდნენ, მაგრამ რომ უყურებ ამ ჩემი თავის უბედურებასა  
ყელში არ ჩადის საკმელო, ხოლოთ როგორც დარდიანი კაცი, ღვინო  
კი დაელოცე. ამასთანავე ზემოთ ვერ მოვიხსენიე, როდესაც თოკით ხე-  
ლები შემიკრეს, მაშინ იქ იეგვესწრო რევან თარხანოვი და იმ ეჲმათ  
იყო ქუაზუხეღ შემცდარი და იმ გიემბა დაუძახა ლუკასა: შე უბედურო,  
ლუკა თარხანისშვილო, რომოცი კომლი მეტი გყავსო და აბა ჩამოსთ-  
ვალე, რომელი კაცი გყავს შაქარა წვერიანაშვილისთანა, რომ შენ  
ამასა ჰკარგამო. გიეს მე მიძახიან და შენ უფრო ჩემზედ გიეი ხარო.  
იქნება შაქარა წვერიანაშვილი აქ იყოსო და შენ სალუქნო საპყრობი-  
ლეში წაბვიდო.

ამასთანვე, ამ დროს, როგორც ნშობელი, მამა ჩემი იოსები, რო-  
გორც იქნება იშოვის ათ თუმანს ფულსა ამ შობა დღესა და თან  
წამიყვანს ჩვენს ახლო ნათესავსა ავთანდილ ზაღინოვსა, ბატონთან იმ  
ეჲმათ ბძანდება სიძე ჩემი ბატონისა, მიხეილ ყაზბეგი. ამასა სთხოვენ



და შეუყენებენ ამ ჩემს ბატონსა და დიდის თხოვნით იჩოქებს და ბატონსა მუხლზედ ემთხვევა, ამ გვარის დიდის თხოვნითა მაპატიებს და ამ ათ თუმანს ფულსა მიიღებს და მისწერს დიანბნებსა ასე—რომელი კაცი ჩაგაბარე, წყვრიანაშვილი—ნაიალიკთან წასაყვანაო, გთხოვთ დააბრუნოთ, რადგან ვაპატიე და ხელიც მოაწერიე ამ გვართ:—რომ ამიერიდგან აღარ გა'ედოს უარყოფლობა სამსახურისა და არც ჩემი სისხლის ამღვრევისაო, ამ ზოწერილობას მოიტანს დიანბგთან. ეს ავთანდილ ზალინოვი იკითხავს სადაც ვიყავი დატუსაღებული და ამიყვანეს დიანბგთან, ამან ხელი მამაწერინა, როგორც ჰქონდა დიანბნებსა ცნობა, რომ აღარ შემძლოს უარყოფლობა და ამ გვართ დამიხსნეს.

შემდგომ ამისა ვიფიქრე, კაცები შეუყენე, რომ სამზღვარი დამიღოს სამსახურისა. მაშინ თავისი სერვილითა, როგორც ნებამდა დამიღო სამზღვარი სამსახურის—წელიწადში ოცდა ათი თუმანი ფულათ, სამ ნაწილად, ოთხ თვეში ათი თუმანი, ესეც ამ კვალათ: ათი თუმანი დედა მის-სოფიოს უნდა ვაძლიო და ოცი თუმანიც თავისთვისა. ეს ფულის შეწერა. გარდა ამისა წელიწადში ორჯელ სარწყავისა, ხაბაზისა და სამკალის ფული სხვა გახლდათ და აგრეთვე ბეგარის მუშაც სხვა. ამ დაწესებულისა რიცხვიდგან განვლო შეიდი წელიწადი, ვიდრე საზოგადო თავისუფლებამდინა. ამ შეიდი წლის განმავლობაშიაც დედა ჰყვანდა ჰქუაზედ შემცდარი და ნათქვამი გახლავს—ყვავსა შეილი მოუკვდა და ბუს მიუგდეს, დიდი თავი გაქვს და შენ უნდა იტიროვო. თითონ რომ ველარ შეიძღეს ამ გიეის შენახვა, ვნახოთ, ერთს დღესა ერთი მოახლით სახლში შემოგვირგვს. უთხარით—ბატონო, ჩვენ როგორ შევიძლებთ ამ გიეის შენახვასა.—ასე შეიძლებ, ცალკე სახლში დააყენეო, ეგ დაწესებული ათი თუმანიც წერილათ დაახარჯეო და მეც შეშით მოკცემ შემწეობასაო, აღარ მოგვეშვა. მაშინ ცალკე სახლში დავაყენე, ის ათი თუმანი წელიწადში სად ეყოფოდა, სხვაფრივ შემწეობა არ მოგვეცა, ხოლოთ შეშით მოგვეცა შემწეობა და სამი წელიწადი ეს ჰქუაზედ შემცდარი დედაც შეგვანახებინა და ღმერთმან ყველას გაშოროსთ, რა მწარე დღეები ჩვენ გაგვატარებინა ამ სამ წელიწადში.

შემდგომ რა მოხდა საზოგადოთ თავისუფლება, კურთხევით განსვენებულისა, დიდის იმპერატორის აღმკვეთი ნიკოლაევიჩისაგან, მაშინ განვიშორეთ სახლიდგანა ქალბატონი, ხოლოთ როგორათაც იყო



თავისუფლების პრავილებში, ვისაც მოსამსახურები ჰყვანდათ, წელიწადი კიდევ ამსახურეს და აგრეთვე, ვისაც ამ გვარათ ფული ჰქონდათ დაწესებულო-მთავრინეს და ამ სამი წლის განმავლობაშიაც ოცდა ათი თუმანი კიდევ მიმაცემინეს ქალბატონისათვის და სხვა სამსახურიდგან დაერჩით თავისუფალნი.

ამასთანავე რაც მძღულების მქონენი გახლდით, ჩვენი წინაპართაგან კეთილ შეგნილი ნასყიდობითა, ესენიც სულ სანადელოთ უსტანის დრამატით შეგვიდგინა და არც თავისი მამული მოგვცა სანადელოთა, რომელიცა მთელი სათარხნოს მონახვერე იყო და მრავალი მამულის-პატრონი, მაგრამ მან მაინც იტონია ინტერესი ამ ჩვენის ნასყიდის მამულების წართმევისა. მოვახსენეთ—ბატონო, თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რაც მამული გვაქვს—სულ ნასყიდი გახლავთ და ამისათვის გთხოვთ, რომა ეს ჩვენი საკუთრება დაგვიმტკიცოთ. ამაზედ გვიპასუხა:—ეიცი ნასყიდი გვაქვს, მაგრამა მაგნაირი ძველი სიგელებით ნასყიდობა ჩვენ დაგვრჩებაო და თუ გინდათ საქმის ვათავება, რუშუას მიწა და მისაქციელას ვენახი შე მამეციოთ, დანარჩენ მამულებს თქვენ დაგიმტკიცებთო. მაშინ მეც გაჯავრებული უპასუხე:—მე გახლდი შენი ყმა, თუ შენ-იყავი ჩვენი ყმა და ნადელსა პირიქით ჩვენგნით თხოულობ, რომელიცა შენ ხარ ვალდებული ნადელისა და არა ჩვენ. მაინც არ მიხედა ღმერთსა და თავის სინიდისა და არ იტონია სიბრალული ჩვენი და არ წარმოიდგინა წინათ მისგნით ჩვენი სასჯელები. როგორათაც მათგნით დაჩაგრული და გულშეწუხებულ კაცს მსურს წმინდათ მათგნით თავისუფლება ამ ჩემის სიცოცხლითა, მაგრამ ჩაჰკიდა ხელი ამ ორ ნაჭერს მამულებსა და მეც ვეშადაე ამ ჩემის დოკუმენტებითა სადაოთა, მაგრამ ვფიქრობ, ვაი თუ ბოლო როგორი იყოს სამართლისა და ანაზედ ვაძლიე ერთი ნაჭერი, თითო ღირს ასი თუმანი და ორივე ორასი თუმანი, მაგრამ არ გავიხიდა თანახმა და რადგან წინათ დავისაგან ვიყავი შეწუხებული, მაშინ ორივე ნაჭერი მამულები მივეცი და დანარჩენი დავემტკიცე. იმ დღიდგან დაერჩით თავისუფალნი ისე რომ, როგორათაც კაცსა ჰყვანდეს ერთი ფრინველი, ის ფრინველი გატყვენას, ფრთებიც დაგლიჯოს და ისე გაუშვას, იმ გვარათ მოგვეტყა, მაგრამა თუ მივხედამთ ღვთის განგებასა, არც ამათ შერჩათ ესოდენი უსამართლობა. ამასთანავე, როგორათაც ჩვენ გახლდით ამ ვაეებით სასჯელში და უბედურებით ცხოვრებაში, აგრეთვე ჩვენი დამარწმუნებულნი ოცდა თორმეტი კომლი, თავის უფლების მძძიებელნიც, ამ გვარს შეწუხებაში იყვნენ.

და ამა მიზეზდით მსაჯულებასა და მოწყალებასა კვლავნადაა რომლებიც იყენენ გაჭირვებულნი, უსამართლოთ დასჯედნადღეს სრულებით არიან აღსრულებულნი და მე ამისათვის შეეწირამ მადლობას ღმერთსა, რადგანაც ვიხილე მე ჩემის სიცოცხლით თავისუფლება და დღეს მე ცოცხალ ვარ—ოთხმოცდა სამის წლის კაცი, როგორათაც შეეფერება მოხუცებულობასა, სრულის მეხსირებითა და კვალადვე ვთხოვ ყოვლად მოწყალე ღმერთსა გაჭირვებულთა, უსამართლობით მსაჯველთა ჩვენთა მიუტეოს ღმერთმა და სული მათი ახსნილ ჰყოს ღმერთმა \*).

ამასთანავე კვალადვე დაეწერა—ამ ქვეყნის უმეტერებით დატყვევებულის ქამსა იყო სხვადასხვა საბატონოში, სხვა თვისებები და ჰქონდათ თავიანთ საყმოში ჩვეულება: პირველი—ფულის შეწერა შეძლების გვარათ, აგრეთვე პურის შეწერა, ბევრის მუშა, რამდენიც სურდათ, ხარით თუ კაცითა, ვენახებადგან კულუხის შეწერა და რომელი სახლიდგანაც სურდათ და იპოვებოდა კარგი მამაცი ვაჭაკი, გაიყვანდნენ მოსამსახურეთა, აგრეთვე ქალსაც მოახლეთა, თუ საყმოში დაქვრივდებოდა ვინმე, იმასაც მოახლეთ წაიყვანდნენ, თუ ამ ქვრივისა და ქალწულისა ნთხოვნელები აღმოჩნდებოდნენ, ჰქონდათ ჩვეულება საჩუქმისა, რომ მთხოვნელს უნდა მიეცა მებატონისათვისა ასე ათი მანეთიდგან ვიდრე სამოც ნანეთამდინა, რომელიც კარგი და ლამაზი იქნებოდა. ვიდრე ამ გვარათ არ დააკმაყოფილებდა მთხოვნელი მებატონესა და ბარათს არ მისცემდა—ისე ღვდელი ვერ დაწერდა ჯვარს. აგრეთვე წელიწადში ორჯელ კარგი ძღვენები—შობასა და აღდგომასა, აგრეთვე საყველიეროთ ერბო, კომლზედ სამი გირფანქა. აგრეთვე მებატონეებსა ჰქონდათ თავიანთის საკუთრება—ხოდაბუნები და ზერები, ესენი სულ თავიანთ საყმოს უნდა მოეხნათ და დაეთესნა, ხოლოთ ბატონის პუით. რწყვა, მომკა, ვაღწეა—ესე-

\* ამ ადგილას რვეულის გვერდებს აზის 31—32 №, ამითში № 31—ნახევრიდან ვიდრე № 33 ცარიელია. უკველათ აეტორს სურვილი ჰქონდა რაიმე დაეწერა და ჩვენთვის უცნობ მიზეზებისა გამო, არაფერი დაუწერა. თვით გაგრძელებულ წერილის შინაგანს, მისი ტონი და მორაბიული შიკბული მთლიანა იმ სიყვარვის და ავკაცობის, რომლის წაუშლელი ბეჭედი შეუღლებია ბატონყმურ ურთიერთობის ეპოქას, გვაძლევს საბაბს ვიდუქართ, რომ აეტორმა შინის გამო დასთმო ამის მხილება, ეს წერილი დაუწერია მას 1902 წელში. ამ რვეულის გადამცემლებმა, თვით აეტორის შესახებ ფრკით რი ცნობა მომცეს. შესაძლებელია ის ცოცხალი იყოს, მაგრამ ჩვენთვის უცნობია. რედ.

ნი სულ გლახებისაგან კეთდებოდა, აგრეთვე ზვრის მუშაობაც, ქაღალდის  
რების დარეცხა და ვინახის დაკრეფა.

აგრეთვე იმ შემთხვევაში, უკეთეს რომელიმე გლახსა არ შეეძ-  
ლო ესოდენი სამსახური, მაშინ მებატონისგანაც არ იყო გაკითხვა  
ამ საწყალის გლახისა და არცა სამართალი. მაშინ იყო დიანბეგობა,  
როდეს ეს დიანბეგი მიბძანდებოდა სოფელში, გამოუცხადებდა ეს  
მებატონე და სთხოვდა: უფალო დიანბეგო, ჩემი ესა და ეს გლახები  
არ მემორჩილებიან და გთხოვთ კარგათ გალახოთ, რომ სისხლი არ  
ამიძღვრიონ და ერთგულათ მემსახურნენ. რასაკერვლია ეს დიანბე-  
გიც დაიბარებდა გლახებსა და უბძანებდა: ბიჭო, ბატონი გიჩივის  
თქვენა, რომ არ ემსახურებით. ესენიც უპასუხებდნენ: ბატონო, რო-  
გორ არ ვემსახურებით, ჩვენ მაგისტვის სამსახური არ დაკვიკლია  
ბატონო.—მაშ რაღას გიჩივით. ახლა წადგება ეს მებატონე:—აი ბა-  
ტონო დიანბეგო, ამ დროს ეს შეუყვეთე, ამ დროს ეს გამაჯაურეს  
და სისხლი ამიძღვრის და გთხოვთ გალახოთო. მაშინ შეუტყეს ეს  
დიანბეგიც გაჯაურებით, უბძანებს თავის იასაულებსა:—წაიქციეთო,  
მისდგებიან როზვით და კარგათ გალახავენ შეუბრალებლივ. წაქციუ-  
ლი ყვირის—ბატონო, კარგათ ვემსახურებითო. ამ გეგარსა ვაებაში  
იყვნენ საწყალი გლახები. აგრეთვე თუ საწყალი გლახი უჩივლებდა  
მებატონესა, რომ—ბატონო დიანბეგო, ბატონისაგან ამ გეგარათ დიდს  
შეწუხებაში გახლავართ და გთხოვთ ამ შეწუხებისგან დაკვიჯაროთო,  
მაშინ დიანბეგი უპასუხებს—ბიჭო ვისი ყმა ხარ?—ამა და ამ თავი-  
დისაო.—წადი შეილო და ისევ შენ მებატონეს შეეხვეწო. ესეთა  
უსამართლო დროებაში იყვნენ საწყალი გლახები.

ამასთანვე ამ უბედურს დროებაში ერთს მებატონესა ჰქონდა ჩვეუ-  
ლება თავის საყმოში, როდესაც იმისი გლახი დაქორწინდებოდა,  
ცოლი პირველათ უნდა მიეყვანა მებატონესთან და იმ დღეს ეს უნ-  
და დაწოლილიყო დედოფალთანა. ამ ჩვეულების ეპისა ყვანდა იმ მე-  
ბატონესა შინა ერთგული მოსამსახურე. კარგი მამაკი ვაჯეცო და  
ეს დანიშნა—სხვა მებატონის ყმის ქალზედა. რასაკერვლია ამ ბიჭ-  
მა იმ ქალის მებატონე საჩექმით დააკაყოფილა და შემდგომ ჯვარი  
დაიწერა და ამ ბიჭის მებატონეც მზათ არის, რომ გვრგვინის აღების  
პირველ დამეს, ჩვეულებისამებრ, დედოფალსა მიელის იმ დამესა, ამ  
გლახმა იფიქრა—საჩექმე მე გადავიხადე და ქორწილიც ჩემის ხარ-  
ჯითა და პირველათ ბატონს უნდა მივგვაროვო, მაშინ რაღა კაცი  
უნდა ვიყოვო და გახდა ამ ბატონის ჩვეულობისა წინააღმდეგი და



ამაზედ ეს მემატონე ამ ბიჭზედა არის ძალიან გულგანჯიერი. მაგრამ ეს ბიჭიც უმეტესათ არის მემატონეზედ გულგანჯიერი. ის დრო არის, ყანჭია მოსამკალი და ამ მემატონეს აქვს დიდი ხოდაბუნე მოსამკალი და არის მომზადებაში ეს მემატონე კარგის ხარჯითა და რასაკვირველია, ერთ დღეს შეპყარა თავის საყმოში ქუდზედ კაცი და აგრეთვე სხვა შეწყვინილი მუშა ვიდრე ასი კაცი მეტი ამ ხოდაბუნეში და მოურავიც ზონტიკიც თავს ადგია ამ მუშასა და ამხნეებს სიმღერით ამ ხალხსა და ბატონსაც აქვს კარავი დადგმული, იქა ბძანდება და იქადგან გაჰყურებს მუშებსა. ამ კარავთან აქვე შემოდგმულია სადილისათვის ქვებები, ეს ბიჭი არის მზარეული და აქვს სადილის მომზადება.

ამ დროს ამ უბედურმა მემატონემ დაუძახა ბიჭსა ამ კარავში და უთხრა:—ბიჭო, შენ როგორ გაბედე, რომ ჩემი ჩვეულობის წინააღმდეგი გახდით—თუ როგორ, ბატონო?—ასე რომ, ის შენი ცოლი, არ იცოდი რომ პირველ დამეს ჩემთან უნდა მოგეყვანაო.—ბატონო, შენთვის რათ უნდა მომეყვანა, ჯერ ერთი რომ სხვა მემატონის ყმისაგან შეგისუიდე და სამი თუმანი საჩექმე მივეცი, მეორე რომ ჩემის ხარჯით დავეორწილდიო და შენ რა ამავე გჭონდა, რომ პირველათ შენთვის მომეყვანა. ამაზედ ძრიელ გაუწყრა ამ კარავში და ერთიც შემოჰყრა. ამ დროს იძრო ხანჯალი ამ ბიჭსა, მისდგა და აჩეხა ეს თავისი ბატონი და რაკი არაეინ იყო, გამოვიდა ეს ბიჭი, აუშვა ბატონის ცხენი, არხეინათ აცეცა საბელი, შეეჯდა და ჩაურბინა ამ მუშებსა და მოურავსა და უთხრა. აბა ბუშაენო, კარგათ, ერთგულათ გაისარჯენით, დღეს იმისთანა კარგი საკლავი დაგვიკალით, რომ თავის დღეში ამ ხოდაბუნეში ამაზედ კარგი საკლავი არ დაკლულაო და მე ეხლა მივდივარ კიდევ თქვენთვის მოსამატისათვისსაო. ამ ხალხსაც უფრო მხნეობასა და სიმღერას მოუმატეს და როდესაც დაგვიანდა ძრიელ, მაშინ უთხრეს მოურავსა—ბატონთან წადი კარავში, მოახსენე რომ მუშას ძრიელ მოშვიდა, სადილს ნულარ დაგვიგვიანებთო. წაბძანდა ეს მოურავი ამ კარავში და ნახა ეს ბატონი ზუთ ნაჭრათ პყრია და კარავშიც სიხსლის მორვეა დავს. რასაკვირველია იმას ველარაინ ვააცოცხლებდა, ამოვიდნენ ესოდენი მუშა, გაშალეს სუფრა, კარგი დროება გაატარეს და ისევ დაუწყეს მკა სიმღერითა, იმათ თავიანთი წრე არ მოშალეს და სალამოზედ ეს დაჩეხილი ბატონიც წაიღეს. მომკვლელმა-კი ამ ბატონის ცხენით ოსმალში თავი ამოყარა ეს მემატონე ბძანდებოდა, რომ ერთს დროს, ერთს ყმა გაუწყრა და

კალოში ხარს შუება და თითონ კვერზედ დაჟუღდა და კარგი სახრით დაუწყო ცემა, როგორც ხარსა იმ კაცსა. ამ გვარი უსამართლობა ბევრგან მოხდა და კიდევ დახოცეს მებატონეები\*).

## ბერო ზაქარიას ქმ უათირიშვილის თავ- ბადასავალი\*\*).



ეხლა 95 წლისა ვიქნები. ვცხოვრობ დაბადებიდან ს. კურდ-  
ღელაურში.

ოცი წლისა ვიყავი, როცა ჩვენმა ბატონმა ალექსანდრე რუსი-  
ემა მიბძანა მას თან წაეყოლოდი.

\*) ამ წერილს ხელუხლებლათ ვბეჭდავთ. არც კომენტარები, არც ახსნა განმარტებები არ არის აქ საჭირო. ამ რეეულში მოთხოვნილი ყველა ამბები არის ღირსი, რომ ამ ეპოქას უფრო საფუძვლიანად გავეცნოთ. ვინც არ უნდა იყოს ამ ამბავის მომთბრობი და რა მიზნითაც არ უნდა ასწერდეს ის ამ ამბებს, ვრის შედგეს ის სავსებით იძლევა: გვაწვდის ისტორიულ ფაქტებს და ჩვენ ავტორს, ამ ამბავისთვის გულწრფელათ უმადლით.

\*\*\*) ვბეჭდავთ შეუსწორებლათ.

რედ.

ნეტა რა დაუშავე, რათ მომიტაცა იმ უღმერთომ! ვებთან მოხუცი ცხარე ცრემლებით ატირდა).

ბატონის სახლში რომ მიველი, ბატონმა მითხრა:—შენ ღმერთ-  
ძალლო, შენ მამა-ძალლო, რასაც შენ ვიბრძანებ, ის უნდა აღასრუ-  
ლოვო.

რაც შემეძლო დავრბოდი წალმა და ჯუღლმა, ჩვენი ბატონის  
საქრეს დღე და ღამ ვერთგულეზდი, ის კი გინებითა და მუქარით  
მიმასპინძლდებოდა.

შვილო, ძნელია ყველაფრის მოგონება, ის შავი დღეები ღმერ-  
თმა ჩემს მოსისხლე მტერს ნუ მოასწროს.

ეხლა მოხუცებამ დამაძაბუნა, გონებაც კარგად არ მიპროს,  
მაგრამ რაც შემეძლება მაინც მოგახსენებთ.

მახსოვს ერთ ახალ წლის დღეს, ჩვენს ბატონს ეახლა ყმა მა-  
ჩუაშვილი და სავსე ხურჯინი ძღვენათ მიართვა ბატონს. მაგრამ ჩვე-  
ნი ბატონი ამ ძღვენმა ვერ დააკმაყოფილა, იგი გამოედევნა მაჩუა-  
შვილს და მრისხანებით დაუწყო ყვირილი:

— შენ ვირის შვილო, რატომ მსუქანი ღორი და ხოხობი არ  
მომიტანეო... წადი, თვალიდგან დამეკარგე და ვი შენს დღეს, თუ  
ხვალე არ მოგიერთმევიო.

შვილო, ყველა უბედურებას ვინ მოიგონებს, კინალამ დამავწ-  
ყდა, ჩვენს მეზობლათ სოფ. რუისპირში, თავადმა მიაყაშვილმა, გლე-  
ხები კევრში გააბა და აწამა. ვინც მათს შავს კბილს გაეკრებოდა,  
ცოცხალი ვერ გადარჩებოდა.

ამა ჩვენს სოფელში, ხომ ჩვეულებათ იყო, როცა გლეხი ქალს  
მოიყვანდა, იგი პირველ ღამეს ბატონს უნდა ეხმარა: ერთს ღამეს  
იქ გაათენებდა და შემდეგ ქმარი წაიყვანდა სახლში, უბედურობა  
ის იყო, რომ პირველი ღამე ბატონისა იყო.

გლეხს სიმწარისაგან რომ გაეცინებია და ეს ბატონს არ ეკაშ-  
ნიკებოდა, წამოაქცევდა ბატონი—ხალხში, ჩაბდიდა საცვლებს და  
წყვეტელ როზგით სისხლს ადენდა, ბატონები კი შორი-ახლო ბრძან-  
დებოდნენ და ხარხარებდნენ.

ბატონს რომ რომელიმე სოფლის ქალი მოსწონებოდა, წაატანდა  
ხელს, წაიყვანდა ან წაათრევდა სახლში, იხმარდა და გინებით უკან  
გამოაგდებდა.





ს. რუისპირის მიხედვით ბატონი მაცაშვილი გლეხს გაატყვევებდა, თავის წაუსომდა და დათოკვილს გზაში დააგდებდა. აბა ვინ რას გაბედავდა!.. ბატონი ისეთი უღმერთო რამე იყო, რომ ყველას კუდიტ ჭეხას ასროლინებდა.

ბატონყმობის გადავიარდნა ჩვენ თელავში გამოგვიცხადეს, სადაც ეხლა „პამიატნიკები“ და „ბულვარია“.

ბატონყმობის გადავიარდნამ ყველა ალტაცებაში მოგვიყვანა, ვიფიქრეთ, რომ ეს არის დაადგა საშველი ჩვენს უბედურებასო, მაგრამ ძლიერ მოვტყუვდით. ჩვენ ხელცარიელი გაგვანთავისუფლეს, ბატონებმა შემდეგ უფრო მაგრა ჩაგვიჭირეს ხელში და გააჯილავეს ჩვენი ყოფა ცხოვრება.

ჰაი, ჰაი რაც მათი ავჯაცობა გვახსოვს, ისინი სულ ცოცხლითავე ცეცხლში დასაწვავი არიან...

ბატონისთვის რომ ერთი ვერსიდან ქუდი არ მოგებადა, წამბხთარი იყო შენი საქმე, ამ ქვეყნად ცხოვრებაზე ხელი უნდა აგელო.

### პანო თევდორეს-ძე მუხლაურის თავ-გადასავალი \*).

ჩემი ბატონი ვახუშტის ვახლდათ. მეც სოფ. კურდღელაურის მცხოვრები ვახლავართ. ეხლა 85—90 წლისა ვიქმნები. მე და ბერი (შათირიშვილი) თითქმის ტოლები ვართ. რაც მან მოგახსენათ, იმაზედ თითქმის არაფერი მაქვს დასამატებელი. ყველა ბატონები ერთი-მეორეს უარესები იყვნენ. სახალხო საქმის გაკეთება ძრიელ სძაგდათ. ყმებს შესაქმელათ გვიყურებდნენ. ჩვენთვის მათ მხოლოდ როზგი და სასჯელი ემეტებოდათ. ეხლა პირუტყვს არ მიეპყრობით ისე უღმერთოდ, როგორც მაშინ გლეხ-ყმებს და საერთოდ გლეხობას ეპყრობოდნენ, ძალღები მაშინ ყმებზე გაცილებითო წარჩინებული იყვნენ. ერთს ძალღში რამოდენიმე გლეხიც კი მიუტყიათ. ასეთი შემთხვევა მრავალი იყო.

გლეხს რომ კარგათ ჩაეცვა და ეს ბატონს დაენახა, ჯერ ხომ ტანზე ყველაფერს გახდიდა და წაართმევდა, მერმედ და ცემით მოკლამდა, როგორ გაბედე ჩემზე უკეთესათ ჩაცმაო.

\*) ვაჰკდავთ უცვლელით.

ჩედ.



აბა მღვდლები თავად-აზნაურებს ხომ გვერდში ედგნენ და მკლავს უმაგრებდნენ—რასაც ბატონი იტყოდა, იმაზედ მღვდელი დასტურს ადებდა.

მღვდელი, თავადი და მკითხავი ძველათაც და ეხლაც სოფლის ხორცმეტებიან. მუშა ხალხიც მათ ასე უყურებს.

აბა შვილო, ჩვენ იმდენი კკუა და „სტავლა“ სად გვაქვს, რომ ყველაფერი რიგზედ და კარგად გაგაცნოთ, გულში ბევრი ამბები გვიტრიალებს, მაგრამ ენა და გონება ვერ ძლებულობს მის სისწორით გადმოცემას. გლები კაცი მუნჯი არის, მას უჭირს ყველაფრის თქმა, რაც რომ გითხარით და გაეკვლიეთ, იგიც ბევრი შეესძელით.

ღმერთმა ნურავინ მოასწროს იმ შავი დღეების გამეორებას, ის რაც იყო გაქრა და მისი აღდგენა ყოველად შეუძლებელია.

ს. ყარაჯალა (ს. წითელი ქალაქი), გორის მაზრა.



## გიორგი ანდრიას ძე გულისაშვილი.

(ჩემი მოგონებები).

მე დავიბადე, ვავიზარდე და დავცოლშვილდი ს. ყარაჯალაში. ეხლა 100 წლის ვიქნები. ჩემი ბატონი თარხნიშვილი იყო.

რაც ბატონყმობის დროს თავს გადამწყდა, მისი მოგონება მეტად ძნელია.

იმ წყეული დროის გახსენება ციებ-ცხელებას მგვრის.

თქვენ „ნასტავლი“ ხალხს, რომ გეგებრებდათ, ჩვენ „უსტავ-ლელებს“ არ შეგვიძლიან, დაწყობილათ ვერაფერს მოგახსენებთ, ხან ერთს წამოვიწყებთ და ხან მეორეს, ცოდნა რომ მოგვცა ჩემი თავ-გადასავალი ცას და დედამიწას აატირებს.

ვინ გვთვლიდა რამეთ, პირუტყვი რომ პირუტყვია, ჩვენ, ყმები, კი მათზე უარეს პირობებში ვიყავით.

### პირველი ღამე.

პირველი ღამე რას მიქვიან, სულით და ხორციით ბატონის საკუთრებანი ვიყავით, რასაც ბატონი მოინდომებდა, იმას იზამდა, პირველი ღამეც მისი იყო და მესამეც, ოღონდ ბატონს გლეხის ქალი მოსწონებოდა და თვალში ამოელო.

### გლეხის კევრში გაბმა.

ასეთი შემთხვევები ბევრი იყო. ბატონი თუ უგუნებოთ იყო, ის მხეცის უარესი გახლდათ. კევრში გაბმა ერთია, მაგრამ ზოგიერთი ბატონი მეტსაც შერებოდა და იყო შემთხვევა, როცა ბატონს კევრს ქვეშ გაუსრესია ათეული ძუძუ-მწოვარა ბავშვები. გაბრაზებული ბატონი დასტაცებდა გლეხის ქალებს ძუძუ-მწოვარა ბავშვებს, დაჭყრიდა და ზედ კევრს გადაატარებდა, თვითონ კი კევრზედ იჯდა და ხარებს ერეკებოდა.

### გლეხების პირუტყვებზე დაცვა.

აქ უჩვეულო არაფერია. გლეხი მაღლიერიც კი იყო, თუ მხეცი ბატონი, ვინმე პატიოსანს კაცზე გააჭყიდდა მას, მაგრამ სავალალო ის იყო, რომ ხშირად ერთი მხეცი ბატონის ხელიდან, გლეხი უარესის ხელში ვარდებოდა და ტანჯვა ერთი ორად ემატებოდა.



### ცემა-გაროზგვა.

ცემა და გაროზგვა, ეს ბატონისთვის გასართობ რაიმეს წარმოადგენდა. მოხუცი, ახალგაზრდა, ძუძუ-მწოვარა ბავშვი და ვაჟკაცი, ყველა ერთს ტაფაში იწოდა, ბატონის მრისხანება, ყველას თანაბრად ელოდა. არ იყო მათში პატიოსნება, სინიდისი, მხეცური ღინი და გზა-აზნეული ვნება ბუდობდა მათს სვავს სხეულში. ძნელია ყველაფრის გადმოცემა, ძნელია აწერა და დაბასიათება იმ დროსი, როცა კაცი კაცს არ გავდა და კანონი-კი მხოლოდ ჩვენისთანა ბედ-შავ ხალხის დასამონავეებლათ იწერებოდა.

### გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა .

პირველი ტომის მეორე გვერდზე მოხსენებული იყო:  
„თვითეულ ტომში მოთავსებული იქნება ათამდე ისტორიული სურათი“.

უნდა იყოს:  
თვითეულ კომპლექტში მოთავსებული იქნება ათამდე ისტორიული სურათი.

რედაქცია.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

მე-6 ტომისა.

## I. ბატონყმობა ქართლში:

1. თავადი თუმანიშვილი . . . . .	879
2. დიდი გ. ერისთავი . . . . .	881
3. თავ. ამილახვარები . . . . .	—
4. მამამზე ერისთავი . . . . .	882
5. მელიტონ ბარათაშვილი . . . . .	—
6. ივანე კერესელიძის ნაამბობი . . . . .	385
7. აზნ. კობიაშვილი . . . . .	388
8. ესტატე ციციშვილი . . . . .	—
9. თავ. ბებუთაშვილი . . . . .	389
10. აზნ. გაბაშვილი . . . . .	391
11. მელექსე ზაალ ბარათაშვილი . . . . .	392
12. კარპოს თავთაქიშვილისაგან ნაამბობი . . . . .	—
13. თავ. შაჩაბელი . . . . .	393
14. დუშეთში შეკრებილი ამბავი . . . . .	—
15. არსენ კალანდაძის მიერ ნაამბობი . . . . .	394
16. ივანე მუბრან-ბატონი . . . . .	395

## II. ბატონყმობა კახეთში:

17. თავ. აფხაზი . . . . .	403
18. თადია ჩოლოყაშვილი . . . . .	—
19. „კალმასობიდან“ . . . . .	405

## III. ბატონყმობა იმერეთში:

20. ბატონყმობა იმერეთში . . . . .	411
-----------------------------------	-----

## IV. ბატონყმობა სვანეთში:

21. ბატონყმობა სვანეთში . . . . .	415
-----------------------------------	-----



V. პირველი დამის უფლება საქართველოში:

- 22. პირველი დამის ამბავი . . . . . 418
- 23. საქართველოს ერის დაუძინებელი მტერი პავლე დიმიტრის-  
ძე ციციშვილი . . . . . 434


VI. სხვა და სხვა მასალები:

- 24. რუსეთის მესამოცე წლების მოღვაწეთა ღვაწლი საქართვე-  
ლოში ბატონყმობის გადაგარდნაზე . . . . . 449
- 25. თფილისის ვაჭარ-მოქალაქენი, როგორც ყმის მყიდველნი და  
გამანთავისუფლებელნი . . . . . 452
- 26. სასულიერო წოდების ყმათა შეილები და მათი მღვდლები 464

VII. ჩვენი დროის მოქალაქეთა დასტური ბატონყმობის  
შესახებ:

- 27. ჩემი ბოლოსიტყვაობა . . . . . 471
- 28. შაქრო წვერიანოვის ავტობიოგრაფია . . . . . 474
- 29. ბესო ზაქარიას ძე შითირიშვილის თავგადასავალი . . . . . 497
- 30. ვანო თედორეს ძე მუმლაურის თავგადასავალი . . . . . 499
- 31. გიორგი ანდრიას ძე გულისაშვილი . . . . . 501

1153



თბილისი



კახელ მევენახეთა  
კთლავრათიული საზოგადოება

# „კახეთი“

არსებობს 1896 წლიდან.

გამგეობა, მთავარი სარდაფი და კანტორა  
ტფილისში—გოგოლის ქუჩა № 63—ელსმენი 4-65.

გ ა ნ ე რ უ ჯ ი ლ ე ბ ე ბ ი:

მოსკოვში, ბაქოში, როსტოვში და ტაშკენტში.

ბიუროები და ღვინის უმსაქრეფი პუნქტები:

კარდნახში, თელავში და ყვარელში.

საუკეთესო ხარისხის კახური  
== ღვინოები ==

ქარდნახი, ყვარელი, ბჟელ-მინდორი, წარაფი,  
— მუკუზანი —

ტკბილი ღვინოები—კურტვეინი და გადურა  
საკუთარი ნაწარმოები

კონიაკი—არაყი—სპირტი.

გ ა ყ ი ღ ვ ა

სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებ-ებს და კერძო პირებს.

# ლითონის განყოფილება



მანქანათ-სამშენი-ბრუნაროების ქარხანა

წყლის სხვა და სხვა სისტემის ბრუნაროები

სასოფლო სამეურნეო იარაღები: სახნისები, ყურძნის საკულე-ტები, სათესები, სანიავებლები, რკინისა და ფოლადის ჭურჭ-ლები, სხვა და სხვა ნაირი ჩამოსხმა.

## სპილენძის სატექნიკო ქარხანა

სპილენძი ფურცლებით და მორგვებით

## ქარხნები და სახელოსნოები

ყოველგვარი ნივთები ქალაქისა და სოფლის საჭიროებისათვის, მონტაჟი, დადგმა, სხვა და სხვა საწარმოო ერთეულების ყო-ველნაირი მოწყობა, ავტომობილების საფუძვლიანი შეკეთება.

ინჟინერული სამუშაოები: სასტუმროებისათვის, საბავშვო სახლე-ბისათვის და საავადმყოფოებისათვის.

სასწრაფოები: ახალის, ძველის შეკეთება და გადაკეთება. იყი-დება და მზადდება ყოველნაირი ლითონი: რკინა, ლურსმანი, მავთული, სააღმშენებლო მასალები.

## დაკვეთა სრულდება სწრაფად და კარგათ

ფასები ხელმისაწვდომია.

სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერატივებს ეძლევა შეღავათიან

— ფ ა ს ე ბ შ ი —

ჩათახის თუჯის სადნობი ღ მილების ჩამომსხმელი ქარხანა „მაღაქ-ტორი“ შეღავათის“ სახელ. ხარისხი მაღალი. თუჯი მადნეული, ნატეხე-ბით. ვიძლევიტ ანალიზის გარანტიას.

მილები საწმენდი და წყალსადენის ყოველნაირი ზომის ღ სიმსხოსი.

საბჭოთა ქ. (ყოფ. ჩერქეზიშვილის) № 115—ტელ. 20-53 ღ 19-54.

ტექნიკური კანტორა პლენხანოვის ღ კირონი ქ. კუთხე—ტელ. 8-94.

„უკრსილიკატრესტი“-ს გენერალური წარმომადგენლობა ღ სამხრეთის ლითონური ქარხ-სა. ლითონის განყოფილების განყ. ქ. ბაქოში

ჯაფარიძის ქ. № 4. ტელეფონი № 2-37.



4-5-6 ომანი

საქართველოს  
საზღვაო საზღვაო

